საფო მგელაძე

რჩეული

Г 2
899.962.1 — 3
ბ 453

საფო მგელაძის წინამდებარე წიგნში შესულია რომანები და მოთხრობები.

წიგნში შეეიდა მწერალი ქალის ცნობილი რომანები „ლიანა ლორდია“ და „ქარიშხლის ფრთებზე“, ხოლო რომანი „გზადაგზა“ იბეჭდება პირველად.

რომანში „ლიანა ლორდია“ მწერალი გვიხატავს, ახალგაზრდა მხატვარი ქალის სულიერ სამყაროს, მის შემოქმედებით სიხარულს, ლტოლვას სილამაზისადმი, რომელიც ხელოვანის სიცოცხლის შინაარსს წარმოადგენს.

რომანში „ქარიშხლის ფრთებზე“ ქართველი ქალები მამაკაცების მხარდამხარ თავდადებით იბრძვიან თვითმპყრობელური რეჟიმის დასამხობად, იბრძვიან ნათელი მომავლისათვის, თავისუფლებისათვის.

რომანი „გზადაგზა“ კი ახალი ცხოვრების ნათელ ასახვას წარმოადგენს. რომანის ეგმირი ქალები ვაჟკაცური შემართებით იბრძვიან, შრომობენ და სწავლობენ, აქტიურად მონაწილეობენ მშენებლობის ყველა ფრონტზე.

7—3—2
101—68 ადგ.



ლიანა ლორდია

I

ეს ერთი კვირაა რაც თოვს და თოვს გამუდმებით. ხეები შეესუდრა, მიწა დაიტვირთა და პაწია თეთრი ფანტელები თამაშითა და ხტუნვით განაგრძობენ ცვენას. მთელი სამყარო თეთრ სამეფოდ გადაიქცა.

ჩვენი სოფლის გზა სრულიად გაუდაბურდა. იშვიათად თუ დაინახავ გამვლელს. მოწყენილობა ვიგრძენი, ფანჯარას მივადექი და დავინახე ჩემი ქმარი, რომელსაც ფეხზე თხილამურები გაეკეთებინა და მხარზე თოფგადაგდებული. მეძებრებს უსტვენდა.

— საით? — შევეკითხე მას.

— გამარჯვება მისურვე, ლიანა, — მომიგო მან, სანადირო ჩანთა მხარზე გადაიდო და ნელი ნაბიჯით აჰყვა ოდნავ აკვალულ ბილიკს, ზევით აზიდული ტყისაკენ რომ მიდიოდა.

ცუდი დარი იდგა და მისი ასეთი ახირება ჭკუაში არ დამიჯდა, მაგრამ სიტყვა მაინც არ შევუბრუნე. წინდაწინ ვიცოდი, რასაც მიპასუხებდა.

თვრამეტი წლის ვიყავი, როცა არჩილმა, უმაღლესი აგრონომიული ცოდნით აღჭურვილმა და საკმაოდ ხანში შესულმა კაცმა, ჯვარი დაიწერა ჩემზე. მას შემდეგ თუმცა რამდენიმე წელი გავიდა, მაგრამ მაინც ისე მიცქერდა, როგორც უფროსი უმცროსს, როგორც დიდი პატარას. ვერ ვიტყვი, რომ მსიამოვნებდა ასეთი მოქცევა, მაგრამ ამ გრძნობას აქარწყლებდა მისი თავდადებული სიყვარული, რომელსაც ყოველწამს ვგრძნობდი. ამ უდაბურ ადგილს მან შეიძინა დიდი მამული და ისე გააშენა, რომ მსგავსს საქართველოში იშვიათად თუ შეხვდებოდით. მართალია, მე მო-

წყვეტილი ვიყავი ქალაქს, კულტურულ საზოგადოებას, გასართობს, მაგრამ არც ისე ძწვავედ ვგრძნობდი ამ დანაკლისს. მარტოობაში აღზრდილს, მარტოობა მიყვარდა, სოფლის მყუდროება კი ხელს მიწყობდა მუშაობაში და უფრო მიცხოველებდა ფანტაზიას.

სამხატვრო სკოლაში ნიჭიერ მოწაფედ ვითვლებოდი და, მართალია, ჩქარა მოვწყდი საყვარელ საქმეს, მაგრამ ხატვას თავი მაინც არ დავანებე და ჩემი სურათების რეპროდუქცია ხშირად იბეჭდებოდა სხვადასხვა ქართულ ჟურნალებში. მიყვარდა ჩემი საქმე, რომელიც მავიწყებდა იმ სულიერი ობლობის გრძნობას, რომელიც ხშირად ჩემდა უნებურად შემიპყრობდა ხოლმე.

აი, ახლაც ჩემი არსების სიღრმეში ნისლივით აცურდა სევდიანი სახეები და მეც ჩვეულებრივად მივაშურე სამუშაო კუთხეს. ის იყო მოვაბრუნე მოლბერტი, რომ კარი გაიღო და ოთახში შემოხვედი შენ, ვიღაც უცხო, მაღალი, შავგვრემანი ყმაწვილი. ბუხრის ქუდი და გრძელბეწვიანი ნაბადი თოვლით გქონდა შეფრქვეული.

— მაპატიეთ, ასე რომ ვიჭრები თქვენს მარტოობაში, გეფიცებით, ეს ჩემი ბრალი არ არის. მახლობელი სოფლიდან მოვდივარ, ცხენი თოვლში ჩამეფლო და აქამდის ძლივს მოვაღწიე.

ამ სიტყვებით ნაბადი მოიხადე და ჩემკენ რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგი.

— მობრძანდით, — წარმოვთქვი სრულიად დამშვიდებით და სკამი ანთებულ ბუხართან მივდგი.

— ნება მიბოძეთ, ქალბატონო ლიანა, წარმოგიდგინოთ ჩემი თავი. მე თამაზ ზურაბიძე გახლავართ და გთხოვთ, კადნიერებად რუ ჩამითვლით მოულოდნელ სტუმრობას.

— საიდან იცით ჩემი სახელი? — გკითხე გაკვირვებით.

— მე ვიცნობ თქვენს სურათებს და თქვენც რამდენიმეჯერ მინახიხართ ქალაქში.

— მეც წამიკითხავს თქვენი წერილები. მგონი პუბლიცისტობთ, არა?

— ხანდახან, მოწყენილობის დროს. შეიძლება დავათვალიერო თქვენი სურათების ალბომი? — შემეკითხე შენ და როცა დასტური მიიღე, ალბომი ხელში აიღე, სკამზე ჩამოჯექი. სიჩუმეს ცეცხლის საამური გუგუნი არღვევდა. ხმაამოღებლივ, დაკვირვებით დაჰყურებდი სურათებს და მეც საკმაო დრო მქონდა დამეთვალიერებინე

შენ. ზევით აწეული შავი თმა არ ფარავდა ფართო შუბლს, სახის ნატიფი ნაკვთები ვერ არბილებდა ტუჩების ვნებიან მოხაზულობას და იმ ცეცხლს, რომელიც გამოკრთოდა შენი თვალებიდან.

— ძალიან მომწონს თქვენი „სოფლის ბავშვები“, „სამშობლოსათვის თავდადებულნი“, „ცრემლები“. აქ არის განცდა, სილამაზე, მხატვრული ნიჭი.

— გმადლობთ შექებისათვის.

— არა, შექებას აქ ადგილი არ ჰქონია. მე ხელოვნებაზე მიუდგომლად ვიცი ლაპარაკი და ამიტომ შენიშვნას ვუკეთებ თქვენს „პირველ სიყვარულს“, ის სუსტია.

— რაში. გამოიხატება მისი სისუსტე?

— აბა, დაუკვირდით თქვენ მიერ შექმნილ ქალს! თეთრ კაბაში კოხტად გახვეული, მოშორებით დამდგარა და ამაყად თავაღებული გულგრილად შეჰყურებს ახალგაზრდა კაცს. ვაჟიც თითქო გრძნობს ამას და ვერ ბედავს მიუახლოვდეს საყვარელ ქალს.

— იქ, სადაც თქვენ გულგრილობას ხედავთ, არის ქალური კდემამოსილება და თავდაჭერა, — გიპასუხე დამცინავი ღიმილით.

— თქვენსა და ამ სურათს შორის დიდი მსგავსებაა. თქვენი თვალებიც ისე ცივად და ამაყად გამოიყურება, და მთელი თქვენი არსება ისეთი შორეული და მიუკარებელია, როგორც ამ სურათში. მაგრამ თქვენ ხომ არ გიკვირთ, რომ თითქმის უცნობი, ამდენს გიბედავთ?

— არა, მე მომწონს თქვენი სითამამე, განაგრძეთ.

— შეიძლება ერთი რამ გკითხოთ?

— ბრძანეთ.

— გყვარებიათ ვინმე?

— იმ აზრით, რა აზრითაც თქვენ ამბობთ, არავინ. მე მყავს ქმარი, რომელიც ჩემი დიდი,მეგობარია, მაგრამ...

— ცოლ-ქმარს შორის მეგობრობა მხოლოდ მაშინ არის საქები, თუ ეს მეგობრობა სიყვარულიდან გამომდინარეობს.

— მე მიყვარს ის.

— მჯერა, მაგრამ ასეთი სიყვარული იმდენად მკრთალი და ჩვეულებრივია, რომ ვერ გამოიწვევს აღმაფრენას. ჩემი აზრით, თუ თვით ხელოვანს რაიმე გრძნობა ღრმად არ უგრძვნია და ძლიერად არ განუცდია, მას კარგად ვერასოდეს ასახავს და ბუნებ-

რიობის ნაცვლად კარიკატურა გამოვა. თქვენ უნდა შეიყვაროთ ვინმე, თუ გინდათ, უფრო ძლიერი და ნიჭიერი გახდეთ.

— სამწუხაროდ, თქვენი რჩევა ჩემთვის მიუღებელია.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ჩემი მზეჭაბუკი, ჩემი ოცნების გმირი, ჯერ არ შობილა. თქვენ მართალი ხართ, ხელოვანი უნდა იცნობდეს ყველაგვარ განცდას და მეტადრე კი სიყვარულს. მჯერა, რომ დანტეს ბეატრიჩემ დააწერინა თავისი „ღვთაებრივი კომედია“, შოთას კი უკვდავ „ვეფხისტყაოსანს“ თამარი შთააგონებდა. სიყვარული აგვამაღლებსო. დიახ, სიყვარული აამაღლებს ყველა ფაქიზი გრძნობისა და ნაზი სულის ადამიანს. არ უარვყოფ და ვამბობ, რომ ლამაზია ეს განცდა, მაგრამ საქმე ისაა, ვინ როგორ შეხედავს ამ გრძნობას და როგორ გამოიყენებს მას. თუ სიყვარულში მხეცი მოერია ადამიანს, მაშინ იქ არც სილამაზე შეიძლება იყოს და არც შემოქმედება.

— რას მოითხოვთ თქვენი ოცნების გმირისაგან?

— გულწრფელ სიყვარულს, რაინდულ თავდადებას, თანაგრძნობას და მეგობრობას, მაგრამ სამაგიეროდ ის არ უნდა თხოულობდეს ჩემგან ფიზიკურ სიახლოვეს. ჭეშმარიტ სიყვარულს ვნებიანობა არ ახასიათებს და სიყვარულის ნაზი ფერიაც ტოვებს იმ ადამიანს, რომელიც მახინჯი ვნებიანობით შეურაცხყოფს მის სიწმინდეს.

— ასეთი შეყვარება შეიძლება მხოლოდ ხელოვანი ქალისა. უეჭველად იშვიათი იქნება ამგვარი მოვლენა, მაგრამ არიან იშვიათი სანახაობის მოყვარული ადამიანებიც.

— მერედა თქვენ არ დასცინებთ ასეთ ადამიანს?

— პირიქით.

— მაშ, მომეცით ხელი, მე ვეძებდი ასეთ ადამიანს, ველოდი მას, მე თქვენ... შეგიყვარებთ.

— აჰ! — წამოიძახე შენ და სკამიდან წამოიჭერ.

— დაიცათ, ყმაწვილო, თქვენ დაგავიწყდათ, თუ როგორ სიყვარულზე ვლაპარაკობდით ჩვენ?

— არა, მაგრამ ჩემთვის ესეც დიდი ბედნიერებაა. თქვენ ანგელოზივით შეგიღიათ ცხოვრების კარი და გულუბრყვილო ბავშვივით ეძიებთ სიწმინდეს, ეძიებთ სილამაზეს და მშვენიერებას. — მითხარი ეს და ჩემი ხელი გულზე მიიკარ. შენს შავ ანთებულ

თვალებში ვნება ცეცხლის ნაპერწკლებად დაიმსხვრა და ამ ნაპერწკლებმა დასწვა ჩემი თვალები.

— მე არ მომწონს თქვენი თვალები, თამაზ! — წარმოვთქვი წყენით და ხელი გამოგტაცე.

— რატომ, ძვირფასო?

— თქვენ ვერ შეძლებთ ჩემს მეგობრობას.

— მე, მხოლოდ მე შემიძლია გავადნო ყინული, რომელიც გბოჭავთ თქვენ. მე უნდა დავანთო მაგ თვალებში ისეთივე კოცონი, როგორიც ახლა ჩემში ანთია, მაგრამ ეს არ უნდა გაშინებდეთ, ლიანა. მე იმდენად შორს ვიქნები თქვენგან, იმდენად შორს. რომ არასოდეს შეურაცხგყოფთ უხეში შეხებით. გჯერათ ჩემი, ლიანა?..

— მე მინდა, მჯეროდეს თქვენი, თამაზ!

— ახლა კი ნახვამდის, ძვირფასო, ჩვენ ისევ შევხვდებით ერთმანეთს, — წარმოთქვი ეს და გამომემშვიდობე, კარამდე მიგყევი. შენ ისევ მობრუნდი. თვალებით რაღაც მანიშნე, უცნაურად გაიღიმე, და... წახვედი.

დაბრუნდი ჩემს ოთახში, ბუხრის წინ დავჯექი და ხმელ შეშაზე მოდებულ ალს მივაცქერდი... მეც ასეთივე ცეცხლი მომკიდებოდა.

II

გავიდა ერთი წელი. შემთხვევით იმ ქალაქში მომიხდა ცხოვრება. სადაც შენ მსახურობდი და თითქმის ყოველდღე შემოდიოდი ჩემთან. შემოგქონდა წიგნები, გაზეთები, ახალი ჟურნალები და ჩვენც მოთხოვნილებად გადაგვექცა ერთად ყოფნა, მსჯელობა და ხან... ჩხუბიც კი. არ მომწონდა შენი თავისუფალი აზრები და ხანდახან ისე გამწვავდებოდა ჩვენი კამათი, რომ ორივენი დავიღლებოდით, დავიღლებოდით და ბავშვებივით ვიბუტებოდით. მერიდებოდი, მაგრამ შენში ხანდახან ისე ძლიერად იფეთქებდა სიყვარული, რომ მე კაკანათში დაჭერილი ჩიტივით მათრთოლებდა. ვხედავდი, რომ ჩვენი მეგობრობა სხვადასხვაგვარ ხასიათს იღებდა და ამის შეგნება საშინლად მტანჯავდა. დღითი დღე ვგრძნობდი, რომ ეს გრძნობა თანდათან იმორჩილებდა ჩემს ფიქრს და გულის-

თქმას. აი, ახლაც ჩემს ოთახში ზიხარ და მხიარულად ლაპარაკობ მოსალოდნელ მოგზაურობაზე. აჭარაში აპირებ წასვლას, ძველი საქართველოს ნანგრევებისა და ნაშთების დასათვალიერებლად და რომ იქიდან ბევრ საინტერესო რამეს ჩამოიტან.

— რამდენ ხანს დარჩები იქ?

— ოცს ან ოცდახუთ დღეს, რა, ბევრია?

— ბევრია, ძალიან ბევრი.

— ჭირვეულო ბავშვო, როცა აქა ვარ, მტუქსავ, მიჯავრდები, რამდენჯერ გითქვამს: წადი, თავი მომაბეზრე ლაპარაკითო და ახლა, როცა რამდენიმე დღით გშორდები, უკმაყოფილოდ თვალებს ხრი და შენი ტუჩებიც ღიმილით აღარ მაცილებენ.

— მე მუდამ ასეთი ვარ, თამაზ.

— არა ხარ ასეთი, არა ხარ და მეც იმდენად დიდი ეგოისტი ვარ, რომ საშინლად მახარებს ეს. მე დავბრუნდები ჩქარა, მაგრამ ჩემი აქ არყოფნის დროს მხოლოდ ჩემზე უნდა იფიქრო.

— ეს არ არის საჭირო.

— რა არ არის საჭირო, ლიანა?

— შენზე ფიქრი.

— რატომ?

— იმიტომ, რომ...

— არაფერი რომ... მე ვიცი, იფიქრებ ჩემზე და იფიქრებ დილით, შუადღით, საღამოთი, იფიქრებ სულ, სულ...

— თუ მეტი არაფერი საქმე მექნა... ხომ იცი, მინდა დავამთავრო ჩემი ახალი სურათი.

— რომლის ნახვის ნებას არ მაძლევ და ამისათვის მუდამ იკეტები სამუშაო ოთახში. რად ჯიუტობ? ხომ უნდა ვნახო, როცა იქნება?

— ნახავ, როცა დავამთავრებ.

— კარგი, უნდა დავიცადო, მეტი რა გზა მაქვს, შენ კი აი, ამ ოქროს ნივთს გიტოვებ. იგი ჩემთვის ძვირფასია და არ მინდა თან წავიღო. შეინახე, გაუფრთხილდი, თან დააკვირდი, რა არის მასში ორიგინალური და არაჩვეულებრივი, — ამ სიტყვებით მაჯის ოქროს საათი მაგიდაზე დადე, ნერვიულად ხელზე რამდენიმეჯერ მაკოცე, თვალებში ჩამხედე და წახვედი.

კარი მივიხურე, ტუალეტის მაგიდას გავუარე და სარკეში

გამომკრთალ ჩემს სახეს ახალი გამომეტყველება შევამჩნიე. თვალებში ფიქრთან შერეული ნაღველი ჩაწოლილიყო და შუბლზეც ორი ნაოჭი მოსალოდნელ საშიშროებაზე ღაღადებდა. შევბრუნდი, ზანტად ლოგინზე ჩამოვჯექი და წიგნს ფურცვლა დავუწყე, მაგრამ კითხვა ვერ შევძელი. უეცრად ჩემი ხელი შენ მიერ დატოვებულ საათს მოხვდა და უნებურად შევკრთი. ავიღე, გადავატრიალე და ფირფიტაზე წარწერა დავინახე: ზევით — „ლიანა", ქვევით — დღე და რიცხვი ჩვენი პირველი შეხვედრისა. სხვა ვერაფერი აღმოვაჩინე მასში და, ალბათ, შენც ამ წარწერას გულისხმობდი, როცა ამბობდი: ორიგინალური და არაჩვეულებრივიო. მე მხოლოდ ერთი რამე მაკვირვებდა: თვითეული მისი შეხება ჩემში უჩვეულო თრთოლას იწვევდა. ასე მეგონა, ცოცხალსა და სულიერ საგანს ვეხებოდი. სული შემეხუთა, კარი გამოვაღე და ბაღში სასეირნოდ წავედი. ნაცნობ-მეგობრებს გვერდი ავუხვიე, მყუდრო კუთხე მოვძებნე და სკამზე ჩამოვჯექი. მუსიკამ რაღაც სევდიანი ჰანგი დაუკრა და ოცნების მსუბუქმა ფრთებმა ჩემი ფიქრები წარსულისაკენ გადასტყორცნა. მომაგონდა ბავშვობა, დედისა და მამის ალერსი, სკოლა, ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლა, იმედების გაცრუება, სულიერი მარტოობა და თვალი ცრემლით ამევსო. დავღონდი... იმ ზღვა ხალხში ჩემი თავი ეულად, კენტად ვიგრძენი და წამოვდექი. ცოტა ხანს კიდევ დავუგდე ყური ნიავის საუბარს და ნელი ნაბიჯით შინ გამოვწიე.

ოთახში მთვარის სხივებს ფანტასტიკური სურათები გაებნია და სარკეშიც საოცნებოდ გამოკიდებულიყო იასამნის დატვირთული ტოტები, რომელიც ფანჯარასთან ახლოს, ბაღში ჰყვაოდა. შევჩერდი, ღრმად შევისუნთქე ფანჯრიდან შემოჭრილი გაზაფხულის ჰაერი. ტანთ გავიხადე და ის იყო, უნდა დავწოლილიყავ, რომ სახეზე სიწითლემ ამკრა და შიშველი მკერდი ხელებით დავიფარე. ასე მეგონა, ოთახში ჩვმს გარდა კიდევ ვიღაც იყო, რომელიც თვალს ადევნებდა თვითეულ ჩემს მოძრაობას. ასეთი ფიქრი სისულელედ მეჩვენა, საჩქაროდ ლოგინში ჩავწექი და გვერდზე გადაბრუნებულმა კვლავ შევნიშნე საათი, რომელიც მაგიდაზე იდო...

გამოურკვეველმა გრძნობამ ბურანში ჩამაგდო და როცა ჩამეძინა, სიზმარში ვხედავდი მაღალ მთებს, ნაძვ-ფიჭვნართა ტყეს, მოჩქრიალე ნაკადულებს, შავგვრემან ყმაწვილს და საათს... შენს საათს...

III

— აი, შენი საათი, წადით ახლა და მოგშორდით ორივენი, — გითხარი მოგზაურობიდან დაბრუნებულს.

— რა ამბავია? ჩემმა საათმა ხომ არაფერი აწყენინა ლიანას?! — მხიარულად წარმოთქვი შენ და დივანზე მოიკალათე.

— მაწყენინა, დიახ, მაწყენინა. უთუოდ დაუბარე მას, რომ ჩემი ოთახი აევსო ფანტასტიკური სურათებით, ჩემი გული კი ამოუცნობი სურვილებით. ამ ოცი დღის განმავლობაში თავის დაუსრულებელი ტიკტიკით, გამუდმებით მიამბობდა შენი წარსული ცხოვრების თავგადასავალს. ახლაც განაგრძობს ბაასს, რითაც მიკარგავს მოსვენებას, გთხოვ, რაც შეიძლება ჩქარა მომაშორო თავიდან.

— ამიერიდან მე და ეს საათი ყოველდღე ვივლით აქ და არასოდეს არ მოგშორდებით, არასოდეს.

— ვთქვათ, რომ მე არ მოგეცით ამის ნება?

— მე ნებას არც ვთხოულობ. უსიტყვოდ შემოვალ, უსიტყვოდ მოგესალმები და უსიტყვოდვე დავუწყებ ცქერას თვითეულ შენს მოძრაობას, სახის გამომეტყველებას.

— რას გაიგებ მერე მაგით?

— გავიგებ, თუ საით მიისწრაფვის შენი სული, საითკენ მიილტვის შენი ფიქრი, ვინ გიყვარს, ან... ვის შეიყვარებ.

— არავინ მიყვარს, არავის შევიყვარებ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ჩემი მზეჭაბუკი ცხრათავიან დევებს შებრძოლებია და ჯერ ჩემამდის ვერ მოულწევია. შენ ხომ არ გწყინს ეს, თამაზ?

— არა, მაგრამ მაინც მინდა გკითხო: ვინა ვარ მე? რას ფიქრობ ჩემზე?

— შენ მხოლოდ მამაკაცი ხარ, თამაზ. და ეს მამაკაცური მდაბალი ვნებანი ისე გიბოჭავს სულს, რომ ის მიწას ვერ მოშორდება.

— შენ მამაკაცში მეგობარს დაეძებ და მისი მამაკაცური ბუნება კი გაშინებს. ნუთუ მართლა გაგიტაცებს ისეთი ვინმე, რომელშიც არც ვნებაა და არც ენერგია.

— ყოველგვარი არანორმალურობა საბრალო და საზიზღარია და ასეთი ადამიანი უეჭველად მოსაწყენი იქნებოდა. მე ვისურვებდი, რომ ჩემს მეგობარში მამაკაცურ ბუნებასთან ერთად ვხე-

დავდე კეთილშობილურ განცდებს, მაღალ მისწრაფებებს, ძლიერ სულს.

— ამ ერთი წლის განმავლობაში არ ყოფილა არც ერთი წამი, რომ ცუდად მოგქცეოდე, ან რაიმე შეურაცხყოფა მომეყენებინოს. თუ გახსოვს რაიმე, მომაგონე მაინც, შენ ვერც კი გრძნობ, როგორ შეურაცხმყოფენ ასეთი სიტყვები.

— არა, თამაზ, ცუდად არასოდეს არ მომქცევიხარ, პირიქით, შუდამ თავაზიანი, კეთილი და ზრდილი იყავი, მაგრამ...

— განაგრძე, მინდა ვიცოდე, რა იმალება ამ „მაგრამის" იქით.

— შენ არასოდეს განგიცდია ჩემი სევდა, არასოდეს ჩაგიხედავს ჩემს სულში და არ გაგიგია, რა ხდება იქ. რამდენჯერ სულიერი მარტოობისაგან შეწუხებულს, ცხარე ცრემლი დამიღვრია, რამდენჯერ ავტირებულვარ მშრალი თვალებით, მაგრამ შენ არც კი გიგრძვნია. ნამდვილი მეგობარი გუმანით ჩასწვდება მეგობრის სულს, შეისწავლის მის შინაგან მღელვარებას და შეეცდება შეუმსუბუქოს ტვირთი.

— და თუ მე არ ვიცი მიზეზი მისი სევდისა, თუ არ გამანდობს, რა აწუხებს მას?

— ამის საპასუხოდ ერთ ამბავს მოგიყვები. მე მყავდა ერთი ახლობელი ნათესავი, გოგი N-ი, პეტროგრადის უნივერსიტეტის სტუდენტი. იშვიათი პიროვნება იყო და მეც მთელი ჩემი არსებით მიყვარდა ეს კაცი. ერთ დღეს მოულოდნელად მესტუმრა ორი კვირით, და გამომიცხადა, რომ რამდენიმე თვის შემდეგ ჯვარს იწერდა ჩემი სკოლის ერთ-ერთ ამხანაგზე, მარიანა N-ზე. მე საშინლად გამახარა როგორც მისმა სტუმრობამ, ისე ამ ამბავმა. სამი დღე ჩინებულად გავატარეთ, მაგრამ აი, გათენდა მეოთხე დღე და დილაადრიან ჩემს ოთახში სამგზავროდ მორთული და ძალზე გაფითრებული გოგი შემორბის. ჩემს შეკითხვაზე: რა მოგვიდა, ან სად მიდიხარ ასე ადრე-მეთქი, მიპასუხა: წუხელის რამდენიმეჯერ მომეჩვენა მარიანა სისხლში მოსვრილი და მომაკვდავი, მე უნდა წავიდე, იქნება ვუშველო რამეო. სამი დღის შემდეგ გოგისაგან ვღებულობ შემდეგი შინაარსის ბარათს: „მარიანას აღმოაჩნდა პარტახტიანი ტიფის ნიშნები, მოწვეული მყავს საუკეთესო ექიმები, თუ დავიხსენი სიკვდილისაგან, გეწვევით ორივენი, თუ არადა, მეც მკვდარი მიგულე". საშინლად შემაწუხა ამ ამბავმა და შეორე დღეს მეც მათთან ვიყავი. სიკვდილის ფერი დაედო გოგის,

როდესაც მოულოდნელად ავადმყოფის ლოგინთან დამინახა. ძალით გამიყვანა მეორე ოთახში და მთხოვა, საჩქაროდ დამეტოვებინა ეს ბინა. მაგრამ ჩემზე არც შიშმა გასჭრა და არც მუქარამ. მე ვხედავდი, რომ ავადმყოფის მდგომარეობა უარესდებოდა და მეშინოდა, გოგის არაფერი აეტეხა თავისთვის. რამდენჯერ ბავშვივით ატირებულა ჩემს კალთაში და მეც არ ვიცოდი, როგორ მენუგეშებინა საბრალო. ასეთ სულიერ ღელვაში გაიარა კარგა ხანმა. ავადმყოფს უეცრად სიცხე დაუვარდა, პირიც სიცოცხლისაკენ იბრუნა და ჩვენ, რამდენიმე კვირის შემდეგ, სამივენი დავუბრუნდით ჩემს სოფელს. ერთი თვე დარჩნენ ჩემთან და მე მაშინ ვიგრძენი რა დიდი ბედნიერებაა, გიყვარდეს და იყო შეყვარებული, საკმარისი იყო სულ პაწია ჩრდილი მარიანას თვალებში, რომ ის გოგისაც გადასდებოდა. იმ დროს, როდესაც მარიანა ავად გახდა, გოგისა და მას შორის ასეული ვერსი იყო, მაგრამ მეგობრის გულმა მაინც იგრძნო განსაცდელი. მე კი ასე ახლოს ვდგავარ შენ წინ, ვდგავარ ჩემი სევდითა და მწუხარებით და ვერ დაგინახავს ის. რამდენჯერ მიძებნია შენს თვალებში თანაგრძნობა, ნაზი თანაგრძნობა, მაგრამ გარდა ჟინიანი მამაკაცისა და გამძაფრებული ვნებისა, იქ არაფერი შემინიშნავს.

— მეოცე საუკუნეში სენტიმენტალური განცდები ქალებსაც არ ეპატიება, მე უნდა ვაღიარო, რომ ბავშვურად ატირება არ მეხერხება.

— ეს გრძნობათა სისუსტით აიხსნება.

— ცხოვრების უმაღლეს მწვერვალებს იმიტომ ჩამოვწყდი, შენი მოხეტიალე სული ამეგლიჯა დედამიწისათვის და ძვირფასი ძღვენით ისევ დავბრუნდებოდი ჩემს სამფლობელოს. შენ კი ვერა მცნობ, ლიანა, ვერა მცნობ, — საყვედურით წარმოთქვი ეს და შენს თვალებში სევდის შავი სახეები აინაკვთა.

— თუ ეს ასეა, მე შენ გაგიცნობ.

— როდის? ერთი წელი უკვე გავიდა.

— მე ვთხოულობ კიდევ მეორე წელს.

— აჰ, კიდევ ერთი წელი. გრძელი, დაუსრულებელი წელი...

— რად გავიწყდება, თამაზ, ჩვენი გაცნობის პირველი დღე და ის აღთქმა, რომელიც მომეცი. წმინდა სიყვარული ასეთი ენით არ ლაპარაკობს.

— მე ვიცოდი, უამისოდ იმ ყრუ უდაბნოს ვერ მოგაგლეჯდი და

უნებურად შეგპირდი ისეთ რამეს, რაც არასდროს არ მწამებია, მე მინდოდა მოვსულიყავი შენთან, რაც შეიძლება ახლოს, გამომეწვია საპასუხო გრძნობა და...

— და დამარცხებული გეხილე. მაგრამ ჯერ არ დავმარცხებულვარ. წინ კიდევ ერთი წელია და ვნახოთ, რა მოხდება ამ ერთ წელიწადში. ახლა კი ნახვამდის, თამაზ.

— ერთი რამე უნდა გთხოვო, ლიანა, შენ უნდა მაჩუქო ეს შავი გიშერი.

— ეს ბებიაჩემის ნაჩუქარია და მეც ძალიან მიყვარს.

— მეც სწორედ იმისათვის მინდა, რომ შენ ის გიყვარს. რამდენჯერ დაგიმარცვლავს ეს ქვები მაგ ფერმკრთალი, ლამაზი თითებით. მაჩუქე ისინი, ლიანა. — ამ სიტყვებით გიშერი ხელიდან გამომართვი, სახეზე მიიკარ და დათალხული თვალებით ოთახიდან გახველ.

მე შემომესმა შენი ნელი ფეხის ხმა, ჯოხის კაკუნი ქუჩის ქვაფენილზე და ასე მეგონა, ჩემს არსებას შორდებოდა ვიღაც. მეტად ახლობელი; შორდებოდა რაღაც ნაწილი და ეს დაშორება მწვავე ტკივილებს იწვევდა ჩემს გულში, იმ გულში, რომელიც ახლა არაჩვეულებრივად ძგერდა და რომელსაც უცნაური განცდები მიაქანებდა სადღაც შორს, შორს. რა იყო ეს? ნუთუ მართლა ის კაცი იყავ, რომელსაც წლობით დავეძებდი? არ ვიცი... არ ვიცი...

IV

— ვისია ეს? — იკითხე უეცრად და ლურსმანზე ჩამოკიდებული ყაბალახი ეჭვით შეათვალიერე.

— ჩემი მეგობრის.

— ვინ არის შენი მეგობარი?

— ჩემი ქმარი.

— ის შენი მეგობარი ვერ იქნება.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მისი თავი ჟამთა მსვლელობას თოვლისფრად შეუფენია, შენ ჯერ კიდევ ცელქი ბავშვი ხარ. თქვენ ერთმანეთის არაფერი გაგეგებათ, მაგრამ ერთმანეთს ჩასჭიდებიხართ და არ შორდებით. ერთი მხრით, ახალგაზრდა ქალი, მხატვარი, ხელოვანი, პოეზიის ნამდვილი შვილი! მეორე მხრით კი უკვე დრომოჭმული

ადამიანი, აგრონომი, მუშა, რომელიც სულ მუდამ მიწას დაჰყურებს და მიწას ესაუბრება... მე არ ვიცი, რა გაქვთ საერთო.

— სცდები, თამაზ, ისე კარგად არავის ესმის ჩემი, როგორც არჩილს.

— არ შეიძლება ვიცოდე, რაში გამოიხატება ეს?

— სულიერი მარტოობის დროს, იმ დროს, როდესაც თავს უბედურად და ეულად ვგრძნობ, მივდივარ მასთან და ვეუბნები: ლიანა მოწყენილია, ლიანა მარტოობას განიცდის, ლიანა იტირებს, მოეფერე, დაამშვიდე, ანუგეშე, და ისიც მიალერსებს ისე, როგორც გზააბნეულსა და ავადმყოფ ბავშვს. მასში არის სულიერი სიფაქიზე, სინაზე და მეც პატივს ვცემ მას... საჭირო რომ იყოს, თავსაც კი გავწირავ მისთვის.

— არ შემიძლია დავიჯერო, რომ მასთან სრული ბედნიერი ხარ.

— მე არ ვამბობ ამას.

— რატომ? ხომ მადლიერი ხარ შენი ქმრის?

— რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ ჩვენი ასეთი დამოკიდებულების, მაგრამ მას მაინც არ შეუძლია ამოავსოს ჩემი გულის სიცარიელე, რომელსაც ვგრძნობ, არ შეუძლია მომცეს ის, რაც მაკლია.

— რა გაკლია?

— ჩემი ნახევარი. მე მჯერა, რომ შემოქმედმა შუა გაჰყო ადამიანი და თვითეული ნახევარი გამუდმებით ეძიებს მეორეს. მეც ვგრძნობ, რომ ვიღაცამ, თუ რაღაცამ შუა გამჭრა მე და ეს ნაჭრები აქეთ-იქით გადაისროლა. შევდივარ ბრბოში, ვუკვირდები თვითეულ ადამიანს, ვეძებ ჩემს მეორე სახეს, ვეძებ ჩემს ორეულს, მაგრამ ამაოდ, მე იგი ვერ მიპოვია.

— ის შენ წინ ზის, ლიანა! — წამოიძახე უეცარი გატაცებით და გიჟური თავდავიწყებით ჩემს ხელს დასწვდი.

— დაჩუმდი, თამაზ, ჯერ უნდა დაამტკიცო, რომ ეს ასეა.

— რა იქნება მაშინ, რომ დავამტკიცო?

— მაშინ... მაშინ მე მოვალ შენთან და ვიქნები შენი.

— როდის, ახ, როდის?

— როდესაც სრულიად დავრწმუნდები, რომ ჩვენი სხეული ერთი თიხიდან არის გამოქანდაკებული, და რომ ჩვენი სულები, ოდესღაც მთლიანი, ჩვენი ცხოვრების უდიდეს მხატვარს შუა გაუგლეჯია, ნახევარი შენში მოუთავსებია, ნახევარი ჩემში.

— შენ იგვიანებ, ლიანა, იგვიანებ; მე არ შემიძლია ლოდინი.

— არ შეგიძლია? წადი, ეს საუკეთესო დამამტკიცებელი იქნება იმისა, რომ ჩვენ ორივენი ვცდებოდით.

— არა, წასვლა არ ძალმიძს, მე ხომ მიყვარხარ, ლიანა, მიყვარხარ ისევ, რომ ამის გამოთქმა ვერც კი მომიხერხებია. შენი თვალები, ეს ღრმა და სევდიანი თვალები, რამდენი ხანია აწყაძებენ ჩემს სულს, შორიდან მინათებენ, შორიდან მხიბლავენ, მტანჯავენ, ძაგრამ მინდა, რომ ერთხელ მაინც მივიდე მათთან ახლოს. აი, ასე ახლოს და დაკვირვებით ჩავხედო მათ სიღრმეს.

ამ სიტყვებით ორივე ხელი თავზე მომხვიე და სახეში ჩამხედე, მაგრამ ხელები ისევ ჩქარა ჩამომაცალე და ათრთოლებული კედელს მიეკარ.

— რა მოხდა? — ვიკითხე უნებურად.

— ჩემი ხელები პირველად შეეხო შენს სახეს და ამან ჯოჯოხეთური სურვილები აღმიძრა. — ამ სიტყვებით უეცრად ჩამოიგლიჯე საყელოს ღილები და გიჟივით კარი გამოაღე. მე გხედავდი. ალვორი ბარბაცით მიდიოდი შემოდგომის მთვარითა და ელექტონით განათებულ ქვაფენილზე. მოწყენილი გავყურებდი შენს ფეხას და ჩემი სულიც თანდათან ეხვეოდა იმ დაწნულსა და დახლართულ რკალებში, რომელსაც ცხოვრების ამოცანა ეწოდება.

V

— დღეს გაჩვენებ ჩემს ახალ სურათს, — გითხარი და სამუშაო ოთახის კარი გავაღე. ახლად დამთავრებული სურათის წინ გაგაჩერე. გაოცებული შეჰყურებდი მას და დიდხანს ხმას არ იღებდი.

— „სიყვარულის ლოცვა“, აი, რა სახელი მიკიცია ამ სურათისათვის, რომელიც დიდი ხელოვანის სახელს შეგიქმნის. ნუ წითლდები. ეს ქება სრულიად დაიმსახურე. შენი ახალი ქალი თეთრი, მოქნილი ფერიაა, რომელიც ჩაჰკვრია საყვარელი მამაკაცის მკერდს და განუსაზღვრელი სასოებით თხზავს ლოცვას. სიყვარულის ტკბილსა და მარადიულ ლოცვას. დღეს შენც ასეთი ხარ, ლიანა, შენმა თვალებმა დაკარგეს ის ცივი, ამაყი გამომეტყველება, რომლითაც ოდესღაც კინაღამ გამყინე.

— ნუ მიცქერი აგრე შეგეევედრე ბავშვივით და ანთებულ თვალებზე ხელები აგაფარე

— მინდა შენი სახე ხსოვნაში აღვიბეჭდო და თან წავიღო.

— შეანელე შენს თვალებში ის ცეცხლი, რომელიც მწვავს.

— ძვირფასო, ამ წვაშიც ხომ არის სილამაზე, არის მშვენიერება.

— არა, წვაში ტკივილებია. მე კი სითბოს ვთხოულობ, მხოლოდ სითბოს.

— რა ვქნა, რომ... მაგიჟებს შენი სიახლოვე. ასე მგონია, ვერ გადავიტან ამ გრძნობას, ასე მგონია, მოვკვდები.

როცა ამ სიტყვებს ამბობდი, მთელი სხეულით თრთოდი და შენი თვალებიც განუსაზღვრელი ვედრებით შემყურებდნენ. უნებური შიში ვიგრძენი, ღია ფანჯარას მივუახლოვდი და შეეცადე დავმშვიდებულიყავ.

— აღთქმული ცადაც გაივლის და, ალბათ, გამოირკვევა სახე ჩვენი მომავალი დამოკიდებულებისა. მანამდის კი ნუ შემოდიხარ ჩემთან ხშირად, იკითხე წიგნები, გაერთე ამხანაგებში და ნუ იფიქრებ ჩემზე, — წარმოვთქვი დამრიგებლის ტონით.

— როგორ შემიძლია არ ვიფიქრო, როდესაც სრულიად დაიმორჩილე ჩემი სული და მთელი ჩემი არსება შენით არის სავსე, მხოლოდ შენით. მე მიტაცებს და მიზიდავს ყველაფერი ის, რაც მაგონებს შენს თავს. მე მიყვარს ის ქუჩა, რომელ ქუჩაზედაც ცხოვრობ, მიყვარს ის ეზო, რომელშიაც დადიხარ, მიყვარს და მიზიდავს ეს პატარა ოთახი, ეს პატარა, პატარა... ქალი...

— ჰო, მე დიდი ხანია ვგრძნობ, რომ შენ ჩემში მხოლოდ ქალს ხედავ, მხოლოდ ქალს ეძებ, — წარმოვთქვი წყენით.

— მითხარი, როგორი გინდა ვიყო და მეც ისეთი ვიქნები, მითხარი, რას თხოულობ ჩემგან.

— სულიერ სიმაღლეს, გრძნობის სიფაქიზეს და ადამიანობას, მე მინდა მეგობარი ვიპოვო შენში, მინდა ჩემი სულის მესაიდუმლე ვიპოვო და შემდეგ... შემდეგ შემეძლება გაპატიო მამაკაცური მიდრეკილებანიც. სადაც ჭეშმარიტი სიყვარულია, იქ სიყვარული უსწრებს ვნებას და არა ვნება — სიყვარულს. შენში კი ეს გადარეული, გაგიჟებული ვნება ფარავს, როგორც ადამიანს, ისე სიყვარულს. მე... მეშინია შენი.

— გეშინოდეს, ლიანა, ახლა, ამ წამში მე მართლა შემიძლია გავგიჟდე. — ამ სიტყვებით ორივე ხელები დამიჭირე და სახეზე მხურვალედ მიიკარ.

— ეს კიდევ რა ამბავია?

— მინდა აქ, გულში ჩაგისვა. სულ'მი მოგათავსო, მინდა, ჯიბით გატარო და არასოდეს მოგიშორო, არასოდეს. ოო, როგორი ლამაზი მეჩვენები ამ წუთ'ში, ლიანა! შენი თვალები ვარსკვლავებივით ციმციმებენ, ლოყებს ვარდისფერი აჰკვრია და ეს წითელი, ნახევრად გახსნილი ტუჩები კოცნის სურვილით თრთიან და ელავენ. შენ ჩემი უნდა გახდე, გესმის? ჩემი, — ჰითხარი ეს და უეცრად ხელი დამატანე, ჰაერში ბავშვივით ამიტაცე. შენმა გახურებულმა ტუჩებმა დასწვა ჩემი სახე და შენმა გაგიჟებულმა თავშეუკავებელმა ალერსმა სული შემიხუთა. უეცრად პატარა, მრგვალ მაგიდას გაეკარი და იქიდან გადმოვარდნილი ბროლის ვაზა იატაკზე ნამსხვრევებად დაზღვავდა. ამ ხმაურმა გონზე მოგიყვანა, ხელი გამიშვი და მძიმე ქშენით სავარძელში ჩაეშვი.

— რას სჩადიხარ? — შეგეკითხე ანთებული, განრისხებული სახით და გატეხილ შუშის ნამსხვრევებს ისე მაგრად მოვუჭირე ხელი, რომ თითებიდან წამოსულმა სისხლმა წითლად შეაჭრელა ჩემი თეთრი კაბის აყრილი ნაოჭები.

— გრძნობა მომერია და გონება დავკარგე. შენ უნდა მაპატიო ეს.

— არა, მე ვერ გაპატიებ ამ მოულოდნელ თავდასხმას. მე შენ მეჯავრები, მეჯავრები ასეთი ძღვრიე, წითელი თვალებით. მომშორდი! — აღშფოთებით წამოვიძახე და შუშის ნამსხვრევები, რომელიც ხელში მეჭირა, შენკენ გადმოვისროლე. აღარ მახსოვს, რ.ოგორ გახვედი ოთახიდან. მე დიდხანს ვერ ჩავაქრე ის ცეცხლი, რომელიც შენმა მოხვევამ მოსდო ჩემს არსებას. ვგრძნობდი გულის წყრომას, აღშფოთებას, ამავე დროს განვიცდიდი ჯერ არგანცდილ, უცნაურ გრძნობას და ვერ გამეგო მწუხარება იყო ეს. აღშფოთება. ბედნიერება, თუ... სამივე ერთად?!

VI

გაიარა ათმა დღემ და ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც აღარ შემოხვედი ჩემთან. ოთახიდან ყურს ვუგდებდი იმ ხალხის ფეხის ხმას, რომლებიც ამოდიოდნენ ჩემი სახლის აივანზე, მაგრამ მათში ვერ ვცნობდი შენს ნაბიჯს. მოუსვენრობამ შემიპყრო და ჩემი დღიურის ფურცლები სევდის შავმა ნაგლეჯმა ააჭრელა. მომწყინდა, სიცარიელე ვიგრძენ და დავფიქრდი, მწარედ დავფიქრდი. მხო—

ლოდ ახლა ბევხვდი, რომ შევჩვეულიყავ შენს სიახლოვეს და უშენობა არ შეძეძლო. მომაგოხდა ჩემი უკანასკნელი სიტყვები, ჩემ მიერ ისე სასტიკად წამოსროლილი, და სინანულმა შემიპყრო. ზეზე წამოვიქერ, გადავწყვიტე, წამოვსულიყავ, მომენახე და მეთქვა, რომ მე ყველაფერი გაპატიე, რომ მე შენ... მიყვარდი. მაგრამ ამ დროს შემომესმა იატაკზე მძლავრი ჯოხის დაკვრა, ჩქარი ფეხის ხმა და კარზე კაკუნი. გახარებული მივვარდი კარს და ორივე ხელი აღტაცებით გამოგიწოდე, უხმოდ აკოცე ჩემს ხელებს, უხმოდ მიხვედი მაგიდასთან სრულიად დამშვიდებული, თითქმის გარინდებული და რაღაც წიგნს ფურცვლა დაუწყე.

— თქვენ გამოცვლილხართ, ყმაწვილო.

— მართალია.

— რატომ აქამდე არ შემოხვედით ჩემთან?

— ვერიდებოდი ახალ შეურაცხყოფას.

— რა არის ეს? საყვედური?

— როგორც გინდათ, ისე მიიღეთ. ამას გარდა ყველაფერს აქვს დასასრული. მე მიყვარდით, მაგრამ ეს გრძნობა თქვენ თვითონ მოჰკალით ჩემში.

— მეტად უსუსური ყოფილა თქვენი სიყვარული, თუ ასე ჩქარა მოკვდა.

— მხოლოდ ფიზიკურად არანორმალურ ადამიანს შეუძლია ისე აწამოს ადამიანი, როგორც თქვენ მაწამებდით. ამ ორი წლის განმავლობაში ყოველდღიურად ცდილობდით გაგეღვიძებიათ ჩემში ვნება და, როცა მიზანს მიაღწიეთ, ზიზღით ვარზე მიმითითეთ. როგორ ფიქრობთ, სად უნდა წავსულიყავ მე ამის შემდეგ?

— სადაც მიდის უმეტესი ნაწილი გარყვნილი მამაკაცებისა.

— ლიანა! — აღშფოთებით წამოიძახე შენ და ,თვალებიდან ჭრისხანების ნაპერწკლები გადმოჰყარე.

— რა გნებავთ? — გამოგეპასუხე ამაყად.

— თქვენ გგონიათ, როგორც უნდა მოიქცეთ და რაც უნდა თქვათ, ყველაფერი გეპატიებათ! მაშ, იცოდეთ, რომ იმ დღეს მე პირდაპირ წავედი იმ ქალთან, რომელსაც მართლა ვუყვარვარ და, რომელსაც არ აშინებს ჩემი სიახლოვე.

— სასიამოვნოა, მომილოცავს!

— სასიამოვნოა თუ არა, ეს ჩემთვის სულ ერთია. მართლაც არ ვყოფილვართ ერთმანეთისათვის შექმნილი, რომ ამდენ ხანს

ერთმანეთი ვერ გვიცვნია. შენ გყავს ქმარი, რომელსაც პატივს სცემ და რომელიც გიყვარს და მე... ალბათ, მეც ვიპოვი ისეთ ვინმეს, რომელიც უფრო კარგად გამიგებს და დამაფასებს. მშვიდობით, ლიანა, მართალია, ცუდად მომექეცი; მაგრამ შენი დავიწყება მაინც არ ძალმიძს. — ამ სიტყვებით მაგიდაზე დადე წერილი. რომელიც მე გამოგიგზავნე, კედელს ზურგით მიეყრდნე და სახეში დაჟინებით ცქერა დამიწყე.

— ეს არის სულ? — ვიკითხე ყრუდ და რაღაც უცნაური სიცივე ვიგრძენ, რომელიც შუშასავით დაიფშვნა ჩემს სხეულში. თანდათანობით მიცურდა გულთან და იქ გაიყინა. გაფითრებულმა წერილი ნაკუწ-ნაკუწად ვაქციე, იატაკზე დავყარე და ფანქრით ქაღალდზე უაზროდ მოვყევი სახეების ხატვას. შენ კი კვლავ მიცქერდი და გეტყობოდა ეძებდი ჩემს თვალებში ცრემლს, სასოწარკვეთილებას.

გული მომივიდა, გაანჩხლებული ზეზე წამოვიჭერ და კარზე მიგითითე. ნელა მოშორდი კედელს, რამდენიმე ნაბიჯი წამოდგი და ჩემ წინ თავდახრილი შეჩერდი.

— რას უდგახართ აქ? ან რას უყურებთ? ელით ჩემს ცრემლს, ჩემს დამცირებას? ეს არ იქნება! ხომ ხედავთ, ჩემი თვალები მშრალია, გული კი დამშვიდებული. მე სრულიად ვემორჩილები თქვენს ბრძნულ გადაწყვეტილებას. წაბრძანდით.

უეცრად შენს თვალებში რაღაც შუქმა იელვა და მე ვერც კი მოვასწარ შემეხედა შენი სახისათვის, რომ ზურგი შემაქციე და კარი საჩქაროდ გაიხურე. უაზროდ განვაგრძობდი ერთ ადგილას ყოფნას და ერთადერთი ადამიანი, რომლის სიახლოვეც იმ წამს მინდოდა, იყო დედა, დედა, რომლის სიყვარულში ღრმად ვიყავი დარწმუნებული და რომლის გარდა მე ყველა ცბიერად და მატყუარად მეჩვენებოდა. რას არ შევწირავდი, რომ იმ წუთს საშუალება მქონოდა თავი ჩამედო დედაჩემის კალთაში და იქ გამომეტირა როგორც ჩემი უბედური ახალგაზრდობა, ისე ჩემი სიყვარულის გადამწვარი ყვავილი, რომლის ნაფერფლებს ბედის გრიგალი მარადისობის უფსკრულისაკენ მიაქანებდა.

VII

ზლაბვნით გაიარა ოცმა დღემ. ამ ხნის განმავლობაში დღისით ეუბნეჩი მოლბერტს და ღამით კი ვკითხულობდი წიგნებს, ამ

ერთადერთ ჩემს მეგობრებს, რათა არც ერთი წამი აღარ მეფიქრა შენზე. მე გადავმალე ის ღია ბარათები, რომლებიც სავსე იყო წარწერებით. გადავმალე ის ალბომი, რომელიც მაჩუქე. დავწვი ის სონეტი, რომელიც ჩემთვის დაწერე და განწირული სულისკვეთებით შევეცადე, შენი სახე სრულიად ამომეშალა ჩემი გულიდან და შენი სახელიც დავიწყებისათვის მიმეცა. მე შევებრძოლე ჩემს უნებურად აღძრულ გრძნობას და ამით შევანელე იგი, მაგრამ კიგრძენ, რომ დავიქანცე, დავსუსტდი.

ერთ საღამოს ჩემთან შემოვიდა ჩემი კარგი მეგობარი ვიქტორი.

— აა, ვიქტორ. როგორ დაგემართათ, რომ მოგაგონდით? — მივმართე მას.

— სულ გიგონებთ, მაგრამ, როგორც ვიცი, ეს თქვენთვის სულერთია, — იხუმრა ვიქტორმა.

— კარგია, რომ ხუმრობის ხასიათზე ხართ. იქნება თქვენმა ოხუნჯობამ გამართოს.

— უკაცრავად, მართალია მხატვარი ქალი ბრძანდებით, მაგრამ ხუმარას როლს თქვენთვისაც ვერ ვიკისრებ, ასეთი რამ არ შემშვენის. გთხოვთ, კარს ნუ ხურავთ, გარეთ ერთი უმაწვილი დგას, რომელიც, მგონი, არც კი ფიქრობს შემოსვლას. თამაზ! რა მოგივიდა, კაცო, ნუთუ ლიანა ისეთი საშიში ქალი შეიქნა, რომ ვერც კი გაგიბედნია ოთახში შემოსვლა.

შენ გაუბედავად მოადექი კარს და უხერხული ნაბიჯით მომიახლოვდი.

— თამაზს ხომ არ ემდურით? — შემეკითხა ვიქტორი, როცა დაინახა, რომ გულგრილად შეგხვდი და ხმა არ გაგეცი.

— არა, არ ვემდური, მობრძანდით, უმაწვილო, — წარმოვთქვი ცივად და სკამი მოგაწოდე.

მთელი საათი ვსაუბრობდი ვიქტორთან და ერთხელაც არ მომიხედია შენკენ. ვიქტორი ლაპარაკობდა პოლიტიკაზე, მხატვრობაზე, პოეზიაზე, უფრო ხშირად კი მოსამსახურე ხალხის უნუგეშო მდგომარეობაზე. ყოველივეზე ისეთი იუმორით მსჯელობდა, რომ მე უნებურად მეცინებოდა, შენ კი ჩუმად იჯექი და ხმას არ იღებდი.

— არ შეიძლება ვნახო თქვენი ახალი სურათი? თამაზი ამბობს, რომ შეუდარებელია, — მითხრა ბოლოს ვიქტორმა.

— სამწუხაროდ, თქვენ თხოვნას ვერ ვასრულებ: სოფელში გადასახლებას ვაპირებ და სურათები შეფუთულები მიწყვია.

— სოფელში მიდიხართ? რა მოხდა, რომ ასე მოულოდნელად გვტოვებთ?

— ჩემი საცხოვრებელი ბინა მუდამ სოფელი იყო. დროებით იმიტომ მივატოვე, მინდოდა მოვშორებოდი ყოველდღიურ ოჯახურ ფუსფუსს და მთლიანად მივცემოდი ჩემს საქმეს. მინდა იცოდეთ, რომ ძალიან კმაყოფილი ვარ. ამ ორი წლის განმავლობაში ბევრი რამ გავაკეთე, ბევრი რამ შევისწავლე, ბევრი რამ გამოვარკვიე.

— მიუხედავად ამისა, თქვენი სული მაინც იძირება მელანქოლიურ განცდებში და თქვენი თვალები — დათალხულ ფერებში.

— მელანქოლია ჩემი ბუნების თანდაყოლილი თვისებაა. და მეც ვგრძნობ, ვერასოდეს მოვიშორებ მას. შევეჩვიე კიდეც ჩემს ერთგულ თანამგზავრს.

— თორმეტი საათია, ვიქტორ. წავიდეთ. ლიანას დასვენება სჭირდება, — წარმოთქვი შენ და წამოდექი.

თქვენი წასვლის შემდეგ მე ერთ ხანს კიდევ ვიჯექი და სულ ვფიქრობდი, რა იყო მიზეზი შენი ჩემთან შემოსვლისა. ცნობისმოყვარეობა, თუ როგორ იმოქმედა ჩემზე ჩვენმა დაშორებამ, თუ გრძნობა სინანულისა ან... სიყვარულისა.

მეორე დღეს დაღონებული ვალაგებდი არეულ-დარეულ ნივთებსა და უსიხარულო ფიქრებს თავიდან ვერ ვიშორებდი, ამ დროს კარი გაიღო და ოთახში ჩემი ქმარი შემოვიდა. შევეგებე და, როცა მან ნაზი ალერსით თმაზე ხელი დამისვა, ცრემლი მომერია, გულზე თავი მივადე და ავტირდი. ბავშვივით ავტირდი.

— ლიანა, ჩემო პატარა მეგობარო, რა მოგვიდა, რად ტირი. ხომ არავინ გაწყენინა? ეგების შეურაცხგყო კიდეც, როგორ გამხდარხარ, როგორ გაცრეცილხარ? იქნება ავად იყავ და მე არ გამაგებინე? თქვი, ჩემო კარგო. რა მოგვიდა, თქვი! — მეუბნებოდა ის დაყვავებით და მშობლიური ალერსით.

— კარგი, არჩილ, ვიტყვი ყველაფერს, თუ არ გამიწყრები.

— არა, ბავშვო. განა გაგწყრომივარ ოდესმე? ხომ იცი, რომ ეს არ მეხერხება.

— ჰო, ვიცი რომ გიყვარვარ. მანებივრებ და ყველაფერსაც მაპატიებ. შენ კარგი ხარ, კეთილი და მეც დაუფარავად მოგიყვები ყველაფერს. — ამ სიტყვებით მის ფეხებთან დაბალ სკამზე ჩამოვ-

ჯექ და დაწვრილებით ვუამბე, რაც მოხდა, რაც ითქვა ჩვენ შორის, დღიდან გაცნობისა.

— როგორც ხედავ, არჩილ, მე მზად ვიყავ დამეტოვებინე შენ, შენ ჩემი ასეთი დიდი და კარგი მეგობარი და მეც ვგრძნობ ჩემს დანაშაულს. — წარმოვთქვი ეს, დამნაშავე ბავშვივით ავხედე და მის ხელს ალერსით ხელი დავადე.

არჩილი მისმენდა დინჯად, დამშვიდებული, ჩემი ლაპარაკის დროს მის სახეზე ერთი კუნთიც კი არ შენძრეულა.

— აი, როგორი სახიფათოა შენი მიტოვება, ლიანა, რასაკვირველია. მე არ უნდა გისაყვედურო. მესმის, რომ ჩემთან მოწყენილი ხარ და ეძებ ამხანაგს, ტოლს. იმ დროს, როდესაც შენზე ჯვარი დავიწერე, არცთუ ისე კარგად გიცნობდი და შენში მხოლოდ ქალს დავეძებდი. მაგრამ შემდეგ შემიყვარდი, ლიანა, შემიყვარდი და ცოლის ნაცვლად ბავშვად გადამექეცი. სამწუხაროდ, გვიან გავიგე, რომ შენი და შენი მშობლების თანხმობა შიშმა გამოიწვია, გავიგე, რომ თქვენი სოფლის ერთი თავზე ხელაღებული ბიჭი მოტაცებას გემუქრებოდა და საშიშროების თავიდან ასაცილებლად სიხარულით შეეგებეთ ჩემს წინადადებას.

— არცთუ იმდენი სიხარული ყოფილა, არჩილ, მაგრამ როცა საქმე არჩევანზე მიდგა, იმ ბიჭს შენ გარჩიე.

— ჩვენ ორივენი, ასეა თუ ისე, დამნაშავენი ვართ, რომ ერთმანეთს დავუკავშირდით, მაგრამ დღეს მზადა ვარ, მარტო მე ვზიდო ამ შეცდომის სიმძიმე და შენი ბედნიერებისათვის დაგთმოკიდეც. მაგრამ მე მხოლოდ ისეთ ვინმეს დავუთმობ შენს თავს, რომელიც მართლა ბედნიერებას მოგანიჭებს. ის კაცი კი ვერ ყოფილა ასეთი და შენც უნდა დაივიწყო, დაივიწყებ, ლიანა? — შემეკითხა არჩილი და თავზე ალერსით ხელი გადამისვა.

— დავივიწყებ, უსათუოდ დავივიწყებ, მაგრამ ახლა ერთი თხოვნა უნდა შემისრულო, ხვალ ისევ უნდა ჩამოხვიდე და ჩემი ბარგით სოფელში გადამიყვანო.

— სიამოვნებით შევასრულებ ამ თხოვნას. ჩვენს დიდ სახლში შენ შემოგაქვს სიცოცხლე, სიხარული. მოუთმენლად ველოდით შენს დაბრუნებას. ახლა კი ნახვამდის, ჩემო ბავშვო, ხვალამდის ნუ მოიწყენ. — მითხრა მან, შუბლზე მაკოცა და ოთახიდან გავიდა. ფანჯრიდან თვალი მოვკარ მის ცხენს, თოხარიკით რომ მიჰქროდა მტვრიან შარაზე და განუსაზღვრელი მადლობა ვიგრძენი არჩილის

მიმართ. დარწმუნებული ვიყავ, მისი სიახლოვე და სოფელი დამავიწყებდა ჩემს დარდს და თუ ბედნიერებას არა, კმაყოფილებას მაინც მაგრძნობინებდა.

VIII

ჩემი ოთახი დაცარიელებული იყო. ბარგი შეკრული მქონდა, მეც აივანზე ვიჯექი, რომ ერთმა უცნობმა ყმაწვილმა შენი წერილი გადმომცა: მატყობინებდი, ავად იყავი. საქმე გქონდა ჩემთან და მთხოვდი, მენახე, მენახე რამდენიმე წამით მაინც. არ მჯეროდა შენი ავადმყოფობა. ვფიქრობდი, გსურდა კვლავ აგეფორიაქებინე და დაწყვეტილი ნერვებით გაგესტუმრებინე სოფელში. გადავწყვიტე არ მოვსულიყავი. წერილი ნერვიულად დავჭმუჭნე და ისევ სკამზე დავეშვი.

— ქალბატონო, თამაზი მართლა ავად არის და თქვენს ნახვას თხოულობს, გადავცემ, რომ მობრძანდებით, — მომესმა ხმა იმ ყმაწვილის, რომელმაც წერილი გადმომცა.

„მივალ და გავიგებ რა უნდა. ვთხოვ, თავი დამანებოს და დამიწყოს“, — გავიფიქრე მე, აივნის კიბე სწრაფად ჩავირბინე და რამდენიმე წამის შემდეგ შენი ოთახის კართან ვიდექი.

— რა გნებავთ, ყმაწვილო? — ვიკითხე ცივად, როცა ოთახში შემოვედი და შენ ფეხზე დაგინახე.

— დაბრძანდით, — წარმოთქვი თითქმის ჩურჩულით და სკამი შემომთავაზე.

— მე აქ სამუსაიფოდ არ მოვსულვარ. მეგონა ავადმყოფთან მოვდიოდი, მაგრამ ვინაიდან ეს ასე არ არის, მივდივარ.

— ვერ წახვალ, სანამ არ მოისმენ ჩემს სიტყვებს, — თქვი ეს და კარის სახელურს ხელი წაატანე.

— რა გინდათ?

— მინდა ვიცოდე, რატომ მიდიხარ სოფელში?

— ეს ჩემი საქმეა და თქვენ არ გაქვთ ამის შეკითხვის უფლება.

— ლიანა, გთხოვ, ნუ მელაპარაკები ასეთი ტონით. მე მტანჯავს ეს ცივი სახე, ეს ცივი სიტყვები. შემომხედე, განა ის თამაზი ვარ, რაც წინათ ვიყავი.

ალმაცერად გადმოვიხედე შენკენ, მართლა გამხდარი და გაფითრებული მეჩვენე.

— რა დაგემართათ? — ვკითხე და ვიგრძენ, რომ ხმა ამითრთოლდა.

— ლიანა, მე დამნაშავე ვარ და უნდა მაპატიო.

— საპატიებელი არაფერია, ჩვენ ერთმანეთს ვერ გავუგეთ და ამიტომ დავშორდით. მე თქვენ არ გემდურით.

— ჩვენ ერთმანეთს ვერ დავშორდებით.

— ვინ მოგახსენათ? მე უკვე გადავწყვიტე ეს.

— თუ მე არ შემიძლია შენი მოშორება?

— მით უარესი თქვენთვის. ნუთუ არა გრძნობთ, როგორ მცირდებით?

— დაე, აგრე იყოს. ჩემთვის სიყვარული უფრო ძვირფასია, ვიდრე სიამაყე. იცოდე, რომ შენი გაცნობის შემდეგ არც ერთ ქალს არ მიუპყრია ჩემი ყურადღება და თუ წინააღმდეგში გარწმუნებდი, მხოლოდ იმიტომ, რომ მინდოდა გამომეცადე, მინდოდა გამეგო, რამდენად ძლიერი იყო შენი სიყვარული ჩემდამი. შენ კი ისეთი დამშვიდებული სახით მოისმინე ყველაფერი, წერილი დახიე, ხატვას ხელი მიჰყავი და სრულიად აუღელვებლად, კარზე მიმითითე.

— მაშ რა გნებავდათ? ისტერიკა, ცრემლები? არავითარი უფლება არ მქონდა დამეჭირეთ, როდესაც გამოთქვით წასვლის სურვილი. მე ამაყი ვარ და ამ ჩემს ერთადერთ სიმდიდრეს ვერავინ და ვერაფერი ვერ მომტაცებს.

— ჰო. მე ვიცი, რომ ამ სიამაყეს თამაზის სიცოცხლესაც კი შესწირავ. ამაში დავრწმუნდი იმ დღეს, როცა შენი ოთახიდან გამოვედი. მე შენ არ გიყვარვარ.

— არ დავიწყებ იმის მტკიცებას, რომ მიყვარდი ან მიყვარხარ, მაგრამ რამდენად ლამაზია ასეთი საქციელი, ეს თვითონ განსაჯე. მშვიდობით.

— საით? ჯერ უნდა მითხრა, რომ ყველაფერი მაპატიე, რომ შენ ისევ ჩემი იქნები.

— ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი.

— ცოტა ხანი დარჩა. ეს დროც გაივლის და შემდეგ ჩემთან იქნები, სულ ჩემთან, ხომ, ლიანა? — წარმოთქვი ეს და ხელზე ისე მაგრად მომიჭირე, რომ ტკივილებისაგან დავიკვნესე.

— გამიშვი, თამაზ, ხელი მეტკინა.

— მე ასე მსურს. — წამოიძახე უეცრად და ჩემს მაჯას დასწვდი.

— შენ მე სითუთად არ მეპყრობი. უხეში ხარ. გიჟი.

— ყველაფერი ეს იმიტომ ხდება, რომ მიყვარხარ, მიყვარხარ და ეს სიყვარული ჭკუას მაკარგვინებს. ხან საშინელი სურვილი შემიპყრობს, რომ დაგამსხვრიო, გაგანადგურო და მთელი შენი არსება ჩემსას შევუერთო, ჩემს სულს გადავაქსოვო. მითხარი, ლიანა, ერთხელ მაინც მითხარი, რომ გიყვარვარ, რომ შენც გინდა ჩემი იყო, — წარმოთქვი ეს და თავი ჩემს კალთაზე დადე.

— წინდაწინ ვერაფერს შეგპირდები, თამაზ, ხშირად წლობით ნაკეთებ და ნაშენებ საქმეს ერთი დღე ანგრევს და ანადგურებს. ვინ იცის, რა მოხდება ამ ხნის განმავლობაში.

— ის, რომ ჩვენი განშორება შეუძლებელი გახდება. ახლა კი მომიალერსე, ლიანა, მომიალერსე და მაგრძნობინე, რომ შენც გიყვარვარ. მალე სოფელში წახვალ და ვინ იცის, როდის დაბრუნდები.

— მე იქ შენზე ვიფიქრებ, უფრო კარგი და უფრო ჭკვიანი თუ იქნები, — წარმოვთქვი და ფრთხილად მივუალერსე შენს ფერმკრთალ სახეს და შავ აწეწილ თმას.

— ოო, ძვირფასო, ეს პატარა, სათუთი ხელი მწვავს, მაწამებს. მაგრამ ამ წამებაში იმდენი სილამაზე, იმდენი ნეტარებაა, ლიანა... ლიანა... ლიანა... წადი ახლა, მომშორდი, მომშორდი, თუ არ გინდა განმეორდეს... არა, მართლა, ცუდად არ მოგექცევი, თავს დავიჭერ, მოდი აქ, ახლო, რომ გულთან გიგრძნო, აი, ასე... ჩემო... ჩემო... ჩემო... აჰ, შენ მომკლავ მე, ლიანა, — გიჟივით წამოიძახე ეს სიტყვები, ბურთივით ამიტაცე, ლოგინზე უხეშად დამაგდე და გახურებული ტუჩებით ჩემს სახეს დასწვდი. ინსტინქტურად ხელი დავატანე იმ დიდყდიან წიგნს, რომელიც იქვე ლოგინზე იდო და ანგარიშმიუცემლად სახეში გესროლე. შენ დაბარბაცდი, მე კი, აღშფოთებულმა, კარი გავაღე და შეურაცხყოფილი გრძნობით სახლისაკენ გამოვეშურე.

— სად იყავ, ლიანა, ასე ადრე? — შემეკითხა არჩილი. როცა აივანზე ავედი.

— წიგნები შევიტანე სამკითხველოში, — მივუგე მე და საჩქაროდ ზურგი შევაქციე, რათა ჩემს სახეზე არაფერი ამოეკითხა.

რამდენიმე წამის შემდეგ ეტლში ვისხედით და სოფლისაკენ მივემგზავრებოდით. ეტლის სავარძელს მიყრდნობილი, მოწყენილი შევყურებდი შიშველ ხის რტოებს და მიწაზე დაზღვავებულ ყვითელსა და გადამჭკნარ ფოთლებს.

— რად მიჩუმდი, ლიანა? აკი გიხაროდა სოფელში წამოსვლა! — მითხრა ბოლოს არჩილმა.

— ცოტა ხანს უნდა მაპატიო ასეთი სიჩუმე. ეს წუთებიც გაივლის და მე ჩემი ჩვეულებრივი ხმაურით გავართობ ჩემს მეგობარს.

— მე ჩემზე არ ვზრუნავ, შენ მებრალები, დატუქსული ბავშვივით დაღვრემილხარ კუთხეში და სევდა შემოგწოლია. ხომ არ გენანება ქალაქის დატოვება?

— არა, არჩილ, მე არავის დატოვება არ მენანება და ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ჩემს სოფელს ვუბრუნდები. აგერ ისიც, — წარმოვთქვი და ხელი წინ გავიწოდე.

ზევით, სულ ზევით, მზის სხივებში დაფერილი მოჩანდა ჩვენი ეზო, სახლის გარშემო ჩამწკრივებული დეკორატიული ხეები, თითქოს ღიმილით მეპატიჟებოდნენ. ჩემს თვალებში ჩაწოლილი ნაღველი თანდათან შეთხელდა და როცა გადავხედე ეერცხლის ზოლივით გაჭიმულ მდინარეს, შორს, ჰორიზონტთან მოელვარე ზღვას, გურია-აჭარის მთებს, დაბლობში მოფანტულ სოფლებს, ოცნებით გულში ჩავიკარ, ოცნებით შემოვეხვიე ამ ბუნებას და მან სულიერი სიმშვიდე, სულიერი მყუდროება დამიბრუნა. ამიერიდან ის უნდა ყოფილიყო ჩემი მეგობარი...

IX

გურია-აჭარის მთებმა მხრებიდან ჩამოიხსნა გამჭვირვალე თოვლის მოსასხამი და აპრილმა ზურმუხტის ფერი ქათიბი გადაიცვა ზამთრისაგან გაძარცულ ხეებს. მერცხლები ისევ დაუბრუნდნენ სამშობლოს და რამდენიმე მათგანი მხიარული ჭიკჭიკით შემოერტყა ჩვენს მაღალ სახლს.

იები აყვავდნენ, ჩიტები ახმაურდნენ და გაზაფხულის შუქმა მთელი გარემო გადაირბინა. გამოვფხიზლდი მეც, გულში დაგუბებული ნაღველი თანდათანობით გავაბნიე მინდვრის ყვავილებში და მაღალი მთიდან წამოქროლილ ნიავს მხიარულად გამოვესაუბრე.

საცალფეხო ბილიკს დავადექ. ბაღში შევედი და მწვანე ბალახში მხართეძოზე წამოწოლილმა ცქერა დავუწყე ალისფრად აფერადებულ ჰორიზონტს. ნისლივით აცურდა წარსულ მოგონებათა სურათები და ამ სურათებში ყველაზე მეტად შენი სახე კრთოდა. ყველაზე მეტად შენი სახე მიზიდავდა. შევკრთი, ჩემი მხიარულე-

ბა ერთბაშად გაქრა, თკალი დავხუჭე და თავით ნიდაყვს დაეყრდნე. ხუთი თვე გავიდა, რაც აღარ მინახავხარ. ხუთი თვე გავიდა, რაც არაფერი ბომიწერია შენთვის. უპასუხოდ დავტოვე ის პატარა ბარათიც კი, რომელშიაც ისე მხურვალედ მეძახდი: მოდი, მე უშენოდ ვკვდებიო. მე დავხიე ის ქაღალდი და ნაფლეთები ქარიშხალს გავატანე, მაგრამ სიტყვები, სიტყვები კი დარჩნენ ჩემთან და მეც ვერ შევიძელ მათი თავიდან მოშორება. შეუსვენებლივ ვმუშაობდი ამ ხნის განმავლობაში, ვკითხულობდი, ვხატავდი, ვფიქრობდი და გარეგნულად სრულიად დამშვიდებული ვიყავი, მაგრამ ჩემს გულში მაინც არ ქრებოდა ის კოცონი, რომელიც შენ დაანთე. მე ვდუმდი და ამ დუმილით ვაწამებდი ჩემს სულს, მე გტოვებდი შენ, მაგრამ ამავე დროს ვგრძნობდი, ეს სიყვარული არ დამტოვებდა და ჩემთან ივლიდა. სულ ჩემთან.

— რაზე ოცნებობ, ლიანა? — შემოესმა ჩემი ქმრის ხმა, რომელიც ბაღში შემოსულიყო და შეუმჩნევლად თავზე წამომდგომოდა.

— მე აღარ ვოცნებობ, არჩილ, მე მხოლოდ ვფიქრობ.

— რაზე, ბავშვო?

— ყველაფერზე, არჩილ, ყველაფერზე. ვფიქრობ, აი, იმ ლურჯად მოკრიალებულ ზეცაზე, რომელსაც ისე მაგრად მიუკეტია თავისი კარი, რომ დღემდის ვერავის შეუღია. ვფიქრობ სიკვდილ-სიცოცხლეზე, მარადისობაზე და... რა ვიცი რაზე...

— მე ვიცი, რომ შენ კიდევ ფიქრობ რაღაცაზე, თუ... ვიღაცაზე. გგონია დამიმალავ რასმეს? ამ ბოლო დროს აღარ ხარ ჩემთან გულახდილი, ლიანა, და მეც არ ვიცი, როდის აქეთ დავკარგე შენი ნდობა. მეგონა კი, რომ მეგობრები ვიყავით.

— შენ ხარ ჩემი მეგობარი, არჩილ. ჩემი ერთადერთი ძვირფასი მეგობარი.

— მაშ მითხარი, ვისი იყო ის პაწია ბარათი. ამას წინათ რომ შიიღე და ისეთი გაფითრებული სახით დახიე.

— თამაზის.

— რას გწერდა?

— მთხოვდა ჩასვლას, ნახვას.

— და შენ არ შეუსრულე ეს თხოვნა?

— მას შემდეგ ერთი თვე გავიდა და არ წავსულვარ, ჩანს, არა მსურს მისი ნახვა.

— ლიანა, იქნება იმ კაცს გულწრფელად უყვარხარ... თუ ასეა, მე არ მინდა თქვენ შორის ჩავდგე და ორი ადამიანის უბედურებას ვუყურო. დაე, მარტო მე ვიტანჯო. ამ ტანჯვას შენი ბედნიერება შეამსუბუქებს. თქვენ ახალგაზრდები ხართ და სრული უფლება გაქვთ სიცოცხლის, სიყვარულის, ბედნიერების.

— შენ ნაზი და მაღალი სული გაქვს, არჩილ!

— მაგრამ მარტო ეს ვერ დააკმაყოფილებს ახალგაზრდა ქალს. ჩემდამი პატივისცემას ან სიბრალულს პირად ბედნიერებას ნუ შესწირავ. მე მიცხოვრია, ბრძოლის ქარცეცხლში გამივლია და ცხოვრების ყოველგვარ ცვალებადობას ავიტან.

ამ სიტყვებით უბის ჯიბიდან პაწია ვარდისფერი კონვერტი ამოიღო და ხელში ჩამიდო.

— რა არის ეს?

— წერილი, რომელიც დღეს ერთმა კაცმა გადმომცა. უთუოდ ესეც ზურაბიძის იქნება. მისია ეს, ლიანა?

— მისია, — ძლივს წარმოვთქვი და ვიგრძენი, გავწითლდი.

— გულდასმით წაიკითხე და ჩემთან შემოდი, — მითხრა მან, შებრუნდა და ბაღიდან ნელი ნაბიჯით გავიდა. მე დავრჩი იმ წერილით ხელში, რომლის უბრალო სიახლოვეც კი მათრთოლებდა, და გამოურკვეველ ბურანში მყოფი თავს ცუდად ვგრძნობდი, მიზეზი კი ვერაფრით ვერ დამეძლია.

კონვერტი გავხსენი და წერილის კითხვა დავიწყე:

„...და შენ წახველ აღშფოთებული, წახველ ჩქარი ნაბიჯით. ერთხელაც არ მოგიხედავს. გამოვედი გარეთ, დიდხანს გიცქირე. რა იქნება. რომ აღარ დაბრუნდეს? — გამიელვა თავში. „შენ მე სათუთად არ მეპყრობი, უხეში ხარ, გიჟი“, — მომაგონდა შენი სიტყვები. ნუთუ მართლა ასეთი ვარ?

სადა ხარ, სადა? სული მეხუთება, მომწყინდა, მომბეზრდა. დამეკარგა სულიერი სიმშვიდე, წავიდა, გაქრა. ასე მგონია, ჩემმა სიცოცხლემ აზრი დაკარგა. თითქოს მომწყდა გული და გადაეშვა სადღაც. დაუსრულებელ სივრცეში.

მომწყინდა აქ ხეტიალი, ან შენი სიტყვით რომ ვთქვა: „რატუნი“, და მეც ამ დღეებში მივემგზავრები შორს, შორს, ძლიერ შორს. ზღვის გაღმა. ჩემი მგზავრობა საიდუმლოებით არის მოცული. ისეთი საიდუმლოებით, რომ ვერც შენ გაგიმხელ, მინდოდა კი წასვლამდის უკანასკნელად მენახე.

ხომ ხედავ ეს სამარისებური სიჩუმე? პირველმა დავარღვიე და დავარღვიე ორჯერ. აქედან შესაფერი დასკვნა შეგიძლია გამოიტანო. შენმა სიჩუმემ დაამარცხა ჩემი თავმოყვარეობა და შენი სიამაყეც სრულიად დაკმაყოფილებულია. მაშ, მოდი, ძვირფასო, მოდი და მომეც იმის საშუალება, რომ ერთხელ კიდევ გნახო, ერთხელ კიდევ მოვისმინო შენი ხმა და შენი სახე გულში აღბეჭდილი წავიღო თან.

ნახვამდის, ჩემო... ჩემო ერთადერთო ძვირფასო, საყვარელო არსებავ. ნახვამდის, ჩემო ლიანა. თამაზ".

წავიკითხე. ხელები მოწყვეტილად ჩამომცვივდა და ფიქრმა, ტყვიასავით მძიმე ფიქრმა, თავი ძირს დამახრევინა.

უეცრად ჩემი სახელი მომესმა.

ჩემ წინ ისევ არჩილი იდგა.

— შეიძლება გავიგო წერილის შინაარსი?

წერილი უხმოდ მას გადავეცი.

— რას აპირებ ახლა? შენ წახვალ იქ, იმ... კაცთან? — იკითხა მან წერილის წაკითხვის შემდეგ და სახეზე გამოუთქმელი მწუხარება გამოეხატა.

— ის მიდის სადღაც, მიდის შორეულ ქვეყანაში და მეც არ შემიძლია არ შევუსრულო უკანასკნელი თხოვნა, — წარმოვთქვი და ბალახებს უაზროდ გლეჯა დავუწყე.

— როდის წახვალ?

— ხვალ დილით, საფოსტო ეტლი გამოიელის და გავყვები. შენ ხომ არაფერი გექნება საწინააღმდეგო, არჩილ? — შევეკითხე და მის ხელს ნაზი, ბავშვური ალერსით ხელი დავადე.

— არაფერი, ჩემო კარგო, არაფერი, ოღონდ ადვილად ნურავის ენდობი, — მომიგო მან და საჩქაროდ შებრუნდა.

X

აპრილის შუა რიცხვებია. ადიდებული მდინარე ხმაურით მიჰქრის. დასავლეთისაკენ გადახრილი მზე ნელა მიცურავს ცის კაბადონზე, ცეცხლით სწვავს მრავალფერად გაშლილ ერისიონს. წითელი სხივების კონები ტალღებად ეღვრება სამრეკლოს გუმბათს და მის თავზე ამართულ ჯვარცმას ყვითლად აელვარებს. ტაძრის ეზოში მარმარილოს ძეგლის დაბალ საფეხურზე ვზივარ. შენც იქვე,

ბიწაზე წამოწოლილი, დაფიქრებული გაჰყურებ ჩამავალ მზეს. ორივენი ვდუმდით და ამ დუმილში იმდენ განცდას და შინაარსს ვგრძნობდით, რომ არც ერთ ჩვენგანს არ უნდოდა დაერღვია ეს ბუნდოვანება. მთიდან წამოსული ნისლი ბნელ მანტიად დაეფინა სასაფლაოს ძეგლებს და შემაყრჟოლა. შენ იგრძენ, შემობრუნდი, ბალტო მზრუნველობით მომახვიე და ჩემი ხელი გულში ჩაიკარ.

— არაფერს იტყვი, თამაზ?

— მინდა გისაყვედურო, ლიანა, მინდა გკითხო, რად დამტოვე, რად?

— შენ იცი, რად დაგტოვე, თამაზ.

— საშიშარი და უცნაური ქალი ყოფილხარ, თუ ერთ უბრალო ალერსს არ აპატიებ საყვარელ ადამიანს და თვეობით სადღაც გადაიკარგები.

— ის უბრალო ალერსი არ ყოფილა. ის ძალდატანება იყო.

— მე არ ვარ დამნაშავე, თუ ცუდად მოვიქეცი და ვერ მოვეფერე ჩემში აღძრულ ვნებას. რა ვუყო, ასეთია მამაკაცის ბუნება.

— უკეთესია იტყოდე: „უპატიოსნო მამაკაცის ბუნება“.

— ნუ შეურაცხმყოფ, ლიანა, თუ ვინმეა პატიოსანი, ერთი მათგანი მეცა ვარ.

— მე ვიცნობ ისეთ მამაკაცს, რომელიც თვეობით ცხოვრობდა თავისი ახლად ჯვარდაწერილი ცოლის ოთახში და ერთხელაც არ მიახლოებია მის სარეცელს.

— რა იყო ამის მიზეზი?

— ქალის ახალგაზრდობა და შიში იმ კაცის წინაშე, რომელსაც მისმა მშობლებმა მისცეს.

— რა მოხდა შემდეგ?

— იმ კაცმა თავისი კეთილშობილური ქცევით და დამოკიდებულებით მიიპყრო ცოლის ყურადღება და ქალმაც შეითვისა ის.

— და ეს კაცი იცდიდა რამდენიმე თვე მხოლოდ იმისათვის, რომ მოეგო გული ჯვარდაწერილი ცოლისა?

— დიახ!

— ეს ზღაპარია, ასეთი მამაკაცები არ არსებობენ.

— ის კაცი ჩემი ქმარია, თამაზ.

— გაყინული ყოფილა ის შენი ქმარი, თუ ეს ამბავი მართალია.

— როგორც გინდა იფიქრე, მაგრამ არჩილის სულიერ სიფაქიზეში ეჭვის შეტანა შეუძლებელია.

— იმდენად ხარ აღტაცებული მაგ კაცით, რომ დარწმუნებული ვარ, არასოდეს დაივიწყებ. მინდა ვიკითხო, თუ შენ მას პატივს სცემ, თუ შენ ის გიყვარს, თუ ის შენი მეგობარია, მაშინ... მაშინ ვინ, ან რა ვარ მე შენთვის.

— ჩემი ნახევარი. ჩემი სულისა და გულის ნაგლეჯი, აი, ვინა ხარ შენ, თამაზ.

— ლიანა, ლიანა, გაიმეორე კიდეე ეს სიტყვები, კიდევ გაიმეორე ეს სიტყვები, ლიანა.

— განმეორება არ მიყვარს და ამისათვის გადავდივარ სხვა უფრო სერიოზულ საკითხზე. შენ მწერდი, რომ მიდიოდი შორს, ძლიერ შორს, ზღვის გაღმა და ახლა მეუბნები, ეს განზრახვა გადადებულიაო. რას ნიშნავს ეს?

— ყველაფრის თქმა არ შემიძლია. ამის უფლება არა მაქვს. მაგრამ ის კი ნამდვილია, რომ განზრახული საქმე ჩაიშალა.

— რასაც, ალბათ, სიხარულით შეეგებე.

— მე სრული ბედნიერი ვარ შენთან, ლიანა, — წარმოთქვი და ჩემს ჩამოშლილ თმას ალერსი დაუწყე.

მოზღვავებული ღრუბლები შეთხელდა, გაიფანტა, ზანტად ამოცურდა მთვარე, მკრთალად გაანათა გარემო. მდინარე ჩვეულებრივი ხმაურით მიჰქროდა. წყლის პირად დარგული, თავდახრილი ძეწნები, ნიავით შეშფოთებულნი, რაღაცაზე დაუსრულებლად ჩურჩულებდნენ, სამარეები დუმდნენ, ძველი ძეგლები, წაშლილი წარწერებით იდუმალ ქსელში გახვეულნი, ცივად გამოიყურებოდნენ და ჩვენ კვლავ ვისხედით იქ, იქ, იმ მკვდართა სამეფოში და ვოცნებობდით სიცოცხლეზე, სიყვარულსა და ბედნიერებაზე.

XI

ავარაკი სავსეა ხალხით, უსაქმო ხალხით, თეატრის კედლებზე ყოველდღიურად იცვლება აფიშები.

მხიარული საღამო.

ახალი პიესა.

დისპუტი.

დიდი სეირნობა...

ხალხიც აწყდება გასართობებს და ერთადერთი მათი საზრუნავი მხიარულება და დროსტარებაა.

განზე ვუდგავარ ყველას და ყველაფერს.

მარტო ვარ.

მაგრამ მაქვს ჩემი საქმე, ჩემი გზა, ჩემი საყვარელი ადგილები და ყველაფერი ეს ჩემთვის უფრო საინტერესოა, ვიდრე ჭრელი ხალხი და აგარაკის იაფფასიანი წარმოდგენა.

მხიბლავს ბუნების დიადი მშვენიერება, დროს მოსაკლავად კი მუდამ თან დამაქვს წიგნები, რვეულები და ფანქარი. მოწყენილი არა ვარ, ან უკეთ რომ ვთქვა, მისთვის არა მცალია.

რამდენჯერ შეუჩივლიათ ჩემთვის: რა მოწყენაა, ვინმე მაინც მოვიდოდეს, ბანქო ან ნარდი ვითამაშოთო... გამკვირვებია.

ნუთუ არა სჯობს უცქირო ათასჯერ განცდილ და განჭვრეტილ ბუნებას, ვიდრე დაკარგო დრო ქაღალდის თამაშში, ან ნარდის ქვების უაზრო გადასმა-გადმოსმაში?!

მე ზევით ვეშურები, ზევით, სულ ზევით. არ იფიქროთ, ეს გზა ადვილად ასავლელი იყოს. არ იფიქროთ, იმის გადალახვა დაუღლელად და უმსხვერპლოდ შეიძლებოდეს.

ბევრი ოფლი დაღვრილა ამ გზაზე, ბევრი კაცი წაქცეულა, მაგრამ რჩეულებს მაინც მიუღწევიათ მწვერვალამდე. მაინც მიუღწევიათ იმ ადგილამდე, სადაც მხოლოდ სიწმინდეა. სადაც მხოლოდ სილამაზე და მშვენიერებაა.

დიახ, მე ვეშურები ზევით და არავის ვაძლევ იმის ნებას, რომ ხელი შეუშალოს ჩემს სვლას.

მე არა მსურს დავიხრჩვე იმ წუმპეში, სადაც არა ერთი და ორი ჩამხრჩვალა და მოვდივარ აქ, აქ, ამ ბუნების წიაღში.

ჭხიარულად მხვდებიან მდინარეები, ნაკადულები, ყვავილები; აგერ ველურ გვირილას ისე კოხტად აუღია თავი, რომ იძულებულს მხდის მისი სილამაზე ქაღალდზე გადავიღო. აგერ სოღდას ხავერ-დოვანი ფურცლები და ტვიას აშოლტილი ტანი უალერსებს თვალებს.

მაგრამ ყველაზე ლამაზი კი აქ ეს ამაყად აზიდული მთები, აფე-რადებული ველ-მინდვრები, აქა-იქ გაფანტული ცხვრის ფარა და ჭაბუკი მწყემსია.

მე ვიცნობდი მის მამას. ჩვენი ოჯახის კარგი მეგობარი იყო, ხშირად მიუპატიჟებივართ კარავში და სულუგუნებით, მაწვნით და მსუქანი ცხვრის დუმით გაგვმასპინძლებია. ამ რამდენიმე წლის წინათ უეცრად გარდაიცვალა და მისი უფროსი ვაჟი, რომელმაც

იმ წელს გიმნაზია დაასრულა, იძულებული შეიქნა უმაღლესი სწავლისათვის თავი დაენებებია, უწლოვანო ძმებისათვის და უპატრონოდ მიტოვებულ საქონლისათვის მიეხედა. მეტად მძიმე იყო მისთვის მუდმივად ტყეში ცხოვრება და ალბათ, ეს იყო მიზეზი, რომ მის ხელში ისე ტიროდა სალამური, ისე მწვავედ ტიროდა, რომ მე უცრემლოდ არ შემეძლო მომესმინა მისთვის. ხშირად ვხვდებოდი მას მთებში სიარულის დროს. მზისაგან გარუჯულ სახეს ოდნავი სიწითლე აჰკრავდა, ზრდილობიანად მომესალმებოდა და თავდახრილი, ჩქარი ნაბიჯით გამივლიდა წინ.

— გერა! — დავუძახე ერთხელ, როცა მუშაობის დროს მოულოდნელად თავს წამომადგა და მოსალმების შემდეგ, ჩვეულებრივად გზა განაგრძო.

— რას მიბრძანებთ, ქალბატონო.

— ქალბატონო? თითქოს ჩემი სახელი არ იცოდეთ!

— სხვაგვარად არ მეხერხება.

— თქვენ გეხერხებოდათ ეს ამ რამდენიმე წლის წინათ. საერთოდ მინდა გისაყვედუროთ, წინათ წიგნებისათვის მაინც მომაკითხავდით ხოლმე. ახლა არც ამისათვის მოდიხართ. რატომ? ხომ არ მემდურით?

— აბა, რაზე იფიქრეთ ეს? ქალბ...

— კიდევ ეს სიტყვა! თქვენ, მგონი, დაგავიწყდათ ჩემი სახელი. მოგაგონოთ?

— მე თქვენ არ გემდურით... — ლიანა, — წარმოთქვა მან ჩაწყვეტილი ხმით და სახე გვერდზე მიიბრუნა.

მისმა ასეთმა უცნაურმა ქცევამ ჩემში ეჭვი აღძრა და იმ მხრიდან დავუდექი, საითაც სახე ჰქონდა მიქცეული.

შევკრთი, გავფითრდი.

მის თვალებში ცრემლი კრთოდა.

— გერა, რა არის ეს? — ვკითხე გაოცებით.

— სისუსტე, რომელსაც არასოდეს ვაპატიებ ჩემს თავს. ბოდიშს ვიხდი, ხელი შეგიშალეთ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

არეული ნაბიჯით წავიდა, მიუახლოვდა კარავს. ყმაწვილებს რაღაცა შეეკითხა და იქვე, ნაძვ-ფიჭვნარის ტყეში მიიმალა.

საბრალო ბავშვი! აი, თურმე რა ყოფილა მიზეზი მისი ასეთი დაშორების, რა ყოფილა მიზეზი მისი ასეთი უცხოობის.

ვინ არის დამნაშავე იმ ტრაგიკული შემთხვევების, რომელიც

არა ერთხელ მომხდარა ცხოვრების სინამდვილეში? ადამიანის სუსტი ბუნება ვერ უძლებს სტიქიურად მოვარდნილ გრძნობათა ნიაღვარს. ეს ტყდება და სასტიკი ბედისწერაც ფხიზლად დარაჯობს ასეთ სიცოცხლეს და მის შთასანთქავად უფსკრულებს აღრმავებს. საჭიროა ძლიერი პიროვნება, ფოლადის ნერვებით და მაგარი გულით, რომ გადაიტანოს უეცრად ამოჭრილი ქარტეხილი განიავებული გრძნობისა და დაღუპული განცდების დაღუპული ყვავილები, ჩუმად და უხმაუროდ ჩაჰკეტოს მოგონებათა სალაროში, მაგრამ ბევრია ასეთი ვინმე ამქვეყნად? ცხოვრება რთულია, ადამიანის განცდა კი უცნაური და მრავალნაირი.

გავიფიქრე ეს და ვიგრძენ, რომ ჩემში უეცრად გაიღვიძა ხელოვანმა. თვალი მომტაცა დასავლეთისაკენ გადახრილმა მზემ, ის თითქო ცოცხალი ნარღვევებით თრთოდა და ტოკავდა დაზღვავებული ღრუბლების ტალღებში და მოვარაყებული ვერცხლის თაღები საოცნებო გვირგვინად ედგმებოდა მოალერსე ნიავისაგან დაქანცულ მთებს.

გაღმა, აზურმუხტებულ მაღლობზე, ზანტად მიმოდიოდნენ მაძღარი ცხვრები. უზარმაზარი მურა ძაღლები ჩამოძონძილი ბალნებით, ბრაზიანი ღრენით ემუქრებოდნენ როგორც ტყეში მიმალულ ნადირს, ისე, ცოტა თუ ბევრად, საეჭვო ადამიანებს, და ნაძვის ძირას წაწოლილი გერა თავისებური სევდით, ჩვეულებრივად ატირებდა პაწია სალამურს.

საჩქაროდ გავხსენი საღებავებით სავსე ყუთი და იქვე გაკრულ ტილოზე რამდენიმე ხაზი უაზროდ გავავლე. როცა ორი საათის შემდეგ ჩემს ნამუშევარს დაკხედე, დავინახე ზემოთ აწერილი სურათი; მეც კმაყოფილების ღიმილით დავყურებდი მას.

დიახ, იმ წუთს მე ვგრძნობდი ჩემს სიდიადეს და ლამაზი სახეების შექმნაში თვით ბუნებას ვეჯიბრებოდი.

XII

ის იყო დავუახლოვდი ტყეს, რომ წინ შენ შემეფეთე.

— სად იკარგები? — წარმოთქვი ცუდად დაფარული გამწყრალი კილოთი.

— რა შენი საქმეა? დავდივარ იქ, სადაც მესიამოვნება.

— შენი ოთახის კარი მთელი დღე გამოკეტილია. აიკიდებ ყუთს და მარტოკა დასეირნობ ამ უდაბურ მთებში. ეს არ შეიძლება.

— მბრძანებლობაც დაიწყე? ამის უფლება, მე მგონია, არ მომიცია.

— ეს მზრუნველობაა და არა მბრძანებლობა.

— გამათავისუფლე ასეთი მზრუნველობისაგან. მე ვიცი, რასაც ვჩადივარ.

— შენ თითქოს გამირბიხარ, თითქოს მემალები. მე ეს მწყინს.

— ხომ იცი, აქ უსაქმოდ არა ვარ. აღმაფრენა ჭირვეულ ბავშვსა ჰგავს. ისეთ დროს აგეკვიატება, როცა არც მოელი, შემოქმედების წუთებში შეუძლებელია იმაზე ფიქრი, რომ სადღაც ვიღაც არსებობს. ეს არ უნდა გწყინდეს.

— მე ვისურვებდი, რომ საყვარელ ქალს ჩემთვის დაევიწყა არამცთუ ხელოვნება, თავისი საკუთარი თავიც კი. მე მუდამ ეჭვში ვარ, მუდამ რჩევაში. მე შენი არაფერი მჯერა.

— აგრე სჯობია. ქალს მხოლოდ მანამდის აქვს ფასი მამაკაცის თვალში, სანამდის დაეჭვებულია მის სიყვარულში. მაგრამ საკმარისია მიიღოს საამისო რწმენა, რომ გაცივდეს და ისევ დაიწყოს ლტოლვა, შეუცნობელისა და მიუწვდომელისაკენ.

— ეს შენი ფილოსოფიაა, რომელსაც სრულიად არ ვეთანხმები.

— საზოგადოდ, ჩვენ ვერაფერში ვერ ვეთანხმებით ერთმანეთს, როგორ მოგწონს ეს?

— სამწუხაროდ, ჩვენ არც გარდაქმნა შეგვიძლია ერთმანეთის და არც დათმობა გვეხერხება. მე არ ვიცი სანამდის მიგვიყვანს ეს შეურიგებელი წინააღმდეგობა.

— ვუყურეთ, დრო კიდევ ბევრია.

— ვუყურეთ, თითქოს ადვილი იყოს ეს. შეიძლება გავხსნა ყუთი? შენ მუშაობდი ამ კვირაში. ახალი პეიზაჟი... კარგია... დიდებულია, მაგრამ ვინ არის ეს ბიჭი? ალბათ, ეს იყო მიზეზი შენი განდეგილობისა.

— თამაზ! თქვენი სითამამე თავხედობამდის მიდის. მე ამას არ გაპატიებთ.

— თქვენობითაც მომმართავთ? მე ვიხუმრე, კარგი, ნუღარ მიწყრები. რაც არ უნდა გითხრა, შენ მაინც ჩემი ჯიუტი გოგონა ხარ, ჩემი ჟინიანი, თავნება ბავშვი. — ამ სიტყვებით ჩემს მხრებს ისე მხურვალედ მოეკარ, რომ ავენთე.

დაიხარე, თვალებში ღრმად ჩამხედე და ვედრებით მიმაბრუნე იმ მხარისაკენ, საიდანაც მოჩანდა შენი ოთახის ღია ფანჯრები.

უარის ნიშნად თავი გავაქნიე. ხელი გამოგაცალე და უსიტყვოდ ზურგი შეგაქციე.

— არა?.. — იკითხე ოდნავ გასაგონი. ხმით.

— არა. მე არ მინდა ისევ წავიჩხუბოთ.

შებრუნდი, საჩქაროდ აიარე მაღალი ფერდობი და კლდის თავზე აგორებულ, დიდ პიტალო ქვაზე ჩამოჯექი. მე კი შევყევი საცალფეხო ბილიკს ფიჭვნარის ტყეში და ყვავილების ლამაზი თაიგული შევკონე. შენ ისევ გაბუტული იჯექი და ჟურნალს ჩასცქეროდი, როცა მოგიახლოვდი და ყვავილების კონა სახეზე ოდნავ შეგახე.

— სრულებით არა ვარ ხუმრობის ხასიათზე, გთხოვ, თავი დამანებო.

— ნუ მიჯავრდები, თორემ ავტირდები...

— ატირდი, მე ჯერ არ მინახავს შენი ცრემლი და საინტერესოა, როგორ ტირი, — წარმოთქვი ეს და შენს სახეს რაღაც ბროლი გამომეტყველება მიეცა.

— მე ვეღარა ვცნობ ჩემს თამაზს, კარგსა და ჭკვიან თამაზს, რა მოგდის?

— არაფერიც არ მომდის, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკე, ჟურნალს ფურცლა დაუწყე და ერთ გვერდზე ხანგრძლივად შეჩერდი.

— აა, შენი ახალი ნაწარმოები დაუბეჭდიათ. უეჭველად წავიკითხავ. ახლა კი შევრიგდეთ, თამაზ. შეხედე, აი, ამ ყვავილს. დაქანებულ ნაპრალებში ამაყად აშოლტილი ვიპოვე და ერთადერთი ადამიანი შენ ხარ, რომლისთვისაც ვიმეტებ. გრძელი ყლორტები საოცნებოდ შეფრქვეულა მწვანე ფურცლებით და პაწია ცისფერი აბრეშუმის ნაგლეჯები, დაქუფრული ხალებით, ლამაზად შეჭრელებულა. ჭეშმარიტად დიდი ხელოვანია ის მხატვარი, რომელიც ამდენ ახალ-ახალ საქმეებს ქმნის და ბუნებასაც ასე მომხიბლავად აფერადებს.

— რომელ მხატვარზე ლაპარაკობ? — იკითხე შენ.

— იმ მხატვარზე, — მოგიგე და ხელი ცისკენ გავიწოდე.

— ნუთუ მართლა იმდენად ბავშვი ხარ, რომ გჯერა ეს ზღაპარი? ცას იქით არავითარი სიცოცხლე და არავითარი მხატვარი არ არსებობს. იქ სრული სიბნელე და სიცარიელეა.

— საიდან იცი? ყოფილხარ იქ? — შეგეკითხე ოდნავი დაცინვით.

— მე არც დედამიწის შუაგულში ვყოფილვარ, მაგრამ მშვენივრად ვიცი, რა ხდება იქ.

— დედამიწა სხვაა. ჩვენ იმას ვწვდებით, ვსინჯავთ. ზეცა კი იმდენად მიუწვდომელია ჩვენთვის, რომ ვერავინ გაიგებს მის საიდუმლოებას.

— ის მხოლოდ შენისთანებისათვის არის მიუწვდომელი და თქვენ რომ ეს გაიგოთ, ამისათვის უნდა წაიკითხოთ დიდი და სქელი წიგნები.

— წამიკითხავს ეს შენს მიერ მოწოდებული თხზულებანიც. მაგრამ ჩემი საკუთარი შეგრძნება, ჩემი საკუთარი გუმანი უფრო მეტს მეუბნება, ვიდრე ის „დიდი და სქელი" წიგნები.

— შენი გუმანის უფრო გჯერა, ვიდრე იმ ადამიანებისა, რომლებიც წლობით შრომობდნენ?

— ჰო, მე ჩემი უფრო მჯერა, — წარმოვთქვი ბავშვური სიჯიუტით და, ჩემში აღძრული უსიამოვნების გრძნობა რომ როგორმე გამექრო, თაიგულის ფურცლებს შეუბრალებლად ვწეწდი.

— რას ერჩი ყვავილებს? იმათ შენთვის არაფერი დაუშავებიათ, — წარმოთქვი ღიმილით და ჩემ მიერ მოცემული ლურჯი ყვავილი ხალათზე დაიმაგრე.

— თამაზ, რას უზიხარ? წავიდეთ იქ, ზევით, აი, იმ მთაზე და მზის ჩასვლას ვუყუროთ, — გაისმა ხმა და მეც დავინახე მაღალი, წითელკაბიანი ქალი, რომელიც ერთ ჩემ ნაცნობ ახალგაზრდა კაცს ხელგაყრილი მიჰყვებოდა.

— დაღლილი ვარ და იქ ასვლა არ შემიძლია, — მიუგე და ქალის გამოწვდილი ხელი ზანტად ტუჩებთან მიიტანე.

— უკეთესია თქვა, რომ ჩემთან წამოსვლა არ გინდა. — საყვედურით მოგმართა ქალმა.

— პირიქით, თქვენთან წამოსვლა სასიამოვნოა, მაგრამ ახლა მართლაც არ შემიძლია, უნდა მაპატიო, შურა.

— კარგი, სამაგიერო სასჯელს ხვალ მიიღებ, ახლა კი მოვიტაცებ აი, ამ ყვავილს. — ამ სიტყვებით ის დაიხარა, ყვავილი ამოგაცალა და თავის თანამგზავრთან ერთად აირბინა აღმართი. შენ შემობრუნდი და ალმაცერად დაუწყე ცქერა მის შემრგვალებულ თეძოებს.

— რად მიეცი ჩემი ყვავილი? — შეგეკითხე მრისხანედ.

— ხომ დაინახე, რომ არ მიმიცია.

— არც წინააღმდეგობა გაგიწევია.

— ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ვერც მოკასწარი წინააღმდეგობის გაწევა.

— სტყუი! — წამოვიძახე და ფეხი გაბნჩხლებით მიწაზე დავკარი.

— არა, ლიანა, არ ვტყუი, მაგრამ ეს ეჭვიანობა ძალიან გიხდება. მე შენ ასეთი მომწონხარ.

— შენ ყოველგვარი სისაძაგლე მოგწონს, მაგრამ აქ ეჭვიანობა კი არა, წყენა და გულის ტკივილია. ეს ქალი ხომ შენს საცოლედ ითვლებოდა? რა მოხდა შემდეგ თქვენ შორის?

— გულგრილობა შემწამა და სხვაზე, ჩემზე უფრო მდიდარ კაცზე გათხოვდა, მეც ჩინებულად გადავიტანე ეს ღალატი და აქ ერთმანეთს ისე შევხვდით, როგორც ძველი ნაცნობები.

— ეს ქალი ისე გეთამაშება, რომ არ მომწონს.

— მე კი არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, დაე, მოიგონოს წარსული.

— თამაზ... ნახვამდის. მინდა დღესვე წავიკითხო ეს ჟურნალი.— საჩქაროდ დაგშორდი, ორი წლის განმავლობაში ეს პირველი დღე იყო, რომ შენზე ფიქრის სურვილი დამეკარგა.

XIII

წავიკითხე შენი „პატარა წერილები დიდ საკითხებზე", გაოგნებული ვიჯექი ერთ ადგილას. ფიქრები შავი ჭიანჭველებივით აირია ჩემ სულში და მეც, შენ მიერ ასე მწარედ მოტყუებული, რწმენაშერყეული, მხოლოდ ერთმა სურვილმა შემიპყრო — რაც შეიძლებოდა ჩქარა მენახე, მეთქვა ჩემი უკანასკნელი სიტყვა და მოგშორებოდი, სამუდამოდ მოგშორებოდი. შენც არ დაიგვიანე, თორმეტ საათზე ჩვეულებრივად გამოიარე ჩემი სახლის წინ, შორიდან მხიარული სალამი მომეცი და გაეშურე მთის მაღალი მწვერვალისაკენ, სადაც ჩვენ ამას წინათ ვისხედით. რამდენიმე წამის შემდეგ მეც იქ ვიდექი და მკაცრი თვალებით შეგყურებდი.

— ვიცოდი არ მოიწონებდი ჩემს ნაშრომს, — წამოილაპარაკე დარცხვენით და ჩემს მიერ მტვერში დაგდებული ჟურნალი ხელში აიღე.

— შენ მეტიც იცოდი. შენ იცოდი, რომ მე დავგმობდი მას და მიუხედავად ამისა, მაინც დააბეჭდვინე. ჩემთვის რომ გეკითხა, არ მოგცემდი ამ უზნეო ნაწარმოების გამოქვეყნების ნებას.

— მე კი მაინც გამოვაქვეყნებდი.

— რომ მეთხოვა, რომ შეგვედრებოდი?

— ჩემო კარგო, შენი თხოვნით შემიძლია ხალათი გამოვიცვალო, გაგეგზავნო სადმე, მოვკლა კიდეც ვინმე, თუ ეს შენთვის საჭირო იქნება, მაგრამ წლობით შემუშავებულ რწმენას ვისიმე თხოვნით ვერ გამოვიცვლი და შენც უნდა გესმოდეს, რომ ასეთი თხოვნა სრულიად ბავშვური და მიუღებელია.

— მაშ, იარე მაგ შენი რწმენით და ნახე, სადამდის მიგიყვანს. ეპიკურეს ღირსეულ მოწაფეს და ოტო ვეინინგერის მოტრფიალეს მომავალი არ ექნება.

— მაშ, ვის ექნება მომავალი? ვინც წარსულს მისტირის და ცაში ღმერთებს დაეძებს?

— არც ის არის საამაყო, რომ შენი ღმერთი დაჰკარგო და ამქვეყნად არავინ და არაფერი არ იწამო.

— მე მაქვს ჩემი რწმენა.

— რომლითაც მოუწოდებ ხალხს: „შემოიძარცვონ სამოსელი და ნუ იფარავენ ღვთაებრივ ნაკვთებს". შენ გმობ ზომიერსა და ნორმალურ ცხოვრებას. გმობ ყოველგვარ სიწმინდეს და ადამიანის ცხოვრების ერთადერთ მბრძანებლად გრძნობას აღიარებ. სად იყო შენი გონება, როცა ამას წერდი?

— გონება არის ის — რაც არ უნდა ყოფილიყო.

— სინდისი?

— სინდისი და მხდალობა არსებითად ერთი და იგივეაო, ამბობს ოსკარ უაილდი და მეც ვეთანხმები მას.

— მორალი?

— მორალი უზნეო ადამიანების მოგონილია. გაიხსენე წარსული საუკუნის მორალისტები, თუ როგორი გარყვნილი და ზნედაცემულები იყვნენ. მე კი მხოლოდ ბუნებრივობას ვქადაგებ. ბუნებრივობა და სრული თავისუფლება, — აი ჩემი დევიზი.

— ქართველ ხალხს ჯერ ისე არ დაუკარგავს გონება, რომ მიბაძონ ადამიანებს, რომლებიც ოდესღაც გარყვნილობის მორევში ახრჩობდნენ, როგორც თავის ქვეყნის უდიდეს კულტურას, ისე ნიჭსა და შემოქმედებას. ბუნებრივობას ვქადაგებო, ამბობ,

მაგრამ ბუნებრივობას ზნეობა და თავდაჭერილობა უნდა ახლდეს თან, თუ არ გვინდა პირუტყვებს დავემსგავსოთ.

— ნუთუ გგონია მაგ შენი დიდი თავდაჭერილობით რაიმე შთაბეჭდილებას ახდენ? პირიქით, ეს თავის დაჭერაა, რომ კლავს შენში ქალურობას, სინაზეს. ბუნებამ თავისუფალი და მშვენიერი შეგქმნა. ოჯახმა, აღზრდამ და ტრადიციამ კი სრულიად გარდაგქმნა და დაგამახინჯა. შენში არის ტემპერამენტი, არის ვნება. შენი ალერსით შეგიძლია ნეტარება განაცდევინო საყვარელ მამაკაცს. მაგრამ ამის ნაცვლად თვითვე ჰკლავ შენს საკუთარ ბუნებას, რკინის ცივ არტახებით ახრჩობ ბუნებრივ სურვილებს და აწამებ ადამიანს, რომელსაც მეგობარს უწოდებ, მე მაბრაზებს ის აბრეშუმის ძონძები, რომლებიც დაგიხვევია ირგვლივ, მე მინდა შემოგაგლიჯო ისინი და ერთხელ მაინც გიხილო შენი ნამდვილი სახით, გიხილო... შიშველი. — ამ სიტყვებით ორივე ხელით წამოიწია ჩემკენ და შენს თვალებში გიყურო, თავდაუჭერელი სურვილი აინთო.

— არ მახლო ხელი, ხელი არ მახლო, თუ არ გინდა, აი ამ კლდიდან გადავიჩეხო. გეფიცები, რომ ამას ვიზამ, — წარმოვთქვი და უეცრად შევდექი იმ მაღალ წვეტიან ქვაზე, რომლის გადაღმა მოჩანდა ჩაშავებული ნაპრალები.

ჩემს სიტყვებში ისეთი მტკიცე გადაწყვეტილება, ისმოდა, რომ უნებურად უკან დაიხია.

— ასეთი მოქმედება ყოველგვარ გატაცებას ჰკლავს, ასეთი გულცივობა შეშურდებოდა თვით უწმინდეს ვესტალკასაც კი. შენ გრძნობა არა გაქვს და მეც...

— და თქვენ დღეიდან თავისუფალი ხართ. შეგიძლიათ წახვიდეთ, სადაც გინდათ, იცხოვროთ, როგორც გინდათ, შეიყვაროთ, ვინც გინდათ. ჩვენი ცხოვრების გზები ერთმანეთს საბოლოოდ დაშორდა და ამიერიდან ვერაფერს იტყვით ჩვენს სულიერ ნათესაობაზე. წაბრძანდით თქვენს ყოფილ საცოლესთან, რომელიც ლამით დასეირნობს ნაძვნარში და ყმაწვილებთან ერთობა. თქვენ მშვენივრად გაუგებთ ერთმანეთს.

— ნუ ეხუმრები ჩემს გრძნობას, ლიანა, მეც შემიძლია პოთმინება დავკარგო.

— სრულებით არ მიფიქრია ხუმრობა. მიყვარდი, სანამდე

ნიღაბი ჰფარავდა შენს სახეს, მაგრამ დღეს გაშიშვლდი. და მეც ნახული სიმახინჯით დამფრთხალი, მივდივარ სამუდამოდ.

— კარგი, მეც წავალ, მეც შემიძლია წავიდე. მაგრამ არ იფიქრო, ისევ-დაგიბრუნდები. იქნებ გგონია, რომ ჩემში არ არის სიამაყე, არ არის თავმოყვარეობა. მშვიდობით ბრძანდებოდეთ ქალბატონო, — წარმოთქვი ეს სიტყვები ცივად და დაღმართი აუჩქარებლად ჩაიარე.

მე დაგინახე, როგორ შეუერთდი გაღმა მოსეირნე ხალხს, როგორ მიხვედი შურასთან და მასთან ერთად სადღაც მიიმალე.

შემოვბრუნდი. ქვაზე ჩამოვჯექ და დიდხანს გავყურებდი წყალგაღმა გორაკზე დაფენილ ნაძვ-ფიჭვნართა გროვას, თოვლის ნაგლეჯებით მიმოფენილ აზიდულ მთებს, კლდიდან ჩამოწყვეტილ ნაკადულებს და, როცა ავდექი, ვიგრძენი, რომ ჩემს გულში ანთებული კოცონი უკვე ჩამქრალიყო და იქ სრული მყუდროება, სიცივე და სიცარიელე სუფევდა...

XIV

ეძიებდეთ და ჰპოვებდეთო, — ამბობს სახარება.

ტყუილია!

რაც თავი მახსოვს, მას შემდეგ მუდმივ ძიებაში ვარ. რაც თავი მახსოვს, მას შემდეგ ვნატრულობ და ვეძებ ადამიანს, ადამიანს სრული ადამიანური ღირსებით, ვნატრულობ და ვეძებ ისეთ ვინმეს, რომელიც სიყვარულის ექსტაზით აანთებდა ჩემს სულს და ერთი შეხედვით ააფეთქებდა ჩემში ქალს, მუდმივ მთვლემარე ქალს.

ძლიერი და კეთილშობილი სულის პატრონი — აი, ვის ვეძებ მე. და თუ ასეთი არ იქნება, სულ ნურავინ ნუ იქნება! ჩემი თვალები ხშირად მიუპყრია რომელიმე ყმაწვილის სიმპათიურ სახეს და მიფიქრია, რომ ის იყო საგანი ჩემის ძიებისა, მაგრამ გასულა დღე, კვირა, თვე და მეც წინააღმდეგში დარმწუნებულს, გულგრილად შემიქცევია ზურგი მისთვის და ჩამქრალი გრძნობით ისევ დამიწყია ოცნება მიუწვდომელსა და არარსებულზე.

რად ხდება ასე? ნუთუ მართლა იმდენად მონა ვარ ტრადიციის, ან იმდენად მხდალი ვარ, რომ ვერ გამიბედნია დავეწაფო და დავცალო ის თასი, რომელშიაც ახალგაზრდობის დამათრობელი შარბათი ასხია? არა, მე არც მონა ვარ და არც გაუბედავი, მაგრამ რა ვქნა, თუკი ვერ ვპოულობ ადამიანს, რომელიც ღირსი

იქნება ნამდვილი სიყვარულისა, რომელსაც დაუნანებლად და სიამაყით ვაჩუქებდი ჩემ ქალურ სინაზეს. არ არის ის, არ არის და მეც მარტოობაში ვაჭკნობ სიცოცხლის ყვავილს და თანდათანობით ვანელებ იმ ცეცხლს, რომელიც ჩემს სხეულში იწვის და იფერფლება.

დრო კი მიჰქრის, მიჰქრის და ახალგაზრდობაც შეუმჩნევლად მისხლტება ხელიდან. შეუმჩნევლად იტვირთება წელთა რაოდენობით. ოცდაშვიდი წლის თავზე შვიდი თეთრი თმა ჩაეხლართა ჩემს თმას, შვიდი, ოდნავ შესამჩნევი ნაოჭი შეიმჩნა ჩემს სახეზე.

სადა ხარ, შენ, სანატრელო, რომელიც გაზაფხულის დაუსრულებელ დღეებში და იანვრის გაუთავებელ ღამეებში ზღაპრული რაინდივით მევლინები. სადა ხარ, რატომ არ მოდიხარ ჩემთან, რომ შემიმსუბუქო აუტანელი გრძნობა მარტოობისა, რომ მაჩუქო სიხარული სიყვარულის განცდისა, მაჩუქო აღტაცება თანაგრძნობისა და ბედნიერებისა?! სად გეძებო, სად?..

ძვირფასო! მე არ ვიცი, სადა ხარ შენ, მაგრამ თუ სადმე არსებობ, მოდი, მე არ ვიცი, სად გიპოვო, მაგრამ თუ კვლავ ცოცხალი ხარ, გამოეშურე ჩემკენ, ალბათ, შენც არ გასვენებს სევდა მარტოობისა, სევდა სიცარიელისა.

მოდი, ფიქრებით დაქანცულ თავს დავასვენებ შენს ვაუკაცურ მკერდზე და სიყვარულის ფერადი ყვავილებით მოგიფენ გზას, რომელიც ჩემამდე მოგიყვანს.

XV

ნაძვნარში ჩვეულებრივი ყიალის დროს წავაწყდი გერას და მის ამხანაგს — ლევანს. ამ ყმაწვილმა გერასთან ერთად დაამთავრა საშუალო სასწავლებელი და იმავე წელს წავიდა გერმანიაში. პოეტი, ესტეტი, და საზოგადოდ ნიჭიერი ახალგაზრდა არ ივიწყებს თავის სკოლის ამხანაგს და მათ შორის ისეთი კარგი განწყობილებაა, რომლის მსგავსს იშვიათად თუ შეხვდებით ჩვენს დროში. ისინი ზურგშექცევით დგანან, ვერ მამჩნევენ და განაგრძობენ საუბარს, რომელიც კანტიკუნტად სწვდება ჩემს ყურს.

— ძალიან კარგია, რომ საქართველოში ჩამოხვედი. უშენოდ ვერ შევძლებდი ამ დიდი საქმის მოგვარებას. მინდა მადლობა გითხრა, რომ...

— არა, გერა, ეს არ არის საჭირო. ის, ვინც სიკეთისათვის მადლობას მოითხოვს, აქარწყლებს გაკეთებულ საქმეს. კარგ საქმეს არც ქება სჭირდება, არც მადლობა. ის თავისთავად ამაღლებს და აკეთილშობილებს ადამიანს. რაც შემეხება მე, შენ აზვიადებ. მართალია, წელს არ ვაპირებდი აქეთ წამოსვლას, მაგრამ ამ უკანასკნელად, შენი წერილების მელანქოლიური კილო სერიოზულად მაფიქრებდა, და მეც გადავწყვიტე მენახე, რაიმე გავლენა მომეხდინა შენზე და ბოლო მომეღო იმ მარტოობისათვის, რომელიც დაღუპვას გიქადდა. მიზანს მივაღწიე და მეც საშინლად კმაყოფილი ვარ, რომ გათავდა შენი ყოყმანი, რამდენიმე კვირა და ჩვენ გავემგზავრებით შორეულ უცხოეთში, უკან დაგრჩება ყველაფერი, რაც აქ გაწუხებდა და რასაც ვერ ერეოდი.

— როგორც იქნა შესრულდა ჩემი ოცნება, მაგრამ...

— რა მაგრამ?.. ვგონებ, არც კი გახარებს ის. რაღაც ბუნდოვანი ჩრდილები გამუდმებით უვლის შენს სახეს და თვალებშიც, თითქოს, სამუდამოდ ჩამქრალა ახალგაზრდობის ის გიჟური ცეცხლი, რომელიც განსხვავებდა ყველასაგან. დღეს სრულიად შეცვლილი მეჩვენები და ვერ გამიგია, რა არის მიზეზი შენი სიდინჯისა. მართალი რომ ვთქვა, ასეთი უფრო მომწონხარ, მაგრამ ნამდვილი მიზეზის გაგება მაინც მწადია.

— ლევან, გთხოვ, ნურაფერს მკითხავ ამის შესახებ...

— რატომ არაფერს მეუბნები, გერა, მე ხომ შენი მეგობარი ვარ?

— ხარ, და სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ჩემში ისევ არის სურვილი სიცოცხლის, სურვილი მეცადინეობის. არ მინდა ვილაპარაკო იმ გრძნობაზე, რომელიც მინდა დავძლიო, დავძლიო ჩუმად, უხმაუროდ. ამაში დამეხმარები შენ, სერიოზული შრომა და უცხოეთი.

— ჰო, როგორც ვხედავ, დროზე მომისწრია შენთვის. გერმანია ეს ისეთი ქვეყანაა, სადაც მელანქოლიას ყველაზე ნაკლები ყურადღება ექცევა. ნახვამდის, გერა, შენ აქ დარჩები?

— აქედან მე ისევ წავალ კარავში. დღეს მოვა ახალი მეპატრონე და საქონელს ჩაიბარებს. ნახვამდის, ლევან, სადამოს ისევ ვნახავთ ერთმანეთს.

ამ ამბავმა ჩემზე რაღაც გამაბრუებლად იმოქმედა. გამახარა გერას ამბავმა და გადავწყვიტე, რამდენიმე თბილი, ალერსიანი

სიტყვა მეთქვა მისთვის. მივუახლოვდი, ხელში სურათი ეჭირა და ისეთი სახით დაჰყურებდა, როგორც გათხრილ სამარეს დაჰყურებენ ხოლმე, სადაც უნდა ჩაუშვან ცხედარი საყვარელი ადამიანისა.

შეკრთა, სურათი ხელიდან გაუვარდა და გაფითრებული შემომაცქერდა.

— ჩემი სურათი! — წამოვიძახე გაკვირვებით და მის ფეხებთან დაგდებული სურათი ხელში ავიღე.

— ჰო, თქვენი სურათი, რომელიც მოიტაცეს თქვენი ოთახიდან და... რომელსაც ამაოდ დაეძებდით.

— მაკვირვებს თქვენი ხასიათის სიკერპე. გერა, მას შემდეგ შვიდი წელიწადი გავიდა.

— და მიუხედავად ამისა, როგორც ხედავთ, აქამდე მომყვა ეს გრძნობა.

— მე სრულიად არ ვცდილვარ, რომ ის აღძრულიყო თქვენში.

— პირიქით, ყოველივე ღონე იხმარეთ, რომ ჩაგექროთ, ისიც კი მახსოვს, როგორ დამითხოვეთ სახლიდან.

— ძალიან ცუდი მეხსიერება გქონიათ. ეს არასოდეს არ ყოფილა.

— აშკარად და პირდაპირ არ მოგიმართავთ, მაგრამ მაშინდელი თქვენი მოქმედება სხვაგვარად არ შეიძლებოდა ახსნილიყო.

— მე მოვიქეცი ისე, როგორც უნდა მოვქცეულიყავ. მოვიქეცი ისე, როგორც ამას საჭიროდ ვხედავდი.

— საყვედურს ვერ ვიტყვი. თვითვე დავაშავე, რომ თქვენთან სამხატვრო გაკვეთილების მისაღებად დავიწყე სიარული.

— და როდესაც ვიგრძენი, რომ სულ სხვა რამე გიზიდავდათ ჩემკენ...

— მე ხომ მუდამ ისეთი თავდაჭერილი და მოკრძალებული ვიყავი, როგორღა გაიგეთ ეს?!

— მართალია, მაგრამ ერთ დღეს თქვენ თვითონ უნებურად გამომაღავნეთ ეს გრძნობა. როგორც მახსოვს, მაისის უკანასკნელი რიცხვები იყო. ჩემს ოთახში ვიჯექი და წიგნს ვკითხულობდი. ამ დროს თქვენ შემოხვედით და საჩუქრად ლამაზი ჩიტი მომიყვანეთ, რომელიც იმ დილით შემთხვევით დაგეჭირათ. საბრალო ფრინველი დამფრთხალიყო, თრთოდა, ტოკავდა და ცდილობდა

როგორმე განთავისუფლებულიყო. მივუალერსე, პაწია, ყვითელ ნისკარტზე ვაკოცე და ღია ფანჯრიდან გავაფრინე, როდესაც შემოვბრუნდი, თქვენ ისეთი ანთებული სახით და აფეთქებული თვალებით მიცქერდით რომ...

— გაწითლდით კიდეც და მეორე დღეს გამომიცხადეთ, რომ უდროობის გამო ჩემთან მეცადინეობა არ შეგიძლიათ.

— მიზეზი მარტივია. არ მსურდა ამ პაწია გატაცებას სერიოზული ხასიათი მიეღო და თქვენს წყენას არ დავერიდე.

— სიფრთხილემ არ გასჭრა. პირიქით, ის უფრო გაიზარდა. უფრო გაღრმავდა.

— რაც უეჭველად სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, ეს გრძნობა ძლეული იქნება. უნებური მოწამე ვიყავ თქვენი ლევანთან საუბრის და გამოუთქმელად მახარებს ის აზრი, რომ გერმანიაში აპირებთ წასვლას.

— მეც გამახარებდა ის, რომ თქვენ... საქართველოში არ რჩებოდეთ.

— გერა, მე თქვენ ძმასავით მიყვარხართ.

— სიყვარული, რა სახისაც არ უნდა იყოს, მაინც სიყვარულია. მე ვღებულობ მას, მაგრამ თქვენ... სტყუით... ნუ ღელავთ, მე დავამტკიცებ ამას.

— როგორ შეგიძლიათ დაამტკიცოთ?

— არა მყავს დედა, მამა, მოზრდილი და და ისე მივდივარ სამშობლო ქვეყნიდან, რომ ერთი ალერსიანი სიტყვა, ერთი მშობლიური ამბორიც კი არ მიმყვება თან. ძმასავით მიყვარხართო, ამბობთ, და იმის უფლებას კი არ მაძლევთ, მოგიახლოვდეთ. ძმასავით მიყვარხართო, მეუბნებით, და იმის სურვილი კი არ გაქვთ, დამემშვიდობოთ ისე, როგორც მოსიყვარულე და დაემშვიდობება შორეულ ქვეყანაში მიმავალ ძმას.

დავფიქრდი, გერას სიტყვები ჭეშმარიტად მეჩვენა და გადავწყვიტე, მისი სურვილი შემესრულებია. მივუახლოვდი, მარჯვენა ხელი მხარზე დავადე და სუფთა, პატიოსანი თვალებით დაბლიდან მაღლა ავხედე.

— ლიანა, — წარმოთქვა მან ისეთი სინაზით, რომ უნებურად შემარყია.

— გაკოცებთ, გერა. დე, ეს იყოს ამბორი თქვენი მიცვა-

ლებული დედის. — ამ სიტყვებით ფეხის წვერებზე შევდექ და მზისაგან ატრუსულ შუბლს ტუჩი შევახე.

ჩემს მიახლოვებაზე უცნაურად შედრკა, თვალი დახუჭა და მისი სახე ისეთი თეთრი და უსისხლო გახდა, როგორც ქვისაგან გათლილი ქანდაკება. შემებრალა, მივუალერსე მის გიშრისფერ თმას და ვთხოვე, აღარასოდეს ეფიქრა ჩემზე. შეკრული შუბლი მძიმედ გახსნა, დაბინდული თვალებიდან შეგუბებული ვნების ნაპერწკლები გადმოყარა და ყრუდ, თითქმის თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ეს ჩემი საქმეა და თქვენც ვერ ამიკრძალავთ ფიქრს.

— არ მინდა თქვენი შეწუხება.

— ამ წუხილშიც არის თავისი სილამაზე. მე განვიცადე სურნელება თქვენი სუნთქვის, სითბო ტუჩების, მშვენიერება ალერსისა და ამ წუთებმა სრულიად გამოისყიდა შვიდი წლის წამება. მიყვარხართ, ლიანა, მიყვარხართ პირველი, დიდი, ნამდვილ სიყვარულით და თუ ამ გრძნობის მსხვერპლი გავხდები, მიტირეთ მაინც.

— კმარა, მე ვხედავ, თქვენზე არც წმინდა მშობლიური მოფერება მოქმედებს და არც მეგობრული რჩევა-დარიგება. მშვიდობით, გერა! — წარმოვთქვი წყენით და ის იყო უნდა შევბრუნებულიყავი, რომ ჩემი თავი მის გულთან ვიგრძენ, განწირული სულისკვეთებით მომხვია ორივე მკლავი და გიჟური თავდავიწყებით დაუწყო კოცნა ჩემს თვალებს, შუბლს, ყელს. ასე მეგონა, ვულკანური ცეცხლის ტალღებში ვეხვეოდი. ვხედავდი, ეს გიჟი ადამიანი თავისი გიჟური ალერსით საპასუხო გამოძახილს პოულობდა ჩემს სულში და როცა მისი ტუჩები ჩემს მხრებს შეეხო, ვგრძნობდი, თავბრუ მეხვეოდა.

— თავხედო ბავშვო! შენ იცი, რომ ეს... ძალდატანებაა! — სუნთქვაშეკრულმა ძლივს წარმოვთქვი და ვცადე თავი დამეღწია მისი მკლავებიდან. მიუხედავად იმისა, რომ მთელი სხეულით თრთოდა, მორჩილებით დაუშვა მკლავები და შეეცადა უეცრად ამოხეთქილი ვნება როგორმე შეეკავებია.

ნაძვისა და ფიჭვის ტოტებს ნიავი არხევდა. ყვავილებს მომხიბლავად აეფერადებინა მინდვრები, წყალვარდნილები გიჟური ღრიალით სხლტებოდა სალი კლდის ხვეულებში, ყვითელი პეპლები სიფრიფანა ფრთებით დაქროდნენ გარშემო, ჩვენ კი მოშორე-

ბით ვიდექით და ისე შევცქეროდით ერთმანეთს, როგორც ორი გაბოროტებული მოწინააღმდეგე ჩახმახის დაკვრის წინ. მე მაშფოთებდა ჩემი გრძნობების აფეთქება, მას კი ჩემი გაუტეხელი ნებისყოფა, ჩემი სიცივე და სიამაყე.

მომიახლოვდა.

— რა გნებავთ? — ვიკითხე მე და უკან დავიხიე.

— ნუ გეშინიათ. იმდენად არ დავეცემი, რომ შეურაცხყოფა მოგაყენოთ. ეს იყო ჩემი სიყვარულის პირველი და უკანასკნელი ზეიმი. დღეიდან მე შემიძლია ასი წელიწადი ვიცოცხლო და ამ ასი წლის განმავლობაში ბედნიერი ვიყო ამ წუთის მოგონებით. მშვიდობით, ლიანა, თუ ოდესმე დაგჭირდეთ მეგობარი, დაგჭირდეთ სიცოცხლე ადამიანისა, მომიგონეთ და დამიჯერეთ, მე სიხარულით მოვკვდები თქვენთვის. მაპატიეთ, რომ ყაჩაღივით მოვიტაცე თქვენი ალერსი და ასევე ყაჩაღურად მინდა ხელმეორედ წავიღო ეს სურათიც. — ამ სიტყვებით ერთხელ კიდევ მომხვია მკლავები, ერთხელ კიდევ დასწვა ჩემი სახე მხურვალე ალერსით და როცა გონს მოვედი, ხელში სურათი აღარ მეჭირა, გერაც მთვარეულივით ბარბაცით ჩადიოდა დაღმართს.

XVI

სრულიად განვმარტოვდი. არავინ მაინტერესებს, არავის ვაინტერესებ.

საზოგადოება არ მიყვარს, გასართობები მეჯავრება, ნაცრობ სახეებს გვერდს ვუვლი. ვგრძნობ, დღითი დღე იზრდება ის უფსკრული, რომელიც გაითხარა ჩემსა და ხალხს შორის და ამ უფსკრულის გამოღმა მხარეს დარჩენილს არც კი მენანება ეს. რად მინდა ისეთი ადამიანები, რომლებიც უფრო აღრმავებენ ჩუმს სევდას? რად მინდა ისეთი მეგობარი, რომელთანაც არაფერი მაქვს საერთო?

ვისაც მარტოობის ეშინია, მას საქმე არა აქვს.

ვისაც მარტოობა მობეზრებია, მას მუშაობის ხალისი დაუკარგავს.

ვინც მინდა, ის ჩემთან არ არის. ვინც არ მინდა, მე მისთვის არ მცალია.

მარტოობაში უფრო ძლიერი ვარ, უფრო ამაყი, უფრო დამოუკიდებელი და სრულიად არ მწყინს, რომ არავინ მამჩნევს,

არავინ მიცნობს, არავის ვუყვარვარ. სამაგიეროდ მე მიყვარს ყველა პატიოსანი და გულწრფელი ადამიანი, მაგრამ იშვიათად მინახავს ასეთი ვინმე. მიყვარს დაჩაგრული მშრომელი ხალხი, მაგრამ... არაფერი გამიკეთებია მათთვის. სოციალიზმი, კომუნიზმი, რევოლუცია, — აი, რა მესმოდა 1905 წელს და იმ დროს იმდენად ბავშვი ვიყავ, რომ არც გამეგებოდა მათი მნიშვნელობა. წამოვიზარდე, ყველაფერი გავიგე, მაგრამ იმდენად მაინც ვერ გამიტაცა, რომ მას ჩემში ბრძოლისა და მოქმედების სურვილი აღეძრა, ის გზა ჩემზე უფრო ძლიერებს დავუთმე და ცის შემყურე ვერც კი ვამჩნევდი, რა ხდებოდა აქ, დედამიწაზე. რევოლუცია ისე ახმაურდა ჩემს სულში, როგორც უეცრად აფეთქებული ზარბაზნის ტყვია. რეტი დამესხა, გამაბრუა, აღმაფრთოვანა.

გაიარა პირველმა დღეებმა.

სოციალიზმისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანები გიგანტური ნაბიჯით მიდიან წინ, გრიგალებისაგან დასეტყვილ გზებზე ბევრი იმარჯვებს და ბევრიც იღუპება.

მოკლეა ჩემი ნაბიჯი და უსუსური ჩემი ძალ-ღონე. ვგრძნობ, ვერ გავყვები თავისუფლებისათვის მებრძოლ ადამიანებს და ამ გზაზე წამონაქროლი ნიავიც კი გამანადგურებს.

არსებობს კიდევ ერთი გზა, ეს გზა ხელოვნების ტაძრისაკენ მიდის.

მეც ვადგები ამ გზას და ვეფარები ამ ტაძარს.

ხელოვნება, ეს ოქროსქოჩრიანი, ჰაეროვანი ფერია, თავისი სათუთი, ნაზი შეხებით ანელებს მწუხარებას, თავისი სათუთი, ნაზი სუნთქვით იძლევა სითბოს, ალერსს.

ერთადერთი ხელოვანია, რომლის სიცოცხლე სჭირდება ხელოვნებას და ეს მოთხოვნილება იმდენად სამართლიანი, სასიამოვნო და მისაღებია, რომ არც ერთი ჭეშმარიტი ხელოვანი უარს არ იტყვის ამაზე.

აგარაკზე ვარ. ერთ ვეებერთელა, თითქოს საგანგებოდ ათლილ ლორფინოზე ვზივარ. ტანწვრილ, ახალგაზრდა ნაძვს მარაოსავით გაუშლია ტოტები და მზრუნველობით მიფარავს მზისაგან. ვაცოდვილებ ფერადებს, ხის პატარა ქარგაზე ვჭიმავ ტილოს და ვცდილობ, უნაკლოდ გადმოვიღო აი, იმ ფერდობებზე მწყობრად შეფრქვეული ფიჭვნარის ტყე და ის ობოლი, მარტოხელა აკაციის

ხე, რომელიც ტყის მწვერვალზე წამომდგარა და ამაყი დედოფალივით დაჰყურებს აგარაკის ყვავილოვან კალთებს. მიყვარს, ო, როგორ ძალიან მიყკარს ეს ხე! ის ისეთი ნაზი და კოხტაა, როგორც ულამაზესი ასული კოლხეთისა.

რამდენიმე ვერსი ამოვიარე, რათა მენახა ის. რამდენიმე ვერსი გადმოვლახე, რათა განმეცადა მისი სიახლოვე. ალერსით მოვხვიე ორივე მკლავი და ისე მხურვალედ ვეამბორე, როგორც ეამბორებიან ხოლმე დიდი ხნის უნახავ მეგობრებს.

ჩემი სულივით უცნაურობ, ნაღვლობ, ეულობ.
შრიალებ სევდით, რომ თვისტომი გვერდით არ გახლავს,
უცხოთა შორის უცხოდ მდგარო, უცხოდ წვეულო,
ამაყი რხევით ნეტავ რაზე ოცნებობ ახლა?!
ვით არ ვიცი მე, რად მარგუნა ბედმა წამება,
ვით არ ვიცი მე, რად მივყვები ცხოვრების სრბოლას,
ვერც თუ შენ მეტყვი რად გაგწირეს წინაპარებმა
-და ამ მწვერვალზე რა შემთხვევამ გადმოგისროლა?!

ვეჩურჩულები აკაციას და ფრთხილად გადმომაქვს ტილოზე მისი ტოტები, ყვავილები. მინდა სრულვყო მისი სილამაზე, სინაზე, მშვენიერება, მაგრამ... ხალხი უახლოვდება ამ ადგილს. მუშაობა შეუძლებელი ხდება. ვეფარები გამოქვაბულივით წამოხრილ ქვას და მაღალ სურნელოვან ბალახებში პირაღმა გაწოლილი ვნებივრობ მზეზე, ვნებივრობ სითბოზე და ყვავილებზე.

ჩემი სახელი მესმის. საინტერესოა. დავუგდოთ ყური:

— რა მშვენიერი სანახაობაა.

— მართლაც, რომ იშვიათი სურათია და ახლა რომ აქ ლიანა იყოს, უეჭველად გაშლიდა ტილოს.

— როგორ გაველურდა ამ უკანასკნელად ეს ქალი. თამაზ, თქვენ არ იცით ამის მიზეზი?

— არც მაინტერესებს.

— თუკი წინათ გაინტერესებდათ?!

— ყველაფერზე ადრე მამაკაცს ქალი სწყინდება, მეც მომწყინდა... მუდამ ფერადი ტალახით დათხუპნილი თითები.

— თამაზ, მე ოდესღაც პატიოსანი კაცი მეგონეთ, — მესმის ლევანის ხმა. — როგორ შეიძლება ასე ლაპარაკი იმ ქალზე, რომელიც ოდესღაც გიყვარდათ.

— ტყუილია, მე ის არასოდეს მყვარებია.

— ნებას მაძლევთ წინააღმდეგში დავარწმუნო ეს საზოგადოება?

— თუ შეიძლებთ...

— ეს იყო გასულ წელს, ლიანამ მთელი დღე ჩემს ნათესავ ქალთან დაჰყო. შემთხვევით მეც იქ დავრჩი. ღამით ორივემ მივაცილეთ ის სახლამდის. სამუშაო ოთახში სურათებს ვსინჯავ-დით, რომ ამ დროს შემოვიდა მისი ამხანაგი ქალი, რომელთანაც ცხოვრობდა და უთხრა: დღეს ზურაბიძემ ხუთჯერ გიკითხათ და უკანასკნელად ეს ბარათი დაგიტოვათო. ლიანამ გულგრილად გადახედა ბარათს, მხრები აიჩეჩა და ამხანაგს სთხოვა: „თუ კიდევ მოვიდეს, უთხარით, რომ მე შინ არა ვარ". „ასე სასტიკად რატომ ექცევით თქვენს მეგობარს"? — ვიკითხე მე. რა საჭიროა ტყუილ-უბრალოდ ერთმანეთის წამება, როდესაც ერთმანეთის არაფერი გაგვეგებაო, — მომიგო მან.

— ალბათ, თქვენმა მეგობარმა გერამ ჩემზე უკეთესად გაუ-გო. მიულოცეთ ჩემს მაგივრად ორივეს.

— მე არ მჯერა ამ ჭორების.

— ეს ჭორი კი არა, სრული ჭეშმარიტებაა, — წარმოთქვა ერთმა მოლაყბე მანდილოსანმა და თან დაუმატა, რომ ნაძვნარში სეირნობის დროს რამდენჯერმე დამინახა გერასთან ერთად.

— როგორ აშკარად ატყუებს ქმარს. საბრალო არჩილი, როგორი პატიოსანი კაცია და ასეთი უზნეო ცოლი კი შეხვდა.

გამეცინა. ამ სიტყვებს ამბობდა ისეთი ქალი, რომელიც თვითონვე ღალატობდა ქმარს.

დაიწყეს კამათი და ჭუჭყსა და მურში ამოსვარეს ჩემი სახელი, განცდა, მისწრაფება და ის საქმეც კი, რომელსაც მე ვემსახურე-ბოდი და რომელიც შეადგენდა ჩემი ცხოვრების უმთავრეს ნიზანს.

— სიყვარული ისეთი ლამაზი და წმინდა გრძნობაა, რომ მასზე უშვერი ენით ლაპარაკი დაუშვებელია, — წარმოთქვა დიდი ხნის დუმილის შემდეგ ლევანმა.

— აი, როგორი საინტერესო მორალისტი გვყოლია! მაშ, გასაკიცხი არ არის ის ქალი, რომელიც დღეს პეტრეს არწმუ-ნებს სიყვარულში და ხვალ პავლეს?

— არა, თუ პეტრე ვერ აკმაყოფილებს მის სულიერ მოთხოვ-ნილებებს; რაც შეეხება იმ ორ ადამიანს, რომელზედაც თქვენ ახლა გაქვთ ლაპარაკი, უნდა მოგახსენოთ, რომ მე მათ მხარეზე ვდგავარ.

— რა მოსაზრებით დგახართ მათ მხარეზე? — იკითხა თამაზმა.

— იმ მოსაზრებით, რომ გერა კეთილშობილი და პატიოსანი ახალგაზრდაა, ლიანა კი თავმოყვარე, განვითარებული და ამაყი ქალი. თუ ის ამბავი მართალია, რასაც ამბობთ, ალბათ, უყვართ ერთმანეთი და სადაც სიყვარულია, იქ გამართლებულია ვნებაც. მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

— ესეც გამოესარჩლა, — წარმოთქვა ბრაზით ერთმა ქალმა, — ალბათ, ახლა ამას ეარშიყება.

სამუშაო იარაღებს ხელი დავავლე და ჩემი საფარი საჩქაროდ მივატოვე.

გაკვირვებული და უხერხული ჩოჩქოლი შეიქნა ქალებში. თამაზის სახეს კი ალმური მოედო და როცა ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ, ნერვიულმა თრთოლვამ ტუჩები მოულრიცა და დამნაშავე ადამიანივით თავი დახარა.

გზა განვაგრძე.

— ლიანა, — მეძახის ერთი.

— ლიანა, — იმეორებს მეორე.

— ამხანაგო ლიანა, — მესმის იმ ქალისაგან, რომელიც ყველაზე მეტს მკიცხავდა.

შევჩერდი, ამაყად შევათვალიერე თვითეული მათგანი და ცივად წარმოვთქვი:

— უკაცრავად, მე თქვენს შორის ჩემს ამხანაგს არავის ვხედავ.

ირონიული ხითხითი და რამდენიმე დამამცირებელი სიტყვა დამაწიეს უკან. აუღელვებლად მოვისმინე ის და უეცრად გადავირბინე ტყის საცალფეხო ბილიკი, რომ ქვევით მიმავალ ლევანისათვის გზა გადამეჭრა.

— ისეთი ციცაბო გადმოლახეთ, რომ მეგონა ტყის ქალი მოდიოდა ჩემკენ, — იხუმრა მან.

— მოწამე ვიყავ თქვენი რაინდული გამოსარჩლებისა და ეს გმირობა მან ჩამადენინა.

— როგორ? თქვენ ყველაფერი გესმოდათ?

— ქვების იქით მხარეს ვიმყოფებოდი და ხომ არ დავიძახებდი: მე აქა ვარ და ჩემზე არაფერი ითქვას-მეთქი. გარშემო ასეთი ხალხი მახვევია და ერთი პატიოსანი ადამიანის აღმოჩენაც კი

საშინლად მახარებს. გმადლობთ, ლევან, იმ ბედნიერებისათვის, რომელსაც განვიცდი ამ წამს.

ჩემს უკანასკნელ სიტყვებზე ლევანმა ბავშვივით გაიღიმა და მის თვალებს ისეთი ნაზი, სათნო და კეთილი გამომეტყველება მიეცა, რომ მე მომაგონდა ნაზარეველის ერთ-ერთი სურათი, რომელიც განსაკუთრებით მომწონდა.

XVII

ამ ამბის შემდეგ გავიდა ერთი თვე და ჩვენც აღარსად შევხვედრივართ ერთმანეთს. დროის უმეტეს ნაწილს ჩემს ოთახში ვატარებდი. ვფიქრობდი სურათის ახალ თემაზე. შენ ისეთ წრეში ტრიალებდი, რომელთანაც არაფერი მქონდა საერთო. მხოლოდ ერთხელ, როცა მე და ჩემი ნათესავი ქალიშვილი ლილი ვსეირნობდით, მოგკარი თვალი, შურასთან ერთად ნაძვნარიდან გამოხვედი და ხელიხელგაყრილნი, ერთმანეთს თვალებში ურცხვად შესცქეროდით. ჩემს დანახვაზე შეკრთი მკვდრის ფერი დაგედო და ორივემ ჩქარი ნაბიჯით გასწიეთ წინ. ზიზღით გადმოვიხედე თქვენკენ და დამშვიდებული გულით განვაგრძე გზა.

— იცი, რას ამბობენ, ლიანა? — შემეკითხა ლილი.

— რას?

— ამბობენ, შურა ქმარს ტოვებს დ თამაზის მიჰყვებაო.

— შესაფერი წყვილია და კარგს იზამენ, თუ ასე მოიქცევიან,— გულგრილად შევნიშნე მე.

— სრულებითაც არ არიან შესაფერნი, თამაზს შურა ვერასოდეს ვერ გაუწევს მეგობრობას.

— როგორ გეტყობა, ჩემო კარგო, რომ მამაკაცებს არ იცნობ. ისინი ქალს დაეძებენ და არა მეგობარს.

— ხომ არ ეეწყინება, ლიანა, ერთი რამ რომ გკითხო? — მითხრა მან და ალერსით ყელზე მომეხვია.

— არა, ლილი, არ მეწყინება.

— მაშ მითხარი, რა მოხდა შენსა და თამაზს შორის. ამ ორი წლის განმავლობაში ისეთი დიდი მეგობრები იყავით და ისე ხშირად გხედავდით ერთად, რომ ხალხი ათას რაღაცეებს ლაყბობდა. ახლა კი ისე უეცრად და ისე მოულოდნელად დაცილდით ერთმანეთს, რომ ყველას აინტერესებს სიმართლის გაგება.

იმასაც კი ამბობენ, თითქოს, შენი ეჭვიანობა იყოს ბიზეზი თქვენი განშორებისა. მართალია ეს, ლიანა?

— არა, ლილი, ეს არ არის მართალი, შენ ერთს მაინც გჯეროდეს ჩემი. ჩვენ დაგვაშორა აზრების სხვადასხვაობამ. მიმართულება დავუწუნე, მან გამოააშკარავა საკუთარი ბუნება. მე დავრწმუნდი, რომ ჩვენ ერთმანეთს ვერასოდეს გავუგებდით, ვერასოდეს შევუთვისდებოდით და ამიტომ დაშორება ვარჩიე.

ამ ლაპარაკით მივუახლოვდით სასეირნო ადგილს. შურა თვალსაჩინო ადგილზე დამდგარიყო, ახალგაზრდა ყმაწვილებთან ბურთს თამაშობდა. ამ თამაშის დროს ხან ერთი ვაჟი მოხვევდა წელზე ხელს და ხან მეორე. გვერდით რომ გავუარე, რაღაცაზე ხმამაღლა იცინოდა. სახეზე მომეტებული ფერ-უმარული წაესვა. ტუჩი წითლად შეეღება. როცა შემნიშნა, ხელი განზრახ ზევით ასწია, რათა დაენახვებინა ჩემთვის შენი საათი, რომელიც მაჯაზე ეკეთა. საბრალო! ვერც კი გრძნობდა, რომ ის და მისი თამაზი ჩემს თვალში არარაობად ქცეულიყვნენ. შურა რომ ისეთი ვინმე ყოფილიყო, რომელიც შეძლებდა ჩემს მეტოქეობას, მაშინ... მაშინ იქნება ჩემშიც აღძრულიყო რაიმე ეჭვის მსგავსი და მეგრძნო გულის ტკივილი, მაგრამ ის თავის ძალზე შეღებილი ტუჩებით და შიშველი მკერდით სიბრალულს უფრო იწვევდა, ვიდრე ეჭვიანობას.

ის იყო ჩემს სახლს მივუახლოვდი, რომ ისევ შენ შემეფეთე, ისე შეგხვედე, როგორც უცხოსა და უცნობს, და აუჩქარებლად სახლის აივანზე ავედი. გაფითრებულმა ერთხელ კიდევ მოიხედე ჩემკენ და შენს თვალებში მძიმე, ჯანღად ჩაწოლილი ნაღველი კიდევ უფრო დამძიმდა. ნელი ნაბიჯით მოხვედი ბინასთან და ღია ფანჯრიდან ცქერა დაიწყე ჩემი სახლისკენ. ალბათ, ახლა იგრძენი იმ უფსკრულის სიღრმე, რომელიც ჩვენ შორის გაჩნდა და რომლის გადალახვას შენ ვერასოდეს შეძლებდი.

XVIII

ხალხი ისევ დაუბრუნდა ქალაქს და აგარაკიც თითქმის დაცარიელდა, შენ კი უბრალო ფიქვის ჯოხით, დაბნეული კაცივით განაგრძობდი ყიალს დაცლილ ადგილებში.

რამდენჯერმე შეგნიშნე ჩვენი სახლის პირდაპირ, პაწია გორაკ-

ზე მდგარი, საიდანაც მოჩანდა თვითეული კუნჭული ჩემი ოთახისა.

რამდენჯერმე შემოუერთდი იმ ჯგუფს, სადაც ვიდექი.

თეატრში, ნაძვნარში, სასეირნო ბაღებში დგებოდი ისეთ ადგილას, სადაც შესაძლებელი იყო გეცქირა ჩემკენ და მოგესმინა თითეული სიტყვა ჩემ მიერ წარმოთქმული.

დაუახლოვდი და დაიწყე სიარული ისეთ ოჯახებში, რომლებიც ჩემი ან მეგობრები, ან ნათესავები იყვნენ. ყოველივე ღონეს ხმარობდი, შემხვედროდი სადმე, შემხვედროდი ბარტოკა, მაგრამ მე წინდაწინ ვგებულობდი შენს განზრახვას და გერიდებოდი.

ერთი სიტყვით, შენ ზვერავდი თვითეულ ჩემს ნაბიჯს, ყოველდღიურად კითხულობდი ჩემს ამბავს. დაეძებდი ჩემს სიახლოვეს. „ნუთუ შეუძლებელია ჩვენი შერიგება!“ — მწერდი ამ ერთი კვირის წინათ. „მე მოვძებნი ისეთ საშუალებას, რომელიც დამიბრუნებს შენს თავს. ნუ იქნები სასტიკი, ლიანა, მაპატიე, თუ რამე გაწყენინე და ნება მომეცი მოვიდე შენთან“. წერილის მეორე მხარეს შემდეგი წავაწერე: „ჩემი დაბრუნება არ შეუძლია არავითარ საშუალებას და მეც მინდა გამოგემშვიდობო ერთი ჩვენი ახალგაზრდა მგოსნის სიტყვებით, იმ სიტყვებით, რომელსაც ოდესღაც ერთად ვკითხულობდით:

ანგელოზს ეპირა გრძელი პერგამენტი
და ფოთლებს ისროდა სიფითრე ბარათის.
ამაოდ დაგენდე, და ჩვენც ერთმანეთი
ამაოდ გვინდოდა! შშვიდობით მარადის!
ქარვათა მორევში დაეშვა ფარდები,
საღამო კანკალებს და კვდება ვარდები.

მე ვამბობ: „მოკვდა ვარდები და კვლავ მათი აყვავება შეუძლებელია“.

გადმომცეს, იმ საღამოს თეატრში მწარედ დაღონებული იჯექ და ვერაფერს ამჩნევდი.

— შენ სულ უზიხარ ამ საძაგელ წიგნებს და გარეთ აღარ გამოდიხარ, რა ამბავია? — შემოილაპარაკა ჩემს ოთახში გრიგალივით შემოჭრილმა ლილიმ და მომეხვია.

— რა იყო, გოგონავ, მოგწყინდა უჩემოდ? — შევეკითხე მას და შავ, ხუჭუჭა თმებს, შუბლზე ცელქურად ჩამოყრილს, ნაზი ალერსით ხელი დავუსვი.

— მომწყინდა, ჰო, მომწყინდა. შენ თითქოს პირობა მიეც ვიღაცას თუ რაღაცას, რომ გარეთ არ გამოხვიდე, ვის ემალები?

— ხალხს, ლილი, იმ უსაქმოდ მოხეტიალე ხალხს, რომლებიც ბლომად გროვდება აქ აგარაკზე და რომლებსაც ჭორიკანობა უყვარს.

— ჭორი აქაც მოგაგნებს, მაგრამ შენ რომ არ გეშინოდა მისი? სინდისი გქონდეს წმინდა და ხალხმა რაც უნდა, ის ილაპარაკოსო, ამბობდი ამაყად, ახლა რა მოგივიდა?

— ახლა უფრო მშიშარა შევიქენ, ლილი, და დავრწმუნდი, რომ საზოგადოების აზრს ანგარიში უნდა გაუწიო, თუ არ გინდა, იმავე საზოგადოებამ აბუჩად აგიგდოს.

— ეს შენს უკან დახევას მოასწავებს.

— რა ვუყოთ, ჩემო კარგო, ცხოვრებაში ასეც ხდება.

— იცი, ლიანა? თამაზი ან ავად არის და ან რაღაცა დიდი ნაღველი აწუხებს.

— საიდან იცი?

— გარიყულივით დადის, დაეყრდნობა მის მაღალ ჯოხს და გაშტერებული ფიქრობს რაღაცაზე.

— სად არის შურა? რად არ გაართობს მეგობარს?

— ისა და შურა სულ ჩამოშორდნენ ერთმანეთს და შურაც სხვებთან განაგრძობს დროსტარებას. განსაკუთრებით კი იმ მაღალ, კახელ ყმაწვილთან, რომელიც ამას წინათ გავიცანით.

— იქნება ეს არის მიზეზი თამაზის მოწყენილობისა?

— არა, ნამდვილად ვიცი, რომ თამაზს ეს ქალი არ უყვარს.

— მაშ რა დაემართა?

— რა მოგახსენო, ვიცი, რომ საშინლად დაღონებულია საბრალო.

— თუ ასე გებრალება, მიდი მასთან, გამოესაუბრე, გაართე, შენ ხომ კარგად იცნობ მას.

— ვცადე, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

— გინდა იცოდე, რა უქარწყლებს ნაღველს მამაკაცების უმეტესობას?

— რა?

— უნდა შემოიძარცვო ის აბრეშუმის ძონძები, რომლებიც დაგიხვევია ირგვლივ და რომლებიც გიფარავს ღვთაებრივ ნაკვთებს, შემოიძარცვო და ეჩვენო მათ, ეჩვენო... შიშველი.

— თუ ეს არის მიზეზი თამაზის სევდიანობის, მისი სევდა უკურნებელი ყოფილა.

— რატომ? არიან ასეთი ქალებიც.

— არიან, მაგრამ ასეთ ქალებზე ახლა თამაზი არ ფიქრობს.

— მაშ ვისზე ფიქრობს?!

— შენზე, — მომახალა ლილიმ და ხარხარი დაიწყო.

— მეორედ არ გაბედო მაგისი თქმა, ლილი, თუ არ გინდა სამუდამოდ დაგემდურო. ან კი რაა, რომ სულ თამაზზე მელაპარაკები, სხვა სალაპარაკო თემა ვერ გიშოვია? ხომ იცი, არ მსიამოვნებს ამ კაცზე ლაპარაკი?!

— თუ მართლა გწყინს, არასოდეს არ ვახსენებ მის სახელს. მით უმეტეს, რომ ხვალ მივდივარ და შენთან დასამშვიდობებლად შემოვედი. მართლა გაწყენინე, ლიანა, და მართლა დამემდურები? —შეეკითხა ბავშვური კილოთი და თვალებში დანანებით ჩამხედა.

— არა, გოგონავ, არ დაგემდურები, მაგრამ საჭიროა უფრო ფრთხილად ილაპარაკო.

— ოო, ამიერიდან მე ისეთი ფრთხილი ვიქნები, ისეთი ფრთხილი, რომ თამაზ...

— კიდევ?!

— აჰ, რა ვქნა, რომ ეს კაცი არ მავიწყდება და სადაც არ უნდა ვიყო, სულ ვხედავ მის სევდიან სახეს. ახლა კი ნახვამდის, ლიანა, სოფელში ისევ ვნახავთ ერთმანეთს. — ამ სიტყვებით რამდენჯერმე მაკოცა და წავიდა. კიბემდე მივყევი. ავიდა ფერდობზე, ერთხელ კიდევ შემობრუნდა ჩემკენ, ხელით ჰაეროვანი კოცნა გამომიგზავნა, წითელი აბრეშუმის თავსაფარი ჰაერში აიქნია და ფიჭვნარის დაბურულ ხეივანში მიიმალა. დაღონებული გავყურებდი მას. ის იყო ერთადერთი ადამიანი, რომელიც მათბობდა თავისი სიახლოვით, ბავშვური სიცელქითა და მხიარული ლაპარაკით. დღეიდან კი მარტო უნდა ვყოფილიყავი, სულ მარტო.

XIX

„ლიანა! თუ არ გინდა ძალით შემოვიჭრე შენს ბინაში, გამოდი, გამოდი იმ ადგილას, სადაც ჩვენ უკანასკნელად ვისხედით. აუცილებლად უნდა გნახო“. ასეთი შინაარსის ბარათი მოვიტანა შენგან ერთმა ბავშვმა და მეც იმავე ბავშვის ხელით

შემდეგი გიპასუხე: „არ მსურს არც თქვენი ნახვა, არც თქვენთან ლაპარაკი. თუ მაინცდამაინც არ დაგიშლიათ და გინდათ მნახოთ, მობრძანდით. მე შინ ვარ. მაგრამ წინდაწინვე გაფრთხილებთ და გეუბნებით, თქვენი ახლა აქ მოსვლა სამუდამოდ დაგიკარგავთ სურვილს ხელმეორედ ჩემი ნახვისას. თქვენ ვერაფერს მოისმენთ ჩემგან კარგსა და საიმედოს“.

სრულიად დარწმუნებული ვიყავი, ასეთი წერილის შემდეგ ჩემთან ვერ მოხვიდოდი, აივანზე გაბმულ ჰამაკში ვიწექი და ახალ გაზეთებს ვათვალიერებდი, როცა ფეხის ხმა მომესმა და მეც დავინახე, როგორი ნერვიული სიჩქარით მოვარდი კიბეს და საჩქაროდ აივანზე ამოირბინე. მაგრამ როცა დაინახე ჩემი წარბები მრისხანედ შეკრული და ჩემი თვალები უკმაყოფილოდ შენკენ მოპყრობილი, შეკრთი, უკან დაიწიე, სისხლი მოაწვა შენს სახეს, ჩქარა ისევ სძლიე უხერხულობა, აივნის კარს მოსწყდი და ჩქარი ნაბიჯით, დაუპატიჟებლად ოთახში შეხვედი. დინჯად ავდექი, დინჯადვე შემოვედი ოთახში და შევდექი შენ წინ.

— თქვენი თვალების სიცივე ჰყინავს მთელ ჩემს არსებას. მაცალეთ, სული მოვითქვა, — წარმოთქვი შენ და ხელი თავზე წაივლე.

— რა გნებავთ, ბატონო ზურაბიძე, ან რად მობრძანდით? — ვიკითხე ცივად.

— ზურაბიძეც გავმხდარვარ, — ჩაილაპარაკე მწარედ.

— თქვენ არ უნდა გიკვირდეთ ეს...

— და ჩემგანაც მოითხოვთ, მოვმართოთ როგორც ქალბატონ ლორდიას?

— დიახ, როგორც ლიანა ლორდიას.

— ძალიან ამაყობთ ამ სახელითა და გვარით, გგონიათ, რაიმე შექმენით. ნამდვილად კი არაფერი შეგიქმნიათ საყურადღებო.

— ეს სიტყვები მშვენივრად გახასიათებთ. ალბათ, ყალბი იყო ის აღტაცება, რომელსაც იჩენდით ჩემი სურათების ხილვისას.

— ერთადერთი, რაც შეასრულეთ მშვენიერი და უკვდავი არის „სიყვარულის ლოცვა“ და ისიც მე შეგაქმნევინეთ, დიახ, მე, თქვენ უნდა მიმადლოდეთ ამას.

— ოო, რასაკვირველია, მაგრამ თქვენ აქ იმიტომ მობრძანდით, რომ ჩემს შემოქმედებაზე მესაუბროთ?

— მე მაბრაზებს თქვენი ასეთი სიამაყე და მედიდურობა, თქვენ

მარტო ჩემთან კი არა, ხალხშიც ასეთი ხართ. გამოდიხართ ისე იშვიათად, შემოიხვევთ ირგვლივ ახალგაზრდა ქალებს და მიეშურებით განმარტოებული ადგილისაკენ, როგორც ვინმე დედოფალი ან დიდი მბრძანებელი.

— მაშ რას მირჩევთ, ბატონო ზურაბიძე? ახალგაზრდა ვაჟებისაგან შევადგინო ამალა და ვისეირნო მათთან ერთად? რა ვქნა, რომ ამას ვერ ვახერხებ და აგრე არც უნდა გაღელვებდეთ ის გარემოება, რომ თქვენი მოძღვრება კარგად ვერ შევითვისე, სამაგიეროდ შურამ შეითვისა თქვენი ქადაგება, რითაც შეგიძლიათ იამაყოთ. ის ხომ თქვენი ბეჯითი მოწაფეა!

— გთხოვთ ირონიას თავი დაანებოთ. — გაანჩხლდი შენ.

— ჩემი ირონია თქვენმა მოქმედებამ გამოიწვია.

— და შენ არ გრცხვენია, რომ ასე ამცირებ ჩემს გრძნობას და დასცინი ჩემს სიყვარულს?

— სასაცილოა, ნუთუ კიდევ სიყვარულზე ელაპარაკებით იმ ქალს, რომელიც დიდი ხანია მოგბეზრდათ?! ეს თქვენი სიტყვებია და მეც მინდა მოგაგონოთ ისინი.

— ყურადღებას ნუ აქცევთ ისეთ სიტყვებს, რომელიც სასოწარკვეთილების წუთებში ეჭვიანობამ წარმომათქმევინა.

— მას შემდეგ მდგომარეობა არ შეცვლილა.

— ჩემთვის მდგომარეობა შეცვლილია. მე გავიგე, რომ შენ მსხვერპლი იყავ გაბოროტებული ჭორის და სინანულის გრძნობით მოვედი, რათა მეღიარებინა ჩემი დანაშაული.

— არ მესმის, რაზე ლაპარაკობთ!

— ყური მიგდე; ლიანა, მე მინდა ყველაფერი გიამბო, — წარმოთქვი შენ და მოკლედ მიამბე, როგორ წამოგაყენა შურისძიების გრძნობამ ლოგინიდან და ღამის 12 საათზე მიგიყვანა კარავთან, სადაც ცხოვრობდა გერა. — როცა კარავს დავუახლოვდი, უხერხულობა ვიგრძენ და ასეთი ქცევა შეუფერებელი მეჩვენა, მაგრამ დავინახე თუ არა სარკმელში შუქი და კაცი, რომელმაც მეგონა მომტაცა შენი სიყვარული, მოულოდნელად ავენთე და კარი საჩქაროდ შევაღე. აღარ მახსოვს, რა ვილაპარაკე, ვიცი მხოლოდ, რომ აღშფოთებული ვიყავი. მაბრაზებდა გერას დამშვიდებული სახე და ყოველივე ღონეს ვხმარობდი, მოთმინებიდან გამომეყვანა. მის წყნარ სევდიან თვალებში, გარდა განუსაზღვრელი ყურადღებისა, ვერაფერი ამოვიკითხე და ჩემივე სიტყვებით გაბრუებული

ცოტა ხნით შევჩერდი. მეგობრულად მომხვია ორივე ხელი, თავის გვერდით დამსვა და მთხოვა დავმშვიდებულიყავ. მისი პასუხი მოკლე იყო, ძალიან მოკლე, მაგრამ იმ პასუხმა სრულიად დამაკმაყოფილა: ჩემი წინდაუხელაობით ლიანა მოლაყბე და თავხედ მოაგვარაკეთა სალაპარაკოდ გავხადე და თუ ვინმე გამოჩნდება ისეთი, რომ ღირსეულად დამსჯის ამისათვის, მისი დიდად მადლობელი ვიქნები და ხელსაც არ შევუბრუნებო, — მითხრა გვერვ.

— არავითარი უფლება არა გქონდათ ანგარიში მოგეთხოვათ ვისმესთვის და გერაც ცუდად მოქცეულა, რომ ყველაფერი უამბნია თქვენთვის. ჩვენ ერთმანეთს დავშორდით, გესმის? დავშორდით და თქვენც უნდა შეურიგდეთ ამ აზრს.

— მე არ შემიძლია შენი დაშორება, ლიანა.

— თქვენ მართლა ბავშვი ყოფილხართ, თუ ყველა იმის შემდეგ, რაც ჩვენ შორის მოხდა, კვლავ შერიგებაზე ფიქრობთ.

— რა მოხდა ისეთი, რწმენის სხვადასხვაობა გამოიწვევს აზრთა გაცვლა-გამოცვლას და ცხოვრებაც უფრო საინტერესო გახდება. რაც შეეხება იმას, რომ რამდენიმე შურასთან დამინახე, ეს გამოიწვია შურისძიების გრძნობამ და არა იმ ქალის სიყვარულმა.

— ისიც შურისძიების გრძნობამ გამოიწვია, რომ მას მიეცით საათი, რომელზედაც ეწერა ჩემი სახელი? ამით თქვენ აალაპარაკეთ ხალხი, გამეორეთ და დამამცირეთ. რას იტყვით ამაზე?

— საათი მისთვის არ მიმიცია. ვთხოვე კი რამდენიმე დღე ეტარებინა. ამით მინდოდა აღმეშფოთებინა შენი სული და ვფიქრობდი, ის აღშფოთება მოგიყვანდა ჩემამდე, მაგრამ როცა დავრწმუნდი შენზე არაფერი მოქმედებდა და დაშვიდებით ხვდებოდი ყველაფერს, მეც თავი დავანებე უსარგებლო ცდას, სრულიად მივჩუმდი და შურასაც ჩამოვშორდი.

— ალბათ, იმიტომ, რომ ის ვეღარ გამოგადგათ შურისძიების იარაღად. უნდა გრცხვენოდეთ, მით უმეტეს, რომ იმ ქალს იქნება უყვარდით კიდეც.

— მე არ მინდოდა მისი სიყვარული და არც შემიძლია მომწონდეს ისეთი ქალი.

— შურა კი არა, თქვენ მეც არ დამინდეთ, მეც. მომაგლიჯეთ მყუდრო ცხოვრებას, ჩემს უნებურად გამრიეთ ხალხში და შემდეგ ისეთი რაღაცები ალაპარაკეთ იმავე ხალხს, რომლის მსგავსი ჩვენ შორის არაფერიც არ მომხდარა.

თუ გაწუხებს ასეთი ლაპარაკი, რატომ არ დაანებებ თავს შენს შეუღლეს და არ მოხვალ ჩემთან?

— მოვიდე თქვენთან და ეუყურო, როგორ გაეკიდებით ჭრელ-კაპიან ქალებს ნაძვნარში?

— კარგი, ლიანა, დაივიწყე ეს უბედური ამბავი. გეფიცები, რომ იქ სერიოზული გრძნობა არ ყოფილა.

— რით მიმტკიცებ, რომ თქვენი სიყვარული სერიოზულია. მე, ალბათ, მხოლოდ იმიტომ ვარ საინტერესო, რომ მიზანს ვერ მიაღწიეთ და ჩემი დამორჩილება ვერ მოახერხეთ. რომ იცოდეთ, როგორ დაეცით და დაპატარავდით ჩემს თვალში.

— რა აზრისაც არ უნდა იყოთ ჩემზე, მაინც ჩემი იქნები.

— არასოდეს!

— შენი სიყვარული ასე ჩქარა არ გაქრებოდა.

— გარწმუნებთ, ჩემი თქვენდამი სიყვარული იმ დღეს მოკვდა, რა დღესაც სავსებით გაგიცანით. მაგრამ თუგინდ ვთქვათ, რომ თქვენ მართალი ხართ და ჩემში კიდევ არის რაღაც, სიყვარულის მსგავსი, მე ჩავაქრობ მას, დავაყრუებ და, თუ ეს ვერ შევძელი, თავს მოვიკლავ, კლდიდან გადავიჩეხები, მაგრამ თქვენ კი არ დაგიბრუნდებით. ახლა გთხოვთ, მიბრძანდეთ, ვინაიდან ჩვენი ლაპარაკი დასრულდა და თქვენთან მეტი საუბარი არაფერი მაქვს. — ეს სიტყვები ისეთი კილოთი იყო წარმოთქმული, რომ წინააღმდეგობის გაწევა ეღირა გაბედე, თავდახრილი, გაფითრებული ოთახიდან გასულიყო.

როცა ჩვენმა აღელვებამ გაიარა და მეც აზროვნების უნარი დაბრუნებია, დავინახე მაგიდაზე შენი საათი და პაწია ბარათი. ალბათ, ალბათ, ეს შენ ამ საათმა უცნაური ფიქრები აღგიძრა. ბარათიც, იქნებ მან მაინც შესძლოს იმ მწუხარების გადმოცემა, რომელიც ეს ამ რამეულიმე თვის განმავლობაში განვიცადე"... საათი სეფეში ფიფქი და ორთოლოგამ ამოიტაცა. მეგონა ხელში მეჭირა ცოცხალი ფრინველის ფეხი, რომელიც ცოცხლობდა, მუშაობდა და ფრენოდა. ფიფქიანი ბიჭი შესვლა წყვეტა ჩემს თითებს და აღარ [illegible]. [illegible]

[illegible] ... [illegible] ენახა ვისმეს [illegible]

[illegible] ... [illegible] ... [illegible] ... [

ოხერს, — მომესმა ხმა და ჩემს ოთახში ერთი ხანშიშესული დედაკაცი შემოვიდა, რომელსაც ძონძებში გახვეული პატარა ბალღები აქეთ-იქით ამოსდგომოდნენ, დედის ჭუჭყიან კაბაში ეხვეოდნენ და შემკრთალი შემყურებდნენ. გამეხარდა, გამოსავალი გზა რომ ვიპოვე და საათს სწრაფად ხელი დავატანე.

— მე გაჩუქებ აი, ამ ოქროს ნივთს, მაგრამ იმ პირობით, რომ მას ამ აგარაკზე არ გამოაჩენ. ჩაიტანე ქალაქში და გაყიდე, — ვუთხარი მას და საათი საჩქაროდ ხელში ჩავუდე.

— როგორ გეკადრებათ, ქალბატონო, ასეთი ხუმრობა? — მითხრა საყვედურით დედაკაცმა და საათი უკანვე გამომიწოდა.

— არ გეხუმრები. ამიერიდან ეს ნივთი შენია და როგორც გინდა, ისე მოიხმარე, — ამ სიტყვებით ოთახის კარი ჩავკეტე და მდინარეზე ჩავირბინე, რათა ნერვები როგორმე დამეწყნარებინა. მდინარის ნაპირზე პალტო დავაფინე და ზედ წამოვწექი, თავქვეშ წიგნი ამოვიდე და მთელი დღის ნერვიული ღელვისაგან დაქანცულს, თვალები უნებურად დამეხუჭა. როცა გამომეღვიძა, დავინახე, მზე უკვე ჩასულიყო და მთის ქოჩორა ყვავილები ნელი შრიალით ღამის ზღაპრებს მიჩურჩულებდნენ. ის იყო ასადგომად მოვემზადე, რომ ჩემს წინ ისევ შენ აღიმართე.

— კიდევ თქვენ? რა გინდათ ჩემგან, ყმაწვილო, რატომ არ მანებებთ თავს?

— შენ წამართვი სულის სიმშვიდე და მეც არ მოგშორდები.

— ისე გადავიკარგები, რომ ვეღარც მიპოვით.

— სცადე.

— გთხოვთ, თავი დამანებოთ.

— ასეთ თხოვნას ვერ შევასრულებ.

— მაშინ მოვითხოვ.

— ბრძანებას არ ვემორჩილები.

— კარგი, მინდა მოგაგონოთ, რომ თქვენ ოდესღაც მომტაცეთ სრულიად უბრალო, მაგრამ ჩემთვის ძვირფასი ნივთი. დამიბრუნეთ ჩემი გიშერი.

— არასოდეს, ისინი ჩემთან უნდა დარჩნენ.

— მაშ, მშვიდობით ბრძანდებოდეთ, თქვენთან ლაპარაკი არა მსურს.

ამ სიტყვებით ფეხზე წამოვდექი, მაგრამ შენ ორივე ხელი დამიჭირე.

— ლიანა, თუ შენს გულში მართლა აღოშრა ყოველგვარი ვრძნობა, მითხარი ეს, მითხარი უკანასკნელად და მეც წავალ საქართველოდან.

— როგორც გენებოთ, ჩემი გადაწყვეტილება უცვლელია. მე თქვენთან არ დაებრუნდები.

— შენ ჩემი სიკვდილი გინდა.

— თქვენ ჩემთვის არ არსებობთ და მოკვდებით თუ იცოცხლებთ, ეს ჩემთვის სულერთია.

— ბოროტიც ყოფილხარ, ლიანა...

— არა, ბოროტი არა ვარ. პირიქით, გულწრფელად გისურვებდით, რომ თქვენს მომავალ მეგობარს თქვენი ფანტაზია გაეცხოველებინოს და თქვენი სულიც პარნასის მწვერვალისაკენ გაექანებინოს.

— ამ სასწაულის მოხდენა შენ შეგეძლო, ლიანა, მხოლოდ შენ.

— თქვენ მიერ ანთებული კოცონი თქვენვე ჩააქრეთ. ეს ჩემი ბრალი არ არის.

— ჩამქრალი კოცონი ისევ აინთება და ახლა ისე ძლიერადაც, რომ მისმა სიმხურვალემ დაგწვას და დაგფერფლოს.

— დაჩუმდით, მართალია დიდი ვინმე არა ვარ, მაგრამ არც ისე პატარა ვარ, რომ ვიღაც ზურაბიძეს ნება მიეცე ასეთი სიტყვებით მომმართოს. მე თქვენ... მეჯავრებით! — გაანჩხლებით წამოვიძახე ეს სიტყვები და საჩქაროდ დაგტოვე, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ მომაგონდა წიგნი და უკანვე მოვბრუნდი. ბალახში პირაღმა დაგდებულიყავ, თვალი დაგეხუჭა და წამწამებზე ცრემლი გითრთოდა. ჩემს გულში ერთბაშად იფეთქა სიბრალულმა, მაგრამ უეცრად ჩემმა კერპობამ და სიამაყემ ჩააქრო ეს სიბრალული და შინ გამაბრუნა.

— შენ ასე გვიან ბრუნდები სეირნობიდან, ლიანა? — შემეკითხა ქმარი, რომელიც სოფლიდან ამოსულიყო და აივანზე მიცდიდა.

— არა, ეს პირველია, რომ დავიგვიანე, მაგრამ შენ კი მინდა, გისაყვედურო, მიმატოვე აქ მარტოდ და ერთხელაც არ მომაკითხე.

— როგორ თუ მარტოდ? აქ იყვნენ შენი ნათესავები, ამხანაგები და... მეგობარიც. — მითხრა მან. თმა ხელით გადამიწია და შუბლზე მაკოცა.

— რომელ მეგობარზე ლაპარაკობ?

— თითქოს არ იცოდე, ვისზეა ლაპარაკი. შენთვის, შენი ბედნიერებისათვის შემიძლია ყველაფერი ავიტანო, ყველაფერს შევურიგდე, მაგრამ იმის უფლებას კი ვიტოვებ, რომ ეს კაცი არ მიყვარდეს.

— მე და ზურაბიძე ერთმანეთს დავშორდით. ამიერიდან ლიანას ერთი მეგობარი ჰყავს და ის მეგობარი შენა ხარ, არჩილ, მხოლოდ შენ.

— თქვენ ისევ შერიგდებით.

— არასოდეს, და მე მინდა, გჯეროდეს ჩემი.

— მე მინდა დავიჯერო ეს, ლიანა, მინდა დავიჯერო, — წარმოთქვა მან და სახე გაუბრწყინდა.

— არჩილ!

— რა იყო, ბავშვო!

— ერთი თხოვნა უნდა შემისრულო. ამ რამდენიმე დღის შემდეგ გამამგზავრო თბილისში. კიდევ უნდა ვისწავლო, ვიშრომო და შევქმნა ისეთი რამ, რომ ვეღარავინ გაბედოს საყვედური: არაფერი შეგიქმნია თვალსაჩინო და საყურადღებოო. — ეს ზურაბიძის სიტყვებია, მის მიერ ისე უხეშად გადმოსროლილი, როცა მე მას კარზე მივუთითე.

— შურით და მტრობით წარმოთქმული სიტყვა არ უნდა გაღელვებდეს. რაც შეეხება შენს სურვილს, აგისრულდება. შენ წახვალ იქ, ისწავლი, შექმნი ახალ-ახალ სურათებს და შემდეგ, როცა დაგღლის ქალაქის ცხოვრება, ისევ ეწვევი სოფელს, რათა დაისვენო, გაიორკეცო ენერგია და კვლავ დაუბრუნდე ქალაქს ახალი შრომისათვის, ახალი ბრძოლისათვის.

— გმადლობ, არჩილ, მე არასოდეს დავივიწყებ ამას.

— მადლობა შემდეგ იყოს, ახლა კი ხვალამდის, ჩემო კარგო. დავიღალე და უნდა დავიძინო. — ამ სიტყვებით მან თავზე მაკოცა და თვალს მიეფარა.

„ვინ დაიჯერებს, რომ ეს კაცი შრომობს, წვალობს ჩემთვის, და ამავე დროს იმდენად მერიდება, რომ ვერ გაუბედნია მომთხოვოს, შევასრულო მოვალეობა ცოლის, მოვალეობა ქალის. ჭეშმარიტად დიდსულოვანი და არაჩვეულებრივი ადამიანია“, — გავიფიქრე ეს და ლოგინში ჩავწექი, მაგრამ ძილი არ მეკარებოდა. მეჩვენებოდი შენ, სველი წამწამებით, მწვანე ბალახში პირაღმა დაგდებული და ეს მოგონება უცნაურ ტკივილებს იწვევდა, ეს არ ყოფილა სიყვა-

რულის ან სიბრალულის გრძნობა, ეს რაღაც სხვა იყო, უფრო მძაფ-
რი და უფრო მწვავე, რომელსაც სახელი არა აქვს.

XX

ერთი წლის ქალაქში ცხოვრებამ ერთიანად დაჭიმა ჩემი ნერ-
ვები. ამანთო ბრძოლის სურვილით. ამავსო განცდებით და შთაბეჭ-
დილებებით.

აჩუქურთმებული კოშკები, მუზეუმები, უნივერსიტეტი, პრო-
ფესორები, სამხატვრო სტუდიები, ლიტერატორები, დრამატურ-
გები, ხელოვნების სასახლე, ძველი და ახალი პოეტების მთელი
ჯგუფი, თეატრი, ოპერა, ახალი პიესები. ავტომობილების გამუდ-
მებული ქროლა, ეტლების გრიალი და მოძრაობა, განუწყვეტელი
მოძრაობა. შთაბეჭდილება შთაბეჭდილებას სცვლის, განცდები
განცდებს და აუარებელი ახალი სიუჟეტები აწამებენ ჩემს სულს.
მილიონი წელია საჭირო იმისათვის, რომ ავსახო ეს სურათები,
რომლებიც ჩემი უცნაური ოცნების წყალობით თანდათან მრავლ-
დება. მე დავასრულე „გოლგოთა", „გაფრენილი მერანი", „ცრემ-
ლები" და თეთრ ხალათში გახვეული დაუღალავად ვკრეფ სხვადა-
სხვა ფერებს, ვურევ და ვამზადებ ფერადებს და ვმუშაობ, ვმუშაობ
შეუსვენებლად.

ჩემთვის საჭიროა ასეთი გარდატეხა, ასეთი ნერვიული ტრთოლა.
ასეთი აწყვეტილი გაქანება ფანტაზიის დახლართულ რგოლებში.

მე ვგრძნობ ჩემში დუღილს, ერთგვარ შემოქმედებითს დუ-
ღილს და მისი რიტმული ხმაური ჩემში აყრუებს ყოველდღიური
ცხოვრების ვარამს, ყოველდღიურ დარდსა და უსიამოვნებას.
ერთადერთი ადამიანი, რომელსაც დისონანსი შემოაქვს ჩემს ცხოვ-
რებაში, ეს ისევ შენა ხარ. ვერ შეასრულე დანაპირები: დავტოვებ
საქართველოსო, და კვლავ განაგრძობ აქ ცხოვრებას, ცხოვრებას
დაბნეულსა და გაწამებულს.

დედაქალაქში ხარ და წერას განაგრძობ, მაგრამ შენი წერილები
კოშმარივით აწვება მკითხველის გულს. შენს აღმაფრენას არ ახასი-
ათებს ხალისიანი ფერები და შენი ოცნება, შავ მანტიაში გახვე-
ული, სასოწარკვეთილებით აწყდება ცხოვრების შავ ფონს და ამ
ფონში სასიკვდილოდ განწირული, უხალისოდ ქმნის უხალისო
სახეებს. ამ ბოლო დროს ხშირად გხედავენ რესტორნებში, ბაღებში,

საეჭვო ყოფაქცევის ქალებთან. სიმახინჯის გზით სილამაზეში შევ-
დივარო, — გითქვამს. საბრალოვ, შენ ვერც კი ხედავ ცხოვრების იმ
მოლიპულ დაღმართს, რომელზედაც დგახარ და რომელიც მიგაქა-
ნებს ქვევით. ამას წინათ თეატრში განახე. თავდახრილი იჯექი და
რაღაცაზე ისე ღრმად ჩაფიქრებულიყავ, ვერც კი შემამჩნიე, გვერ-
დით რომ გაგიარე და შენ მეგობარს სალამზე ვუპასუხე. ხშირად
გხვდები სხვადასხვა ადგილებში, მაგრამ ამ შეხვედრას სრულიად
აუღელვებლად ვიტან და მოულოდნელი ნახვა ჩემს გულს არაფერს
ეუბნება.

შენ დღეს ჩემთვის ისეთივე უცხო და შორეული ხარ, როგორც
უცხო და შორეულია ის მგზავრები, რომლებიც ბლომად დადიან
თბილისის ქუჩებში.

რამდენჯერ გაბედე და მომიახლოვდი ქუჩაში, მაგრამ მე
ზურგი შეგაქციე და გზას გადავუხვიე. რამდენჯერმე მოხვედი ჩემს
ბინაზე, მაგრამ მეკარემ კარი მოგიხურა და სახლში არ შემო-
გიშვა.

უკანასკნელად გუშინ გიხილე.

წვიმდა, ფანჯარას მივადექი. ხალხი ჩქარი ნაბიჯით სადღაც მიე-
შურებოდა. ზეცა ჩაპირქუშებულიყო და დასველებულ ქვის ფილა-
ქანზე ჩანთაწამოკიდებული ბავშვები გარბოდნენ, შენ კი ბაღის მო-
აჯირს ზურგით მიყრდნობოდი და იცქირებოდი ზევით, ჩემი ფან-
ჯრისაკენ. შენს შავ ხუჭუჭა თმას ქარი ათამაშებდა და წვიმა სახეში
გცემდა. ჩემს დანახვაზე ნაღვლიანად გაიღიმე და თვალით რაღაც
თქვი, რაღაც მეტად მწვავე და სასაყვედურო. შენი სახე ისეთი გაბ-
ხდარი და ისეთი ფერმკრთალი მეჩვენა, რომ ფანჯარასთან უნებე-
რად შევჩერდი, თითქოს იქ მიჭერდა რაღაც და მობრუნების ნებას
არ მაძლევდა. შენ კი კვლავ მიცქერდი და წასვლაზე არ ფიქრობდი.
ბოლოს თავს ძალა დავატანე, ფარდა დავეშვი, მოვბრუნდი და
სავარძელში მძიმედ დავეშვი.

დაღამდა. სახლის სახურავზე მსხვილი წვიმა გრიალით ეცემოდა
და მეც, უცნაური, გამოურკვეველი ჯავრით შეპყრობილი, ყურს
ვუგდებდი წვიმის ერთფეროვან ხმაურს. წინაგრძნობა მწუხარებას,
უბედურებას მიქადდა და თვალდახუჭული, უსიხარულოდ ვეძ-
ლეოდი დამქანცველ ფიქრს. ოთახში წყვდიადი შეჯგუფდა, შე-
სქელდა, დამძიმდა და ამ წყვდიადში უეცრად ამოჭრილი ვარდის-
ფერი შუქი ჩემს ირგვლივ ტალღებად დაიღვარა. კარი გაიღო და

ოთახში შენ შემოხველი. აბრეშუმის შრიალა ფრთები აგესხა და შენს სახესაც ციური გამომეტყველება მისცემოდა. „ლიანა, ჩე მოვედი და შენც უნდა წამოხვიდე ჩემთან. ჩემი ხარ, ჩემი იყავ და ჩემი იქნები, გავფრინდეთ, ძვირფასო, გავფრინდეთ“. ამ სიტყვებით ხელი მომხვიე, ჰაერში ამიტაცე და სადღაც გამაქროლე.

კარზე ბრახუნი გაისმა და მეც თვალს ვახელ. სავარძელში ჩამ-ძინებია და სიზმრად მოსულხარ ჩემთან. ბრახუნი მეორდება. ვაღებ კარს და ოთახში ვიღაც უცნობი კაცი შემოდის. ქაღალდში გახ-ვეულ პატარა ნივთს მაწვდის და მეუბნება, რომ თავი მოიკალ. ის ლაპარაკობს ბევრს, ძლიერ ბევრს, მაგრამ მისი სიტყვებიდან ძალიან ცოტა მესმის. უხმოდ ვისმენ ამ ამბავს, უხმოდ ვაცილებ ამ უცნობს და უხმოდვე მივდივარ მაგიდასთან.

ნაცნობ-მეგობრები მოდიან თურმე შენს სანახავად და იმ პაწია ბარათის წასაკითხავად, რომელიც დაგიტოვებია: „ჩემს სიკვდილში ნურავინ დაინახავს ნურც გმირობას, ნურც სილაჩრეს. არც ერთი და არც მეორე აქ არ ყოფილა. სამდურავი არავის, მადლობა არავის. თან ჩამატანეთ შავი გიშერი. საათი კი გადაეცეს თავის პატრონს — ეხატვარ ქალს ლიანა ლორდიას.“

ეს საათი ახლა ჩემს მაგიდაზე დევს და მეც ვერ გამიგია, სად, როგორ ან რა შემთხვევით იპოვე ის. ნუთუ ეს საბედისწერო ნივთი შეიქმნა მიზეზი შენი სიკვდილისა?! დანისლული თვალებით დავყუ-რებ მას და ვგრძნობ, რომ ჩვეულებრივად ვეღარ მაღელვებს ის. შენ მოკვდი და ჩემთვის ეს ნივთიც მკვდარია. ვიღებ მას, ვაბრუნებ, ვმართავ. ამაოდ. ისრები უძრავად დგას.

შენი სიკვდილი, ჩემს გარდა, ყველას აკვირვებს. შენ გინდოდა შოგეძებნა ისეთი საშუალება, რომელიც შეგარიგებდა ჩემთან და საამისოდ სიკვდილი-აირჩიე. არც შეცდი. შენ მხოლოდ დღეს ჩამო-გეცალა ის ჭუჭყი და მდაბალი ვნება, რომელიც გაუვალ კედლად ამართულიყო ჩვენ შორის. ახლა ისეთი სპეტაკი, მიუწვდომელი და შორეული ხარ, რომ ჩემი სიყვარული გაორკეცებული სიძლიერით დაგიბრუნდა. ტილოს ნაგლეჯს ნერვიული სიჩქარით დავახატე ხსოვ-ნაში აღბეჭდილი სახე და ამ ნახატში ჩავაქსოვე ციური თუ ამქვეყ-ნიური მშვენიერება. ასეთი უზადო ხარ დღეს და მეც ვკოცნი ამ სურათს. ვკოცნი ჩემსა და შენს შემოქმედებას.

ჩემი სული ეძახის შენს სულს, გაწამებული აწყდება ცივ კედ-ლებს. ამაოდ... ჩემი მოწოდება უპასუხოდ რჩება. აღარასოდეს არ

მოხვალ ჩემთან და არ მეტყვი ჩვეულებრივი, ალერსიანი სმით: „ჩემო ჯიუტო გოგონა, ჩემო ჟინიანო, თავნება ბავშვო“.

სამუდამოდ დადუმდა შენი ბაგე, თვალები... ამჟამად ჩემშიც ისეთი სიცარიელეა, ისეთი ნესტიანი სიცივე, როგორც იმ სამარეში, ამ დილით რომ შენთვის გათხარეს.

საბრალო ჩემო თამაზ, შენ მოხვედი გუშინ ჩემთან, მაგრამ არც კი მიგიღე, არც შემოგხედე.

დამნაშავე ვარ შენს წინაშე? არ ვიცი, არ ვიცი, დაე, ამაზე სხვებმა ილაპარაკონ, მე კი ვწყვეტ წერას და გულდამსხვრეული სადღაც მივდივარ.

სად? არ ვიცი... სად მიდის ქარიშხლიან ზღვაში მიშვებული ძირგამონგრეული ნავი?!

მშვიდობით, თამაზ, მშვიდობით... მშვიდობით...

1922 წელი

ნასაკირალი-თბილისი.

ჟარიშხლის ფრთებზე

I

მაგდა სიხარულია თავისი აღმზრდელების;
შესაიდუმლე დობილის;
ოცნება ახალგაზრდების.
ხშირი სტუმარია მდინარეების, მთების, ველ-მინდვრების.
ნიამორივით მარდად გადარბის კლდიდან კლდეზე და დაქანებული ნაპრალებიდან ჩამოწყვეტილ ნაკადულებს ატანს გვირილას, სოლდას, ტვიას.
ბოშა გოგონას წააგავს შავი, დიდრონი თვალებით, გრძელი ნაწნავებით, მზისაგან ატრუსული სახით.
შეთექვსმეტე მაისი დაუდგა და სიხარული გაზაფხულის ვარდებად იშლება მასში.
და იღვიძებს მასში სიგიჟე, იღვიძებს სიყვარული.
სიგიჟე და სიყვარული.
— ლალა, მიცქირე, მიცქირე, — ისმის მისი წკრიალა ხმა და იქვე, ბაღში, საგანგებოდ გაბმულ ბაწარზე წამოსკუპული, დახელოვნებული ჯამბაზივით დაქრის ჰაერში.
— შეჩერდი, მაგდა, ასეთი სიცელქე სახიფათოა, ხომ შეიძლება შოსწყდე მაგ სიმაღლიდან და...
— და დავეშვა მიწაზე ბალახებით ახავერდებულ ბაღჩაში. დავეშვა აი, ასე...
— ააჰ, — კივის ლალა და შეშინებული გარბის პირაღმა გაშხლართულ მაგდასკენ.
მაგდა ხარხარებს.
— შიშისაგან გული გამიხეთქე და იცინი კიდეც, გრცხვენოდეს!

— რევოლუციონერი ქალი და ასეთი მშიშარა?

— ჩუმად...

— აქ არავინ არის...

— თექვსმეტი წლისა ხარ და მეექვსე კლასისათვის ემზადები, ზენ გავიწყდება ეს?

— ჩემს მეცადინეობას არაფერს უშლის ჩემი ვარჯიშობა და რევაზიც...

— რევაზი განებივრებს. ის ისე გიცქერის, როგორც ამხანაგს და არა ისე, როგორც მოწაფეს.

— ეს ასეც უნდა ხდებოდეს, თუმცა ამ უკანასკნელად რაღაც უცნაურად იქცევა. იმის ნაცვლად, რომ გაკვეთილები ამიხსნას, ისე შემომცქერის, თითქოს პირველად მხედავდეს.

— ხომ არ შეუყვარდი, მაგდა!

— არა, ლალა, სად ის — დინჯი, ჭკვიანი, სერიოზული, რევოლუციონერი და სად მე... აა, არწივი, შეხედე, ლალა, რა ლამაზად უვლის კამარას და იცი ვის უთვალთვალებს?! ჩემს ცუღლუტ შოშიას, რომელიც ასე უდარდელად იჩხრიკება და არც კი გრძნობს საფრთხის მოახლოებას.

ამ სიტყვებით მაგდა სწრაფად მოწყდა ადგილს, შოშიას კალთა მოაფარა და ჰაერში მონავარდე არწივს მუქარით შეუსტვინა. არწივი შეტორტმანდა. იგრძნო, საკბილო დაკარგა და ისევ ზევით აიწია. ერთხელ კიდევ ზანტად მოხაზა წრე და ფრთების მედიდური რხევით ცის სფეროებში თანდათანობით შეიმალა.

ლალამ ნაღვლიანად გააყოლა თვალი არწივს და იგრძნო, ყელთან რაღაც შეეკუმშა. ორი წელია, რაც ის მუშაობს რევაზთან ერთად, ორი წელია, რაც მისი ფიქრი არ შორდება რევაზს, მაგრამ ვაჟს თავი ისე უჭირავს, როგორც უცხოსა და შორეულს და, გარდა პარტიული საქმისა და პოლიტიკური საკითხებისა, არაფერზე ესაუბრება. რატომ? ნუთუ მას მართლა შეუყვარდა მაგდა?! ეს ბავშვი, რომელიც ჯერ კიდევ პეპლებს დასდევს და საქანელაზე ნავარდით ერთობა?!

II

— ვისზე საუბრობთ, ბავშვებო?! — იკითხა ბაღში შეუმჩნეველად შემოსულმა ივლიანემ.

— რევაზზე, მამილო, — მიუგო მაგდამ და პაწია ბავშვივით იღლიის ქვეშ ამოუჯდა.

— თავი დაანებე მაგ კაცს. არ მომწონს ტყეში მძრომი სოციალისტები.

— ისინი საქმეს აკეთებენ, მამაჩემო, დიდ საქმეს. უნდა შეურიგდე იმ აზრს, რომ ახალი თაობა მოდის და ახალი წესწყობილება უნდა დამყარდეს. აუცილებლობას ვერსად გავექცევით და აზნაურული სიამაყეც დღეს მხოლოდ ირონიულ ღიმილს იწვევს.

— ლალა, ნუთუ შენც აჰყევი იმ საეჭვო ხალხს, რომლებსაც სოციალისტებს ეძახიან, ხუთუ შენც...

— მე ახალი დროის ქალი ვარ, ახალი ადამიანი და ყოველივე ახალს სიამოვნებით შევხვდები, შენ ეს არ უნდა გწყინდეს, ჩემო კარგო, ჩემო კეთილო მამილო. დარწმუნებული ვარ, გულის სიღრმეში ამართლებ კიდეც იმ გლეხებს, რომლებიც ასე ხმამაღლა და ვაჟკაცურად გამოთქვამენ თავიანთ უკმაყოფილებას, მაგრამ შენი ჩვეულებრივი სიჯიუტე ნებას არ გაძლევს აღიარო ეს. ხომ აგრეა, მამილო?! — ეშმაკური ღიმილით შეეკითხა ლალა და სიყვარულით ყელზე მოეხვია.

— კარგი, გიჟო, ხომ არ გინდა ამ სიბერის დროს მეც ამიყოლიო?

— არა, შეუძლებელს არა გთხოვ, მაგრამ მე უნდა შემეძლოს ჩემი საკუთარი გზით სიარული.

— თუ იმ გზას უფსკრულისაკენ მიყავხარ? ნუთუ მამას ნება არა აქვს დაგიშალოს ეს?!

— უფსკრულს ამოვსება სჭირდება.

— შენ ბოდავ, ლალა.

— ლალა ბოდავს, რეზო ბოდავს, ყველა ბოდავს. მარტო მე და მამილო ვლაპარაკობთ ჭკვიანურს, მაგრამ ყურს რომ არავინ გვიგდებს?.. — ამ სიტყვებით მაგდამ გაიტაცა ლალა ბაღის მეორე კუთხისაკენ მარწყვისა და მწიფე ალუბლის დასაკრეფად.

ივლიანეს მთელი თავისი არსებით უყვარს ერთადერთი შვილი ლალა, რომელმაც წელს დაამთავრა საშუალო სასწავლებელი, უყვარს მაგდა, ორი წლის ობოლი ბავშვი რომ აიყვანა და ლალასთან ერთად შვილივით ზრდიდა, მაგრამ არ მოსწონს ქალიშვილების თავისუფალი ქცევა. თავისუფალი მსჯელობა.

„წინათ სხვაგვარი ქალები იზრდებოდნენ“, — ფიქრობს ივლიანე უკმაყოფილოდ და უსიამოვნო გრძნობის გასაქრობად გრძელტარიან ჩიბუხს აბოლებს.

III

— საით? — შეეკითხა რევაზი მის წინ შველივით გამომხტარ მაგდას და აღტაცებით შეავლო თვალი ახალგაზრდა ქალის ლერწამივით აშოლტილ ტანს.

— წყალზე, განა ვერა ხედავთ, რომ კოკა მიჭირავს?! — მიუგო მაგდამ ცელქი ღიმილით და წელამდის დაყრილი ნაწნავები კეკლუცად შეარხია.

— გაგაცილებ.

— რატომ?!

— რომ მარტო არ დარჩე.

— აჰ, მე არასდროს არა ვარ მარტო.

— ვინ არის შენთან?

— ჩემი მეგობრები — ტყე, ჩიტები, ყვავილები...

— შენ სულ მათთან ერთობი და არ გინდა იცნობდე ცხოვრებას.

— მე ვიცნობ მას, მე მიყვარს ის.

— შენ გიყვარს სიცოცხლე, მაგდა, გიყვარს სიხარული, მზე, ყვავილები და გგონია, შენსავით მხიარული და ბედნიერია სხვაც. შენ არ იცი, რა არის სევდა, რა არის ცრემლი და უბედურება.

— სცდები, მე ვიცნობ დედებს, რომლებიც მისტირიან ომში დაღუპულ შვილებს; ვიცნობ ბრძოლის ველზე წასული მამაკაცების ცოლებს, რომლებიც ვაებითა და ტანჯვით ამუშავებენ ყანებს; ვხედავ დაავადმყოფებულ და მოუვლელ ბავშვებს და არ ვიცი, როგორ ვუშველო მათ.

— გინდა იცოდე, მიზეზი მათი უბედურებისა? გინდა იცოდე, რა არის საჭირო, რომ დაეხმარო მათ?!

— მინდა, რა თქმა უნდა, მინდა, მაგრამ ვინ მასწავლის?!

— წიგნები, მაგდა, წიგნები.

— და თქვენც მომცემთ მათ, ამიხსნით, მასწავლით, რასაც ვერ გავიგებ?!

— ჰო, მაგდა. მე გასწავლი პოლიტიკურ ანბანსაც. ეს შენს ასაკში საჭიროა.

— გმადლობთ, რევაზ, თქვენ კარგი ხართ... ახლა კი ნახვამდის. ჩემს დედობილს შეაშინებს ჩემი დაგვიანება.

— შენ გიყვარს დედობილ-მამობილი, მაგდა?

— ძალიან. მე მათთან არ მიგრძვნია ობლობის სიმწვავე.

— ლალა?

— აჰ, მე არავინ მიყვარს ისე ძლიერ, როგორც ლალა.

— სხვა შენ არავინ გიყვარს, მაგდა?!

— არავინ. — უპასუხა ქალმა უცნაური ღიმილით და მის სახეს სიწითლე მოედო.

— რად გაწითლდი?!

— ვინ, მე?!

— ჰო, შენ და ეს კი იმას ნიშნავს, რომ...

— არაფერსაც არ ნიშნავს ეს, და თუ ასე დამიწყებთ ლაპარაკს, მე თქვენთან აღარ ვიცლი! — გაანჩხლებით წამოიძახა გოგონამ და საჩქაროდ ჩაირბინა ვიწრო ბილიკიანი დაღმართი.

„დავაფრთხე ჩემი პატარა ჯეირანი“, — გაიფიქრა რევაზმა და ქალს სიყვარულით აღვსილი თვალები გააყოლა.

— მთის ველური ვარდისათვის მიგიგნია, რეზო, და მეშინია მან შენი მოვალეობა არ დაგავიწყოს. — ამ სიტყვებით მიუახლოვდა რევაზს ახალგაზრდა პროპაგანდისტი მიშო და მეგობრული ღიმილით თვალებში ჩახედა.

— არასოდეს, შენ განა მატყობ რასმე?!

— არა, მაგრამ მინდა მოგაგონო ექვსი საათი და წიფლნარის ტყე.

— ექვსზე ჩვენ იქ ვიქნებით, მაგრამ ამხანაგებმა იციან მიზანი ჩვენი დღევანდელი შეკრებისა?!

— იციან და ზოგიერთი გლეხი სკეპტიკურად უყურებს ამ საქმეს.

— რატომ?!

— ხომ იცი, ივლიანე ჩვენს სოფელში შეძლებულ აზნაურად ითვლება და არ სჯერათ მისმა ქალმა პროპაგანდა გასწიოს იმ წრის წინააღმდეგ, საიდანაც თვითონ გამოვიდა.

— ეს ქალი ნამდვილი მებრძოლი ქალია, უყვარს ჩვენი საქმე და თავდადებით ემსახურება მას.

ამ სიტყვებით ორივემ გადაუხვია გზატკეცილს და საცალფეხო ბილიკით შევიდნენ ხშირსა და დაბურულ ტყეში.

IV

წიფლნარის ტყეში შეგროვილი ხალხი ორატორებს ელოდა. აქა-იქ შეჯგუფულნი სხვადასხვა საკითხზე მსჯელობდნენ.

— ამბობენ, დღეს ივლიანეს ქალი ილაპარაკებსო, — თქვა ერთმა ახალგაზრდა გლეხმა.

— საინტერესოა, რას იტყვის ეს განებივრებული ქალიშვილი, — შენიშნა დაცინვით მეორემ.

— ეს ქალი ქალაქელი ამხანაგებისაგან სრული ნდობით არის აღჭურვილი და ჩვენც ვალდებული ვართ მოვუსმინოთ, მაგრამ, სსს... აგერ ისინიც.

— ამხანაგებო, დღეს პირველად გამოდის თქვენ წინაშე ამ დღეებში ქალაქიდან ჩამოსული ჩვენი პარტიული ამხანაგი. — დაიწყო რევაზმა და ქალმაც თავისი ადგილი დაიჭირა.

უბრალო შეკერილი კაბით, სადად დავარცხნილი თმით, ცოცხალი, ჭკვიანი თვალებით ქალი კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა. თავიც თავისუფლად ეჭირა და სრულიად არ ცდილობდა მოეხიბლა ვინმე გადაჭარბებული მჭევრმეტყველებით. თავისი დინჯი, აზრიანი ლაპარაკით თანდათან არკვევდა მომავალი ბრძოლისა და მოქმედების გეგმას: „თანამედროვე მოწინავე ახალგაზრდობამ ფიცი დავდეთ თავისუფლების დროშის ქვეშ, არასდროს ვუმტყუნოთ მას და თუ ოდესმე მოითხოვს ჩვენს სიცოცხლეს, უყოყმანოდ შევეწიროთ. ჩვენს რიგებში არიან ახალგაზრდა, შეგნებული ქალები, რომლებიც მამაკაცური სიმტკიცითა და ენერგიით იბრძოლებენ საერთო საქმისათვის. მეც ქალი ვარ, მაგრამ ადამიანური უფლებისათვის ბრძოლა სასიცოცხლო მიზნად დამისახავს. მართალია, მე შვილი ვარ იმ წრის, რომელსაც ვეძახით მჩაგვრელთა კლასს, მაგრამ იმედი მაქვს ეს ცოდვად არ ჩამეთვლება, ვინაიდან მზად ვარ მოვკვდე იდეებისათვის, რომელსაც თქვენ ემსახურებით“. — ხალხმა მხურვალე ტაშით დააჯილდოვა ახალგაზრდა ორატორი და მათ გულში აღძრული ეჭვიც სრულიად გაქარწყლდა.

V

— რეზო, ნუთუ მართლა არსებობდნენ ასეთი ქალები? — წამოიძახა მაგდამ, როცა რევაზმა წაუკითხა თავგადასავალი სახელგანთქმული და გმირი ქალებისა.

— არსებობდნენ, მაგდა, და დღესაც არსებობენ. ისინი ჩუმად და უხმაუროდ აკეთებენ მეტად დიდსა და საპასუხისმგებლო საქმეს. გმირულად იტანენ ცხოვრების ყოველგვარ უკუღმართობას.

— მეც მასწავლეთ ბრძოლა. არა მსურს ვიყო უმოქმედო. თქვენ ნებას მაძლევთ, დავესწრო კრებებს, მაგრამ არავითარ სერიოზულ დავალებებს არ მაძლევთ. რატომ?! არ მენდობით?!

— შენ ჯერ თექვსმეტი წლისა ხარ, მაგდა, და ბავშვს საპასუხისმგებლო საქმეს ვერ მივანდობთ. არ მსურს ასე ადრე დაგტვირთო ცხოვრების მძიმე ამოცანებით. ორი წლის შემდეგ ჩაგითრევთ პარტიულ მუშაობაში და იმ დროისათვის პირადად მეც მექნება შენთან რაღაც სათქმელი.

მიუახლოვდა. ხელები დაუჭირა. თვალებში ჩახედა.

— გამიშვი.

— რატომ?!

— მეშინია შენი.

— ცუდად გექცევი?!

— არა, მაგრამ ამ უკანასკნელად ხშირად გავიწყდება, რომ ჩემი მასწავლებელი ხარ. მე ეს არ მომწონს.

— აი, რა არ მოსწონს თურმე ჩემს მაგდას. ჩემს პატარა ბავშვს.

— ნუ მეძახი ბავშვს, ეწყინს. — გაიბუტა მაგდა და თავისი შავი, დიდრონი თვალები შეანათა რევაზს.

აჰ, როგორ უნდოდა ვაჟს დაეკოცნა მისი წამწამები, მაგრამ თავი შეიკავა და სერიოზული სახით დაუწყო ახსნა-განმარტება გაკვეთილს, რომელიც ქალს მეორე დღისთვის უნდა დაემზადებინა.

VI

ახლად დანიშნული გუბერნატორი რუსევიჩი ღვთის რისხვად მოევლინა ადგილობრივ მცხოვრებლებს და დაქირავებული ჯაშუშების წყალობით რამდენიმე პოლიტიკური ორგანიზაცია ზედიზედ გაანადგურა. ხან ერთ პროვინციას დაეცემოდა თავს, ხან მეორეს

და ცეცხლითა და მახვილით ემუქრებოდა სოფლებსა და ქალაქებს. ხალხის აღშფოთება უმაღლეს წერტილამდე მიდიოდა, იყვნენ ადამიანები, რომლებიც საჭიროდ ხედავდნენ ტერორით მოეცილებინათ გუბერნატორი.

რეზოც იზიარებდა ამ აზრს, ლალაც და ყველა, ვინც ხედავდა და თვალს ადევნებდა რუსევიჩის თავაშვებულ თარეშს და გამანადგურებელ პოლიტიკას აღმოსავლეთის ერების დაპყრობის საქმეში.

— მე დავიჭრი ჩემს გრძელ ნაწნავებს და ვაჟურად გადაცმული წავალ გუბერნატორ რუსევიჩის მოსაკლავად, — იტყოდა ხშირად მაგდა და დაჟინებით მოითხოვდა „დიდ საქმეს“.

— გატაცებულო ბავშვო, საჭიროა შეანელო შენი ტემპერამენტი, გონებით უნდა მუშაობა და არა გრძნობით, — მიუგებდა რეზო და ისეთ საქმეებს ავალებდა, რომელთა გაკეთება მაგდასთვის ადვილი და შესაძლებელი იყო.

მაგდაც შეეჩვია მუშაობას, ბრძოლას, ლაპარაკს და რეზოც სიამაყით შეჰყურებდა თავის მოწაფეს, რომელიც დღითი დღე იზრდებოდა როგორც ფიზიკურად, ისე პოლიტიკურად და გასაოცარ ნიჭს, მოხერხებასა და ენერგიას ამჟღავნებდა ამა თუ იმ საქმის შესრულებისას.

ერთ დღეს მაგდა მახლობელ პროვინციაში წავიდა პროკლამაციებისა და აკრძალული ბროშურების დასარიგებლად.

წავიდა და... უკან აღარ დაბრუნდა. სადღაც გაქრა.

მთელი სოფელი გამოვიდა მის საძებრად.

დაიხმარეს მაზრის უფროსიც.

დაძებნეს ტყეები, მდინარეები.

ამაოდ... მის კვალს ვერავინ მიაგნო.

— ციხეში დავალპობ, ციმბირში ამოვხდი სულს, ვინც წამართვა ჩემი, შვილივით გაზრდილი ბავშვი! — იძახდა გამწარებული ივლიანე.

— შვილო, ჩემო სიმწრით აღზრდილო, ჩემო დაღუპულო შვილო, — იხოკდა გულს დედობილი.

— მაგდა, ჩემო ცელქო გოგონა, ჩემო განუშორებელო მეგობარო, როგორღა გავძლო უშენოდ, — ქვითინებდა ლალა და მდუღარე ცრემლებს აფრქვევდა მაგდას ნივთებს.

„ნუთუ ვეღარასოდეს ვიხილავ მის სახეს, თვალებს; უცნაურ ღიმილს, რა ვუყო ამ სიცარიელეს ჩემს გულში, ჩემს გარშემო.

ბაგდა მსხვერპლია სოციალური უთანასწორობის, ცხოვრების უკუღმართობის.

საჭიროა ბრძოლა, წინსვლა, მოქმედება.

სამარცხვინოა დღეს იარაღის დაყრა, ფიქრი პირად ბედნიერებაზე.

ხალხი მოელის ხსნას, მოითხოვს შველას", — ასეთი ფიქრები ირევა რევაზის თავში და ისიც რამდენიმე კვირის უმოქმედობის შემდეგ, უბრუნდება შეწყვეტილ საქმეს.

VII

ქალაქგარეთ, ერთ მიყრუებულ უბანში დგას წითელი ფარნით განათებული ორსართულიანი სახლი.

დიდი დარბაზი სავსეა ნახევრად შიშველი ქალებით, მოქეიფე ახალგაზრდებით.

ისმის სიმღერა... მუსიკის ხმა.

ერთ-ერთ პატარა ოთახში სხედან ორი მამაკაცი და ერთი ხანში შესული, ჩასუქებული დედაკაცი.

— თუ არ გნებავთ, ჩვენ სხვა მუშტარიც გვყავს, — უკმაყოფილოდ ბურტყუნებს მაღალი, ხმელი, მწითური კაცი, რომლის უხეში და უსიამოვნო გარეგნობა მის უმდაბლეს ინსტინქტებს ამჟღავნებს. წამდაუწუმ ტოკავს და მოუსვენრად შეპყურებს ტყავის საფულეს, რომელიც ქალს მუხლებზე უდევს.

— ჩვენი მგზავრობა მთელი ჯოჯოხეთი იყო. სამი დღეა მის პირში არაფერი ჩასულა. ღვინო სახეში შეგვაქცია, პური ფეხით გათელა და რომ არ შეგვეკრა, თავს რაღაც საშინელებას აუტეხდა. რამდენიმე დღე დაასვენეთ, ტკბილად მოეპყარით და თქვენ თვითონ დარწმუნდებით, რომ ის ულამაზესი ქალი იქნება თქვენს პანსიონში, — დაუმატა მეორე ამხანაგმა ცბიერი გამომეტყველებით. ერთი შეხედვით შეატყობდით, რომ ეს კაცი გაქნილი ჩარჩი იყო, რომელიც ფულის მოგების გულისათვის არ დაერიდებოდა არავითარ სისაძაგლეს.

— მე მყავს ულამაზესი ქალები. მაგის გაწვრთნას მთელი წელიწადი მოუნდება და თქვენც ძალიან ძვირს აფასებთ.

— ჩვენ რომ მდევრები დაგვწეოდა, ცოცხალი ვერ გადავრჩე-

ბოდით. თქვენ კი აქ გროშებზე გვევაჭრებით. მოგწონთ ჩვენი საქონელი? ინებეთ, არადა... მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

— მაშ, თქვენი სიტყვა გადაწყვეტილია და არაფერს დააკლებთ?!

— არაფერს და გთხოვთ, ამდენს ნუ გვალაპარაკებთ.

ეს სიტყვები ისეთი სიმტკიცით ითქვა, რომ ქალმა ვაჭრობას თავი დაანება და რამდენიმე ოქრო გადასცა მათ.

უკანა კარებიდან საიდუმლოდ გაისტუმრა ორივენი და შემობრუნებულმა კარის ჭუჭრუტანაში შეიხედა.

მეორე ოთახში რკინის ტახტზე, თვალდახუჭული უძრავად იწვა მაგდა, გაფითრებულ სახეს გადაშოლტილი, წვრილი წარბები უმშვენებდა და პატარა ღაწვებს ჩრდილად დასდგომოდა გრძელი და ხშირი წამწამები.

— მშვენიერია, ჩინებულია, მისი აღმატებულება სულ ოქროებით ამავსებს, — კმაყოფილი ღიმილით ჩაილაპარაკა ხანში შესულმა დედაკაცმა და დაიწყო ფიქრი, თუ როგორ მოენადირება ეს ველური ქალი, რომელიც საჭმელს არ იკარებდა და ცივი სიამაყით ხვდებოდა ყოველ მის სიტყვას, ყოველ მის ალერსს.

საჭირო იყო რაიმე ხერხი და...

ეს ხერხიც გამოიგონა მან.

VIII

— შურა! — შეილაპარაკა ერთ-ერთ პატარა ოთახში დიასახლისმა და ჩალის ფართო სკამზე მოკალათდა.

— რას მიბრძანებთ, ქალბატონო, — ამ სიტყვებით შეეგება ახალგაზრდა ქალი, რომელიც ხელსაბანთან იდგა და შიშველი სხეულის ყოველ ნაწილს ისუფთავებდა. არეული ქვეშსაგები, დაჭმუჭნილი ჩვრები და ერთგვარი სპეციფიური სუნი, რომელიც ჰაერს ამძიმებდა, ცხადყოფდა ამ ქალის ვინაობას. დაბანვის პროცედურა მალე დაამთავრა და ცისფერ აბრეშუმის ხალათს ხელი გაუყარა, შიშველი ფეხი სანდლებში შედგა და როდესაც თასმების შესაკრავად დაიხარა, ხუჭუჭა თმა სახეზე ოქროს ტალღებად ჩამოეფინა. ისევ აიმართა, თავი კოხტად უკან გადაიგდო და თმასაც წინანდელი მდგომარეობა დაუბრუნდა. ეს ქალი ისეთი წმინდა, უმწიკვლო და შშვენიერი ჩანდა, რომ ადამიანი იფიქრებდა: ამ სახლში არსებული ჭუჭყი და ცოდვა არ შეხებია და ისევ ქალწულად დარჩენილაო.

— ლამაზი ქალი მყავხარ და მეც იმიტომ განსაკუთრებით ნასწავლი ხალხისათვის გინახავ.

ამ სიტყვებით დიასახლისმა მხარზე ხელი დაჰკრა და ქალიც ისე აიძურწა, თითქოს მეტისმეტად ბილწი რამ შეხებოდეს.

— შენთან ერთი საქმის მოსაგვარებლად შემოვედი.

— მიბრძანეთ, რასა მთხოვთ, — უპასუხა ქალმა გულგრილად.

— ხომ იცი, გუშინ რომ ქალი მომიყვანეს?!

— ვიცი და... მებრალება.

— შენ კიდევ არ დაანებე თავი წუწუნს? მზამზარეულად მოგერთმევა ყველაფერი, დედოფალივით ცხოვრობ. რა გინდა ამაზე მეტი?

— ვისურვებდი მოსამსახურე ვყოფილიყავი და მძიმე შრომით მეყიდა პური.

— შენ არ იცი რა სამძიმოა ასეთი შრომა და რა ბედნიერება მოგანიჭე. დედაშენი...

— დედაჩემი შეიქნა მიზეზი ჩემი უბედურებისა.

— უჩემოდ თქვენ ორივენი შიმშილით დაიხოცებოდით. მე ვაძლევდი მას სარეცხს და როდესაც მოკვდა...

— ისარგებლეთ შემთხვევით. მომიგზავნეთ თქვენ მიერ დაქირავებული კაცი და...

— თავი დაანებე ამ ამბავს და შეასრულე ის, რაც გიბრძანო, — უთხრა მკაცრად დიასახლისმა და ისეთი თვალით შეხედა, რომ ქალს პირში სიტყვა გაუწყდა.

— არ ვიცი, რა გინდათ ჩემგან.

— აიღე გასაღები და როდესაც ის ქალი გაიღვიძებს, შედი მასთან. გაეცანი, დაუმეგობრდი. — აქ დიასახლისმა გრძელი საუბარი გაბა, რათა შეეგონებინა შურასთვის, როგორ მოეტყუებია საბრალო ქალი.

— მე ვასრულებ თქვენს სურვილს და ვღებულობ თქვენს სტუმრებს. მეყოფა, მეძავი ქალის სახელს რომ ვატარებ, პროსტიტუციის მაჭანკლად კიდევ ნუ გამხდით, მე ვერ ვიზამ ამას.

— ვარ თუ არა მე შენი დიასახლისი და უფროსი?!

შურა დუმდა.

— ვერ იზამ? მაშ, სასჯელიც მიიღე. მე მოგისევ ამაღამ ლოთებსა და ავაზაკებს, ხომ იცი, ისინი ქალს როგორ ექცევიან?!

შურას გააჟრჟოლა.

— რატომ მაინცდამაინც მე ამირჩიეთ საამისოდ?!

— იმიტომ, რომ შენ ყველაზე ახალგაზრდა ხარ. შენ უფრო დაგიჯერებს. დაფიქრდი.

— კარგი, ვეცდები, თუ რამე გამოვიდა, — უპასუხა ქალმა მცირე ყოყმანის შემდეგ და გასაღები ჯიბეში ჩაიდო.

— მეტისმეტად ველური, ფიცხი და ამაყი ვინმეა. საჭიროა ფრთხილად მოექცე.

— თქვენ განა ცოტა საშუალება გაქვთ ასეთი ქალების მოსათვინიერებლად?!

მასთან ასეთი საშუალება არ ივარგებს. ამას წინათ ერთმა ფრიად დიდმა პიროვნებამ ქალწული ქალი მთხოვა და მეც მისთვის ვინახავ ამ ქალს. ეცადე, თუ გინდა სამაგიერო საჩუქარი მიიღო.

შურა შეიჭმუხნა, უნდოდა ეპასუხნა მისთვის, მაგრამ დიასახლისი გავიდა და მასაც უკმეხი სიტყვა ენაზე შერჩა.

ადგა, სარკმელი გამოაღო, დახუთული ჰაერი რომ გაეწმინდა და ფანჯარასთან ცოტა ხნით შედგა.

— ჩემო დაღუპულო სიცოცხლევ, ჩემო დაღუპულო ახალგაზრდობავ?! — დანანებით ჩაილაპარაკა მან და განუსაზღვრელი სევდით გააყოლა თვალი იმ ღრუბლის ქულას, რომელიც სამხრეთის მიმართულებით მიცურავდა.

IX

თვალი გაახილა. დასძინებია. დასძინებია აქ, ამ წითელ ოთახში.

დასურათებული კედლები, უწმაწური სურათებით დასურათებული კედლები. საეჭვო ნივთები.

თვითეული ნივთი ლაპარაკობს უბედურებაზე, ქალის უბედურებაზე.

შეშფოთებული ზეზე წამოიჭრება.

ეძებს დანას, რომ ყელი გამოიჭრას. ეძებს თოკს.

არაფერი არ არის, გარდა ფრჩხილის მაკრატლისა, რომელიც შემთხვევით დარჩენია ვიღაცას მაგიდაზე.

ძვირფასი განძივით ინახავს მას უბეში და ათვალიერებს ჭერს, დაეძებს ლურსმანს.

ამ მაკრატლით დაიჭრის თმას და თავისივე ნაწნავებით ჩამოიხრჩობს თავს.

„რეზო, ლალა, ჩემო აღმზრდელებო, იცით თუ არა, სად არის მაგდა, იცით თუ არა, რა მოელის მას?!“ — ფიქრობს ის და სასოწარკვეთილებით იმტვრევს თითებს.

აჰ, რა ძალიან უნდა მაგდას ყველაფერი ეს ტყუილი გამოდგეს.

და ცდებოდეს.

ისევ დაუბრუნდება სოფელს.

ისევ ნახავს საყვარელ აღმზრდელებს.

ისეირნებს ლალასთან ერთად.

გამოაჯავრებს რეზოს და...

ბედნიერი იქნება, ბედნიერი.

მოგონებები აწამებს მის სულს და ხედავს სახლს, სადაც ბავშვობისას დარბოდა. სადაც აღიზარდა.

ხედავს ეზოს, მწვანე კოინდრით მოფენილს.

ჩაქუხას ტალღებს, სადაც არა ერთხელ უბანავია ამხანაგებთან ერთად.

იგონებს ბაღს ატმებით, ალუბლებით და ვაშლებით მორგულს.

იგონებს საქანელას, რამდენიმე დღის წინათ რომ ქანაობდა ცელქი ბავშვივით.

ცელქი ბავშვი მოკვდა. მხიარული მაგდა მოკვდა.

ის ვეღარა ცნობს იმ ფერმკრთალ ქალს, შეშინებული რომ უცქერის კედლის სარკიდან.

ეს მე ვარ. ნუთუ მე ვარ ასეთი უშნო, გაცრეცილი, დასვრილი!..

სახეზე ხელებს იფარებს და ფიქრს ეძლევა, უსიხარულო ფიქრს.

ოთახში 17-18 წლის ქალიშვილი შემოდის. მას ოქროსფერი თმა და ლურჯი თვალები აქვს.

გაუბედავად შედგა. ალერსიანად შეაჩერდა. მიესალმა.

— თქვენ... ვინა ხართ? — ეკითხება მაგდა და ეჭვით ათვალიერებს შემოსულ ქალს.

— მე შურას მეძახიან, ჩემმა დიასახლისმა შემომგზავნა, რომ...

— ტყუილებით დამამშვიდოთ. ასეა, არა?!

— რად გგონიათ, ბოროტი ადამიანია. ის კაცები თქვენ დაღუპვას გიქადდნენ, ამ ქალმა კი დაგიხსნათ. მოგვეცით თქვენი მისამართი და ერთი კვირის შემდეგ დაუბრუნდებით მშობლებს.

— თქვენ არ მატყუებთ? — შეეკითხა მაგდა და დაჟინებით დაუწყო ცქერა.

— არა, — მიუგო შურამ და თვალი აარიდა.

— მაშ, დაიფიცეთ, რომ თქვენ სიმართლეს მელაპარაკებით.

— დავიფიცო?! მაგრამ რა? ღმერთი არა მწამს, მახლობელი და საყვარელი არავინა მყავს.

— თქვენი სინდისი, თქვენი უმანკოება.

— უმანკოება არა მაქვს. მე ის წამართვეს.

— სად, აქ?! — წამოიძახა მაგდამ და შიშისაგან თვალები გაუფართოვდა.

— არა, ჩემს სახლში. დედა მომიკვდა. უპატრონო თორმეტი წლის ბავშვს თავზე დამეცა ბოროტი ადამიანი და... ეჰ, რა საჭიროა ახლა ამაზე ლაპარაკი. მე მტანჯავს ეს მოგონება... — ქალი დაჩუმდა. ორი დიდი ცრემლი გადმოეკიდა წამწამებს, დაგორდა ქვევით და იატაკზე დაიმსხვრა.

— საბრალოვ, შენ მართლაც რომ უბედური ყოფილხარ, — უთხრა მაგდამ და ატირებულ ქალს გულწრფელი სინაზით მოეხვია.

დამეგობრდნენ.

ამხანაგურად საუბრობდნენ.

ხშირად კამათობდნენ სხვადასხვა საკითხზე.

— შურა, ვინ გასწავლა შენ ყოველივე ეს? ისე მსჯელობ, როგორც კარგად განსწავლილი ქალი.

— ერთმა მეგობარმა, რომელიც ხშირად მოდიოდა ჩემთან, მოჰქონდა ბროშურები, წიგნები, მიხსნიდა, მასწავლიდა, მარწმუნებდა, რომ ვუყვარდი და შემდეგ...

— რა მოხდა შემდეგ?!

— სადღაც უკვალოდ გაქრა. ვეღარ ვიპოვე. ვინ იცის, იქნება დაიჭირეს კიდეც... — თქვა ქალმა სინანულით და მაგდას შეხედა.

— ნუ გეშინია, შურა, მალე, სულ მალე დაამტვრევს ხალხი იმ ბორკილებს, რომლითაც ასე უსამართლოდ შებოჭეს მისი ძალა და ნებისყოფა.

ასეთ საუბარში გავიდა რამდენიმე დღე და მაგდაც სრულიად გამოკეთდა.

შურა კი თავისებურად ამშვიდებდა და ეუბნებოდა, რომ წერილის პასუხი საცაა მოვა და შენც ჩქარა დაუბრუნდები შენს სოფელსო.

— შურა, მე არ ვიცი, რად მომრთე ასე მდიდრულად. გეეედ-რები, დამიბრუნე ჩემი უბრალო ტანსაცმელი. მახრჩობს ეს! — წამოიძახა მაგდამ და ცისფერი გამჭვირვალე აბრეშუმი მკერდამდე ჩამოიხსნა.

— აკი გითხარი, მრეცხავ ქალს მივეცი-მეთქი. ხვალ მოიტანს და შენც მიიღებ. თუმცა არ მესმის, რადა ხარ ასე ცუდად განწყობილი ამ კაბისადმი. ისე გიხდება... — დაყვავებით მიუგო შურამ და ისევ შეუკრა გახსნილი გულისპირი ოქროსფერი ბუზმენტებით. მაგდა ისეთი ლამაზი, წმინდა და უმანკო ჩანდა, რომ შურამ სინდისის ქენჯნა იგრძნო და ცოტა დააკლდა, რომ დაეყვირა: „უბედურო ბავშვო, ნუთუ არ ხედავ, ყველა გატყუებს, ნუთუ არ ხედავ, ვის ხელში ხარ?! გაიქეც აქედან, თავს უშველე, თორემ დღეს უკანასკნელი დღეა შენი უმანკოებისა“. განიზრახა, გაეპარებია კიდეც, მაგრამ როცა წარმოიდგინა, რა სასჯელი მოელოდა ამისათვის, ამოიოხრა და უმწეოდ თავი ჩაკიდა.

— შურა!

— რა იყო, ჩემო კარგო!

— რაღაცას მალავ, რაღაცას არ მეუბნები.

— მე? აბა რაზე იფიქრე ეს?!

— შურა, შენი სახისა და თვალების პატრონი არ უნდა კადრულობდეს სიცრუეს. იქნება ცხოვრებამ გაგსრისა და ბევრი ცუდი რამ ჩაგადედინა, მაგრამ ნუ ჩაიდენ კიდევ უარეს საშინელებას და ნუ გახდები მოზიარე ბოროტმოქმედებისა.

— მე არ ვიცი, რას თხოულობ ჩემგან.

— სიმართლეს, შურა, მხოლოდ სიმართლეს.

— სიმართლეს? სად არის სიმართლე და ან ვინ ლაპარაკობს ახლა მას?! — სასოწარკვეთილებით შემობრუნდა, ცრემლი ყელში მოაწვა და აქვითინდა, აქვითინდა მწარედ, უნუგეშოდ.

— ააჰ, მაშ შენ ტყუოდი. მაშ შენ მოსყიდული ხარ, მე კი დაღუპული? მაგრამ არა, მე ვიცი ასეთ შემთხვევაში, როგორ მოვიქცე! — წამოიძახა მან და დანას ეცა, რომელიც იქვე, მაგიდაზე იდო. უეცრად კარი გაიღო და ამ დღისთვის საგანგებოდ დაბარებულმა პოლიცმეისტერმა რაკოვიჩმა ქალს დანა გამოსტაცა.

— ვინა ხართ თქვენ, ან რა გნებავთ აქ? — შეეკითხა მაგდა მრის-

ხანედ, როცა შურა ოთახიდან გავიდა და უცნობმა მამაკაცმა კარი ჩაკეტა.

— ლამაზო, აბა რად გინდა ჩემი ვინაობა. შენს თავს ბედნიერად უნდა რაცხდე, რომ მე გიყიდე.

— არავის არა აქვს უფლება იყიდოს ჩემი სიცოცხლე. ის მე მეკუთვნის და თვითონვე მოვისპობ მას.

— ამის ნებას ვერ მოგცემ, მშვენიერო, შენი თავი ას ოქროდ მიღირს.

— ცოცხალი არ დაგნებდებით, — წარმოთქვა მაგდამ მტკიცედ და თვალებიდან მრისხანების ნაპერწკლები გადმოჰყარა.

— მე შენ მომეწონე, გოგონავ, — ამ სიტყვებით რაკოვიჩი წაიწია ქალისაკენ და მის თვალებში მხეცური, თავშეუკავებელი ჟინი აინთო. მაგდა ეცა კუთხეს, ხელები წინ გაიწოდა, რომ ყელში სცემოდა მას, მაგრამ ზედმეტი აღშფოთებისაგან თვალთ დაუბნელდა და გულწასული ქალი ძირს დაეცა.

საშინელი წუთები, რომელსაც ისეთი თავგანწირვით გაურბოდა, მოახლოვდა, მაგრამ ამ წუთების საშინელება მაგდას არ უგრძვნია, ქალი უგრძნობლად იდო.

XI

— რუსევიჩი უნდა მოკვდეს, — წარმოთქვა ერთმა ამხანაგმა მტკიცედ და კრებას გადახედა.

— გეთანხმები, ეს კაცი ამ უკანასკნელად მეტად გათამამდა, დარწმუნებულია, რომ ვერაფერს შებედავენ, — მიუგო მეორემ.

— უარესად რომ გამწვავდეს მდგომარეობა?! — გაუბედავად შენიშნა მესამემ.

— ამაზე უარესი რაღა იქნება? ერთი ჯაშუში მოვკალით და მთელი სოფელი აგვიოხრეს.

პატარა თათბირის შემდეგ მიღებული იქნა პირველი ამხანაგის წინადადება.

ქაღალდები დასჭრეს, დააწერეს, ჩამოარიგეს.

— რუსევიჩის მოკვლა მე მხვდა წილად! — წამოიძახა ლალამ და გაშლილი ქაღალდით რევაზთან მიირბინა.

— შენ? და მერე რა გიხარია?! — შეეკითხა რევაზი და იგრძნო, რომ ეს ქალი არასოდეს ყოფილა მისთვის ასეთი ძვირფასი.

— მე მხოლოდ ახლა შემიძლია დავამტკიცო, რომ ჩემი თქვენთან მოსვლა არ ყოფილა იძულებითი.

— მაგაში ეჭვი არავის ეპარება.

— ამას წინათ ერთმა ამხანაგმა შეურაცხმყო: „გრძნობთ, რომ ძველი დიდება მიდის და იძულებული ხართ მოხვიდეთ ჩვენთან. სხვა დრო რომ იყოს, მშვენივრად შეიფერებდით აზნაურის ქალობას და მამათქვენზე ნაკლებ არ გაყვლეფდით გლეხებსო". მამაჩემი ძველი კაცია და მისი მსოფლმხედველობის შეცვლა, შებრუნება ასე ერთბაშად არ შეიძლება, მაგრამ ის კი არ არის კარგი, რომ მამების ცოდვებს შვილებს გვაყვედრიან. ჩემს სიცოცხლეში არ ჩამიდენია არც ერთი ცოდვა ჩემი სოფლის გლეხების წინაშე და დაუმსახურებლად რად უნდა მესმოდეს ასეთი სიტყვები.

— ეს ჩვეულებრივი, ამხანაგური ხუმრობა იყო.

— მე არ ვღებულობ ასეთ ხუმრობას.

— იმედი გაქვს, შესძლებ საქმის გაკეთებას, რომელიც წილად გხვდა?! — შეეკითხა ერთ-ერთი ამხანაგი და მის ხმაში დაეჭვება მოისმა.

— დიახ, მე იმედი მაქვს ჩემი თავის, — უპასუხა ქალმა მტკიცედ და აგრძნობინა, რომ მისი ეჭვი უსაფუძვლოა.

მოითათბირეს როდის, სად და რა პირობებში უნდა მომხდარიყო რუსევიჩზე თავდასხმა.

— მე ვიცნობ იმ ბაღს, რომელზედაც მელაპარაკებით, მაგრამ კიდევ წავალ ხვალ, შევისწავლი ბაღის თვითეულ ხვეულს და დავათვალიერებ აივანს, რომელზედაც ისე ხშირად სეირნობს რუსევიჩი. თავდასხმა კი მოხდება სამი დღის შემდეგ. ეს კაცი ისე მეზიზღება, რომ დარწმუნებული ვარ უკანასკნელ წუთებში ჩემი ხელი არ ათრთოლდება. დღეს 15 აპრილია. 18 აპრილს, დილის ათ საათზე ვიქნები აღნიშნულ ადგილზე და იმედი მაქვს, ტყვია, რომელსაც გავისვრი, მიზანს არ ასცდება, მაგრამ... იქნება შეიქნეს ისეთი მდგომარეობა, რომ ვერ მოვახერხო მიზნის მიღწევა, ასეთ შემთხვევაში მინდა ვთხოვო ამხანაგებს — ჩემს გულწრფელობაში ეჭვი არ შეიტანონ.

ამ სიტყვებით ლალა გამოემშვიდობა ამხანაგებს და კრებაც დაიშალა.

XII

სახლამდის მიაცილა ლალა.

დიდხანს მდუმარებდნენ. წუხდნენ.

უნდოდათ რაღაც ეთქვათ ერთმანეთისათვის, რაღაც მეტად კარგი და სასიამოვნო, უნდოდათ, მაგრამ... ვერ ახერხებდნენ.

— დღევანდელი ჩემი სულიერი განწყობილება სწორედ ისეთია, როგორც იყო მაგდას დაკარგვის დღეს, — ჩაილაპარაკა ბოლოს რევაზმა და მთვარის მკრთალი შუქით განათებულ ლალას სახეს სევდიანი თვალები მიაპყრო.

— მისმა დაკარგვამ შენ იმდენად შეგაწუხა, რომ მთელი წლის განმავლობაში არ გაგიღიმია. ასეთ დიდ მწუხარებას მხოლოდ მაშინ განიცდის ადამიანი, როდესაც ძალიან საყვარელი ვინმე უკვდება.

— მეც მიყვარდა ის ბავშვი და არ შეიძლებოდა, ამ შემთხვევას გავლენა არ მოეხდინა ჩემზე.

— საბრალო ჩემი მაგდა, ალბათ, არ არის ცოცხალი, თორემ ამდენ ხანს ხმას როგორ არ მოგვაწვდენდა.

— მაგდას უბედურება მისი სილამაზე იყო.

— როგორ? შენ გგონია...

— დარწმუნებული ვარ, რომ ის ცოცხალია, მაგრამ იმდენად ამაყი და თავმოყვარე იყო, რომ თავისი უმანკოების დაკარგვას ადვილად ვერ აიტანდა. ვინ იცის, იქნება ისეა დაბმული ერთ ადგილას, რომ თავისუფალი მოქმედების საშუალება მოსპობილი აქვს.

— იძულებით მოცხებული ჭუჭყი ადვილი ჩამოსარეცხია. ნეტავი ცოცხალი დარჩეს და...

— ლალა, შენ გიყვარს შენი მოხუცი დედ-მამა?! — უეცრად შესცვალა ლაპარაკის თემა რევაზმა.

— რა თქმა უნდა, აბა, ეს რა საკითხავია?!

— მაშ, მომეცი ნება შენ მაგიერ მე მოვკლა რუსევიჩი. მე დედ-მამა არა მყავს და რომ მომკლან კიდეც, დიდად არავინ შეიწუხებს თავს.

— რევაზ, არც ერთ დედ-მამას არ ეყვარება თავისი შვილი ისე, როგორც მე მიყვარხარ, შენს სიკვდილს მე ვერ გადავიტან.

რევაზი შეკრთა. გრძნობდა რამდენად დიდი იყო ლალას სიყვა-

რული მისდამი, მაგრამ მაგდა ჯერ კიდევ ცოცხლობდა მის გულში და სხვა ქალზე ფიქრის უფლებას არ აძლევდა.

— გმადლობ, ლალა, არა ვარ ღირსი ასეთი დიდი სიყვარულისა. მაგრამ მაინც მაქვს სურვილი ვიკითხო: თუ შენ ვერ მიმეტებ სასიკვდილოდ, როგორ შემიძლია მე გაგიმეტო?

— ამხანაგებმა ეს საქმე მე მომანდეს და თუ არ მინდა ძირს დავცე ქალის სახელი, უნდა შევასრულო ეს. ჩემს მშობლებს შენ გაბარებ. მინუგეშე ისინი, ზოგჯერ მეც მომიგონე. მშვიდობით, რევაზ.

— არა, ნახვამდის. წინაგრძნობა მეუბნება, ჩვენ ისევ შევხვდებით ერთმანეთს და შევხვდებით უკეთეს პირობებში. დაიხსომე, ლალა, უკეთეს პირობებში.

— ვითომ?! — დაეჭვდა ქალი.

— ვითომ კი არა, ნამდვილად. ახლა მომისმინე: 18 აპრილს მოპირდაპირე სახლის აივანზე ვიქნები და იქიდან ვადევნებ თვალს. როგორ გმირულად შეასრულებ შენს როლს.

— ეს არ არის საჭირო, რევაზ.

— შენ გინდა დამიშალო ეს, გინდა დამიშალო?!

— მაშ, მომეცი სიტყვა პატიოსანი კაცისა, რომ არ გახცემ შენს თავს, რა პირობებშიაც არ უნდა მიხილო, ხომ იცი პოლიციელების უხეში მოქმედება. შეგიძლია აიტანო ეს სანახაობა?

— შენთვის ყველაფერს ავიტან. ბალღი არა ვარ და შემიძლია მოვერიო ჩემს თავს. იყავი მხნედ. საკმარისია ერთი ძლიერი აჯანყების ტალღა, რათა მონარქიზმი ძირფესვიანად ამოვარდეს. ჩვენ მოგისწრებთ შენ, ჩვენ დაგიხსნით, ლალა.

— მჯერა, ახლა კი ნახვამდის, ძვირფასო.

რევაზი იხრება და მისი ტუჩები პირველად ეხება ქალის ხელს. ხელს, რომელმაც ქვეყანას გაბოროტებული მტერი უნდა მოაშოროს.

უეცრად ვაჟი გრძნობს, როგორ კოცნის ლალა მის შუბლს, თმებს, თვალებს.

წუთიც და ქალი ტოვებს ვაჟს.

გაფითრებული დგას რევაზი და უსაზღვრო სევდით შეჰყურებს იმ კარს, სადაც მიიმალა ლალა.

XIII

— მოკლეს, მოკლეს! — იძახდა შეშინებული ხალხი და თავზარდაცემული გარბოდა ქალაქის ქუჩებში.

— ვინ, ვინ? — კითხულობენ აქეთ-იქიდან.

— გუბერნატორი რუსევიჩი, — ისმის პასუხად.

— რას ამბობ, კაცო, ვინ მოკლა?

— რა ვიცი, ამბობენ, ქალმაო.

— დიახ, ქალმა, იმ დროს იქვე, ახლოს ვიდექი და ვხედავდი, გენერალი თავის ბაღში რომ დადიოდა. უეცრად რევოლვერი რამდენიმეჯერ ერთბაშად გავარდა. მივიხედე და დავინახე ახალგაზრდა ქალი, რომელიც მიუახლოვდა პოლიციელებს და განაცხადა: გენერალი მე მოვკალი, შემიპყარითო.

— ყოჩაღ! — ამბობს აღტაცებული მსმენელი.

— ჩუმად, სტრაჟნიკები მოდიან.

ქუჩები შეკრეს.

ხალხი დააკავეს.

გაცივებულ გვამთან ექიმი და გამომძიებელი ფუსფუსებენ.

— უბედურო, რა ჩაიდინე ეს?! — ამბობს სიბრაზისაგან სახეგადაღებული ბოქაული და ქალს ხელიდან რევოლვერს აცლის.

ქალს ხელს უკრავენ. მცველები ირგვლივ ეხვევიან, ილანძღებიან...

— თქვენი ვინაობა, მკვლელობაში დამხმარე ადამიანები, შეთქმულებაში მონაწილე ამხანაგების ბინა? — სხაპასხუპით აყრის კითხვებს გამომძიებელი და სათვალეს ზემოდან დაკვირვებით შეჰყურებს ახალგაზრდა ქალს.

— ისეთი რამე მკითხეთ, პასუხის გაცემა რომ შეიძლებოდეს. ასეთ შეკითხვებზე არ გიპასუხებთ, — ამბობს ქალი მტკიცედ და ამაყად.

— თქვენ არ შეგიძლიათ იმის უარყოფა, რომ პარტიის დავალებით ჩაიდინეთ ეს მკვლელობა.

— არავითარ პარტიას არ ვეკუთვნი. თვითონ მიეედი იმ დასკვნამდე, რომ ეს კაცი უნდა მომკვდარიყო. ამხანაგები არა მყავს და მკვლელობაც არ მქონია დავალებული. მკვლელი თქვენს ხელშია და შეგიძლიათ ისე მოიქცეთ, როგორც თქვენი კანონი გიკარნახებთ. მეტს არაფერს ვიტყვი.

გამომძიებელს აკვირვებს ქალის გაბედული პასუხი და აღტაცებას ვერ მალავს.

„წყეული სოციალისტები. რა მშვენიერი ქალიშვილი დაღუპეს“, — ფიქრობს გამომძიებელი თავისთვის და ქაღალდს შლის.

ოქმი იწერება.

მიცვალებული მიაქვთ.

რამდენიმე მცველს მიჰყავს ლალა სამაზრო ციხისაკენ.

მიჰყავთ ხელებშეკრული, შემართული თოფებით.

მოპირდაპირე სახლის აივანზე ქანდაკებასავით გაყინულა რევაზი და გაფითრებული შეჰყურებს ამ სურათს.

ლალამ ოდნავ მიიბრუნა თავი მისკენ და თვალით ანიშნა: ნუ დგახარ აქ, წადი, დაიმალეო.

რევაზი ერთბაშად შემობრუნდა, კიბის საფეხურები საჩქაროდ ჩაირბინა და რომელიღაც ქუჩის შესახვევში მიიმალა.

რაღაც გამოურკვეველი, ბუნდოვანი გრძნობა ტალღასავით აზვირთდა მის გულში, თვითონაც ვერ მიმხვდარიყო რა იყო ეს? აღტაცება, მწუხარება თუ...

ორივე ერთად?!

XIV

ერთ დღეს მაგდას ოთახში დიასახლისი შევიდა და ისე მიესალმა, როგორც ესალმებიან არა ხელქვეითს, არამედ ადამიანს, რომლიდანაც რაიმე წყალობას მოელიან.

— მაგდა, რაკოვიჩმა მიბრძანა სასეირნოდ წაგიყვანო... ექიმიც ამასვე გირჩევს.

— არ არის საჭირო, მე არა ვარ სასეირნოდ განწყობილი, — მიუგო მაგდამ ცივად და წიგნის კითხვა განაგრძო.

— კვირაში სამი დღე შენს განკარგულებაშია. რაკოვიჩი ამბობს, იმ დღეს, რომელსაც შენ სასეირნოდ აირჩევ, მისი ვიზიტებისაგან თავისუფალი იქნები.

მაგდამ გაკვირვებით შეხედა დიასახლისს. მის თვალებში ეჭვი გამოკრთა.

— არ გატყუებ, რაკოვიჩი მართლა შეგპირდა ამას.

მაგდა წამოდგა.

— რას იტყვი, თანახმა ხარ? — შეეკითხა დიასახლისი და თვა-

ლებში კატასავით შეხედა. მას აწუხებდა მაგდას ავადმყოფობა, ეშინოდა, არ გამოსცლოდა ხელიდან ეს ქალი და არ დაკარგოდა ფული, რომელსაც რაკოვიჩი უხვად აძლევდა.

— კარგი, არამცთუ სასეირნოდ, ჯოჯოხეთშიაც კი წავალ, ოღონდ ამ კაცის სიახლოვე არ ვიგრძნო, ოღონდ... — ხველამ მოუსწრო და სიტყვა ყელში გაეჩხირა.

— ჩაიცვი. მეეტლეს დავუძახებ, — უთხრა დიასახლისმა და ოთახიდან გავიდა.

— დიასახლისმა მთხოვა, ჩაცმაზე დაგეხმარო. შენ ცუდი ფერი გაქვს, ჩემო მეგობარო, დაჯექი, — უთხრა მაგდას შურამ, წელზე ხელი მოხვია და სავარძელზე დასვა.

ვრცელი და ნათელი დარბაზი სალონს უფრო ჰგავდა, ვიდრე საძინებელ ოთახს.

კედლებზე — აბრეშუმის შპალერი და ძვირფასი სურათები.

კარზე — მძიმე ხავერდის კრეტსაბმელები.

მარმარილოს მაგიდაზე — ბრინჯაო, ბროლი და მინანქარი.

თაროებზე — სტატუეტები.

იატაკზე — ნოხები, რბილი სავარძლები და ათასი ლამაზი ნივთები, აქა-იქ მხატვრულად მოწყობილი და მილაგებული.

მზრუნველ ხელს ისე მდიდრულად და გემოვნებით მოერთო ეს ბინა, რომ ადამიანი იფიქრებდა... აქ მცხოვრებს ფუფუნება და და ბედნიერება არ აკლიაო, მაგრამ როდესაც მის ბინადარს ნახავდა, მსწრაფლვე აზრი შეეცვლებოდა, იმდენად გამხდარი, ფერმკრთალი და გამოცვლილი ჩანდა, რომ ძველ მაგდასთან შედარებით აჩრდილსღა წარმოადგენდა.

— შენ კიდევ ვერ მაპატიე ჩემი დანაშაული?.. — შეეკითხა შურა და მის ხელს ალერსით ხელი დაადო.

— ნუ გამახსენებ წარსულს, ხომ იცი ჩემი აზრი ამის შესახებ! — მიუგო მაგდამ და მის სახეზე ტკივილები გამოიხატა.

— ვიცი, შენ მითხარი ერთხელ: მე ასე არ მოვიქცეოდიო, საინტერესოა, რას იზამდი?!

— ვეცდებოდი დამეხსნა და გამენთავისუფლებინა ადამიანი, რომელსაც დაღუპვა ელოდა და თუ ამას ვერ შევძლებდი, მივცემდი ხელში დანას და ვეტყოდი: „მოკვდი, ვინაიდან სიკვდილი სჯობია ცხოვრებას, რომელიც აქ გელის“.

— სასიკვდილოდ ვერ გაგიმეტე, მაგდა.

— და მაინც... ვკვდები, — უპასუხა მაგდამ გულგრილად და თეთრ აბრეშუმის კაბაზე საზაფხულო პალტო გადაიცვა.

— მეგონა, ისევე შეურიგდებოდი ხვედრს, როგორც სხვა ყველა, მაგრამ შენ ჯიუტი გამოდექ. ახლაც ყალყზე მიდგება თმა, როცა მოვიგონებ, როგორ გნახეთ საკუთარ ნაწნავებზე ჩამოკიდებული დროზე მოგისწარით და როგორც იყო გადაგარჩინეთ, მაგრამ ამ შემთხვევამ მაინც დაგცა და მთელი თვე ისე იავადმყოფე, ხელიდან კინაღამ გამოგვეცალე. რაკოვიჩი იმ დროს უსათუოდ პატიოსნად მოიქცა და...

— მისი პატიოსნება მარტო შენ და ჩემს დიასახლისს გწამთ, — უპასუხა მაგდამ და მის სიტყვებში მწარე ირონია მოისმა.

— არა, მაგდა, ამ შემთხვევაში შენ სცდები. ეს კაცი ისე შეწუხებული იყო, ისე გივლიდა, როგორც მოუვლიან საკუთარ ცოლს ან საყვარელ შვილს, დაგიხსნა კიდეც სიკვდილისაგან.

— რათა ისევ განმეცადა წამება, დამცირება და შეურაცხყოფა.

— საკვირველია, რატომ არა ხარ ბედის კმაყოფილი! შენ ერთ კაცთან ცხოვრობ, ჩვენ კი ვინ იცის, ვისთან და რამდენთან?!.

— ორივე ბოროტებაა, ისიც და ესეც.

— გარწმუნებ, რომ აქ გაცილებით ნაკლებია ბოროტება. შენ არ იცი, რა საშინელია ის ღამეები, რომელიც...

— და მიუხედავად ამისა, ყოველ დილით ისე გამოდიხარ შენი ოთახიდან, თითქოს პატიოსანი ქალიშვილი იყო.

— ზოგჯერ მგონია, მართლაც ასეთი ვარ: მე ვაძლევ მათ სხეულს, მაგრამ ჩემი გული, ვნება და სიყვარული ისევ იმ კაცს ეკუთვნის, რომელიც დამეკარგა და რომელიც მგონია... ისევ მოვა.

— ალბათ, დაგივიწყა, შურა. შენისთანა ქალის სიყვარული არ ფასდება.

— არა, მაგდა, დარწმუნებული ვარ, თავისუფალი რომ იყოს, მომნახავდა და მოვიდოდა. ის ჩემი მეგობარი, მასწავლებელი და პირველი მამაკაცი იყო, რომელმაც ჩემში სიყვარული გამოიწვია.

— ვინ იცის, იქნება შეხვდეთ კიდეც ერთმანეთს, ამას გულწრფელად გისურვებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, კიდევ რამდენიმე წელიწადი და შენც დაემსგავსები ქალებს, რომლებიც დაბლა ხართულში ცხოვრობენ და რომელთაც ადამიანის სახეც კი აღარ შერჩენიათ.

— არა, იქამდი ჩემს თავს არ მივიყვან. მე ვცხოვრობ და ვუცდი. ვუცდი ან მეგობარს, ან სიკვდილს.

— თუ ორივემ დაიგვიანა?

— მაშინ სხვა გზას გამოვნახავ.

— რატომ აქამდე არ სცადე?

— ვცადე, მაგრამ ისევ უკან მომაბრუნეს. კიდევ ვცდიდი, მაგრამ ველი მას, აჰ, ველი, ველი...

კარზე კაკუნი მოისმა.

— დიასახლისი გეძახის. ხომ მზადა ხარ, მაგდა? — შეეკითხა შურა და თეთრი ფეტრის ქუდი და თეთრი მეშის ხელთათმანი მიაწოდა. მაგდამ უსიტყვოდ ჩამოართვა ისინი და ბროლის ვაზიდან მაგნოლიის დიდი ყვავილი ამოიღო.

— რა უცნაური ქალი ხარ. შენ იცი, მაგნოლია ადამიანს ვნებს და მაინც მხოლოდ ამ ყვავილს უვლი და ინახავ. შენი ოთახიდან მე ყოველთვის მძაფრი თავის ტკივილი გამყვება ხოლმე.

— გემოვნების საქმეა, ჩემო კარგო, მე მხოლოდ ეს ყვავილი მიყვარს, — თქვა და შურასთან ერთად დარბაზიდან გავიდა.

გარეთ ეტლი ელოდა.

XV

ეტლმა ქალაქის უმთავრესი ქუჩები შემოიარა და ალექსანდროვის ბაღთან შედგა.

— მინდა ცოტა ხანს ბაღში დავჯდე, — უთხრა მაგდამ დიასახლისს, ისიც უსიტყვოდ დაეთანხმა. დიასახლისი კმაყოფილი იყო, რომ რაკოვიჩს სურვილი შეუსრულა და ქალი გასეირნებაზე დაიყოლია. ბაღში ხალხი მიდი-მოდიოდა და მაგდაც შურით შეჰყურებდა იმ ადამიანებს, რომლებსაც თავისუფალი მოქმედების საშუალება ჰქონდათ. უეცრად ბაღში ათი-თორმეტი წლის გოგონა შემოვიდა, მის ცისფერ თვალებს ძალიან უხდებოდა ასეთივე ფეტრის, ლამაზად შეკერილი კაბა. ხელში იასამნის ვეებერთელა თაიგული ეჭირა, რომელიც უწესრიგოდ იყო დალაგებული და ეტყობოდა, ცდილობდა არ დაბნეოდა.

„რა საუცხოო ბავშვია“, — გაიფიქრა მაგდამ და როცა ბავშვი მის სკამს მიუახლოვდა, ალერსით შეეკითხა:

— არ შეიძლება, გოგონა, ცოტა ხანს ჩემ გვერდით დაჯდე?!

— დიდი სიამოვნებით, დეიდა, — მიუგო ბავშვმა ზრდილობიანად და თაიგული თავის გვერდით ჩამოდო.

— რა გქვია? — შეეკითხა მაგდა და თავზე ალერსით გადაუსვა ხელი.

— ლედა.

— დედ-მამა გყავს?!

— მყავს.

— და-ძმა?!

— არა, დედისერთა ვარ, — მიუგო ბავშვმა და არეული ყვავილების დაწყობა დაიწყო.

— რად გინდა, გოგონა, ამხელა თაიგული?!

— დედამ დამავალა მეყიდა. ერთი ახალგაზრდა კაცი მოკვდა და უნდა გვირგვინი გააკეთოს. ის ძალიან კეთილი ადამიანი იყო და როცა კვდებოდა, სულ მზეზე და ყვავილებზე ლაპარაკობდა.

— დიდხანს იყო ავად ეს თქვენი ნაცნობი ახალგაზრდა?!

— არ ვიცი. ამ ერთი თვის წინათ ციხიდან გაანთავისუფლეს. ამბობენ, ჭლექით გარდაიცვალაო. ყველა ძალიან დააღონა მისმა სიკვდილმა, დედაც, მამაც, ძია რეზოც, რომელიც გუშინ სოფლიდან ამოვიდა.

ამ სახელის გაგონებაზე მაგდას ფერმა გადაჰკრა და ბავშვს შეაჩერდა, მაგრამ მალე მოერია თავს და მშვიდად შეეკითხა:

— რომელ სოფელში ცხოვრობს შენი ძია!

ბავშვმა მაგდას სოფელი დაასახელა.

რამდენიმე წუთით სიჩუმე ჩამოვარდა.

— ეტლი იცდის, — დროა წავიდეთ, — უთხრა მაგდას დიასახლისმა და ბავშვს ციგად გადახედა.

— გოგონა, გადაეცი ეს მაგნოლია შენს ძიას და უთხარი, მეც მისი სოფლიდანა ვარ.

დიასახლისი სკამიდან წამოიჭრა და მაგდას განრისხებით ხელი ჩაავლო.

— ლედა, შენი თაიგულიდან ერთი იასამანი მაჩუქე.

ბავშვმა რამდენიმე ღერი გამოაძრო.

— მხოლოდ ერთს წავიღებ, მეტი არ მინდა. მშვიდობით, საყვარელო ბავშვო, ნუ დამივიწყებ.

ამ სიტყვებით მაგდა დაიხარა, ბავშვს თავზე აკოცა და ლედას პატარა ხელებს ორი დიდი ცრემლი დაეცა, ბავშვი რამდე-

ნიმე წუთით გარინდებული იდგა და როცა გამოერკვა, დაინახა, ეტლმა უცნობი ქალი სადღაც გააქროლა.

დაბლა დაიხედა.

მის ფეხებთან თეთრი ხელთათმანი ეგდო.

XVI

— ძია რეზო, სად არის ძია რეზო?! — შეეკითხა ის ოთახში მოფუსფუსე დედას. და საჩქაროდ იმ დარბაზში გაიჭრა, სადაც რევაზი იჯდა და რაღაც ქაღალდებს დაჰყურებდა.

— რა იყო, ლედა, რა მოხდა? — შეეკითხა რეზო, როდესაც აღელვებული ბავშვი დაინახა.

ლედამ დაწვრილებით უამბო ყველაფერი.

— ძია რევაზ, ვინ იყო ის საშინელი ქალი, რომელიც მას ახლდა და რად ტიროდა ის, რად ტიროდა, رااااد! — აქ ბავშვმა ვეღარ მოითმინა და უეცრად ტირილი დაიწყო. რევაზი შეიშმუხნა და იგრძნო, რომ მის ყელსაც მოაწვა ცრემლი. მეტადრე მაშინ, როდესაც ხელში პატარა და თეთრი ხელთათმანი აიღო. სათუთ მეშს მკაფიოდ აღებეჭდა მაგდას თითების მოხაზულობა და რევაზსაც ეგონა, რომ ეხებოდა მაგდას ხელებს, თვალებს, თმას და ისე ცხადად შეიგრძნო ყველაფერი ეს, რომ საშინელი ტკივილები განაცდევინა. ამ ნივთმა ოთახში ძვირფასი წყლის და მაგდას სხეულის სურნელება შემოიტანა და კიდევ რაღაც, რასაც რევაზი ებრძოდა ორი წლის განმავლობაში, მაგრამ რომლის დაძლევა მან მაინც ვერ შეძლო.

მაგნოლიას დახედა და ერთ ფურცელზე ფრჩხილით გახაზული „მაგდა“ ამოიკითხა.

— მაგდა ცოცხალია, მაგრამ სად ვეძიო, სად?! — ჩაილაპარაკა უნუგეშოდ და მძიმე ფიქრს მიეცა.

მეორე დღეს რევაზმა და ლედამ რამდენიმე ბაღი შემოიარეს, სამისამართო მაგიდები შეაწუხეს, თეატრები და კინო-დარბაზები დაათვალიერეს, მაგრამ მაგდას კვალი ვერ აღმოაჩინეს.

შეწუხებული რევაზი შინ დაბრუნდა და ლოგინზე მიეგდო.

ხელმეორედ დაკარგა ძვირფასი მეგობარი და ახლა, ალბათ... სამუდამოდაც.

XVII

ერთ-ერთ სავარძელში რაკოვიჩი ზის, პირში პაპიროსი გაურჭვია და ხშირად იყურება იმ კუთხისაკენ, სადაც მაგდაა.

ქალის სახეს მძიმე ავადმყოფობის ბეჭედი აზის. არანორმალურად აწითლებული ლოყები, ჩვეულებრივზე უფრო ელვარე თვალები, მაგრადმოკუმული ტუჩები მის მძიმე მდგომარეობაზე მეტყველებენ. ზის ერთ ადგილას, ზის რაღაც გაყინული და გულგრილად დაჰყურებს გადაშლილ ჟურნალს. ხანგრძლივ სიჩუმეს მაგდას დროგამოშვებით ამოხველა და ჟურნალის ფურცვლის შრიალი არხევს.

— ექიმმა დღესაც შემომჩივლა, რომ არ ასრულებ მის რჩევა-დარიგებას: არც ერთ წვეთს შენ მიერ გამოწერილ წამლისას არ მივიღებო, გითქვამს, მართალია ეს?

— მართალია და თუ აქვს ცოტა თავმოყვარეობა, აღარ შემოვა ჩემთან.

— რად სჩადიხარ ამას: რად ირთულებ ავადმყოფობას?

— იმიტომ, რომ სიცოცხლე არა მსურს. თქვენ იცით ეს და მიუხედავად ამისა, მაინც მაწუხებთ თქვენი ექიმებითა და წამლებით.

— მე მინდა იცოცხლო, მაგდა.

— რისთვის, ვისთვის? თქვენი პირუტყვული ჟინის დასაკმაყოფილებლად და ჩემი დიასახლისის ფულების შესაძენად?! კმარა, მთელი ორი წელიწადი მაწამეთ და დღეს... დღეს მაინც დამანებეთ თავი, მომეცით საშუალება, მოვკვდე! — მის სიტყვებში იმდენი ტანჯვა და უიმედობა ისმოდა, რომ მსმენელს სიბრალულს აღუძრავდა.

— თუ ოდესმე ცუდად მოვიქეცი, გამოვისყიდე კიდეც ჩემი დანაშაული, შენ ხედავ, რომ აქ მყოფი ქალები ერთი ღამის განმავლობაში რამდენიმე მამაკაცს ისტუმრებენ და ამავე დროს ორთიან თავისი დიასახლისის წინაშე. მე აგაშორე ეს ხვედრი. შენს შეწუხებას ვერ გაბედავს ამ სახლის ვერც ერთი სტუმარი, შენს სურვილს ასრულებს საგანგებოდ შენთვის აყვანილი მსახური. გაქვს ლამაზად მორთული ოთახი, ფული, შენს ნებაზე ცხოვრობ.

— ჩემს ნებაზე?! ვერც ერთი მცველი ისე ვერ დაიცავს ტუ-

საღს, როგორც მიცავს ჩემი დიასახლისი და თქვენ მიერ მოჩენილი მსახური.

— აქაც შენა ხარ დამნაშავე. როცა ცოტა თავისუფლება მოგეცით, თავი კინაღამ ჩამოიხრჩვე, ერთხელ საწამლავსაც მიმართე. არ მინდა განმეორდეს ასეთი რამ. რად გავიწყდება ყველაფერი ეს?

— აჰ, მე არაფერი მავიწყდება და მით უფრო არ მავიწყდება ჩემი ცხოვრების ერთი ამბავი. თექვსმეტი წლის გოგონა ვიყავი და მახლობელი პროვინციიდან შინ ვბრუნდებოდი, ამ დროს თავს დამესხა სამი ავაზაკი, ხელი შემიკრეს, პირი ამიხვიეს და ასე მომიყვანეს აქ, საქართველოს დედაქალაქში. მე მოვხვედი იმ საშინელ სახლში. რომელსაც საროსკიპოს ეძახიან და თქვენ... თქვენ, ვითომდა წესიერების დამცველო ადამიანო, იმის ნაცვლად რომ გეთქვათ: ხელი არ ახლოთ ბავშვს, ის უნდა დაუბრუნდეს მშობლებს, — იმის ნაცვლად-მეთქი, ვამბობ მე, — იყიდეთ ჩემი სხეული. თავისუფალი ვიყავი და დამატყვევეთ, ჯანსაღი ვიყავი და დამასნეულეთ, უმანკოება მქონდა და წამართვით, დაადგით ფეხი ჩემს ახალგაზრდობას, ჩემს თავმოყვარეობას, ჩემს ნამუსს და ყოველივე ამის შემდეგ მოდიხართ აქ და ბედავთ იმაზე ლაპარაკს, რომ მე ჩემს ნებაზე ვცხოვრობ! ხომ იცით, რომ არ შეგიყვარებთ, არ შეგიყვარებთ არავითარ შემთხვევაში... რად მოდით დღეს? რომ ისევ შემაწუხოთ, ისევ დამამცირეროთ?! თქვენ ხედავთ, ავად ვარ, ძალა არ შემწევს წინააღმდეგობის გაწევისა და სარგებლობთ, სარგებლობთ ჩემი სისუსტით.

როდესაც ამ სიტყვებს ამბობდა მთელი სხეულით თრთოდა, ზედმეტი აღელვებისაგან საშინელი ხველაც აუვარდა. სახეზე წამოწითლდა, ხელები გულთან მიიტანა, თვალი დახუჭა და სავარძლის ზურგს მიეყრდნო.

— არის წუთები, როდესაც თვით უსასტიკეს ადამიანშიც კი იღვიძებს გრძნობა ლმობიერებისა და კაცთმოყვარეობისა. დამშვიდდი. დღეს არ შეგაწუხებ. თვითეული მოახლოება, თავდება ცრემლით, ისტერიკით, ძალდატანებით. მე ვფიქრობდი, გონს მოხვიდოდი, დააფასებდი მზრუნველობას, დააფასებდი სიყვარულს...

— ნუ შეურაცხყოფთ ამ გრძნობას. თქვენ რა იცით, რა არის სიყვარული!

— სამწუხაროდ, გვიან გავიგე ეს გრძნობა. ერთი წლის შემდეგ ჩვენ წავალთ რუსეთში და...

— ეს არ იქნება. მე მინდა საქართველოში მოვკვდე. ყველაფერი წამართვით და ახლა სამშობლოსაც გინდათ მომგლიჯოთ?!

— კარგი, ჩვენ ამაზე კიდევ ვილაპარაკებთ, რაც შეეხება ექიმს, შენ ხვალ მოუსმენ მას, წამლებსაც მიიღებ, თავსაც მოუვლი და როცა ხელმეორედ შემოვალ შენთან, იცოდე... ცრემლი არ იყოს. ნახვამდის.

— დაიცათ, ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან.

— რა არის ისეთი. წინათ შენ თხოვნას არ კადრულობდი?

— თქვენ წამოგცდათ ამას წინათ, რომ რუსევიჩის მკვლელ ქალს სიკვდილით დასჯიანო. მართალია ეს?

— მართალია.

— მე ვიცი, შეგიძლიათ გადასცეთ მას ბარათი, თუ თქვენ მოისურვებთ.

— შემიძლია, მაგრამ... არ მოვისურვებ.

— თქვენ რამდენჯერ გითქვამთ ჩემთვის, რომ იცით რა არის გრძნობა სიყვარულისა. მე ეს არ მჯერა. დამიმტკიცეთ, რომ სიმართლეს ამბობდით.

— რა არის შენი ეს ქალი, საიდან იცნობ, ან რას ნიშნავს ყველაფერი ეს? — შეეკითხა რაკოვიჩი და მის ხმაში სიმკაცრე მოისმა.

— ის შვილია ჩემი სოფლის, მეგობარია ჩემი ბავშვობის და მეც მინდა უკანასკნელად მივაწვდინო ჩემი ხმა. გთხოვთ, შემისრულოთ ეს სათხოვარი, — წარმოთქვა მაგდამ აღელვებით.

— აი, სანამდის მიდის შენი სითამამე. საჭიროდ არც კი ხედავ, დამიმალო, რომ ეს ქალი შენთვის ასე ძვირფასია, დამიმალო, თუ როგორ გაწუხებთ აზრი, რომ ივი უნდა მოკვდეს. მაშ, რა გეგონა, მაგდა, იალტაში ხომ არ გაასეირნებდნენ იმ შენს მეგობარს ასეთი საქმისათვის, ან თვალებში ხომ არ აკოცებდნენ?! ვითომ დიდი გმირობა ჩაიდინა, რომ რუსევიჩი ქვეყანას მოაშორა! რუსევიჩის ადგილი დაიჭირა მეორე რუსევიჩმა და ეს მეორე ათასჯერ უფრო სასტიკ რეპრესიებს მიმართავს, თქვენ შეგიძლიათ მოკლათ ერთი გენერალი, ორი, სამი, ათიც კი, მაგრამ რუსეთის ვრცელ მიდამოებში ათასობით იზრდება ასეთი გენერლები და ისინი დაიჭერენ მოკლულების ადგილს.

— და იმათაც ისე დაუბნელებენ მზეს, როგორც დაუბნელეს რუსეთის, — უპასუხა მაგდამ და თვალებიდან მრისხანების ნაპერწკლები გადმოჰყარა.

— ამით თქვენი ქვეყანა არაფერს მოიგებს! განადგურების მეტს. ერთი მითხარით, რას გააკეთებს ეს ერთი მუჭა თავზე ხელაღებული ხალხი, რომელსაც არც ჯარი ჰყავს და არც იარაღი აქვს.

— დიდმა სახელმწიფომ პატარა ერები კი არ უნდა შთანთქას. არამედ ააღორძინოს ის, აამაღლოს და გაამაგროს; მონარქიულმა რუსეთმა ისე წამოატანა ხელი პატარა საქართველოს, როგორც გემრიელ ლუკმას და ცდილობს, რაც შეიძლება ჩქარა მოინელოს და მოხარშოს ეს ლუკმა თავის სტომაქში, მაგრამ არა მგონია, რომ მისმა კუჭმა დიდხანს გაუძლოს ამ ტვირთს. თქვენ ამაყობთ, რომ ძლიერი ხართ, ამაყობთ, რომ გყავთ ჯარი და გაქვთ ზარბაზნები, მაგრამ მიუხედავად ამისა თქვენ, მაინც ვერ მოკლავთ იმ იდეას, რომელსაც სახელად თავისუფლებას ეძახიან. ძალა სიმართლეშია და არა იარაღში.

— იმდენად დაბრმავდით, რომ ვერც კი ხედავთ ეს თქვენი ყალბი ფილოსოფია როგორ იმსხვრევა ყოველდღიურად. ტუტუცი გლეხი და სოციალისტი?! ეს მეტია, ვიდრე სასაცილო.

— იცინეთ, იცინეთ, მოქალაქე რაკოვიჩო, დადგება დრო, როდესაც ეს ტუტუცი გლეხი მოიხსნის თავის სამოსელს და დაჯდება იქ, სადაც ახლა თქვენ ზიხართ. დღეს თქვენ იცინით, ხვალ ის გაიცინებს. თქვენ დაგამარცხებთ არა ის ტუტუცი გლეხი, არამედ ჰეშმარიტება, რომელსაც მოითხოვს ეს გლეხი.

რაკოვიჩი წამოდგა. ოთახში რამდენიმე ნერვიული ნაბიჯი გადადგა და დაფიქრებული მაგდას წინ შედგა.

— მე მუდამ ვგრძნობდი და ვგრძნობ შენში მეამბოხე ადამიანს და ხშირად, როდესაც შენს თვალებს შევყურებ, ასე მგონია, ეს თვალები რაღაცას მემუქრება. მე არ მაშინებს მთელი ლაშქარი ტერორისტებისა, რომლებიც შენი ქვეყნის სოციალისტებმა მომისიეს, მე მაშინებს ის ტერორი, რომელიც შენს გულში ზის და შენი თვალებიდან შემომყურებს. შენ ჩემი ბედისწერა ხარ, მაგდა. თუ სიკვდილი მელის, უმჯობესია შენი ხელით მოვკვდე.

ქალმა არაფერი უპასუხა.

— შენ მეტი არაფერი გაქვს სათქმელი, მაგდა?!

— მე გთხოვეთ გადაგეცათ ეს წერილი იმ ქალისათვის, რომე-

ლიც ჩემთვის ყველაზე ძვირფასია. თქვენ არ გინდათ გააკეთოთ ეს საქმე და მეც ვხევ ბარათს. — ამ სიტყვებით მაგდამ თეთრი ხალათის ჯიბეში ხელი ჩაიყო, პატარა კონვერტი ამოიღო და ის იყო უნდა დაეხია, რომ რაკოვიჩმა ხელი დაუჭირა და კონვერტი ფრთხილად ჩამოართვა.

— კარგი, მე გადავცემ მას ამ ბარათს, მაგრამ... უსასყიდლოდ კი არა.

— რა მაქვს, რომ მოგცეთ. თქვენ ხომ ყველაფერი წამართვით, რაც გამაჩნდა, რას მოითხოვთ კიდევ ჩემგან?!

— ღიმილს, მაგდა, ღიმილს, შენ ისე გიხდება ის.

— ღიმილს? როდის დაინახეთ ჩემს სახეზე ღიმილი?

— იმ დღეს, როდესაც გაზეთში რუსევიჩის სიკვდილი წაიკითხე და გაიგე სახელი იმ ქალისა, რომელიც თურმე შენი ბავშვობის ამხანაგი ყოფილა. იმ წუთს შეუდარებელი იყავი და როცა გიცქეროდი, არ მჯეროდა, რომ შენ იყავი, შენ, მუდამ დაღვრემილი და მტირალი. აღმითქვი, რომ ერთხელ კიდევ მეჩვენები ისეთი და უდრტვინველად შევასრულებ შენს თხოვნას.

მაგდა ყოყმანობს.

— მე წავედი, მაგდა.

— კარგი, შევეცდები, შევეცდები, თუ... — ამბობს ქალი და ჩუმი ოხვრა სწყდება მის ბაგეს.

— ნახვამდის, ხვალ ისევ შემოვალ და შენ იცი როგორ დამიხვდები, — ამ სიტყვებით რაკოვიჩი ჰკოცნის ქალის უფერულ თითებს და დეზების წკრიალით გადის ოთახიდან.

ორი წელია, რაც მაგდას ათრთოლებს ეს ხმა.

ორი წელია, რაც გამოუთქმელი შიშით ავსებს მის გულს ეს ხმა.

რა ქნას? როგორ დააღწიოს თავი იმ ჯოჯოხეთს, რომელშიაც ბედმა ასე შეუბრალებლად გადაისროლა?!.

XVIII

მბეუტავი სინათლე ოდნავ ანათებს იმ საკანს, რომელშიაც გამომწყვდეულია ლალა. ლოგინზე ზის და მარჯვენა ნიდაყვზე დაყრდნობილი ჩაჰყურებს რომელიღაც წიგნს, მაგრამ ეტყობა, არ კითხულობს.

მის თავში ათასი ფიქრი ირევა.

ათასი კითხვა იბადება.

ღლის ეს ფიქრი. ღლის მარტოობა.

წიგნი დახურა, რკინით დახლართულ ფანჯარას გახედა...

დასავლეთის მიმართულებით მტრედები მიფრინავდნენ.

მტრედები თეთრი, შავი, ჭრელი.

მტრედები, მტრედები, მტრედები, — იმეორებს გულში და ცდილობს თავი მოუყაროს იმ ფიქრს, რომელიც სწვავს თავს, გულს, თვალებს...

მტრედები დასავლეთის მიმართულებით მიფრინავენ.

იქ კიდევ ჩემი სოფელია, ჩემი მხიარული, ყვავილოვანი სოფელი.

მხიარული?! ჰო, ოდესღაც იყო მხიარული.

დღეს?! ეკზეკუცია, ცეცხლი, ციხე და მათრახი.

მიზეზი ყველაფერი ამისა კი არის ის... ლალა, ეს პატარა, ფერმკრთალი ქალი. თეთრი, როგორც თოვლი, მსუბუქი, როგორც ბუმბული.

„მე და... ასეთი მკვლელობა?!“ — ფიქრობს ის მეათედ, მეასედ, მეათასედ.

იყო კი საჭირო ეს მსხვერპლი და თავგანწირვა?! მოკვდა ერთი რუსევიჩი, მაგრამ მოდის ათასი სხვა, ათი ათასი და ლალამ ორად გაყო სამყარო. ერთ მხარეს მჩაგვრელები დააყენა, მეორე მხარეს — ჩაგრულები.

მჩაგვრელები მილიონია.

ჩაგრულები ასეულ მილიონებშიც არ ეტევა.

არა, მოერევა, დასძლევს, გაიმარჯვებს, დიახ, გაიმარჯვებს, გაიმარჯვებს ის, ვინც მართალია, ის, ვისაც თავისუფლება სწყურია. ის, ვინც დაჩაგრულია.

„ჩვენ მოგისწრებთ, დაგიხსნით შენ“, — მოაგონდა რევაზის სიტყვები.

თვალი დახუჭა.

ერთი წუთით სასიამოვნო ოცნებამ გაიტაცა.

სოფელი, ბაღი, ყვავილები, თავისუფალი ქვეყანა, თავისუფალი ადამიანები და რევაზ... რევაზ... რევაზ...

უეცრად ოცნების ძაფი, რომელსაც ისე მსუბუქად მიჰყვებოდა, გაუწყდა და შორს, სადღაც ასეთი სურათი წარმოუდგა:

ღამეა ბნელი და ჯანღიანი. დახურული კარეტა გრიალით მიჰქრის. უცებ შედგა კარეტა. იქიდან ახალგაზრდა ქალი გადმოდის. მის ფერმკრთალ, მაგრამ შნოიან სახეს კიდევ უფრო ალამაზებს ნებისყოფის მტკიცე იერი და კიდევ რაღაც... რაც იწვევს არა სიბრალულს, არამედ პატივისცემას, მოკრძალებას, გაკვირვებას.

თვალი აღმოსავლეთს მიაპყრო. ნისლის სქელი ფენა კედელივით დაყუდებულა და ჰორიზონტს ფარავს.

ჯარისკაცების ჯგუფს თოფები შეუმართავთ და სალტესავით შემორტყმიან ქალს, ველური, გულქვა და სასტიკი სახეები მისკენ აქვთ მიქცეული და რაღაცას ელიან. რა უნდა ამ ხალხს? ვის ებრძვის, ვის ემუქრება?!

და დგას ეს პატარა ქალი ნესტიან მიწაზე და შეჰყურებს ამ ხალხს ველურ სახეში, შეჰყურებს მშვიდად, ცივად. ამაყად.

ვიღაც რაღაც განკარგულებას იძლევა.

წუთიც და... ლალამ თვალზე ხელი მოისვა.

მოჩვენება გაქრა.

საკანში შემოდის ზედამხედველი დედაკაცი.

— თქვენი წერილია, წაიკითხეთ და პასუხიც დასწერეთ. მე მოვიკითხავ.

ვარდისფერი მოზრდილი კონვერტიდან ქაღალდს იღებს.

ქაღალდში გახვეულია იასამნის დამჭკნარი ტოტი.

„ლალა! ერთადერთი ნივთი, რომელიც მე მეკუთვნის და რომელსაც არ აცხია არავითარი ჭუჭყი, ეს ყვავილია და მეც გიგზავნი მას. მე ის ქუჩაში მაჩუქა ერთმა ცისფერთვალა, ოქროსთმიანმა ბავშვმა.

ცოცხალი ვარ, მაგრამ არ შემიძლია ვთქვა სად, ვისთან და რა პირობებში. არის ტრაგედია, არის ცრემლი და უიმედობა, მაგრამ არის იმედიც განთავისუფლების... სიკვდილის საშუალებით.

ჩვენ ორივენი განწირულები ვყოფილვართ, იმ განსხვავებით, რომ... შენ გმირულად მაინც კვდები, მე კი...

მშვიდობით, ლალა, თუ სხეულთან ერთად არ კვდება ყველაფერი, ჩემი სული გიპოვის შენ. მაგდა“.

ატირდა.

ბარათი ცრემლით დაასველა.

პასუხი დაწერა.

„ჩემო მაგდა! შენმა პატარა წერილმა დიდი ამბავი მომიტანა.

თურმე ცოცხალი ხარ, მაგრამ განთავისუფლებას სიკვდილში ხედავ-ბედი სასტიკად მოგქცევია და უიმედობას შეუპყრიხარ.

თუ სიცოცხლე შესაძლებელია, იცოცხლე. ცოცხალ ადამიანს ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეუძლია და ბოროტებაა, როცა არ უფრთხილდებიან მას, მაგრამ, თუ სიკვდილი აუცილებელია, მოკვდი, მოკვდი ამაყი სიკვდილით, სიკვდილშიც არის შინაარსი, არის სილამაზე. გახსოვდეს, რომ რევოლუციონერი ქალი ხარ და ასეთ ქალები ისტორიულად ცნობილი არიან თავისი უშიშარი მოქმედებით და გმირული სულით.

მშვიდობით, ჩემო მაგდა, მშვიდობით ჩემო ძვირფასო მეგობარო, შენი ლალა გკოცნის და გეუბნება: იყავი ძლიერი, ძლიერი თვით სიკვდილშიაც კი".

წერილი დაამთავრა. კონვერტი დაბეჭდა.

ზედამხედველი დედაკაცი ისევ შემოვიდა.

— წერილი მზად გაქვთ? — შეეკითხა მოკლედ.

— დიახ, მაგრამ, არ შეიძლება გავიგო ვინ...

— არ შეიძლება, ამაზე ლაპარაკი აკრძალული მაქვს.

ეს სიტყვები ცივად გადაუგდო და საკანის მძიმე კარი გაიხურა.

ისევ მარტოობა, ისევ ფიქრი, ფიქრი მაგდაზე, მზეზე, თავისუფლებაზე. ფიქრი იმ უცნობსა და მშვენიერ ცისფერთვალა, ოქროსთმიან ბავშვზე.

რა იცოდა გოგონამ, რომ ტუსაღი ქალის ცრემლი დანამავდა მის შიერ გაჩუქებულ ყვავილს?!

XIX

ცისფერ აბრეშუმის საბანზე წევს მაგდა.

თეთრი, გამჭვირვალე ქსოვილი ფარავს მის სხეულს.

შიშველ სხეულს.

ტირის. უცრემლოდ ტირის.

ისევ წამება. ისევ დამცირება.

აღშფოთებას ვერ აქრობს ის პაწია სიხარულის მსგავსი განცდა, რომელიც იძვრის მის გულში.

დღეს რაკოვიჩმა გამოუგზავნა ლალას წერილი. რამდენიმე საათის შემდეგ მოვიდა თვითონაც, მოვიდა და...

მოითხოვა დაპირებული ჯილდო.

ღიმილი მაინც არ ჩანდა ქალის ტუჩებზე.

სიხარული მაინც არ კრთოდა მის თვალებში.

— გაიხადე! — უბრძანა მოკლედ.

მიუახლოვდა, წინ დაუდგა და თვალებში მკაცრად შეხედა.

ქალში ჩვეულებრივი სიჯიუტე იღვიძებს, მაგრამ აგონდება მიცემული სიტყვა და ტუჩმოკუმული, სამსხვერპლო ზვარაკივით დგას მამაკაცის წინაშე.

მარმარილოსაგან ათლილ ქანდაკებას ჰგავს მაგდა გაყინული სახით, გაყინული ნაკვთებით.

შურისძიების ცეცხლით არის ანთებული სიძულვილითა და ზიზღით აღვსილნი მისი თვალები. ბეჭებზე დაყრილი შავი დალალები გიშრისფერ ტალღებად ეხვევა.

რაკოვიჩი აღტაცებულია. ის ხედავს სილამაზეს, ჯერ არსადნახულ სილამაზეს.

ეხება ტანს. ტანს თეთრსა და მშვენიერს, მაგრამ გრძნობს, რომ ქალი არასოდეს არ იქნება მისი.

და მით უფრო მკაცრია მამაკაცის ალერსი, სასტიკი მისი ვნება.

* * *

დაღლილი ტოვებს სარეცელს.

იცვამს.

ისკვნის თავისი მუნდირის ბრჭყვიალა ღილებს, ირტყამს ხმალს.

საათი ოთხს უჩვენებს.

მთელი ექვსი საათი აწვალა ქალი.

მთელი ექვსი საათი გასტანჯა იგი.

სრულიად დამშვიდებული, კმაყოფილებით იგრეხს მწითურ ულვაშებს.

ოო, როგორ სძულს ამ წუთს ის მაგდას, როგორ საშინლად სძულს.

საშუალება რომ მისცა, მოკლავს, დაახრჩობს, მაგრამ რით?! რა შეუძლია სუსტსა და უიარაღო ქალს?!

— ნახვამდის, მაგდა, — ამბობს რაკოვიჩი და საკოცნელად იხრება მისკენ.

— წადით, თუ არ გინდათ იხილოთ ჩემი ჩვეულებრივი სიგიჟე, წადით, წადით, — ყვირის მაგდა და ორივე ხელით იჭერს გულს, რომელიც თანდათან ეკუმშება და უშლის განძრევას, უშლის სულისთქმას.

რაკოვიჩს აღშფოთებს ასეთი მუდმივი წინააღმდეგობა, უნდა უპასუხოს, მაგრამ ხედავს აღელვებულ ქალს და თავდახრილი გადის ოთახიდან.

მაგდას სისუსტისაგან თვალი ეხუჭება. დაღლილობისაგან მუხლი ეკეცება, მაგრამ მაინც ეძახის მსახურს და იბანს სხეულს, სხეულს რომელიც შებღალეს, რომელიც შეურაცხყვეს.

აჰ, განა წყალს შეუძლია ჩამორეცხოს ის ჭუჭყი, რომელიც მოსცხო მას ბილწმა ადამიანმა?!

XX

გადის დღეები... კვირეები, თვეები.

გადის დრო. ომი თანდათან მძაფრდება.

ხალხი უიმედობის რკალში ემწყვდევა.

მოხუცები, ქალები, ბავშვები ისრისება ზედმეტი შრომისაგან.

ახალგაზრდები არა ჩანან. წყდებიან შორეულ ქვეყანაში.

რისთვის, ვისთვის? — კითხულობს ხალხი.

პასუხი არ ისმის.

ახალ-ახალი რაზმები მიჰყავთ სოფლებიდან, მაზრებიდან, ქალაქებიდან.

და იმოსებიან ძაძებით უბედური დედები.

იკაწრებიან ახალგაზრდა ცოლები.

ტირიან ობლები.

ქვეყანა იცლება.

ქვეყანა უდაბნოს ემსგავსება.

მონარქიზმის გამანადგურებელ პოლიტიკას გველეშაპივით დაუღია ხახა და ეს ხახა აუარებელ სიცოცხლეს ნთქავს, აუარებელ სიცოცხლეს ანადგურებს.

იხედები შორეულ მომავალში და ეძებ ისეთ რამეს, რაც წარხოცავს და ამოაშრობს დაღვრილ სისხლს. ეძებ გამართლებას უსახელოდ დაღუპულთა სამარეების და იმ გამოხუნებული, გაუფერუ-

ლებული ძაძებისა, მილიონ არშინობით რომ გაიჭრა და უნუგეშოდ შემოაცვდა ახალგაზრდა ცოლებისა და დედების სხეულს.

ამაოდ, ამ ბარბაროსულ მოქმედებას გამართლება არა აქვს და იბრძვიან მოწინავე ადამიანები, რათა ამ უსამართლობას ბოლო მოეღოს, რათა ეს შხამი ძირფესვიანად ამოვარდეს.

რეზო და მიშო არალეგალურად ცხოვრობენ დედაქალაქში.

ლალა ისევ საგუბერნიო ციხეში ზის.

ელის ჯალათებს. დარწმუნებულია სიკვდილი არ ასცდება, უკვე შეეჩვია ამ აზრს, მაგრამ მოულოდნელმა ამნისტიამ სიკვდილი სამუდამო კატორღით შეუცვალა.

მშობლები გახარებულია.

ამხანაგები ულოცავენ.

ლალა სდუმს.

სამუდამო კატორღა იგივე სიკვდილია და სიკვდილი თანდათანობით. არ ჯობდა საკუთარ ქვეყანაში მომკვდარიყო?

საბრალო ივლიანე ბევრი აწვალეს, ბევრჯერ უმართებულოდ მოექცნენ, შეაწუხეს.

— ნუ სტანჯავთ მოხუცს, მკვლელობა მე ჩავიდინე და სასჯელიც მე მეკუთვნის, გარწმუნებთ, მან არაფერი იცოდა.

ლალას ასეთი განცხადება არავის სჯერა და ივლიანეში მაინც რევოლუციონერს ხედავენ.

— რად დაიღუპე, შვილო, თავი?! რად არ შეგვიბრალე მოხუცი დედ-მამა, — ეუბნებოდა ლალას მის სანახავად ქალაქში ჩამოსული მამა და მდუღარე ცრემლი ღვარად ჩამოსდიოდა დამჭკნარ ლოყებზე.

ლალა უსიტყვოდ ისმენდა მის საყვედურებს, სიყვარულით უკოცნიდა თეთრ წვერს და გულისტკივილით ხედავდა, როგორ ტყდებოდა, როგორ იხრებოდა მისი ოდესღაც ამაყი მამა.

„როდის, როდის ამოვა მზე თავისუფლებისა“! — სევდიანად გაიფიქრებდა ლალა და სატუსაღოს ფანჯრიდან სასოებით შესცქეროდა თოვლიან მთებს, შესცქეროდა ველ-მინდვრებს, რომლებსაც ჩქარა უნდა განშორებოდა.

ნახავდა კიდევ მათ?!

XXI

ნოემბრის სუსხიანი ქარი გამძაფრებული ედება ქალაქის ქუჩებს. ხეები მიწამდინ იზნიქებიან.

ელექტრომავთულებს ზუზუნი გააქვთ.

ერთ-ერთ მიყრუებულ უბანში ორი ახალგაზრდა მიდის.

ქუდები თვალებზე ჩამოუფხატავთ, პალტოს საყელოში თავები ჩაურგავთ.

ჩქარობენ. აქეთ-იქით იხედებიან.

— აღარ ვიცი, სად გავათიოთ ეს ღამე, ჯაშუშებმა ჩვენს უკანასკნელ ბინასაც მიაგნეს. წყეულები! — უკმაყოფილოდ ლუღლუღებს მიშო და რეზოსკენ ალმაცერად იცქირება.

რეზო დამშვიდებული მიაბიჯებს საკმაოდ ატალახებულ შარაზე და უპასუხოდ ტოვებს ამხანაგს.

— რევაზ, არ გესმის? შენ გელაპარაკები. სანამდე უნდა ვიაროთ ასე, ხომ უნდა გათავდეს ეს გზა?!

— ჩვენი გზა საგუბერნიო ციხის კარებთან თავდება და ეს დღეც არ არის შორს. ხვალინდელი ჩვენი დარბაზობა პოლიცმეისტერ რაკოვიჩთან უზრუნველყოფს ჩვენს მომავალ ბინას, ამაღამ კი... აი წითელი ფარანიც. საუკეთესო ადგილი. ვინ იფიქრებს, რომ ორი რევოლუციონერი განსაკუთრებული დავალებით ატარებს დროს პროსტიტუტ ქალებთან.

— კარგი აზრია, მაგრამ როგორი ვიქნებით ჩვენ მოარშიყე ახალგაზრდების როლში?!

მხიარული სახით შევიდნენ დარბაზში და შეერივნენ ხალხს, ხალხს სხვადასხვა ეროვნების, სხვადასხვა წოდების, მიმართულების.

აქ ადგილია თავაშვებული სიგიჟის, ლოთობის, გარყვნილების.

სურათი სურათს სცვლის, განწყობილება — განწყობილებას.

და ამ საერთო ორგიაში იხრჩობა სახე ადამიანის. მისი სიწმინდე და სისპეტაკე.

ორმა ქალმა, რომელთაც ძალზე შეღებილი ტუჩები ჰქონდათ და მოკლე, გამჭვირვალე კაბა ეცვათ, რევაზი და მიშო თავიანთ კუნჭულებში წაიყვანეს და თავისუფალ მაგიდებს შემოუსხდნენ.

დარბაზის ერთ-ერთ კუთხეში, ნახევრად გაცივებულ ყავასთან სხედან მაგდა და რაკოვიჩი. ამ ჭრელსა და შეღებილ ქალებში უბრალო, თეთრი კაბით და სრულიად ბუნებრივი შეხედულებით უცნაურად მოჩანს მაგდა.

ფერმკრთალი ატლასივით რბილი და ელვარეა მისი პირის კანი. და მნახველიც ერთი შეხედვით იგრძნობს, რომ ის ჯერ არ მოუწამლავს კოსმეტიკის შხამიან ჰაერს.

ფარული სიჯიუტით შეჰყურებს წინ მჯდომ კაცს და ვერ ფარავს სიძულვილს, რომელიც გამოკრთის მისი თვალებიდან.

რაკოვიჩი ზედიზედ ეწევა პაპიროსს, მისი გამომეტყველება ამტკიცებს, რომ ხასიათზე არ არის.

— შენი ოთახის კედლებში ვერ ხედავდი, რაც აქ ხდება. ამიტომ გამოგიყვანე, რომ შენი თვალით გეხილა ყოველივე, გეცქირა ამათთვის. ნუთუ ახლაც არ გჯერა, რომ ბედნიერი ხარ ამ ქალებთან შედარებით, ნუთუ ახლაც არა გრძნობ ჩემს სიყვარულს?

— კიდევ სიყვარული? თავი დაანებეთ ამ სიტყვებს. თქვენ მისი მნიშვნელობა არ იცით.

— რა გინდა, რას მოითხოვ ჩემგან!?

— თავისუფლებას, მახრჩობს ეს ხალხი, ეს ჰაერი, ეს კედლები.

— ყველაფერი გაქვს, ყველაფერს მიიღებ, მაგრამ თავისუფლებას კი არა. მე ვერ დაგთმობ შენ.

— თქვენ საკმაოდ ისარგებლეთ ჩემი სხეულით. საკმაოდ დაამსხვრიეთ ჩემი ჯანმრთელობა. ტუბერკულოზის შხამი ისე მოედო ჩემს ფილტვებს, რომ შორს არ არის ჩემი აღსასრულის დღე. მაკმარეთ ამდენი უბედურება, მე ხომ სასიცოცხლოდ არ მივდივარ აქედან. მინდა უკანასკნელად ვნახო ჩემი სოფელი და მოვკვდე იმ ადამიანებთან, რომლებსაც ოდესღაც ვუყვარდი.

— ქართველთა წყეული მოდგმა! მე არ ვიცი რითი შეიძლება თქვენი დამორჩილება. თქვენზე არ მოქმედებს არც კეთილი მოპყრობა, არც სისასტიკე.

— კმარა, მე არ მინდა ვუსმენდე ადამიანს, რომელიც უდიერად იხსენიებს ჩემს ქვეყანას, აწამებს ჩემს სიცოცხლეს.

მაგდა წამოდგა. კარებისკენ გაემართა.

უეცრად შედგა და ფართოდ გახელილი თვალებით დააცქერდა კუთხეს, სადაც მოჩვენებასავით იდგა... რევაზი, სიკვდილივით გაფითრებულიყო და ორივე ხელით მაგიდაზე დაბჯენილი, განწირული თვალებით შესცქეროდა მას.

ქალის წინ ყველაფერი აირია, თავბრუ დაესხა და გულწასულ-უგრძნობლად დაეცა ძირს.

XXII

რევაზი არ დაიბნა, ექიმად გაეცნო დიასახლისს და მაგდას ოთახში მარტოდ დარჩენილმა მოსულიერება დაუწყო გულწასულ ქალს.

მაგდა შეირხა. თვალი გააღო. ნერვიულმა ღიმილმა ტუჩები მოუღრიცა.

— თქვენ, რომელიც ისეთი გატაცებით ლაპარაკობდით ქალთა სწორუფლებიანობაზე, დადიხართ ამავე ქალების სხეულის სასყიდლად. ოო, მე ახლა მჯერა, რომ ამქვეყნად არავინ არის მართალი და პატიოსანი.

— ჩემო საბრალო მაგდა, ნუ შეურაცხმყოფ ამ სიტყვებით. მე განსაკუთრებულმა შემთხვევამ მომიყვანა აქ, — უთხრა რევაზმა და დაწვრილებით უამბო, მიზეზი მისი ამ სახლში შემოსვლისა.

— მაშ, შენ ისევ ის ამაყი რევოლუციონერი ხარ, ისევ ის კეთილშობილი რეზო, რომელსაც ოდესღაც ვიცნობდი? — ჰკითხა მაგდამ და რევაზმაც მოკლედ უამბო თავისი თავგადასავალი.

— ორი წელია ტუსაღივით ვზივარ ამ ოთახში, თავის მოკვლის საშუალებაც მომისპეს, მაგრამ ახლა სიკვდილმა შემიბრალა და ისიც ჭლექის სახით მიახლოვდება, — ამოიოხრა მაგდამ.

გარინდებული ისმენს რევაზი ქალის უბედურ ამბავს და ცდილობს გაუთბოს პატარა, გაყინული თითები, რომლებიც მის ხელში ასე თრთიან.

— არა, შენ არ მოკვდები. შენ უნდა მოესწრო იმ დღეს, როდესაც მოვიხსნით მონობის უღელს და დაგავიწყებთ ტანჯვას, რომელიც განიცადე აქ, ჩემო მაგდა, ჩემო უბედურო გოგონა, — რეზო ქალს უჩვეულო სინაზით ეფერება, ეფერება მის სახეს, ხელებს, თმას.

აჰ, როგორ ამშვიდებს მაგდას ეს ალერსი, როგორ ათბობს.

წმინდა და მშვენიერია ეს გრძნობა და მაგდაც განიცდის მთელი თავისი არსებით.

— რევაზ!

— რა იყო, ძვირფასო?!

— შენ გინდა დამიხსნა ამ საშინელებისაგან და დამიხსნა დღესვე?!

რევაზი შეირხა.

— შენ უნდა გამანთავისუფლო დღესვე, გესმის, რევაზ?! დღესვე, — განმეორებით ამბობს მაგდა და მისი მზერა თანდათან მძაფრდება.

რამდენი ძალაა ამ თვალებში. რამდენი ბრძანება. რამდენი სილამაზე.

— დღესვე? ეს განა შესაძლებელია?! — ბურანში ჩავარდნილი ადამიანივით კითხულობს ვაჟი.

— გადმომეცი რევოლვერი. თქვენს საქმეს მე გავაკეთებ.

რევაზი ყოყმანობს. არ შეუძლია გასწიროს მაგდა.

— დაფიქრდი, რევაზ, თქვენ უნდა შეუვარდეთ რაკოვიჩს დღისით, თაქის კაბინეტში. ვინ იცის, იქნება ვერც მოახერხოთ ეს. კიდეც რომ მოხერხდეს, ამისათვის სიკვდილით დასჯა არ აგცდებათ, მე კი ჯერ მცირეწლოვნად ვითვლები და ასეთი საფრთხე არ მომელის.

— სიკვდილი სჯობია იმ თრევას და შეურაცხყოფას, რომელსაც მოგაყენებენ.

— მე ისედაც ყოველდღიურად შეურაცხყოფილი ვარ. რეზო, ძვირფასო, საყვარელო რეზო, მომეცი საშუალება, შური ვიძიო იმ ადამიანებზე, რომლებმაც მომაგლიჯეს ჩემს სოფელს, წამართვეს უმანკოება და ჯანმრთელობა. მომეცი საშუალება, გავუწიო სამსახური ჩვენს საერთო საქმეს, ვემსხვერპლო ჩემს ქვეყანას და ამით ცოტათი მაინც დავემსგავსო იმ გმირსა და შეუპოვარ ქალებს, რომელთა თავგადასავალს მე აღტაცებაში მოვყავდი.

მაგდა წამოდგა, რევაზს წინ დაუდგა და ორივე ხელი მის მხრებს დააყრდნო.

რევაზის წინააღმდეგობა იმსხვრევა ქალის თვალთაგან დაფრქვეულ შუქზე.

მაგდამ გულში ჩაიკრა სასიკვდილო იარაღი, იარაღი, რომელზედაც ორი წელი გამუდმებით ოცნებობდა.

— სასიკვდილოდ გიმეტებ, მაგდა, სასიკვდილოდ! — ამბობს რევაზი სასოწარკვეთილებით.

— ოო, მე ახლა ვიქნები ძლიერი, ძლიერი თვით სიკვდილშიაც კი. ეს ლალას სიტყვებია, მაგრამ... წადი ახლა. არა, დაიცა, წაიღე ეს ოქროს სამაჯურები, ეს ბრილიანტები, ეს ფული, გადაეცი ჩვენს ორგანიზაციას და მომიკითხე ამხანაგები. მშვიდობით, რევაზ, არ მაქვს უფლება მოგეხვიო, გამოგემშვიდობო, მე... წაბილწული ვარ.

— შენ ჩემთვის ისევ ის წმინდა, ისევ ის მშვენიერი და უმანკო მაგდა ხარ, როგორიც იყავი წინათ. მე მიყვარ...

— გაჩუმდი, რეზო, მე არ მინდა მოვისმინო ეს სიტყვა აქ, ამ სახლში. ჯერ განვიწმინდები, თუ ეს შესაძლებელია, და შემდეგ... იქნება შემდეგ მოხერხდეს ჩვენი მეგობრობა...

— ნახვამდის, მაგდა, ჩვენ ისევ შეეხვდებით ერთმანეთს, — ნაზად ჩაიკრა გულში ათრთოლებული ქალი, ტუჩი შეახო შუბლს, შუბლს, რომელზედაც ორი უდროოდ დაღარული ნაოჭი ლაპარაკობდა ქალის უბედურ წარსულზე და ტრაგიკულ განცდებზე.

XXIII

— როგორ არის ავადმყოფი, ექიმო? — შეეკითხა დარბაზში შემოსულ რევაზს რაკოვიჩი და მისი სადა ჩაცმულობა ამრეზით შეათვალიერა.

— ნერვიულობს, საერთოდ მისი ჯანმრთელობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი.

— მართალია, ის შიში, რომელსაც გამოთქვამს ჩემი მეგობარი ექიმი მისი ფილტვების შესახებ?

— თუ მომავალ ზაფხულს რომელიმე აგარაკზე გაატარებს, დამშვიდებულად იცხოვრებს, წამლებს მიიღებს, იცოცხლებს რამდენიმე წელს მაინც. ეს ქალი მეტად ახალგაზრდაა და რაღაც განსაკუთრებული ხასიათისაც ყოფილა. მისი ბუნება თხოულობს ნაზსა და ფრთხილ მოპყრობას რაც აქ...

— ამ სახლთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ამ ქალს, გარდა იმისა, რომ პანსიონის გამგე თვალყურს ადევნებს. ის საკუთრად ჩემთვის შევიძინე და მევე ვეცდები მისი ჯანმრთელობის აღდგენაზეც.

ოო, როგორ სურდა რევაზს სცემოდა ამ კაცს, მოეკლა, ჩაექოლა, მაგრამ თავი შეიმაგრა.

— თქვენ ქართველი ხართ? — იკითხა ბოლოს რაკოვიჩმა.

— დიახ!

— შემოიარეთ კვირაში ორჯერ. ამისათვის მიიღებთ შესაფერ ჯილდოს. ეს ქალი ქართველია და იქნება თქვენი დარიგება უფრო შეასრულოს.

— სამწუხაროდ, უარი უნდა ვთქვა თქვენს თხოვნაზე. შორეულ პროვინციაში ვცხოვრობ და აქ საქმეებისათვის ჩამოვედი.

რაკოვიჩმა გადასცა რამდენიმე წითელი ქაღალდი და დეზების წკარუნით მაგდას ოთახისაკენ გასწია.

რევაზმა თვალი გააყოლა მიმავალ რაკოვიჩს და მისი სული შურისძიების ცეცხლით აინთო.

— წავიდეთ, ჩვენ ახლა აქ ზედმეტი ვართ, — ჩასჩურჩულა მიშოს, რამდენიმე მანეთი დიასახლისს გადასცა და საჩქაროდ დასტოვა დარბაზი.

XXIV

ხალხი მხიარულებას განაგრძობს.

ორგია უმაღლეს წერტილამდე ადის.

პიანინოს უკრავს ვიღაც მოხუცი, მთვრალი მემუსიკე.

რამდენიმე წყვილი აქა-იქ ზანტად „ტურნეს“ უვლის.

ატმოსფერო მძიმდება.

უეცრად დარბაზი შეშფოთდა.

პანსიონის ერთ-ერთი ოთახიდან რევოლვერის რამდენიმე გასროლა მოისმა და გულგახეთქილი დიასახლისი კარს ეცა.

შუა იატაკზე, თავისივე სისხლში გდია რაკოვიჩი და მაგდა დამშვიდებული სახით დაჰყურებს მას.

— დავიღუპე, დავიღუპე, ციხეში ამომხდიან სულს, დამსჯიან, დამახრჩობენ, მაგრამ უმალ ჩემი ხელით გამოგღადრავ ყელს, ჩემი თითებით ამოგკაწრავ თვალებს. შე გველო, შე საზიზღარო, — კაპასობს დიასახლისი და გაანჩხლებული იწევს მაგდასკენ.

— თქვენ გელოდით, ქალბატონო, და ამ შემთხვევისათვის შევინახე რამდენიმე ტყვია. ტყუილად იმუქრებით, თქვენი ხელი ვერ მისწვდება ჩემს ყელს.

ამ სიტყვებით მაგდამ რამდენიმე ნაბიჯი უკან გადადგა და... გულგანგმირული დიასახლისიც დაეცა რაკოვიჩის გვერდით.

ქალებმა კივილი მორთეს. მამაკაცები დაფრთხნენ.

ქუჩა ამოძრავდა.

ისმის სტვენა.

დარბაზი ივსება პოლიციელებით.

— რეზო, ლალა, ჩემო მეგობრებო, დღეს ქორწილი მაქვს,

ქორწილი. ამიერიდან მკვდრეთით აღმდგარი მაგდა ჩადგება თქვენს რიგებში. ამიერიდან ისიც იბრძოლებს თქვენთან ერთად.

დაინგრა ბუდე გარყვნილებისა და ბოროტებისა.

გაისრისა მხეცი, რომელიც სტაცებდა დედებს უმანკო ბავშვებს.

მოკვდა ბოროტი ადამიანი, რომელიც მაჯლაჯუნასავით აწვა ქვეყანას, ჩემს სიცოცხლეს.

გაუმარჯოს თავისუფლებას!

გაუმარჯოს რევოლუციას!

გაუმარჯოს ყველა დაჩაგრულს! — ასე გაჰკივის ვიღაც მაგდას სულში და ისიც უაზროდ ეძლევა ხელში მის შესაპყრობად მოსულ ჯალათებს.

XXV

„მოხდა უცნაური მკვლელობა! — წერდა მეორე დღეს ერთ-ერთი პოლიტიკური გაზეთი, — ავჭალის ქუჩაზე, საროსკიპოში მცხოვრებმა პროსტიტუტმა ქალმა მოკლა თავისი სტუმარი, პოლიცმეისტერი რაკოვიჩი და იმავე სახლის გამგე დედაკაცი. ამბობენ, იმ ღამეს ამ ქალთან ყოფილა ვიღაც უცნობი, მას თავი ექიმად გაუცვნია. რამდენიმე ხნის შემდეგ თავის თანამგზავრთან ერთად შეუმჩნეველად დაუტოვებია დარბაზი. ეჭვი აქვთ, ამ მკვლელობას კავშირი აქვს რევოლუციონურ შეთქმულებასთან. პროსტიტუტი ქალი მეტად ახალგაზრდაა, თითქმის ბავშვი.

ის უარყოფს ამ ეჭვს და აცხადებს:

— რაკოვიჩის ჯიბეში შემთხვევით ვიპოვე რევოლვერი და საშუალება მომეცა შური მეძია იმ ადამიანებზე, რომლებმაც წამართვეს ყველაფერი, ყველაფერი, რითაც ვცოცხლობდი და ვამაყობდი. სიწმინდე, უმანკოება, სახელი პატიოსანი ქალისა ძალით ამაგლიჯეს და პირუტყვული ჟინის დასაკმაყოფილებელ იარაღად გადამაქციეს. მაწამეს, შეურაცხმყვეს. დამამცირეს. ბედნიერი ვარ, რომ მოვკალი ადამიანები, რომლებიც თავის მოსყიდული აგენტების საშუალებით ყოველწლიურად ასობით აუბედურებენ ულამაზეს ბავშვებს, მკვლელობა სრული შეგნებით ჩავიდინე და სასჯელსაც დამშვიდებით შევხვდები.

ეს ქალი აკვირვებს მნახველს, როგორც თავისი გარეგნობით, ისე უშიშარი განცხადებით. სულ არა ჰგავს პროსტიტუტ ქალს და

თავიც ისე უჭირავს, როგორც ადამიანს, რომელსაც რაიმე უკუღმართი შემთხვევის გამო დიდების გვირგვინი აართვეს.

სატუსაღოს ექიმს ქალი ფილტვებით ავადმყოფად უცვნია და მოუთხოვია მისი საავადმყოფოში მოთავსება, მაგრამ ციხის ადმინისტრაციას არ შეუწყნარებია ექიმის სამართლიანი მოთხოვნა და ქალიც სარდაფის ერთ ბნელ, ნესტიან საკანში გამოუმწყვდევიათ".

ხალხის ერთი ნაწილი თავს ირთობდა ასეთი სენსაციური ამბებით, პოლიცია კი სასტიკ ზომებს ღებულობდა იმ ორი უცნობი მამაკაცის აღმოსაჩენად, რომლებიც მოევლინენ საროსკიპოს დარბაზს და შეუმჩნევლად დასტოვეს ის.

XXVI

მიწის ქვეშ მოწყობილი საიდუმლო სტამბა ჩვეულებრივ ხმაურს განაგრძობს.

რამდენიმე კაცი გაფაციცებით აწყობს დაბეჭდილ ქაღალდს, ახვევს, ჭრის, კონავს, ისევ ახვევს.

აქა-იქ ანთებული მბჟუტავი სინათლე ოდნავ ანათებს მათ ფერმკრთალ სახეებს.

— გამარჯობათ, ამხანაგებო, ყურები რად ჩამოგიყრიათ? ხომ ხედავთ ვიმარჯვებთ, შარშან რუსეთიჩი გავისტუმრეთ საიქიოს, წელს რაკოვიჩი მივაყოლეთ და გაისად ნიკოლოზსაც მივაბრძანებთ, — ამ სიტყვებით შემოვიდა სტამბაში ახალგაზრდა მუშა, რომლის შავგვრემან სახეს მეტად უხდებოდა მკვირცხლი და ცოცხალი თვალები.

— ისე ლაპარაკობ, თითქოს ყველაფერი ეს შენ მოგეხდინოს, — შენიშნა პირტიტველა „მეტრანპაჟემ", რომელსაც მიტო ერქვა და ამხანაგები ხუმრობით „მიტროპაჟს" ეძახდნენ.

— დიახ, მე მოვახდინე, შენ და ყველამ, ვინც იბრძვის და მუშაობს. აი, ეს ხუთი ათასი პროკლამაცია, რომელიც ჩვენ წუხელის ავაწყვეთ, ისე გავარდება, როგორც ტყვია, რომელმაც რაკოვიჩს გული შეუნგრია. — ამ სიტყვებით პატარა ნაბდის ქუდი, კეფაზე რომ ედო, მაგიდაზე მიაგდო, ლურჯი ხალათი გადაიცვა და ისე მსუბუქად წამოაელო ხელი რამდენიმე ათას ბროშურას, იქავე

კუთხეში უზარმაზარ ზვინად რომ იდგა, როგორც გირვანქიან ნივთს.

— ყოჩაღ, გიგა, შენ ჯანსაღი ფილტვები გაქვს. მშურს შენი ენერგია, — ამბობს ერთი ფერმკრთალი ასოთამწყობი, რომლის სიმპათიური, მაგრამ დაღლილი გარეგნობა იმას ადასტურებს, რომ ეს კაცი მუდამ სტამბაში მუშაობს და ჰაერთან ერთად მტვერსაც ბლომად ისუნთქავს, ტყვიის მტვერს, რომელიც ისე ავსებს და აჭუჭყიანებს ფილტვებს, როგორც თამბაქო მუნდშტუკის კედლებს.

— მე ვიცი, რა არის საჭირო, რომ ჯანსაღი იყო.

— რა?

— ივარჯიშე სუფთა ჰაერზე, ისეირნე თავისუფალ წუთებში, ჭამე ნოყიერი საჭმელი.

— კარგი რჩევაა, შენმა მზემ. ჯიბეში გახვრეტილი გროშიც არა მაქვს და ვისეირნო, ვივარჯიშო, ვჭამო. რა ვჭამო, როცა პურით ცოლ-შვილს ვერ ვაძღობ?!

— საბედნიეროდ ცოლ-შვილი არა მყავს და არც ვაპირებ გავიჩინო. რად მოვამრავლო მონები, ისინი ისედაც ბევრია. დადგება დრო და...

— დიდხანს რომ მოგიწიოს ლოდინი? ნიკოლოზი ჯერ კიდევ არ ფიქრობს ტახტიდან გადმოსვლას.

— არ ფიქრობს, მაგრამ ძალად აფიქრებინებენ. გაგონილა სამასი წლის განმავლობაში ტახტზე ჯდომა? ახლა ჩვენც გვინდა ტახტი და ძალაუფლება!

— რომანოვების ტახტი?!

— არა, თავისუფლების.

— შენ გგონია წამოჯდები იმ ტახტზე და მოგერთმევა შემწვარი და მოხრაკული? სოციალიზმს შენება უნდა, ძმაო, და ეს ტვირთი ისევ ჩვენმა მხრებმა უნდა ასწიოს.

— თავისუფალ ადამიანს ყველაფერი ეადვილება. თავისუფლება მომეცი და ისე დავტრიალდები, რომ ათი კაცის საქმეს გავაკეთებ. მტერს მტრულად მოვექცევით, მეგობარს მეგობრულად, ძველს დავანგრევთ და ახალს ავაშენებთ. თუ დავმარცხდებით, ისევ გავიმარჯვებთ, თუ დავეცემით, ისევ წამოვდგებით, თუ შეცდომას დავუშვებთ, ისევ გამოვასწორებთ. ცხოვრება ბრძოლაა, ჩქარი, მოძრავი, ჭირვეული, და ისიც მიერეკება ადამიანს სულ წინ და წინ,

თუ მსვლელობა შეაჩერე, თუ ერთ ადგილს ხანგრძლივად გაიყინე, ბოდიშს არ მოგიხდის, ისე გაგრიყავს, როგორც უსარგებლო ლეშს.

— გიგამ მოხსნა თავი გუდას და მალე არ გაჩერდება, — ამბობს ერთი ასოთამწყობი.

— კარგად ლაპარაკობს და ჩვენც ისე ვუგდებთ ყურს, თითქოს ჩვენი გიგა ლაიპციგის უნივერსიტეტის პროფესორი იყოს და ჩვენ კიდევ თავისუფალი მსმენელები.

— გინახავს ეს ქალაქი, მიტროპაე?!

— როგორ არა, ერთხელ სიზმარში ვნახე.

— შენ და შენი თავი! რა იცი, ბიჭო, სიზმრად შენ მიერ ნახული ქალაქი მაინცდამაინც ლაიპციგი იყო?!

— ასე მგონია.

— მგონიაზე აშენებული ჭეშმარიტება არავის სჯერა.

— და მაინც... ყველა ჭეშმარიტებას სარჩულად მგონია უდევს.

— რეზომ და სხვა ამხანაგებმა დაიგვიანეს. უკვე ათი საათია, — თქვა გიგამ, რომელმაც ბროშურები რამდენიმე ხის ყუთში ჩატენა და თავი ლურსმნებით დაუჭედა.

— ვინ იცის, იქნებ დღეს კრება არც შედგეს. ამ დილით რევაზს შევხვდი და ისე იყო დაფანტული, რომ ხუთ კითხვაზე ერთი პასუხი ძლივს მაღირსა.

— რეზო ყოველთვის მომწონდა, მაგრამ ამ უკანასკნელად მან ჩემს წარმოდგენაში გმირის ადგილი დაიჭირა. რა საუცხოოდ მოაჭახრაკა საქმეები! რაკოვიჩიც გაანადგურა და საცოლეც აღმოაჩინა.

— რა იცი, რომ მისი საცოლეა?!

— ასე ამბობენ. საზოგადოდ ამ ქალზე აუარებელი ლეგენდა შეიქმნა. არიან ახალგაზრდა მდიდარი მამაკაცები, რომლებიც ხელს აიღებენ თავიანთ ქონებაზე, ოღონდ ეს ქალი დაიხსნან. ამასწინათ ერთმა ახალგაზრდა ქალიშვილმა, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც ციხიდან გაანთავისუფლეს, პატარა ლექსი გადმომცა და ასე მითხრა: ჩუმი, ოდნავ გასაგონი ხმით მღეროდა ის ტუსაღი ქალი ამ ლექსს თავის საკანში და მღეროდა ისე, რომ ცრემლს ვერ ვიმაგრებდი, როდესაც მის სევდიან ხმას ვისმენდიო.

— წაგვიკითხე ეს ლექსი, გიგა, შენ ხომ ჩინებული დეკლამატორი ხარ?!

— თავი დამანებეთ, მე რომ ახლა ის წავიკითხო, ცუდ გუნებაზე დავდგები.

— რატომ?!

— იმიტომ, რომ მეტად სევდიანი და ამაღელვებელი სტრიქონებია.

ოთახში სიჩუმე ჩამოწვა.

— საბრალო ქალი, ამბობენ ჭლექიანიაო, — დაარღვია სიჩუმე მიტომ.

— ალბათ, ჩვენი რეზოც იმიტომ არის ასეთი სევდიანი, — დაუმატა გიგამ.

უეცრად კარი გაიღო და ოთახში რამდენიმე მამაკაცი შემოვიდა. ყველა გრძელ მაგიდას შემოუსხდა, მდივანმაც ხელში ფანქარი აიღო.

— კრებას გახსნილად ვაცხადებ, — ამბობს ჭაღარაშერეული ლაზარე და თავმჯდომარის ადგილს იჭერს. — გამოსარკვევია სხვადასხვა საკითხი, მაგრამ პირველ ყოვლისა ვილაპარაკებთ ამხანაგ რევაზზე. რად მიანდო მან ჩვენს მიერ დაკისრებული საქმე უცხო პიროვნებას, ისეთ პიროვნებას, რომელსაც არ ვიცნობდით და მაშასადამე, ვერც ვენდობოდით.

სიტყვა რევაზს მისცეს.

— ქალი, რომელიც ამ ორი წლის წინათ ჩემთან ერთად მუშაობდა სოფელში, უეცრად დაიკარგა. შემთხვევით მას საროსკიპო სახლში შევხვდი. რაკოვიჩი აღმოჩნდა ის ჯალათი, რომელსაც ეყიდა ის. ქალი მოითხოვდა დახსნას, შველას, მაგრამ რით?! მოვკლავდი ამ კაცს, მაგრამ ქალი ისევ რჩებოდა იმავე სახლში. საჭირო იყო სხვა საშუალება და აი, მეც გადავეცი ამ ქალს რევოლვერი, ამით ერთად გავაკეთე რამდენიმე კარგი საქმე: რაკოვიჩი მკვდარია, საროსკიპო სახლი დაკეტილი, ამხანაგი დახსნილია პროსტიტუციის კლანჭებიდან და განთავისუფლებულია რამდენიმე უმანკო ქალიშვილი. აი, ყველაფერი, რის თქმაც შემიძლია.

კრება დააკმაყოფილა რევაზის განმარტებამ და შემდეგ საკითხზე გადავიდა.

— ამხანაგებო, ახლა უნდა გადავწყვიტოთ, მოვაწყოთ შეიარაღებული გამოსვლა თუ არა იმ ჯარის წინააღმდეგ, რომელიც იგზავნება გურიაში არეულობის ჩასაქრობად და ხალხის ასაწიოკებლად, — აცხადებს ლაზარე.

ხმის უმეტესობით გადაწყდა აქტიურ ბრძოლაში ჩაბმა.

ცოტა ხნის შემდეგ რეზო, მიშო და გიგა, მოხუცის პარიკებით, ჯადაცმულნი, გავიდნენ ქუჩაში, რამდენიმე საათის შემდეგ მათ ბათუმის სწრაფი მატარებელი დასავლეთ საქართველოსაკენ მიაქროლებდა.

ვინ იფიქრებდა, რომ ეს სამი თეთრწვერა მოხუცი, სამი თავზე ხელაღებული მეამბოხე იყო და ალიხანოვის სკოლაში გაწვრთნილ ჯარს შემუსვრით ემუქრებოდა?!

XXVII

მაგდამ მთელი ღამე უძილოდ გაატარა.

აწუხებდა გამუდმებული ფეხის ხმა, თაგვების წრუწუნი. აწუხებდა კვნესა, სადღაც შორიდან რომ სწვდებოდა მის ყურს და ტკივილებს უორკეცებდა.

რამდენჯერმე ჩასთვლიმა, მაგრამ შეშინებულმა ისევ ჩქარა გამოიღვიძა.

ეჩვენებოდა მის მიერ მოკლული ადამიანები, რომლებიც ფერმკრთალი აჩრდილებივით ევლინებოდნენ და უთითებდნენ თავიანთ ჭრილობებზე.

მეტადრე რაკოვიჩი არ ასვენებდა.

თავისი ჩვეულებრივი სახით უახლოვდებოდა, ეხვეოდა და სთხოვდა ალერსს, სთხოვდა სიყვარულს.

ხან კი გახვრეტილი მკერდით, სისხლში მოსვრილი დაუდგებოდა წინ და... ემუქრებოდა.

„მკვდარიც კი არ მასვენებს. რა დავაშავე!?“ — ფიქრობს მაგდა და ფხიზლობს. არ უნდა კვლავ მოეჩვენოს ასეთი საშინელება.

უგულოდ ტეხს პურს, გატეხილი პურიდან დაჭმუჭნილი ქაღალდი გამოვარდება.

„ყოჩაღად იყავ, ამხანაგები ვფიქრობთ შენზე, იცოცხლე, იცოცხლე“, — ეწერა ქაღალდზე.

„ჩემი რეზო“, — ფიქრობს მაგდა და სასოებით კოცნის ბარათს.

ქალის გულში იზრდება სიხარული, იზრდება სურვილი სიცოცხლისა, ბედნიერებისა.

ოცნებით მშობლიური სოფლისაკენ მიჰქრის და ხედავს საომ-

ლიას მწვერვალს, მედიდურად რომ აზიდულა, ბახმაროს მთებს, სადაც არა ერთხელ უნავარდნია საყვარელი ლურჯათი, საყორნიას დათოვლილ კალთებს, ზოტი — ყელს, ყვავილების დასაკრეფად რომ მიდიოდა ამხანაგებთან ერთად. ხედავს გურიის მდიდარ და თვალწარმტაც ბუნებას, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავდა უცხოელი მოგზაურები და რომლის მწვერვალები არა ერთხელ გადაუვლია გერმანელ, ფრანგ და ინგლისელ ტურისტებს.

— მაგდა, ჩემო გმირო გოგონა, ჩემო საამაყო მეგობარო, — ესმის მას და ვერც ასწრებს გამორკვევას, რომ ვიღაცა ეხვევა, კოცნის, ეალერსება.

მის წინ ლალა დგას, ცოცხალი ლალა.

— ლალა, შენ მოჩვენება ხარ?!

— არა, მაგდა, მოჩვენება არა ვარ, მაგრამ შენ... შენ ასეთი გაზრდილი, ასეთი გამხდარი და გაცრეცილი მართლაც მოჩვენებას ჰგავხარ. გაწამეს განა?! რატომ მაინცდამაინც შენ განგაცდევინა ბედმა კაცთა შორის არსებული უსაშინელესი ბოროტება?!

— ნუ მომაგონებ წარსულს, ლალა, შენ აწმყოზე მელაპარაკე. სად არის რევაზი? ჩვენი ამხანაგები?

ლალამ მოკლედ უამბო, როგორ დაუხვდა რევაზი რამდენიმე ამხანაგით ყაზახების მთელ ბატალიონს. როგორ დაამარცხეს, თვითონ კი მიიმალნენ.

— ბრძოლა ახლა მწვავდება და ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

— ეს კედლები რომ არ მიჭერდნენ, ზღაპრულ ქალად გარდავიქცეოდი. მე კიღევ უნდა გამეკეთებინა რამე, რათა ჩემი წარსული.

— არც ერთი სიტყვა შენს წარსულზე. ის იმ დღეს მოკვდა. როცა გმირული საქმე ჩაიდინე. გაზეთები ყოველდღიურად წერენ შენ შესახებ, მთელი ქალაქი თურმე აღტაცებით იმეორებს შენს სიტყვებს და რამდენიმე ახალგაზრდა ვექილი მზად არის სრულიად უსასყიდლოდ დაიცვას შენი საქმე. არ ამაყობ ასეთი სახელით?!

— არა, ლალა, არ ვამაყობ. ცხოვრებამ იმდენად დამსაჯა, რომ ეს დიდი ჯილდოც კი პატარად მეჩვენება.

კარზე კაკუნი ისმის.

— ჩემი წასვლის დროა. მე კიდევ შემოვალ შენთან. არ შეშინდე, ამ სარდაფში დიდხანს არ დარჩები. ჩვენი ციხის ექიმი გააფთ-

რებით იბრძვის, რათა ზედა სართულში გადაგიყვანოს. ახალგაზრდა სიმპათიური კაცია და როცა შენზე მელაპარაკება, თვალებში ცრემლი უკრთის. არ შეიძლება მისი იქ ყოფნა, ან დავანებებ თავს აქ სამსახურს, ან ვაიძულებ ციხის ადმინისტრაციას, რათა ჩემს სამართლიან მოთხოვნილებებს ანგარიში გაუწიონო, — მითხრა გუშინ.

— ჰო, მე მახსოვს ის. ეტყობა, კეთილი და პატიოსანი ადამიანია. როდესაც გამსინჯა, წინ დამიდგა, გაფითრდა და ისე უიმედოდ შემომხედა, რომ მის თვალებში სასიკვდილო განაჩენი ამოვიკითხე.

— არა, მაგდა, შენ უნდა მორჩე. ჩვენ ყველა შევებრძოლებით სიკვდილს და დავიხსნით შენს სიცოცხლეს, — უთხრა ლალამ, ერთხელ კიდევ აკოცა და კარი ფრთხილად გაიხურა.

XXVIII

სამაზრო პოლიციის სამმართველოში დიდი მოძრაობაა. მთელი სოფელი დატუსაღებულია, ქალები და ბავშვები ატირებული, სახლები გადამწვარი.

— რა დავაშავეთ, აბა, ჩვენ საიდან გვეცოდინება, ვინ დახვდა ჯარს. — ამბობს ერთი თეთრწვერა მოხუცი და აღშფოთებული იქნევს ხელს.

— არ გაგანთავისუფლებთ, სანამ ავაზაკებს არ გასცემთ. არ გვასწავლით მათ ბინას, სულს ამოგხდით, ციხეში გამოგახრჩობთ! — ყვირის ბოქაული მაღალაძე და მათრახს მრისხანედ ატრიალებს.

— შე დალოცვილო! უიარაღო კაცთან ყველა ღონიერი ბიჭია. თუ კაჟკაცები ხართ, თქვენ თვითონ მოძებნეთ გაქცეულები, ჩვენთან რა ხელი გაქვთ?!

— ფრთხილად, ბერიკაცო, შენ, როგორც გხედავთ, აგქავდა ზურგი.

მათრახი ტყლაშუნით დაეშვა მოხუცის ბეჭებზე, მოხუცი ტკივილებისგან დაიკლაკნა.

ხალხი უკმაყოფილოდ აყაყანდა. ქალები ატირდნენ.

— უკეთესი ახალგაზრდები ომში გაგვიწყვიტეს, დარჩენილები ციხეში გამოამწყვდიეს. მოხუცებს გვცემენ. ვინ აძლევს ასეთ განკარგულებას?! — კითხულობს ვიღაც.

— მეფე და მის მიერ მოსყიდული ჯალათები, — ისმის პასუხად. ბოქაული კი სიბრაზისაგან დორბლებს ყრის და უდიერად ლანძღავს ხან ერთსა და ხან მეორეს.

XXIX

— თქვენ ტყუილ-უბრალოდ წაიღეთ იმოდენა ფული და თვალსაჩინო რამის აღმოჩენა კი ვერ შესძელით, — ეუბნება წარბშეკვრით ახალი პოლიცმეისტერი მის წინ მჯდომ, მაღალ, ახალგაზრდა ყმაწვილს და ალმაცერად შესცქერის სახეში.

— საჭირო იყო დამემსახურებია მათი ნდობა, უამისოდ ვერაფერს გავხდები. ჩემ მიერ გაცემულმა შეწირულებამ იმგვარად დაარწმუნა ისინი ჩემს ერთგულებაში, რომ მიმიწვიეს კიდეც არალეგალურ კრებაზე, რომელიც ამ დღეებში მოხდება.

— თქვენ მუდამ ასეთი დაპირებებით გვკვებავთ. ფრთხილად, ყმაწვილო, თუ ახლაც ვერაფერი გააკეთეთ, დაჭერა არ აგცდებათ. მე არ მჯერა თქვენი.

ასეთივე ეჭვი გამოთქვა გუშინლამ ერთმა პარტიულმა ამხანაგმაც. როგორ მოიქცეს, ან როგორ ჩააქროს მის გულში აღძრული სინდისი, რომელიც გამუდმებით ქენჯნის მას?!

„თავი დაანებე ამ სამარცხვინო საქმეს და ნუ უწყობ ხელს იმ ადამიანებს, რომლებიც შენს ქვეყანას აწიოკებენ. კურტანი მოიკიდე, მაგრამ ნუ გაყიდი სინდისს, ნუ მოსცხებ ჩირქს შენს ახალგაზრდობას“, — აფრთხილებს პირველი ხმა.

„სინდისი, სინდისი... ვინა სჭამს პურს სინდისიერი გზით?! ეის ბოუტანა ბედნიერება კურტანმა?! შეაფურთხე სინდისს, შეაფურთხე პატიოსნებას და იარე იმ გზით, რომელიც სიმდიდრეს და ფუფუნებას გპირდება“, — აქეზებს მეორე ხმა.

— რაზე დაფიქრდით?! — შენიშნა ირონიულად პოლიცმეისტერმა. — გახსოვდეთ, რომ ჩვენ მიერ დაჭირაკებული ჯაშუში ხართ და უკან დახევა შეუძლებელია, ნუ ღელავთ, თუ მართალი ხართ, დაამტკიცეთ, რომ მე ვცდებოდი.

— დიახ, მე დავამტკიცებ ამას.

პოლიცმეისტერს თვალებიდან რაღაც შუქი გამოუკრთა, ვერ მიხვდებოდით რა იყო ეს?! ზიზღი თუ კმაყოფილება?!

ერთი კი აშკარა იყო, მას უნდოდა მოეხმარა ეს კაცი, როგორც საშუალება, მაგრამ მაინცდამაინც დიდ პატივს არა სცემდა.

ის ებრძოდა რევოლუციონერებს, სჯიდა მათ, მაგრამ ამავე დროს არ შეეძლო არ ეგრძნო უპირატესობა, რომლითაც დაჯილდოებული იყო თვითეული მათგანი.

და მოაგონდა ერთი ეპიზოდი.

პოლიტიკურ დამნაშავეს სიკვდილი მიუსაჯეს, როდესაც განაჩენი წაუკითხეს, ადგა, ცივი სიამაყით შეხედა პოლიცმეისტერს და უთხრა: „ახალგაზრდა ვარ და ჩემში აუარებელ ენერგიას ვგრძნობ. სიცოცხლე მიყვარს და ქვეყნის დატოვება მეძნელება, მაგრამ სახრჩობელას შენს ეპოლეტებში მაინც არ გავცვლი, მირჩევნია მოვკვდე სახელოვანი სიკვდილით, ვიდრე ვიცოცხლო ისე, როგორც თქვენ ცხოვრობთ“. და მოკვდა წარბშეუხრელად, მედგრად და ღირსეულად.

პოლიცმეისტერს სჯერა, რომ ეს არის ერთგვარი სიგიჟე, მაგრამ იმასაც ხედავს, რომ ამ სიგიჟეშიც არის ძალა და მიმზიდველობა, რომლითაც ისინი აჯანყებენ ხალხს და ემუქრებიან ტახტს, რომელსაც ის, ახალი პოლიცმეისტერი, ასე ერთგულად და თავდადებით ემსახურება.

ახალგაზრდა კაცი წამოდგა.

— ამ დღეებში ჩვენ ველით თქვენგან ცნობას და თუ ის დამაკმაყოფილებელი იქნება, შესაფერ ჯილდოსაც მიიღებთ. — თქვა ეს და რომელიღაც მოხელეს გამოუძახა. ყმაწვილიც, ფიქრით დამძიმებული, კაბინეტიდან გავიდა.

XXX

ნელი ნაბიჯით უახლოვდება კარს.

„იუდა, იუდა“, — წამდაუწუმ იძახის ვიღაც მის სულში, მის ფიქრებში, მის გარშემო.

შეჩერდა. სული მოითქვა. სმენად გადაიქცა.

მასზე ლაპარაკობენ.

— მე არ მომწონს მისი თვალები. მუდამ მიწას დასცქერის, თითქოს ეშინოდეს რაიმესი. ადამიანი, რომელსაც სინდისი წმინდა აქვს, არ მალავს თვალებს, — ისმის რევაზის ხმა.

— ამგვარი ჩვეულება აქვს, ამ კაცს ჩვენ ხომ ბავშვობიდან ვიცნობთ! — უპასუხებს მიშო.

— მართალია, მაგრამ დღემდის არ გამოუთქვამს სურვილი ჩვენთან მუშაობისა. ასეა თუ ისე, შენი თავდებით არის მიღებული და პასუხისმგებლობაც შენ უნდა იკისრო. შენი გული მის მიერ გაღებულმა თანხამ მოიგო, მე კი სწორედ ამ თანხამ აღმიძრა ეჭვი. რა იცი, რომ ეს ფული მისი ჯიბიდანაა და რომ ის მთავრობის მიერ დაქირავებული აგენტი არ არის.

— რევაზ, ნუ იცი ასეთი ახირება. მაგ შენი გადაჭარბებული სიფრთხილით სასაცილო ხდები.

— მე კი გისურვებ ეს საქმე სატირლად არ გაგხდომოდეს.

— ეჭვი არ შეიძლება არ დაიბადოს. მისი მშობლები სოფელში ჩამოგლეჯილი დადიან და ეს კი ორმოც ოქროს სწირავს რევოლუციურ ორგანიზაციას, — ამბობს ყოყმანით ერთ-ერთი ამხანაგი.

— წინაგრძნობა მეუბნება. რომ ჩვენ გაცემულნი ვართ. სჯობია, დავიშალოთ, — ამბობს კვლავ რეზო.

— ათასი დაბრკოლება გადავლახეთ, ათასი ბრძოლა მოვიგეთ, ათასჯერ ჟანდარმერია გავაცურეთ და ახლა რომ ამ ცინგლიანმა ბიჭმა ჩაგვსვას, სასაცილონი გავხდებით, — ამბობს გიგა მრისხანედ.

— ამხანაგებო, მე უნდა წავიდე, — განაცხადა მიტრომ და ფეხზე შამოდგა.

ყველამ მას შეხედა.

— დღეს კრება საიდუმლო სტამბაში არ შედგა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ჩვენ ასოთამწყობებს საჩქარო საქმე ჰქონდა დასამთავრებელი. საჭიროა, წავიდე და მას დავეხმარო. ამას გარდა, თუ თქვენ რაიმე გევნოთ, ჩვენ ორნი მაინც თავისუფალნი ვიქნებით და სტამბას ვუპატრონებთ.

— რას სულელობ, ბიჭო, ისე გველაპარაკები, თითქოს მართლა გაცემულები ვიყოთ, — შეუტია გიგამ და გულმა უსიამოვნო რეჩხი უყო.

— მე ვხუმრობ, გიგა, და სრულიად არ ვიზიარებ ეჭვს, რომელიც აქ გამოითქვა. როგორ შეიძლება ისე გათახსირდეს ადამიანი, რომ თავისი პირადი სარგებლობისათვის საყოველთაო საქმეს უღალატოს, ბავშვობის ამხანაგებს უღალატოს, გასცეს და დალუპოს.

— შენ სცდები, მიტროპაჟ, — შენიშნა რევაზმა, — არიან ადამიანები, რომლებსაც საყოველთაო საქმე ფეხზე ჰკიდიათ.

— მე ვაფურთხებ ასეთს და ვეუბნები: სისხლით არის გაჟღენთილი ის ლუკმა, რომელსაც ხახაში იდებს.

— არამც შერგებია, — დაუმატა ვიღაცამ.

— ნახვამდის, ამხანაგებო, — მიტრომ ქუდი დაიხურა, უკანა კარი გამოაღო, სარდაფში ჩავიდა და იქიდან ქუჩაში გაჩნდა.

ჩვენი ნაცნობი ახალგაზრდა კი ისევ კართან დგას, ისმენს ამ საუბარს, თრთის და ფიქრობს: „ნუთუ არა სჯობს გამოვტყდე ყველაფერში და მოვითხოვო ჩემი გასამართლება?!“. ისევ ბავშვობა მოაგონდა. რეზო და მიშო მისი სკოლის ამხანაგები იყვნენ და არაერთხელ გაუტარებია მათთან სასიამოვნო წუთები. ბუნებით ბოროტი არასოდეს ყოფილა, მაგრამ მუდმივმა სიღატაკემ თავი მოაბეზრა და გადაწყვიტა გამდიდრებულიყო, რათაც არ უნდა დასჯდომოდა. მაგრამ... ამხანაგები... ამხანაგები...

ისევ ფიქრობს. ისევ ყოყმანობს.

ოთახიდან ხმაურობა მოისმა და ფიქრიდან გამოერკვა.

„საცა არის გამოვლენ და თუ აქ მნახეს, არ ივარგებს“, — ფიქრობს და გაუბედავად აღებს ოთახის კარს.

— მეგობარო, შენ შესახებ საშინელი ეჭვი დაიბადა. შეგიძლია უარყო ის? — ეკითხება მიშო.

— არ მესმის, რაზე მელაპარაკები? — კითხულობს ახალგაზრდა და ხელში ვერცხლისთავიან ჯოხს უხერხულად ატრიალებს.

— შენ ჩვენი სოფლის შვილი ხარ, ჩვენი სკოლის ამხანაგი, — დაიწყო რეზომ, მაგრამ დღემდის ჩვენგან ძალიან შორს გეჭირა თავი. შენ მდიდრულად ჩაცმული გამოდიხარ, საუკეთესო სასტუმროში ცხოვრობ, ეტლით დასეირნობ, პოლიტიკურ ორგანიზაციებს ფულს სწირავ. როგორც გავიგე, შენი ჯამაგირი მეტად მცირეა და ასეთი ფართო ცხოვრების საშუალებას ვერ მოგცემს. საიდან ღებულობ ამ თანხას?! ჩვენ ვთხოულობთ პასუხს ამ შეკითხვაზე.

დუმილი.

— არ გესმის?! შენ გელაპარაკებიან! — აპილპილდა მიშო.

— არა მსურს ვუპასუხო. მე სამუშაოდ მოვედი თქვენთან და თუ არ მოგწონვართ, შემიძლია წავიდე. რაც შეეხება ჩემს კერძო ცხოვრებას, არავის აქვს უფლება გაჩხრიკოს ის.

— როგორ? თვითეული ამხანაგის ცხოვრება ნათელი უნდა

იყოს, როგორც მზე, უამისოდ ვერავინ შემოვა ჩვენთან, — ღელავს მიშო.

— აღარ ვიცი, რითი დავიმსახურო თქვენი ნდობა.

საათს დახედა, იგრძნო, რომ გაფითრდა.

„დროა პოლიციის გამოცხადებისა“, — გაიფიქრა შემკრთალმა და თავი დახარა.

— ყმაწვილო! მე მინდა შევხედო შენს თვალებს, — ამბობს რევაზი, რამდენიმე ნაბიჯით უახლოვდება. ნიკაპზე ხელს ავლებს და თავს ზევით უწევს.

ნიღაბი ჩამოეცალა მის სახეს, ნერვიულმა თრთოლამ აიტაცა, შეშფოთდა.

— ჯაშუშის თვალები. — ჩაილაპარაკა ბოლოს რევაზმა და ზიზღით ზურგი შეაქცია.

ეს ბრალდება ლოდიევით დააწვა ახალგაზრდას მხრებს და იგრძნო, რომ გატყდა.

სკამზე მოცელილივით დაეცა და ორივე ხელი სახეზე აიფარა.

— აა, მაშ ეს ყველაფერი მართალია?! მოტყუებით შემოიპარე ჩვენთან და ამხანაგები დამაღუპვინე?! მაგრამ უმალ შენ ჩაგაძაღლებ, პირუტყვო, — ამ სიტყვებით მიშომ რეოლვერი ზედიზედ დაახალა და კარში გავარდა.

გვიანღა იყო.

პოლიციას სახლისათვის ალყა შემოერტყა და დამორჩილებას მოითხოვდა.

XXXI

ციხის ექიმის ცდამ ნაყოფი გამოიღო, მაგდა ზედა სართულში გადაიყვანეს.

— ახლა ხომ არ გაწუხებთ აჩრდილები? — შეეკითხა ერთ დღეს ექიმი, მაჯა დაუჭირა და საათს დააცქერდა.

— არა, ექიმო, აღარ მაწუხებს.

— ჩქარი პულსი გაქვთ. წუხელის, ალბათ, კარგად არ გეძინათ, — უთხრა ექიმმა უკმაყოფილოდ და წამოდგა.

— ცუდია.

— რა არის ცუდი?!

— ყოველთვის, როდესაც ჩემს ფილტვებს სინჯავთ, ან ჩემს პულსს უგდებთ ყურს, სახე ისე გეცვლებათ, თითქოს მომაკვდავის სარეცელთან იჯდეთ.

— სცდებით, ძვირფასო პაციენტკა.

— მიწოდეთ მაგდა. თქვენ ჩემთვის მარტო ექიმი კი არა, მეგობარიც ხართ, თუმცა მე არ ვიცი, რით დავიმსახურე ასეთი ყურადღება.

— ერთადერთი ქალი ხართ, რომელმაც აღძრა ჩემში გრძნობა ოაყვანისცემისა.

მაგდა ამ სიტყვებმა შეაშფოთა და ფართოდ გახელილი თვალებით ახედა მას.

— ნუ გეშინიათ, მე თქვენ სიყვარულს არ გიხსნით და არც არასოდეს დაგიწყებთ ამაზე ლაპარაკს, მაგდა, მიცქირეთ ისე, როგორც ახლობელ ადამიანს, როგორც მეგობარს, ძმას.

ქალი დამშვიდდა.

— თქვენი სახელი?

— ვახტანგი.

— ამიერიდან მე ვფიქრობ, რომ მყავს საყვარელი ძმა, რომელსაც ვახტანგი ჰქვია.

— გმადლობთ, კიდევ ერთი რამ უნდა გთხოვოთ.

— კიდევ? — კითხულობს მაგდა და უხარია, რომ ამ კაცს ასე უბრალოდ და ამხანაგურად უჭირავს მასთან თავი.

— თუ უფროსი ძმა ვარ, ჩემიც უნდა გჯეროდეს. აბა, მომისმინე: პირველ ყოვლისა, ადრე უნდა დაიძინო, ცუდი ფიქრები არ მიიკარო, და ჭამო ყველაფერი, რასაც მოგიტანენ: კვერცხი, კარაქი, ნაღები.

— ნუთუ ტუსაღებს ასე ანებივრებენ? რა გულკეთილი ხალხი ყოფილა აქ! — ამბობს მაგდა ოდნავი სიცელქით. და ალმაცერად შეჰყურებს ახალგაზრდა კაცს.

ექიმი იცინის.

— ბავშვო, შენ გულთამხილავი ხარ, მაგრამ მეცა მაქვს უფლება ვიზრუნო შენზე.

მაგდამ გაიღიმა, ექიმმა ისე დაუწყო „შენობით“ ლაპარაკი, ნებართვაც არ უთხოვია.

— თქვენ აქ გამალაღებთ და როდესაც საქართველოდან გადმასახლებენ, ვინღა იზრუნებს ჩემზე?

— ისევ შენი ექიმი. მე დავიწყებ ს-ძსახურს იმ ქალაქში, სადაც შენ იქნები. ოო, როგორი თვალებით შემომხედა. გაკვირვებს განა ასეთი თავგანწირვა? ნუ გიკვირს. ეს სრულიად უბრალო ამბავია. მე მყავდა პატარა და, რომელიც შენ ძალიან გგავდა და რომელიც მომიკვდა. მისი ადგილი ჩემს გულში შენ დაიჭირე და მეც პირობა მივეცი თავს, დაგიხსნა და გადაგარჩინო. ახლა კი ნახვამდის, მაგდა. ლალას გამოგიგზავნი და ვეტყვი არ მოგაწყინოს...

XXXII

— ლალა, ნამდვილი ზეადამიანია ჩვენი ექიმი!..

— სწორი ხარ, მაგდა. ის ამსუბუქებს ციხის მძიმე ცხოვრებას. შენთვის კი... შენთვის მზად არის მოკვდეს, ხომ ხედავ, მაგდა, რამდენი კარგი მეგობარი გყავს და რამდენს სწყურია შენი სიცოცხლე. თუ ადამიანს ძლიერი სული აქვს, ავადმყოფობას ადვილად მოერევა.

— მეც ვცდილობ ვიცოცხლო. ამას წინათ სიმღერაც ვცადე, მაგრამ ისეთი სევდიანი გამომივიდა, რომ თვითონვე ამატირა საკუთარმა ხმამ.

— მეც მიმღერე, მაგდა შენი „ლერწამი“! — შეემუდარა ლალა. და მხარზე თავი ჩამოადო.

შორს უდაბნოში დასჭნა ლერწამი
და ჩრდილი აღარ დაურჩა ფარად,
დასჭნა ლერწამი განმარტოებით,
მოკვდა ლერწამი მშვიდად და წყნარად...

— ლალა! ჩემი შოშია დაიღუპა?!

— არა, მაგდა, ისიც შენსავით დაგვეკარგა, რამდენიმე თვის განმავლობაში ტიროდა და დაგეძებდა, ხან ისე საბრალოდ დაგიწყებდა ძახილს, ცრემლს ვეღარ ვიმაგრებდი... ერთ დღეს კი სადღაც გაქრა.

— ჩემი საბრალო ჩიტი, — თქვა მაგდამ სევდიანად და ლოგინზე პირაღმა წამოწვა, ძალიან დასუსტებულიყო, არ აძინებდა ხველა, მაგრამ უდრტვინველად იტანდა ყველაფერს, თავს ბედნიერად გრძნობდა, რომ საროსკიპო ციხედ შეეცვალა.

ჩვეულებრივად მიდიოდა დრო, მაგრამ აი, ერთ დღეს ციხის კარები გაიღო და რევაზი თავისი ამხანაგებით შიგ მოემწყვდა.

ამ ამბავმა თავზარი დასცა მაგდასა და ლალას, იმ საქმეს, რომელმაც იმდენი მსხვერპლი შეიწირა ახლა თითქმის დამარცხებულად სთვლიდნენ.

— საშინელებაა, ისინი დაიღუპნენ, — წარმოთქვა მაგდამ, მისი თვალებიდან ისეთი მწუხარება გამოკრთა, რომ ლალა შეაშინა.

— ნუ დავკარგავთ იმედს, იქნება გარეთ დარჩენილმა ამხანაგებმა უშველონ რამე.

— გადარჩა კი ვინმე?! — იკითხა ეჭვით მაგდამ.

— ჯგუფის ხელმძღვანელი, მოხუცი ლაზარე და ორი ასოთამწყობი. იმედია ისინი უყურადღებოდ არ დატოვებენ ამხანაგებს, ეცდებიან...

სიჩუმე ჩამოვარდა.

— მაგდა!

— რა იყო, ლალა?!

— მინდა ერთი რამ გკითხო, მაგრამ მეშინია არ გეწყინოს.

— შენგან არაფერი მეწყინება.

— როგორი დამოკიდებულება გქონდათ შენ და რევაზს?

— ამხანაგური, მეგობრული.

— მე მაკვირვებდა მისი საქციელი. მუდამ მხნედ მუშაობდა, დაუღალავად, ენერგიულად. მუშაობდა ახალგაზრდული გატაცებით, მაგრამ ამ ორი წლის განმავლობაში ერთხელაც არ დამინახავს მის სახეზე ღიმილი. ზოგჯერ ისე ღრმად დაფიქრდებოდა, და გახედავდა სივრცეს, რომ მე გულში ტკივილს ვგრძნობდი, არ ვიცი რითი ან როგორ დავეხმარო მას, მაგრამ ვიცი, რომ მისი სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე არ მენდომება. მაგდა, მითხარი, რა ჰქვია იმ გრძნობას. რომელიც მე მაწვალებს?

– სიყვარული, — ოდნავ გასაგონი ხმით მიუგო მაგდამ და თავისი შავი სევდიანი თვალები უცნაური გამომეტყველებით მიაპყრო ლალას.

— სიყვარული? ნუ მაშინებ, მაგდა. მე კარგად არც ვიცნობ ამ გრძნობას.

— გაიცნობ, რევაზი არ მოკვდება და თქვენც ბედნიერი იქნებით.

ორივე დაფიქრდა. ორივე დააღონა იმ ადამიანის ბედმა, რომელიც მათ ერთნაირად უყვარდათ.

XXXIII

თერთმეტი წლის ლედას ისე კოხტად ჩამოეკიდა ყელზე ტყავის თასმებიანი პაპიროსებით სავსე ყუთი და ისე მარდად აწვდიდა კოლოფებს მყიდველებს, რომ ვერავინ იფიქრებდა, ის იყო შვილი ერთ-ერთი რევოლუციონერის. მამის დავალებით დღეს პირველად გავიდა ქუჩაში, მეპაპიროსე ბავშვის როლში.

— პაპიროსი იაფად, პაპიროსი იაფად! — გაიძახოდა გოგონა. თანდათანობით უახლოვდებოდა საგუბერნიო ციხის კარს. რამდენიმეჯერ აუარ-ჩაუარა შეჯგუფებულ და შეიარაღებულ ყაზახებს, მაგრამ როცა არავინ მიაქცია ყურადღება, საგანგებოდ გაკეთებულ ორ კოლოფს ხელი აჰკრა და ვითომ შეუმჩნევლად ძირს დააგდო.

— Эй, подожди, девочка, коробку потеряла, — ესმის ლედას, მაგრამ ის ყურს იყრუებს და ძახილს განაგრძობს:

— პაპიროსი იაფად, პაპიროსი იაფად, — ყვირის და ერთი ქუჩიდან მეორე ქუჩაზე გადარბის.

— Покурим, она наверное не вернется обратно, — ამბობს ერთი ყაზახი და ისინიც ანთებული პაპიროსებით ციხის ეზოში შედიან.

„ყოჩაღ, ჩემო პატარა ლედა, ყოჩაღ, ჩემო ჭკვიანო გოგონა!“ — ფიქრობს მოხუცი ლაზარე, რომელიც შორიახლოდან თვალს ადევნებდა ამ სცენას.

რაც შეეხება ლედას, უკვე თავის ოთახში დიდი სარკის წინ დგას და ვერ ცნობს იმ შავგვრემან ბავშვს, რომელიც შავი ნაწნავებით სარკის სიღრმიდან შეჰყურებს.

ერთბაშად პარიკი ჩამოიგლიჯა და მხრებზე ოქროსფერი ხუჭუჭა დალალები ჩამოეშალა, პირისახე ჩამოირეცხა, ტანსაცმელი გამოიცვალა და მშვენიერ ქერა გოგონად გადაიქცა.

— მამილო, რა მოხდა შემდეგ? აიღეს თუ არა კოლოფი? — შეეკითხა ის ოთხაში შემოსულ მამას და ალერსით ყელზე მოეხვია.

— ყველაფერი ისე მოეწყო, როგორც საჭირო იყო. ჩინებულად ჩაატარე შენი როლი და თუ დღეს ჩემი ამხანაგები გაიქცნენ, შენ

გმირი ქალის სახელს დაიმსახურებ. — ამ სიტყვებით მამამ შვილს თავზე აკოცა და მშობლიური სიამაყით შეათვალიერა თავისი გიჟმაჟი გოგონა.

ცოლის შენიშვნაზე: — ბავშვიც კი არ გინდა დაზოგო, ეს სიგიჟეაო. — ყური მოიყრუა და მთელი დღე დაჭიმული ნერვებით ელოდა შედეგს თავისი მოქმედებისას.

XXXIV

ავტომობილი მიჰქრის. პოლიტიკური ტუსაღები მიჰყავთ დაკითხვაზე. მცველები ფხიზლობენ. უეცრად თოფშემართულ ჯარისკაცებს ხელები უდუნდებათ... თრიაქით გაჟღენთილმა პაპიროსმა მხოლოდ ახლა იმოქმედა მათზე.

— შეჰკარით შოფერი, ფხიზელია, მის ადგილს მე დავიჭერ, — ამბობს რევაზი და გიგამაც სწრაფად და უხმაუროდ მოთოკა შოფერი.

— დაეგდე მანდ და არ გაბედო ხმის ამოღება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შენთვის ტყვიას არ დავხარჯავ, ისე მოგახრჩობ, როგორც წიწილას, — ეუბნება გიგა შოფერს.

ავტომობილი მიმართულებას იცვლის. ტოვებს მთავარ ქუჩებს. უხვევს. მიჰქრის.

კიდევ უხვევს და, აი, დაილია ქალაქიც.

გამოჩნდა ფართოდ გაშლილი ველი. აზიდული და უსწორმასწორო გორაკები. პაწია ქოხმახები და აქა-იქ გაფანტული საქონელი.

ავტომობილი შედგა.

ფოლადის ქლიბი, რომელიც ამ დილით საიდუმლოდ გადასცა რევაზს ციხის ერთ-ერთმა მოსამსახურემ ისე დატრიალდა, რომ რამდენიმე წუთში დაიხსნეს ჯაჭვები.

— ქლიბს წარწერა აქვს გაკეთებული. აბა, დაუკვირდით! — წამოიძახა გიგამ და ქლიბი რევაზს გადასცა.

— „მიტროპაჟ“, — ამოიკითხა რევაზმა და ოდნავ გაიღიმა.

— ყოჩაღ მიტრო, რა მოხერხებულად გაუძვრა იმ ღამეს პოლიციელებს და რაც მთავარია, ჩვენი სტამბა ძველებურად მუშაობს თურმე.

— აბა, ამხანაგებო, ამ დოყლაპიებს იარაღი ავართვათ, — თქვა მიშომ და ერთ თოფს ხელი წაატანა.

შეიარაღდნენ, გამოეწყვნენ, საჭირო ნივთები მოამზადეს. და... გარბიან. გადადიან მთებს, ნაპრალებს. ეშვებიან დაქანებულ კლდეებში. სთელავენ ჯაგნარებს.

უახლოვდებიან იმ ადგილს, სადაც მეცხვარეებს ფარა გაუშლიათ.

ერევიან ცხვრის ფარას და მწყემსურად გადაცმულნი მიისწრაფვიან წინ, უშიშარი ადგილებისაკენ.

ფეხზე დამდგარი პოლიცია პოულობს მიტოვებულ ავტომობილს, დაძინებულ ყაზახებს და შეკრულ შოფერს.

პოლიცმეისტერი სიბრაზისაგან თმას იგლეჯს და ას ოქროს პირდება, ვინც აღმოაჩენს გაქცეულ ტუსაღებს და მეპაპიროსე გოგონას.

XXXV

ციხეში დარჩენილი პოლიტიკური ტუსაღები სიამაყით უყვებიან ერთმანეთს რევაზისა და მისი ამხანაგების გაქცევის ამბავს.

მოხუცი ლაზარე და მისი პატარა ლედა მხიარულად ისმენენ ამ შემთხვევის გამო ატეხილ მითქმა-მოთქმას და თავს ბედნიერად გრძნობენ, რომ ხერხმა გასჭრა და პატიმრებმა სატუსაღოს თავი დააღწიეს.

ლალამაც თავისუფლად ამოისუნთქა, მაგდა კი ამ შემთხვევამ რამდენიმე დღით საგრძნობლად გამოაცოცხლა.

იანვარმა თებერვალი მოიკითხა და თეთრ ლეჩაქწამოსხმული მარტის დღეები საამური ხმაურით მოადგა აღმოსავლეთის კარს. მაგდამ იგრძნო გაზაფხულის მოახლოება, უფრო გახდა, უფრო გაიცრიცა.

ხშირად იგონებს რევაზს, მაგრამ ახლა ეს მოგონება სიცოცხლის სურვილს აღარ უორკეცებს.

მასსა და რევაზს შორის ლალა ჩადგა და მაგდამაც უყოყმანოდ უკან დაიწია.

ბევრი იფიქრა ამაზე, ბევრი უძილო ღამე გაატარა.

რევაზი დათმოს თუ ლალა დაკარგოს?!

არც ერთი და არც მეორე არ ემეტება.

სად არის გამოსავალი?!

სიკვდილში, დაასკვნა მან და ფიქრს გაჰყვა.

ლალას უყვარს რევაზი პირველი სიყვარულით, ნამდვილი სიყვარულით.

ლალა წმინდაა, უმანკოა, მშვენიერია.

მაგდა კი ათასჯერ გათელილი, ათასჯერ დამცირებული, ყოფილი მეძავი...

როგორ შეიძლება ამ საშინელების დავიწყება, ამ ჭუჭყის ჩამორეცხვა?!

როგორ იქნება დამსხვრეული სიცოცხლით და გატეხილი ჯანმრთელობით დაუკავშირდე სრულიად ჯანსაღ ადამიანს და მაგდაც არასოდეს იკადრებს ამას.

თვალდახუჭული იგონებს ელექტრონით განათებულ დარბაზს, ძველ პიანინოს, მთვრალ მემუსიკეს, მოცეკვავე ხალხს და... რევაზს. გაფითრებული უცნაურად რომ შესცქეროდა მას.

აგონდება სასოწარკვეთილებით ამოძახილი სიტყვები — სასიკვდილოდ გიმეტებ, მაგდა, სასიკვდილოდ, აგონდება რევაზის უკანასკნელი მოხვევა, უკანასკნელი ალერსი.

„რევაზ, მხოლოდ შენ მიყვარხარ, მაგრამ რა ვქნა, რომ არა მაქვს უფლება დაგისაკუთრო", — ფიქრობს მაგდა და გრძნობს, რაღაც აწვება ყელს, რაღაც, მეტად ცხელი და შემაწუხებელი.

პირველად ამოხეთქა სისხლმა მისი ფილტვებიდან.

პირველად შეიღება მისი ტუჩები წითელი სითხით.

ვიღაცამ ყინული შემოიტანა.

ვიღაცამ წვეთები მიაწოდა.

ლალა ტელეფონთან გაიქცა.

რამდენიმე წუთის შემდეგ საკანში შეშფოთებული ექიმი შევიდა.

— გთხოვთ, მიბრძანდეთ! ავადმყოფისათვის ჰაერია საჭირო, — თქვა მან და შეკრებილ ქალებს უბოდიშოდ კარზე მიუთითა.

— ჩვენ ექიმს ხასიათი უფუჭდება. არასოდეს არ გვსმენია მისგან ასეთი უკმეხი სიტყვები, — ამბობს ერთი ტუსაღი.

— არც ასეთი მოწყენილი ყოფილა წინათ, — უმატებს მეორე.

— იქნება უყვარს ეს ქალი. წინააღმდეგ შემთხვევაში...

— ადამიანი სისხლისაგან იცლება და თქვენ აქ ჭორიკანობას მიჰყავით ხელი. გრცხვენოდეთ!.. — შეუტია მათ ერთმა ახალ-

გაზრდა ტუსაღმა ქალმა, რომელსაც მაგდა განსაკუთრებით უყვარდა.

ქალები დაჩუმდნენ...

XXXVI

დაკვირვებით გაუსინჯა ფილტვები, გაუსინჯა გული და პულსი. ადგა.

გამოუთქმელი საყვედურით შეხედა და უსიტყვოდ შეაქცია ზურგი.

მაგდამ მწვავედ იგრძნო ამ საყვედურის სიმძიმე, იგრძნო ისიც, რომ ეს კაცი სასოწარკვეთილებამდე იყო მისული და უფრო მეტს განიცდიდა, ვიდრე სიტყვებით ამბობდა.

ფანჯარასთან მიდგა და რკინის ხლართები ისე მძლავრად მოზიდა, რომ ხელები ტკივილებისაგან დაულურჯდა.

— ვახტანგ! — დაუძახა მაგდამ ათრთოლებული ხმით. — მობრუნდით, თუ არ გინდათ ავტირდე.

ექიმი მობრუნდა. მის წინ ჩამოჯდა და თავი მძიმედ ჩაჰკიდა.

— ნუ იფუჭებთ გულს, განწყობილებას. ჩემი გადარჩენა არ შეიძლება.

— შენი გადარჩენა შეიძლებოდა, მაგრამ თვითონ არ დამეხმარე ამაში, არ დამეხმარე. მე გაგსინჯე ამ რამდენიმე კვირის წინათ. ფილტვები უკეთესად სუნთქავდნენ, გული უკეთესად მუშაობდა, ჯანმრთელობა უკეთეს მდგომარეობაში იყო. რა მოხდა შემდეგ?! ვის შეხვდი, რაზე ილაპარაკე?! მიპასუხე...

მაგდამ თვალები დახარა, მისმა სახემ ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს დამნაშავე ბავშვი ყოფილიყოს.

— აი, ხომ ხედავ, არ შეგიძლია მომატყუო.

— გარწმუნებთ, ყველასათვის უკეთესია, რომ ვკვდები.

— ვის გულისხმობ, მაგდა, ყველაში?!

— როდესაც მოვკვდები, თქვენ ყველაფერს გაიგებთ და მაპატიებთ.

— კიდევ სიკვდილი, კიდევ და კიდევ ეს სიტყვა! აღარ შემიძლია ავიტანო ეს.

— თავი დამანებეთ და ნუღარ შემოხვალთ ჩემთან, — უთხრა მაგდამ ისეთი ტონით, რომ ექიმს გული ჩასწყდა.

— არა, მაგდა, მე ისევ შენი ექიმი და მეგობარი ვიქნები.

ექიმი წამოდგა. ჭიქაში ჩაწყობილ ყვავილებს ხელი შეახო და ლაპარაკის თემა რომ შეეცვალა, ასე უთხრა:

— ყვავილები დაგჭკნობია, ხვალ ახლებს მოგიტან.

— ჰო, თქვენ ხშირად მოგაქვთ ჩემთან ყვავილები, მაგრამ ყოველთვის ვარდი, სოსანი. მაგნოლია კი...

— სასტიკად გიკრძალავთ ამ ყვავილს შეეხოთ. მისი ჰაერი თქვენთვის მომაკვდინებელია.

— მე ძალიან შევეჩვიე მაგნოლიას, ორი წლის განმავლობაში სხვა ყვავილი არ მინახავს.

— და მოიწამლე კიდეც თავი. — ამ სიტყვებით მაგიდაზე დადებული რვეული ხელში აიღო და თვალში „ჭლექიანის დღიურიდან“ მოხვდა.

მაგდას შეხედა და თვალებით წაკითხვის ნებართვა სთხოვა.

მაგდამაც თვალებითვე მისცა დასტური.

პატარა, ორტაეპიან ლექსში მთლიანად ეტეოდა ის ტრაგედია, რომელსაც ავადმყოფი ქალი განიცდიდა:

როგორ ველოდი გაზაფხულის მზიურ მოვარდნას,
ველოდი ისე გატაცებით, ვნებით, ქართულად,
მოვიდა, ბაღი შეაშფოთა, ვარდი დაბარდნა,
მაგრამ ჩემს ფილტვებს დაუქროლა მარტმა მარტულად.

ჩემს აღმაფრენას ფრთების გაშლა არ დააცალა
და ჩამრჩა გულში გამოუთქმელ გრძნობად ნალექი,
მსურდა სიცოცხლე, სიყვარული და ამათ ნაცვლად
მოვიდა კოხის ბაცილები და შაავ ჭლექი...

ექიმმა ხმამაღლა წაიკითხა ლექსი, რამდენიმე წუთით ჩაფიქრდა, შემდეგ გამოერკვა და თქვა:

— ამ ლექსს განსაკუთრებული გრძნობით წაიკითხავს ყველა და იტყვის რომ...

— ის პატარა ჭლექიანმა ქალმა დაწერა, — დაამთავრა მაგდამ.

ვახტანგმა რვეული დადო და ავადმყოფის სარეცელთან მივიდა.

— მე ისევ შევებრძოლები ამ სენს, ისევ ვცდი. ნუ შემიშლი ხელს და ნუ მისცემ ნებას შენს ფარულ სევდას, დამამარცხოს. მომეცი ნება გემსახურო, თავი შეგწირო, მოვკვდე შენთვის, ჩემო საყვარელო ბავშვო, ჩემო ძვირფასო გოგონა!

ამ სიტყვებით დაიხარა, ქალის ხელი ტუჩთან მიიტანა და ნაზად აკოცა.

XXXVII

— რა მოუვიდა მაგდას? მე ის ბევრად უკეთეს მდგომარეობაში დავტოვე და უცებ... სისხლი. ვინ ინახულა, რაზე ელაპარაკა და ჰქონდა თუ არა რაიმე განცდა, განცდა მძიმე, შემაწუხებელი, დაუძლეველი?! — შეეკითხა ექიმი ლალას, როცა მაგდას საკანიდან გამოვიდა.

ლალა დაფიქრდა. მოაგონდა მათი საუბარი, რის შემდეგ მაგდა საგრძნობლად შეიცვალა, სევდიანი გახდა.

— მოიგონეთ, გამაგებინეთ, ეს საჭირო და აუცილებელია, — უუბნება ექიმი, რომელიც სასტიკი მსაჯულივით ადგას თავს და ცდილობს, ამ საიდუმლოების გასაღები მისი მეხსიერებიდან ამოგლიჯოს.

— ჩვენ გვქონდა ლაპარაკი წარსულზე... ერთ ადამიანზე...

ლალა ისევ გაჩუმდა.

— მესმის, ეს, ალბათ, ინტიმური ამბავია, მაგრამ თქვენ არ უნდა დაგეწყოთ მასთან ამაზე ლაპარაკი და ზომები მიგეღოთ, რომ წარსული მისი მეხსიერებიდან ამოგეგდოთ.

— განა ეს შესაძლებელია?

— შეუძლებელი არაფერია, — უპასუხა ექიმმა ცივად, ქუდი თვალებზე ჩამოიწია და საჩქაროდ გავიდა.

— არასოდეს მინახავს ექიმი ასეთი აღშფოთებული. ისე სასტიკად მომექცა და ისე გამიჯავრდა, თითქოს მე ვიყო მიზეზი შენი ავადმყოფობის. საყვედურს მაინც ვერ ვეტყვი, ვერ ვეტყვი იმიტომ, რომ ის შენი ნამდვილი ჭირისუფალია, არ ვიცი, რა უჯდება ეს ყვავილები და სანოვაგე, რომელიც შენ ყოველდღიურად მოგდის, — უთხრა ლალამ მაგდას, როცა მასთან შევიდა.

— მე ვერ მოვახერხე უარი მეთქვა ყველაფერ ამაზე, ჩემმა თხოვნამ არ გასჭრა და საშინლად მრცხვენია, რომ ასეთ თავდადებულ მოვლას და მზრუნველობას სათანადოდ ვერ ვაფასებ. თუმცა არ მესმის, რად ღებულობს გულთან ასე ახლოს ყველაფერს, რაც მე მეხება, ან რას ნიშნავს ასეთი თავგანწირვა?!

— მას შენ უყვარხარ, მაგდა, — უთხრა ლალამ, მაგრამ, როდე-

საც მის გამომეტყველებას თვალი შეავლო, დაუმატა: — როგორც და, როგორც მეგობარი და ჩვენ ყველა მზად ვართ მოვკვდეთ, ოღონდ შენ იცოცხლო.

— მე ძალიან მაწუხებს, რომ ძვირფას ადამიანებს ვტანჯავ, მაგრამ... რა ვქნა. უძლური ვარ ბედისწერის წინაშე და სიკვდილ-სიცოცხლის კანონების შეცვლა-შებრუნება ჩემ ხელთ არ არის. ერთხელ შეგონა, რომ სიცოცხლე ჩემთვისაც შესაძლებელი იქნებოდა, ცოტა ხანს მაინც, მაგრამ უკანასკნელმა დღეებმა წინააღმდეგში დამარწმუნეს. — ამ სიტყვებით მან პატარა ყინულის ნაჭერი პირში ჩაიდო, რათა სისხლი, რომელიც ყელს მოაწვა, შეეჩერებინა.

— არ მიმატოვო, მაგდა, არ დამაობლო, მე უშენოდ ვერ ვიცოცხლებ, — ეუბნება აცრემლებული ლალა და ხშირად ათენებს მის სარეცელთან.

მაგდაც ანუგეშებს მას, ამშვიდებს, მაგრამ, დღითიდღე რწმუნდება, რომ სიკვდილი სადაც არის მოაკითხავს და უკვირს, რომ სრულიად არ აშინებს ეს. პირიქით, ელის კიდეც, ელის, როგორც სასურველს და ძვირფას ვინმეს, რომელიც აჩუქებს სრულ თავდავიწყებას და სამაგიეროდ კი არაფერს მოსთხოვს, არაფერს, გარდა იმ უბედური და გატანჯული სიცოცხლისა, ამ ორი წლის განმავლობაში მძიმე ტვირთად რომ ჰქონდა აკიდებული.

დიახ! სიკვდილი მოვა, როგორც საყვარელი საქმრო და მაგდაც მას საქორწილოდ მორთული დაუხვდება.

XXXVIII

მიუვალ მთის მწვერვალებს შეაფარეს თავი.

ფხიზლობდნენ. მუშაობდნენ. საიმედო ამბებს ელოდნენ.

„დეპეშებია, რომ მონარქიული მთავრობა დაეცა. დაგვიდგა საზეიმო დღე. იჩქარეთ ჩვენკენ“.

ასე ეწერა იმ პაწია ქაღალდზე, რომელიც გადასცა მათ ბარიდან გამოგზავნილმა შიკრიკმა.

ფრთაშესხმულნი, მხიარული ყიჟინით დაეშვნენ დაბლობში.

აღფრთოვანებული ხალხი.

წითელი დროშები.

მუსიკა და...

ამხანაგები, ამხანაგები.

სიხარულით ცრემლმორეულნი, აღტაცებით ეხვევიან ერთმანეთს და გრძნობააღძრულნი, თავისუფლების ჰიმნით მიისწრაფიან წინ, წინ...

ბუნება უფრო ჭრელი და კეკლუცია.

გაზაფხული უფრო ცხელი და მიმზიდველი.

საერთო განწყობილება უჩვეულო, ამაღელვებელი.

ფართო მოედანი სავსეა ხალხით.

ლაპარაკობენ ორატორები. ტაში ქუხს.

აქა-იქ შეამჩნევთ ატირებულ სახეებს, დაღვრემილ პროფილებს. ყოფილი მონარქისტები მისტირიან დაკარგულ დიდებას.

აფიქრებთ თავიანთი მომავალი.

დღეს მათთვის არავის სცალია.

ხალხი განაგრძობს ზეიმს.

— საუკუნო ხსოვნა იმ ამხანაგებს, რომლებიც დაიღუპნენ თავისუფლებისათვის ბრძოლაში! — ისმის მქუხარე ხმა და ხალხიც მუხლს იყრის.

ჯარის უფროსი, მოხუცი გენერალი უხერხულობას გრძნობს, უსიამოვნოდ იჭმუხნის შუბლს, მაგრამ მაინც იძულებულია დაიჩოქოს თავისუფლებისათვის დაღუპულთა პატივსაცემად.

— ეტყობა ჩვენი გენერალი ღელავს, — ეჩურჩულება ერთი ჯარისკაცი მეორეს და ორივეს ეღიმება.

ორივეს თვალებში სიხარული თამაშობს.

რა ახარებს მათ?

განთავისუფლებული სამშობლო, დამსხვრეული ხუნდები, განცდა ლამაზი და უჩვეულო.

— ამიერიდან აღარ იქნება ბატონი და ყმა, მეფე და ქვეშევრდომი. გაუმარჯოს განთავისუფლებულ რუსეთს! გაუმარჯოს განთავისუფლებულ საქართველოს! გაუმარჯოს მუშათა კლასს! — ისმის ორატორის ხმა. ნიავი არხევს დროშების აქარგულ კალთებს.

ვაშათი, მუსიკით და მარსელიოზის სიმღერით თავდება პირველი საზეიმო დღე.

XXXIX

— მაგდა უცნაური ცვლილება ხდება აქ, ჩვენს ციხეში. დარაჯები ისე ერთგულად აღარ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

ციხის უფროსიც არაჩვეულებრივი ალერსით გვეპყრობა პოლიტიკურ ტუსაღებს, გამომძიებელი აღარ მოდის, მაგრამ ჩუ... ნუთუ სმენა მღალატობს? — ამბობს ლალა და უეცარი სიხარულისაგან ათრთოლებული, გარინდებული უგდებს ყურს შორეულ, ბუნდოვან ხმაურს.

— არა, ეს სინამდვილეა, — ჩურჩულებს მაგდა. მე მესმის მუსიკა, ვხედავ ხალხს, ვხედავ დროშებს, წითელ დროშებს და... რევაზს... რევაზს....

— მომილოცავს თავისუფლება, ამხანაგებო! — ამბობს რევაზი და უცხო სიზმარივით ევლინება ციხეში გამომწყვდეულ ტუსაღებს.

იცინიან.

ტირიან.

მღერიან.

— ძია რევაზ, მე მინდა ვნახო მაგდა, მინდა ვნახო ლალა, — ამბობს წითელი ლენტებით გულ-მკერდდამშვენებული ლედა და დაკვირვებით ათვალიერებს ხალხს.

— მოვძებნოთ, პატარავ, საკვირველია, რად არ გამოდიან აქ?

მიდიან. ხალხს არღვევენ.

— ლალა, რადა გაქვს ასეთი სახე?!

— მაგდა ცუდად არის, წავიდეთ მასთან.

პაწია საკანში, ღარიბ სარეცელზე წევს მაგდა და სისხლი რწყავს მის ბალიშს, საბანს, ტანსაცმელს.

ლედა გაშტერებული შედგა, შემდეგ სწრაფად მოსწყდა თავის ადგილს და მაგდას ლოგინის წინ მუხლებზე დაეცა.

— ჩემო პატარა ანგელოზო, ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში ისევ მოხვედი ჩემთან?! — უთხრა მაგდამ ბავშვს და ალერსით გადაუსვა ხელი მის ოქროსფერ თმას. როდესაც ლალას გაოცებული სახე დაინახა, რამდენიმე სიტყვით უამბო ლედასთან შეხვედრის ამბავი.

— მაშ შენ გამომიგზავნე მე იასამნის ტოტი, საყვარელო გოგონავ?! — შეეკითხა ლალა ბავშვს და სველი თვალები დაუკოცნა.

— მაგდა, რად მომიწამლე დღევანდელი დღე?! — ჩაწყვეტილი ხმით ჩაილაპარაკა რევაზმა და ქალის გაყინული თითები ტუჩთან მიიტანა.

— ერთი ადამიანის სიკვდილი ვერ დაჩრდილავს დღევანდელი

დღის სიხარულს. მე... ბედნიერი ვარ, მაგრამ არ მინდა აქ, ამ ციხის კედლებში ამომხდეს სული. მაჩვენე თავისუფალი ხალხი, ცა, მინდვრები, ყვავილები, გამიყვანე აქედან! რევაზ!

რევაზი ბავშვივით იტაცებს მაგდას.

წუთიც...

და მიჰქრის ეტლი საზეიმოდ მორთულ შეფოთლილ ქუჩებში.

XL

ეტლი რუსთაველის გამზირს მიუახლოვდა. ზღვა ხალხში წინსვლა გაძნელდა.

დემონსტრაცია გრანდიოზულ ხასიათს იღებს, თვითეული ადამიანის სახეს სადღესასწაულო იერი ადევს. მუშებს მოწაფეები მოსდევს, მოწაფეებს მოსამსახურეები, მათ უკან კი ზღვასავით გაიშალა სამხედრო ნაწილები. მარსელიოზას ხმა გაისმის.

ჭრელი ხალხი, ჭრელი განწყობილება, ფერადი დროშები და... უეცრად იელვა ნაცნობმა სახემ.

ლურჯი თვალები, ქერა კულულები, წითელი ლენტი და სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი.

ეტლი შედგა.

ქერა მანდილოსანს სახეზე გაოცება გამოეხატა, თვალები გაუფართოვდა, მაგრამ გაოცება მალე შეეცვალა სიხარულით და გულწრფელი აღტაცებით მაგდას გადაეხვია.

— სადა ხარ, შურა? როგორ ხარ, რას აკეთებ?! — შეეკითხა მაგდა დაქანცული ხმით და თავი ეტლის ბალიშზე მიასვენა.

— შენ მიერ გასროლილმა ტყვიამ ბევრი ქალი გაანთავისუფლა. მათ შორის, მეც. ერთ პატიოსან ოჯახს შევაფარე თავი და ბავშვების მომვლელად დავდექი, მაგრამ... უკაცრავად, იცნობდეთ ჩემს ქმარს, ხომ გახსოვს, დაკარგულ მეგობარს რომ ვიგონებდი?! ბორის, მოდი აქ, ჩვენთან.

ყმაწვილმა ეტლში მყოფთ კოხტა მხედრული სალამი მისცა და ისეთი ღირსებით დაუდგა გვერდით თავის ცოლს, თითქოს ახალგაზრდა, უმანკო ქალიშვილი შეერთოს და არა ყოფილი მეძავი.

„კურთხეულ იყოს ის დედა, რომელმაც შენისთანა შვილი აღზარდა“. ასე ამოიკითხავდით მაგდას თვალებში. ვაჟი უმანკო ბავშვივით იღიმოდა.

— როგორ იპოვეთ ერთმანეთი?! — ისევ იკითხა მაგდამ.

— ბორისი დაჭერილი ყოფილიყო და როდესაც გაანთავისუფლეს, ბევრი მეძია, მაგრამ ვერ მიპოვა. შემთხვევით ქუჩაში შევხვდით და აი, დღეს მეც პატიოსანი ქალი, პატიოსანი ცოლი და მოქალაქე ვარ, — დაამთავრა შურამ და სიყვარულით სავსე თვალებით ქმარს გადახედა.

— მე ძალიან და ძალიან მახარებს შენი ბედნიერება, ძვირფასო შურა, — უთხრა მაგდამ, სისუსტისაგან თვალები დაეხუჭა და ტუჩები სისხლმა შეუღება, სისხლმა, ავმა და საბედისწერომ.

შურამ მხოლოდ ახლა შეამჩნია, რამდენად გამოცვლილიყო მაგდა და გულში საშინელი ტკივილი იგრძნო.

— მაგდა, საყვარელო, ნუთუ ასე ავად ხარ, ნუთუ... აჰ, ღმერთო ჩემო, ცუდად გახდა! — წამოიძახა და მაგდას ხელებს მოეჭიდა, მაგრამ ავადმყოფმა ისევ მალე გაახილა თვალი და ჩვეულებისამებრ გაიღიმა.

„კვდება ახალგაზრდა ქალი, იღუპება მშვენიერი ადამიანი და ეს ცოდვა მეც მაწევს მხრებზე", — გაიფიქრა შურამ და მაგდას მუხლებს ქვითინით მოეხვია.

— მშვიდობით, შურა, ჩვენ, ალბათ, უკანასკნელად ვხედავთ ერთმანეთს, — უთხრა მაგდამ, ერთხელ კიდევ აკოცა და ეტლიც დაიძრა.

XLI

ქალაქის ბაღში, ყვავილების ხალიჩაზე წევს სისხლისაგან დაცლილი მაგდა.

სასიკვდილოდ განწირულს ექიმები შემოეცალნენ.

„ჩიტები გალობენ, ფოთლები შრიალებენ", — ფიქრობს მომაკვდავი და ხედავს ჭრელ პეპლებს, მხიარულად რომ დაფარფატებენ ერთი ბუჩქიდან მეორეზე.

ბუნდოვნად ისმის ორატორების სიტყვები, მუსიკის ხმა, სასიამოვნო ხმაური.

ხალხი უახლოვდება ამაყად აზიდულ მუშათა სასახლეს, რომლის თავზე უკვე ამართულა წითელი დროშა.

მზემ თავისი სხივების ოქროსფერი ძნა გადმოისროლა მაღლიდან და სიცოცხლის გაზაფხული ბუნების გაზაფხულს შეუერთდა.

ამ საერთო მხიარულებას ჩრდილავს ავადმყოფის მძიმე სუნთქვა და რევაზის შეკრული წარბები. დაღვრემილი დგას და გამომეტყველება ამტკიცებს, რომ მის სულში მთელი ქარიშხალია, ქარიშხალი, მოულოდნელი მწუხარებისაგან გამოწვეული.

უშიშარი რევოლუციონერი, რომელმაც მოიგო უთანასწორო ბრძოლაში, გადალახა ათასი დაბრკოლება, შეიძლო შეუძლებელი, გულხელდაკრეფილი უმწეოდ ჩაჩუმებულა და ვერ უმკლავდება ძალას, რომელსაც სახელად სიკვდილს ეძახიან.

— ერთი საათი, კიდევ ერთი საათი, — ლოცულობს ის უხმოდ და დაჟინებით დაჰყურებს ქალის გაფითრებულ სახეს. მის დახრილ წამწამებს.

თავისი უჩვეულო ალერსით, უჩვეულო სინაზით ცდილობს შეაჩეროს სიკვდილი და გაუგრძელოს სიცოცხლის წუთები იმ ადამიანს, რომელიც მისთვის ყველაზე ძვირფასია.

— კარგია ასე, აჰ, კარგია ასე, — ამბობს ავადმყოფი და რევაზის ხელი ლოყასთან მიაქვს.

— რა არის კარგი, ძვირფასო?!

— სიკვდილი თავისუფალ ქვეყანაში, საყვარელი მეგობრის გვერდით.

— ნუ მოკვდები, მაგდა, ნუ, შეიბრალე მეგობარი, შეიბრალე შენი ახალგაზრდა სიცოცხლე, — ევედრება რევაზი, თითქოს მაგდაზე იყოს დამოკიდებული მისი სიცოცხლე.

მაგდა იღიმება.

— რევაზ, დამიმტკიცე, რომ მე შენ ნამდვილად გიყვარვარ.

— რით?! წაიღე ჩემი სიცოცხლე, მაგდა, იმსხვერპლე ის.

— შეუერთდი ლალას და ნურასოდეს აგრძნობინებ მარტოობის სიმწვავეს. მან გამანდო ყველაფერი და მარტო მე ვიცი, რამდენად აწამებს ეს გრძნობა.

ეს ახალი ამბავი არ იყო რევაზისათვის. დიდი ხანია გრძნობდა ამას, მაგრამ როგორ შეუძლია იფიქროს სხვა ქალზე, როდესაც მთელი თავისი არსებით მაგდას ეკუთვნის.

— შენ დუმხარ, შენ არ გინდა შემისრულო ეს უკანასკნელი თხოვნა?!

— შენ მიყვარხარ, მაგდა, მარტო შენ მიყვარხარ, — სასოწარკვეთილებით დაეცა მის წინ და ატირდა, ატირდა გალახული ბავშვივით.

— საბრალო მეგობარო, მე ვიცი, შეგაწუხებს ჩემი სიკვდილი. ცოცხალს იქნება ვერც მე დამეთმე, მაგრამ ვკვდები და მინდა ორი ჩემთვის ძვირფასი ადამიანი ბედნიერი დავტოვო. აგერ ისიც. სად იყავი აქამდე, ლალა?!

— ბაღის მივარდნილ კუნჭულებში შესანიშნავი ბუჩქები ვიპოვე და თაიგული შევკონე შენთვის. ხომ ლამაზია, მაგდა?!

— შენ მიერ დაკრეფილ ყვავილებზე შენ ცრემლებს ვამჩნევ, აიღე თავი. დღევანდელ დღეს ტირილი არ შეშვენის. აი, ვახტანგიც მოვიდა და ჩემი საყვარელი მაგნოლიები მოიტანა, ახლა ხომ აღარ უფრთხილდები მეგობარს?! — ამ სიტყვებით ყვავილებს ტუჩებით შეეხო და სათუთად მოეფერა ძმობილის ხელს.

ექიმს ტუჩები აუთრთოლდა და საჩქაროდ შებრუნდა, რათა დაემალა ცრემლი. უეცრად რევაზის გაფითრებულ სახეს მოჰკრა თვალი და ყველაფერს მიხვდა. იგრძნო, რომ ამ კაცსაც ისევე ძლიერად უყვარდა მაგდა, როგორც თვითონ მას და განუსაზღვრელი ნდობა და სიმპათია იგრძნო მისდამი.

რევაზმაც შეავლო თვალი ექიმის ცრემლებს, მის კეთილშობილ გარეგნობას და ისე შეხედეს ერთმანეთს, როგორც ადამიანებმა, რომლებსაც დიდი განსაცდელი ელით. ამ ქალის სახელი მათ სამუდამოდ აკავშირებდა ერთმანეთთან და ეს გრძნობა მათ ტანჯვას თითქოს ოდნავ ამსუბუქებდა.

შეშფოთებული შეჰყურებდნენ ავადმყოფის გაცრეცილ სახეს და ყურს უგდებდნენ მის სუნთქვას, რომელიც მალე უნდა შეჩერებულიყო.

— გამისწორე სასთუმალი, ლალა, აი, ასე, და დამალე ცრემლები, მე არ მინდა ვხედავდე მათ.

— შენ გვღალატობ, მაგდა, გვღალატობ ჩვენი თავისუფლების პირველ დღესვე.

— ასე სჯობს. ნუ სწუხარ, გადაეცი ჩემს აღმზრდელებს, აუწყე ჩემს სოფელს, რომ შური ვიძიე დამღუპველებზე და ისე მოვკვდი.

— ნუ დამტოვებ, მაგდა, შენს შემდეგ ვინ იქნება ჩემი მეგობარი?!

— რევაზ, შენ გესმის ეს?! — ამბობს მაგდა და ჯერ კიდევ შუქით სავსე თვალებს ვედრებით აპყრობს ვაჟს.

— ლალა, მაგდას უნდა, რომ ჩვენ... ბედნიერები ვიყოთ. შესაძლებელია ეს?!

— მე შენ მიყვარხარ, რევაზ!

რევაზს ესმის ქალის სიტყვები, ანგარიშმიუცემლად აძლევს ხელს. იხრება მაგდასკენ. ჰკოცნის მის თვალებს, შუბლს, ყელს, ქვითინებს მის მკერდზე.

„შენ მსხვერპლი -იყავ“, — გუგუნებს მწუხარედ გუნდი და მაგდამაც იგრძნო, საყვარელ ადამიანთა სილუეტები ბურუსიანი ჩრდილით როგორ დაიფარა.

— ექიმო, ავადმყოფს ცნობიერება დაეკარგა, მაგრამ მაინც სწუხს, მაინც იტანჯება. არ შეიძლება გაუკეთოთ რაიმე წამალი, რომ ეს წამება მალე შეწყდეს, მალე... განთავისუფლდეს?! — ამბობს რევაზი და შეშლილივით აწყდება ერთი კუთხიდან მეორეს, თრთის, კვნესის და იტანჯება ათასჯერ უფრო მეტად ვიდრე თვით მომაკვდავი.

— მეგობარო, საჭიროა ჯერ თქვენ დამშვიდდეთ. ლალა, მიაწოდეთ მას წვეთები. — ამ სიტყვებით ექიმი აძლევს პატარა შუშას, მეორეს თვითონ ხსნის. ავსებს შპრიცს და მაგდას უახლოვდება.

ცდილობს არ აჰყვეს გრძნობას და გულმაგრად ჩაატაროს ეს ოპერაცია.

სიცოცხლე ვერ აჩუქა, სიკვდილის წუთები მაინც დაუამოს.

დაიხარა, რძესავით თეთრ მკლავებს, რომლებიც ყვავილებზე ულონოდ ეწყო, მორფის ძლიერი დოზა შეუშხაპუნა და ისევ წამოდგა.

— ძმამ... ისევ ძმამ მიშველა. — ელვასავით გაჰკრა ამ აზრმა მაგდას ცნობიერებას, მაგრამ ძალა არ შესწევს ამ სიტყვების წარმოსათქმელად.

უძრავად წევს. სახე დაუმშვიდდა, მაგრამ მოჩვენება ისევ გრძელდება, გამოურკვეველი სახეები ისევ მოძრაობენ.

გადის წუთები, ერთი, ორი, სამი...

უეცრად ვარდისფერი ბურუსი შეირხა და სხივთა თეთრი ჩანჩქერი ქარიშხლის ფრთებმა ზევით ასწია.

სხეული დამარცხდა და სიკვდილმა ახალგაზრდა ნორჩი სიცოცხლე სადღაც გაიტაცა.

საით? არსებული სამყაროს მიღმა, ცის თავისუფალ სფეროებს გადასცა იგი, თუ აქვე, ამ ყვავილებს, ამ ჰაერს, ამ ბუნებას გადააქსოვა?

ბაღში ჩიტები ისევ გალობდნენ, ფოთლები ისევ შრიალებდნენ,

მაგდა კი სრულიად უგრძნობლად იწვა ბალახების მწვანე ხალიჩაზე და... დუმდა.

XLII

„მაგდა“ — ეს სახელი აწერია იმ მაჯის საათს, რომელსაც ატარებს რევაზი.

ეს სახელი აწერია იმ გიშრის ქინძისთავზე, რომელსაც ყოველდღიურად იბნევს ლალა.

ეს სახელი დაარქვეს იმ პაწია ქალს, ამ ერთი წლის წინათ რომ შეეძინათ მათ.

ეს სახელი არის ამოჭრილი იმ თეთრ ბრინჯაოს ძეგლზე, რომელიც აღმართულია მაგდას სამარეზე.

დაფიქრებული დგას ის და მაგნოლიების თეთრი ხეებითა და კამელიების უჭკნობი ბუჩქებით შემორტყმული, მადლიერი თვალით შეჰყურებს მის სანახავად მისულ მეგობრებს.

იძინე, პატარა ქალო, და კვლავ...
ნურაფერი შეაშფოთებს შენს ძილს,
იძინე, ძვირფასო ბავშვო, და კვლავ...
ნეღარავინ იქნება შენებრ წამებული!

1925, ივლისი,
ბახმარო.

გზადაგზა

ნაწილი პირველი

სოფლის სკოლის აივანზე დგას ახალგაზრდა მასწავლებელი ქალი, მარინა.

იგი დანისლული თვალებით გაჰყურებს სივრცეს. ფიქრობს, ოცნებობს თუ ისე, ტყუილ-უბრალოდ მიაპყრო თავისი შავი, დიდრონი თვალები გურია-აჭარის მთებს?!

მარტის მოწყენილი დღეა, ღრუბლების გაუვალ რკალში მომწყვდეული მზე ჩადროსანი ქალივით ბორგავს.

ჩაფიქრებული მარინა თვალს აყოლებს ბუნების უცნაურ თამაშს.

— წერილია თქვენი, — მოესმა უეცრად ფოსტალიონის ხმა და პაწია ვარდისფერი კონვერტი, მის ფეხებთან ფოთოლივით დაეცა.

აიტაცა თავისი ვიწრო, გრძელი თითებით, გახია ის და...

„მარინა! მოულოდნელად გამახარე, მოდიხარ თბილისში?! ძალიან კარგი, ჩემო მეგობარო! გახსოვს, რას ამბობდნენ შენს შესახებ მასწავლებლები?! მომავალი დიდი აქვს ამ გოგონას, საჭიროა მხოლოდ იმუშაოსო. ნუ ყოყმანობ და ნუ გეშინია, ჯერჯერობით იმუშავებ ჩემთან, ქალთა განყოფილებაში და დამეხმარები სარედაქციო საქმეებში, შეხვალ უნივერსიტეტში და დაიწყება შენთვის ახალი ცხოვრება, ცხოვრება ბედნიერი და შინაარსიანი.

ამ დღეებში მივდივარ ბათუმში, რომ გავეცნო აჭარელი ქალების ყოფა-ცხოვრებას. როცა უკან დავბრუნდები, გამოგივლი გურიაშიც. ნახვამდის, ჩემო მეგობარო! შენი პოლინა“.

სიხარული ტალღასავით დაირხა მასში და უნებურად, სკოლის გამგის კაბინეტში შეიჭრა.

— შენ ისე ბრწყინავ, როგორც ბავშვი, რომელიც უხვად დაასაჩუქრეს. რა მოხდა?!—ამ სიტყვებით შეეგება მას დიტო კეთილაძე.

ის იყო ოცდათვრამეტი წლის კაცი, მაგრამ ფერმკრთალი სახე და დაღლილი გამოხედვა მას ამაზე მეტ შეხედულებას აძლევდა.

მარინა მსუბუქი ნაბიჯით მიუახლოვდა, ნათელი ღიმილით წინ დაუდგა და...

— აბა გამოიცანი...

— წერილი მიიღე?!

— ჰო...

— შინაარსი?..

— მე ვტოვებ სოფელს.

— და არც კი გრცხვენია, გიხარია, რომ გვშორდები?! — უპასუხა მან და თავისი წყნარი, საყვედურით სავსე ლურჯი თვალებით შეხედა აღფრთოვანებულ ქალს.

— არა მრცხვენია. მე გაცდევინეთ თქვენ მთელი შვიდი წელიწადი. ვიცი დავაშავე, მაგრამ... მე ისევ დავბრუნდები.

— ნუ ვილაპარაკებთ ამაზე, მარინა, შენ თავისუფალი იყავი და თავისუფალი ხარ დღესაც. ჩვენ ბოლომდის მეგობრები დავრჩებით.

— მაპატიებ?

— რას?! გრძნობა ბრძანებით არ მოდის.

გულში აღძრული ტკივილები სახეს ნაოჭებად მოედო და რომ არ შეემჩნევინებინა ეს ქალისათვის, წამოდგა, ფანჯარა გამოაღო და სასწავლებლის ეზოს გახედა.

ქვევით, პიონერების ერთი ჯგუფი პატარა მაკრატლებით ვენახს უვარგის ფოთლებს აცლიდა. იქვე, მოზრდილი და მზეზე გარუჯული ბავშვები, ხეხილის ბაღს რწყავდნენ.

თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ვაჟები რკინის ღერძზე ტრიალებდნენ, მხიარული ყიჟინით შეჯიბრი გაემართათ.

— ყველაფერი, რასაც აქ ხედავ, ჩემი ხელით არის გაკეთებული. თხუთმეტი წლის განმავლობაში მე ვდარაჯობდი ამ სკოლას და ამ სოფლის ახალგაზრდობას ყოველწლიურად ვისტუმრებდი უმაღლესი სასწავლებლისაკენ. მე მიყვარს ეს დაბა, ეს მოზარდი ახალგაზრდობა, ეს მშრომელი გურული გლეხობა, პედაგოგიური მუშაობა. ყველაფერი ეს ისევ ჩემთან რჩება და მე არ მოვიწყენ.

კარგად იყავი მარინა და გწამდეს, რომ ჩემს გულში აღბეჭდილი შენი სახელი არასოდეს არ წაიშლება.

ამ სიტყვებით დიტრ მიუახლოვდა მას, ჩრდილდაკრული სახე მხიარული ღიმილით შეანიღაბა და მეგობრული გრძნობით ორივე ხელი გაუწოდა.

* * *

მარინა მძიმედ ეშვება თავის ფართო, ხავერდის სავარძელში და დახუჭული თვალებით ეხვევა მოგონებათა რკალში. ის მიჰყვება ამ რკალს, მიდის შორს, შორს და ხედავს მწვანე კოინდრით დაფარულ ფართოდ გადაშლილ ეზოს, რომელსაც ამშვენებს ალვის ხეთა ხეივანი, მაღალი ჭადრები, ჯიშიანი ხეხილის ხეები და აქა-იქ დარგული მაისისა და შემოდგომის თეთრ-წითლად მოელვარე ვარდები. აქ არის სხვადასხვა ყვავილები და ამ ყვავილებში განუწყვეტლად ბზუიან ფუტკრები. მარინამ იცის, რომ ისინი თაფლს ამზადებენ და მასაც არა ერთხელ უგემნია ქარვასავით ყვითელი, შარბათივით ტკბილი თაფლი თუ ფიჭა.

ხუთი წლის ცელქი გოგონა, მთელი დღე დასდევს პეპლებს, ჩიტებს, კალიებს, კონავს მინდვრის ყვავილებს, კოტრიალობს მწვანე ბალახებში. თვითეული მცენარე, მწერი თუ ცხოველი, ათასი კითხვით ავსებს მის პატარა თავს და ეს ცნობისმოყვარე ბავშვიც ცდილობს ყველაფერს ჩაწვდეს, ყველაფერი შეიგრძნოს და ამოიცნოს. მხიარულად უყურებს ქვეყანას და ეს ქვეყანა ისე აქვს წარმოდგენილი, როგორც რაიმე სანახაობა, რომელიც მხოლოდ მისთვის მორთეს და ააფერადეს. ერთადერთი, რასაც არევ-დარევა შეაქვს მის მხიარულებაში, არის პატარა ხბო. ის ჯერ მხოლოდ ორი წლისაა, მაგრამ აქედანვე ეტყობა, რომ მისგან კარგი ხარი გამოვა. გიშერივით შავ თვალებს აბრიალებს, დაღუნული თავითა და ფეხების ბაკუნით მიიწევს ბავშვისაკენ.

— მიშველე, ბაბუა, მიშველე, — იწივლებს ის და გულგახეთქილი ავარდება ორსართულიანი სახლის აივანზე. ბაბუაც მზრუნველობით იხრება მისკენ და მის გულზე მიბნეული ჯვარ-მედლები რაწკუნობენ. ეს არის ჯილდო, ბრძოლის ველზე მიღებული ჯილდო და მოხუცი აზნაურიც სიამაყით ატარებს მას. მარინა ხშირად ეთამაშება ამ მედლებს და იმ დიდ მოსირმულ ჯინჯილებიან

ჩინებს, რომელიც ბაბუას უკვე მოუძვრია მხრებიდან და მის ოთახში ძველ სკივრში ჩაუყრია, უჭვრეტს აჩუქურთმებულ აივნის სვეტებს, ირანული სტილით გამოკვეთილს. ფურცლავს წიგნებს, სინჯავს სურათებს, აცოდვილებს დედოფლებს და როცა ყველაფერი ეს მოსწყინდება, აღებს განჯინას, იტაცებს ტკბილეულს და სადმე კუთხეში დამჯდარი არხეინად შეექცევა.

სურათი იცვლება.

მაისის მხიარული დილაა და ჩიტებიც უჩვეულოდ გალობენ.

მათ სახლში კი მიცვალებული ასვენია.

მოკვდა ბაბუა და გალაქულ კუბოში გაფითრებული სახით სძინავს. სიჩუმეს ამა თუ იმ მოტირალის შეძახილი არღვევს და დიდრონი სანთლები ყვითელი შუქით ანათებენ მის ყვითელ სახეს. მარინას უნდა მიუახლოვდეს მას, შეხედოს, გაეხმაუროს, მიუალერსოს მის ხელებს, მაგრამ ეშინია, ვერ ახერხებს ნაბიჯის გადადგმას. დედა ტირის, მამა და ნათესავები ტირიან. მასაც უნდა რომ იტიროს, მაგრამ ცრემლი არ მოსდის და ისიც დაბნეული, შეწუხებული სახით მისდევს სამგლოვიარო პროცესიას.

„მოკვდაო“ — ეუბნებიან, მაგრამ რა იცის ბავშვმა, თუ რა არის სიკვდილი.

ბაბუა მოუკლა, დედ-მამა აუტირა, ალბათ საშინელება რამ იქნება! — ფიქრობს ის და შეშინებული უჭერს ხელს დედის კალთას.

პირველი სევდა უცნაურად მოქმედობს მგრძნობიერ ბავშვზე და ისიც თითქოს დადინჯდა, თითქოს მოშინაურდა...

მოულოდნელად გაეცინა.

რა მოაგონდა?!

დედამ ქაღალდზე ანბანი ჩამოსწერა და ხელზე მოსამსახურე თორმეტი წლის ბავშვს მისცა, რათა წერა-კითხვა ესწავლა.

მარინამ წაართვა მას ქაღალდი და თვითონ დაიწყო კითხვა.

— შენ ჯერ პატარა ხარ, არ შეიძლება შენი სწავლა, — ეუბნება დედა და ცდილობს გამოართვას ქაღალდი.

— არა, მეც მინდა ვისწავლო, მინდა ვიცოდე რა სწერია წიგნებში, — გაჯიუტდა მარინა. დედა იძულებულია დასწეროს მეორე ქაღალდი. გადის თვე და ხუთი წლის ბავშვმა გაასწრო თორმეტი წლის გოგონას.

მან უკვე ისწავლა წერა-კითხვა და ძველ „ბუნების კარს“ ხელიდან არ იშორებს.

წიგნი მისთვის მთელ სამყაროდ გადაიქცა და თოჯინების საზოგადოებას თავი მიანება.

დრო მიდის, მიდის და... დიდი ქალაქი, სასწავლებელი, ამხანაგები, მასწავლებლები. დაიწყო სერიოზული შრომა და მოგონებად იქცა ბავშვური, მხიარული, ნათელი დღეები. მოიწყინა, მაგრამ იცის, რომ ეს კედლები არსად გაუშვებენ მას და ისიც ურიგდება თავის ხვედრს, ეჩვევა სკოლას, ამხანაგებს, იზრდება, ლამაზდება, ქალიშვილობს, ბეჯითად ეკიდება მეცადინეობას. მასწავლებლები სასწავლებლის სიამაყეს ეძახიან, ეხმარებიან, წიგნებს აწვდიან, დიდ იმედებს ამყარებენ მის მომავალზე.

შეუმჩნევლად გაიარა დრომ და დადგა გამოთხოვების წუთიც. უკანასკნელი დღე ამხანაგებთან გატარებული, უკანასკნელი საუბარი აღმზრდელებთან, უკანასკნელი საზეიმო საღამო და...

ისევ სოფელი.

ისევ დედ-მამა.

ისევ მყუდროება.

ჩვიდმეტი წლის გოგონა ბავშვივით მოეკლო მთასა და ბარს, მინდვრებსა და ყვავილებს, მდინარეებს.

აღარასოდეს აღარ მოშორდება სოფელს, აღარასოდეს, მაგრამ რად ათვალიერებს მას მახლობელ სოფლიდან სტუმრად მოსული მოხუცი ქალი ასეთი მუშტრის თვალით?! რა უნდა მისგან?!

— უნდა გაგათხოვოთ, შვილო, კარგ კაცს მიგცემთ, ნასწავლს, სახელოვანს, — ეუბნება დედა.

— ბედნიერი იქნები, მარინა, ბედნიერი, — უმატებს მამაც.

მარინა უარზეა.

მას არ სურს დატოვოს სოფელი, დედ-მამა, საყვარელი პატარა დათო. ეს ხუთი წლის ხუჭუჭა ბიჭი, რომელიც მის მშობლებს გვიან შეეძინათ.

არა, მას არ უნდა გათხოვება.

ის ხომ ჯერ კიდევ ბავშვია, გამოუცდელი, ცხოვრების გზაზე ახლად ფეხშედგმული და მეორეც, როგორ შეუძლია გაჰყვეს ისეთ კაცს, რომელსაც არ იცნობს, რომელიც არ უყვარს, მაგრამ მშობლები, ხან ნაზი მოფერებით, ხან მკაცრი დატუქსვით იმორჩილებენ მას და იძულებულს ხდიან მიიღოს ნიშნობის ბეჭედი. თეთრად

ბორთული, მდიდრულად ჩაცმული, მოწყენილი სახით ზის ის ნაცნობ-მეგობრებში და უკვირს, თუ როგორ მოხდა ყველაფერი ეს.

კიდევ რამდენიმე კვირა და ის გახდება ცოლი გურიაში ცნობილი და საკმაოდ პატივცემული ადამიანის, დიტო კეთილაძის.

სახის სასიამოვნო გამომეტყველება აქვს მის საქმროს, მაგრამ ის მაინც შიშს გრძნობს, ამ, მისთვის თითქმის სრულიად უცნობ მამაკაცისადმი.

ის მზად არის მოიგლიჯოს ეს საათი, სამაჯურები, ეს ოქროს რგოლი, რომელიც ახლა გაუკეთეს მარჯვენა ხელის თითზე და გაექცეს ამ კაცს, ამ მღვდელს, ამ ადამიანებს, რომლებიც დროს გასატარებლად და საქეიფოდ მოსულან აქ, მაგრამ მასში არ არის ამდენი გაბედულება და ისიც უაზროდ ემორჩილება ყველას, კოცნის ნათესავებს, ისმენს მილოცვებს, ღებულობს თაიგულებს.

ჩხავრის ღვინით შეზარხოშებული სტუმრები, ყანწებს ყანწებზე სცლიან. ვიღაც უცნობი ახალგაზრდა სვამს მის სადღეგრძელოს და ამბობს გრძელ სიტყვას, — ცოლისა და დედის მრავალეობაზე. მარინა ბურანშია, მას კარგად არც ესმის რას ლაპარაკობს ეს კაცი, მაგრამ ხედავს, რომ საჭიროა საპასუხო სიტყვა. თავის ოდნავი დახრით ეუბნება მას მადლობას, გრძნობს საშინელ დაღლილობას, სევდას, სიმწვავეს სულიერი მარტოობისას, ხედავს, რომ შეცდომით მოხვდა ამ წრეში. რომ უცხოა მისთვის ის კაციც, რომელსაც მის საქმროს ეძახიან, თითქოს იხსნება ფარდა მის თვალებზე ჩამოფარებული და ხედავს გზას, რომელსაც უნდა გაჰყოლოდა ის, გაჰყოლოდა ზევით, სულ ზევით მეცნიერებისა, სახელისა და დიდებისაკენ. ტკივილებისაგან გული ეკუმშება და სევდიანი თვალებით შეჰყურებს დედას. ეს იმერელი აზნაურის ამპარტავანი ქალი, სუფრის თავში ზის და საზეიმოდ მორთული ვიღაცას ემასლაათება. მამაც, ღვინით შეზარხოშებული, გურულ სიმღერებს აკრიმანჭულებს და მარინამ დღეს პირველად დაუწყო კრიტიკული თვალით ცქერა მშობლებს და მის გულში მათდამი სიყვარული თითქოს შეირყა.

რად დაატოვებინეს მშობლიური სახლი? რად გაიმეტეს ასე და ან როგორ მხიარულობენ იმ დროს, როდესაც ის ასეთი უბედურია?!

უბრალო მოგონება იმისა, რომ ამ კაცს შეუძლია აკოცოს მას, შიშით ავსებს მის გულს.

ეს წუთიც დგება.

მარინა კანკალებს, ბავშვივით ეფარება კუთხეს და ხედავს, თუ როგორ შემოვიდა ოთახში მისი დანიშნული, როგორ მიიხურა კარი და როგორ მიუახლოვდა მას.

მკერდი გულს ვერ იტევს.

წუთიც და...

ის იტირებს, იკივლებს, დაეცემა, მაგრამ კაცი, რომელსაც ბედმა ასეთი რამ არგუნა და რომელმაც იგრძნო მიზეზი ქალის ასეთი შეწუხებისა, შედგა, მოსახვევად გაწვდილი მკლავები მორჩილებით დაუშვა და უსაყვედუროდ მეორე ოთახში გავიდა. მარინა აღტაცებულია, მისი გული სავსეა მისდამი მადლობით და ის მოითხოვს დაცდას, შეჩვევას, გრძნობის გამორკვევას, დიტო თანახმაა და მარინაც ინიშნება მასწავლებლად იმ სასწავლებელში, სადაც მას უჭირავს გამგის თანამდებობა.

ისინი ხვდებიან ერთმანეთს ყოველდღიურად.

ერთად მუშაობენ, მსჯელობენ, მეცადინეობენ, მაგრამ სიყვარული, ისეთი სიყვარული, რომელიც სჭირდება ქალისა და ვაჟის დამოკიდებულებას, მაინც არ აღიძრა მასში. ის ქვაა, გაშეშებული ქვა, და იტანჯება, რომ არ შეუძლია ეკუთვნოდეს მას, როგორც ქალი, როგორც საყვარელი ცოლი. დიტოც გრძნობს ამას და სწუხს, რომ შეცდომით წაიხდინა მთელი თავისი მომავალი ცხოვრება და ტყუილ-უბრალოდ შეაწუხა ის ქალიც, რომელსაც მისთვის არაფერი დაუშავებია.

ორივე ხედავს განშორების საჭიროებას, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ ამბობს უკანასკნელ გადამწყვეტ სიტყვას. მათ მეტად უყვართ ერთმანეთი, მეტად აფასებენ ერთმანეთს და ერთიმეორის დაკარგვა ეძნელებათ. წლები კი მიდის, მიდის და თითქმის ეჩვევიან ასეთ მდგომარეობას, ურიგდებიან თავიანთ ხვედრს და კმაყოფილი არიან იმ პაწია სიხარულით, რომლებსაც აძლევს მათ ის წმინდა, გულწრფელი მეგობრული დამოკიდებულება, დროთა განმავლობაში რომ დამყარდა მათ შორის.

* * *

აპრილის მხიარული დღე უცებ შეიცვალა. ღრუბლის პატარა ნაგლეჯები, რომლებიც ცაზე აქა-იქ მოსჩანს, შეერთდა, დამძიმდა, გაიშალა და შემდეგ წვიმისა და კოხის ისეთი კორიანტელი დატ-

რიალდა, რომ ნიაღვარი ღრიალით მოედო ქუჩებს. გრიგალი აწყვეტილი ცხენივით აჯირითდა და ისევ ჩადგა.

ცა ისევ შელამაზდა.

ნისლის მსუბუქი ნაფლეთები წითელი ფარჩებივით დაიკეცა მიკიბულ-მოკიბულ მთის მწვერვალებზე და კიდევ შემდეგ...

მზემ ისე გამოიჭვრიტა გაგლეჯილ ღრუბელთა კალთებიდან, როგორც იჭვრიტება ცელქი და ონავარი ბავშვი, რომელმაც სახლში ყველაფერი მიანგრ-მოანგრია და რომელსაც ისევ მოესურვა წესრიგის დამყარება.

ყველაფერ ამას ფანჯრიდან თვალს ადევნებს მარინა, მაგრამ როცა მზემ მასაც მოხედა და მოარშიყე ჭაბუკივით თვალი ჩაუკრა, მარინას გაეცინა, მზეს ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა და საჩქაროდ ქუჩაში გაიჭრა.

ჩქრიალა, რომელიც განსაკუთრებით უყვარს და რომელშიც არა ერთხელ უბანავნია, ისე ადიდებულა და ისე მრისხანებით მოაგორებს ატალახებულ ტალღებს, რომ სრულიად აღარ უხდება ჩქრიალას სახელწოდება.

წყლის ნაპირას უეცრად ეტლი შეჩერდა.

— ნიკა, შენ გინდა გახვიდე ამ ადიდებულ მდინარეში?! — იკითხა ახალგაზრდა კაცმა, რომელიც ეტლში იჯდა და წყლის სიღრმეს თვალით ზომავდა.

— მე გავსულვარ ამაზე უფრო დიდ მდინარეში, მაგრამ ცოტა ხანს ცხენებს დავასვენებ, გაოფლიანდნენ და ჯერ არ მინდა წყალში შევიყვანო.

— კეთილი, მე კიდევ ცოტას გავივლი და დახუთულ მუხლებს გავიმართავ. თხუთმეტი კილომეტრი გავიარეთ და ჯერ კიდევ ბევრი გზა გვაქვს გასავლელი. ამბობენ, ამ მიდამოებშიაც მალე მატარებელი დაიწყებს მსვლელობასო. არ გახარებს ეს ამბავი ნიკა?

— რატომ, მიხარია, — მიუგო მეეტლემ ისეთი კილოთი, რომ მისმა „მიხარიამ“ საწინააღმდეგო შთაბეჭდილება მოახდინა.

— შენი შემოსავალი იკლებს შემდეგ, ჩემო ნიკა და მუშტრებიც წითელი ღვინით აღარ გაგიმასპინძლდებიან.

— არა უშავს რა, მე გავყიდი. მაშინ ჩემ ფაიტონს და კონდუქტორად დავდგები.—დაიმედა თავის თავი ნიკამ და ცხენის სადავეებს მაგრად ჩამოსწია.

— აი, ეს აზრი მომწონს. კარგია, როცა ადამიანი ჩიხიდან თავს

აღწევს ხოლმე. — ამ სიტყვებით ის გადმოხტა ეტლიდან, პალტოს ღილები გაიხსნა, თავზე ქუდი შეისწორა და შედგა, გაქვავდა.

მან შეამჩნია ახალგაზრდა ქალი, რომელიც მისკენ პროფილით იდგა და ტალღათა სრბოლვას თვალს ადევნებდა.

დგას და შეჰყურებს ქალს, შეჰყურებს რაღაც გადაჭარბებული ცნობისმოყვარეობით, შეჰყურებს ისე, როგორც ადამიანს, რომელიც ოდესღაც სიზმარში უნახავს, ანდა სადღაც, ცხოვრების რომელიღაც გზაჯვარედინზე შეხვედრია.

მარინამ უცნობი მამაკაცისაგან ასეთი ყურადღება თავხედობად მიიღო, წარბები გაჯავრებით ოდნავ შეიკრა და თავიც მეორე მიმართულებით მიიბრუნა.

ვაჟმა იგრძნო, რომ შეურაცხყო ის ასეთი მოურიდებელი მზერით და ჩქარი ნაბიჯით გაბედულად მიუახლოვდა.

— ბოდიშს ვიხდი კადნიერებისათვის, მაგრამ მე არც თავხედი ვარ და არც შემთხვევით გზად გავლილი დონ-ჟუანი. მგონია სადღაც მინახიხართ, მაგრამ სად? ეს ვერ მომიგონებია.

— ალბათ ცდებით, ყმაწვილო, მე თქვენ არ გიცნობთ... — უპასუხა მარინამ ცივად და თავის ამაყი ღღებით აგრძნობინა, რომ მასთან ლაპარაკი არა სურს.

— არ შეიძლება, რომ ვცდებოდე, მე გნახეთ თქვენ და გნახეთ სწორედ ისეთი გამომეტყველებით.

დაფიქრდა, თითებით შუბლის ნაოჭები შეარბია და...

— ახ, პოლინა, თქვენ იცნობთ მას?! ის არის ქალთა განყოფილების გამგე და ამავე დროს რედაქტორობს ჟურნალ „ახალ ქალს“.

— პოლინა ჩემი სკოლის ამხანაგია და აგრეთვე საუკეთესო მეგობარიც, მაგრამ თქვენ თბილისში ცხოვრობთ?! — იკითხა ქალმა და მის სახეს უკმაყოფილების ჯანღი ერთბაშად გაშორდა.

—მე ექიმი ვარ და ვმსახურობ თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში. პოლინა ჩემი ნათესავია და მე მასთან ვნახე ფერადებით დახატული თქვენი სურათი და ისე მეუცხოვა თქვენი თვალების გამომეტყველება, რომ საათობით შევყურებდი მას. მე მინახავს ულამაზესი ქალები, მაგრამ ჩემი თვალები წუთითაც კი არ შეჩერებულა მათ სახეზე. თქვენში იზიდავს ადამიანს რაღაც სხვა, რომელიც ხოხოლობს დაკვირვებას, ამოცნობას, გაგებას.

ასე მგონია, რომ მთელ თქვენ არსებას აფარია ფარდა, რომლის იქით იმალება რაღაც, მეტად დიდი, მეტად დამაფიქრებელი.

— თვითეული ადამიანის ცხოვრება სავსეა ამოცანებით, ამ მხრივ გამონაკლისს არც მე წარმოვადგენ.

— ცხოვრების ცვალებადობას ყველა ერთნაირად არ განიცდის, ზოგი ყველაფერს ზერელედ გრძნობს, ზოგი კი უფრო ღრმად და უფრო ძლიერად.

— ჩემ ცხოვრებაში არ ყოფილა არც დიდი ტანჯვა და არც დიდი სიხარული. უკმაყოფილო ვარ მხოლოდ იმით, რომ სოფელი და ჩემი პატარა საქმე არ მაკმაყოფილებს, ვგრძნობ, შემიძლია გავაკეთო ამაზე უფრო მეტი.

— პოლინა ამბობს, რომ თქვენ აპირებთ უნივერსიტეტში შესვლას და იმედიც აქვს, დაეხმარებით მას პარტიულ მუშაობაში.

— აბა, ამხანაგო, ეტლი მზად არის, — უბოდიშოდ შეაწყვეტინა ლაპარაკი ნიკამ და ეტლის კოფოზე არხეინად წამოსკუპდა.

ახალგაზრდა კაცმა უკმაყოფილოდ შეავლო თვალი მეეტლის ღაჟღაჟა სახეს, უდარდელი გამომეტყველებით ცხენებს რომ უსტვენდა და შემდეგ ისევ ქალს მიუბრუნდა.

— ახლა კი გამოგემშვიდობებით იმ იმედით, რომ ახლო მომავალში თბილისში გნახავთ.

— გადაეცით პოლინას ჩემი სალამი და უთხარით, რომ მე მას აქეთკენ მოველი. — ამ სიტყვებით მისკენ რამდენიმე ნაბიჯი წარსდგა და ანგარიშმიუცემლად მის ხელს ხელი დაადო. ამ შეხებამ უცნაურად იმოქმედა ორივეზე, ისინი თითქოს შეირხენ და ერთმანეთი იგრძნეს.

— დავალებას პირნათლად შევასრულებ, ნახვამდის... მარინა,— უკანასკნელი სიტყვა ისეთი გრძნობით ითქვა და ეს თქმა იმდენად ძლიერი იყო, რომ მარინას სიფითრემ გადაჰკრა და მისი გულიც უცნაურმა და უჩვეულო განცდამ ააფორიაქა. ვაჟი დაიხარა, მბურვალე ტუჩებით შეეხო ქალის თითებს და ცხენი აზვირთებულ მდინარეში შეაგდო.

მარინამ წუთით თვალები დახუჭა და როდესაც გაახილა, ვაჟი უკვე მეორე ნაპირზე იხდიდა ქუდს და შორიდან ღიმილით სალამს უგზავნიდა.

ვინ იყო ნეტავ ეს უცნაური მგზავრი, რომლის სახელიც არ იცის მარინამ, და რომელმაც, მიუხედავად ამისა, მაინც მო-

ხერხა რამდენიმე წუთის განმავლობაში შეჭრილიყო მის გულში და იქ წლობით დამკვიდრებული მყუდროება შეერყია.

* * *

— რამდენად მოულოდნელი იყო შენი მოსვლა, იმდენად დიდია ჩემი სიხარული. ამი დღეა აქა ხარ და მე კიდევ ჩემი თავი სიზმარში მგონია. რამდენიმე წელიწადია რაც ერთმანეთი არ გვინახავს და მეც ისე მენატრებოდი შენ, პოლინა, ისე ძალიან, — ამბობს მარინა და მხურვალედ ეხვევა საყვარელ მეგობარს.

მარინა საშუალო ტანისა და ნაზი აგებულების ქალია. სახის კანი თეთრი და სათუთი აქვს, ლოყებზე ოდნავ ვარდისფერი დაჰკრავს, სწორი ცხვირი, პატარა ამობურცული ტუჩები და ქერა, მხრებამდის დაშვებული ხვეული თმები მის სახეს ბავშვურ გამომეტყველებას აძლევს.

ყველაზე უცნაური თვალები აქვს, ეს დინჯი, სერიოზული, ჭკვიანი თვალები სულ სხვადასხვა გამომეტყველებით და სხვა მზერით ათვალიერებენ საგნებს, მოვლენებს და ხან ისინი ისეთ სასტიკ გამომეტყველებას ღებულობენ, რომ არიან ადამიანები, რომლებიც ამბობენ:

— მარინა ფრიად სასიამოვნო ქალის შთაბეჭდილებას მოახდენდა, რომ თავისი თვალების ცივი ელვარებით არ ყინავდეს მის ირგვლივ ყველას და ყველაფერსო.

თვითონ მარინა თავისი ხასიათის ასეთ თვისებებს ამგვარად ხსნის:

— ბუნებით კეთილი და ლმობიერი ვარ, მაგრამ თუ ხანდისხან ჩემი თვალებიდან ცივი სისასტიკე გამოკრთა, ეს იმას ნიშნავს, რომ აღმოვაჩინე უარყოფითი მხარეები იმ ადამიანებში, რომლებმაც ეს იგრძნეს.

მე მოვითხოვ, რომ ადამიანი არ იყვეს წვრილმანი, გაუტანელი, პატივმოყვარე და შურიანი. მოვითხოვ, რომ ის ამაღლდეს თავის საკუთარ თავზე, ამაღლდეს თავის საკუთარ ბუნებაზე, ეს იქნება მისთვის უდიდესი გამარჯვება. მაღალი და სუფთა, სპეტაკი და მოუსყიდველი, ასეთი უნდა იყოს მისი შეხედულებით თვითეული ჩვენგანი და სწორედ ასეთ პიროვნებებად თვლის იმ ადამიანებს, რომლებთაგანაც ის მეგობრობს.

პოლინა მარინას სრული კონტრასტია.

ის არის საშუალოზე მომაღლო, შავგვრემანი, შავთვალებიანი ქალი, მის სასიამოვნო გარეგნობას, მეტ ლაზათს აძლევს თხელი ტუჩები, საბის ჯანსაღი შეხედულება. მის შუბლს ღრმა განცდის ბეჭედი აზის და დაკვირვებული თვალი მისი თვალების სიღრმეში შორეული სევდის ანარეკლს შეამჩნევს. მის ყოველ სიტყვას ახასიათებს სიდინჯე და სერიოზულობა, ყოველ მის მიხრა-მოხრას ქალური სინაზე, თუმცა ერთის შეხედვით შეატყობთ, რომ ის ბევრს არ ფიქრობს თავის გარეგნობაზე. წარბებს შორის ჩაწოლილი ორი ნაოჭი ლაპარაკობს იმაზე, თუ რამდენად ძლიერი და ენერგიულია ეს ქალი და მთელ მის არსებას ემჩნევა, რომ ცხოვრება მძიმე ამოცანად არა ერთხელ დასწოლია მის მხრებს, რომ ყოველთვის აუწევია ამ მხრებს ეს ტვირთი, აუწევია მტკიცედ და ღირსეულად.

მარინას ალერსიან სიტყვებს გადაჭარბებული ყურადღებით უგდებს ყურს და მისი თმის ხვეულებს ხელებით ეფერება.

— შენ გინდა იმ გოგონად მეჩვენო, როგორიც იყავი ოდესღაც სასწავლებელში, მაგრამ, ჩემო კარგო, მაშინდელი შენი მხიარულება ბუნებრივი იყო, ახლა კი ნაძალადევი და ნერვიულია. ორი წლით ჩემზე უმცროსი ხარ და ორი წლით ჩემზე გვიან დაამთავრე სასწავლებელი, ოცდაოთხი წლისა ხარ და სახე ისევ ბავშვისა გაქვს, მაგრამ ხასიათი საგრძნობლად შეგცვლია. შენ მწერდი, რომ კმაყოფილი ხარ ცხოვრების, ახლო რომ შეგხედე, მე ეს არ მჯერა, ამას გარდა, ძალიან მაკვირვებს შენი და დიტოს დამოკიდებულება. ოდესღაც ერთმანეთზე დაინიშნეთ, მაგრამ ერთად არ გიცხოვრიათ, შენ კი დღესაც ვალდებულად თვლი თავს, ბოდიშს იხდი და რაღაცის გრცხვენია, რასა ჰგავს ეს?

— რატომღაც მგონია, პოლინა, რომ ბოლოს და ბოლოს მაინც ამ კაცს გავყვები. ძალიან პატივს ვცემ მას, ვაფასებ, მიყვარს.

— გიყვარს უბრალო მეგობრული სიყვარულით და ნუთუ მეტს ცხოვრებიდან არაფერს მოითხოვ?!..

— სიცოცხლის მიზნად მამაკაცის სიყვარულს არა ვთვლი, ის იმდენად დიდი და წარმტაცი უნდა იყოს, რომ არც კი უნდა გეცალოს ვნებებზე ფიქრისათვის. ხომ ამბობ შენ, რომ ამდენი წლების განმავლობაში ერთი წამიც კი არ დაგიკარგავს მამაკაცზე ფიქრში. ალბათ, საზოგადო საქმე უფრო ძვირფასია, ვიდრე პირადი ბედნიერება.

— მე არ ვიტყოდი უარს ამაზე შესაძლებელი რომ ყოფილიყო

ეს. კერძო ცხოვრებაში ბედნიერი ადამიანი გაასკეცებული ენერგიით აკეთებს საზოგადო საქმეს.

უსათუოდ საქებია, როცა პირადი სიხარული ეწირება საკაცობრიო იდეალებს, მაგრამ როცა ამას საჭიროება არ მოითხოვს, სისულელეა სიყვარულსა და ბედნიერებაზე უარის თქმა.

— შენს წინ რომ ეხლა სარკე იდგეს, შენ თვითონ შეგაშინებდა საკუთარი სახის გამომეტყველება. მოხდა რამე შენს ცხოვრებაში?!

— თუ ჩემი მეგობარი ხარ, ამის შესახებ ნურაფერს მკითხავ, გახსოვდეს მხოლოდ, რომ ძალიან უბედური ვარ და თუ შეგიძლია, ტანჯვა შემიმსუბუქე.

— როგორ მოვიქცე, რომ ამას მივაღწიო?!

— გიყვარდე.

— ახ, პოლინა, მე არავინ არ მიყვარს ისე ძლიერ, როგორც შენ!

— მჯერა და მეც მიხარია, რომ თბილისში მოდიხარ.

— იქ განა მეგობრები არ გყავს?!

— პარტიული ამხანაგები, რომლებთანაც საქმე მაკავშირებს.

— გიმნაზიაში მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდი პოლიტიკურ საქმეებს, შენი ოცნება უნივერსიტეტის დამთავრება იყო და როცა 1916 წელს მოსკოვის უნივერსიტეტში მოხვდი, შენ პარტიულ მუშაობას მოჰკიდე ხელი და ირკუტსკის გუბერნიაში თავი ამოჰყავი.

— მე მოვხვდი ერთ-ერთ რევოლუციურ ჯგუფში და ისე გამიტაცა არალეგალურმა ცხოვრებამ, არალეგალურმა მუშაობამ, რომ დამავიწყა საკუთარი თავი. მახსოვს როგორ სიხარულს განვიცდიდი, როცა თავს ვაღწევდი ჯაშუშებისაგან გადმოსროლილ ხაფანგს და გავაცურებდი რომელიმე გაიძვერა პოლიციელს. დღეს, როცა ჩვენი მიზანი მიღწეულია, სიამოვნებით მომაგონდება ჩვენი წინანდელი ბრძოლა, ჩვენი წინანდელი ცხოვრება. მაგრამ ჩვენი საუბარი გაგრძელდა, მე კი მინდოდა მენახა თქვენი ბაღი და მეყნოსა ყვავილთა სურნელება.

— წავიდეთ, ჯერ კიდევ ადრეა, — უპასუხა მარინამ და ქალებიც ჩქარი ნაბიჯით დაბლობზე დაეშვნენ.

თეთრ-წითელი ყვავილები ბავშვებივით სუნთქავდნენ და მწიფე ალუბლებიც გამაღიზიანებლად ელვარებდნენ ფოთლებში.

ქალების დანახვაზე დიტომ მიატოვა ვენახში მუშაობა და კალათით ხელში მიეგება მათ.

— ალუბალი დაგიკრიფეთ, მაგრამ ასე გვიან რად გამოხვედით სასეირნოდ, მზე ჩადის და აქ ჩქარა ნესტი იქნება.

— პირადად მე ნესტის არ მეშინია, მაგრამ მარინა კი გაგინაზღვიათ. ის ძალზე ფერმკრთალი მეჩვენება.

— მარინა არ სარგებლობს ჰაერით, ის მთელი დღე დახშულ ოთახში ზის და სჭამს წიგნებს, კი არ კითხულობს, სჭამს. ეს მავნებელია მისთვის, მაგრამ არ სჯერა.

— მე არაფერი მტკივა და თუ ამ უკანასკნელად ცუდად გამოვიყურები, ამის მიზეზი შენ იცი.

— მარინას აწუხებს ის აზრი, რომ უნდა დამშორდეს, თქვენ, ალბათ, იცით ჩვენი ისტორია.

— ვიცი და მიკვირს. თქვენ, ამხანაგო დიტო და დაქორწინების ასეთი ძველი წესი, პირდაპირ წარმოუდგენელია.

— მე ვიცნობდი მარინას შორიდან, მიყვარდა და მომწონდა ის, მაგრამ იმდენი გაბედულება კი არ მეყო, რომ პირადად მე მივსულიყავ მასთან. დედა გავაგზავნე, რომ გაეგო აზრი მარინას მშობლების და თითონ მარინასიც. მოხდა შეცდომა, მაგრამ ჩვენ ორივენი დროზე შევდექით. მე ვიცი, თუ როგორ ძალიან ცდილობდა მარინა ეჩუქებინა ჩემთვის თავისი გული, მაგრამ ეს მან ვერ მოახერხა. მეც მახარებს ის აზრი, რომ ის სტოვებს აქაურობას და მოდის თქვენთან. ხალხში გაერევა, იმეცადინებს, იშრომებს, გაიცნობს ახალ ადამიანებს, წავა წინ.

— შენ?! — იკითხა მარინამ დაღრუბლული სახით და თვალები დაბლა დახარა.

— მე... გავძლებ როგორმე. შენი კარგად ყოფნა მარტოობას ამატანინებს. გახსოვდეს, მარინა, რომ შენი გადაწყვეტილება მე მახარებს, მახარებს როგორადაც არ უნდა გათავდეს ის: ხომ გესმის რაზე ვლაპარაკობ?!

— მესმის და მეგონა უკეთესი აზრის იყავი ჩემს შესახებ.

— ამით ჩემი აზრი არ შეიცვლება, ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გასწორდეს შეცდომები?!

— დიტო, თუ შენ ჩემ წასვლას ასეთი მნიშვნელობა მიეცი და ასეთი გადაკრული სიტყვებით მელაპარაკე, მე დავრჩები, მე... ავტირდები, — წამოიძახა მან აღელვებული ხმით და მის სახეს ოდნავმა სიწითლემ გადაჰკრა.

— ჩემო კეთილო მეგობარო, მე ვიცი რომ პატივს მცემ, მაფასებ და გებრალები.

— შენ კი გინდა თავიდან მომიშორო?

— არა, მე არ მინდა ხელს ვუშლიდე შენს წინსვლას და განვითარებას, თუ ვეღარ იპოვო ის, რასაც დაეძებ და რისი ხილვაც გწადია, მაშინ დაბრუნდი ისევ ჩემთან და მე ბედნიერი ვიქნები შენი სიახლოვით.

— აი, რატომ მიყვარს ეს კაცი, რატომ მხიბლავს, — უთხრა მარინამ პოლინას, როდესაც დიტო დაშორდა მათ.

— უსათუოდ კეთილშობილი ადამიანია, მაგრამ შენ რომ მაინც არ გინდა?!

— აქ არის მთელი ტრაგედია. მე მაოცებს ის თავისი სულიერი სიმაღლითა და გრძნობების სიფაქიზით, მიყვარს და პატივს ვცემ როგორც ადამიანს, მეგობარს, მაგრამ როდესაც იღვიძებს მასში მამაკაცი და როდესაც მიახლოვდება როგორც მამაკაცი, მე ვცივდები, შიშსა და ზიზღს ვერ ვაღწევ თავს. მე ვებრძოდი ჩემს თავს შვიდი წლის განმავლობაში, მინდოდა გაეღვიძა ჩემში ქალს და აღძრულიყო ვნება მისდამი, მაგრამ ამაოდ, მე ამას ვერ მივაღწიე.

— გრძნობის დამორჩილება ასე ადვილად არ შეიძლება და შესაძლოა მართლაც მოხდეს ის, რაზედაც გელაპარაკებოდა დიტო.

— არა, მამაკაცზე მე არ ვფიქრობ, არამედ სწავლაზე. თქვენ ორივეს რატომღაც გავიწყდებათ ეს.

— მართლა, მარინა, გერმამ დიდი ამბით დამაბარა შენთან მოკითხვა.

— ვინ არის გერმა? — იკითხა მარინამ და იგრძნო, რომ გაწითლდა.

— ექიმი გერგაძე, მდინარის პირას რომ გაიცანი.

ამ სამი დღის განმავლობაში ერთხელაც არ იკითხე მისი სახელი და ეს სიწითლე საკმაო საბუთია იმისათვის, რომ...

— თუ ეს მართლა იძლევა რაიმე საბუთს, მე ამ კაცს არც კი შევხვდები.

— ის დადის ჩემთან და შენ ამას ვერ მოახერხებ. არ გაშინებს მასთან შეხვედრა?!

— არა, თუ ეს აუცილებელია. მე ბავშვი არა ვარ და ვიცი სად როგორ დავიჭირო თავი.

— ჭრრ... ჭრრ.. ჭრ.. — გაისმა უცებ ჭრიჭინების გნიასი და ქალებმაც ერთმანეთს ღიმილით გადახედეს.

— ახ, ჩემი საყვარელი ჭრიჭინები, რამდენი ხანია, რაც მათი ხმა არ გამიგონია. — წარმოთქვა პოლინამ და ფართოდ გახელილი თვალებით გადახედა ლურჯ მთებს.

* * *

მარინა მუშაობს ჟურნალ „ახალი ქალის" რედაქციაში. იგი ქალთა აქტივის წევრია. ისინი თანდათან იპყრობენ ცხოვრების სხვადასხვა მწვერვალებს და დღეს ქალები არიან: კომისრები, ექიმები, ინჟინრები, აგრონომები, მეცნიერები და ხელოვნების მოღვაწეები.

მარინაც ცდილობს დაეწიოს მათ, ის შედის სამედიცინო ფაკულტეტზე, მუშაობს, ფიქრობს, კითხულობს.

მისი ოთახი წიგნსაცავს უფრო წააგავს, ვიდრე საცხოვრებელ ბინას და ისიც ეძლევა ამ წიგნებს ისეთი გატაცებით, რომ აღარ რჩება დრო შევიდეს თეატრში ყოველ პრემიერაზე, მოისმინოს ოპერა, ნახოს ახალი კინოსურათები.

ცხოვრობს სრულიად განმარტოებით.

იცვამს სრულიად უბრალოდ.

ჩაცმის სტილი ასეთი აქვს:

ზამთარში: შავი კაბა, თოვლივით თეთრი საყელოთი.

ზაფხულში: თეთრი ტილო, თეთრი აბრეშუმი.

პალტოს საყელოზე ყვითელი ყვავილი.

ეს ფერი უყვარს და მის ოთახში დანარჩენ ფერებს ეს ფერი სჭარბობს.

ყვითელი სუფრა, ყვითელი საბანი, ყვითელი ჭაღი, ყვითელი ხალათი.

ამხანაგ სტუდენტებისადმი კარგადაა განწყობილი. მეგობრობით არავის მეგობრობს.

რამდენიმე ახალგაზრდა სიყვარულის ბადეში გაახვია.

ყველა ერთი და იგივე პასუხით გაისტუმრა:

— დაიცადეთ, ამხანაგო, სწავლას დავამთავრებ, ექიმი გავხდები, აი, მაშინ მოდით და მელაპარაკეთ გრძნობებზე.

ზოგი ასეთ პასუხს ხუმრობად ღებულობს, ზოგს სწყინს, ზოგიც

თავს შეურაცხყოფილად გრძნობს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყველას ავიწყდება ეს უსიამოვნება და ისევ მეგობრულად ხვდებიან ამ უცნაურ ქალს, რომელსაც არასოდეს არ ავიწყდება მუდამ ატაროს ყვითელი ყვავილი და თეთრი სამაჯურები.

— რა მშვენიერი კინოსურათი მიდიოდა წუხელ, არა მარინა?!

— არ ვიცი, არ მახსოვს. — უპასუხა მან და ამ პასუხმა ისეთი გაკვირვება გამოიწვია მის ამხანაგებში, რომ თითონვე გააცინა მისი სიტყვებისაგან გამოწვეულმა შთაბეჭდილებამ.

— სად ცხოვრობთ, ქალიშვილო, თბილისში თუ ჯუმათის მონასტერში?! — შენიშნა ირონიულად ერთმა ახალგაზრდამ.

— რუსთაველის პროსპექტზე და „მინიონი“ ჩემი ოთახის ფანჯრიდან ჩანს.

— ავხსნათ ეს სიძუნწით?

— არა.

— სიზარმაცით?

— არა...

— მაშ??.

— ერთი, რომ არ მცალია და მეორეც კიდევ...

— რა სთქვით? — შეეკითხენ ამხანაგები ცნობისმოყვარეობით.

— საუბარი გამიგრძელდება, ჩვენ კი ლექცია გვაქვს.

— ჩვენი პროფესორი ჯერ კიდევ არ მოვა, ნახევარი საათი რჩება ჩვენს განკარგულებაში. დაიწყეთ.

— მინდა ამხანაგებს შეკითხვები მივცე.

— გისმენთ.

— ვთქვათ, რომ თქვენ კითხულობთ უშესანიშნავეს წიგნს, უშესანიშნავეს ავტორისას, გაიგეთ რომ იგივე ნაწარმოები მიდის ეკრანზე. დატოვებთ წიგნს, რომ წახვიდეთ კინოში?

— დავტოვებთ. ცოცხალი ადამიანების ნახვა უფრო საინტერესოა, ვიდრე...

— აი, მე ეს არ მესმის და არ მესმის იმიტომ, რომ კინოს კარგად დაწერილი წიგნი მირჩევნია.

იყო ასეთი შემთხვევა. მიდიოდა ეკრანზე „ანა კარენინა“. მე ის წამიკითხავს ათჯერ და ათჯერვე უმაღლესი სიხარული და სიამოვნება განმიცდია. მე ვგრძნობ ამ წიგნს და ამ წიგნის ავტორს. ვგრძნობ და განვიცდი თვითეულ წვრილმანს და ყველაფერი ეს ისეთ

ჩემში ჩამჯდარი, რომ მისი ამოშლა დროსაც არ შეუძლია. ბილეთი ვიყიდე და მოუთმენლად მოველი დაწყებას.

დარბაზში სინათლე ჩაქრა. სურათი დაიწყო. გამოვიდა ვიღაც მსხვილი, მოუხეშავი მანდილოსანი, დადის, თამაშობს, ლაპარაკობს, თვალებს ატრიალებს, ერთი სიტყვით, ცდილობს გვაჩვენოს და დაგვიხატოს ამ მშვენიერი ქალის სულისკვეთება. ამაოდ, გრძნობ, რომ ეველაფერი ეს ყალბია. არა ჩანს ნამდვილი განცდა, არა ჩანს ანას დემონიური სილამაზე, მისი დემონიური ტემპერამენტი, მისი გრაცია და მიმზიდველობა. შთაბეჭდილება წამიხდა და შემდეგ, როცა ამ ნაწარმოებზე ვფიქრობ, თვალწინ ყოველთვის ეს სქელი და უშნო ქალი დამიდგება და მიშლის ანას ნამდვილი სახის დანახვას.

ახალგაზრდები ჩაჩუმდნენ. ალბათ თვითეულ მათგანს თავის თავზე გამოუცდია ასეთი რამ.

— თეატრი? — იკითხა ვიღაცამ,

— ამაზეც ვილაპარაკოთ. ბათუმში დაიდგა „ჰამლეტი". წავედი. მინდა ვნახო დანიის უცნაური პრინცი სცენაზე. თამაშობს ნიჭიერი და უკვე სახელმოხვეჭილი მსახიობი. მშვენიერი გარეგნობა, მშვენიერი ტანსაცმელი, სასიამოვნო ხმა, თვალსაჩინო მელანქოლია, მაგრამ... მაინც არ არის ის, რაც უნდა იყოს, არ არის ჰამლეტი...

მსახიობი უნდა . მეერიოს აუდიტორიას, საკუთარ თავს და იმ როლს, რომელსაც ასახიერებს. მაყურებელი არ უნდა ხედავდეს და არ უნდა გრძნობდეს სცენას, მსახიობს, გაზეპირებულ სიტყვებს. საჭიროა დიდი სცენური ნიჭი, დიდი ტემპერამენტი და დიდი მსატვრული ინტუიცია, რომ მსახიობმა ყველაფერ ამას მიაღწიოს. პიესა ბოლომდის მოვისმინე. მაგრამ თვით შექსპირის წიგნი, ჩემი საკუთარი წარმოდგენა და ბელინსკის „მაჩალოვი ჰამლეტის როლში" ათასჯერ უფრო მეტ განცდას მაძლევს, ვიდრე მომცა მსახიობმა და მისმა თამაშმა.

— ეს იყო ბათუმში, მაგრამ შემდეგ...

— ვნახე უშანგი. ვიყიდე ბილეთი და თეატრში შევედი. ვიცდი გულგრილად. დარწმუნებული ვარ არაფერი გამოვა და აქედანაც გულნატკენი დავბრუნდები სახლში.

ფარდა აიხადა.

გამოდის ჩვეულებრივი კაცი, ჩვეულებრივი ნაბიჯებით. არც ბრწყინვალე გარეგნობა, არც ბრწყინვალე ტანისამოსი, არც მელან-

ქოლიით დამძიმებული სიტყვები. მაგრამ მაინც გრძნობ, რომ აქ არის რაღაც სხვა. ის დგას და თითქოს აუდიტორიას ეუბნება:

„მე ვარ ნამდვილი ჰამლეტი, აბა, მიყურეთ“.

და უყურებ, მიჰყვები და ხედავ არა თეატრს, არა აუდიტორიას, არა სცენას, არამედ ადამიანს, რომელიც იწვის და, რომელიც გწვავს. ადამიანს, რომელიც იღებს თავის გულს და სდებს სცენაზე. პირველივე სიტყვა ცეცხლივით დამეცა და მეც შევიცქეროდი მას თვალებით, გულით, ნერვებით. არც ერთი ყალბი თქმა, არც ერთი ყალბი მიმიკა, არც ერთი ყალბი მოძრაობა. მიდის განზომილი წინდახედულობით და მივყვები მეც ამ განცდას, მივყვები და ვგრძნობ, რომ მსახიობი იმარჯვებს და განცდის უმაღლეს მწვერვალზე ამიყვანს. გული გაიზარდა, ატმოსფერო დამძიმდა, საჭიროა სული მოვითქვა და აი... იშლება დათალხული ფონი და დუელის სცენა. ლაერტს მოწამლული ხმალი დაუვარდა, ჰამლეტი სწრაფად დაიხარა, ასწია ის და ხელის უცნაური გაქანებით მოწინააღმდეგეს გაუწოდა. აქ არ იყო სიტყვა, აქ იყო პაუზა, მაგრამ პაუზა, რომელიც მილიონ სიტყვას დაიტევს. მიმიკით: სახის დაძაბული კუნთებით, თვალების გამძაფრებული ელვარებით, მთელი თავისი ადუღებული გულისთქმით და თავისი აფეთქებული ტემპერამენტით მან თქვა ის, რაც უნდა ეთქვა და ყველაფერი ეს მოხდა ისე და ყველაფერი ეს ითქვა ისე, რომ მე პირდაპირ ველარ დავეტიე ჩემ ადგილზე, ავწუდი, ავხმაურდი, ტაში შემოვკარი, ასევე ახმაურდა პარტერი, აიკანი, ქანდარა. მსახიობი ისევ ისე დგას და მის სახეზე აუდიტორიის აღტაცება არ მოქმედებს. ის იცდის, თუ როდის დაწყნარდება ეს ზღვაური, ხმაური, რათა ისევ ამეტყველდეს და რათა ისევ დაგატყვევოს. მე დამავიწყდა იმ ღამეს შექსპირის წიგნიც, ბელინსკის მაჩალოვიც, ჩემი საკუთარი თავიც და საქართველოს საზღვრებიც. მე დავდიოდი მსახიობთან ერთად დანიის მიდამოებში და ვტიროდი ჰამლეტის ცრემლებით, მაგრამ ასეთი თამაში და ასეთი ნიჭი ხომ იშვიათია. განა ცოტა გვინახავს უშესანიშნავეს ნაწარმოებთა კარიკატურული წარმოდგენები?

— ასე და ამგვარად უშანგიმ თქვენი მსოფლმხედველობა შეაბრუნა?! მაშ ჩანს, რომ კარგი მსახიობი კარგ წიგნს კიდეც მოერევა და კიდეც დაჩრდილავს?!

— არა, ამით ჩემი მსოფლმხედველობა არ იცვლება და მე ისევ იმ აზრისა ვარ, რომ კარგი წიგნი და კარგი რომანი სცენაზე ან ეკ-

რანზე გადატანილი კარგავს როგორც თავის სილამაზეს, ისე სიღრმესა და შინაარსს. როდესაც უშანგიზე ვლაპარაკობ, მე მხედველობაში მაქვს მხოლოდ და მხოლოდ სასცენო პიესები. სასცენო პიესებს უსათუოდ სჭირდება სცენა და ისეთი მსახიობები, როგორიც იყვნენ მაჩალოვი და ელეონორა დუზე, მაგრამ ეს ორი გენიალური მსახიობიც კი, ძალიან უსუსურად იგრძნობდა თავს, ვინმეს რომ მათთვის ტოლსტოის რომანის „ომისა და მშვიდობის“ განხორციელება დაეკისრებინა.

— რენო, — ჩაილაპარაკა ვიღაცამ და მარინამაც ლაპარაკი შეწყვიტა.

პროფესორმა თავაზიანად მოიხადა ქუდი და დინჯი ნაბიჯით აუდიტორიაში შევიდა.

ლექცია დაიწყო.

* * *

სხდომა დამთავრდა.

პარტიული ამხანაგები კიდევ კამათობენ.

სალაპარაკო ბევრია.

გასაკეთებელი უფრო მეტი.

ერთ-ერთ ჯგუფს გამოეყო მაღალი ქერა ვაჟკაცი და განმარტოებით მდგარ პოლინას მიუახლოვდა.

— სალამი ამხანაგო! — გაიღიმა მან და გახსნილი ტუჩებიდან კბილები ისეთი ელვარებით გამოკრთენ, როგორც სამაჯურში ჩასმული მარგალიტები. პოლინა ერთბაშად შემობრუნდა და შეეცადა დაემალა ის მღელვარება, რომელიც ამ კაცის სიახლოვემ აგრძნობინა.

— დღეს შენ გაიმარჯვე, მომილოცავს, — წარმოთქვა ზურაბმა და ისევ გაიღიმა.

— როგორ? — შეეკითხა პოლინა ღიმილითვე.

— უპატრონო ბავშვთა ახალი სახლი და იმ დედებისათვის, რომლებიც მუშაობენ, ბავშვთა ბაგა, ეს ხომ შენი სურვილი იყო, და ალბათ, გაგახარებს გამოტანილი გადაწყვეტილება. რაც შეეხება შრომას, ეს შენზე და ამხანაგ ქალებზეა დამოკიდებული.

— თანხა იყოს და შრომა ადვილია.

კარებთან ცოტა ხანს კიდევ შედგნენ და ამხანაგების კამათში რამდენიმე სიტყვა თვითონაც ჩაურთეს. ღამის 12 საათი იყო, დარ-

ბაზიდან რომ გამოვიდნენ, მათ შორის ქალიშვილებიც იყვნენ, რომ-ლებიც ხალისიანად ესაუბრებოდნენ ერთმანეთს.

— ახალი თაობა მოდის, — თქვა კმაყოფილებით ზურაბმა. მოდის მომზადებული პოლიტიკურად, განვითარებული გონებრივად, ჯანსაღი ფიზიკურად.

ნაბიჯები მათი დინჯია, წინსვლა სწრაფი, შემეცნების ჰორიზონტი გარკვეული და ნათელი.

მე მახარებს ახალგაზრდობის წინსვლა, მაგრამ ამავე დროს ვგრძნობ, რომ ჩემსა და იმ ახალს შორის დგას რაღაც და ეს რაღაც არის... ძველი აღზრდა, ძველი კულტურა, ძველი ტრადიცია. დიდი-ხანია მას შემდეგ, რაც ყველაფერი ეს დაუნანებლად მოვიგლიჯე გულიდან, მაგრამ ფესვები, ალბათ, მაინც ჩარჩა ჩემში. მე მახსოვს ჩემი საკუთარი ოჯახი და ოჯახი ჩემი მახლობელი ნათესავებისა, ეს ძველი ბიბლიური ადამიანები, ქრისტეს ცნებათა მიხედვით რომ ცხოვრობენ. მე არ შემიძლია უირონიოდ წარმოვიდგინო ეს ხალხი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მე მაინც მახსოვს ის ზეგავლენა, რომელსაც ისინი ახდენდნენ ჩემს სულზე და არის წუთები, რომ ეს ზეგავლენა დღესაც კი უნებურად შემარხევს ხოლმე.

პოლინა დაფიქრებული უგდებდა ყურს მის სიტყვებს და როცა ის შეეკითხა:

— ვარ თუ არა მე გასაკიცხი ამისთვის? — უპასუხა:

— არა ხარ გასაკიცხი, თუ ეს ზეგავლენა უმნიშვნელო ხასიათისაა, კი ხარ გასაკიცხი, თუ ეს ზეგავლენა მნიშვნელოვან ფორმებში მეღავნდება, მაგრამ მე გიცნობ შენ და ვიცი, რომ შენში ძველს ახალი სჭარბობს.

— სად წავიდეთ ახლა? — იკითხა ზურაბმა, როდესაც დაინახა, რომ პოლინა შედგა.

— ჩვენ ჩვენს ოთახებში.

— მე შენთან ლაპარაკი მინდა.

— კიდევ?! ჩვენ ხომ ვილაპარაკეთ.

— მე შენი ამოცნობა მინდა.

— ვერ შეძლებ. არის ხოლმე შეცდომით დაწერილი ამოცანა, რომლის ამოცნობა არ ძალუძს თვით უდიდეს მათემატიკოსსაც კი. ასეთი ვარ მე და სჯობია, ბავი დამანებო.

— მე ვეძებ ბილიკებს, რომელიც მიმიყვანს შენს გულამდე.

— ბილიკები გადაჭრილია. დროს ტყუილად ჰკარგავ.

— დარწმუნებული ვარ პოლინა, რომ შენ ჩემი გახდები.

— არასოდეს.

— არ მოგწონვარ?!

— პირიქით, მე შენში ყველაფერი მომწონს და სხვა დროს, სხვა პირობებში, შენს მეტს არავის ავირჩევდი.

— მიზეზი?

— ეძიე ის ჩემს წარსულში.

— გიყვარდა ვინმე?!

— ნეტავი ასე ყოფილიყო. მოგონება მაინც დამრჩებოდა წარსული გატაცებიდან. დამივიწყე, ზურაბ, ასე აჯობებს ჩვენთვის, ორივესთვის!

— არა, პოლინა, დავიწყებით ვერ დაგივიწყებ. შენ ისეთი კარგი ადამიანი ხარ, მთელი შენი ბუნება ისეთი სუფთაა...

— დაჩუმდი, ახ, რატომ მაწვალებ ასე. — წამოიძახა პოლინამ გატანჯული სახით და გაფითრებული შეჩერდა მის წინ.

ზურაბმა იგრძნო, რომ შეეხო რაღაც მეტად მტკივნეულ საკითხს და შეწუხებულმა მის ხელს ხელი დაადო.

— თუ ჩემი მეგობრობა გინდა, ნურასოდეს ნუ დაიწყებ ამის შესახებ ლაპარაკს. ნახვამდის ზურაბ და მაპატიე, თუ ჩემს უნებურად შენი მწუხარების მიზეზი ვხდები.

ამ სიტყვებით ხელი გაუწოდა და რამდენიმე წუთის შემდეგ თვალს მიეფარა.

ისევ ამოცანა, ისევ გაუგებრობა. ოთხი წელია, რაც ზურაბი სასოწარკვეთილებით აწყდება ამ საიდუმლოების ცივ კედლებს, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გაარღვია ის.

ნუთუ ვერასოდეს ვერ განჭვრეტს სიღრმეს იმ უფსკრულისას, რომელიც გათხრილია მასა და პოლინას შორის?!

* * *

ქალაქის საუკეთესო უბანი.

გაშლილი ჰორიზონტი.

სუფთა ჰაერი.

დიდი სახლი, მოსამსახურეები, მომვლელები და ბავშვები.

ბავშვები.

შავგვრემანი, ქერა, წითური, შავთვალა, ჭროღა, ლურჯთვალა.

თავშესაფარის დასათვალიერებლად მისული პოლინა მხიარული სახით ჩაბდგარა მათ შორის და სხვადასხვა შეკითხვებს აძლევს.

— შენ, დოდო, თურმე ხშირად ჭირვეულობ და აწუხებ მასწავლებელს. რატომ?

— გალინა მჩქმეტს, ის დიდია და ვერ მოვერიე.

— რად სჩადიხარ ამას, გალინა?—ეკითხება ის გაბუტულ, წითელლოყებიან გოგონას, რომელიც კოპებშეკრული დგას ღა პაწია თითებით აწვალებს თმებს.

— დოდო თმებს შაგლეჯს და სათამაშოებს არ მიყენებს. ფეხები მოატეხა ჩემს დათუნიას. აბა, ამას შემოხედეთ! — ამბობს ის და ცდილობს იატაკზე გაკოტრიალებული სათამაშო ფეხზე დააყენოს.

— თქვენ უნდა ისწავლოთ ამხანაგობა, მეგობრობა და ჭკვიანად უნდა იყოთ, მეორედ ასეთი რამ არ გააკეთოთ.

— ბიჭუნავ, რად სტირი შენ?!.

— პეტია მეუბნება შენი დედა მოკვდაო.

— არა, პატარავ, შენი დედა სხვაგან წავიდა, როცა დაბრუნდება, საჩუქრებს მოგიტანს, არ დაუჯერო პეტიას, ჩვენ იმას ამისათვის დავსჯით.

— რამ დაგიკაწრა ეგ სახე, მიშა?!

— ვალიამ ბზრიალა წამართვა და ვცემე, — ამბობს ის და ბზრიალას უბეში ინახავს.

— აქ საბავშვო სახლია და არა უპატრონო მოედანი. როცა ვინმე რამეს დაგიშავებს, უნდა მიმართო მომვლელ ქალს, მასწავლებელს, აღარასოდეს აღარ მოიქცეთ ასე, კარგი?

ისინიც თანხმობის ნიშნად თავს აქნევენ და პოლინაც გადის უფროსთა განყოფილებაში.

— პოლინა დეიდა, პოლინა დეიდა, — აღტაცებით იმეორებენ ბავშვები და მთელი ჯგუფი ეხვევა მას.

— რას აკეთებთ გიჟმაჟებო, კარგად სწავლობთ? — ეკითხება ის მათ და თითეულ მათგანს საალერსო სიტყვას ეუბნება.

— მე გუშინ ამოცანა გამოვიყვანე.

— მე სცენაზე ვითამაშე.

— მე ლექსი დავწერე.

— მე... მე... — ამბობს ერთი თორმეტი წლის შავგვრემანი გოგონა და პოლინას გაუბედავად წინ უდგება.

— თქვი რა გინდა, ჩემო კარგო. — ეუბნება პოლინა და თავზე ალერსით ხელს ადებს.

— მინდა წერილი გავაგზავნო ჯავახეთში.

— ვისთან, ბავშვო?

— ჩემს მოხუც ბებიასთან. მას ძალიან გაუხარდება ჩემი ამბის გაგება.

— მომეცი წერილი. მე გავგზავნი მას და ბარათსაც მივწერ.

— ახ, დეიდა პოლინა, რა კარგი ხართ თქვენ. — ამბობს გახარებული ბავშვი და აღტაცებით ეხვევა მას.

— ჩემი საბრალო ბავშვები, თუმცა ახლა საბრალონი აღარ არიან, — ფიქრობს ის და სიამაყით შეჰყურებს სასეირნოდ გამოსულ ბავშვებს, მხიარული სიმღერითა და დოლების ხმაურით რომ მიეშურებიან ქალაქის ბაღისაკენ.

* * *

მარინა სურათების გალერეაში შევიდა. ერთ-ერთი სურათის წინ შეჩერდა.

ყოველთვის, როდესაც ამ სურათს შეჰყურებს, ბარათაშვილის ლექსი აგონდება: „გასწი, გაფრინდი, გარდამატარე ბედის სამძღვარი". იშლება სივრცე თვალუწვდენელი და უდაბურ გზებზე მიჰქრის მხედარი. მიჰქრის განწირული სულისკვეთებით. ეძლევა წვიმებს, ქარებს, გრიგალებს და ისმება კითხვა: საიდან ილტვის და საით მიისწრაფვის ის თავისი შავი, ჭკვიანი მერანით, საით მიაფრენს რაინდს უხილავ მხარეში?! და ხედავს, შორს, უსაზღვრო სივრცის სანაპიროებთან ჰკიდია მზე და იღვრება ოქროს შადრევანი ალისფერ თასებში, ჭაბუკი ისწრაფვის მზისაკენ და მზეც ეძახის მას. ფეხის ხმამ თავი გვერდზე მოაბრუნებინა. მის წინ გერგაძე იდგა.

— ეს კაცი რომ სინამდვილეში არსებობდეს, ის ჩემში სასტიკ მტერს იპოვნიდა. — თქვა მან და ქალს ღიმილით ხელი გაუწოდა.

— რატომ?

— თქვენ ისეთი თვალებით შეჰყურებთ მას. ოდესღაც მეც ასე მიზიდავდა თქვენი სურათი, მაგრამ მე იმედი მქონდა, რომ გიპოვნიდით და მიყვარდა თქვენში შღრეული, მაგრამ მაინც ცოცხალი სახე. ეს თვალები, ეს შუბლი, ეს ტუჩ...

მარინა აიმართა, სასტიკი გამომეტყველებით შეავლო თვალი ახალგაზრდა კაცს და...

— თქვენ გავიწყდებათ ექიმო, თუ სად ვიმყოფებით ჩვენ?!

ამ სიტყვებით ცივად შემობრუნდა, მუზეუმის თანამშრომელს რაღაც შეეკითხა და საჩქაროდ კარებს მოეფარა.

ორი წელია რაც აქ არის ეს ქალი და ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც ვერ შეხვდა მას მარტოდ, ერთხელაც ვერ დაელაპარაკა მას.

ის თითქოს გაურბის, ემალება.

რატომ ეშინია?!

მარინა ვერ ხვდება მას დამშვიდებული ნერვებით და თამაშობს სიწითლე მის სახეზე, როდესაც მოულოდნელად სადმე შეეფეთება ხოლმე. აშკარაა, რომ ის ებრძვის თავის თავს, ებრძვის თავის გრძნობას; მაგრამ... ვის შეუძლია გაუძლოს ამ ბრძოლას?!

„ეს ქალი უნდა დავამარცხო, მაგრამ აქ საჭიროა მეტი სიფრთხილე, საჭიროა შევარჩიო დრო და საჭიროა რაიმე ხერხი, რათა გავტეხო და დავიმორჩილო ეს გაამაყებული ქალიშვილი, რომელიც არავის აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას და რომელიც მეცნიერულ წიგნებს დაათრევს“ — ფიქრობდა ექიმი გერგაძე.

* * *

საავადმყოფოში ნერვიული მდგომარეობაა. ამ კვირაში ზედიზედ მოიყვანეს ოთხი მომაკვდავი.

ერთს ავთვისებიანი სიმსივნე აქვს, ოპერაცია შეუძლებელი ხდება, მეორეს კუჭის წყლული აწუხებს, მესამეს ნაწლავების ავადმყოფობა და მეოთხე, ყველაზე ახალგაზრდა და მშვენიერი ქალი, მოწამლულია ტუბერკულოზის შხამით. ამ ქალს ვიოლას ეძახიან და მის სანახავად ხშირად მოდის კაცი, რომელსაც ის უყვარს და რომლის ცოლიც უნდა გამხდარიყო.

— აბა, თქვენ რაღას მეტყვით, მშვენიერო ქალო, — ეუბნება ექიმი გერგაძე ჭლექიან ასულს და თანაგრძნობით შეჰყურებს მის დიდრონ ცეცხლოვან თვალებს, რომლებშიც ჯერ კიდევ ღვივის ვნება და სიცოცხლის სურვილი.

— კარგს ვერაფერს, ექიმო, ალბათ მალე მოვკვდები, — ამბობს ის დამშვიდებული სახით და ფურცლავს „მარგარიტა გოტიეს“.

— ხომ გითხარით, რომ კითხვა არ შეიძლება-მეთქი, — ამბობს გერმა და წიგნს ხელიდან აცლის.

— მე არ ვკითხულობ, ექიმო, მე მხოლოდ ვფურცლავ. ეს წიგნი ოდესღაც ჩემმა მეგობარმა მაჩუქა, მაშინ ჯანსაღი ვიყავი.

— დიდი ხანია იცნობთ მას?!

— სამი წელიწადია და მე ვფიქრობ დღეს, რამდენად უფრო ბედ-

ნიერი ვიქნებოდი, რომ მეცხოვრა მასთან სამი თვე, მეცხოვრა ნამდვილი ცხოვრებით. ვიდრე ეს სამი წელი, რომელიც მე მოვანდომე მკურნალობას და... შედეგს ხომ ხედავთ?!

გერმას უნდოდა ეპასუხნა მისთვის, მაგრამ ამ დროს შემოვიდა ამ ქალის მეგობარი და მან უსიტყვოდ დასტოვა ისინი.

— რა მძიმე მდგომარეობაა, — შეილაპარაკა კაბინეტში გერმამ.

— რა მოხდა? — იკითხა ახალგაზრდა ექიმმა სოსომ, რომელიც ვაზეთს დაჰყურებდა.

— ახალგაზრდა ქალი ვიოლა, რომელსაც ჰყავს საქმრო და არის ულამაზესი, უნდა მოკვდეს. ჩვენ, ექიმები, უძლურნი ვართ. აი, ეს მიშლის ნერვებს.

— ექიმი ნერვებზე არ უნდა ლაპარაკობდეს, — მიუგო სოსომ და საათს დახედა.

ისარი ექვსს უჩვენებდა და საღამოს ბინდ-ბუნდი მთებს ნისლივით აწვებოდა.

— ნახვამდის, გერმა, ვინძლო იფხიზლო, შენ ხომ მორიგე ხარ დღეს?

— ვარ და... ღმერთმა დასწყევლოს ეს საავადმყოფო და ეს მორიგეობაც. — უპასუხა მან უხალისოდ და შურით გახედა ქუჩაში თავისუფლად მოსიარულე წყვილებს.

* * *

ქალთა განყოფილების გამგე აქ არის?! — კითხულობს ერთი შუახნის ფერმკრთალი ქალი, რომელსაც თან შემოჰყავს ხუთი წლის გოგონა.

— მე გახლავართ, რა გნებავთ? — ეკითხება პოლინა და უჩვენებს სკამზე.

— დაჩაგრულსა და შეურაცხყოფილ ქალებს თქვენ მფარველობთ და მიც მოველი თქვენთან.

— მითხარით მოკლედ რაშია საქმე, თუ შესაძლებელი იქნება, დარწმუნებული იყავით, რომ დაგეხმარებით.

— შვიდი წელია რაც ჩემ ქმართან ვცხოვრობდი და ვცხოვრობდი ყოვლად აუტანელ პირობებში, მაგრამ შვილის სიყვარულით ყველაფერს ვიტანდი. დღეს ამ კაცმა სხვა ქალი შეირთო და მე ბავშვით ქუჩაში დავრჩი. ეს კიდევ არაფერი, მე შევეცდები მარტო აღვზარდო ბავშვი, სამსახურს ვეძებოთ.

— შემოიარეთ ორი დღის შემდეგ, ჩვენ ვხსნით სახელოსნოს უმუშევარ ქალთათვის და თქვენთვის ერთ ადგილს შევინახავ, — არ არის საჭირო მადლობა. აქ იმიტომ ვზივართ, რომ საქმე გავაკეთოთ. ნახვამდის!

ახალგაზრდა ქალი ჩვრებში გახვეული ბავშვით უახლოვდება მაგიდას.

— ქმარი მომიკვდა, თავის შენახვის საშუალება არა მაქვს, იქნება მომაწყოთ სადმე?

— თქვენი გვარი?

— ჯალიაშვილი.

— შემოიარეთ ამ დღეებში, თავშესაფარში საჭიროა მომვლელი ქალი.

— პოლინა, ოთხი საათია, ნუთუ არ არის დრო შენი წამოსვლისა? — კითხულობს მარინა და სარედაქციო ქაღალდებს ჩანთაში ალაგებს.

— კიდევ ერთი უკანასკნელი მთხოვნელი და... აბა, გისმენთ, ოღონდ მოკლედ, ჩემო კარგო.

— ვმსახურობ და პაწია ბავშვის მომვლელი არავინ მყავს. გთხოვთ, მიიღოთ საბავშვო ბაგაში.

— გადაეცით ეს ბარათი ბავშვთა ბაგის გამგეს და მიიღებენ.— ეუბნება ის ქალს, დაღლილი სახით დგება სკამიდან და მარინასთან ერთად ქუჩაში გადის.

— ხუთ საათზე სხდომას უნდა დავესწრო, რვაზე მოხსენება მაქვს გასაკეთებელი, აქ კიდევ იმდენი ვილაპარაკე, რომ ღაწვები მტკივა, — ამბობს ის და ორივე ხელს ლოყებზე იდებს.

— მაშ რა მოგივა?! როდემდის შეგიძლია აიტანო ასეთი შრომა?

— სანამ არ დავეცემი, მე თავგანწირული ბრძოლის მოწამე ვიყავი, მოწამე გამარჯვების და ახლა მინდა ვიხილო ნაყოფი მუშაობის, ნაყოფი იმ დიადი საქმის, რომელსაც კაცობრიობის უკეთესმა ნაწილმა შეალია თავისი ძალ-ღონე.—ამ ლაპარაკში ისინი მიუახლოვდნენ ქალაქის უმთავრეს ქუჩებს და იქ მოსიარულე ჭრელმა ხალხმა ორივენი დაჰფარა.

* * *

სოსო დაღვრემილი სახით შევიდა კაბინეტში, მთელი კვირა ეწვალა, რომ ნაწლავებით დაავადებული ავადმყოფისათვის მდგომარე-

ობა შეეპუბუქებინა, მაგრამ ვერაფერს გახდა და დღეს ავადმყოფია. ხელახალი გასინჯვის შემდეგ ისეთი ოხვრა აღმოხდა გულიდან, თითქოს ეს კაცი ვინმე ახლობელი ყოფილიყო მისი.

— კიდევ დასტირი ვინმეს? — ეკითხება გერმა ირონიულად.

— ნეტავი შენ, რომ შეგიძლია გულგრილად უყურო სხვის ტანჯვას.

— მაშ, რამდენი კაცი აქ მოკვდება, იმდენი თუ ვიტირე, საკუთარი მიცვალებულისათვის ცრემლები აღარ დამრჩება.

— ხომ უნდა გქონდეს სიბრალული?

— ვისი, რისი? კვდება და მიდის. ჩვენც მოვკვდებით. ეპიკურეს მოძღვრება ბავშვობიდანვე მომწონდა და მეც ვცდილობ, რაც შეიძლება ნაკლებად შევწუხდე.

— აკაკუნებენ.

შემოდის 15—16 წლის ოსის ბიჭი, მის შავსა და ჭკვიან თვალებში ვაჟკაცური ძალა და სიმტკიცე ჩანს. მარვალი წინდებში ჩაუკრავს, ფეხზე ქალამნები აცვია და თავის კოფოზე პატარა ნაბდის ქუდი აქვს მოგდებული.

— ექიმო, მამაჩემის ცხედარი უნდა მომცეთ. მე არ მინდა, რომ დაუტირებელი დაიმარხოს ის.

— გახლავს ვინმე? — შეეკითხა სოსო.

— არავინ, ფულიც არ მქონდა, მაგრამ გუშინ ნაცნობებში მოვაგროვე, ცოტა მაკლია, იმასაც როგორმე ვიშოვი და მამაჩემს ოსეთში წავასვენებ.

სოსო აღტაცებით შეჰყურებს ამ მზეზე გარუჯულ ბიჭს, ასე რაინდულად და ასეთი დიდი კაცის სერიოზულობით რომ პატრონობს მიცვალებულს. ის იღებს ჯიბიდან საფულეს და ათ მანეთს უწვდის მას. ბავშვი ფულს მადლობით ართმევს და უსიტყვოდ, მაგრამ მრავალმეტყველი თვალებით, გერმას შეჰყურებს.

— ბიჭო, მე მამაჩემი არ დამიმარხავს და მამაშენს მამარხვინებ?! სად არის, ბიძია, გადასაყარი ფულები, თუ რამე იშოვე, ჯიბეში შეინახე და გაუყევი ოსეთისაკენ. მამაშენი აქაც კარგად მოისვენებს, — ეუბნება გერმა ბავშვს და ირონიული ღიმილი სჭრის მის ტუჩის კუთხეებს.

— ბოდიში, ამხანაგო ექიმო, და თქვენ... თქვენს მიცვალებულსაც ვერ დამარხავთ.

— ყოჩაღ, ბიჭო, ახლა წავიდეთ და განკარგულება მოვახდინოთ,

რომ მიცვალებული მამა მოგცენ, — ეუბნება სოსო და ბავშვთან ერთად ოთახიდან გადის.

— შეხე ამ მაიმუნს, რა პასუხები სცოდნია, — უკმაყოფილოდ გაიფიქრა გერმამ და გაზეთი, რომელიც ხელში ეჭირა, გაჯავრებით მაგიდაზე გადააგდო.

— ხომ ჩაგვსვა ოსმა, ჩინებული პასუხი იყო, არა გერმა? — შემოილაპარაკა სოსომ სიცილით.

— შენც ხომ სასაცილო ხარ შენი ქველმოქმედებით. ყელსახვევი ვერ გიყიდია და...

— მე შემიძლია ვიარო გახუნებული ყელსახვევით და გაცვეთილი ჟილეტით, მაგრამ არ შემიძლია არ დავეხმარო ადამიანს, რომელიც შველას მოითხოვს.

— ჰო, შენ გაუსწორებელი ფილანტროპი ხარ და მე...

— და შენ მეტი ყურადღება უნდა მიაქციო იმ საქმეს, რომელსაც აკეთებ, მოვალეობა გავალებს.

— მოვალეობა, მორალი, თავგანწირვა, კიდევ არაფერს იტყვი?! სანამდე უნდა მარიგო აგრე, ხომ იცი რომ ეს სამი ცნება ჩემ თავში არ შედის.

— დარიგება აბა რა ჩემი საქმეა!! მე მინდა მხოლოდ გაგაფრთხილო და გითხრა, რომ შენი მორიგეობის დროს ავადმყოფები უკმაყოფილონი არიან. ამას წინათ, მომაკვდავს ექიმი მოეთხოვა და შენ თურმე კაბინეტიდან არ გამოხვედი, ეს არ შეიძლება.

— მე ვსინჯავ ავადმყოფებს ყოველ საღამოს და შემდეგ ვუტოვებ ექიმის თანაშემწეს. მე ექიმი ვარ და არა მომვლელი ქალი.

— როგორც გინდა, მაგრამ თუ ეს ამბავი ჩვენი პროფესორის ყურამდე მივიდა, ხომ იცი, მას ხუმრობა არ უყვარს. — ამ სიტყვებით ის გავიდა კაბინეტიდან და გერმამაც ასწია მხრები. გულში კი შიშისმაგვარი გრძნობა აღეძრა და გადაწყვიტა მეტი ყურადღებით მოპყრობოდა ავადმყოფებს. საღამოს 7 საათზე სათითაოდ ჩამოუარა ყველას და ამ საქმეს ჩვეულებრივზე მეტი დრო მოანდომა. როცა ჭლექიანი ქალის ოთახს დაუახლოვდა, ლაპარაკი შემოესმა და ისიც უნებურად შედგა.

— გოგი, მე ხომ მუდამ გევედრებოდი ერთი თვე მაინც მაცხოვრე ნამდვილი ცხოვრებით-მეთქი. ახლა ხომ უნდა მოვკვდე მე და მოვკვდე ისე, რომ არ ვიცოდე რა არის სიყვარულის ბედნიერება. გოგი, ძვირფასო, ჩემო საყვარელო გოგი, გამიყვანე აქედან და ორი

დღე მაინც მამყოფე შენს ახლოს, მხოლოდ ორი დღე, — ამბობდა ქალი ატირებული ხმით, მაგრამ დამაჯერებელი კილოთი.

— ძვირფასო ჩემო ვიოლა, განა არ იცი, რომ ახლა ამაზე ფიქრი არ შეიძლება? ძლიერი აღელვება ბოლოს მოუღებს შენს სიცოცხლეს და მე ჯალათად გინდა მაქციო?! დაიცადე კიდევ ერთი ან ორი კვირა, შემდეგ წავალთ სადმე ზღვის პირას და როცა ცოტას მოიკეთებ, მე შევასრულებ შენს სურვილს. ვიცხოვროთ ერთად და განუყრელად.

— არა, არა, მე არ მინდა ზღვა, მე იქ ვერ წავალ, ვერ წავალ იმიტომ, რომ ვიცი აქ მოვკვდები და შენ... არ გიყვარვარ მე, არ გიყვარვარ.

— ნუ ღელავ, ჩემო კარგო, დამშვიდდი, ხვალ ისევ მოვალ და ისევ ვილაპარაკებთ ამაზე.

— რა უბედურებაა, — გაიფიქრა გერმამ და კარებს საჩქაროდ მოშორდა.

ღამის თორმეტი საათი იყო, რომ გამოალვიძეს.

მის წინ გოგი იდგა.

აბრეშუმივით რბილი ქერა თმა განზე ჰქონდა გადავარცხნილი, მისი ლურჯი, დიდი თვალები ცრემლს დაენამა.

— მაპატიეთ, უდროოდ რომ გაწუხებთ, მაგრამ...

— მობრძანდით, დაბრძანდით, — მიიპატიჟა გერმამ და სტუმარს სკამი მიაწოდა.

— ექიმო, თქვენ იცით, რომ ავადმყოფის მდგომარეობა უნუგეშოა, გთხოვთ, შეხვიდეთ მასთან, ის ძალზე ცუდადაა.

გერმაც ავადმყოფისკენ გაემართა.

ქალი ოთახში მარტოკა იწვა და ისიც ხშირად ესაუბრებოდა მას ამა თუ იმ საკითხზე. ავადმყოფს მხოლოდ სიყვარული და სიცოცხლე აინტერესებდა და მსჯელობის დროს გასაოცარ ნიჭსა და ჭკუამახვილობას იჩენდა. გერმას ებრალებოდა ის და თანაც ნანობდა, რომ ასეთი იშვიათი სილამაზე უდროოდ უნდა ჩამქრალიყო, როცა ოთახში შევიდა, ქალი პირაღმა იწვა, ბორგავდა და საზაფხულო საბნის ფოჩებს შეუბრალებლად სწეწდა.

— გაიქცა. ექიმო, მშიშარა, საძაგელი, გაიქცა, არასოდეს არ ვყვარებივარ, — ამ სიტყვებით გერმას ხელს სწვდა და გულზე მიიდო. ყური დაუგდეთ ჩემს გულს, ის ალბათ, დღეს სამუდამოდ დაჩუმდება.

— არა, თქვენ ღელავთ და ყველაფერი ეს იმის ბრალია, უნდა დამშვიდდეთ.

— როგორ შემიძლია დავმშვიდდე როცა... ახ, ჰაერი, ჰაერი... მე დავიბრჩობი ასე.

გერმა მიუახლოვდა, ორივე ხელი მოხვია და ლოგინზე წამოაყენა, მაგრამ მოდუნებული სხეულის სიმძიმეს შეაკრთო და, როდესაც ისევ დააწვინა ის, დაინახა, რომ ქალს პირიდან სისხლის პატარა ნაკადული ამოსდიოდა. გერმა გაშეშდა, მაგრამ ჩქარა ისევ გონზე მოვიდა და მოსულიერება დაუწყო გრძნობადაკარგულ ქალს.

ქალმა თვალები გააღო და უაზროდ სივრცეს გახედა. უეცრად ხელები აიღო, კარებისკენ გაიწოდა და სახეზე სიკვდილის სიფითრეძ გადაჰკრა.

— შეხედე, ზღვაზე თეთრი თოლიები დაფრინაეენ, გამიშვი. მეც მინდა იმათთან გავფრინდე.

— ვიოლა, ვიოლა, — ჩასძახა გერმამ და ცხვირი ოდეკალონით დაუსრისა.

— ახ, ეს შენა ხარ, გოგი? მე თეთრ თოლიებს მივყვები და... შენ... შენ...

გერმამ ქალის გაყინული ხელი აიღო, რამდენიმე წუთის შემდეგ მაჯამ ფეთქვა შესწყვიტა და გერმაც დამძიმებული თავით ზეზე წამოდგა, სანიტარ ქალს დაუძახა და დაავალა მიცვალებული ოთახიდან გაეტანათ...

* * *

ზარის ხმამ თავი ზევით ააღებინა და, როდესაც კარები გამოაღო, გაკვირვებით შეაჩერდა ახალგაზრდა კაცს, რომელიც მის წინ იდგა და მსიარული თვალებით ორივე ხელს უწვდიდა.

— რამოდენა კაცი გამხდარხარ, ანატოლი, მე კი ისევ ის წითელბალათიანი ბიჭი მეგონე, ჩემთან რომ დადიოდი სამეცადინოდ.

— ის პატარა ბიჭი ჩქარა აკადემიას დაამთავრებს, მარინა.

— აი, როგორ გაუსწარი წინ შენს მასწავლებელს. მაინც მოხარული ვარ, რომ გამართლდა ჩემი პროგნოზი. იცი როგორ გამიხარდა, როცა ერთ-ერთ გაზეთში ამოვიკითხე, რომ შენ უნიჭიერეს სტუდენტად ითელები სამხატვრო აკადემიაში?!

— თქვენა და დიტო რომ არ დამხმარებოდით, ვერასოდეს ვერ ვიხილავდი აკადემიის კედლებს.

— დახმარება ჩქარა შევწყვიტეთ შენივე თხოვნით, რა იყო ეს? სიამაყე?!

— არა, მე ვიშოვე გაკვეთილები და აღებული ფული სრულიად საკმარისი იყო ჩემთვის.

— მახსოვს როგორ ოცნებობდი თბილისზე, აკადემიაზე, დამოუკიდებელ ცხოვრებაზე. ეს ყველაფერი შენ ხელთ არის და, ალბათ, ბედნიერი ხარ ახლა.

— ჩემს ბედნიერებას ერთი რამ აკლია.

— რა ანატოლი?!

— მეგობარი.

— ეს ყველას გვაკლია, ჩემო კარგო.

— მარინა, იცით რა მინდა გთხოვოთ?

— რა?!

— როცა თქვენთან ვსწავლობდი, ვოცნებობდი გამოვსულიყავი მხატვარი, დიდი მხატვარი და დამეხატა თქვენი სახე.

— დღეს შემიძლია, ჩემი ოცნება სისრულეში მოვიყვანო და გთხოვთ, რომ კვირაში რამდენიმე საათი დაკარგოთ ჩემთვის?!..

— ძვირფასო, ჩემო ანატოლ, ღირს კი ჩემი სახისათვის დროს დაკარგვა?! თბილისში ულამაზესი ქალები სიამოვნებით შეასრულებენ შენს თხოვნას.

— მე მხატვარი ვარ და მე დავეძებ არა ულამაზეს სახეს, არაშედ შინაარსიანს. ისეთ სახეს, რომლის თვითეული ნაკვთიც კი ადამიანის სულიერ სიღრმეს ამჟღავნებს. ნუ მეტყვით უარს, მარინა.

მარინა შეყოყმანდა, ათასი საქმე მოიმიზეზა, უდროობა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ვაჟმა მაინც თავისი გაიტანა და ისე არ წავიდა, სანამ მისი თანხმობა არ მიიღო.

* * *

მოძრაობს ქუჩა. მანქანა, ტრამვაი, ეტლი და ავტობუსი ისეთი სისწრაფით ცვლიან და მისდევენ ერთიმეორეს, რომ ადამიანმა აღარ იცის რომელ მათგანს აუაროს გვერდი.

— აი, ის მშფოთვარე ცხოვრება, რომლის ორომტრიალში მეც მოვხვდი, — ფიქრობს მარინა და თავისი ოთახის ფანჯრიდან ადევნებს თვალს ქუჩის მოძრაობას. მაგრამ სად არის ის სიხარული ან ის ოქროსქოჩრიანი ორეული, რომელსაც ის ხედავდა სიზმრად თავისი

ახალგაზრდობის პირველ გაზაფხულზე?! ოცნება დრომ წაიღო, სიზმარიც დროს გაჰყვა და დღეს... დღეს ეს დინჯი, სერიოზული და საქმიანი ქალი სულ სხვა განცდით და სულ სხვა თვალით შეჰყურებს როგორც ცხოვრებას,. ისე სიყვარულსა და ადამიანებს. მან იცის, რომ ბედი არაფერს მისცემს ისეთს, რომ გააოცოს. ისეთს, რომ აღაფრთოვანოს და გაახაროს.

— რაზე დაფიქრდი, მარინა? — შეეკითხა მას პოლინა, რომელიც სავარძელზე წამოწოლილიყო და წიგნს კითხულობდა.

— არაფერზე... ისე... —მოუჭრა მოკლედ მარინამ და რაღაც ჯიუტი მოძრაობით ფანჯარას მოშორდა.

— ხუთი საათია და მე დამაგვიანდა, მაგრამ შენი ოთახი ისე კოხტა და ლამაზია, რომ მე აქ ვისვენებ, — ამბობს პოლინა და ყვითელ აბრეშუმის ბალიშს იდაყვით ეყრდნობა.

— შენი ოთახი ამაზე დიდი და ნათელია, მაგრამ ვერ ქმნი წესრიგს. თითქოს მამაკაცი ცხოვრობდეს იქ. რა უყავ შენი ქალური სინაზე, კდემამოსილება?

— მე დავტოვე ის ირკუტსკის გუბერნიაში, ოჯახს არასოდეს არ შევქმნი და იმ საქმისათვის, რომელსაც ვემსახურები, ასეთიც ვვარგივარ.

— ზურაბი? შენ დაგავიწყდა ის?

— როცა ვერ დაინახავს თანაგრძნობას, მოსწყინდება და წავა.

— შეურიგდები ამას?!

— უნდა შევურიგდე.

— არ მესმის, შენთან მოდის ბედნიერება და შენ უარს ეუბნები მას? რათა, რისთვის?

— მისთვის, რომ ჩემ ცხოვრებაში მოხდა ისეთი რაღაც, რამაც ჩემში მოჰკლა ქალი, დედა და შემაძულა მამაკაცი. მეტს ნურაფერს მკითხავ, უკეთესია შენზე ვილაპარაკოთ. რას ერჩი გერმას?!..

— უკვე გითხრა?!

— შენ იგი მოგწონს, მას შენ უყვარხარ. რას თხოულობ მისგან?!

— მეტ თავდაჭერილობას, მეტ სიდინჯეს, მეტ ადამიანობას. სამი წლის განმავლობაში მე ვეძებდი მასში ისეთ რამეს, რაც მინდოდა დამენახა. ვეძებდი შინაარსს, ვერ დავინახე. აღარ მინდა ვიფიქრო მასზე. თავი დამანებოს.

— გერმამ მთხოვა შენი ახალი მისამართი.

— და შენც მიეცი?!

— ის სადაც არის მოვა აქ.

— პოლინა, მე წავალ აქედან.

— თუ არავითარი წარმოდგენა არა გაქვს ეთიკაზე.

— ეთიკის კანონებს თქვენ არღვევთ.

— თუ ჩემი მოსვლა გწყინს, მეტად აღარ მოვალ.

— ახ, მე შენზე არ ვლაპარაკობ.

— რად ემალები, ან რისი გეშინია?! ეს ბავშვობაა.

— ამ კაცის სიახლოვეს ვერ ვიტან, მე იგი არ მომწონს. მაგრამ ის ჩემზე მაინც მოქმედებს, მისი თვალები მაინც მაწუხებენ. მინდა არ შევხვდე, გავექცე, დავემალო, მიახლოვდება და ნებისყოფა ირღვევა ჩემში. ახ, მე თითონ არ ვიცი რა მემართება, — წამოიძახა მან აღელვებული ხმით.

— ჩემო მეგობარო, შენ ის გიყვარს.

— მე არ მინდა ეს.

— სიყვარული მოდის როგორც მბრძანებელი და არ გეკითხება გინდა ეს თუ არა.

— მე მეგობარი მინდა, ის მოდის როგორც მამაკაცი. მე სულიერ სიმაღლეს, სინაზეს ვეძებ. იქ კი ვნებაა უხეში. ეს არ არის სიყვარული, ეს არ შეიძლება იყოს სიყვარული.

— თუ ამაში დარწმუნებული ხარ, შეეცადე და დაწყვიტე ის ძაფები, რომლებსაც შენი გული უკვე დაუქსელავს. ნახვამდის ჩემო კარგო, ჭკვიანად იყავი და გაუფრთხილდი შენს ნერვებს. — ამ სიტყვებით დაემშვიდობა და ოთახიდან გავიდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მის წინ გერმა იდგა.

— რად მოხვედით, რა გინდათ აქ? — ეკითხება მას მარინა და ვერ მალავს სიწითლეს, რომელიც ედება მის სახეს.

— ახირებული კითხვაა, — ამბობს ის ღიმილით და ქუდს მაგიდაზე დებს.

— ჩემთვის არ არის ახირებული.

— გინდათ იცოდეთ, რად მოვედი?! — ეუბნება ის და შეჰყურებს პირდაპირ თვალებში. მარინა გრძნობს რაც უნდა ითქვას და აღარ უნდა უსმინოს მას. ის დგას შეკრული წარბებით და ცდილობს დააყუჩოს გული, რომელიც არ წყნარდება.

— მომისმინეთ, მარინა.

— არა, მე გავალ აქედან და თქვენ იძულებული იქნებით ელაპარაკოთ კედლებს.

— თქვენ ამას არ იზამთ, ვერ იზამთ, — ამბობს ის მტკიცედ და ურყევად.

— მე თქვენ არ მიყვარხართ, — ამბობს ქალი საპასუხოდ და ცდილობს დააღწიოს თავი იმ განცდას, რომელიც ცეცხლივით ედება მის სხეულს.

— შენ შემიყვარებ მე.

— არასოდეს.

— მაშ, რად ხრი თვალებს, დაბინდულ თვალებს, ასწიე თავი, მე მინდა შევხედო მათ და გავიგო რა ხდება შენ გულში. მარინა, მარინა...

— ახ, თქვენ მოსაბეზრებელი ხართ ასეთი ახირებული, ჩვენ შორის არასოდეს არ ყოფილა დამშვიდებული საუბარი, ადამიანური მსჯელობა. სინაზე. თქვენ იწვით მუდამ და სწვავთ სხვასაც.

— ამაშია სილამაზე, სიცოცხლე, მშვენიერება, მაგრამ მე მაინც არ ვიცი რა გინდათ, რას მოითხოვთ.

— თქვენ არ იცით და არც გინდათ იცოდეთ, თუ რას განვიცდი მე, რას ვფიქრობ, რას ვაკეთებ.

— ვიცი, დადიხართ ლექციებზე, კითხულობთ მოსაწყენ წიგნებს, ჩხრეკთ სარედაქციო ქაღალდებს და თქვენ გინდათ რომ მომწონდეს ყველაფერი ეს?!

— თქვენ თქვენი საქმეც არ მოგწონთ, მსახურობთ მხოლოდ მისთვის, რომ იარსებოთ. სინჯავთ ავადმყოფებს და გძულთ ავადმყოფები...

— აი, უცნაური ბრალდება, მაგრამ საინტერესოა, საიდან გაიგეთ ეს?

— თქვენი ცხოვრებიდან, თქვენი მოქმედებიდან.

— ამქვეყნად მოვედი ერთხელ და რაც შეიძლება მეტი მინდა წავართვა ცხოვრებას, საშუალება რომ იყოს, მე არ დავუწყებდი სინჯვას ამ ავადმყოფებს, ავდგებოდი და წავიდოდი საზღვარგარეთ სამოგზაუროდ. ეს განა ცუდია?!

— არ არის ცუდი, მაგრამ ოდესმე, რომ იქ მოვხვდე, უბრალო ხეტიალს არ მოვანდომებდი მთელ დროს, მე გავაღრმავებდი ჩემს ცოდნას, ვიმეცადინებდი.

— თქვენ ცდებით, გგონიათ, რომ თქვენი მეცადინეობით დიდ საქმეს აკეთებთ. თქვენ აკეთებთ ისეთ საქმეს, რისთვისაც არა ხართ გაჩენილი.

— მაშ, რისთვის ვარ გაჩენილი?!

— ბედნიერებისთვის, სიხარულისთვის.

— თქვენ მაინც ვერ მომიტანთ მე ბედნიერებას.

— რატომ?!

— იმიტომ, რომ მარტო ქალი კი არ ვარ, ვარ ადამიანიც. შამაკაცში მარტო მამაკაცს კი არ დავეძებ, დავეძებ ადამიანს და კიდევ იმიტომ, რომ სულიც მაქვს მე და ეს სული მოითხოვს მეტ გაგებას და მეტ დაკვირვებას.

— მე მაშინ ვისწავლი სულის პატივისცემას, მის სიყვარულს და ახლა კი, ახლა მე მომწონხარ შენ, მომწონხარ ასეთი კარგი, ასეთი ცეცხლოვანი და ასეთი მიუკარებელი. — ამ სიტყვებით ის მიდის შარინასკენ და გრძნობს, როგორ იზრდება მისი გული და როგორ გლეჯს მის ნერვებს დამორჩილების სურვილი.

—არ მახლოთ ხელი, გესმით? მე თქვენ ამის ნებას არ გაძლევთ, — ამბობს ის და ხედავს, რომ ამ კაცთან ერთად მას უახლოვდება საშინელება, საშინელება, რომელსაც უნდა გაექცეს, დაემალოს.

— ერთის წუთით, მხოლოდ ერთის წუთით გიგრძნო აქ, ჩემ გულთან, — ამ სიტყვებით ის ეხვევა ქალს და ქალის ალეწილ სახეს ტუჩებით ეხება, მაგრამ მარინა ხელის კვრით იშორებს მას და ისიც გარბის ქუჩაში, ხალხში, ჰაერზე, რათა გაექცეს ამ სიგიჟეს, რომელიც აღიძრა მასში, მაგრამ ეს განცდა აქაც არ სტოვებს გერმას და მიდის... მიდის... „ელიავას ქუჩა № 10“ ეჩხირება თვალებში სახლის ფარანი. ზარის ღილს ხელს აჭერს.

შედის.

თინა, რომელსაც უყვარს ის მთელი თავისი ქალური სინაზით და, რომელსაც ჯერ კიდევ სჯერა მისი გულწრფელობა, მხიარულად ხვდება მას, ეხვევა, ეალერსება. გერმაც ცდილობს უპასუხოს მის ალერსს, მაგრამ გრძნობს, რომ მასში ჰქრება ყოველგვარი ვნება და ეს ქალი მარინას შემდეგ ცივი წყალივით მოქმედებს მასზე.

— რა გემართება, აღარ გიყვარვარ?!.. — ეუბნება თინა და ნაღვლიანი თვალებით შეჰყურებს გარინდებულ მამაკაცს.

— მაპატიე, მაგრამ დღეს ცუდად ვარ. სხვა დროს შემოვივლი შენთან, — ამბობს ის არეული თვალებით, ცივად ეხება მის ხელს და საჩქაროდ კვლავ ქუჩაში გადის.

მარინას შემდეგ მას აღარ აღელვებს არც ერთი ქალი, სანამდე იქნება ასე?!

* * *

მარინა ერკვევა, მარინა შფოთავს, მაგრამ ამავე დროს გრძნობს, რომ გერმას კოცნა ჯერ კიდევ სწვავს მის ტუჩებს.

მამაკაცის ალერსი პირველად განიცადა, ის იცნობს მას და იცის, რომ ქვეყანა, ადამიანები, ქალი, სამსახური თავის პირადი სიამოვნებით განისაზღვრება, მიუხედავად ამისა მაინც ახდენს მასზე შთაბეჭდილებას და მარინაც ერიდება მას ისე, როგორც რაიმე საშიშროებას, როგორც გადამდებ სნეულებას.

უეცრად დიტო მოაგონდა და გაფითრდა, გააჯრეოლა, მას თითქოს დაავიწყდა ეს კაცი თბილისში და დღეს, რატომღაც მოაგონდა ის, მოაგონდა მეტი სინაზითა და მეტი გულისტკივილით.

ძვირფასი და კეთილი მეგობარი, მუდამ თავაზიანი, მუდამ კეთილშობილი, ყველასათვის თავდადებული და ყველას მოყვარული. მაგრამ ის დაღლილი თვალებით, მოკრძალებული ვნებით და დინჯი ტემპერამენტით ვერ იწვევდა მასში იმ განცდას, ერთი შეხებით რომ გამოიწვია გერმამ.

ახ, ნეტავი შეეძლოს მარინას დააქუცმაცოს ეს ორი კაცი და ნამსხვრევებიდან გამოაქანდაკოს ერთი მთლიანი ადამიანი, ადამიანი კეთილშობილი სულითა და ძლიერი სხეულით.

თვალდახუჭული ეძლევა ფიქრს და ეს ფიქრი ცეცხლივით იწვის მის ძარღვებში.

საათის მოულოდნელმა რეკვამ ბურანიდან გამოიყვანა და, როცა ისრებმა თორმეტი აჩვენეს, შეშფოთებული ზეზე წამოიჭრა, სამი საათი იჯდა აქ, ამგვარ მდგომარეობაში, ნუთუ ისე დაიმორჩილა გრძნობამ, რომ საკუთარი საქმეც დაავიწყა?!

თავი გაჯავრებით უკან გადაიგდო, შეკრეჭილი ხელული თმები თითებით დაილაგა და ანატომიის სქელტანიანი წიგნი გადაშალა. ორი საათის შემდეგ ისევ წამოდგა, ტანზე გაიხადა და ის იყო აიღო ყვითელი საღამური პერანგი, რომ თვალი მოჰკრა სარკეში თავის სხეულს, შიშველ სხეულს და უნებურად შეჩერდა მის წინ.

ოქროსფერი თმა გვირგვინივით ადგას მის პატარა თავს და

აზვირთებული მკერდიც თრთის შინაგანი ღელვისაგან. დღეს სახეც უფრო მოძრავია, თვალები ელვარე, ტუჩები წითელი, ჩვეულებრივზე უფრო ლამაზი და წითელი.

სად არის ის კაცი, რომელზედაც ოცნებობს მარინა და, რომელსაც ეძახის განწირული ძახილით?! არა ჩანს ის. არა ჩანს, არა ჩანს...

* * *

მზემ უკანასკნელად აკოცა მთებს, მინდვრებს, ყვავილებს და შომაკვდავი ადამიანივით დახუჭა ლამაზი თვალები.

სისხლისფერი ტბა გაჩნდა ცის ტატნობზე და ამ ტბამ შთანთქა ის ყვითელი შუქი, ჰაეროვანი რხევით ლეჩაქივით რომ ჩამოჰყვა ჰაერს და სასაფლაოს ძეგლებს ოქროს ფოთლები გადააყარა.

„დაიბადა ამა და ამ წელს, გარდაიცვალა ამა და ამ წელს“ — კითხულობს საფლავებს შორის მარტოდ მოარული მარინა. ის გამოექცა აქ თავის ოთახს, თავის წიგნებს, თავის სამუშაოს, რომ მოლიანად შეეგრძნო ბუნების მყუდროება და აქ, ამ გარდაცვლილ ადამიანთა შორის დაევიწყა თავისი აფორიაქებული გულისთქმა.

უეცრად შედგა. ერთ-ერთ ძეგლში ჩაჭედილი სურათი იპყრობს მის ყურადღებას. ახალგაზრდა ქალი, საოცარი სილამაზის პატრონი, შეჰყურებს მარინას სევდიანი თვალებით და ეს თვალები, უკვე მკვდარი ადამიანისა, მახვილივით ლაფრავს მის გულს.

რას ამბობენ ისინი?!

„ახალგაზრდა, ლამაზი, სიცოცხლით სავსე ვიყავი მე, მიყვარდა გაშლილი ველი, მზე, ყვავილები, შევტრფოდი მთებს, ზღვებს, ნაკადულებს, არარა ვარ ეხლა მე და ის ძვლებიც, რომლებსაც ადევს ეს მარმარილო, დაიფშვნება ქამთა სრბოლისაგან და დარჩება მხოლოდ ეს სურათი, აჩრდილი წარსული მოგონებისა. იცოცხლე, ახალგაზრდა ქალო ნამდვილი სიცოცხლით და ისარგებლე იმ ბატარა დროთი, რომელიც რჩება შენს განკარგულებაში, თორემ ერთ დღეს სიკვდილი გესტუმრება შენც და აღარავისათვის იქნები საყვარელი და საჭირო.

ასეთი შთაბეჭდილებით თვალდახუჭული ეშვება მწვანე ბალახებში, იწყება შეგნებული სიცოცხლე და იწყება ბრძოლა არსებობისათვის.

ცხოვრების მუდმივი ცვალებადობა, ბედის მუდმივი ტრიალი.

ადამიანი მაინც არ დრკება და ადამიანი მაინც მიდის, მიდის, წინ, სულ წინ და განუწყვეტელი მოგზაურობისაგან დაქანცული — თანდათანობით უახლოვდება სიკვდილ-სიცოცხლის საზღვარს, საზღვარს, სადაც დგას შავი აჩრდილი. შავ ნისლოვან სამოსელში გამოხვეული. „შესდექ, ამას იქით გზა არ არსებობს“, ეუბნება ის მკაცრად შემკრთალ ადამიანს, ერთის დაკვრით წყვეტს სასიცოცხლო ძაფებს და სასტიკი ხელით გადასტყორცნის მარადისობის პირღია უფსკრულებში.

— მარინა, მარინა.

ახ, ის უკვე ეძახის მას, უხმობს, ფიქრობს ის და შიშისაგან ფართოდ გახელილი თვალებით შეჰყურებს სასაფლაოს ჯვრებს.

— ეს მე ვარ, მარინა, მე, — ეუბნება გერმა და ახვევს თავის პალტოს, ათბობს თავის გულთან, ეხვევა, ეფერება. ათრთოლებული, თითქმის გრძნობამოხდილი ქალი ეფარება მის მკერდს.

— მითხრეს რომ აქეთ წამოხვედი და მეც გამოვეშურე შენსკენ. ახ, შენ უცნაურო ქალო. ვინ დადის ამ დროს სასაფლაოზე?!

— არა ვარ მშიშარა, მაგრამ ჩემი სახელი იმ დროს შემომესმა. როდესაც სიკვდილზე ვფიქრობდი და ამ მოულოდნელმა დაძახებამ შემაშინა. მაგრამ მე მაინც ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ მოხვედით და ერთხელ მაინც მაგრძნობინეთ თქვენში ადამიანი.

— შენს გულგრილობას სასოწარკვეთილებამდე მივყევარ. სად არის შენი თანაგრძნობა?!

— თანაგრძნობას ჯერ სძინავს, მაგრამ თუ მიუახლოვდები მას ასეთი სიფრთხილით, ის გაიღვიძებს.

— როდის იქნება ეს? აგერ მეოთხე წელიწადია და ამ ხნის განმავლობაში მე ვერ დაგელაპარაკე შენ რიგიანად. ვერ მოვედი ახლოს შენ გულთან.

— ახ, გერმა, რატომ ცოტათი მაინც არ გევხართ იმ იდეალს, რომლისთვისაც მე მუდამ ვსევდიანობდი, — წარმოთქვა მარინამ წყენით და შეწუხებული სახე ზევით აიღო,—მე ვიცნობ ადამიანს, რომელიც განსახიერებაა სულიერი სიმაღლისა და კეთილშობილებისა.

— მე არა ვარ უპატიოსნო კაცი, მარინა.

— მე მინდა უკეთესი იყო, მე მინდა მაღალი იყო, მაღალი, როგორც ცა.

ჩემო ძვირფასო მეგობარო, გერმა ვერასოდეს ვერ ავა ამ სიმაღლეზე და შენ უნდა გიყვარდეს ის ისეთი, როგორსაც გაძლევს სინამდვილე. ხომ ხედავ ამ სამარეებს, მილიონი სიცოცხლე შთაინთქა აქ და დღეს. არავინ არაფერს არ ლაპარაკობს მათ არსებობაზე.

ვიცოცხლოთ, სანამ შესაძლებელია სიცოცხლე, გვიყვარდეს, სანამდე სისხლი არ დამშრალა ჩვენს ძარღვებში, ცხოვრება ძუნწია, არაფერს მოგცემს, თუ ძალად არ წააგლიჯე რაიმე.

ეს სიტყვები ისეთი პათოსით და ისეთი ტემპერამენტით ითქვა, რომ მარინა წუთით გაირინდა და იგრძნო, რომ ის თავის საპასუხო სიტყვით ვერ დაარღვევდა და ვერ გააბათილებდა იმ დებულებებს, მის წინ ჭეშმარიტების სახელით რომ ასაღებდნენ.

უეცრად მოვარდნილმა ნიავმა ჩინარისა და ვერხვის ტოტები ჩამოფერთხა და ადრეულად შეყვითლებული ფოთლები აქა-იქ ქარვებივით გაიფანტენ.

მარინამ ახედა საშემოდგომოდ მორთულ, დანისლულ ცას, დახედა დაცვენილ ფურცლებს, შეხედა მის წინ მდგომ მამაკაცს და... უეცრად ჩქარი ნაბიჯით წავიდა. გადაჭრა კათოლიკების ეკლესიის ეზო, ჩაირბინა ლერმონტოვის კიბის მაღალი საფეხურები და შიშნარევი გრძნობით მიაშურა მუდამ მშფოთვარე ქალაქის ქუჩებს.

* * *

ანატოლის პატარა სახელოსნო სავსეა მზით, სინათლითა და სურათებით.

მარინა ცნობისმოყვარეობით უკვირდება თვითეულ სურათს და აღარ იცის, თუ რომლის წინ შეჩერდეს უფრო ხანგრძლივად.

თვითეული პორტრეტი, ესკიზი, თუ პეიზაჟი ორიგინალური ფერებით არის შესრულებული და ყოველი ხაზი, მხატვრის მნიშვნელოვან მიღწევებს ამჟღავნებს.

— ჩემი პატარა ანატოლი!!

— გთხოვთ, ნუ მეძახით პატარას.

— რატომ, ბავშვო?!

— კიდევ!! ნუთუ თქვენ მართლა ბავშვს ხედავთ ჩემში?! — ამბობს ის და მის თვალებში ინთება ათასი მაშხალა.

მარინა გაოცებულია. „ნუთუ?“ ფიქრობს ის და უხერხულად

შეჰყურებს ახალგაზრდა კაცს, რომელიც ერთ-ერთ მოლბერტთან დგას და ფუნჯით რაღაცას აფერადებს.

— რა მშვენიერი ტანი აქვს ამ გოგონას, საკვირველია, როგორ უყურებთ გულგრილად ამ სილამაზეს?!

— მუშაობის დროს ჩვენ გვავიწყდება საკუთარი თავი და გვიზიდავს ხაზები, ხაზები და კიდევ ხაზები.

— რამ აიძულა ეს ქალი ასეთი სახით დამდგარიყო შენს წინ?

— სიღარიბემ. მოხუცმა დედამ თვითონ მოიყვანა ის ჩემთან.

მარინამ ერთხელ კიდევ ახედა ტილოს.

შავგვრემანი ქალიშვილი, თავისი ნორჩი ფაქიზი სხეულით დგას ერთ-ერთ კვარცხლბეკზე. მორცხვი ღიმილით დაჰყურებს მარცხენა მკერდს და ნაზი თითებით სინჯავს პაწია კუკურს.

— მშვენიერია ეს სურათი, მაგრამ...

— მოძველებულია შინაარსი მისი?!.. აბა, ახლა ამას შემოხედეთ?! დგას მზეზე გარუჯული ახალგაზრდა ქალი სპორტულ ტანსაცმელში, კუნთები ბურთებივით დაბერვია.

— ახალი ქალი.

— მოგწონს ის?!

— ძალიან, ასეთ ქალს თამამად შეუძლია დადგეს მამაკაცის გვერდით და მამაკაცური ენერგიით აკეთოს დიდი საქმე.

— იცით რას ვფიქრობ მარინა?

— რას?

— კიდევ ათეული წელიწადი და ქალს ველარ გავარჩევთ მამაკაცისგან. ეს კი ჩემის აზრით სამწუხარო იქნება.

— შენ ისევ იმ განაზებული ბანოვანების მოტრფიალე რჩები?!

— არა, ქალმა უნდა იმუშაოს თავის თავზე, ამაღლდეს გონებრივად, გამაგრდეს ფიზიკურად. მისთვის, ისევე როგორც ვაჟისთვის, სავალდებულო უნდა იყოს ყოველგვარი ვარჯიში, ყოველგვარი სპორტი, მაგრამ ყველაფერმა ამან არ უნდა წაშალოს მასში ქალური სინაზე.

— ბოდიში, ცოტა კიდევ მოაბრუნეთ ჩემსკენ სახე, აი ასე... ამ სიტყვებით მოლბერტს მოშორდა და თავი ხელით გაუსწორა, მაგრამ ამ შეხებამ მის თითებს ცეცხლი წაუკიდა და მარინაც თითქოს შეტორტმანდა, მან შეავლო თვალი ვაჟის ანთებულ სახეს და მის აფეთქებულ მზერას თვალი მოარიდა.

ჩქარა გამოვიდა იქიდან და როცა თავის ბინას მიუახლოვდა. წინ პოლინა შეხვდა.

— ჩემთან?!

— ჰო, ჩვენ დღეს ერთად უნდა ვიმუშაოთ. საინტერესო წერილები მივიღე, მაგრამ თითქმის ყველას შესწორება სჭირდება.

— კარგია, რომ მოხვედი, — ამ სიტყვებით ის ნავთქურას ანთებს და პატარა ჩაიდანს წყლით ავსებულს ასადუღებლად ადგამს.

მუშაობა ადუღებული წყლის ხმაურმა შეაწყვეტინათ.

მარინა წამოდგა, ნამცხვარი დაჭრა, ორი ფინჯანი გამოიღო და ის იყო, აიღო კოვზი შაქრის ჩასაყრელად, რომ კარებზე კაკუნი გაისმა.

ოთახში გერმა შემოვიდა.

— ჩემო მეგობარო, თქვენ ცუდი დრო აგირჩევიათ სადარბაზოდ, დღეს ჩვენ ვმუშაობთ.

— თქვენ ასეთი სიტყვებით უხვდებით სხვებსაც?

— ზოგიერთებს უარესსაც ვეტყვი ხოლმე.

— ზრდილობა მოითხოვს...

— რა შუაშია ზრდილობა?! რამდენი ადამიანი ჩემ ოთახში შემოვა, თუ ყველას დავუჯექი და მასლაათი გავუბი, ჩემი საქმეები არასოდეს აღარ დამთავრდება.

— ქართველი ქალი წინათ განთქმული იყო სტუმართმოყვარეობით და სიდარბაისლით.

— გააჩნია დროსა და ადგილს. მე არ მწამს ის ძველი სტუმარმასპინძლობა, მასპინძელს სტუმრის გართობის სურვილით ოფლი რომ ჩამოსდიოდა.

— ყოჩაღ, მარინა, როგორც ჩანს, ჩვენს რიგებს ემატები, — წარმოთქვა პოლინამ სიცილით.

— ახლა კი ნახვამდის, ექიმო!

— ნახვამდის.

— თუ თქვენ არ აპირებთ სიკვდილს, ალბათ შევხვდებით სადმე.

— ჰო, სადმე... — მიუგო მან უკმაყოფილო სახით და ჩქარი ნაბიჯით ქუჩას მიაშურა.

* * *

მარინას ოთახიდან გამოსული, გაბოროტებული გერმა პირდაპირ თინას სახლისაკენ წავიდა.

საჩქაროდ შეირბინა ოთახში და, როდესაც გამქვირვალე კაბით თავისუფლად წამოწოლილი ქალი დაინახა, უეცრად იფეთქა, ველური გატაცებით მივარდა და გიჟურად დაუწყო კოცნა გაოცებულ ქალს.

— დაიცა, დამაცა, რა ამბავია?! — კითხულობს ის შეშფოთებული სახით და ცდილობს მოიშოროს თავიდან ეს მოძალადე ადამიანი, მაგრამ რომელ ქალს შეუძლია დააღწიოს თავი აღელვებული მამაკაცის მკლავებს?!

ის უჭერს ხელს მის მხრებს, მკერდს, მთელ სხეულს და იქვე. იმავე ტახტზე, ღია კარებში იმორჩილებს მას. რამდენიმე თვით დაგუბებული ვნება რამდენიმე წუთის განმავლობაში დაიცხრო და როცა ნაშუაღამევის ორ საათზე ქუჩაში გავიდა, გამოუთქმელი სიმსუბუქე და ხალისი იგრძნო. სადღაც, შორს, ნისლოვან ფერადებში მოეჩვენა მარინას სახე. მელანქოლიური თვალებით დამძიმებულმა, პალტოს საყელოში თავი ჩარგო.

— სოფლელი გოგო, — წარმოთქვა ბრაზით, მაგრამ ფიქრი ამ სოფლელ გოგოზე მაინც აედევნა მას ქუჩაში, მიჰყვა სახლში და მასთან ერთად ჩაწვა ქვეშაგებში.

* * *

— კაცო, შენ ჩემი წერილი არ მიგიღია?! — შეეკითხა ოთახში შემოსულ ძმას გერმა და შეეცადა სახისათვის მხიარული გამომეტყველება მიეცა.

— მივიღე და შენი ბრძნული რჩევაც მოვისმინე. რომ ჩემი ხნის კაცმა უნივერსიტეტზე აღარ უნდა იფიქროს, ამაზე, რასაკვირველია, არ დაგეთანხმე, მაგრამ თბილისში წამოსვლის სურვილი კი, გამიქრა. თუ მაინც აქ მხედავ, ამის მიზეზად შეიძლება ის ჩაითვალოს, რომ მდგომარეობა შეიცვალა. გუშინ ჩემი მეგობრისგან დეპეშა მივიღე. აქ გადმოვდივარ სამსახურში და დროებით შენთან უნდა დავრჩე. მართალია, ძნელია ამჟამად ოთახის შოვნა, მაგრამ რამდენიმე თვე კიდევ და...

— თუ რამდენიმე თვე დააგვიანდა შენს ოთახს, ბევრს ვერაფერს გავაკეთებ. ხომ ხედავ, ვიწროდა ვარ და მეცნიერული მუშაობა მყუდროებას მოითხოვს. ჩემი წიგნი...

— როგორც მახსოვს, შენ, ამ რვა წლის წინათ დაიწყე მისი წერა და ნუთუ დღემდის აღარ დაიწერა ის?!

— მე ვწერ მეცნიერულ წიგნს და არა იაფფასიან რომანს, ასეთ რამეზე წლობით მუშაობენ. გოეთემ სამოცი წელი მოანდომა „ფაუსტს", მაგრამ არავის გაჰკვირვებია ეს.

— მართალია, მაგრამ, შენ ხომ გოეთე არა ხარ?! — ირონიულად შენიშნა ძმამ და მის ოთახს განსაკუთრებული ყურადღებით დაუწყო ჩხრეკა.

— რას ათვალიერებ ასეთი დაჟინებით?!

— ამ ძვირფას სურათებს, ამ ვარაყიან ჩარჩოებს, ამ ლამაზ ქანდაკებებს, ამ იშვიათ ლარნაკებს, ამ სავარძლებს და ვფიქრობ, იცი ვისზე?!

— ვისზე?

— ჩვენს მშობლებზე, ჩვენს ღარიბ ოჯახზე. სამი წელიწადია სახლში არ ყოფილხარ, დედას ენატრები, შენ კი, განათლებულო შვილო, ერთხელაც არ გიფიქრია ამაზე. მამა მოგვიკვდა, სატირლად ვრც კი ჩამოხვედი. მიზეზად ექიმთა ყრილობას ასახელებდი. მაგრამ იმ დღეებში ქართულ გაზეთში არავითარი ყრილობა არ იყო აღნიშნული. თუ იქნებ გგონია, რომ პროვინციაში უბრალო რეგისტრატორები გაზეთს არ ვკითხულობთ?! დედ-მამამ შენი გულისთვის უმცროსი შვილები გასწირა და სამაგიეროდ...

— კარგი ერთი თუ ძმა ხარ. რა გააკეთეთ ამდენი?!. მართალია, შენი მმართებს რამდენიმე თუმანი, მაგრამ ამჟამად არა მაქვს. ჩქარა გადავიხდი ამ ვალსაც და შემდეგ, ალბათ, არაფერი იქნება სასაყვედურო.

— ეს ვალი შენთვის არ მითხოვია და არც დასარჩენად მოვსულვარ აქ. გამოგცადე კი, მინდოდა გამეგო, თუ როგორ დამიხვდებოდი. მეტად აღარ შეგაწუხებ.

— დაიცადე, კაცო, სად წახვალ ახლა, ვისთან?!

— ბარგი მეგობართან დავტოვე, ის არ წერს მეცნიერულ წიგნებს. — ერთხელ კიდევ მწვავედ აგრძნობინა ირონია და ქუდი ხელში აიღო.

— ერთ დღეს მაინც მოგეცადა ჩემთან, რას იტყვის ხალხი?!.

— შენ მხოლოდ ეს გაწუხებს, ნუ გეშინია. მე ვიტყვი, რომ ვიწროდ ცხოვრობ. რაც არ უნდა იყოს, ჩემი ძმა ხარ და შენზე რომ ცუდად ილაპარაკონ, არ მესიამოვნება. რა შენი ბრალია რომ ასეთი გაჩნდი. ტყეში მილიონი ხე იზრდება სწორად და ნორმალურად, მაგრამ გამოერევა ისეთი მიწიდანვე, რომ მრუდედ ამოდის. ასეთი ხარ შენც და ამას არაფერი ეშველება. საჭიროა სასწაული, რათა შენი ხასიათი სასიკეთოდ შეიცვალოს. თუ ვინმე მებრალება, ეს ისევ შენა ხარ. ვისაც არავის შეყვარება არ შეუძლია, გარდა საკუთარი თავისა, ის ბედნიერი არ იქნება. უკიდურესი ეგოიზმით შეპყრობილი ადამიანი, თავისივე ეგოისტური გრძნობების მსხვერპლი ხდება. თუ ფეხი წაიკარ და წაიქეცი, წამოდგომა გაგიჭირდება. უფრთხილდი საკუთარ თავს. —ამ სიტყვებით ცივად ზურგი შეაქცია და დინჯი ნაბიჯით ოთახიდან გავიდა.

— წავალ, მოვაბრუნებ, ბოდიშს მოვიხდი, — გაიფიქრა ეს და კარის სახელურს ხელი წაატანა, მაგრამ ჩქარა ისევ მოუდუნდა ნებისყოფა და დაღლილი მოძრაობით სავარძელში ჩაეშვა.

„საჭიროა სასწაული, რათა შენი ხასიათი შეიცვალოს“ — უთხრა ძმამ და უეცრად მის წინ აჩრდილივით აღიმართა მარინა. მარინა შავი, გამჭრელი თვალებით, სასტიკი მზერით, მუდამ კრიტიკულად განწყობილი და მუდამ იჭვით შეპყრობილი.

— ამაყია, როგორც გვირგვინოსანი დედოფალი და სუფთა, როგორც უბიწო ქალწული. მე მინდა უკეთესი იყო, მე მინდა მაღალი იყო, მაღალი, როგორც ცა!.. — მოაგონდა მისი სიტყვები და საშინლად მოუნდა მისი ნახვა, მისი თვალების შეხედვა, მისი ხმის მოსმენა. საჩქაროდ კარადა გამოაღო, ახალი, მუქი ყავისფერი პალტო ჩამოიღო და სიამოვნებით შეავლო თვალი ასეთივე ფერის პრიალა სარჩულს.

„გერგაძეთა გვარს არ სცმია ასეთი პალტო“, გაიფიქრა ამაყად და სახელოებში ფრთხილად ხელი გაუყარა. ვერცხლისთავიანი ჯოხი კოხტად მარცხენა მკლავზე ჩამოიდო, რამდენჯერმე სარკის წინ შებრუნდა და კმაყოფილი ქუჩაში გავიდა.

* * *

— შენ დაღვრემილი ხარ, ჩემო კარგო, — უთხრა პოლინამ მასთან მისულ ზურაბს.

— მართალია, — მიუგო მან და ჯიბიდან პაპიროსი ამოიღო.

— მიზეზი?!

— ჩემი თავიდან არ გამოდის კედიას უკანასკნელი გამოხედვა და მისი ტრაგიკული სიკვდილი, ასე მგონია, რომ... სიტყვა არც კი დაამთავრა და ნაღვლიანი თვალებით გახედა ქალაქს.

— ჩვენ ყველა დაგვაღონა მისმა სიკვდილმა, ჩემო მეგობარო. მაგრამ პარტიას სხვაგვარად არ შეეძლო მოქცეულიყო.

— მე ამაში დარწმუნებული ვარ, პოლინა, მაგრამ როცა მის კუბოს მივუახლოვდი და დავინახე მის სახეზე ის ღრმა ჭრილობა, რომელიც მიიღო მან დენიკინელებთან ბრძოლის დროს, მე თითქოს შემრცხვა. ერთი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც ეს კაცი დავმარხეთ, მაგრამ ეს გრძნობა ჯერ კიდევ არ იშლება ჩემში.

— თავი დაანებე ამაზე ფიქრს ზურაბ, ნამდვილი კომუნისტი, თავისი პირადი საჭიროებისათვის სახელმწიფო ქონებას არ გაანიავებს და არც თავის დამსახურებაზე ილაპარაკებს, ეს არ შეიძლება, ეს დაუშვებელია და ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ასეთ რამეს არავის ვაპატიებთ. ერთ ბოროტებას, — გაფლანგვას კიდევ მეორე ბოროტება — თვითმკვლელობა დაემატა. ცუდია. მაგრამ რა ვქნათ?..

ზურაბმა ამაზე არაფერი უპასუხა და თამბაქოს ბოლი ერთბაშად ჰაერში აუშვა.

— შენ კიდევ არ ანებებ თავს თამბაქოს წევას?! ხომ იცი რომ სუსტი ფილტვები გაქვს, — და გულისტკივილით ახედა მის ფერმკრთალ სახეს.

— მე წინათ თამბაქოს არ ვწევდი, პოლინა.

— ვიცი, პირველად ამ სამი წლის წინათ მოსწიე ის.

— იმ დღეს, შენგან რომ პირველად უარი მივიღე.

— სხვაგვარად არ შემეძლო მოვქცეულიყავი.

— მე შენ გიყვარვარ, პოლინა, ამაში დარწმუნებული ვარ.

— მე ამას არ უარვყოფ.

— გიყვარვარ და მაინც უარს ამბობ ჩემზე, რატომ?! რატომ?!

— რამდენჯერ მოგიცია ჩემთვის ეს შეკითხვა?

— ბევრჯერ.

— პასუხიც ხომ გახსოვს?!

— მახსოვს, მიზეზად წარსულს ასახელებ, მაგრამ იმდენად ბუნდოვანია შენი პასუხი და ეს წარსულიც, რომ ეს საიდუმლო

მტანჯავს, — სთქვა მან და მაგიდაზე გაშლილი ქაღალდი ხელში აიღო.

— უკეთესია ამაზე ვილაპარაკოთ, — ეს წერილი ჩვენი ჟურნალისათვის გამოგზავნეს და განზე გადავდე.

— რაზეა ლაპარაკი?

— ქალ-ვაჟის ურთიერთობაზე, ეს კაცი უგალობს აღვირახსნილ ცხოვრებას და უარყოფს ყოველგვარ ზნეობრივ კანონებს. ქალი კი მომხრეა ახალი, ჯანსაღი ოჯახის და ისეთი რამ, მისთვის მიუღებელია.

— საჭიროა ახალი კანონები გამოიცეს ამის შესახებ.

— მაგალითად?

— სადაც არ არის სულიერი გაგება, იქ არ უნდა იყოს ფიზიკური სიახლოვე, სადაც არ არის ერთმანეთის დაფასება, ამხანაგური, მეგობრული დამოკიდებულება, არ არის სიყვარული.

— შენ კარგი ხარ, ზურაბ, კეთილშობილი, სუფთა, პატიოსანი, — უთხრა პოლინამ და საშინლად მოესურვა მიფერებოდა მას, მაგრამ თავი შეიკავა და ისევ ქაღალდებს დაუწყო ჩხრეკა.

რამდენიმე წუთის შემდეგ პოლინა წამოდგა.

— ჩვენი საუბარი დასრულდა, ნახვამდის ჩემო მეგობარო, — ამ სიტყვებით პოლინამ მისი ქუდი აიღო და ამხანაგური შეთამაშებით თავზე ჩამოადო.

— შენ ისევ მაგდებ მე, პოლინა?!

— თორმეტი საათია და ჩვენ ორთავეს გვეძინება.

— ნება მომეცი დავიძინო აქ, გეფიცები, რომ მე შენ არც კი მოგიახლოვდები.

— არ მინდა მოვახდინო ასეთი ცდა ზურაბ, და თუ ცოტათი პატივს მცემ, წადი.

— მაშ ერთი თხოვნა მაინც ამისრულე.

— მითხარი რა გინდა.

— ნება მომეცი რომ გაკოცო, ამის იქით ჩემი სურვილები არ წავა და არც გავუშვებ. კარგი, პოლინა?! — ეს სიტყვები ისეთი კილოთი და ისეთი ბავშვური მუდარით იყო თქმული, რომ პოლინამ ვეღარ შეძლო უარის თქმა და თვალდახუჭული მიეცა მის მკლავებს.

დიდი ხნით დაგუბებულმა გრძნობამ ერთბაშად იფეთქა და

ვულკანურად მოვარდნილ ვნების რკალში მომწყვდეულმა ორმა ადამიანმა ველარ მოახერხა თავის შეკავება.

რამდენიმე წუთის შემდეგ, სიკვდილივით გაფითრებული ზურაბი პოლინას წინ იდგა და შეშლილი თვალებით სახეში შეჰყურებდა.

— ზურაბ, — განწირული სულისკვეთებით ამბობს პოლინა და ცდილობს მიუახლოვდეს მას, მაგრამ ზურაბი ხელის კვრით იშორებს ქალს.

— მომისმინე, ზურაბ, შენ ხომ გინდოდა გაგეგო სიმართლე?!

— მე ახლა არაფრის გაგება აღარ მინდა, — ამბობს ის და არეული სახით გარბის ოთახიდან.

მთვარე კი, ეს დინჯი და წყნარი მნათობი, ნელი ცურვით აბნევს ირგვლივ ვერცხლისფერ სხივებს და ცივი მდუმარებით დასცინის ადამიანთა სევდას, მათ სიხარულსა და მწუხარებას.

* * *

პოლინას ბინიდან გამოსული ზურაბი უაზროდ შევარდა თავის ოთახში, კედლიდან სანადირო თოფი ჩამოხსნა და თავისი ძაღლის, ჯეკის თანხლებით გაიჭრა მთებში.

ის მიდის წინ, მიდის სწრაფად, შეუსვენებლად და ამ წუთს მას მხოლოდ ერთი სურვილი ამოძრავებს. გაექცეს ქალაქს, გაექცეს ადამიანებს, ნაცნობ სახეებს და წაიღოს შორს ეს სევდა, ეს აღშფოთება და ის აუტანელი ტკივილები, რომლითაც აევსო გული და რომელმაც ღამის არის გაიტანოს ეს გული.

უეცრად ჯეკის ყეფამ გამოაფხიზლა და თავისი თავი ერთ უღრან და უცნობ ტყეში იხილა.

დიდი, ბომბორა მელია ჯეკიმ წინ გამოიგდო და ზურაბმაც უნებურად მოსწია ჩახმახს, მაგრამ ნადირს ტყვია აცდა და გაკაპასებული ჯეკიც მეტის სისწრაფით გამოედევნა მას.

უეცრად ქარი ამოიჭრა და ცა ღრუბელთა სქელი ფენებით დაიბურა. შორს, აღმოსავლეთის მიმართულებით ცას ელვა გაეკრა და ეს ელვა ზედიზედ განმეორდა.

ახლოს მეხი ჩამოვარდა და ბებერი მუხა შუაზე გააპო.

ზურაბი უაზროდ მოწყდა თავის ადგილს და დაზიანებულ ხის ღრუს სინჯვა დაუწყო.

„კანტი და ენგელსი სულ სხვაგვარად ხსნიდნენ ამ მოვლენას. მაგრამ მეცა მაქვს ჩემი საკუთარი აზრი“, და ზურაბს უნდოდა გაჰყოლოდა ნაფიქრალს, რომ ამ დროს, მასთან მთლიანად გაწუწულმა ჯეკიმ მოირბინა. ზურაბმა ალერსიანად გაუსწორა რკინით ნაჭედი საყელო და მოფერებით თავზე ხელი დაადო.

ჯეკი უკმაყოფილო იყო თავისი პატრონის და ემდუროდა მას იმისათვის, რომ მისი უყურადღებობით ჯეკის ცდამ უქმად ჩაიარა და ისეთი დიდი მელა სამუდამოდ დაეკარგა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მის ალერსს მაინც ალერსით უპასუხა და თავის ჭკვიანი თვალებით თითქოს ასეც შეეკითხა:

— წავიდეთ სახლში თუ განვაგრძოთ ნადირობა?!

— ჯეკ, ჩემო მეგობარო, შენი პატრონი დაიბნა, თუ შეგიძლია გაიყვანე ის ამ ტყიდან, — უთხრა მას ზურაბმა და საათს დახედა. ისარი ათს უჩვენებდა. დროა სამსახურში გამოცხადების, — გაიფიქრა მან და შეწუხდა.

ერთგულმა ძაღლმა თითქოს იგრძნო მიზეზი მისი ასეთი შეწუხებისა და... უცებ დატრიალდა, დატრიალდა წინ, მარჯვნივ, მარცხნივ. მიწა დაყნოსა და შემდეგ გეზი მარჯვენა მიმართულებით აიღო.

ერთი საათის შემდეგ გზატკეცილზე გავიდა და კიდევ ერთი საათის მერე, თავის ოთახში იდგა და დასველებულ ტანსაცმელს იხდიდა.

დაღლილი სხეული თავის ლოგინთან ძლივს მიათრია და უეცრად იგრძნო საშინელი სიცხე, შეწუხება და გამოურკვეველი ტკივილები.

— ანთება ან ტიფი... ჯანდაბას ჩემი თავი, თუგინდ ხოლერაც მოვიდეს, — გაიფიქრა გულგრილად და მისი ნახველი ალისფერი სისხლით აფერადდა.

* * *

— ახლა ხომ უკეთ ხარ, ზურაბ?! — ეკითხება მის სანახავად მოსული მარინა.

— არა მიშავს რა, — გულგრილად ამბობს ის და უხერხულად ათვალიერებს თავის ფერმკრთალ თითებს.

— შეგიძლია მომისმინო?

— რაც მეტყვი ისეთს, რაც მე თვით არ ვიცი.

— პოლინამ ყველაფერი მიამბო, ის არ არის დამნაშავე იმაში. რაშიაც შენ ბრალს სდებ.

— ცოდვად არ მიმაჩნია, თუ ქალს არ შეუნახავს თავისი უმანკოება, მაგრამ აქ სულ სხვა იყო. ის ყოველთვის მარწმუნებდა, რომ არასოდეს არავინ ჰყვარებია და თუ უსიყვარულოდ დანებდა ვინმეს, მით უარესი, ეს ქალს არ ეპატიება.

— რაც ეპატიება მამაკაცს, ის უნდა ეპატიოს ქალსაც და მე მიკვირს, რომ თქვენ გჭირდებათ ამის გახსენება.

პაუზა.

— რამდენი წლისა ხარ, ზურაბ?!

— ოცდათორმეტის.

— რამდენ ქალთან გქონია საქმე ამ ხნის განმავლობაში?

— რატომ მეკითხებით?!.

— ამის უარყოფა არ შეგიძლიათ და ნუთუ თქვენ გიყვარდათ ყველა?!

— რა თქმა უნდა, ყოველთვის სიყვარული არ ყოფილა. მაგრამ...

— შენ ხომ მამაკაცი ხარ, არა?!

— დიახ, მე მამაკაცი ვარ და ამ სიტყვას აქვს თავისი ფიზიოლოგიური გამართლება.

— არავითარი გამართლება, ჩემო კარგო ზურაბ. ჩემის აზრით მამაკაციც ისევე უნდა უფრთხილდებოდეს თავის თავს და ინახავდეს თავის სხეულს, როგორც ქალი და ცუდია, როდესაც ერთ სქესს შესაძლოა ეპატიოს ყველაფერი და მეორეს არაფერი.

— სწორუფლებიანობა ცუდად არ უნდა იქნეს გაგებული, ბუნებას ისე შეუქმნია ქალი, რომ მისთვის სქესობრივ საკითხში მამაკაცური თავისუფლება უხერხულიც არის და დამამცირებელიც.

— ერთი სიტყვა გამოგრჩა, უნდა დაუმატო კიდევ... არა ხელსაყრელი.

— რატომ?!

— იმიტომ, რომ თავდავიწყების მთელი პასუხისმგებლობა და საზოგადოებრივი აზრის სიმძიმე მარტო ქალს აწვება მხრებზე. ეხმარება მას მამაკაცი ამ ტვირთის ზიდვაში?! არა, ის უცოდველი ადამიანივით დადგება განზე და არც კი კითხულობს, რა მოუვიდა ქალს მასთან ურთიერთობის შემდეგ.

სწორუფლებიანობა სქესობრივ საკითხში მამაკაცების სასარგებლოდ წყდება, იჩაგრება ქალი, მხოლოდ ქალი; ასეა ეს, ჩემო ზურაბ და შენ კიდევ ქალებს პირიქით ედავები.

— სადავო არაფერი მაქვს, მაგრამ მე მართალი ვარ, როდესაც ვამბობ: ცოლმა ოჯახი წმინდად უნდა შეინახოს და თავისი ცხოვრებით შვილებს კარგი მაგალითი მისცეს.

— გეთანხმები და არც გეთანხმები.

— ორაზროვანი პასუხია, გამოთქვი უფრო ნათლად.

— არსებობს ქალთა ისეთი კატეგორია, რომელიც ამზადებს თავისთავს იმისათვის, რათა გათხოვდეს და აღზარდოს შვილები; ასეთი ქალი თავისუფალი სიყვარულის იდეას გაეკიდება, თუ მან ეს გააკეთა, ის ვერც ოჯახს შექმნის, ვერც შვილს აღზრდის. მაგრამ არსებობენ კიდევ მეორე ტიპის ქალები, რომლებიც მთელ თავის ახალგაზრდობას, გულს, ენერგიას სწირავენ ან პოლიტიკურ მუშაობას, ან მეცნიერებას, ან ხელოვნებას. უმთავრესი მიზანი მათი სიცოცხლისა არის საქმე, რომელსაც ემსახურებიან. აკეთებენ ისინი ამ საქმეს წარჩინებულად, მამაკაცური ენერგიით, ასეთ ქალს არა აქვს იმის დრო, რომ ოჯახში დაჯდეს, ქმარის კაპრიზები აიტანოს და შვილებს ემსახუროს.

— როგორ?! — ასეთ ქალს არა აქვს უფლება გათხოვდეს?!

— ამ უფლებას მას არავინ ართმევს, თუ შეხვდა შესაფერი წყვილი, ის აიღებს და გაუძღვებს ოჯახური ცხოვრების ტვირთსაც. ხომ არსებობენ ისეთი ქმრებიც, რომლებიც ეხმარებიან ცოლებს, როგორც საზოგადოებრივ მუშაობის დროს, ისე საკუთარი ოჯახის შექმნაშიც. ხომ არიან ისეთი მამაკაცებიც, რომლებიც უყურებენ ქალს, როგორც გასართობ რამეს და სხვედან მათი ცოლები დილიდან საღამომდე დახუჭუჭებული, დავარცხნილი თმით, ჩაცმულნი, მუდამ მაძღარნი, მუდამ ნებიერი და მუდამ... უსაქმურიც. ბავშვი ძიძა ზრდის, სამზარეულოში მზარეული მუშაობს, სარეცხს მრეცხავი რეცხს. ის არის ლამაზი სამკაული ოჯახის, ლამაზი სამკაული ქმრის და მას ამაზე მეტი არაფერი აინტერესებს. მაგრამ, ქალი, რომელსაც აქვს უფრო მაღალი მიზანი, ვიდრე მხოლოდ და მხოლოდ ქალობა, ასეთ ცხოვრებას ვერ აიტანს, ვერც ასეთ ქმარს შეეგუება და იწყება განმარტოებული ცხოვრება.

არსებობენ ისეთი ქალებიც, რომლებიც გულით და ბუნებით სუფთანი არიან, მაგრამ მეტად მოჭარბებული ტემპერამენტი

აქვთ, თუ ამ ტემპერამენტმა გამოსავალი გზა ვერ იპოვა, ეს ცეცხლი ისევ მათ დაწვავს. რას ურჩევდით თქვენ ასეთ ვინმეს?! დაიმახინჯოს თავი და უარყოს ფიზიოლოგიური მოთხოვნილებანი?

— ამ კითხვას შენვე უნდა უპასუხო, საინტერესოა როგორ უდგები ამ საკითხს.

— ჩემი პასუხი ასეთი იქნება. ქალი, რომელსაც აქვს განსაკუთრებული ნიჭი, საზოგადოებრივი მუშაობისა, არა ჰყავს ქმარი და აქვს მაღალი ტემპერამენტი, თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი ტრადიციული შეხედულებებისაგან და მას აქვს უფლება იცხოვროს მამაკაცური ცხოვრებით და მოითხოვოს სწორუფლებიანობა სქესობრივ საკითხშიც. შენ იღიმები, მაშასადამე, არ მეთანხმები.

— მე მინდა გიამბო ერთი ეპიზოდი, ჩემი არც ისე შორეულ წარსულიდან. ეს მოხდა გასულ წელს, მაისის უკანასკნელ რიცხვებში. ჩქარი მატარებლით მოსკოვში მივდივარ, ღამის 12 საათია და, როცა ლოგინი გავიშალე, დავინახე რომ მოპირდაპირე საწოლზე ახალგაზრდა ქალი წევს და ცნობისმოყვარე თვალებით შემომყურებს.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენ შორის საინტერესო საუბარი გაიბა და კიდევ რამდენიმე წუთის შემდეგ ეს ქალი ჩემ გვერდით იწვა, ჩვენ შორის მოხდა ყველაფერი, მიუხედავად იმისა, რომ არც ვიცოდი ვინ იყო ქალი და არავის აზრადაც არ მოუვა გამკიცხოს ამისათვის. მაგრამ შენ, სწორუფლებიანობის მოტრფიალე ქალიშვილო, შეგიძლია მოიქცე ამგვარად და მეორე დღეს თამამად, ამაყად და გაუწითლებლად შეხვიდე იმ დაწესებულებაში, სადაც, როგორც შენ ამბობ, საზოგადოებრივ საქმეს ემსახურები?

— გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს ის ქალი, რომელიც მატარებელში გაცნობილ მამაკაცს ნებდება.

— რატომ?! შენ ხომ ქადაგებ სწორუფლებიანობას... სქესობრივ საკითხშიც?

— არა, ასეთ სწორუფლებიანობას მე არ ვქადაგებ, მე ვამბობ, ქალს შეუძლია იცხოვროს იმ მამაკაცთან, რომელსაც ის იცნობს და რომელიც სხვაზე უფრო მეტად მოსწონს.

— თუ ეს მამაკაცი დაშორდა მას?!

— მეორეს შეხვდება.

— თუ მეორეც წავიდა?!

— მესამესთან იცხოვრებს, მაგრამ ეს ისე კი არ უნდა იქნეს

გაგებული, თითქოს ასეთი ქალები მომხრენი იყვნენ ასეთი ხშირი ცვლისა. რამდენადაც ძლიერია ქალი ინტელექტუალურად, იმდენად ძლიერია მისი განცდაც, ვნება, სიყვარული, მაგრამ როდესაც ეს არ ფასდება მამაკაცის მიერ და ის მაინც გარბის, გაქცეულს არ გაეკიდება, ის ამას არ იკადრებს და არც აქვს სურვილი მოაბრუნოს კვლავ ისეთი ვინმე, რომელსაც არც სიყვარულის შნო აქვს და არც დაფასების უნარი შესწევს.

— კი, მაგრამ თქვენი გულის დავთარში სიყვარული არა სწერია?

— სწერია და სწერია დიდი ასოებით.

— სიტყვა საქმეს არ ეთანხმება.

— რატომ?!

— ადვილად ღალატობთ და ღალატსაც ადვილად იტანთ.

— პირადად მე ჯერ კიდევ არც არავინ მყვარებია. მაგრამ ვინაიდან მე გამოვდივარ დამცველად, ასე გიპასუხებთ: თუ ღალატს ადვილად ვიტანთ, ჩემის აზრით, ეს ჩვენ სულიერ სიმაგრეს ამჟღავნებს, ვღალატობთ კი ისეთ ვინმეს, რომელმაც ვერ მოახერხა ჩვენი დაინტერესება და ვერ აღძრა სურვილი იმისა, რომ მის გვერდით ხანგრძლივად შევჩერდეთ. არასოდეს არც ერთი ქალი, როგორი დიდი ტემპერამენტის პატრონიც არ უნდა იყოს, ის არ უღალატებს მამაკაცს, თუ ეს მამაცი ჯანსაღი და ძლიერია, როგორც ფიზიკურად, ისე ინტელექტუალურად, თუ აქვს მას კეთილშობილი გული და უყვარს ღრმა, გულწრფელი სიყვარულით თავისი ოჯახი.

— გარწმუნებ, მამაკაცს, ქალის ღალატი არ ასცდება, რა ტიპისაც არ უნდა იყოს იგი.

— მე კიდევ პირიქით ვფიქრობ, თუ ჩემი არ გჯერა, შეგიძლია გადახედო საანკეტო ფურცლებს, შენ, ალბათ, არ იცი რამდენი ცრემლი იღვრება სასამართლოს ვრცელ დერეფნებში და რამდენი ქალი, მარტოდმარტო მიათრევს ტვირთს, ტვირთს მშობლიური მოვალეობისას. წინათ, ბურჟუაზიული წყობილების დროს, ორი მორალი არსებობდა, ერთი ქალისთვის, მეორე მამაკაცისთვის და როდესაც ზოგიერთი მამაკაცის მსჯელობას ვუგდებ ყურს, ასე მგონია, რომ ჩვენ ისევ ამ მორალს ვუბრუნდებით.

— არა, ეს...

— დამაცადე, მომეცი საშუალება დაუფარავად გადმოგცე ჩე-

ში აზრი, არ მინდა ფიქრობდე, რომ ვითომც მე ვიცავ ქალებს, რომლებიც ღალატობენ ქმრებს. ქალი, რომელმაც იცის, რა არის ოჯახი და ესმის მისი მნიშვნელობა, ამგვარად არც მოიქცევა. მე ვკიცხავ იმ ქალს, რომელიც შეგნებულად რყვნის თავის თავს და ღალატობს ქმარს, ისე, თავის შექცევის მიზნით, მაგრამ მოხდება იშვიათად, რომ ქმრიან და სრულიად გაურყვნელ ქალს შეუყვარდება ვინმე. ამ ღალატს ღრმა ფსიქოლოგიური მიზეზი უდევს საფუძვლად, ალბათ ქმარი არ შეხვდა შესაფერი, ვერ გაიგო როგორც ადამიანი, ვერ შეარხია როგორც ქალი.

— ასეთ შემთხვევაში, ქალს უფლება აქვს დაშორდეს ქმარს.

— და ისიც შორდება.

— შენ გინდა დააკანონო ეს?!

— მე არაფერსაც არ ვაკანონებ, არც ბედნიერებად ვთვლი, როცა ქალს ჰყავს ქმარი და ამავე დროს უყვარს მეორე მამაკაცი. მე ვუყურებ ამას ისე, როგორც ცხოვრების ტრაგედიას და ვამბობ, თუ ჩვენ, ქალები, ვალდებული ვართ შევურიგდეთ თქვენს შეცდომებს, ცოდვებს, დიდ ღალატს, კეთილ ინებეთ და თქვენც, მამაკაცებმაც ისწავლეთ პატიება და შეხედეთ დიდსულოვანი ადამიანის თვალებით იმ ქალს, რომელიც იქნება კიდეც ღალატობდეს ქმარს, მაგრამ ამავე დროს ღრმა გულისტკივილით, სინანულით იყოს გამსჭვალული. პირადად მე არ შემიძლია ასეთი ქალები გავკიცხო, მაგრამ ყველა ხომ ჩემსავით არ აზროვნებს. საბრალო ქალი, მას ბუნება აჩაგრავს, ქმარ-შვილი ავიწროებს, საზოგადოებრივი აზრი თავს ესხმის, რომელ ერთს გაუძლოს, ან რომელი ერთი მოიგერიოს?!

შეიძლება ვაპატიოთ ღალატი როგორც მამაკაცს, ისე ქალსაც, თუ ამ ღალატს სიყვარული ან დიდი გატაცება უდევს საფუძვლად.

— ჩვენ ვებრძვით დახავსებულ ბურჟუაზიულ ადათებს, მაგრამ ასე ჩქარა, ადამიანის ფსიქიური განცდა არ გარდაიქმნება.

— ჰოდა ამ თქვენმა „ფსიქიურმა განცდამ" შეურაცხყოფა მიაყენა მშვენიერ ადამიანს... შენ იცი რას ფიქრობს და რას გრძნობს ამჟამად პოლინა?!

— რას?! — იკითხა მან შეშფოთებული ხმით.

— მას ჩემთვის არ დაუვალებია ყველაფერი გადმოგცეთ თქვენ, ალბათ, ისევ შეხვდებით ერთმანეთს და მაშინ...

— ორი კვირაა რაც ვწევარ და ამ ხნის განმავლობაში არც კი მოინახულა ის კაცი, რომლის სიყვარულშიც ის დარწმუნებულია.

—მას ეს დღეს არ სჯერა, ზურაბ, ის ამბობს: ჩემს თავს დამნაშავედ არა ვთვლი და არც ვალდებული ვარ ბოდიში მოვიხადო მის წინაშე. თუ მართლა ვუყვარდი, ჩემი სულიერი ტანჯვაც უნდა შეეგრძნო, თანაგრძნობით უნდა შეეხედა ჩემთვის და მოესმინა ის აღსარება, რომლის თქმას მასთან წლობით გავურბოდიო.

— სთხოვე მას, ჩემ მაგიერ... მოვიდეს ჩემთან...

— შენ ადამიანი ხარ, ზურაბ, და გქონდა უფლება გწყენოდა ასეთი რამ, მაგრამ შენ ხომ არ იცი სად, როგორ და რა პირობებში მოხდა ყველაფერი ეს?! შენ მართალი და კეთილშობილი კაცი ხარ და, ალბათ, იგრძნობ იმ ტრაღიზმის სიმძიმეს, რომელსაც ატარებდა გულით პოლინა და რომელიც ამ უკანასკნელ დღეებში კიდევ უფრო დაამძიმებდა.

ამ სიტყვებით მან დასტოვა ის და ზურაბიც ბუნდოვან და გამოურკვეველ ფიქრების რკალში მოექცა.

* * *

კარებთან მცირე ხნით შედგა, მაგრამ როცა ავადმყოფი, ფერმკრთალი ზურაბი დაინახა, ადგილიდან ერთბაშად მოწყდა და მისი ლოგინის წინ შეჩერდა.

— დაჯექი პოლინა, — უთხრა მას ზურაბმა დაღლილი ხმით და შეეცადა არ შეემჩნევინებინა მისთვის ის ჯანღი, რომელიც მის თვალებში იწვა და რომელიც მის სახეს ჩრდილავდა. პოლინამ თავი დახარა.

— მე არავისთვის მიმიცია არც ჩემი სიქალწულე და არც ჩემი ქალობა. მე წამართვეს ის, წამართვეს ძალით და ვერაგულად.

ზურაბი გაფითრდა და მის სხეულზე თითქოს ჭიანჭველებმა დაიწყეს სიარული.

— ეს მოხდა მოსკოვში ჩასვლის პირველ წელს. მე გავეცანი იქ სტუდენტების, ქალთა და ვაჟთა ერთ ჯგუფს, რომლებიც მუშაობდნენ არალეგალურად. მეც მივედი მათთან და დავიწყე ფარულ კრებებზე სიარული. ენერგიით სავსე ახალგაზრდები გატაცებით აკეთებდნენ საკაცობრიო საქმეს, მაგრამ გამოუცდელები ვიყავით, ვერ ვახერხებდით თავის დაფარვას და ვვარდებოდით ჯაშუშების მიერ დაგებულ ხაფანგში. ამხანაგ ქალებში ერთი პოლონელი ქალი ძალზე მიყვარდა. ერთ დღეს სწორედ ეს ამხანაგი ქალი დაიჭი-

რეს ჟანდარმებმა ქუჩაში. ბინა გაუჩხრიკეს და აღმოუჩინეს რამ-დენიმე აკრძალული ბროშურა. ძალიან შემაწუხა ამ ამბავმა და მაშინვე წავედი თხოვნით ერთ-ერთ მოხელესთან, რომელსაც შეეძლო მისი განთავისუფლება. როცა კაბინეტის კარები შევაღე, შიშმა ამიტანა, ისეთი მახინჯი არაფერი მენახა, იჯდა ეს მელოტი კაცი, უზარმაზარი მუცლით და გადმობრუნებული ტუჩებით, იჯდა ფართო სავარძელში და სათვალეებზემოდან უცქეროდა მასთან მისულ მთხოვნელებს.

— მობრძანდით, — მითხრა მან, როცა დაინახა რომ კარებთან შევჩერდი, — თქვენ ქართველი ხართ?

— დიახ... — მივუგე მე და შევეცადე არ შეემჩნია ჩემ სახეზე ის ზიზღი, რომელიც აღიძრა ჩემში მის დანახვაზე.

— რით შემიძლია გემსახუროთ, კოლხეთის მშვენიერო ასულო?!. — ამ სიტყვებით სკამზე მანიშნა და თავიდან ფეხებამდე ამათვალიერა.

მე მოკლედ ავუხსენი საქმის ვითარება.

— როგორც ჩანს დიდი დამნაშავე არ უნდა იყოს, აკრძალული ბროშურები შემთხვევითაც შეიძლება მოხდეს ადამიანის ბინაზე. ხვალ საღამოს შვიდ საათზე შემოდით ჩემთან და ვეცდები გაგინ-თავისუფლოთ ამხანაგი. ამას იმიტომ გპირდებით, რომ საქართველოში მიცხოვრია და ქართველი ქალები მომწონს.

ეს უკანასკნელი სიტყვები ისეთი კილოთი სთქვა და ისე ცინი-კურად დამადგა თვალი, რომ გავწითლდი კიდეც, მაგრამ პასუხით ვაინც კმაყოფილი დავრჩი.

იმდენად ახალგაზრდა და იმდენად გამოუცდელი ვიყავი, რომ ვერ მივხვდი, რა იყო მისი ასეთი თავაზიანობის მიზეზი და მეორე დღეს ისევ მივედი მასთან. იმავე კაბინეტში მიმიღო, კარები ჩა-კეტა და მითხრა, თუ რა ფასით შემეძლო დამეხსნა ამხანაგი. აღვ-შფოთდი, ასეთ სამარცხვინო წინადადებაზე უარით ვუპასუხე და მოვითხოვე კარები გაეღო, ამის ნაცვლად ხელები შემიკრა და... — შეჩერდა, ტუჩები ნერვიულად აუთრთოლდა და წარსულის შავი აჩრდილები მის თვალებში საფრთხობელასავით აღიმართა.

— შემდეგ?!.

— ბრძოლამ დამქანცა, მომერია და მთელი ღამის განმავლობა-ში მაწამა. როცა გრძნობა დამიბრუნდა, ჩემს ოთახში ვიწექი და თავზე ჩემგან ასეთი ფასით განთავისუფლებული ამხანაგი მედგა.

სამი თვე ვიავადმყოფე და როცა ავდექი, ახალი უბედურება დამატყდა, ფეხმძიმედ ვიყავი. მინდოდა ხელით გამომეგლიჯა მუცელი და ის ნაყოფი, რომელიც გველივით მძულდა, მაგრამ ერთმა ექიმმა ქალმა გამანთავისუფლა ამ საშინელებისაგან და მეც გადავწყვიტე აღარ გავთხოვილიყავი და სრულიად მიეცემოდი იმ საქმეს, რომელიც ყველაზე მეტად საჭიროდ მიმაჩნდა შურისძიებისათვის და თავისუფლებისათვის, მაგრამ შენ არ გინდოდა მოგესმინა ჩემთვის... — უიმედოდ დაამთავრა მან და დაღლილი წამწამები ყორნის ფრთებივით დაკეცა.

ზურაბი წამოდგა, ტუჩებით შეეხო მის შუბლს და მისი თვალებიდან მოწყვეტილი ორი დიდი ცრემლი, ნაკვერჩხლებივით დაეცა პოლინას სახეს.

— ჩემო საბრალო მეგობარო, აპატიებ ზურაბს იმ შეწუხებას, რომელიც დაუმსახურებლად მოგაყენა?!

— შენ მართალი ხარ, ზურაბ, ამის დავიწყება არ შეიძლება. არც მე შემიძლია ის დავივიწყო და ამიტომ არ იყო საჭირო ჩვენი დაახლოება.

— ნუთუ ჩემი სიყვარული იმდენად უმნიშვნელოა, რომ ის ვერ დაგავიწყებს განვლილ მწუხარებას?! ჩემი ჯანმრთელობა მოითხოვს აღდგენას და მეც ამ მიზნით რამდენიმე თვით წავალ სადმე. მაგრამ, როდესაც იქიდან დავბრუნდები, შენ უნდა აღმითქვა, რომ გახდები ჩემი ცოლი, ჩემი ამხანაგი და მეგობარი. მპირდები ამას, პოლინა?!.. — ამბობს ის და ნაზად უალერსებს მის თმებს, სახეს.

— კარგი ძვირფასო, მე შევასრულებ შენს სურვილს, — ამ სიტყვებით ის ჰკოცნის მის შუბლს, გულს, თვალებს და ბედნიერი ფიქრებით აღვსილი მიეშურება სახლში, რათა დაისვენოს და პირველად დაიძინოს უშფოთველი ძილით, რომ უფრო დიდი ენერგიით დაუბრუნდეს ყოველდღიურ მუშაობას.

* * *

კარებთან ანატოლი შეეფეთა:

— აი, თქვენი სურათი, მარინა, აბა შემოხედეთ?!

ამ სიტყვებით შემოიტანა ტილო და ოთახში მეორე მარინა აღიმართა. მარინა, რომლის თვითეული ნაკვთი ამეტყველებული იყო

ჰფეთქავი სულით და მის თვალთაგან დაფრქვეული შუქი მზესავით ანათებდა.

— ეს მე ვარ?! ნუთუ ასეთი კარგი ვარ, ანატოლი? მე ეს არ ვიცოდი, — აღტაცებით იმეორებს ის და თვალს არ აშორებს ტილოზე გაკრულ ადამიანს, ტილოზე გაკრულ ორეულს.

— ოხ, თქვენ ისიც არ იცით, თუ რამდენი ღამე გავათიე მის წინ... არ იცით, რამდენი ვეწამე. ბავშვი ვიყავი, მიყვარდით და შეუძლებელზე ვვოცნებობდი. დღეს კი უკვე ვაჟკაცი ვარ, ნუ.. ნუ შეკრავთ წარბებს, მარინა, მომისმინეთ.

— ანატოლი, შენ გავიწყდება ვის ელაპარაკები.

— ადამიანს, რომელმაც შემასწავლა ხელოვნების სიყვარული, რომელმაც დამიხსნა საშინელი მომავლისაგან და რამდენად დიდია მისი ღვაწლი, იმდენად დიდია ჩემი სიყვარული მისდამი. მე მოვკვდები, ერთხელ მაინც რომ არ ვიგრძნო აქ, ჩემს ახლოს, არ გიგრძნო აი ასე... ამ სიტყვებით ხელი დაავლო მას და ისეთი გიჟური გატაცებით მოეხვია, რომ ქალის სხეულს ცეცხლი წაეკიდა და წუთით თითქოს აზროვნების უნარი წაერთვა, მაგრამ ჩქარა გონს მოვიდა და აღშფოთებით ხელი ჰკრა აღელვებულ მამაკაცს.

— გასწი აქედან, ახლავე, ამავე წამს, — ამბობს მარინა ანთებული სახით და ანატოლის კარებზე უთითებს.

— ნუ გამაგდებ, მარინა, მე ხომ მიყვარხარ შენ.

— მე რომ არ მიყვარხარ, მე რომ მეჯავრები?!

— სტყუი, შენი სხეული უპასუხოდ არ ტოვებდა ჩემ შეხებას. ის იღვენთებოდა ჩემ მკლავებში, ის ეკვროდა ჩემ მკერდს და ახლაც, ახლაც შენ თრთი, თრთი აღელვებისაგან, ჩამოიგლიჯე ეს პირბადე და მეჩვენე, მეჩვენე შენი ნამდვილი სახით.

— აი, ჩემი სახე, — და მან სურათზე მიუთითა.

— არა, შენ არ გავხარ მას ახლა. ამ წუთში შენში იწვის ქალი მთელი ვულკანური გზნებით.

— აგზნება სიყვარული არ არის.

— გზნება ანსახიერებს სიყვარულს, აცოცხლებს მას. სიყვარული უვნებო, ეს ამომშრალი აუზია, რომელსაც არ მიუახლოვდება არც ერთი მოწყურებული ადამიანი. ნუ მკრავ ხელს, ნუ უარყოფ ჩემს ახალგაზრდობას, ვიცოცხლოთ ლამაზი სიცოცხლით და დავიწვათ სიყვარულის გიჟური ექსტაზით.

ის თავისი ახალგაზრდა, ჯანსაღი სხეულით, აფეთქებული ტემ-

პერამენტით და გულწრფელი აღსარებით იმდენად მიმზიდველი ჩანდა, რომ მარინა მისმა სიახლოვემ შეაშინა.

— მე მიყვარს სხვა, გესმის? სხვა მიყვარს...

— დიტო? ის არასოდეს...

— მე დიტოზე არ ვლაპარაკობ. — ამ სიტყვებით ფანჯარა გამოაღო და საღამოს გრილ ნიავს სახე მიაგება.

გვიანი შემოდგომის სევდიანი დღე იყო და ეს სევდა ოთახში ნიავთან ერთად შემოიჭრა.

ანატოლი ერთბაშად ჩაქრა, უაზროდ-თმები უკან გადაიყარა და ორეული ნაბიჯით კარებისაკენ გაემართა.

— ანატოლი!!

— რა გნებავთ, თქვენ სხვა გიყვართ, — წარმოთქვა მან და გარინდებული სახით და გაყინული თვალებით შეაჩერდა.

მარინა შეაშინა მისი სახის გამომეტყველებამ, მიირბინა მასთან და მის ხელებს ბავშვივით მოეფერა.

— დამშვიდდი, ანატოლი, დარჩი კიდევ ცოტა ხანს, ჩვენ ხომ ისევ მეგობრები ვართ?!

— გმადლობთ, მაგრამ მე უნდა წავიდე, — მიუგო მან. მარინას სიტყვებმა მასზე ვერაფერი გავლენა ვერ მოახდინა.

— სად მიდიხარ ეხლა?!

— ქუჩაში, — მოუჭრა მოკლედ და კარები საჩქაროდ გამოაღო. გასვლისას ერთხელ კიდევ მოხედა მას და მის თვალებში ჩაწოლილი ჯანღი გარედან შემოჭრილმა შუქმა ერთბაშად გაანათა.

კარები დაიხურა.

* * *

„სრულიად გავჯანსაღდი, მოუთმენლად მოველი იმ დღეს, როდესაც ისევ დავუბრუნდები თბილისს, ჩემს პოლინას და პარტიულ მუშაობას“. ასე ეწერა ზურაბის სოხუმიდან გამოგზავნილ უკანასკნელ ბარათში. ამ წერილს ის თითქოს თანვე გამოჰყვა და მოულოდნელად წარსდგა პოლინას წინაშე.

პოლიტიკურ ასპარეზზე ენერგიულად მომუშავე პარტიული ქალი ნაზი და მოსიყვარულე ცოლი შეიქნა ზურაბის და ისიც აფასებდა თავის იშვიათ მეგობარს.

— პოლინა, შენ ახლა ათასჯერ უკეთესი ხარ, ვიდრე იყავი წი-

ნათ. —უთხრა მას ერთხელ ზურაბმა და მის ანთებულ თვალებს ტუჩებით შეეხო.

— ეს იმიტომ, რომ შეყვარებული ვარ.

— ვინ უყვარს ნეტავი, პოლინას?!

— ვითომც არ იცოდე!!!

— არ ვიცი, — ეუბნება ისიც ცუღლუტი ღიმილით და მის სახეს კოცნით ფარავს.

ვილაცამ ზარი დარეკა და აცელქებული ცოლ-ქმარიც დადინჯდა. კარებში მარინა ალიმართა.

* * *

მათ ოთახში ქარივით შეჭრილი მარინა, ცოლ-ქმარს შუაში ჩაუჯდა და მარცხენა ხელით პოლინას მოეფერა, მარჯვენათი ზურაბს.

ზურაბმა თავი მისკენ მიიბრუნა, პოლინამაც გაზეთებს ხელი უშვა, რომ უფრო კარგად მოესმინა ის, რასაც იტყოდა მისი ჭირვეული მეგობარი.

— ამას წინათ ეკრანზე პუშკინს და მისი დროის დიდ ადამიანებს უჩვენებდნენ, წავედით მე და ჩემი ნათესავი ქალიშვილი, თვით პუშკინზე არაფერს ვიტყვი და არ ვიტყვი იმიტომ, რომ თუ ამ კაცზე ლაპარაკი დავიწყე, ის ადრე არ გათავდება, ვიტყვი მხოლოდ შემდეგს, რატომ არის, რომ საზოგადოება არასოდეს არ უფრთხილდება ისეთ ადამიანებს, რომელი ადამიანებიც სახელი და დიდებაა თავისი ერისა?!

რუსეთში ათასიოდე კაცი ერთ დღეს რომ დახოცილიყო, ამით მრავალმილიონიან ქვეყანას არაფერი დააკლდებოდა, მაგრამ მოკლეს პუშკინი და ლერმონტოვი და გაიყინა იმდროინდელი ლიტერატურა, ისინი ხომ ისეთი ადამიანები არ იყვნენ, მილიონობით რომ იბადებიან ყოველწლიურად?!

სასახლეები უნდა აეშენებინათ მათთვის, მცველები უნდა დაეყენებინათ, რომ ბოროტი განზრახვით მოწამლული მტერი არ მიეშვათ მათ სამფლობელოში. ყოველთვის, როდესაც მათზე ვფიქრობ, სინანული მიპყრობს და ვამბობ: რა უდროოდ დაიღუპა ეს ორი დიდი ადამიანი და ეს რომ ასე არ მომხდარიყო, რამდენ უკვდავ ნაწარმოებს დაუტოვებდნენ კაცობრიობას-მეთქი.

— სწორია, მაგრამ ესენინისა და მაიაკოვსკის შესახებ რას იტყვი?

— მათთვის შეიქმნა ტრაგიკული მდგომარეობა და ისინი დაიღუპნენ.

— შენ ისე სწორად იცი დიაგნოზის დასმა. მიზეზი?!

— წარმოშობა, აღზრდა, წრე, ამ უკანასკნელს ყველაზე დიდ მნიშვნელობას ვაძლევ. თუ ადამიანი წლობით შეჩვეულ მდგომარეობიდან გამოვიდა, ცხოვრების მიმდინარეობა მას უგზო-უკვლოდ გაიტაცებს და გრიგალივით დაატრიალებს. რამ დაამაგროს? ფეხქვეშ ნიადაგი გამოცლილი აქვს და ისიც ქანაობს, იქანავებს მანამდე, ვიდრე არ წაიქცევა.

ავიღოთ ესენინი.

ეს გაარისტოკრატებული, მაგრამ ნიჭიერი და სათუთი განცდის პოეტი, მან ჯერ დუნკანთან ერთად იფრინა ევროპის სხვადასხვა ქალაქებში. შემდეგ გრაფის ქალი შეირთო ცოლად და კიდევ შემდეგ, შეეცადა, რომ სამშობლო ქვეყნის ღირსეულ მოქალაქედ გამოეცხადებინა თავი. შეეცადა, მაგრამ ემძიმა რკინა და ჩაქუჩი. მან გადახედა რევოლუციის ცეცხლში გამოწრთობილ ადამიანების მდევურ ნაბიჯებს და სურვილი აღეძრა რომ: „Подняв штани бежать за комсомолом“. შარვალიც აიწია, რამდენიმე ნახტომიც გააკეთა, მაგრამ ამაოდ, ის ახალ ადამიანებს ვერ დაეწია და უკან ჩამორჩენილმა პოეტმა საკუთარი თვალით გაზომა სიღრმე მწუხარებისა.

— მაიაკოვსკი?!

— მაიაკოვსკი ესენინზე უფრო მაგარი ნებისყოფის კაცი იყო. მან მიაფურთხა წარსულს, რომ გაჰყოლოდა ახალს და გაჰყვა კიდეც. სდია ამ ახალს ფეხდაფეხ, სდია საქმით, სიტყვით, ლექსებითა და პოემებით.

დათვივით დატორა ფერმკრთალი ყვავილები ლირიული პოეზიისა. დადგა რევოლუციის ბარიკადებზე, მთელი თავისი გულით, ფილტვებით, ამოსუნთქვით და თავისი პოემა „მთელი ხმით“ კაცობრიობას შუშასავით თავზე გადმოამსხვრია.

ცუდია, როდესაც ხელოვანი, ეს ცეცხლი და გრიგალი, ჭურჭელი პოეტური სახეებისა და სალარო ძვირფასი და იშვიათი საგანძურისა არ უფრთხილდება საკუთარ თავს და საკუთარი ხელით სპობს და ანადგურებს იმ განუზომელ სიმდიდრეს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში (არაწვრილფეხა პოეტებს ვგულისხმობ) მხოლოდ ერთ ადამიანს, მხოლოდ ერთხელ მიენიჭება. მაგრამ... თუ სხვა გზა არ არის?!

— გზები არსებობენ, მაგრამ ეს გზები თითონ არ მოვლენ ადამიანთან. საჭიროა მოინახოს ისინი.

— იცი, რას გეტყვი, პოლინა?!. არიან ადამიანები, რომლებსაც არაფერი აინტერესებთ გარდა საკუთარი თავისა, მაგრამ ჩნდება ნიჭიერი ადამიანი, ტვინის განსაკუთრებული უჯრედებით. დედის მუცლიდან მისდევს თან მთელი ლაშქარი სახეებისა და იდეებისა, მთელი თავისი გულისყურით, აზრით, გონებით, სულისკვეთებით მიისწრაფვის ის ერთი მიმართულებით, ერთი გზით და ის ისეა გათქვეფილი და გაშლილი ამ იდეებში, რომ უსიკვდილოდ ამ მიზანს ვერ მოშორდება.

უეცრად საათმა შვიდჯერ დაჰკრა.

— ხედავთ, მთელი ორი საათია, რაც თქვენთან ვზივარ, რვაზე ლექციაზე უნდა ვიყო.

— ჩვენც სხდომაზე ვაპირებთ, მაგრამ იქამდე კიდევ მთელი საათია.

— ახლა კი ჩქარა დავამთავრებ ჩემს თხრობას, ხომ გახსოვთ პუშკინზე ვლაპარაკობდი. ამ სურათში ბევრი სახის აღნიშვნა შეიძლებოდა, მაგრამ მე მხოლოდ ერთი მინდა დავასახელო, ერთი, რომელსაც კავშირი აქვს ჩემ შემთხვევასთან.

მაგალითად ეს არის ბელინსკი.

იცით, როგორ გამიხარდა ამ კაცმა ეკრანიდან რომ შემომხედა? ეს დიდებული, დიდი ადამიანი, რომლის სტრიქონები ჩემს სულში მარგალიტის მძივებივით ხმაურობენ და რომელსაც არა ჰყავს ბადალი მსოფლიოში.

ის დგას და მის სახეს სინათლე ადგია.

აღტაცებულია პუშკინისა და ლერმონტოვის ნიჭით და ლაპარაკობს ამ ნიჭზე. დროდადრო ხველება აუტყდება, ტუჩებთან ცხვირსახოცი მიაქვს და მისი პატარა, ჭლექისაგან დალეული სხეული, ტკივილებისაგან იკუმშება.

მე პირდაპირ ვერ გავუძელი ამ სანახაობას, ასე მეგონა, რომ ჩემი საკუთარი გულის ძარღვები წყდებოდენ.

— ბელინსკი, ბელინსკი, — გაისმა აქა-იქ.

— ვინ არის ბელინსკი? — მეკითხება ნათესავი გოგონა, რომელმაც წელს დაამთავრა საშუალო სასწავლებელი.

მე, რასაკვირველია, ავუხსენი ვინც იყო, მაგრამ როდესაც იქედან გამოვედი, საკტიკად გავკიცხე ამისათვის.

— ბელინსკი არ იცი, პუშკინი და ლერმონტოვი არ წაგიკითხავს, ტოლსტოი, ტურგენევი, გონჩაროვი უცხონი არიან შენთვის. თანამედროვე რუსი მწერლების ნაწარმოებნი კი ალბათ, თვალითაც არ გინახავს.

აბა ვინ იცი? მარტო აკაკი, ან მარტო ილია?!

შერცხვა, მაგრამ თავი მაინც იმართლა.

— სახელმძღვანელოებში საუკეთესო მწერლები უმნიშვნელო ნაგლეჯებით არიან წარმოდგენილი. მწერალი რომ გაიგო, მის სულიერ ამბებს რომ ჩაწვდე, ერთ-ერთი მისი მთლიანი ნაწარმოები მაინც უნდა გქონდეს შესწავლილი. ბელინსკის შესახებ სკოლაში არაფერი უთქვამთ. ჩემი დედ-მამა სამსახურსა და ოჯახურ საქმიანობას არის გადაყოლილი და ჩემთან ლიტერატურაზე არ საუბრობენ, თუმცა მომზადებითა და განვითარებით ზოგიერთ ჩემ მასწავლებელს სჯობიან კიდეც. რა ვქნა, აბა რა ჩემი ბრალია თუ არავინ არაფერს მასწავლის? და მართლაც, რა მისი ბრალია ეს?!

* * *

ზზე აღარ ჩანდა, ჟინჟლავდა და შემოდგომის სუსხიანი ქარიც საგრძნობლად ქროდა.

პალტოს საყელო ზევით აიწია და ჩქარი ნაბიჯით სახლისაკენ წავიდა. ოთახში რომ შევიდა, უჩვეულო შეცივება იგრძნო და ორივე გვერდში ისე მძაფრად დაარტყა ჭვალმა, რომ სულის ამოთქმა გაუძნელდა და ტკივილებისაგან ლოგინზე ჩაიკეცა.

მოწვეულმა ექიმმა ფილტვების ანთება აღმოაჩინა.

პოლინამ შვებულება აიღო და მის ოთახში გადმოსახლდა. ექიმის თანაშემწე ქალი დაიქირავა, უბნის ექიმი მოხუცმა პროფესორმა შეცვალა, მაგრამ ავადმყოფობამ მაინც მაგრად მოჰკიდა ხელი და მისმა მდგომარეობამ მისი მეგობრები ძალზე დააფიქრა.

თითონ მარინა პირველ ოთხ დღეს მეტისმეტად სწუხდა, ბორგავდა, წამდაუწუმ წყალს თხოულობდა.

მეხუთე დღეს ცნობიერება დაეკარგა და ბურანში ჩავარდნილი ავადმყოფი ტკივილებს თითქმის აღარც კი გრძნობდა. თვალებდახუჭული პირაღმა იწვა და გაორებული სულით უცნობ სამყაროში დადიოდა.

უცხო ყვავილები, მთის კალთებზე შეფრქვეული, აბრეშუმის ფერად ხალიჩებად იშლებოდა მის ფეხებქვეშ და ნისლის თეთრი, მსუბუქი ნაფლეთები თეთრი მანდილებივით ეკიდა აქა-იქ.

ყველაზე მეტად ჩანჩქერი იზიდავდა. ჩანჩქერი, ბროლის ნაკადულებს შუშასავით რომ ამსხვრევდა.

ახ, რა ძალიან ენატრებოდა მარინას მისულიყო ამ ჩანჩქერთან, სიცხიანი ტუჩებით დასწაფებოდა მას და ერთი მოსმით შეესვა ეს ცივი, დარხეული ზვირთები.

უეცრად ჩვენება იცვლება.

ღამეა.

ჰაერში ციცინათელები დაფრინავენ. სადღაც, შორს, უკრავს მუსიკა და ეს ბგერები ნიავის ფრთებით მოფრინდნენ მასთან, ერთბაშად მის წინ აღიმართა უზარმაზარი ტანის, შავებით მოსილი მანდილოსანი. ხელში სასწორი უჭირავს და ამ სასწორზე დებს მარინას.

სასწორი ქანაობს: მარჯვნიდან მარცხნივ, მარცხნიდან მარჯვნივ და ასე სულ.

მარცხნივ — ჩაშავებული პირღია უფსკრულია.

მარჯვნივ — ყვავილოვანი წალკოტი.

ქალის სხეულს უნებური თრთოლა შეიპყრობს, როდესაც სასწორი მარცხნივ გადიხრება ხოლმე.

აღარ ახსოვს რამდენ ხანს გაგრძელდა ეს წამება, მაგრამ უეცრად ტვირთი მარჯვენა მხრით საგრძნობლად ჩაიდრიკა.

სასწორი განთავისუფლდა.

შავებიანი მანდილოსანი სადღაც გაქრა.

მარინამ თვალები გააღო.

მოხუცი პროფესორი მის სასთუმალთან ზის და ითვლის მის მაჯისცემას.

პოლინა მის ლოგინთან დგას, გაფითრებული სახით დაჰყურებს მას. მარინამ ბავშვივით გაუღიმა ჯერ პოლინას, შემდეგ პროფესორს და კიდევ მომვლელ ქალს.

სამივეს გულიდან შვებისა და სიხარულის ოხვრა აღმოხდა. მაგრამ პოლინას სიხარული სხვების სიხარულს არა ჰგავდა. მთელი კვირის მწუხარება, შიში და ეევდა ამ უეცარმა სიხარულმა სრულიად წალეკა და თავის დასუსტებულ მეგობარს რამდენჯერმ ნაზად აკოცა.

— კრიზისი გადატანილია, ხომ ვამბობდი, რომ ჩემ ავადმყოფს მაგარი ორგანიზმი აქვს და სიკვდილს ასე ადვილად არ დანებდებამეთქი, — თქვა პროფესორმა მხიარულად და მამასავით თავზე ხელი გადაუსვა.

— მე თქვენი დიდი, დიდი მადლობელი ვარ და მე თქვენ უნდა გიმადლოდეთ, თუ დღეს ჩემი მეგობარი ცოცხალი მყავს,—უთხრა პოლინამ მოხუც პროფესორს და ორივე ხელი მადლობით ჩამოართვა.

— ეს სახელგანთქმული პროფესორი ჰანრი, ვინ მოიყვანა ჩემთან, პოლინა?! — იკითხა მარინამ, როცა პროფესორი ოთახიდან გავიდა.

— ის მოვიდა თვითონ შენ სანახავად და გმკურნალობდა სრულიად უსასყიდლოდ: „ეს ქალი ჩემი უნიკიერესი სტუდენტია, რომლის კარგი მომავალი მე უსათუოდ მწამსო", — მითხრა მან.

— ჩემი ძვირფასი, ჩემი კეთილი პროფესორი, რითი დავიმსახურე ნეტავი ასეთი ყურადღება?! — თქვა მარინამ სათუთი ღიმილით და თვალებში სიცოცხლე ჩაუდგა.

— ახლა ბულიონი გავათბოთ, კარგი? — ეკითხება პოლინა.

— გაათბე, მე მგონია რომ... მშია.

— უნდა ვახარო ეს ამბავი ზურაბს, ძალიან შეწუხებულია საბრალო, — ამ სიტყვებით პოლინა ტელეფონთან მიდის და ნომრებს კრეფს.

— ალლო, შენ?!

— ცუდი არაფერი მითხრა, პოლინა... გესმის? ცუდი არაფერი მითხრა, — ისმის მისი შემკრთალი ხმა.

— მახარობელი ვარ, ზურაბ, ჩვენი მარინა კარგად არის და

ამჟამად ბულიონსაც მიირთმევს. — გაეცინა და ტელეფონის ყურმილი ჩამოჰკიდა.

— რა იყო?

— მოდის, ისე აღრიალდა ტელეფონთან, რომ კინაღამ წავიქეცი.

არ გაუვლია სულ ათიოდე წუთს, რომ ოთახში ზურაბიც შემოიჭრა და როდესაც გაღიმებული მარინა დაინახა, თითონაც გაიღიმა და მის ხელს ხელი დაადო.

— იცი, მარინა, რა განვიცადეთ ამ ერთი კვირის განმავლობაში მე და პოლინამ?!

— ვიცი, ჩემო მეგობრებო და ცხოვრებაში სხვა არავითარი ბედნიერება რომ არ მეღირსოს, ჩემს ბედნიერებად ისიც კმარა, რომ ორი თქვენისთანა მეგობარი მყავს.

— ახ, რა კარგია, დახუჭული თვალების კოშმარი რომ მოგვშორდა, — ამბობს ზურაბი.

— ეს რაღა არის?! — კითხულობს ავადმყოფი.

— სამი დღეა თვალები არ გაგიხსნია, დროგამოშვებით წამწამები დაიწყებდნენ თრთოლვას და უცნაური იყო ეს დახუჭული თვალები ათრთოლებული წამწამებით, — მიუგო პოლინამ.

— თქვენ უნდა გენახათ როგორ მოვდიოდი მე ახლა ქუჩებში?! — ამ სიტყვებით ზურაბი წამოდგა და სხეულის კომიკური მოძრაობით ოთახში რამდენიმე ფართო ნაბიჯი გააკეთა.

— ნუ მაცინებ, ზურაბ. მე ჯერ კიდევ არ შემიძლია სიცილი, — ამბობს მარინა ბავშვური კილოთი და ცდილობს, რომ ღიმილი სიცილად არ გადაექცეს.

— ნანინა, მარინა, ნანინა, — აღიღინდა მხიარულად პოლინა როგორც ზურაბი გავიდა, მაგრამ მან ვერც კი მოასწრო სიმღერის დამთავრება, რომ მარინას უკვე ჩაეძინა, ჩაეძინა ჯანსაღი ძილით და პოლინამაც თავისი დაქანცული სხეული მეორე საწოლზე მოასვენა.

* * *

კარების მძაფრმა ხმაურმა ისე შეაკრთო, რომ ხელიდან კალამი დაუვარდა.

ოთახში მარინა შემოვიდა.

— რა ამბავია, გაგიჟდი? — შეეკითხა მას პოლინა და ხელიდან ჟურნალის უკანასკნელი ნომერი ჩამოართვა.

გადაფურცლა.

— ჩემი წერილი მოწინავედ გაუშვით, ღირდა კი ამათ?

— ღირდა? იცი რა განგაში ასტეხეს ამის გამო?

— რას ამბობენ?

— მოდის ვიღაც სოფლელი ქალი და ჩვენ, გამოცდილ პედაგოგებს, ჭკუას გვასწავლისო.

— ახ, ღმერთო ჩემო, გაიგეთ ამხანაგებო, რომ ეს სოფლელი ქალი მალე ექიმი გახდება.

— ესეც გაიგეს და ამბობენ: უკეთესია ავადმყოფებს რეცეპტები უწეროს და ისეთ საკითხებს ნუ ეპოტინება, რომელიც მას არ ეხებაო.

— დე, ილაპარაკონ, მე კიდევ დავწერ მეორე წერილს ამის შესახებ და დავარწმუნებ მათ, რომ შესაძლოა დაიწეროს რეცეპტი პედაგოგიური განხრითაც. მგონია ჟურნალისტიკაში გადავიჩეხები და ეს, არც ისე ადვილი საქმეა. ორი წერილი დავწერე და რამდენიმე კაცი გადავიმტერე. დროთა განმავლობაში ეს რიცხვი, ალბათ, თანდათანობით გაიზრდება და დადგება ისეთი დღეც, როდესაც სალამსაც არ მომცემს არავინ, გარდა პოლინასი.

— ჰო, მე და შენ ერთმანეთს არ დავშორდებით, რა უთანხმოებამ არ უნდა იჩინოს თავი ჩვენს შორის.

— მეც ასე მგონია, მაგრამ დაჯერებული არ უნდა ვიყვეთ ამაში, არსებობენ ფაქტები, რომლებიც ლაპარაკობენ განცდათა ცვალებადობის შესახებ.

— შენ, ალბათ, გახსოვს ის სცენა, როდესაც რუსო და დიდრო ხვდებიან ერთმანეთს ვენსენის ციხეში.

— მახსოვს, აღელვებული და ცრემლმორეული რუსო რომ ეხვევა ტუსაღ მეგობარს და შემდეგ...

— მეგობარმა უღალატა მეგობარს, ჩემის აზრით მიზეზი მათი დაშორებისა მდგომარეობდა იმაში, რომ ძლიერნი ამა ქვეყნისანი რუსოს წინააღმდეგ იყვნენ განწყობილნი. საჭიროა დიდი კეთილშობილება, რათა ასეთ დროს მეგობარი მეგობრის გვერდით დადგეს და გაიზიაროს ხვედრი დევნილი ადამიანისა.

„ან გაანთავისუფლეთ დიდრო, ანდა დამატუსაღეთ მეც მასთან ერთადო“. ასე მისწერა რუსომ პამპადურს და ის, ამას იზამდა. დიდრომ კი... სამაგიეროდ რა მიუზღო, რითი უპასუხა ასეთ დიდ

თანაგრძნობას? შურით, მტრობით, ჭორითა და ინტრიგებით, მთელი ჩემი თანაგრძნობა რუსოსკენ იხრება, ვინაიდან მე არ ვიცნობ ისტორიაში მეორე კაცს, რომელიც ასე გულწრფელად და ასეთი თავდადებით ემსახურებოდეს ხელოვნებას და ჭეშმარიტებას. მას ჰქონდა იმისი გაბედულება, რომ მეფეებიც კი ემხილებინა. რა საუცხოოა მისი სარკაზმი, პომპადურის მიმართ გასროლილი, შენ, ალბათ, გახსოვს ის.

— ჩემის აზრით არ იყო საჭირო ამის თქმა.

— რატომ?!

— იმიტომ, რომ ამ სიტყვებმა განდევნეს ის საფრანგეთიდან, ამ სიტყვებმა გაუჩინეს მას აუარებელი მტერი და ამ სიტყვებმა მიაყენა მას დევნა, ტანჯვა, შეწუხება. აქ უსათუოდ დააშავა მან.

— არა რუსოა ამაში დამნაშავე, არამედ ბუნება, ტრადიცია, ხალხთა ურთიერთობა. ჩემის აზრით, ეს ქვეყანა ტანჯვათა სამყაროა და ამ სამყაროში რაღაცა შემთხვევით თავმოყრილი ადამიანები ერთმანეთის მტრობაში ატარებენ თავიანთ სიცოცხლეს.

— მაინც საკითხავია, ვინ სჯიდა რუსოს პომპადურის ჭკუის სწავლებას. ამ ქალს მოსწონდა მეფე, მეფეს უყვარდა ეს ქალი, ვის ჰქონდა უფლება გაეკიცხა ისინი?!

— არავის, ისინი რომ უბრალო ადამიანები ყოფილიყვნენ, ვინაიდან ყველას აქვს უფლება იცხოვროს თავისი გემოვნებისა მიხედვით, თუ მისი პირადი ცხოვრება არ აყენებს ზიანს საზოგადოებრივ წყობილებას. მაგრამ აქ სულ სხვა იყო. პომპადური ღებულობდა მონაწილეობას სახელმწიფო საქმეებში და ჰქონდა გავლენა იმ ადამიანზე, რომელიც განაგებდა საფრანგეთის ბედიღბალს. რუსო ხომ მაინც უარყოფს ამ ბრალდებას. „შემოქმედების პროცესში თავისთავად მოვიდნენ ჩემთან ეს სიტყვები და, როდესაც ამას ვწერდი, მე მათზე არ ვფიქრობდიო“. ამბობს ის თავის „აღსარებაში“.

სიტყვა უნიჭო ადამიანისა, ეს თოფში ჩადებული ყალბი ტყვიაა, რომელიც უმიზნოდ ვარდება და რომელიც არავის არ ხვდება, მაგრამ ყოველი მნიშვნელოვანი თქმა ნიჭიერი მწერლისა უმიზნოდ გასროლილიც რომ იყოს, ის მიზანს არ აცდება. პომპადურმა იგრძნო სარკაზმის სიმწვავე და საბრალო რუსოც დაისაჯა.

— არა, ეს კაცი სიბრალულს არ იწვევს. ადამიანია, რომელიც სიმართლეს ემსახურება.

ლაპარაკი ზარის ხმამ შეაწყვეტინათ.

ოთახში გერმა შემოვიდა.

— თუ თქვენ დღესაც ისე ხართ განწყობილი ამას წინათ რომ იყავით, მე მივდივარ, — ამბობს ის და კარებს არ შორდება.

— არა, დღეს უფრო კარგ გუნებაზე ვარ, ე. ი. ლაყბობის გუნებაზე. მობრძანდით ექიმო, — ეუბნება მას მარინა და ღიმილით ხელს უწვდის.

— როგორც იქნა გამოიდარა, — ამბობს ის და ასეთი მიღებით კმაყოფილი იხდის პალტოს.

— რომელმა ქარმა მოგიტანა? — ეკითხება პოლინა.

— ქარი მუდამ ამ მიმართულებით მოჰქრის, მაგრამ მარინა არც ამჩნევს მას. ასე არ არის, ამაყო ქალიშვილო?! — ამბობს ის და ცდილობს დაიჭიროს მისი თვალების გამომეტყველება, მაგრამ მარინა ქვევით იყურება და ამით ანიღაბებს იმ განცდას, რომელიც ხშირად მასაც შეარხევს ხოლმე.

— შევამჩნევ როდესაც იქნება. ახლა უკეთესია მონაწილეობა მიიღო ჩვენს საუბარში, — და მან მოკლედ გადასცა თუ რაზე ლაპარაკობდენ ისინი.

— პირადად მე არასოდეს არ ვეტყვი სიმართლეს ადამიანს. რად შევიწუხო თავი, — როდესაც ამით მისი მსოფლმხედველობა არ შეიცვლება.

— მაშ, ვითაღლითოთ?!

— რატომ? ნუ ამჩნევ სხვის ცოდვებს და ისინიც არ შეამჩნევენ შენსას. წინააღმდეგ შემთხვევაში შენს გვერდით არ დარჩება არც ერთი მეგობარი.

— რა ვუყოთ მერე, დიდ ადამიანებს არასოდეს არ აშინებთ ეს და ყოველი ხელოვანი თავისი შემოქმედების უმაღლეს მწვერვალზე დგას.

ოთახში წუთით სიჩუმე ჩამოწვა და ეს სიჩუმე უეცრად ქუჩიდან შემოჭრილმა სამგლოვიარო მარშმა დაარღვია.

— სიკვდილი, აი ნამდვილი ჭეშმარიტება. შეხედეთ!!! — თქვა გერმამ და ხელი ქუჩის მიმართულებით გაიშვირა.

გრძელ პროცესიას წინ მიუძღოდა ყვავილებით შემკული კუბო და ამ ყვავილებში მიმქრალი სახით მდუმარედ იწვა მეტად ახალგაზრდა და ლამაზი ქალი.

— თქვენ მართალი ხართ, გერმა, ერთადერთი, რაც არასოდეს არ აგვიანებს და რაც არასოდეს არ ტყუის არის — სიკვდილი!

საუკუნე საუკუნეს ცვლის, თაობა თაობას მისდევს და ყველაფერი მაინც უცვლელად რჩება. პირველყოფილი ადამიანის ინსტინქტი დღესაც მძაფრად ზის თვითეულ ჩვენგანში და ეს ინსტინქტი ხალხს ხალხების წინააღმდეგ ამხედრებს, ადამიანს მეორე ადამიანის წინააღმდეგ ამოქმედებს. გშურს, გძულს, მტრობ და გეჯავრება ადამიანი, თუ მან რამდენიმე ნაბიჯით გაგისწრო წინ. ბოლო კი აი, ეს არის, — თქვა მარინამ დაფიქრებული სახით და ნაღვლიანად გახედა ლარივით გაჭიმულ სამგლოვიარო პროცესიას.

დეკემბრის ცივ, უსიცოცხლო მზე შეუმჩნევლად ამოეფარა ბუმბერაზ მთებს და სამგლოვიარო ჰიმნიც ისე ერთბაშად შეწყდა ჰაერში, როგორც მაჯისცემა იმ უცნობი ქალისა, რომელიც სამუდამოთ გამოეთხოვა სიცოცხლეს, სიხარულსა და ახალგაზრდობას.

* * *

ნიჭიერი ასისტენტი ლეო დევიძე ჩქარი ნაბიჯითა და აღშფოთებული სახით გამოვიდა დარბაზიდან, მარინამ მას თვალი შეავლო.

— ვინ გააჯავრა ნეტავი ჩვენი თუში? — იკითხა ღიმილით მან და სტუდენტების ერთ ჯგუფს, მიუახლოვდა.

— დაუწერია წიგნი და აუვსია ეს წიგნი მეფეთა პორტრეტებით, ძველი ძეგლების სურათებით. ვის რად უნდა დღეს დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის მოღვაწეობის ამბები. ჩვენ წინ ვიხედებით და არა უკან. ჩვენ მომავალზე ვფიქრობთ და არა წარსულზე, — ამბობს ერთი დაბალი ტანის ახალგაზრდა.

— მეგობარო, ცდებით, წარსულმა აწმყო წარმოშვა, აწმყოზე მომავალს ვაშენებთ, ეს კაცი არქეოლოგია, მეცნიერებას ემსახურება და მისი გამოკვლევა ყურადღებას იპყრობს.

— რაზე დაობთ ახალგაზრდებო? — იკითხა პროფესორმა რენომ, რომელიც შეუმჩნევლად მათ თავზე წამოადგა.

სტუდენტებმა მოკლედ აუხსნეს საქმის მდგომარეობა.

— თქვენგან შემწყარალ ახალგაზრდას ბავშვობიდან ვიცნობ, ძალიან სერიოზული და ნიჭიერი ყმაწვილია და ერთად ერთი მისი ცოდვა იმაში მდგომარეობს, რომ გარდა მეცნიერული საკითხებისა, არაფერი აინტერესებს.

— ჩვენ დროში მერე ეს გასაკიცხი არ არის?! — იკითხა ვიღაცამ.

— რატომ? ადამიანის თავი ძალიან პატარაა და თუ ამ თავმა

ერთ სერიოზულ საქმეს სერიოზულად მოჰკიდა ხელი, ის სხვა რამისათვის ვეღარ მოიცლის. არსებობენ გზები და ადამიანები, რომლებიც გემოვნებისა, თუ მოწოდების მიხედვით ირჩევენ ამა თუ იმ გზას, ზოგი პოლიტიკას გაჰყვება, ზოგი მეცნიერებას, ზოგი ხელოვნებას. ამ მიმართულებით ძალადობა არ უნდა არსებობდეს.

მე ვიცნობ გამოჩენილ მეცნიერებს, რომლებიც პოლიტიკოსის როლში ძალიან უბადრუკად იგრძნობდენ თავს. თავისუფლებაზე ლაპარაკობთ, თავისუფლებისათვის იბრძვით და თავისუფლებას ნუ შეზღუდავთ. ეს არ ვარგა, ახალგაზრდებო, — წარმოთქვა დინჯად პროფესორმა და კაბინეტს მოეფარა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მარინა მის წინ იდგა და ქიმიაში გამოცდას აბარებდა.

* * *

„მარინა! დღეს ღავამთავრე ჩემი მეცნიერული ნაშრომი და მინდა წავუკითხო ზოგიერთ ამხანაგს, შემოიარეთ ამ საღამოს თქვენც. გელით უეჭველად. თქვენი ერთგული მეგობარი გერმა გერგაძე“.

წერილი მაგიდაზე დააგდო და ოდნავ გაიღიმა, მაგრამ ამ ღიმილმა მის თვალებში მძიმე ჯანღად ჩაწოლილი ნაღველი ვერც კი შეარხია. პირიქით, ის უფრო გაიზარდა, უფრო დამძიმდა და მის სახესაც სასტიკი გამომეტყველება მიეცა. „ერთგული მეგობარი“, — ჩაილაპარაკა ირონიულად და თვალთა ხედვის ისრები დაიმსხვრა იმ შავ ჩარჩოში ჩაჭედილ სურათზე, რომელიც იქვე მაგიდაზე იდო.

ახოვანი, მხარბეჭიანი ვაჟკაცი, ზევით აწეული შავი თმებით, სქელი ტუჩებით და დიდრონი შავი თვალებით. არც ერთი მოხაზულობა მისი პირისახისა არ ლაპარაკობს, რომ ამ სხეულს უდგას კეთილშობილური ადამიანური სული და ცდილობს ანალიზი გაუკეთოს საკუთარ განცდას, საკუთარ სურვილებს. ხუთი წელიწადი სრულდებოდა და მან კიდევ ვერ გამოარკვია თავისი სულიერი მდგომარეობა, ის გრძნობს, რომ აკლია რაღაც და ეს რაღაც... მამაკაცია.

სიცარიელისა და მარტოობის გრძნობას მძაფრად განიცდის და ეროტიული სიზმრებიც გამუდმებით აწვალებს.

როგორ მოიქცეს?

არ არის მეშჩანური მსოფლმხედველობით შეპყრობილი და ძველ საზოგადოებრივ მორალსაც კარგა ხანია რაც ზურგი აქცია, მაგრამ როგორ შეუძლია შეიყვაროს ისეთი მამაკაცი, რომელიც არ აკმაყოფილებს მის სულს, როგორც ადამიანი, რომელშიც არ გრძნობს მეგობარს და რომელმაც ვერ აღუძრა მას გრძნობა პატივისცემისა, მიუხედავად ამისა ეს კაცი იზიდავს და მისი უბრალო მოგონებაც კი აღელვებს. დასჩემდა ნერვიულობა, აწუხებს უძილობა და თავის ტკივილი. ერთი ამბავი აგონდება.

ერთ დღეს, როცა განსაკუთრებული დაღლილობა და სისუსტე იგრძნო, მიმართა პროფესორ რენოს, რომელსაც განსაკუთრებული პატივისცემით უყურებდა და რენოც გადაჭარბებული თავაზიანობით და მეგობრული საუბრით თანდათანობით იპყრობდა ქალის ყურადღებას.

ავადმყოფობის მიზეზი გამოჰკითხა, დაკვირვებით გასინჯა და იმის ნაცვლად, რომ რეცეპტი დაეწერა, პირდაპირ დაუდგა, ხანგრძლივად თვალებში ჩახედა და...

— თქვენ უნდა გათხოვდეთო, უთხრა.

ყველაფერს მოელოდა, მაგრამ ასეთ დიაგნოზს კი არა.

გაწითლდა და პროფესორს დაბნეული სახით ახედა.

რენომ რბილად გაიღიმა, გაიღიმა ისე, როგორც გაუღიმებენ შემკრთალ ბავშვს.

— მოჭარბებული სისხლი და მხურვალე ტემპერამენტი გამოსავალს თხოულობს, დიახ, თქვენ უსათუოდ უნდა გათხოვდეთ!

ბედმა მისი ცხოვრების გზაზე ისეთი ადამიანი დააყენა, რომელსაც არაფერი სწამს, რომელსაც ვერ ენდობა.

— თქვენ დაფიქრდით?! გაქვთ რაიმე სათქმელი?

მარინამ გულახდილად უამბო თავისი წარსული დამოკიდებულება დიტოსთან და აგრეთვე მისი უცნაური განცდა-განწყობილობა გერმანადმი.

— მე არაფერი მესმის ჩემი საკუთარი თავის, დაბნეული ვარ და ვეძებ გამოსავალ ბილიკებს.

— ასეთი რამ ხშირად ხდება. შეიძლება გიყვარდეს და სრულიად არ გაღელვებდეს ის.

— მიზეზი?

— მიზეზი ფიზიოლოგიურ სხვაობაში უნდა ვეძიოთ. მარილი რომ მარილს მივუმატოთ, ამით მისი სახე არ იცვლება. მაგრამ სხვა ნივთიერებას მივიღებთ, თუ მარილი ერბოში ჩავყარეთ. საჭიროა ტიპისა და ტემპერამენტის შერჩევა და ყველაფერ ამას ადამიანები ინტუიციით აღწევენ...

ამ სიტყვებით მან თავისი კაბინეტის ფანჯრები გამოაღო და ბოტანიკური ბაღიდან საღამოს გრილმა ნიავმა შემოიქროლა.

მზემ ოთახში უკანასკნელად შემოიხედა, თეთრად შელესილ კედლებს ოქროსფერი ფოთლები დააყარა.

ბევრი არაფერი იცოდა მარინამ რენოს შესახებ, მაგრამ ის კი დანამდვილებით იცოდა, მისი ცოლი რეინის ნაპირებთან ვიღაც ინჟინერთან სეირნობდა და პროფესორი ცხოვრობდა მარტოდ თავის შვიდი წლის ვაჟთან ერთად.

* * *

გერმა ღელავს.

ის ელის მარინას.

უყვარს ის?!

ამაზე დანამდვილებით ვერ გიპასუხებთ, მისი განცდა ხან სიძულვილს უფრო ჰგავს, ვიდრე სიყვარულს. ეს ქალი თავისი გამჭრელი მზერით ისე ღრმად იხედება სულის მივარდნილ კუნჭულებში, რომ აკრთობს, აშინებს. მიუხედავად ამისა, არასოდეს არც ერთ ქალს არ დაუპყრია მისი გული ასე ხანგრძლივად და არასოდეს არც ერთი ქალი არ ნდომებია ასე ძლიერად, როგორც ის.

მზად არის წავიდეს ყოველგვარ დათმობაზე, მზად არის დააკანონოს ეს განცდა. თუ ურთიერთობა გამწვავდება, თუ ერთმანეთს ვერ შეეთვისებიან, დაშორებაც ადვილი იქნება, — ასე ფიქრობს ის და ამ ფიქრში თავის ოთახს აწყობს და ასუფთავებს. უკეთესი წიგნები, მოვარაყებული ყდით საწერ მაგიდაზე დაალაგა, ლამაზი ნივთები აქა-იქ მიმოფანტა, ვაზები ქრიზანთემებით აავსო და ბროლის ლარნაკები ყურძენმა და ვაშლმა შეალამაზა.

თავისი თავიც არ დაივიწყა, პირი მოიპარსა, ახალი პიჯაკი ჩა-

იცვა. ნახევარი ბოთლი სურნელოვანი წყალი თავზე გადაისხა და დაიწყო ლოდინი.

„მეცნიერული ნაშრომი“ კი სადღაც საწერი მაგიდის უჯრაში იყო მიმალული და ასეთი ტყუილი მის სინდისს ოდნავადაც კი არ ჰქენჯნიდა. ამ რამდენიმე წლის წინათ განიზრახა დაეწერა ის, იყიდა ‘ქელი რვეული და სათაურად ასე დააწერა: „გამოკვლევანი ტუბერკულოზის შესახებ“, მაგრამ სათაური სათაურად დარჩა და მისმა გამოკვლევამ დიდტანიანი რვეულის ერთი ფურცელიც კი ვერ შეავსო.

როცა ზარი შემოესმა, ფერმა გადაჰკრა და გულის ძგერით კარები გამოაღო.

— მარინა! — წამოიძახა მან გულწრფელი სიხარულით და აღტაცებით ორივე ხელები დაუკოცნა.

— გამარჯობათ, ექიმო, თქვენ ისე მორთულხართ, თითქოს წვეულებაში აპირებდეთ წასვლას. — ამ სიტყვებში ოდნავი ირონია გამოკრთა, მაგრამ ეს ირონია მეგობრულმა ღიმილმა შეანელა.

— ეს ტანსაცმელი თქვენთვის ჩავიცვი.

— ტანისამოსით მაწონებთ თავს?!

— არა, მაგრამ...

— კეთილშობილი ადამიანი გახუნებულ ხალათშიც კი მოჩანს.

— დაანებეთ თავი ნატაციებს, ხომ იცით ჩემი გარდაქმნა შეუძლებელია.

— არა, შეუძლებელი არაფერია, ადამიანს შეუძლია აღზარდოს თავისი თავი და იყოს უკეთესი, ვიდრეა ნამდვილად. თქვენში კი საამისო სურვილი არასოდეს ყოფილა. — ამ სიტყვებით ლარნაკი გამოსწია და გრძელი ლამაზი თითებით ყურძნის მტევანს რამდენიმე შარცვალი მოსწყვიტა.

ჩალისფერი აბრეშუმის კაბა ეცვა.

— როგორ გიხდებათ ეს კაბა, მარინა!

— თქვენ ამჩნევთ გარეგნულ ბრწყინვალებას და უდიდეს ყურადღებას ჩაცმა-დახურვას აქცევთ, მაგრამ ადამიანის შინაგან თვისებებზე და იმის შინაარსზე კი, არასოდეს არ გიფიქრიათ.

— თქვენ უშინაარსო ხართ?!

— თქვენ მწერდით რომ გინდათ წაიკითხოთ რაღაც ნაშრომი. ჩემის აზრით დროა მოძებნოთ ის, ალბათ მალე თქვენი მეგობრე-

ბიც მოვლენ. — წარმოთქვა მარინამ და მისი შეკითხვა უპასუხოდ დასტოვა.

— მე არავის ველი, რაც შეეხება ნაშრომს, თქვენ წაიკითხავთ მას, როდესაც დაიბეჭდება.

— მაშ, რატომ მოიწერეთ?!

— თქვენი ნახვა მინდოდა.

მარინა წამოდგა და უხმოდ კარებისკენ წავიდა...

— ნუ გამიწყრებით, თქვენთან სალაპარაკო მაქვს, — ამ სიტყვებით კარებს ზურგით მიაწვა და ვედრებით ორივე ხელი დაუჭირა.

— „ვაჟკაცისა ცრუობასა, ნეტამც ქვეყნად რა შეგავდეს“?!

— ეს პატარა ტყუილი შენმა სიყვარულმა მათქმევინა.

— ტყუილი, როგორი პატარაც არ უნდა იყოს ის, მაინც ტყუილია, მაგრამ... თქვენ აღარ მიშვებთ მე?!

— არა, ვიდრე არ მომისმენ.

— რა გაქვთ სათქმელი.

— მინდა ვიცოდე, თუ როდის გახდები ჩემი, სრულიად ჩემი, ხუთი წელიწადია რაც მიყვარხარ და გიცდი, აღარ შემიძლია მეტი ცდა.

— მე თქვენში არ მიყვარს და არ მომწონს ადამიანი.

— მამაკაცი გიყვარს, ადამიანს შემდეგ დაინახავ.

— დაჩუმდით.

— კარგი, მაგრამ ნება უნდა მომცე გიცქირო თვალებში, გიცქირო აი, ასე. მე მიყვარს ისინი, როცა სევდიანობენ, მიყვარს როცა ფიქრებით იტვირთებიან, ან ცნობისმოყვარეობით ინთებიან, მაგრამ ყველაზე მეტად მე მიყვარს ისინი, როცა უეცრად ვულკანებს აფეთქებენ და ცეცხლის ნაკადულებში დაიწყებენ. ცურვას აწყვეტილი ვნების ხომალდები.

— ფრთხილად, შესაძლოა ქარიშხალი ამოიჭრას და თქვენ მიერ აშვებული ხომალდები ნამსხვრევებად აქციოს.

— ეს არ მოხდება, შენ გახდები ჩემი და გახდები დღესვე, — ამ სიტყვებით კარები დაკეტა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო.

— რას აპირებ შენ?!

— ყველაფერს.

— ძალას დამატან, შეურაცხყოფას მომაყენებ?!

— არც ერთი მოხდება და არც მეორე. მე ავირჩევ მესამე გზას.

— მაინც?!

— მე შენ დაგიმორჩილებ. აბა, შემომხედე! — ამ სიტყვებით მან ისე გაამძაფრა მზერა. როგორც ამძაფრებს მას ესა თუ ის გიპნოტიზიორი, ამა თუ იმ სეანსის დროს. მარინას სხეული ერთბაშად მოუდუნდა, თვალებიც თანდათანობით დაეხუჭა და ბურანში ჩავარდნილ ქალს ფეხქვეშ ნიადაგი გამოეცალა.

სინათლე ჩაქრა...

ნაწილი მეორე

მარინა აბარებს სახელმწიფო გამოცდებს და ძლიერი ენერგიით მეცადინეობს. აშინებს ფიქრი, თუ გერმანზე გათხოვდა, ისეთ ხლართში მოემწყვდევა, საიდანაც მას თავის დაღწევა გაუჭირდება.

ერთი კვირაა, რაც გერმა არ უნახავს და ამ კაცის მოგონებით მასში ორგვარი განწყობილება იქმნება.

პირველი:

აღშფოთება მისი მოქმედებისადმი.

მეორე:

სურვილი კვლავ მასთან შეხვედრის.

რა მოხდა?

ძალადობა არ ყოფილა, მაგრამ იყო რაღაც სხვა, რაც მისთვის ამოუცნობი რჩება. იყო ერთგვარი გაბრუება და იყო კიდევ სურნელება რაღაცა წამლის, სურნელება მძაფრი და დამასუსტებელი, არსებობდა წინასწარი მომზადება, თუ იქნებ მოეჩვენა მას ასეთი რამ?! ფიქრი ამას იქით აღარ უნდა გაუშვას, რადგან თუ ამაში დარწმუნდა, მათ შორის ყველაფერი გათავდება. მეცადინეობა ღლის, მაგრამ წინანდელი ნერვიული მდგომარეობა აღარ აწუხებს. ძილიც ჯანსაღი და ნორმალური აქვს. მაშასადამე, ყოფილა საჭირო ასეთი ურთიერთობა და რად უნდა უსაყვედუროს იმ კაცს, რომელმაც ასეთი მოხერხებით დასწყვიტა ის თასმები, რომლითაც შებოჭილი იყო მთელი მისი ქალური ბუნება.

არა, ის ვერ ეტყვის საყვედურს ამ ადამიანს, მაგრამ აწუხებს ის აზრი, რომ არ შეუძლია შეურიგდეს მის გადაჭარბებულ ეგოიზმს და მის უხეირო შეხედულებას ცხოვრებაზე.

არავითარი გატაცება, არავითარი მაღალი სწრაფვა, არავითარი იდეალი მისთვის არ არსებობს.

მთელი მისი ცხოვრების მიზანი სამი სიტყვით არის შემოფარგლული: ფული, ყუჩი და სქესი.

შეიძლება შეყვარება ასეთი კაცის, ბოლოს და ბოლოს უყვარს კი ის?!

აღელვებს, მაგრამ ანატოლიმაც ხომ ააღელვა?! იზიდავს მისი ახოვანი სხეული, მაგრამ ის იცნობს სხვა მამაკაცებსაც, რომლებიც იმაზე ნაკლებ არ მოსწონს.

მაშ, რითი შეიძლება აიხსნას მისი ასეთი დაინტერესება ამ კაცით?!

რა უწყობდა მას ხელს და ან რამ გადაისროლა ეს ქალი მის განკარგულებაში?!

ბედმა თუ... შემთხვევამ?

ასეა თუ ისე, მისი ცხოვრება ამ მიმართულებით წარიმართა, ისიც გაჰყვება ამ გზას და შეეცდება აღიზარდოს, გადაახალისოს ის კაცი, რომელიც მას ასე დაუკითხავად დაეუფლა, თუ ეს ვერ შეძლო, მაშინ... გზები გაიყოფა. ეს გადაუხვევს და წავა, მაგრამ წავა მარტოდ?!

ის კი დარჩება იქ, სადაც მისთვის უფრო მოსახერხებელი იქნება, არსებობს კალაპოტი და ესა თუ ის კალაპოტი შეიცავს ერთგვარ მოცულობას, რომლის სივრცე განსაზღვრულზე მეტს ვერ დაიტევს.

არიან ადამიანები, რომლებიც ჩაჭედილი არიან ამგვარ ვიწრო კალაპოტში და მათთვის ამის იქით გასაქანი არ არსებობს. დაფიქრდა, სურვილი აღეძრა, თავისი თავის შეფასებისა და დაუწყო ჩხრეკა იმ ბილიკებს, რომლებიც მან უკვე განვლო.

მაინცადამაინც დიდი ღვაწლითა და დიდი მიღწევებით არ შეუძლია დაიკვეხოს, მაგრამ ის კი დანამდვილებით შეუძლია თქვას, რომ არასოდეს, არავითარ ბოროტ განზრახვას არ დაუმძიმებია მისი სინდისი და რომ მისი მისწრაფება ნათელი და მაღალი მიზნით იყო გაშუქებული. გულწრფელი განცდითა და უმწიკვლო გულისთქმით მიიმართება მწვერვალებისაკენ და თუ ამ მსვლე-

ლობაში დაეცა, ისე მაინც არ დაეცემა, რომ მასზე ფეხის დადგმა ვინმემ გაბედოს.

უეცრად შეირხა.

კედლის საათმა ცხრაჯერ დარეკა და ქუჩაში მიმავალი მანქანის ხმა ოთახში მძაფრი ხმაურით შემოიჭრა.

წამოდგა, წიგნები შეათვალიერა, დარვინის დიდტანიანი წიგნი გადმოიღო და ის ადგილი გადაშალა, სადაც წინა დღით შეჩერდა.

კითხვა გერმამ შეაწყვეტინა. ის დაუკითხავად შემოვიდა მასთან და აგზნებული თვალებით თვალებში ჩახედა.

მარინამ თავი აარიდა და დინჯად სკამზე მიუთითა.

— შენ ისევ დაიწყე?! — წარმოსთქვა გერმამ წყენით და ყვითელ ხალათში თავისუფლად გამოქანდაკებულ სხეულს ხარბად თვალი შეავლო.

— სტუმარი დაუკაკუნებლად არ მოდის.

— მე სტუმარი არა ვარ, მასპინძელი ვარ.

— ვინც არ უნდა იყოს, ზრდილობა ამას მოითხოვს!

— არის წუთები, როცა ადამიანს ზრდილობის კანონები ავიწყდება.

— ნუ დავიწყებთ ამაზე საუბარს, ეს ჩვენ შორს წაგვიყვანს, მე კი მინდა, ამ წიგნის ზოგიერთი ადგილები შენთან ერთად წავიკითხო!

— შენ იმდენად ხარ დაინტერესებული დარვინით, რომ საბუნებისმეტყველო დარგზე უნდა შესულიყავი.

— რატომ? მე შემიძლია ისედაც შევისწავლო ეს საგანი. მაშ მისმენ?

— არა, წიგნებმა სახლში მომაბეზრა თავი, აქ ხაამისოდ არ მოვსულვარ.

— მაშ, რისთვის მოდიხარ?

— შენთვის.

— მაშინ ჩემი სურვილის ასრულებასაც უნდა ცდილობდე.

— ხასიათს ნუ მიფუჭებ მარინა, მე შენთან ლაპარაკი მინდა, გადააგდე იქით ეგ წიგნი, — ამ სიტყვებით წიგნი ხელიდან გამოაცალა და მის გვერდით ტახტზე ჩამოჯდა.

— მე ვამბობ, რომ გარდა ფიზიკური სიახლოვისა, არაფერი გაკავშირებს ჩემთან.

— ფიზიკური სიახლოვე საზომია სიყვარულისა.

— არ გეთანხმები.

— არ დათანხმება. კი კმარა, საჭიროა აზრის დასაბუთება და საწინააღმდეგო საბუთების მოყვანა.

— ინებე, ფაქტიც აქ არის. — ამ სიტყვებით ახალ გაზეთს ხელი დაავლო და ხმამაღლა შემდეგი ამოიკითხა.

„დედას დაეკარგა გოგონა, სამი დღის შემდეგ ის იპოვეს ტყეში მკვდარი და გაუპატიურებული. მიღებულია ზომები ბოროტმოქმედის აღმოსაჩენად". არც გამომძღავნების შიშმა, არც პასუხისმგებლობის გრძნობამ, არც სიბრალულმა ვერ შეაჩერა პირუტყვი, მან დაგლიჯა გოგონა და მე გეკითხები იყო თუ არა აქ ვნება?! — იქ იყო სექსუალური სიგიჟე და ასეთ წუთებში შესაძლებელია გამხეცდეს კაცი.

— ადამიანს ადამიანი იმიტომ ჰქვია, რომ ასეთი მხეცი დროზე მოთოკოს, მაგრამ იცი ხან რას ვფიქრობ?!

— რა?!

— ვამაყობ რომ ქალად გავჩნდი.

— რატომ?!

— იმიტომ, რომ არასოდეს არც ერთ წიგნში არ წამიკითხავს, რომ ქალს სექსუალური სიგიჟის დროს დაეგლიჯოს ადამიანი. ძალდატანება, გაუპატიურება, სახელმწიფო ქონების გაფლანგვა, ძარცვა-გლეჯა, მკვლელობა, ეს ყველა თქვენი, მამაკაცების მოგონილი ამბავია.

— შენ კიდევ დიდხანს აპირებ ამ თემაზე ლაპარაკს?

— თუ ასეთი საუბარი არ მოგწონთ, შეგიძლიათ მიბრძანდეთ.

ამ სიტყვებით ისევ წიგნი გადაშალა და შეწყვეტილ სტრიქონს დაუბრუნდა.

გერმა წამოდგა, ქუდი დაიხურა და ხმის ამოუღებლივ ოთახიდან გავიდა, მაგრამ ისევ დაბრუნდა.

— მე წავედი და შენ არც კი მთხოვე დავრჩენილიყავ.

სიჩუმე.

ისევ სიჩუმე.

— მე თუ ახლა ისევ გავედი, იცოდე აღარასოდეს აღარ დაბრუნდები.

კვლავ არავითარი პასუხი.

მოთმინება დაკარგა, პალტო და ქუდი იქვე მიაგდო, ისევ მის გვერდით ჩამოჯდა და დაჟინებით სახეში დაუწყო ქალს ცქერა,

რომელიც ცივ ქანდაკებასავით აღმართულიყო და შეუშფოთებლად კიდევ კითხვას განაგრძობდა.

ის ამ წუთში ისეთი უცხო და შორეული ეჩვენა, რომ ერთგვარი შეკრთომაც კი იგრძნო მისდამი. გავიდა წამი, წუთი, საათი. მარინამ მოხედა მის გვერდით გარინდებულ მამაკაცს და მის გულში უნებურად სიბრალულმა იჩინა თავი. მან ორივე ხელებით თავი ზევით ააღებინა და მის სველ, ცრემლიან წამწამებს ტუჩები შეახო.

— თავი დამანებე, მე შენ არ გიყვარვარ.

— შენ შეგიძლია ისე მოიქცე, რომ შემიყვარდე.

— რა არის საჭირო ამისათვის.

— ამაღლდი შენ საკუთარ თავზე. შენ საკუთარ ბუნებაზე. ეს იქნება ჩემთვის უდიდესი პატივისცემა. მარადიულია მეგობრობა სულიერ გაგებაზე დამყარებული.

— კარგი, მე ვიქნები თიხა შენს ხელში და შენც, როგორც გინდა ისე ჩამომაქანდაკე, მაგრამ რად აბრუნებ თავს და რატომ არასოდეს პირდაპირ არ მიცქერი?

— მე მაშინებს ის მხეცი, რომელიც ხანდისხან ჯდება შენს თვალებში. აი, ახლაც... ახლაც.

— რა ვუყოთ, ჩემო კარგო, ამ უვნებელ მხეცს უნდა შეურიგდე შენ.

* * *

თოვს... ქალალდის ნაფლეთებივით ირევა ჰაერში ჰაეროვანი ფიფქები და თეთრი, ფაფუკი თოვლის ზვინები ალამაზებს მთებს, ხეებს, სახლებს.

ოთახში ანატოლი შემოვიდა. მასა და მარინას შორის ახალი განწყობილება დამყარდა. მარინაც უფრო მშობლიური სიყვარულით და მეგობრული თანაგრძნობით შეეცადა მისი მწუხარება როგორმე გაეფანტა.

— ჩემო კარგო, ამ წუთში სწორედ შენზე ვფიქრობდი, მაგრამ შენ თითქოს გამხდარხარ, რატომ ანატოლი?

— ნაკლებად მძინავს.

— მუშაობ?

— სადაც არის დავამთავრებ კიდეც ჩემ ახალ სურათს და

თუ შედარებით დამშვიდებული ვარ, ამ გატაცებას უნდა ვუმადლოდე, — თვალები დახუჭა და დაქანცული სახით სავარძელს ზურგით მიეყრდნო.

— გეტყობა უძილო ხარ, დაწექი, დღეს სამუშაო მაქვს და არსად არ ვაპირებ წასვლას.

დაემორჩილა, დაღლილი მოძრაობით ტახტზე მიწვა და თავისი პალტო წაიხურა.

— ეს რამდენიმე ღამეა ვერ დავიძინე, მაშინებს საკუთარი ოთახიც კი და კიდევ...

— რა ანატოლი?

— ჩემი ახალი სურათი, ასე მგონია ის აიწყვეტს მოლბერტიდან, დახსნილი სახსრებითა და სიცილ-ხარხარით შემოიჭრება ჩემთან, ამას წინათ მომეჩვენა, რომ ოთახში ვიღაც დადიოდა, არა ვარ მშიშარა, არც ლაჩარი ვიყავ, მაგრამ... კიდევ რამდენიმე გაუგებარი სიტყვა თქვა და ლაპარაკი მიწყდა. მას ჩაეძინა.

* * *

— ვინ არის ეს კაცი?

— ჩუმად, არ გაეღვიძოს.

გერმამ კითხვა გაიმეორა და როდესაც გაიგო ვინც იყო, წარბები შეიკრა და ეჭვიანობის გრძნობამ შეიპყრო.

— ყოფილი მოწაფე, ნიჭიერი მხატვარი.

— მე მაინც არაფერი მესმის, საკუთარი ოთახი აქვს, უცხო ქალის ოთახში სძინავს. საინტერესოა, სანამდე აპირებს აგრე ძილს?!

— სანამ არ გაიღვიძებს.

— გათენებამდე რომ იძინოს?

— საწინააღმდეგო არაფერი მექნება.

— ჰო, ეს კიდევ სხვა ამბავია და გულახდილობაც ასეთი უნდა.

— გერმა, ასეთი ტონი არ იყოს.

— აქეთ მედავები?

— სადაო არაფერი მაქვს, აქ არის ტრაგედია, რომელსაც...

— ახ, ტრაგედიებიც ყოფილა.

— თქვენი ირონიები სხვა დროისათვის შემოინახეთ და ახლა კი... კარები ღიაა.

ამ სიტყვებით ცივად ზურგი შეაქცია და საწერ მაგიდაზე სამეცადინო რვეულები გაშალა.

გერმა წავიდა.

საათმა ათჯერ დარეკა.

მარინამ ანატოლის გადახედა, მას კიდევ ეძინა.

გაფითრებულ სახეს ხშირი წამწამები ჩრდილად დასდგომოდა.

— მე დღეს თქვენ აღარ მოგასვენეთ.

— ვუცდიდი შენს გაღვიძებას, ჩაი ერთად დავლიოთ. ნუ მეტყვი უარს და ნუ მაწყენინებ.

ანატოლი ბავშვივით გაყუჩდა, მაგიდასთან ახლოს დაჯდა და გადაშლილ დღიურს გადახედა, მარინამ რვეული დახურა, წინ ჩაი დაუდგა და თვალებით თაფლზე და კარაქზე მიუთითა.

— თქვენ ლექსებს ხომ არ წერთ, მარინა?

— რატომ მეკითხები?!

— თქვენი დღიურიდან რამდენიმე სიტყვის ამოკითხვა მოვასწარი და ისინი პოეტურად მეჩვენენ.

— მე ვეძებ სილამაზეს ყველგან და ყველაფერში, ვეძებ მას სიტყვების დალაგებაშიც, თუ ეს პოეტობაა.

— ნიჭიერ მხატვარს, ფერების თავისებური შერჩევა ახასიათებს, ნიჭიერ პოეტს სიტყვების მოხერხებული დალაგება. მე მაქვს თქვენი რამდენიმე წერილი, რომლებიც დაწერილია სუფთა ლიტერატურული ენით და ნიჭიერი მწერლის მხატვრულობით.

— ეს შეიძლება ვარჯიშობას მიეწეროს, ერთი რომ რედაქციაში ვმუშაობ და მეორე — ჩვეულებად მაქვს ჩავწერო ყოველდღიური შთაბეჭდილებანი. გარდა ამისა, მე პოეზიაზე ნაკლებად ვფიქრობ, ვინაიდან მთელი ჩემი გულისყური მეცნიერებისაკენ არის მიმართული.

— ესე იგი თქვენ მეცნიერებას უფრო მაღლა აყენებთ, ვიდრე ხელოვნებას?!

— მე ორივე თანაბრად მიყვარს, მაგრამ განსხვავება მაინც დიდია მათ შორის. ხელოვნება, ეს ჰაერში გამოკიდული ჰაეროვანი კოშკია, რომელშიდაც ჩვენ შორიდან ვიხედებით და რომელიც აძლევს საზრდოს და შინაარსს ჩვენ სულიერ არსებობას. მეცნიერება ეს ძირმაგარი და დამდგარი ქვაკუთხედია, რომელსაც ვეყრდნობით ჩვენ და ურომლისოდაც გაუჭირდება კაცობრიობას არსებობა.

სწორია, მაგრამ მეცნიერება ეს ისეთი საგანია, რომელსაც ყოველი ადამიანი შეიცნობს და შეისწავლის. ხელოვნებას კი ერთეულები ემსახურებიან, ერთეულები, რომლებიც უნდა დაიბადონ განსაკუთრებული ნიჭით, განსაკუთრებული შეგრძნების უნარით.

— სამაგიეროდ სახელიც ხომ მეტი აქვთ და ზოგიერთი მათგანი საუკუნეებსაც უძლებს. გოეთე, შექსპირი, ეხლაც ისევე მძლავრად აღელვებს კაცობრიობას, როგორადაც აღელვებდა ამ ასეული წლების წინათ.

— ჩემის აზრით მეცნიერება დედაა ხელოვნებისა და სწორია თქმა: „პოეტსა და ფილოსოფოს შორის განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ერთი სახეებით აზროვნებს, ხოლო მეორე სილოგიზმებითო“. თქვენ ემსახურებით მეცნიერებას, არ გინდათ. იფიქროთ ხელოვნებაზე, ეს საწყენია.

— ანატოლი, შენ დღეს ახირებულ გუნებაზე ხარ და ბეც მაწინია, რომ მეცნიერებიდან ხელოვნებაში არ გადამტყორცნო. რა მოგივიდა, ან რა დაინახე ჩემში საამისო?

— თქვენ ჩემში მხატვარი აღმოაჩინეთ. მე კი თქვენში ლიტერატორს ვგრძნობ. რა გაცინებთ? მე ვლაპარაკობ სრულიად სერიოზულად.

საუბარი ისევ გერმამ შეაწყვეტინა.

ანატოლიმ მარინას შეხედა და თვალებით შემდეგი შეეკითხა:

— ეს არის ის?

— ჰო, ჩემო მეგობარო, მაგრამ შენ უფრო დიდი პატივსაცემი ხარ და უფრო საყვარელიც, — უპასუხა მარინამ თვალებითვე და მამაკაცები ერთმანეთს გააცნო.

— მეგონა მარტოდ იყავი. — წარმოთქვა გერმამ და ანატოლის ცივად ხელი გაუწოდა.

— ჩემთან ჩემი მეგობარია. დაჯექით და ჩაიზე დაგვეწვიეთ.

— მახსოვს ერთხელ სტუმართმოყვარეობის წინააღმდეგ რომ ამხედრდით, ახლა რა ამბავია?!

— მაშინ არ მქონდა საკმაო სამასპინძლო, ეხლა კი მაქვს.

— გმადლობთ, ჩაის არ დავლევ. მაგრამ ახალ ამბებს კი გეტყვი, თუ გინდა.

ანატოლი წამოდგა, გერმას დაემშვიდობა და მარინაც მას გასაცვალ კარებამდე მიჰყვა.

— ნუ წახვალ ამაღამ სახლში, ანატოლ, — უთხრა მან მარინამ და მის სახეზე რაღაც ბავშვური შიში აღიბეჭდა.

— რატომ?!

— ძილში ბოდავდი და ახსენებდი სიკვდილს. მეშინია...

ანატოლი გაწითლდა, მაგრამ მის გამომცდელ მზერას მაინც თვალი გაუსწორა.

— ჯერ არავითარი საფრთხე არ მომელის. საჭიროა გათავდეს ჩემი ახალი სურათი.

— შემდეგ? — იკითხა მარინამ და შეციებულ ადამიანივით შეაჟრჟოლა.

— შემდეგ არ ვიცი რა მოხდება, მაგრამ მანამდე დიდი დროა. ნახვამდის ძვირფასო მარინა და მაპატიე, რომ ამდენს გაწუხებ.

* * *

— შენი დიასახლისის შვილი ავად ყოფილა, — უთხრა გერმამ, როცა მარინა ოთახში შემობრუნდა.

— საცოდავი ბავშვი. მაგრამ როდის იყავი მასთან?

— დღეს, აქედან რომ გავედი, დამიძახა და მთხოვა გამესინჯა. თავიდან რომ დამეწყო ექიმობა, მოვარჩენდი, მაგრამ მოუყვანიათ ვიღაც სულელი ექიმები და...

— შენ ხომ ყველა ექიმს სულელს ეძახი, გარდა გერმა გერგაძისა, მაგრამ ერთი რამე მინდა გკითხო, ფული გამოართვი იმ ქალს?

— მაშ, არ უნდა გამომერთმია?!

— ეს ქალი ჩემი დიასახლისია და კარგი მეგობარიც, შვილი ავად ჰყავს და შენ მას ვერაფერს შველი, იცნობ ამ ქალს ძალიან კარგად, ნუთუ არ შეგეძლო არ აგეღო ის ხუთი მანეთი, რომელიც...

— ჩემო კარგო, შენ თბილისში ალბათ მილიონი მეგობარი გყავს და თუ ყველა უფასოდ ვსინჯე, კარგად წავა ჩემი საქმეები.

მარინამ ზურგი შეაქცია და ფანჯარასთან დადგა.

— ხშირად მოდის აქ შენი ჭლექიანი მეგობარი და რატომ აქამდე ვერ შევხვდი მას?!

— ვოხოვ, ამ კაცზე პატივისცემით ილაპარაკო.

— ასეა თუ ისე, მე სრულიად არ მომწონს, როცა უცხო კაცს შენს ოთახში სძინავს.

— ეს შენი საქმე არ არის.

— მაშ, ვისი საქმეა? ნუთუ შენ ასე აპირებ ცხოვრებას, როცა ჩემი ცოლი გახდები?

— ეს არასოდეს არ იქნება.

— რატომ?

— იმიტომ, რომ რაც მე თეთრი მგონია, შენ შავად გეჩვენება. ჩვენ ვერ შევთანხმდებით.

— მაშ, რატომ დამიახლოვდი?!

— ეს მოხდა ისე, უნებურად.

— რას აპირებ ახლა?! დაშორებას?

— ჯერ არაფერს არ ვაპირებ, ვუყუროთ კიდევ.

— ესე იგი ვუყუროთ მანამდე, სანამ აღმოჩნდებოდეს ის იდეალი...

— შეგიძლია ასე იფიქრო.

— რაკ იზამ მაშინ?

— იმავე დღეს მიგატოვებ.

— მაშასადამე, საჭირო ვყოფილვარ როგორც მამაკაცი.

— სხვა მე შენში ვერაფერი აღმოვაჩინე.

— კარგი, მაგრამ მე რომ არ ვისურვო დარჩენა ასეთი პირობით?

— შეგიძლია ეხლავე წახვიდე.

— შენ არც გქონია სურვილი აღმოგეჩინა ჩემში ჩემი ბუნების უკეთესი მხარეები.

— მე ამის სურვილი მქონდა და ჯერ კიდევ მაქვს, მე ვეძებ შენში კარგსა და უკეთესს, ვცდილობ აღმოვაჩინო შენში ადამიანი, თუ ეს მოვახერხე ჩვენ დავაკანონებთ იმ ურთიერთობაკ და ჩვენ ერთმანეთს არ დავშორდებით, თუ ვერ მოვახერხე, მე გავწყვეტ შენთან ყოველგვარ კავშირს და შევხედავ ამ ამბავს ისე, როგორც ჩემი ცხოვრების უდიდეს შეცდომას.

გერმა გაჩუმდა. ის გრძნობს, რომ მათი დამოკიდებულება თანდათან მწვავდება და ბრაზობს, რომ ეს ქალი არაფერს უთმობს. მიუხედავად ამისა, არასოდეს არ განუცდია ქალის გავლენა ასე ღრმად და ასე ძლიერად.

— სად აპირებ? — შეეკითხა ბოლოს, როცა დაინახა, მარინა სარკესთან მივიდა და პალტო გადაიცვა.

— პოლინასთან.

— თერთმეტ საათზე?

— ტრამვაი მუშაობს, რა უშავს.

უკმაყოფილოდ შეიჰმუხნა, მაგრამ დაშლით მაინც ვერ დაუშალა, ვინაიდან შესწავლილი ჰქონდა მისი ხასიათი და იცოდა, რომ ის თავის გადაწყვეტილებას არ შეცვლიდა. როცა კიბეზე ჩავიდნენ, უეცრად ხელები მოხვია და ტუჩებით მის ყელს შეეხო. მარინა შეჩერდა, თავი გაინთავისუფლა და ზევით აიხედა.

აივანზე მეზობელი ქალი იდგა.

— შენ აგრე განზრახ მოიქეცი, რომ ეს იმ ქალს დაენახა და ამის შესახებ ლაპარაკი დაეწყო. ეგრე, ხომ?

ეს მართლაც რომ ეგრე იყო, მაგრამ გერმამ არ ისურვა ამ ბრალდების დადასტურება.

— არ ვიცი, რისი ან ვისი გეშინია. მგონია, თავისუფალი მოქალაქეები ვართ.

— თავისუფალი მოქალაქეები ქალებს ქუჩაში არ კოცნიან. პირიქით, მამაკაცი — ადამიანი შეეცდება აამაღლოს და ზევით ასწიოს საყვარელი ქალი, შენ კი...

— შენ გინდა დონ-კიხოტივით ვაქნიო ხმალი შენს ხსენებაზე?

— მე მინდა ჩემ სახელს და ჩემ ნერვებს გაუფრთხილდე. მინდა რომ... მან ვერც კი მოასწრო სიტყვის დამთავრება, რომ მათ გვერდით რამდენიმე კაცმა გაირბინა და ტყვიამ შხუილით გაიზუზუნა მათი მიმართულებით. გერმა შეშინებული სახით აეკრა რომელიღაც მაღაზიის კუთხეს და შემკრთალმა დაუწყო ცქერა შეიარაღებულ ჯარისკაცებს, რომლებიც აქეთ-იქით გარბოდნენ.

— რა მოხდა, ამხანაგო?! — შეეკითხა მარინა ვიღაცას.

— ტუსაღები გაქცეულან, — გადმოუგდო პასუხი უცნობმა ახალგაზრდამ და საჩქაროდ ბრბოში მიიმალა.

სროლა განმეორდა, ქალები და ბავშვები დაფრთხნენ. მილიციამ სტვენას უმატა, ბრბო შეტორტმანდა. გერმაც მოწყდა თავის საფარს და პალტოს კალთების ფართხუნით გაიქცა უშიშარ ადგილისაკენ. მარინა მარტოკა დარჩა და უნებურად სიცილი წასკდა. როცა შემდეგ ტრამვაის ვაგონიდან თვალი მოჰკრა გერმას ახოვან გარეგნობას, იგრძნო, რომ ამ კაცს მის თვალში დაეკარგა ყოველგვარი მიმზიდველობა და ირონიულად თავისთვის ჩაილაპარაკა:

„ფუ, ისეც ვაქკაცია?!“

* * *

ღამის 12 საათია. გერმა გაბოროტებული დაბრუნდა სახლში. ერთი, რომ ქუჩაში მომხდარ ინციდენტის შემდეგ მარინას ვერსად ვერ შეხვდა. მისი ოთახის კარები ყოველთვის დაკეტილია და ფანჯრიდან გამომკრთალი შუქი კი ეუბნება მას, რომ ამ ქალს მისი ნახვა აღარ სურს.

მეორეც კიდევ...

დღეს რამდენიმე ავადმყოფთან იყო გაწვეული ბინაზე და ეს მას ყოველთვის ხასიათს უფუჭებს.

„წამოწვებიან თუ თავი ატკივდათ და ირბინე შენ, ექიმო, აღმართ და დაღმართ“. ფიქრობს ის და გამეტებით ლანძღავს როგორც ამ ავადმყოფებს, ისე იმ ხალხს, ვინც ასე უხეირო კანონი გამოიმუშავა უფასო მკურნალობისა.

შეკრული წარბებით შედის ავადმყოფთან, ერთ-ორს კი დაუბრახუნებს მკერდზე და მაშინვე რეცეპტის წერას შეუდგება.

— მომისმინეთ ბატონო კარგად, რა უნდა გამოწეროთ, როდესაც არა გაქვთ გამორკვეული ავადმყოფობა. — შენიშნავს კრძალვით რომელიმე ავადმყოფი.

— თუ ექიმი თქვენ ხართ, მე რაღას მეძახით? ალბათ გავიგე რა გტკივათ და ვიცი რა უნდა გამოგიწეროთ.

ამ სიტყვებით გადის ოთახიდან და ისევ ისეთივე გაბოროტებით ეძებს მეორე მისამართს. არა ერთხელ დაღუპულა ავადმყოფი მის მიერ გამოწერილი რეცეპტით, მაგრამ დღემდის ამის შესახებ არავის არაფერი უთქვამს.

— მე ესა და ეს კაცი მოვარჩინე, მე ესა და ეს კაცი სიკვდილს გადავარჩინე, — დაიტრაბახებს ის, მაგრამ მის ნაცნობ მეგობრებში ასეთი განცხადება მხოლოდ და მხოლოდ ირონიულ ღიმილს იწვევს. არ იქნა და არა, თავისი პრესტიჟი, როგორც ექიმის, მაღლა ვერ ასწია.

კარებზე დაუკაკუნეს.

პატარა ბიჭმა კონვერტი გადასცა:

„გერმა! მჭირდება ორმოცი მანეთი და გთხოვ, ამ ბავშვის ხელით გამომიგზავნო. ვეცდები მალე დაგიბრუნო, ჩემო კარგო, ნუ დაიზარებ ჩემთვის ამ პატარა თანხას. თინა“.

წარბები შეიკრა, უსიამო გრძნობამ გულზე უკბინა და იმავე ბარათზე შემდეგი დააწერა:

„დღეს დედაჩემს გავუგზავნე სოფელში ფული და ამჟამად არაფერი მაქვს“. გერმა.

ყველა ქალი ერთმანეთს გავს, მენახა ისეთი ვინმე რომ ჯიბეში არ გიცქეროდეს. — ბრაზით ჩაილაპარაკა მან და არხეინად ტახტზე წამოწვა. არ გასულა სულ ნახევარი საათი, რომ თინამ მისი ოთახის კარები შეაღო, თვალებში ღრუბლები ჩასდგომოდა და მისი სახე გულისწყრომას უფრო გაელამაზებინა.

— რამდენიმე წელია რაც დამიახლოვდი, ამ ხნის განმავლობაში ეს ორმოცი მანეთი გთხოვე და ამაზეც უარი მივიღე, სად არის შენი სინდისი, ბატონო გერმა?!

— მე ქალებს არ ვყიდულობ, ქალბატონო თინა, ერთადერთი სიამოვნება რომელიც უსასყიდლოდ მეძლევა არის ქალი და მეც ვსარგებლობ ამ ბედნიერებით.

— არც მე ვყიდი ჩემს სხეულს, მაგრამ გაჭირვების დროს ხომ უნდა მიხედოთ იმ ქალს, რომელიც...

— მიყვარს არა?!

— არა, ამის თქმა არ მინდოდა, დარწმუნებული ვარ არავითარი სიყვარული არ ყოფილა და თუ დამიახლოვდი, დამიახლოვდი იმიტომ, რომ ნახეთ გულუბრყვილო ქალი, რომელიც დაარწმუნეთ თქვენს კეთილშობილებაში და, როდესაც მიზანს მიაღწიეთ... ის შეჩერდა, სიტყვები ყელში გაეჩხირა და მოწყვეტილად სკამზე დაეშვა.

— რა გაქვთ მაინც ჩემთან სასაუბროდ? სიყვარული რომ არ წემიძლია, ეს ბევრჯერ მითქვამს, ქალი მაინტერესებს, რამდენადაც ის საინტერესოა ფიზიოლოგიურად და რამდენადაც ის აკმაყოფილებს ჩემს მოთხოვნილებებს. შენ მაძლევდი შენ სხეულს, მაგრამ სამაგიეროდ ღებულობდი ჩემსას და რატომ მე არ ვთხოულობ დახმარებას გაჭირვების წუთებში?!.

— ეს კაცი, ნუთუ ეს კაცი მიყვარდა მე?! — წაიჩურჩულა თინამ და სიკვდილივით გადაფითრებული სახე ზევით აიღო.

ის ისეთი კოხტა, ლამაზი და მიმზიდველი იყო თავისი დიდრონი სევდიანი თვალებით, რომ გერმას სურვილი აღეძრა, ერთხელ კიდევ დაემორჩილებინა, მაგრამ როცა ანთებული სახით და აფეთქებული თვალებით ხელი შეახო, თინა გველნაკბენივით წამოიჭრა, ოთახიდან გამოვარდა და აივნის სვეტს ხელი ჩაავლო.

— კარგი, თინა, გეხუმრე, — ეუბნება შეცვლილი ხმით და ცდილობს კვლავ მიუახლოვდეს მას.

— შეჩერდით მანდ, მე თქვენთან კიდევ ბევრი რამ მაქვს სათქმელი.

— კიდევ?! — გაიმეორა მან და ცნობისმოყვარეობით წარბები ასწია.

— ამ რამდენიმე წლის წინათ თქვენ შემპირდით რომ ცოლად შემირთავდით, გაიძვერულად შემომეპარეთ, თავი შემაყვარეთ, უმანკოება წამართვით და შემდეგ: „მე საცოლო კაცი არა ვარო“, მითხარით. მაშინ ეს ვერ დავიჯერე, ახლა კი მჯერა და დღეს რომ თქვენი ცოლი ვიყო, ხვალ გაყრაზე მოვაწერდი ხელს. საზიზღარი ხართ, იმდენად საზიზღარი, რომ ის ბავშვი, რომელიც გაჩნდა ამ კავშირისაგან და რომელსაც ვატარებ დღეს, სწვავს ჩემს ორგანიზმს. მე მეჯავრება ეს ნაყოფი იმდენად, რამდენადაც მეჯავრება მისი მამა, ფული ექიმისათვის მჭირდება. ბევრს ნუ მალაპარაკებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში...

— ვინ არის მოწმე, რომ მამა მე ვარ? აქედან ორმოც მანეთს წაიღებ, შემდეგ კიდევ გაუვლი ვინმეს და მეორე ორმოც მანეთს ჩაიდებ ჯიბეში, ეს მართლაც რომ კარგი შემოსავალია.

თინა აივნის სვეტს მოშორდა, ორივე ხელები დაკუმშა და უნდოდა სცემოდა მას, მაგრამ ჩქარა ისევ დაუშვა მკლავები და მთვარეულივით კარებისკენ გაემართა.

„თუ მიჩივლა, დავიღუპე“, გაიფიქრა გერმამ, საფულედან ოცი მანეთი ამოიღო და თინას პალტოს ჯიბეში ჩაუდო.

— მე გეხუმრე და ეს შენ ვერ გაიგე, წაიღე ახლა ეს ფული და თუ საჭირო იქნება კიდევ...

— სალახანავ!! — წამოიძახა თინამ აღშფოთებული ხმით, ფული სახეში მიაყარა და საჩქაროდ კარები გაიხურა.

* * *

ზურაბის უკანასკნელი სურათი მომწონს, წყნარი, ალერსიანი ღიმილი და ნათელი, უღრუბლო თვალები. ბედნიერი ხარ, პოლინა, რომ ასეთი მეგობარი გყავს, — ამ სიტყვებით მარინამ სურათი მაგიდაზე დადო და მოსკოვიდან გამოგზავნილ წერილში შემდეგი ამოიკითხა: „საქმეები ჯერ კიდევ მაკავებენ, არ მოიწყინო და გახსოვდეს ზურაბი. იმას უყვარხარ შენ!“

ორი ასეთი ახალგაზრდა და ასეთი ძველი სიყვარული.

— სიყვარული არასოდეს არ იქნება ძველი.

— ჰკითხე ერთი შენს ამხანაგებს.

— სავალდებულოდ არ მიმაჩნია უკრიტიკოდ მივიღო სხვისი შეხედულება და მეტადრე ყალბი შეხედულება. არსებობს მიზანი და არსებობს მისწრაფება. თუ აუცილებელი დარჩა მე გავწირავ მისთვის საკუთარ თავს და გავწირავ სიცოცხლეს საყვარელ ადამიანისას, მაგრამ როცა ამას არ მოითხოვს საჭიროება, გიჟი არა ვარ უარი ვთქვა პირად ბედნიერებაზე. კიდევ ორმოცი წელი შემიძლია გავძლო და ამ ხნის განმავლობაში რად უნდა ვიყო მარტოდ და უმეგობროდ? დიდ მანძილს დიდი სიყვარული სჭირდება, თუ არ გიყვარს, მასთან ხუთი წუთიც ჯოჯოხეთია, თუ გიყვარს მასთან საუკუნეც წუთად გეჩვენება, უსიყვარულო ურთიერთობა პროსტიტუციის გზით მიდის.

— ხომ გახსოვს რას ამბობს თავის წიგნში კოლონტაი?

„ვისზედაც გაჩერდეს თვალი“ და სხვა.

— მე ამას ვერ ვიწამებ. ბევრ ლამაზ მამაკაცს ვიცნობ, ბევრი ლამაზი მამაკაცი მომწონს, მაგრამ ვერც ერთ მათგანს ვერ გავუვებოდი მე... ერთი ღამით. ძაღლი ხომ არა ვარ, რომ მარტო სქესს დავეყრდნო?! რად მინდა ასეთი მამაკაცი, რომელსაც ვერ ვიხილავ ჩემ გვერდით ჩემი ცხოვრების უმძიმეს წუთებში, რომელიც ვერ ამოავსებს ჩემი სულის ცარიელ ადგილებს, რომელიც მომიბმარს როგორც ქალს და უარყოფს და არ ხედავს ჩემში ადამიანს?

— მეც ამგვარად ვფიქრობ, მაგრამ მეშინია რომ ჩვენ მსჯელობას მორალის სუნი არ უდიოდეს. სიყვარულისა და თავგანწირვის მაღალი გრძნობები ამ ჩვენ საუკუნეს არ ეგუება, ან ის მას სხვაგვარად ესმის.

— ასე ეს არ უნდა გავიგოთ, თუ მიყვარს და ვუყვარვარ, თუ ერთგულია და ერთგული ვარ, ეს განა გასაკიცხია? ცუდი ის იქნებოდა, რომ არ მიყვარდეს, მასთან ცხოვრება არ მინდოდეს და თავს ძალას ვატანდე.

— როგორ უნდა მოიქცეს ქალი, რომელსაც ეგონა უყვარდა, მაგრამ შემდეგ... გვიან დარწმუნდა, რომ ეს ასე არ არის.

— უნდა დაშორდეს იმ კაცს, რომელთანაც გარდა სხეულისა არაფერი აკავშირებს.

ისმის ზარის წკრიალი, შემდეგ ფეხის ხმა კიბის საფეხურზე და კიდევ შემდეგ... იღება პოლინას ოთახის კარები...

— თინა, — ერთხმად წამოიძახეს ქალებმა და სათითაოდ მოეხვიენ მას.

— არა გრცხვენია? ცხრა წელიწადი ერთად ვსწავლობდით და აქამდე არა მნახე. ვიცოდი თბილისში იყავი, მაგრამ იმდენად ვარ დატვირთული საქმეებით, რომ სამისამართო მაგიდას ვერ მივაკითხე, — წარმოთქვა პოლინამ გულწრფელი სიხარულით და გაჩერებული თინა გვერდით მოისვა.

— ჩვენი პატარა თინა, გახსოვს რამოდენა ნაწნავები გქონდა და როგორ გათრევდით ხოლმე ამ ნაწნავებით? — მოაგონა მარინამ.

— მახსოვს, ჩემო მეგობრებო, მაგრამ ყველაფერი ეს წარსულმა წაიღო, დღეს კი...

ქალებმა მოხედეს მის გაცრეცილ, სევდისაგან დამძიმებულ თვალებს, დაავადებულ შეხედულებას და დაუწყეს გამოკითხვა, თუ რა იყო მისი ასეთი შეცვლის მიზეზი.

— ეს გრძელი ამბავია და უკეთესია თუ არაფერს ვიტყვი ამის შესახებ, სათხოვარი კი მაქვს შენთან, პოლინა, ერთი წელია რაც უადგილოდ ვარ. შარშან დედა მომიკვდა და პატარა და-ძმა მე დამიტოვა გასაზრდელად, იქნება მომაწყო სადმე... ამ რამდენიმე თვის წინათ ლომბარდში ნივთები დავაგირავე, მაგრამ პროცენტები ვერ შევიტანე და ალბათ ამ დღეებში გაიყიდება.

— ნუ გეშინია, თინა, ადგილს გიშოვით, მაგრამ შენ მეტს არაფერს იტყვი?

— ჯერჯერობით არაფერს. იქნება შემდეგ...

— შენ არ იყავი ასეთი გულჩახვეული, ახლა რა მოგვიდა? — უკითხება მარინა.

— ცხოვრება მომერია და ადამიანებმა არ დამინდეს.

— რატომ აქამდე არ მოხვედი ჩემთან? ხომ იცოდი, რომ აქ ვიყავი?

— ვიცოდი, მაგრამ რაღაც მიჭერდა, — სიტყვა ვერც კი დაამთავრა, თვალები დაეხუჭა და სკამის ზურგს მიეყრდნო.

— გული შეუწუხდა, მომაწოდე ოდეკალონი, მარინა!

— არაფერია, გაივლის... გმადლობთ... ჩაიჩურჩულა თინამ და ჩქარა ისევ დაუბრუნდა ჩვეულებრივი შეხედულება.

პოლინამ მის თვალებს ღრმად ჩახედა და უსიტყვოდ რაღაცა შეეკითხა, თინამ ნაღვლიანად გაიღიმა.

— თინა, შენ...

— შემხვდა უსინდისო ადამიანი, ვენდე და შემდეგ...

— პარტიულია?!

— არა, მაგრამ პატიოსან მოქალაქედ კი გყავთ მიჩნეული.

— მე დავიბარებ ამ კაცს და ვაიძულებ.

— რაზე? მე ის ქმრად არ მსურს.

— არ გიყვარდა და ისე ცხოვრობდი?

— მიყვარდა, სანამ სულ არ გამოაშკარავდა მისი სულიერი სიღატაკე. ზიზღმა სიყვარული დაახრჩო.

— ბავშვი? მას განა აღზრდა არ უნდა?

— ბავშვი არ იქნება, ამისათვის არსებობს ექიმის კაბინეტი და საოპერაციო მაგიდა.

— ეს კაცი დაუსჯელად გადარჩა. შენ არ გინდა დაასახელო მისი გვარი.

— შენი ნათესავია ის, პოლინა.

— გერმა, — წამოიძახა მარინამ და მის სახეს სიწითლემ აჰკრა.

— შენ იცნობ მას, მარინა?!

— ძალიან კარგად, ეს კაცი სულიერად დაღუპული ადამიანია, მაგრამ მაინც მინდა გირჩიო ერთი რამ. არ შეიძლება არ იყოს მასში კეთილი შთანასახიც. საჭიროა მისი გამოჩხრეკა, გაშლა, გაფართოება. გაყევი მას ცოლად; აღუზარდე შვილი და იქნება ოჯახურმა გარემოებამ შეცვალოს მისი დამახინჯებული ბუნება.

— არა, ამით ის არამც თუ შეიცვლება, ის შეიძულებს ცოლსაც, შვილსაც და გაექცევა საკუთარ ოჯახსაც.

— სცადე მაინც. ვერ გაბედავს უარის თქმას. მე და პოლინა ამ საქმეს გავაკეთებთ.

— ძალდატანება არა მწამს, მე ამ კაცს არ ვუყვარვარ, მე იგი უკვე მეზიზღება. როგორ შეიძლება ასეთ პირობებში ცოლქმრობაზე ლაპარაკი?!

— შენ არ დამეხმარები, პოლინა?! — დაეკითხა მას მარინა, რომელიც გაჩუმებული იჯდა და შუბლზე დაყრილი ნაოჭები ააშკარავებდა მის სულიერ მღელვარებას.

— ჩემის აზრით თინა მართალია, ასეთი კაცი არამც თუ ქმრად, შეზობლადაც არ ვარგა.

— პოლინა სახლშია? — იკითხა გერმამ და კარებზე თითები დაჰკრა.

მარინა წამოიჭრა, თინა შირმას ამოაფარა და ჩუმად ჩაულაპარაკა:

— იჯექი აქ, სანამდე არ დაგიძახოთ. ყური დაუგდე ჩვენს საუბარს და ნუ გაიკვირვებ ნურაფერს.

— სალამი ამხანაგებს!

ქალებმა უსიტყვოდ სკამზე მიუთითეს.

— სად იკარგები, მარინა, ერთი კვირაა დაგეძებ და ვერ გიპოვნე.

— მე უსაქმოდ არ დავდივარ.

— რასა იქმს შენი მხატვარი, ალბათ იმის მოვლას თუ უნდები.

— მე თქვენ გიკრძალავთ ასეთი ტონით ლაპარაკს, მოქალაქე გერგაძეც და საერთოდ მიკვირს, როგორ ბედავთ დასცინოთ სხვას, როდესაც თქვენ თითონ სასაცილო ხართ. დაგავიწყდათ, განა როგორ გარბოდით ქუჩაში პალტოს გაშლილი კალთებით და გვერდზე მონგრეული ცილინდრით?!

აქ მარინამ ისე კომიკურად მოუყვა პოლინას ეს მართლაც სასაცილო ამბავი, რომ პოლინას სახე უნებურად გაეხსნა .და ქალებმა სიცილი დაიწყეს.

— მაშ დავმდგარიყავი და ტყვია დამეჭირა?! უკაცრავად, ამდენად სულელი არა ვარ.

— ერთი რომ ტყვიას ჰაერში ისროდენ და მეორე, მამაკაცმა ასეთ შემთხვევაში არ უნდა მოხედოს იმ ქალს, რომელსაც ახლავს? კავალერიც ასეთი უნდა.

— სხვაზე არ ფიქრობენ, როცა საკუთარი თავი საფრთხეში ეგულებათ.

— ასეთ მხდალ და სულმდაბალ ადამიანებს სალამსაც არ მივცემ, ამიერიდან თავისუფალი ხართ. ჩვენ შორის ყოველგვარი მეგობრული განწყობილება გაწყვეტილია.

— ნორმალური ქალი ასეთ უმნიშვნელო რამეს ყურადღებას არ მიაქცევს, ალბათ გინდოდა გეშოვა მიზეზი და შემთხვევით ისარგებლე.

— მიზეზი მარტო ეს არ არის.

— მაშ, რაშია საქმე? აგერ პოლინაც ისე ზის და ისეთი გაბოროტებული თვალებით მიცქერის, თითქოს რაიმე დიდი დანაშაული ჩამედინოს.

— მიკვირს, რომ დღემდის არ გიცნობდი, მე შენ უკეთესი მეგონე.

— მითხარით მაინც რა დავაშავე?!

— თინა ჩვენი სკოლის ამხანაგია.

— აა, აი თურმე რა ყოფილა? ალბათ ქმრის შოვნა მოესურვა და...

— თინა მოკვდება, მაგრამ შენი ცოლი არასოდეს არ გახდება,

— არც მე ვაპირებ მისი ქმარი გავხდე, მაგრამ ის ტყუის... მას ჩემს გარდაც ჰყავდა საყვარ...

— აბა გაბედე და გაიმეორე ეს სიტყვები ჩემ წინაშე, — დაილაპარაკა თინამ და ფარდიდან მოჩვენებასავით აღიმართა.

— ისტერიულ ქალებს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ათავსებენ, თქვენთან სალაპარაკო არაფერი მაქვს. თუ რამეს მიჩივით, იჩივლეთ და პასუხს სასამართლოში მიიღებთ. — ამ სიტყვებით ქუდი აიღო და საჩქაროდ გარეთ გავარდა.

— დაჯექი თინა. ძველი შეცდომები მიდის ამ კაცთან ერთად, ჯერ შენ კიდევ ახალგაზრდა ხარ და ჯერ კიდევ მთელი ცხოვრება წინა გაქვს. დამშვიდდი, ჩემო კარგო, — ამ სიტყვებით მარინამ ღონემიხდილი, განადგურებული თინა სკამზე დასვა და მეგობრული გრძნობით მოეხვია.

მოვლილია

* * *

„თინა! შენი ნივთები გუშინ პოლინამ ლომბარდიდან დაიხსნა. დღეს ყველაფერს უკანვე მიიღებ. გიგზავნი მეც ორმოცდაათ მანეთს, სამუშაო ადგილი შენთვის აღმოჩენილია. იფიქრე შენს ჯანმრთელობაზე, მაგრად იყავი და გულს ნუ გაიტეხ. შენი ძველი მეგობრები, სკოლის ამხანაგები შენთან ვართ.

დღეს შემოვიქეცი, მარინა.“

წერილი რამდენიმეჯერ გადაიკითხა, შუბლი გაეხსნა და მტკიცე ნაბიჯით ქუჩაში გავიდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ თინას უმცროსმა ძმამ გიგამ პოლინა დეიდას კარები გაუღო.

— ამ წუთს გავიდა, ალბათ მალე დაბრუნდება, — უთხრა ბავშვმა და მუშას ნივთები ჩამოართვა.

— აბა, ბიჭუნი, გავხსნათ ეს თოკი, აი, ასე, ყოჩაღ!!

— ჩვენი სარკე! — წამოიძახა ბავშვმა და სახე სიხარულისაგან აელეწა.

ოთახი ძველებურად მოირთო.

კედლის ლამაზი ნოხი.

ხავერდის სუფრა...

ბროლის სარკე.

ბრინჯაოს და მინანქრის ვაზები.

აივაზოვსკის „ზღვა“ ვარაყიანი ჩარჩოთი დაუბრუნდა თავის ძველ ადგილს.

ეს სურათი ყველაზე უფრო უყვარდა თინას და მისი სახლიდან გატანა ყველაზე მეტად დაენანაო, — თქვა ძმამ.

— დღეიდან თქვენი ცხოვრება შეიცვლება, თინა იმსახურებს, შენ სტიპენდიას დაგინიშნავთ, კომკავშირელი ბიჭი ხარ და მალე კომუნისტი კაცი გახდები და ასე და ამგვარად ერთმანეთს ცხოვრებას გაუადვილებთ. — თქვა პოლინამ და აღტაცებული ბავშვი ისევ მარტოდ დატოვა.

საღამოს შვიდ საათზე თინასთან მარინა მოვიდა. ის იწვა, ვერ იყო კარგად, მაგრამ თავისი სახის ძველებური გამომეტყველება დაბრუნებოდა და ფართოდ გახსნილ ბავშვურ თვალებში სიხარულის ცრემლები მარგალიტებივით ბრწყინავდნენ.

* * *

მარინამ ისე კარგად შეისწავლა ქალთა სნეულების ყოველი წვრილმანი, რომ თავისუფლად შეუძლია იმსჯელოს ამა თუ იმ მტკივნეულ საკითხზე. შეუძლია გამოარკვიოს ესა თუ ის სერიოზული დაავადება. ის დანიშნეს ექიმ-გინეკოლოგად ერთ-ერთ სამშობიაროში და ხშირია შემთხვევა, როცა ის მეტად მძიმე და საპასუხისმგებლო საქმეს ჰკიდებს ხელს.

ავადმყოფობა, ტკივილები, სიკვდილი, ეს სამი რამ ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა ამ საავადმყოფოს კარებთან და ექიმებიც იბრძვიან გადალახონ ყოველგვარი სიძნელე. მათ რიგებს მარინაც უერთდება და ყოველთვის, როდესაც ის უახლოვდება ამ უზარ-

მაზარ თეთრ შენობას, უნებურად ფიქრობს: დედაკაცი შიგ თვალებში შეჰყურებს სიკვდილს, ყოველი მშობიარობის დროს და მიუხედავად ამისა, ის მაინც არ დრკება და ის მაინც სიხარულით მოელის იმ დღეს, რომელი დღეც მას აჩუქებს შვილს. შვილი, ამ სიტყვას ისეთი ანდამანტი აქვს, რომ ეს სიტყვა გამუდმებით დაჰყვება თან ახალგაზრდა ცოლქმარს და მართლაც რა უშნო, ცივი და უხალისოა ის ოჯახი, სადაც ერთი ან ორი ბავშვი არ სუნთქავს. სადაც არ ახალისებს ოჯახურ იდილიას ბავშვის უდარდელი ტიკ-ტიკი და ხშირია შემთხვევა, წლები მისდევენ წლებს და არ ჩნდება შვილი. ვინ არის ამ ორ ადამიანში დამნაშავე?! ქმარი თავის გულში ცოლს აყვედრებს ამ უბედურებას, ცოლი კიდევ ქმარს, მაგრამ თავიანთ სამდურავს არ უმხელენ ერთურთს: „უშვილო ქალი შემოვიყვანე ოჯახში, დავიღუპე, გადავშენდი“, აწუწუნდება ესა თუ ის დედამთილი, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იფიქრებს იმაზე, რომ იქნება მათი შვილია დამნაშავე და არა რძალი. სად ვეძიოთ სათავე ამ ბოროტების, რა არის მიზეზი ამ უბედურების? უწესრიგო ცხოვრება, ენერგიის დაუზოგავი წვა, ალკოჰოლი... და არის შემთხვევა, როცა უშვილობის მიზეზი ქალის ქალური ავადმყოფობაა.

— დიახ, მე ვგრძნობ რომ ავადა ვარ, — განაგრძო საუბარი ავადმყოფმა, როცა გასინჯვის შემდეგ ტახტიდან წამოდგა, — და თუ მკურნალობამ არ მიშველა, მე იძულებული ვიქნები დავტოვო ქმარი.

მარინამ გაოცებით შეხედა ახალგაზრდა ქალს, მის სიტყვებში მტკიცე გადაწყვეტილება ისმოდა.

— თქვენ, ალბათ, გაკვირვებთ ჩემი სიტყვები, მაგრამ მე უსათუოდ უნდა დავტოვო ქმარი თუ შვილი არ მეყოლა. პირადად მე შემეძლო ამეტანა ეს უბედურება, მაგრამ ის, ის ფიზიკურ ტკივილებს გრძნობს, როცა სხვის ბავშვებს შეჰყურებს. შეგიძლიათ ჩემი შველა? არის რაიმე იმედი? — ეკითხება ის მარინას ისეთი ხმით, თითქოს ამ პასუხით მისი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდებოდეს.

— დაბეჯითებით ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით, მაგრამ რაც შეეხება იმედს, მე იმედი მაქვს, — უპასუხა მარინამ და მიმართა მკურნალობის ახალ ხერხებს. არა ერთხელ აღუდგენია

მას ქალის დარღვეული ჯანმრთელობა, არა ერთხელ მომხდარა, რომ მის მკურნალობას შედეგი მოჰყოლია.

— ძვირფასო ექიმო, ნება მომეცით მოგეხვიოთ, — ეუბნება ის მას და ეხვევა უნებართვოდ, კოცნის და ვერ მალავს სიხარულს, რომელიც უკვე ჩასახლებულა მის თვალებში, მის სულში და სხეულში.

— რა მოხდა? თქვენ, ალბათ, კარგი რამ გინდათ მახაროთ, — ეუბნება მარინა და იღიმება, კეთილი და ლმობიერი ღიმილით.

— მე და ჩემ ქმარს დიდი თათბირი გვაქვს, არ ვიცით თუ რითი და როგორ გადაგიხადოთ სამაგიერო, გვითხარით, დაგვავალეთ.

— მე გავალებთ მხოლოდ შემდეგს. აღზარდეთ ღირსეულ მოქალაქედ თქვენი მომავალი მემკვიდრე.

— მხოლოდ ეს?! — კითხულობს ქალი და აკვირვებს ასეთი ახირებული დავალება.

— თქვენ გგონიათ პატარა საქმე დაგაკისრეთ?

— ეს ხომ თავისთავად იქნება, ძვირფასო ექიმო?

— თავისთავად არ იზრდებიან ღირსეული მოქალაქენი, ძვირფასო ქალო, თქვენ პედაგოგი ხართ და პედაგოგები კი მეტი გონებრივი სიფხიზლით უნდა მოეკიდოთ, როგორც საკუთარ, ისე სხვისი შვილების აღზრდის საქმეს, — ამ სიტყვებით გადასცა მას რეცეპტი და ახალ ავადმყოფს მიუბრუნდა.

* * *

წკრრ, წკრ... დაიწკრიალა ოთახში ტელეფონის ხმამ.

მარინამ ყურმილი აიღო.

— გისმენთ, ახ, თქვენ, ამხანაგო რენო?! ჰო, მესმის, მძიმე ავადმყოფი? საჭიროა ოპერაცია? კარგით, მე ახლავე გამოვალ სახლიდან. დამიცადეთ, — პალტო ჩაიცვა, ჩანთას ხელი წამოავლო და საჩქაროდ ქუჩაში გავიდა.

— უნდა მაპატიოთ, მარინა, რომ თავისუფალი დრო წაგართვით, მაგრამ საჩქარო საქმე მაქვს და იმედია, რომ ავადმყოფს ჩემ მაგივრობას გაუწევთ.

— მშობიარეა, თუ?!

— ჰო, ის უკვე საოპერაციო მაგიდაზე წევს და მძიმე მდგო-

მარეობაში, აწუხებს კრუნჩხვები, საჭიროა მოვახდინოთ საკეისრო გაკვეთა. თქვენ რამდენჯერმე გააკეთეთ ეს ოპერაცია და ყოველთვის გაიმარჯვეთ. თუ ადრე გავთავისუფლდი, იქნებ მოგისწროთ.

— ძალიან კარგი, ამხანაგო რენო! მე ვეცდები ყველაფერი გავაკეთო ისე, როგორც საჭიროა, — ამ სიტყვებით თეთრი ხალათის სამაჯურები საჩქაროდ შეიკრა, თავზე თეთრი ქუდი დაიხურა და საოპერაციო ოთახისკენ გაემართა.

ავადმყოფი პირაღმა იწვა, ტკივილებისგან სახე შეშლოდა და ჭერს შეჰყურებდა.

„ნაცნობი სახეა, მაგრამ სად მინახავს ის?!" — გაიფიქრა მარინამ და ექიმის თანაშემწეს ჰკითხა:

— რა გვარია ავადმყოფი?

— ხვედელიძე.

— სახელი?

მზია.

მარინა შეკრთა და ავადმყოფის მაჯას სინჯვა დაუწყო.

მზია ხვედელიძე ხომ მისი სკოლის ამხანაგია, მაგრამ დიდი ხანია ერთმანეთი არ უნახავთ. მას ერთი შორეული ამბავი მოაგონდა:

ლათინურის მასწავლებელი მეტად ავი და სასტიკი კაცი იყო, მოწაფეებს საშინლად ეჯავრებოდათ ის და მარინასაც არა ერთხელ დაუწერია მასზე პამფლეტი. ერთ დღეს ერთ-ერთი მოწაფე სრულიად უმიზეზოდ გააგდო სკოლის დარბაზიდან. მარინა უმიზეზოდ დასჯილ მოწაფეს გამოესარჩლა და მასწავლებელმა ისიც უბოდიშოდ ზედ მიაყოლა. უეცრად უკანა მერხიდან საჩქაროდ წამოიჭრა პატარა ტანის ქოჩორა გოგონა მზია და მასწავლებელს მოურიდებლად შემდეგი სიტყვებით მიმართა:

— თქვენ აძევებთ სკოლის დარბაზიდან ჩვენს საუკეთესო მოწაფეებს სრულიად უსაფუძვლოდ და მეც არა მსურს დავრჩე თქვენს გაკვეთილზე, — და მზია თავის ნებით გაჰყვა დასჯილ ამხანაგებს.

დარბაზი შეშფოთდა, მოწაფეები უკმაყოფილოდ ახმაურდნენ.

— დააბრუნეთ დასჯილი ამხანაგები, თორემ ჩვენც გავალთ გაკვეთილიდან, — განაცხადა ერთმა, ორმა და ყველამ. მაშინ იკადრა მასწავლებელმა სამივე მოწაფის უკან შემოყვანა... დღეს კი ის მზია ამ ტახტზე წევს და დაჭრილი ჩიტივით ფართხალებს...

— მზია, შეგობარო, ნუთუ მე ვერა მცნობ?! — შეეკითხა მას მარინა და მზრუნველობით მისი თავისკენ დაიხარა.

ქალმა მოხედა მას და ტკივილებისაგან შერყეული სახე თითქოს დაუმშვიდდა.

— მარინა, მარინა, ეს შენა ხარ? მე ვგრძნობ რომ ჩემი ტკივილები ცხრებიან, — ამბობს მზია და თვალები ცრემლებით ევსება.

— ნუ გეშინია, მზია, ასეთი შემთხვევა არა ერთხელ მქონია ჩემს პრაქტიკაში.

— მარინა.

— რა იყო, ჩემო კარგო?!

— ნუ გამჭრით, მე შემიძლია ყველაფერი ავიტანო, მაგრამ ეს...

აქ მას ისევ კრუნჩხვის მოვლენებმა მოუსწრეს და მთელი სხეული შეეკუმშა. მარინა შედგა და მცირე ყოყმანის შემდეგ ასე უპასუხა.

— კარგი მზია, ჩვენ შენ არ გაგჭრით, არსებობს კიდევ მეორე საშუალება...

— პროფესორმა თქვა, რომ... — შენიშნა გაუბედავად ექიმის თანაშემწემ.

— ვიცი რაცა სთქვა, მაგრამ მე მინდა სხვაგვარად ვიმოქმედო, დაუძახეთ ექიმ გვენცაძეს და მოიტანეთ ხლოროფორმი ბანგისათვის, — გასცა განკარგულება და პირსაბანთან ხელის დასაბანად მივიდა. ოთახში ახალგაზრდა ექიმი შემოვიდა. ავადმყოფს თვალებზე მარლის ნიღაბი დაადო და ამ ნიღაბს ზედიზედ დაეცა ხლოროფორმის წვეთები, ავადმყოფი ჯერ მხოლოდ ბურანში იყო, რამდენიმე წუთის შემდეგ ჩაეძინა.

მარინა საოპერაციო ინსტრუმენტებით დატვირთულ მაგიდას მიუახლოვდა.

— როგორ ფიქრობთ, შეიძლება მაშების დადება? — შეეკითხა ექიმი.

— შეიძლება და ვაპირებ კიდეც.

— გართულება რომ მოხდეს, პროფესორი სასტიკად გაწყრება. მით უმეტეს, რომ...

— პროფესორის რისხვას გავუძლებ, მაგრამ გართულებას კი ვერა. ახ, ექიმო, ექიმო, ნუ მელაპარაკებით, მე არ მინდა ეხლა ამაზე ვიფიქრო. — ამ სიტყვებით მაშები აიღო და ასე გაიფიქრა: „მე უნდა დავივიწყო, რომ ეს ამხანაგია, უნდა დავივიწყო, რომ ეს

მზიაა, უნდა დავივიწყო, რომ მე მარინა ვარ. ამ წუთში მე მხოლოდ ექიმი ვარ, ექიმი, რომელიც სიცოცხლის სადარაჯოზე დგას“ და, როდესაც მაშებს დახედა, იგრძნო რომ ამ ფოლადის ძალა და სიმტკიცე მასშიც გადავიდა.

მან დაიწყო მუშაობა.

მას ეხმარება ექიმი, ექიმის თანაშემწე, იცვლება ინსტრუმენტები, მძიმდება ოთახის ჰაერი, ხლოროფორმისა და სხვადასხვა წამლით შეზავებული, მაგრამ მარინა არაფერს არ ამჩნევს, არავის უყურებს, ის თავგანწირვით იბრძვის ადამიანის სიცოცხლისათვის. ებრძვის სიკვდილს, გრძნობს, რომ ყველაფერი ბეწვზე ჰკიდია და ავადმყოფმა იქნებ ვერც გადაიტანოს ეს ოპერაცია.

უეცრად მან ხელიდან გააგდო ინსტრუმენტები და თავისი პატარა, მოქნილი და გაწრთვნილი ხელები აამოძრავა.

— ბავშვი მობრუნებულია, მაგრამ საჭიროა, რომ ის ახლა უვნებლად გამოვიღოთ.

— თქვენ დედაზე იფიქრეთ, ბავშვი კი... — ეუბნება ექიმი, რომელიც მის გვერდით დგას, — და ხლოროფორმის შუშას თანდათან აცარიელებს.

— ბავშვიც ხომ სულიერია, ისიც წვალობს, წუხს, იხუთება, ცოდოა, მე მინდა ორივე გადავარჩინო, — და ისევ აიღო მაშები და უეცრად ბავშვის თავს ხელი წაავლო. კიდევ რამდენიმე წუთი და მშობიარეს ახალშობილი მოშორდა.

— ლა, ლა, ლა, ლა, — გაისმა ხმა და ახალმა ადამიანმა საგნებს უაზროდ თვალი მოავლო. ექიმმა ავადმყოფს ნიღაბი ააცალა. მას ისევ ეძინა, ცოტა ხანიც და მზიამ თვალები გაახილა, მას ესმის ბავშვის ტირილი, მაგრამ ის ბავშვისკენ არ იხედება, ამჟამად მის გულში არავითარი გრძნობა აღარ სადგურობს, მას არ ძალუძს ამ წუთს იგრძნოს სიყვარული იმ არსებისადმი, რომელმაც ამგვარად გასტანჯა. იგი საოპერაციო ოთახიდან გაიყვანეს.

მარინამ ერთი წუთით შეისვენა, გაოფლილი სახე ცხვირსახოცით შეიმშრალა და მზიას სარეცელს მიუახლოვდა. მზია დამშვიდებული სახით იწვა და ნორმალურად სუნთქავდა.

* * *

მეორე დღეს მარინა დილაადრიან მივიდა საავადმყოფოში და როცა დამშვიდებული სახით დაძინებულ მზიას დახედა, მისი ხელი ხელში აიღო.

— მაჯისცემა ნორმალურია, კრუნჩხვა აღარ განმეორდება.— თქვა მან და ფრთხილი ნაბიჯით ოთახიდან გავიდა.

წინ მომვლელი ქალი შემოეგება.

— ექიმო, მშობიარეს ქმარი შემოსვლას თხოულობს, შეიძლება შემოუშვათ?!

— გადაეცით, რომ ავადმყოფს სძინავს. შემოიაროს შემდეგ, ან კი რა საჭიროა ამდენი ნახვა?! გუშინ ხომ იყო? — იყო და ნაწყენიც არის, რომ ქალიშვილი შეეძინა და არა ვაჟი.

მარინა წავიდა, წავიდა დაღლილი მოძრაობით, მაგრამ მის თვალებში და მის ტუჩებზე გაშლილი ირონია დიდხანს არ წაშლილა.

— ცოლი სიკვდილის კლანჭებში თრთოდა და ქმარი კი კარებთან იდგა და თავისი მემკვიდრის სქესზე ფიქრობდა. რა სასტიკია ბუნება ქალის მიმართ და რა ლმობიერი მამაკაცის მიმართ? ქალი დედობის სურვილით შეპყრობილი, ქალი ოჯახური საქმეებით დატვირთული, ქალი ტრადიციული თასმებით შებოჭილი, მამაკაცი კი ლაღი. თავისუფალი კაცობრიობის ბედნიერი ნახევარი ამაყად თავაღებული მისდევს ცხოვრების ბილიკებს და სრულიად არ აფიქრებს ბედი იმ ყვავილებისა, რომლებსაც ბავშვური დაუდევრობით წყვეტენ და ჰქელავენ.

ფიქრი რენომ შეაწყვეტინა.

— წუხელ გვიან გავთავისუფლდი და საავადმყოფოში ვერ მოვედი. როგორ არის ავადმყოფი, მარინა? — იკითხა მან ოდნავ შემკრთალმა.

— მდგომარეობა მეტად მძიმე და სახიფათო იყო, მაგრამ ოპერაცია მაინც გადაიტანა.

— საკეისრო გაკვეთა მოახდინეთ?!

— არა. მე ავირჩიე მეორე გზა.

— სახელდობრ?

მარინამ დაწვრილებით გადასცა მშობიარობის მსვლელობის მთელი პროცესი და ის საშუალებანი, რომელსაც მან მიმართა.

— ყოჩაღ, მარინა, მე ტყუილად კი არ ვამბობდი, რომ ნიჭიერი მოწაფე მყავს-მეთქი. — შეაქო რენომ.

— ძვირფასო პროფესორო, ჩვენ გვქონდა საუბარი უმტკივნეულო მშობიარობის შესახებ, რიდის მოვახდენთ ცდებს?

— იმუშავეთ ახალგაზრდებმა, სცადეთ და თქვენი მოხუცი პროფესორიც დაიხმარეთ, მედიცინის ახალ სიტყვას ახალი გატაცე-

ბით უნდა მოეკიდოთ, თუ გინდათ თქვენმა ცდამ ნაყოფი გამოიღოს.

— ზალე ექიმთა საკავშირო ყრილობა იქნება და მე მინდა გამოვიღე სიტყვით ამ ყრილობაზე.

— და ჩვენ, მამაკაცი გინეკოლოგები, სიამოვნებით დავუგდებთ ყურს, თუ რას იტყვის ქალი — გინეკოლოგი. მოემზადეთ და დაასაბუთეთ, რომ ქალი უკვე დაეუფლა მეცნიერებას და რომ დღეს მისი თავიც საღად და ფხიზლად აზროვნებს.

როდესაც მარინა საავადმყოფოს კიბეზე დაეშვა, მისი ფიქრები კვლავ დაუბრუნდა ექიმთა ყრილობას და იმ სიტყვას, რომელიც ამ ყრილობაზე უნდა წარმოეთქვა.

* * *

თეატრის დარბაზი სავსეა ხალხით:

„გაუმარჯოს ექიმთა ყრილობას!“ — ასეთი ლოზუნგები ამშვენებენ სცენას. აქა-იქ კამათია, ჩვენი ექიმები ცნობისმოყვარეობით შეჰყურებენ რუსეთიდან ჩამოსულ პროფესორებს, რომლებსაც ქართველ პროფესორებთან საქმიანი საუბარი გაუმართავთ.

— გამარჯობა, მარინა, — გამოეხმაურა რენო ახალგაზრდა ქალს, როდესაც დაინახა, რომ ის დარბაზში შემოვიდა. თქვენ, მგონი, ღელავთ, არა?!

— ძლიერ, ყრილობაზე სიტყვით პირველად გამოვდივარ, მეშინია.

— აქ მჭერმეტყველება არ არის საჭირო, აქ საჭიროა დინჯი ლაპარაკი და ფაქტების დასახელება. მე ვიცი, რომ თქვენ კარგად ხართ მომზადებული და თქვენი შიში უსაფუძვლოა.

უეცრად სცენაზე ზარის ხმა გაისმა და ხალხმა თავიანთი ადგილები დაიჭირა. რენოც სცენისაკენ გაეშურა და წითელ მაუდგადაკრულ მაგიდას საქმიანი პრეზიდიუმი შემოუსხდა. ყრილობა გაიხსნა და ორატორთა სიაში მარინას გვარიც მოიხსენიეს. პირველი სიტყვით პროფესორი რენო გამოვიდა. მან გააცნო ყრილობას ის ცდები და შედეგები, რომლებიც იქნა ჩატარებული საქართველოს კლინიკებში გინეკოლოგების მიერ და დაასახელა რამდენიმე ახალი მიღწევა, რომელიც ახალი სიტყვით შედიოდა მედიცინის ისტორიაში. რენოს შემდეგ მოსკოველი პროფესორი №-ი

გაძოვიდა, რომელმაც ილაპარაკა ეკლამსიის შესახებ ფეხმძიმობის დროს. იყო აგრეთვე ლაპარაკი უმტკივნეულო მშობიარობაზე და იმ ახალგაზრდა ექიმმა. რომელიც აწარმოებდა ცდებს იმ დარგში, გიპნოზის საშუალებით მეტად საინტერესო ფაქტები ვადაშალა საზოგადოების წინაშე. სიტყვა მარინას მისცეს. მარინა პირველად შეკრთა, მაგრამ შემდეგ ხმას აუწია და მარტივი ენით ელაპარაკა ყრილობას იმ ცდების შესახებ, რომელიც მან აწარმოა ამა თუ იმ მკურნალობის დროს. შემდეგ ეკლამსიაზე გადავიდა და ფაქტებით დაასაბუთა თუ რა საშუალებით შეუძლია იბრძოლოს მედიცინამ ამ სენის წინააღმდეგ და წამოაყენა მკურნალობის ახალი მეთოდი, რომელიც პროფესორ N-ის მეთოდს ეწინააღმდეგებოდა. მარინას პროფესორი №-ი შეეკამათა და საკმაოდ ვრცელი სიტყვით შეეცადა დაერღვია ის დებულებანი, რომლითაც ახალგაზრდა ქალი ხელმძღვანელობდა. რეპლიკები გახშირდა, ყრილობა დავამ დაინტერესა, ერთი ჯგუფი ექიმებისა მარინას ემხრობოდა, მეორე პროფესორის აზრს იზიარებდა.

თვით მარინამ საპასუხო სიტყვაში შემდეგი თქვა:

— მე ვისმენდი იმ რეპლიკებს, რომლებიც ჩემი მისამართით ითქვა, მაგრამ ასეთი მიდგომა საკითხისადმი არის პოლემიკის ცუდი გზა. ექსპერიმენტების შემდეგ ჩვენ კლინიკაში მივიღეთ სიკვდილიანობის სანახევროდ შემცირება — და მან მოიყვანა ციფრები სტატისტიკური ცნობებიდან. მარინა შეცვალა სხვამ და სხდომა მეორე დღისათვის გადაიდო.

* * *

ახალგაზრდა მხატვართა გამოფენაზე ანატოლიმ თავისი ახალი სურათებიც გაგზავნა, ერთ კვირაში ჟურნალ „ხელოვნებაში" შემდეგი რეცენზია ამოიკითხა: „ანატოლის ახალმა სურათებმა მოლოდინს გადააჭარბა. ის თანდათან ანვითარებს მოდერნისტულ მიმართულებას და რეალისტური გზით მიდის ხელოვნების უმაღლეს მწვერვალისაკენ. საჭიროა ყურადღება მიექცეს ასეთი ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდას და მიეცეს საშუალება უფრო ფართო ასპარეზზე მუშაობის. აღსანიშნავია მისი სურათები: „წითელარმიელი", „ოქტომბრის დღეები", „ქალი პურის თაეთავებით" და „მეჩაიე გოგონა".

გაიღიმა, ჟურნალი მაგიდაზე დასდო.

სამი დღის შემდეგ სამოგზაუროდ მოირთო, ბარგი ჩაალაგა და უკანასკნელად მარინასთან მივიდა.

— ხვალ საქართველოდან მივემგზავრები.

— მარშრუტი?! — იკითხა მარინამ უბრალოდ.

— ჯერჯერობით პარიზი, შემდეგ კი არ ვიცი.

— კარგია, ჩემო მეგობარო, კიდევ რამდენიმე ხანი და შენ ისევ დაუბრუნდები შენს ქვეყანას გამარჯვებული.

* * *

თბილისი იწვის ივნისის მცხუნვარე მზით.

იყიდება ნაყინი და ლაღიძის შუშხუნა წყალი.

ხალხი იფანტება ქალაქის ბაღებში. ფუნიკულორის პლატო, ბოტანიკური ბაღი და სხვა ათასი საზაფხულო ადგილები სავსეა დამსვენებლებით.

მარინა რამდენიმე მხატვრის თანხლებით სადგურის ბაქანზე დგას და მატარებლის ერთ-ერთ ფანჯარას შეჰყურებს. იქ დგას ანატოლი და მისგან მიძღვნილ თაიგულს ყნოსავს.

საქართველოდან მიდის და სამშობლოს სიყვარული სიმძაფრით ედება ძარღვებს, სურვილი აღეძრა ჩაიკრას გულში ეს ბუნება და მხურვალე ამბორით გამოეთხოვოს ამ ჰაერს, მატარებელი დაიძრა, ანატოლიმ ქუდი მოიხადა, მეგობრებს მეგობრული ღიმილით გამოეთხოვა და სუფთა, ბავშვური თვალებით მარინას შეხედა: „ჩემი სიყვარული ფაქიზია, ვნება აღარ არსებობს, მიყვარხარ უმაღლესი მეგობრული გრძნობით და წმინდა უანგარო გატაცებით, ნუ დამიეიწყებ“. ამბობდნენ მისი თვალები.

ნაზი, მშობლიური ღიმილით უპასუხა მის მზერას მარინამ. ხელები ზევით ასწია და ჭრელი აბრეშუმის თავშალი ჰაერში მოხდენილად ააფრიალა.

* * *

მარინა ასისტენტია და გრძნობს, რომ უნარი შესწევს ასწიოს ეს ტვირთი.

მისი ცხოვრების უკანასკნელი დღეები ათასგვარი განცდებით

დაიხლართა და ერთადერთი, რაც მას ხასიათს უფუჭებს, ეს არის ექიმი გერგაძე.

რად ვერ შეიცნო ბუნება ამ ულირსი ადამიანისა მთლიანად და რად გააჭუჭყიანა საკუთარი გრძნობა მასთან ურთიერთობით. მარინა დარწმუნებულია, რომ ის მასთან ვეღარ გაბედავს მოსვლას, მაგრამ ერთ დღეს, როდესაც მან ჩვეულებრივად შეაღო მისი ოთახის კარები, წარბები შეიკრა.

— მომისმინე, მარინა!!

— რა, ტყუილები?!

— იქნება მე დავაშავე სხვებთან, მაგრამ შენთან...

— ჩემთანაც დააშავე, რა? ამაზე არ მინდა ვილაპარაკო. თავი დამანებეთ და თქვენი სიახლოვისაგან გამანთავისუფლეთ.

— მე ვიცი, რომ უშენოდ დავიღუპები, ერთადერთი ქალი ხარ, რომელსაც შეგიძლია ჩემი გაადამიანება, ჩემი გამოსწორება.

— „კუზიანს სამარე გაასწორებსო“ უთქვამთ, მაგრამ შენი კუზი იმდენად დიდია, რომ მას მიწაც ვერ დაჰფარავს.

— გამომცადე, გაძლევ სიტყვას, რომ...

— განა არ გამოგცადე? ხუთი წლის განმავლობაში შენ ყურთან ზარივით რეკდა ჩემი მოწოდება, „იყავ ადამიანი,“ — მაგრამ ამაოდ, შენ ყრუ დარჩი ჩემთვის, მე მუნჯი შენთვის, თავის შეწუხებად არ ღირებულხარ, არავითარი შინაარსი, არავითარი დააინტერესება სერიოზული საკითხებით, არავითარი სურვილი თავის თავის გაუკეთესების, გაადამიანების, ამაღლების. ექიმი ხარ, აღზრდა არ გეტყობა, მილიონი წიგნი წაგიკითხავს, თავში არაფერი დაგრჩენია. ერთი სიტყვით გიშრომია, დიპლომი მიგიღია და მაინც ისეთივე ჟკულტურო ადამიანად დარჩენილხარ. მახინჯი ბუნების ადამიანი ხარ და მახინჯებთან საერთო არაფერი მინდა მქონდეს.

— ყველაფერი ეს იქნება მართალიც იყოს, მაგრამ ყველაფერ ამას აქვს გამართლება. არც მამაჩემმა და არც მისმა წინაპრებმაც ანაბანა არ იცოდნენ, მე ველურ ადამიანთა შთამომავალი ვარ. ჩემი სხეულის ყოველი უჯრედი მოკლებულია ელასტიურ თვისებების უნარს და გაჯიუტებული ეურჩება კულტურის მიერ დაკანონებულ ცნებებს და ჭეშმარიტებად აღიარებულ დებულებებს.

— აზრი თქვენი უსაფუძვლოა, მტკიცება უნიადაგო, საწინააღმდეგო ფაქტები მილიონობით შემიძლია მოვიყვანო, მაგრამ არავითარი სურვილი არა მაქვს გეკამათო.

— მარინა. — შეემუდარა გერმა და რამდენიმე ნაბიჯი მისკენ გადადგა.

— ნუ მაცდენ, მე უსაქმოდ არა ვარ.

— ვინ იცის, იქნება ინანო კიდეც ერთ დღეს, ასე რომ მკარგავ.

— მაშ დაუცადე იმ დღეს, ჩემის აზრით ეს დღე არასოდეს არ გათენდება.

— რაში მადანაშაულებთ მაინც?

— კიდევაც კითხულობთ?! სად არის, ყმაწვილო, თქვენი სინდისი?!

— ჩემი სინდისი სრულიად დამშვიდებულია, მე მაქვს ტემპერამენტი და, როდესაც შემთხვევა მეძლევა...

— რატომ ცოლი არ შეირთეთ?.

— არა ვგრძნობ ჩემში მშობლის სინაზეს, არ მიყვარს ბავშვები და არც შეძიძლია შევქმნა ოჯახი, ცოლ-შვილი ყოველთვის მზრუნველობას მოითხოვს და სულელი არა ვარ ვიმუშაო და ვიტანჯო სხვისთვის, როდესაც ჩემში საამისო მისწრაფებას არა ვგრძნობ.

— ესე იგი გინდათ უზრუნველად მიიღოთ ის, რაც სხვებს ასეთი დიდი შრომითა და ჯაფით ეძლევათ, გინდათ ყველაფერი წაართვათ, სამაგიეროდ არაფერი მისცეთ, თქვენ ანგარიშიანი კაცი ხართ.

— თქვენ ჩემთვის არაფერი გითხოვიათ.

— არც არაფერს გთხოვდით. მე შემიძლია ვჭამო მხოლოდ ასეთი პური, რომელიც ჩემი შრომით არის ნაყიდი. ქმრისგან დამოკიდებული ცოლი საბრალო მონაა.

— ასეთი ქალია ჩემი იდეალი, მხოლოდ ასეთი ქალისადმი ვგრძნობ პატივისცემას. გამომყევი ცოლად, მარინა.

მარინას ტუჩის კუთხეები ირონიულად აუტოკდა და შემდეგ... ბარხარი დაიწყო.

— რა გაცინებთ?!

— გმადლობთ, რომ თქვენი ცოლობის ღირსად მაინც მთვლით, ეს ჩემთვის დიდი სახელია.

— თქვენ მუდამ ირონიულად ხართ განწყობილი. არ შეიძლება რამდენიმე წუთს სერიოზულად მელაპარაკოთ?!

— ძალიან კარგი. გინდათ გითხრათ, რას ფიქრობთ ჩემზე?

— რას?!

თქვენ ფიქრობთ ასე: „შევირთავ ამ ქალს, მასზე არაფერი დაიხარჯება, ჩემ სურვილს შევისრულებ, ყინს დავიცხრობ და თუ ვერ შემეთვისა, მმაჩი აქვეა, მივალ და მოვაწერ ხელს გაყრაზე“.

გერმამ ვერ გაუძლო მის მომჭრელ, გამომცდელ მზერას და ოდნავ წამოწითლებულმა თავი დახარა.

საკვირველია, როგორ ჩაწვდა ეს ქალი მისი არსების სიღრმეს და როგორ ამოიკითხა, თუ რაც ეწერა იქ?!

— თქვენ, ალბათ, დაგავიწყდათ, რომ... ჩემთან ცხოვრობდით,— დაილაპარაკა მან ბოლოს და ძალამომატებულმა თავი ზევით აიღო.

— არა, მე ეს არ დამავიწყდა, არც დამავიწყდება და ყოველთვის, როდესაც თქვენზე ვფიქრობ, ერთი ამბავი მაგონდება:

თორმეტი წლის გოგონა ვიყავი, ჩემი სოფლიდან მეორე სოფელში მივდიოდი. ძალიან ცხელოდა და საშინლად მწყუროდა. ახლომახლო კი სუფთა წყალი არ ჩანდა. ვერ მოვითმინე წყურვილი და იქვე, გზის პირად ჭაობში დაგუბებულ წყალს დავეწაფე. შემდეგ, როდესაც სოფლის ბოლოში მივედი და ბროლივით ნაკადულს თვალი შევავლე, მეწყინა სისულელე ჩემი თავისა.

აი, ეს არის პასუხი.

გერმა გაბრაზდა. ტუჩები აუთრთოლდა. ქუდი აიღო და უსიტყვოდ კარები გაიხურა.

* *

— მარინა! გერგაძე ტრაბახობს თურმე, რომ შენთან ახლო ურთიერთობაში იყო და ცოლად არ შეგირთო.

— ნამდვილად იცი ეს?

— ისეთმა კაცმა მითხრა, რომელიც არასოდეს არ ტყუის.

მარინა წამოდგა.

— პოლინა, თუ მეგობრობა გწამს, წადი ეხლავე მმაჩის ბიუროში და წაიყვანე თან რამდენიმე ადამიანი. მე მოვიყვან იქ გერგაძეს.

— შეგიძლია იცხოვრო მასთან?!

— ამაზე ჩვენ შემდეგ ვილაპარაკოთ. ერთ საათში ჩვენ უსათუოდ ვიქნებით იქ.

ამ სიტყვებით ის გავიდა, მანქანა დაიქირავა და რამდენიმე წუთის შემდეგ გერგაძის წინ იდგა.

— შეგიძლიათ დატოვოთ ნახევარი საათით საავადმყოფო?! ძალიან საჭირო საქმე მაქვს თქვენთან.

— რა საქმე უნდა გქონდეთ ჩემთან, ჩვენ შორის ხომ ყველაფერი გათავდა.

— არა, ჯერ კიდევ არ გათავებულა. წადით, ჩაიცვით პალტო და დაბრუნდით. მანქანა გველოდება.

— საით მივდივართ? — იკითხა გერმამ, როცა მანქანაში ჩასხდნენ.

— გერმა! ამას წინათ თქვენ თქვით, რომ მე ერთადერთი ქალი ვარ, რომელსაც შეუძლია თქვენი ამაღლება, ხომ გახსოვს ეს?!

— მახსოვს.

— მე მინდა ვცადო, ჩვენ მივდივართ ახლა მმაჩის ბიუროში, ხელის მოსაწერად.

— ასე სწრაფად, ასე გაუფრთხილებლად? — იკითხა გერმამ და მის სახეზე რაღაც დაბნეულობა გამოიხატა.

— ნუ გეშინია, გაძლევ პატიოსან სიტყვას, რომ მე თქვენგან ფულებს არ მოვითხოვ. გჯერათ თქვენ ჩემი?..

— მჯერა.

— თქვენ ამით არაფერს ჰკარგავთ.

— მე ხომ ამას წინათაც გეუბნებოდი, მარინა!

— ახლა, ერთი პირობა კიდევ დარჩა და მე არ ვიცი, თუ როგორ მოისმენთ ამას.

— მითხარით, თუ მისაღები იქნება...

— ამ რამდენიმე თვის განმავლობაში ისე გამოაშკარავდა თქვენი ხასიათის ცუდი მხარეები, რომ ჩემი თქვენდამი სიყვარული შეირყა, მე მჭირდება ერთი თვე, რომ ისევ აღვადგინო ჩემში ეს გრძნობა და ამ ხნის განმავლობაში, ვერ ვიცხოვრებ თქვენთან როგორც ცოლი, ეს იქნება გმირობა თქვენის მხრივ და მე მოვითხოვ მას. კარგი?!.. — ამ სიტყვებით მის ხელს ხელი დაადო და თვალები ისეთი გამომეტყველებით აივსო, რომ მის გვერდით მჯდარ ვაჟკაცს ცეცხლი წაუკიდა.

გერმა ამაზეც დაეთანხმა და ხელი ისე მოაწერა, არავითარი ეჭვი მის გულს არ უგრძვნია.

თვე მიიწურა.

გერმა თავს ვერ იმაგრებდა და ვადის შემოკლებას მოითხოვდა, მაგრამ მარინა ასეთ წუთებში დაუყვავებდა, რამდენიმე ალერსიან სიტყვას ეტყოდა და ისევ უკან გაისტუმრებდა.

გერმა დაიქანცა ამდენი სიარულით და ამდენი წინააღმდეგობით, მარინასაც თითქოს ენერგია გამოელია და ერთ დღეს მანქანა, რომელშიაც ისინი ისხდნენ, ისევ მმაჩის კარებთან გაჩერდა.

— რას ნიშნავს ეს? — იკითხა გერმამ და სიბრაზისაგან სახე აელეწა.

— დღეს, ჩვენ მოვაწერთ ხელს გაყრაზე.

— თქვენ გინდათ კომედიები მათამაშოთ? უკაცრავად, ქალბატონო, მე იქ არ შემოვალ.

— თქვენ იქ შემოხვალთ, გერმა. ვინც აშავებს, დანაშაულის სიმძიმეც მან უნდა ზიდოს. ხომ ამბობდით, რომ ჩემთან ცხოვრობდით და ცოლად არ შემირთეთ?! წადით და ახლაც ილაპარაკეთ ეს.

გერმას მოაგონდა ერთ ოჯახში მის მიერ წარმოთქმული სიტყვები, რომელიც სიტყვა-სიტყვით გადაეცათ მარინასათვის.

— ხომ ხედავთ, ეს ჩემი ბრალი არ არის, თქვენს ტრაბახს მე კომედიებით ვუპასუხე.

— ეს არის შურისძიება და არა ტრაბახი.

— ჩემის მხრით კი, ეს არის თავდაცვა და არა შურისძიება. მე არ მსურს ჩემს სახელს ტალახში სვრიდნენ.

— კარგი, მაგრამ მე იქ არ შემოვალ და თქვენ არ გაღირსებთ თავისუფლებას.

— თქვენ ამას ვერ იზამთ, გერმა!

— მე ამას ვიზამ, მარინა!

ისინი პირისპირ იდგნენ და ერთმანეთს თვალებით ზომავდნენ.

— თქვენ უნდა დაიჯეროთ, რომ ჩვენ ერთად ვერ ვიცხოვრებთ და რად უნდა ვაწვალოთ ტყუილ-უბრალოდ ერთმანეთი! მე თქვენ ჯერ კიდევ არ მძულხართ, თუ გამაწვალებთ, უსათუოდ შეგიძულებთ და ამით თქვენ არაფერს მოიგებთ. აბა, დაფიქრდით კარგად, გერმა!..

და გერმაც დაფიქრდა, უიმედოდ ხელი ჩაიქნია და მოდუნებული სხეული მანქანიდან ისე გადმოათრია, თითქოს ის მისი არც ყოფილიყოს.

— გულწრფელად მებრალებით, მაგრამ რა ვქნა, თქვენი გამოსწორება არ შეიძლება, — უთხრა მას მარინამ გაყრის შემდეგ ქუჩაში რომ გამოვიდნენ.

— არა, ეს სასჯელი მე დავიმსახურე და ასეთი თანაგრძნობაც კი, ჩემთვის დიდი წყალობაა. — უპასუხა მან ჩაწყვეტილი ხმით და გაქვავებული შუა ქუჩაში შედგა.

მარინა ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა და ტრამვაის დაუწყო ლოდინი. უცებ, მახლობელ ქუჩიდან მანქანა გამოიჭრა და როდესაც მძღოლმა გზაზე გაჩხირული ადამიანი დაინახა, საყვირი ზედიზედ მისცა.

გერმა არ შერხეულა.

საყვირი ისევ განმეორდა. კვლავ არავითარი მოძრაობა. ვიღაც უცნობმა მგზავრმა გერმას პალტოში ხელი ჩაავლო, მძლავრად ნოიქნია და ზევით, ქვაფენილზე შეაგდო. გერმა დაბარბაცდა და თავიდან ქუდი დაუვარდა.

„შენ შეგეძლო უკეთესი ყოფილიყავი“ — გაიფიქრა მარინამ და გულში თითქოს რაღაც ჩაუწყდა. ტრამვაის ვაგონიდან ერთხელ კიდევ მოხედა მას. ის ისევ ისე უძრავად იდგა და უაზრო თვალებით ქვაფენილზე დაგდებულ ქუდს დაჰყურებდა.

მარინამ თვალებთან ხელი მიიტანა.

იქ. ცრემლები კრთოდენ.

* *

მარინა საშაქარლამოში ზის და ყავას შეექცევა.

— შეიძლება გამიზიაროთ მაგიდა?

მის წინ პროფესორი რენო იდგა და მეგობრული ღიმილით მაღლიდან დაჰყურებდა.

— დაბრძანდით, ამხანაგო რენო, მაგრამ სად არის თქვენი ბიჭუნა პერი?! მე თქვენ მუდამ წყვილად გხედავთ.

— ის უკვე აგარაკზეა.

— მომვლელი?!

— ჩემი და ცხოვრობს ჩემთან. ეს ბავშვი თითქმის მისი. გაზრდილია. სხვა, რასა იქმთ, მარინა, როგორ არის მუშაობის საქმე?

— ძალიან კარგად. ასე მგონია ახალი ადამიანი ვარ.

— ასეთივე გრძნობა აღმეძრა მეც, მოსკოვის უნივერსიტეტი

რომ დავამთავრე და მეგონა წინ ათასი სიხარული და ათასი გამარჯ-ვება მომელოდა. ნამდვილად კი...

— პროფესორი გახდით, ეს განა ცოტაა?!

— ჰო, მე ვცდილობ დავკმაყოფილდე ჩემი თანამდებობით, მაგრამ... უკეთესია თქვენზე ვილაპარაკოთ. რა მდგომარეობაშია თქვენი ნერვები?!

— შედარებით დამშვიდებული ვარ, ვნერვიულობდი მხოლოდ იმიტომ, რომ მეგონა მიყვარდა და ეს გამოურკვეველი გრძნობა მაღელვებდა.

— ჰო, თქვენ ისე მოულოდნელად გათხოვდით და მგონი მცირე ხნით?

— ერთი თვე.

— ერთი თვე, ძალიან პატარა დროა იმისათვის, რომ ადამიანის სულიერ მსოფლიოს ჩაწვდე. მე ეს, ცოტა არ იყოს, მაკვირვებს.

— გასაკვირი აქ არაფერია, ჩვენ ვიყავით ორი სხვადასხვა ადამიანი, ორი სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე, ჩვენ ერთმანეთს ვერ გავუგეთ ან უკეთ რომ ვთქვათ, მან მე ვერ გამიგო.

— თავისუფალია თუ არა თქვენი გული ამ გრძნობისაგან?

— ასეთი შეკითხვა ჩემი თავისათვის ჯერ კიდევ არ მიმიცია.

— აბა, ეხლა მიეცით.

მარინამ თავი დახარა და დაფიქრებული სახით თითქოს თავის თავს ჩაულაპარაკა.

— მე იგი მეგრალება და მე არ მავიწყდება მასთან უკანასკნელი გამოთხოვება. ამ კაცში დაიწვა ჩემი ქალობის პირველი ყვავილები, ჩემი პირველი სიყვარული და ჩემი პირველი ცრემლებიც. ის ჩემთვის მოკვდა და მე იგი გამოვიტირე. ეს არის სულ.

— უყვარდით მას?!

— მისი ტიპის კაცს მეტი სიყვარული არ შეუძლია. მე იგი ვერ დამივიწყებს.

— მიუხედავად ამისა, თქვენ იგი მაინც გასწირეთ. გაუგებარია.

— ბევრი რამ ჩემთვისაც არ არის ნათელი. ეს კაცი ხშირად იტყოდა „ვერც ერთი ქალი ვერ გაუძლებს ჩემ ეგოიზმს, მე უხეიროდ ვარ გაჩენილიო“. მან იცოდა, ცუდად იქცეოდა და მაინც იქცეოდა. რა არის ეს?

— ამ მოვლენას ამგვარად ვხსნი: თვითეული ჩვენგანი ხასიათის სხვადასხვა თვისებებიდან შედგება. ბუნება ხშირად ცდება და

ადამიანის სულიერ წონასწორობას ზომიერების საზღვართან ვერ აჩერებს.

არსებობს პიროვნება, რომელიც თავისთავს დაივიწყებს და გაჭირვებულს ცრემლს შეუშრობს, დაჭრილს ჭრილობას მოუშუშებს, ავადმყოფს ფეხზე დააყენებს. ასეთ ვინმეს არ აშინებს ტიფი და ხოლერა, ტყვია და ზარბაზანი, ის დაუზარებლად დაჭრის ერთი კუთხიდან მეორეში და დააქვს თან სიხარული და სიყვარული, თავდადება და თავგანწირვა. მაგრამ არსებობს გულქვა ადამიანიც, რომელსაც არ ესმის არც გაჭირვებულთა გოდება, არც დაჭრილთა მოწოდება, არც ავადმყოფის კვნესა. აქ არის ბუნების ერთგვარი თამაში და ამ თამაშის ობიექტად ადამიანია წარმოდგენილი.

— ესე იგი შეიძლება იშვას გაუსწორებელი ადამიანი?

— შეიძლება.

— მე ვიცნობ კაცს, რომელიც მოერია თავის თავს და რომელმაც აღზარდა თავისი თავი.

— ესეც ხდება, მაგრამ ამისათვის საჭიროა ძლიერი ნებისყოფა, მაგარი გული და ენერგიის დაუშრეტელი მარაგი.

— ჰოდა, ასეთი ნებისყოფა არა აქვს ამ კაცს. მას არ შეუძლია იყოს უკეთესი.

— თქვენ ამაში სრულიად დარწმუნდით?

— უამისოდ მას არც დავშორდებოდი.

— არ ვიცი რატომ, მაგრამ ეს ამბავი მახარებს, ალბათ ესეც ეგოისტური გრძნობაა, — წარმოთქვა რენომ ღიმილით და მის თვალებში სიხარულის შუქი ჩადგა.

მარინა უნებურად გაწითლდა, ის ყოველთვის გრძნობდა, რომ რენოს მისდამი ყურადღება უფრო მეტს გამოხატავდა, ვიდრე უბრალო მეგობრობას, მაგრამ ვერასოდეს ვერ წარმოედგინა, რომ ის ამის შესახებ ლაპარაკს დაიწყებდა.

— მარინა, თქვენ უნდა მოისმინოთ ჩემი ცხოვრების პატარა ამბავი. ეს ამბავი დღემდე მძიმე ტვირთად აწევს ჩემ მხრებს. ვიტყვი მოკლედ: იმ ქალმა, რომელიც ავირჩიე ჩემი ცხოვრების თანამგზავრად, ვერ გამოიჩინა იმდენი კეთილშობილება, რომ ქმარს მეგობრულად გვერდით ამოსდგომოდა და შეემსუბუქებინა მისთვის ტვირთი მეცნიერული მუშაობისა. ჩემი სიცოცხლის დღეები მძიმე შრომაში მიდიოდა და ახალგაზრდა ცოლი კი გართობასა და დროსტარებას ეოითხოვდა. უკმაყოფილობის ჯანღი თანდათან დამძიმდა, გაიზარ-

და ერთ დღეს ეს ქალი წავიდა. მე დავრჩი მარტოდ ჩემ შვიდი წლის ვაჟთან ერთად.

მარინამ შეხედა მის დაქანცულ სახეს, მის შეფერცხლილ თმებს, მძიმე ფიქრებით დატვირთულ თვალებს და სულში ნიავივით აუმოძრავდა თანაგრძნობა.

— მე იმას არ ვადანაშაულებ, — განაგრძო ისევ რენომ,—ჩვენი ბუნება და ჩვენი მოწოდება არ იყო ერთი, მაგრამ მე დღეს ვიცნობ ერთ ქალს, რომელშიც ვგრძნობ ჩემ საკუთარ თავს და, რომელიც მიდის იმ გზით, რა გზითაც მივდივარ მე. თქვენ მიხვდით, რაც უნდა ვთქვა?

— მგონია... მივხვდი. — უპასუხა მარინამ და იგრძნო, რომ გაწითლდა.

— შემიძლია ვილაპარაკო ამის შესახებ?!

— ჯერ კიდევ... არა.

— მაშ, როდის?

— დამაცადეთ, პატივცემულო რენო, მომეცით დრო, რომ შევეჩვიო ამ აზრს. დღემდის მე თქვენ გიცქერდით ისე, როგორც პროფესორსა და მასწავლებელს, გარჩევდით ყველაში და პატივს გცემდით ყველაზე უფრო მეტად. მე არ ვეკუთვნი იმ ქალთა რიცხვს, რომლებიც ეძებენ ქმარსა და უზრუნველ ცხოვრებას. სხვისი შრომით არასოდეს არ ვიცხოვრებ და ის კაცი, რომელსაც ჩემი ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად ავირჩიე, უნდა მიყვარდეს როგორც მამაკაცი, მხიბლავდეს როგორც პიროვნება და მიტაცებდეს, როგორც ადამიანი, მოქალაქე, მოაზროვნე. თქვენში ყველაფერია რაც მომწონს და რასაც დავეძებ, მაგრამ მაინც საჭიროდ მიმაჩნია გამოვარკვიო ჩემი საკუთარი განცდა და ის დიდი თანაგრძნობა, რომელსაც ვგრძნობდი და ვგრძნობ თქვენდამი.

— კარგი, მე დავიცდი, — თქვა რენომ ნაღვლიანი ხმით, მაგიდაზე თითები დაჰკრა და მოსულ მსახურს ფული მიაწოდა.

— არ გამოართვათ, მეგობარო, — უთხრა მარინამ შეყოყმანებულ ქალიშვილს და ხელში ათი მანეთი ჩაუდო.

— რად მომაყენეთ ასეთი შეურაცხყოფა, მარინა? — უსაყვედურა რენომ, როცა ქუჩაში გავიდნენ.

— რატომ შეურაცხყოფა? მე უკვე ვიჯექი, როცა თქვენ მოხვედით. თქვენ ჩემი სტუმარი იყავით.

— მე სხვა ვარ... მამაკაცი ვალდებულია.

— არავითარი ვალდებული, ძვირფასო პროფესორო, ვებრძოლოთ უვარგის ნაშთებს და საღი გულით შევისუნთქოთ ახალი ცხოვრება, ახალი ამოცანები, რომელიც ასე თვალსაჩინოდ გაშლილა ჩვენს გარშემო.

— მარინა, მარინა, სხვა რამეზე მელაპარაკეთ, ასეთი მშრალი მსჯელობა მე მაშორებს თქვენს თავს.

მარინას გაეცინა და საუბარი პოეზიაზე ჩამოუგდო.

— მე პოეზიაზე მწყრალად ვარ.

— ყვავილები.

— უშინაარსო თემაა.

— მხატვრობა, ქანდაკება?!

— ამ დარგში სრულიად უვიცი ვარ.

— მაშ. თქვენი მეცნიერული ექსპედიცია.

— აი, ამაზე მელაპარაკეთ.

— თქვენ მიდიხართ სამხრეთ ოსეთში, რომ შეისწავლოთ იქაური ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება, გამოარკვიოთ ჯანმრთელობის მდგომარეობა. ხომ მართალია ეს?

— მართალია.

— ექსპედიციის წევრები მარტო მამაკაცებია, მიუხედავად ამისა, მიმიღეთ მეც ამ ჯგუფში.

— სერიოზულად ლაპარაკობთ?!

— სრულიად სერიოზულად.

რენო დაფიქრდა.

ორი თვის განმავლობაში მან უნდა შეასრულოს ყველაფერი ის, რაც გეგმაშია შეტანილი. შეძლებს განზრახული საქმის გაკეთებას იმ ქალთან ერთად, რომელიც ამგვარად მოქმედებს მასზე და რომელსაც ასეთი არევ-დარევა შეაქვს მის სულიერ განწყობილებაში?!

— თუ რაიმე მოსაზრებით უარი გინდათ მითხრათ, მითხარით. ნე ამისათვის არ ავტირდები.

— თქვენ მიიღებთ პასუხს სამი დღის შემდეგ, ნუ გეწყინებათ, მარინა, მე... მეშინია.

— რისი?! ვისი?!

— თქვენი, — უპასუხა მან სერიოზული ხმით და ხანგრძლივი ნზერით თვალებში ჩახედა.

— მამაკაცი ყოველთვის გაბედული და დინჯი უნდა იყოს თავის მუშაობაში.

— ეს სხვა დროს, სხვა ადგილას და სხვა პირობებში. აქ, ამ ხელებთან, ამ თვალებთან, თქვენს ახლოს, ყოველგვარი გაბედულება იკარგება.

მარინას გაეცინა და ხელებზე პროფესორის ტუჩების სიმხურვალე იგრძნო.

* *

ექიმი გერგაძე ოთხ საათზე გამოვიდა „ორიანტის" სასადილოდან და უხალისო ნაბიჯით სახლისაკენ გაემართა. უეცრად ვიღაც ქალს მოჰკრა თვალი, მარინას მიამსგავსა და გულმა ისე მაგრად ჩამოჰკრა, რომ წუთით მხედველობის უნარი დაუკარგა. ქალი სხვა აღმოჩნდა, ტანისამოსის ფერმა და ტანის აღნაგობამ მოატყუა. სულიერი განწყობილება შეეცვალა და ცხოვრების გზაზე თითქოს წაიბორძიკა. ამ უკანასკნელად გაზეთმაც მისთვის მოიცალა, უჩიოდნენ დაუდევრობას და ავადმყოფებისადმი უყურადღებობას. ჟურნალ „ახალ ქალშიც" ვრცელი წერილი იყო მოთავსებული, რომელიც სასტიკად ააშკარავებდა მის დონ-ჟუანურ გამოსვლებს და ბრალდებებს ბრალდებებზე უყენებდა.

საკითხი დაისვა მის საავადმყოფოდან განთავისუფლების შესახებ, მაგრამ ერთმა გავლენიანმა მეგობარმა ხელი წამოაფარა და უბრალო გაფრთხილებით გადარჩა. ამ შემთხვევამ მისი რეპუტაცია საგრძნობლად შეარყია და კიდევ სხვა, ათასმა უსიამოვნებამ ნათელი მხიარული დღეები დაუჩრდილა. საავადმყოფოს გამგემაც აითვალწუნა და ამ კვირაში რამდენიმე შენიშვნა ზედიზედ მისცა. სოსოს მეგობრულ დამოკიდებულებაშიც სიცივეს გრძნობს, პოლინა გვერდს უვლის, თინა ზიზღნარევი ირონიით ხვდება და მარინა... აქ მას მოაგონდა მასთან უკანასკნელი საუბარი და ტკივილების გრძნობა მასში ელვასავით დაიკლაკნა. „თუ ფეხი წაიკარ და წაიქეცი, წამოდგომა გაგიჭირდება". მოაგონდა ძმის სიტყვები და შეშფოთებულმა ნაბიჯს მოუჩქარა. არასოდეს არ დამარცხებულა ასე სასტიკად და არასოდეს არ განუცდია მარტოობის სევდა ასე მძაფრად და ასე შემაწუხებლად.

როცა ოთახის კარები შეაღო, ცივი, უხალისო კედლები დაინახა, სიცარიელის გრძნობამ სხეულში ყინულივით დაურბინა და კარადიდან წიგნების მთელი დასტა გადმოალაგა. სტრიქონებზე თვალებმა

უაზროდ გადაირბინეს, მაგრამ ასეთმა ვარჯიშობამ სულიერი სიმშვიდე მაინც ვერ დაუბრუნა.

ცოლს შევირთავ, — გადაწყვიტა უეცრად და დაუწყო ჩხრეკა შესაფერ საცოლეს, მაგრამ სად იქნება ასეთი ქალი გერგაძეს რომ მოეწონოს?!

— ახალგაზრდა, განათლებული, ლამაზი და... მდიდარი.

არ არის.

თავი აიღო და ჩარჩოში ჩასმულ მარინას სურათს თვალი შეავლო.

ჩვეულებრივი მანერით და თავისი ჩვეულებრივი მზერით შიგ სულში იხედებოდა. გული უცნობი, და უცნაური სევდით გაეწურა და თვალებშიც ცრემლი ჩაუდგა.

კაცი, რომელმაც უცრემლოდ დამარხა მამა, ძმა, რამდენიმე ჯულითადი მეგობარი, სტიროდა აქ, ამ პაწია სურათის წინ და გრძნობდა, რომ ამ ქალმა თავისი პატარა, სასტიკი ხელებით მკერდიდან გული ამოაცალა და დაცარიელებული სხეულით დააგდო ცხოვრების გზაჯვარედინზე. ლოგინზე პირდაღმა დაეგდო და ბუთით, მის წინ მთელი ქვეყანა დაიხურა. უეცრად ოთახში ელსმენმა დაიწკრიალა და ისიც ზანტი მოძრაობით წამოდგა.

— გამარჯობათ, ექიმო, — ესმის ნაცნობი ხმა, — ერთი კვირაა, რაც მოსკოვიდან საქართველოში გესტუმრეთ. ხომ არ დაგავიწყდით? მოდით დღეს ოპერის თეატრში, ლოჟა № 5, შემდეგ ვახშამი ჩემთან და შემდეგ საუბარი სხვადასხვა საკითხებზე. ხომ მოხვალთ? გერმას გაეცინა და აღუთქვა, რომ აღნიშნულ დროს უეჭველად მივიდოდა.

ეს იყო დიდიხნის ნაცნობი მსახიობი ქალი, მატატა. ქალი, რომელიც არაფერს არ მოითხოვდა გარდა ვნებისა და მამაკაცური ენერგიისა, ამ მოულოდნელმა დაძახებამ ყველა იარა მოურჩინა და ოცნებით ისევ მას დაუბრუნდა.

მეზობელ ოთახში ბავშვი ატირდა. დედამ ალერსიანი სიტყვებით ბუძუ მიაწოდა. მამამ დანარჩენი ბავშვები აივანზე გამორეკა და კარები ბუზღუნით მიიხურა.

„ასეთი ამბავი რომ ჩემ სახლში იყოს, რად მინდა ცოლი, ქალები ისედაც ბევრია!“ ამ აზრით თავი ინუგეშა და ახალ გაზეთს ხელი დაავლო, ქრონიკაში შემდეგი ამოიკითხა: „პროფესორი რენო ახლო მომავალში მიემგზავრება სამხრეთ ოსეთში, მეცნიერული მიზნით. მასთან ერთად მიემგზავრებიან ამ ექსპედიციის წევრები, ახალგაზრ-

და ნიჭიერი მეცნიერები“ და მათ შორის გერმამ ამოიკითხა მარი-ნას სახელიც.

ამ უკანასკნელ დღეებში რამდენიმეჯერ შეხვდა მას რენოსთან ერთად და ახლა კიდევ ექსპედიციის წევრიც გამხდარა. რას ნიშ-ნავს ეს?!.. გაიფიქრა მან და ეჭვიანობის ისარი ისე ღრმად შეიჭრა მის გულში, რომ მატატას თბილმა დაპირებამაც კი ვერ შეარყია ის.

ღამის ცხრა საათზე მხიარული სახით იჯდა ლოჟაში, ჰკოცნიდა ბსახიობი ქალის სურნელოვან თითებს და ცდილობდა სამუდამოდ ამოეგდო გულიდან ის ქალი, რომელმაც ასეთი ცივი სისასტიკით გაიმეტა.

ნაწილი მესამე

რატომ გვიყვარს ჩვენ „ვეფხისტყაოსანი“?!

იმიტომ, რომ აქ არის სიყვარული მაღალი, სუფთა და ფაქიზი, როგორც ის ღრუბელი მზის ჩასვლისას ცას რომ გაეკვრება და უნაზესი ფერებით ავარაყებს მას.

ასეთმა სიყვარულმა ასწია დანტე შემოქმედების უმაღლეს მწვერვალზე, ასეთმა სიყვარულმა უკვდავჰყო შოთა, ასეთმა სიყვა-რულმა აამეტყველა პეტრარკა და ასეთი სიყვარულია დაცემულს რომ ფეხზე დააყენებს, სუსტს რომ დევგმირად აქცევს, მხდალს რომ უშიშრად გარდაქმნის.

სიყვარულს არ სჭირდება წინდაწინ თქმა, გაფრთხილება, მო-ლაპარაკება, ნიაღვარივით მოვარდება ის და მიჰყვება ამ ტალღას ადამიანიც, მიჰყვება ბრმად, შეუგნებლად და არ კითხულობს სადა აქვს საზღვარი ამ განცდას და საით-კენ მიჰყავს ამ განცდას ის. აჭ მხოლოდ ინსტინქტი ლაპარაკობს, ინსტინქტი ღრმა, ჯანსაღი, დაუძ-ლეველი და ეს ინსტინქტი აღორძინებს შთამომავლობას, აშენებს ქვეყნებს და აძლევს კაცობრიობას ცხოვრების ბიძგს, ბრძოლის სურვილსა და სიცოცხლის მიზანს.

შეცდომებიც ხშირად ხდება და არის შემთხვევა, როდესაც უბ-რალო გატაცება ნამდვილი სიყვარულის სახელით საღდება.

მარინამ დროზე შეიგრძნო ეს შეცდომა და ამ შეცდომამ წა-აბორძიკა ის ცხოვრების გზაზე, წააბორძიკა, მაგრამ კი არ დასცა. ადამიანები ორ ჯგუფად იყოფიან, ერთი ჯგუფი რკინასა და ფოლა-დისაგან არის ჩამოსხმული, ცხოვრების ცვალებადობას მაგრად

უხვდება და ზეციდან დაყრილ სეტყვებს ბეჭებზე ამაყად იმსხვრევს. მეორეს — კი, ქარი და წვიმა აზიანებს. ძლიერი ადამიანი ცხოვრების გაკვეთილს დინჯად სწავლობს, უძლური ისეთ გაკვეთილს ღვთის რისხვად თვლის და უენერგიო ლეში ხდება. მარინა ადამიანთა ძლიერ ჯგუფს ეკუთვნის და ამაყობს კიდეც იმის გამო, რომ ცხოვრების გზაზე ორმაგი დამარცხება განიცადა. მაგრამ ამ დამარცხებამ არამც თუ გასტეხა ის, არამედ კიდევ უფრო გააკაჟა და ბრძოლისა და გამარჯვების სურვილი გაუცხოველა. პირად ბედნიერებაზე ფიქრიც კი გულიდან ამოუგდო და მთელი თავისი ენერგია, ნიჭი, სურვილი. ნებისყოფა იმ საქმეს ჩააქსოვა, რომელი საქმეც ცხოვრების მიზნად დაისახა. მარტო ერთი საქმე არ აკმაყოფილებს და ხშირად ისეთ მოხსენებებსა და ლექციებს ესწრება, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვს მედიცინასთან.

აი, ამ წუთს ქალაქის ბაღში ზის და ჰეგელის წიგნიდან ციტატებს იწერს. უეცრად ხალხი დაფრთხა, მარინამაც თავი ზევით აიღო.

— ცოფიანი ძაღლია, თავს უშველეთ, — გააფრთხილა ის ვიღაც უცნობმა კაცმა და მებაღესთან ერთად რომელიღაც შენობის კარებში მიიმალა. დაცარიელებულ ბაღში მარინა დარჩა, დაიბნა, ვერც კი მოასწრო ფეხზე ადგომა, რომ პირდაღებული ქოფაკი, ამღვრეული თვალებით, ქოშინით მივარდა მას. ახლა კი გამოერკვა მარინა და თავისი ჩანთა ძაღლს პირში მიაგება. ძაღლმა მას კბილები მაგრად შოუჭირა, მაგრამ ჩქარა ისევ გააგდო პირიდან და... მარინას შიშისაგან თვალები დაეხუჭა, ის იყო უნდა დაცემულიყო, რომ ვიღაცის მძლავრმა ხელმა წიწილასავით აიტაცა ჰაერში.

— ლეო, ნუთუ ეს თქვენა ხართ? — წამოიძახა ქალმა და მის სახეს სინათლე დაუბრუნდა.

— როგორც ხედავთ, მაგრამ ხომ არ დაგკბინათ ამ ძაღლმა, მარინა?

— არა, მე თქვენ დროზე მოგისწარით, მაგრამ, რას აპირებთ ახლა?! საჭიროა იარაღი...

— აი, რას ვაპირებ, — უპასუხა ვაჟმა და გაგუდული ძაღლი შიწაზე დააგდო.

— ისევ რომ წამოდგეს? — იკითხა ქალმა და შეშინებული ბალღივით ვაჟკაცს ამოეფარა.

— არა, ის ვერასოდეს ვეღარ ადგება, თუმცა მე უფრო მებრძო-

ლი ქალი მეგონეთ, დაჯექით და დაიწყნარეთ ნერვები, თქვენ ცახ-ცახებთ.

— არაფრის არ მეშინოდა ბავშვობიდანვე ისე, როგორც ძაღ-ლის და ისიც ცოფიანის. ეს, ალბათ, დამასახიჩრებდა მე, თუ სულ არ შემჭამდა.

— ვინ იყო ის კაცი, რომ გაგაფრთხილათ და შემდეგ სამარცხვი-ნოდ გაიქცა.

— არ ვიცი, მე იგი ვერ ვიცანი.

— ნეტავი აქ იყოს ახლა, რომ ჩემი მუშტების ძალა ვაგრძნობი-ნო. შარვალი აცვია და უიარაღო ქალს ცოფიან ძაღლს უტოვებს და-საგლეჯად.

— ყველა ხომ თქვენისთანა გმირი ვერ იქნება, შიშველი ხელით ეცით ცოფიანს და სიკვდილს გადამარჩინეთ.

— მარინა, მოვშორდეთ ამ ადგილს, მებაღე მოდის და მივცეთ საშუალება ეს ძაღლი გაათრიოს.

ამ სიტყვებით ბაღის სიღრმეში შევიდნენ და ერთ-ერთ სკამზე ჩამოსხდნენ.

— მე მინდა თქვენ წიგნზე გკითხოთ, ამას წინათ უნებური მო-წამე გავხდი იმ კამათის, რომელიც მან გამოიწვია, რა მოელის ამ ნაწარმოებს?!

— ამ წიგნს მალე გამოსცემს სახელგამი და რედაქტორს არ ამოუშლია აქედან არც ერთი სტრიქონი. ზოგიერთი რეცენზენტის უვიცობამ და მათთან უთანხმოებამ ათი წლით დამაბერა.

— მჯერა, მე თქვენ ახალგაზრდა ბერიკაცს გეძახით და მართ-ლაც ისეა თქვენში ჩამჯდარი სული მეამბოხე ადამიანისა და ისე გაწვალებს ცხოვრების სხვადასხვა საკითხები, როგორც აწვალებ-და ის ოდესღაც ფაუსტს, მაგრამ ფაუსტს გოეთემ გვერდით მე-ფისტოფელი დაუყენა, რომელსაც მოხერხებულად გაჰყავდა ის ცხოვრების სხვადასხვა ხვეულებში. თქვენ კი...

— მე კი ფაუსტზე უკეთესი მეგობრები მყავს.

— არ შეიძლება მითხრათ სახელი იმ თქვენი მეგობრებისა?!

— ნიჭი, ენერგია და მართალი გული. პირადად მე გულწრფე-ლად მწამს, რომ კომუნიზმი, ეს ერთადერთი საშუალებაა, რომელიც დაჩაგრულ ნაწილს კაცობრიობისას საბოლოოდ გაანთავისუფლებს და ბოროტი უნდა იყოს ადამიანი, რომ ამის წინააღმდეგ გაილაშქ-როს. ამას წინათ მე ვახლდი სამეგრელოში ერთ ჩემ მეგობარს და

როცა იმისმა საძოცი წლის ბებიამ ოთახში ელექტროშუქი გაანათა, რაღაც უცნაურმა გრძნობამ შემიპყრო. მინდოდა გადავხვეოდი იმ ადამიანებს, რომლებმაც ამ მოხუცს ამის შესაძლებლობა მისცეს. უნდა გენახათ ის იმ წუთში, მაღალი, ხმელი, ჭოლოკივით ამართული იდგა და მხიარული თვალებით შემდეგს ამბობდა:

— იჰ, წინათ ჭრაქის შუქზე ვიხრჩობოდით და ახლა ხედავთ?! სად იყვნენ დღემდის თუ ასეთი ღვთის წყალობა არსებობდაო.

ღმერთი მაინც მოაგონდა მოხუცს, თუმცა სამეგრელოში ეკლესიები კარგა ხანია რაც გამოკეტილია. მთელი ჩემი თანაგრძნობა ამ ხალხთან არის. მაგრამ პოლიტიკურ საკითხებში მაინც ცუდად ვერკვევი. მეცნიერული მუშაობა კი... მე აქ ჩემ თავს მაგრად ვგრძნობ. მიყვარს ეს საქმე და აუცილებელია ჩემთვის ეს საქმე. აი, თუ გინდა ახლა, მე გელაპარაკებით თქვენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, არ მავიწყდება ჩემი თემა, რომელიც გუშინ დავიწყე. უზრდელობაში ხომ არ ჩამომართმევთ ამას, მარინა?!

— პირიქით, მე მომწონს ეს.

— მე ვისურვებდი თქვენი მეგობარი ვყოფილიყავი. თქვენ არ გინდათ ეს, მარინა?!

უსათუოდ და მე მიხარია, რომ ეს სიტყვები ასეთი პატიოსანი სახითა და ნათელი თვალებით ითქვა. მაშ, ვიყოთ მეგობრები ლეო, მაგრამ თქვენ ხომ არ იცით რას მოვითხოვ მე მეგობრისაგან?!

— არ ვიცი.

— მეგობარი, თუ ის მართლა მეგობარია, მოვა ჩემთან დაღლილობის ჟამს და მეტყვის ასე: „მეძინება“, ლეიბის ნაცვლად ქვას არ დავუგებ. უნდა მოვიდეს და მითხრას —„მშია“, რათა შევიძლო ბავშვივით დავაპურო, თუ მაძღარია, ისიც უნდა ვიცოდე, თუ რაიმე ტკივილი აწუხებს, ამაზეც უნდა მელაპარაკოს. ის არ უნდა ფიქრობდეს იმაზე, რომ ქალი ვარ, მე არ უნდა ვფიქრობდე იმაზე, რომ ის მამაკაცია და მინდა იყოს ეს განცდა იმდენად სუფთა და იმდენად ლამაზი, რომ ვერავინ გაბედოს ტალახის სროლა.

— ძნელია, — ამბობს ლეო და დაფიქრებული სახით მარინას თვალებში შეჰყურებს, ეტყობა ცდილობს დაარწმუნოს თავისი თავი, რომ ეს შესაძლებელია, მაგრამ გრძნობს, რომ ეს რწმენა იხეთ ბეწვზე ჰკიდია, რომელიც მოსალოდნელია ყოველ წუთს ჩამოწყდეს.

— გამიგონე, განა ცუდია გყავდეს ისეთი მეგობარი, რომელიც

მოვა შენთან დაღლილობის ჟამს და გეტყვის ასე: „დაიძინე, მე ნანას გიმღერებ“, მოვიდეს მოწყენილობის ჟამს და გითხრას ასე: „ყური დამიგდე, საუცხოო ზღაპრებს გიამბობ“. მოვიდეს გაჭირვების, ან ავადმყოფობის წუთებში და მოგიტანოს ისეთი გრძნობები, რომლებსაც ფულით ვერ იყიდი? აჰ, მე მოვკვდებოდი სიხარულისა და ბედნიერების გრძნობისაგან ასეთი ვინმე რომ შემხვედროდა ცხოვრების გზაზე.

— თუ მამაკაცს მოეწონა თქვენში ადამიანი, შეიძლება მოეწონოს ქალიც. ეს განა გასაკიცხია?! თქვენ ასკეტიზმს ქადაგებთ, მარინა, ეს ასე არ შეიძლება.

— თქვენ ცდებით, მეგობარო, მე ასკეტიზმს არ ვქადაგებ. მე ვამბობ, რომ მამაკაცი ისე კი არ უნდა მოვიდეს ქალთან, როგორც მხოლოდ სქესთან, არამედ ისე, როგორც ადამიანთან, როგორც ამხანაგთან და თანატოლთან. მე ასკეტიზმს არ ვქადაგებ და მე არ ვთვლი გარყვნილებად, როდესაც ფიზიკურად ჯანსაღ მამაკაცს ფიზიკურად ჯანსაღ ქალთან აქვს ურთიერთობა, მაგრამ ამ ურთიერთობის საარჩულად სიყვარული უნდა იდოს და ეს ურთიერთობა ნორმალურ პირობებში უნდა მიმდინარეობდეს და არ უნდა ხდებოდეს ხშირი ცვლა. ხშირმა ცვლამ იცის გაწუწკება და თუ ეს მოხდა, ადამიანი იღუპება მორალურად. ის ეშვება ქვევით და ეკარგება უნარი თავდაცვისა და თავდაჭერის. ის გაუფრთხილებლად გადადის ერთი ადამიანიდან მეორეზე. ბოლოს და ბოლოს ის ირღვევა ფიზიკურად და დარღვეულ ადამიანს აღარ შეუძლია არც პოლიტიკური და არც მეცნიერული საქმიანობა. ვერც ოჯახს შექმნის და ვერც ჯანსაღ შთამომავლობას წარმოშობს. თანამედროვე ადამიანს სჭირდება მეტი თავდაჭერა და მეტი ზომიერება.

ასეთია ჩემი აზრი და ამაზე თქვენც უნდა დამეთანხმოთ. როგორც ხედავთ, მე ფიზიკურ ურთიერთობას არ უარვყოფ, მაგრამ ვამბობ, შეიძლება არ იყოს ასეთი ურთიერთობა და გიყვარდეს კიდევ უფრო მეტად, კიდევ უფრო ძლიერად.

— არ მჯერა.

— ისტორიას განა არ ახსოვს ასეთი მაგალითები?

— ერთი მაინც დამისახელეთ.

— იტალიის პოეტი ქალი ვიქტორია კოლონა და მისი დიდი მეგობარი მიქელ-ანჯელო. ანჯელოს უყვარდა ვიქტორია ღრმად, სუფთად, სათუთად. ვიქტორიაც ასეთივე გრძნობით იყო გამსჭვა-

ლული და, როდესაც პოეტი ქალი მოკვდა, ანჯელომ თქვა: „ამიერიდან სიკვდილს სიხარულით დაველოდები, რათა ვიქტორიას გვერდით განვისვენოო“. ასე უყვარდა ამ იშვიათ ხელოვანს და იშვიათ ადამიანს თავისი მეგობარი ქალი და მათი ბიოგრაფებიც ამტკიცებენ, რომ მათ შორის არ ჰქონია ადგილი ფიზიკურ სიახლოვეს.

— ასეთი მეგობრობა მხოლოდ დიდ ადამიანებს ახასიათებთ.

— მაგრამ, კარგი და ვთქვათ მეგობრობთ ვინმეს და იგრძენით, რომ თქვენში გაიღვიძა ქალმა, თქვენ შეეცდებით ჩაახშოთ ეს გრძნობა?

— ასეთ შემთხვევაში სიყვარული სხვა სახეს ღებულობს და რატომ უნდა ჩავახშო გრძნობა, თუ ადამიანი ვინც ჩემში ასეთ განცდას გამოიწვევს, ღირსი იქნება ჩემი სიყვარულისა! მე მხოლოდ ერთი რამ მაშინებს. არის შემთხვევა, როდესაც ფიზიკური სიახლოვე აშაბლონებს გრძნობას და ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ქალი რჩება გალანძღული და დამცირებული.

— შესაძლოა აგრეც მოხდეს, მაგრამ არა ყოველთვის.

— ჩემის აზრით, სადაც არ უნდა წახვიდეთ და ცხოვრების რა პირობებშიაც არ უნდა ჩადგეთ, შაბლონი მაინც არ აგცდებათ. პატარა ადამიანები ამ შაბლონს არც ამჩნევენ, დიდებს ის მუდამ აწვალებდა.

ათეული წლების განმავლობაში იდგე მტკიცედ და ამაყად, ათეული წლების განმავლობაში გჯეროდეს შენი თავის და გქონდეს შენი რწმენა და ერთ უბადრუკ დღეს, ყოვლად უბადრუკმა შემთხვევამ მოულოდნელად ფეხი გამოგიშალოს და დედამიწას მძლავრად დაგანარცხოს!! დიდ ადამიანებსაც მოსვლიათ ცხოვრებაში მარცხი, აივაზოვსკის აქვს ერთი სურათი:

„Скала Сафо“. ლევკაიის ნაპრალებში ჩარჭობილია ლირა საფოსი, იმ ნაპრალებში, საიდანაც პოეტი ქალი ზღვაში გადაიჭრა

— მიზეზი?

— ერთი სალახანა ბიჭი, ფაონად წოდებული, რომელსაც არ გული ჰქონდა და არც სიყვარული შეეძლო.

— არსებობს ტიპი ისეთი მამაკაცებისაც, რომლებიც ამბობენ:

ლამაზი ქალი წყალია შეყვარებული თვალისა,
სული რა არის, სად არის, ვართ მოტრფიალე ტანისა,
ვის უნდა ბიჭი, ტლუ ბიჭი, სტუმარი ერთი ღამისა.

— ჰოდა, ისეთი ქალებიც არსებობენ, რომლებიც უღებენ კარებს ასეთ ტლუ ბიჭებს და შედეგზე კი ნუღარ ვილაპარაკებთ.

— რა ამოძრავებს ქალს ასეთ შემთხვევაში?!

— სიყვარული, ტემპერამენტი, სიბრალული...

— სიბრალული? არა მგონია სიბრალულმა ქალი თავდავიწყებამდე მიიყვანოს.

— იცი რას გეტყვი, ლეო?! მე მგონია არსებობს ორგვარი თიხა, სხვადასხვა ფერისა და სხვადასხვა თვისებისა. ერთი თიხიდან ბუნება ქალს აქანდაკებს, მეორე თიხიდან კიდევ მამაკაცს და, ალბათ, ეს არის იმის მიზეზი, რომ განსხვავება დიდია მათ შორის. ამას წინათ, ერთმა ნიჭიერმა ხელოვანმა ქალმა ასე მითხრა: მე ვაძლევ მამაკაცს ყველაფერს, რაც გამაჩნია, გულს, გრძნობას, სიყვარულს, თავდადებას და თავგანწირვას, მაგრამ მისგან არასოდეს არაფერი მიმიღია სამაგიეროდ და არც მოვითხოვ. რა აქვს რომ მომცეს?! უმეტესი ნაწილი მამაკაცებისა ამ ანალოგიას ამართლებს.

ამ დროს ბაღში მხიარულად მოლაყბე ქალ-ვაჟი შემოვიდა. ისინი ახლო სკამზე ჩამოჯდნენ და ისეთი უწმაწური არშიყობა დაიწყეს, თან ხარხარი და ინტიმური შეთამაშება, რომ მარინა მოიღრუბლა და ლეომ ამაზე სიცილი დაიწყო.

— რა გენაღვლებათ, ილაყბონ, ისინი ალბათ სილამაზეს ამაში ხედავენ.

— მე კი არ მომწონს, როდესაც ადამიანებს თავიანთი უწმაწური გრძნობები ქუჩაში გამოაქვთ.

— როგორი კაცის შეყვარება შეგიძლიათ თქვენ, მარინა?

— ოო, ის კაცი უსათუოდ იდეალური ადამიანი უნდა იყოს, სულით მაღალი, ბუნებით სუფთა, გულით პატიოსანი.

— კიდევ?!

— კიდევ უნდა დამიდგეს გვერდით და მთელი ქვეყნის გასაგონად მითხრას „მე შენი ვარ". თუ ამის თქმის სურვილი არ აღეძრა, ჩანს, რომ არც ვუყვარვარ და ვისაც არ ვუყვარვარ, იმასთან არც ვიცხოვრებ.

— ძალიან კარგი, ამიერიდან მეცოდინება რა უნდა მარინას და ვეცდები ოდნავ მაინც დავემსგავსო იმ იდეალს, გულით რომ ატარებს ის.

— ლეო, ასეთი ხუმრობა არ იყოს, გესმის?!

— მესმის. მაგრამ ეს ხუმრობა არ არის. მე ძალიან კმაყოფილი ვარ დღევანდელი დღის, კმაყოფილი ვარ, რომ თქვენ შეგხვდით.

— რატომ?!

— არიან ადამიანები, რომლებსაც გულგრილად აუელი გვერდს და რომლებიც არ იწვევს არავითარ ინტერესს, მაგრამ ხან იშვიათად გამოერევა ასეთი ვინმეც, რომლის წინ გინდა ხანგრძლივად შეჩერდე, შეისწავლო, გამოიცნო.

— არც მე ვარ უკმაყოფილო დღევანდელი დღის. — თქვა მარინამ და მადლობა გადაუხადა, მაგრამ როცა გამოირკვა, რომ გზა ერთი მიმართულებით ჰქონდათ, ლეომ უთხრა:

— მე გაჩვენებთ თქვენ ერთ ჩემ თანამემამულე ქალს, რომელიც მთათუშეთიდან გუშინ ესტუმრა თბილისს. ისე გამეხარდა. მისი დანახვა, თითქოს მთელი თუშეთი ჩემს სანახავად ფეხით ჩამოსულიყოს.

— ესეც პატრიოტიზმი, მაგრამ ასეთი ვიწრო?!

— მე არ ვმალავ, რომ თუშები მიყვარს, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ სხვა კუთხის შვილები გძულდეს. ჩავიდეთ აი აქ. ამ ეზოში. — ამ სიტყვებით ქალს მკლავში ხელი გამოსდო და კიბის ვიწრო საფეხურები ფრთხილად ჩაატარა.

რამდენიმე წუთის შემდეგ, მათ წინ იდგა შუახნის, შავთავსაფრიანი დედაკაცი. მზემოკიდებულ და ჯანსაღ ქალს ეტყობოდა, რომ ის არ ერიდებოდა არავითარ შავ სამუშაოს.

— გამარჯობა, საბედო, ხომ კარგად ხარ? — შეეკითხა ლეო და ხელი გაუწოდა.

— კარგად ვარ, შენაი ჭირიმე, შენაი კარგად ყოფნა ღმერთმა ნუ მომიშალოს, შვილო. შენაი ქაღალდმა გაჭრა და საავადმყოფოში შემიშვეს, ჩემი შვილაი კარგათაა. — ეუბნება ქალი აღელვებული ხმით და ხელებზე ეფერება.

— მე მოველაპარაკე დღეს ამის შესახებ საავადმყოფოს ექიმს. შვილს დღესაც გაჩვენებენ და წასვლამდე სულ ივლი. ეს ფულიც დაიტოვე და ავადმყოფს რამე უყიდე. ნუ ყოყმანობ, როცა შვილი მოგირჩება, ვალს გადამიხდით ან არადა, გემრიელ ხინკალს გაგვიკეთებ მთაში, რომ გეწვევით მე და აი, ეს ქალი. — მარინას გაუღიმა და როდესაც წამოსვლის დროს ხელი გაუწოდა, თუშის ქალი შეჩერდა და მრავალმეტყველი თვალებით ახალგაზრდა ქალს ისე

დააკვირდა, რომ მარინამ იგრძნო იდუმალი ფიქრი და მის სახეს უნებურად სიწითლემ გადაჰკრა. ამაზე ლეოს გაეცინა და ქალს მიმართა:

— საბედო, შენ, ალბათ, გგონია, რომ ჩემი თანამგზავრი ქალი ჩემი დანიშნულია. მართალი რომ ვთქვა, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ჯერჯერობით ეს ასე არ არის. ჩვენ ჯერ მხოლოდ უბრალო მეგობრები ვართ.

— ჩემო ლამაზო! — უთხრა მარინას დედაკაცმა და მისი ხელები ჩელში აიღო.

— ასეთი განაზებული ქალები ჩვენს თუშეთში ხომ არ არიან დედი? ხედავ ამ პატარა ხელებს?! როცა მათ ვიღებ, მეშინია ჩელში არ დამემტვრეს. ზოგიერთი ჩვენი ქალი კი ვაუკაცსაც მოიკიდებს.

— ჩვენაი ქალებს შენაი იცნობ, ლეო, ისინი თოხსაც ისე ხმარობენ, როგორც თითისტარს და ასეთი მუშაობა ადამიანს არ გაანაზებს.

— კარგია ჩვენი გოგონები, ველურ ყვავილებივით რომ იზრდებიან მთებში. როდესაც დაბრუნდეთ სახლში, გადაეცით მათ ჩემი სალამი.

— თქვენ უსათუოდ თქვენი ქვეყნის ქალი უნდა შეირთოთ, — უთხრა მას მარინამ, როდესაც ქუჩაში გამოვიდნენ.

— არა, მთიელი ქალი თავისი ჯანსაღი სხეულით და თავისუფლების მოყვარული გულით, ჩემისთანა ქმარს და ქალაქს ვერ შეეგუება. ჩემთვის არსებობს მხოლოდ წიგნები, წიგნებმა შემჭამეს და იმ დროსაც კი შიგ ვიხედები, როდესაც პირში ლუკმას ვიდებ. აბა, თქვენ თუ მეტყვით, რომელი ქალი შეურიგდება ასეთ მდგომარეობას?!

— საჭიროა ტიპისა და ტემპერამენტის შერჩევა. ეს სიტყვები ამას წინად რენომ თქვა.

— გვიან მისულა ამ დასკვნამდე.

— თქვენ იცნობდით მის ცოლს?

— ნიჭიერი მუსიკოსი ქალი, სრულიად ნორმალური ადამიანი, კარგი ოჯახის შვილი და კარგად აღზრდილი. ახალგაზრდა ქალს მთელი თავისი არსებით უყვარდა ხელოვნება, თეატრი, ოპერა, კინო და მოითხოვდა, რომ ქმარს ერთი საღამო კვირაში გაეწირა მისთვის, ვინაიდან სულ მარტოდ სიარული უხერხული და შეუძ-

ლებელიც იყო, მაგრამ რენომ ასეთ მოთხოვნილებას ყურადღება არ მიაქცია. „იკითხე წიგნი“, ეტყოდა მას, როდესაც ქალი მოწყენილობაზე დაიწყებდა ჩივილს და კანტის დიდტანიან ტომს ხელში მიაჩეჩებდა. ისიც კითხულობდა, მაგრამ ყველა ხომ რენო არ არის და ყველას ხომ ვერ დააინტერესებთ მეცნიერული საკითხებით? გული და მოწოდება სულ სხვა მხრით ეწეოდა და ისიც წავიდა.

— ბედნიერია, ნეტავი, მეორე ქმართან?

— არ ვიცი, ამბობენ, რომ ბავშვზე ძალიან დარდობსო. ის კაცი გერმანელი ინჟინერია, დროებით საქართველოში ცხოვრობდა და ბევრი კარგი შენობა გაკეთდა მისი პროექტით. ამჟამად ბერლინში იმყოფებიან და ალბათ მერი იქ უფრო თავისუფლად გრძნობს თავს.

— საბრალო რენო, ის უსათუოდ ღირსი იყო უკეთესი ხვედრისა.

აქ მათი გზები გაიყო და ისინიც შეჩერდნენ.

— ნახვამდის, ლეო.

— ნახვამდის, მარინა. ამაღამ მე ვიფიქრებ თქვენზე და ვიფიქრებ იმაზე, რომ ხვალ ისევ გნახოთ. გაშალეთ შუბლი და ეს მკაცრი ნაოჭები თქვენ სახეს მოაშორეთ. ამას გეუბნებათ მეგობარი და არა მამაკაცი. აი, ასე, შუბლიც გაიშალა და ნაოჭებიც დაიშალა. თქვენ ჩემი გჯერათ და მე თქვენ მენდობით. ხომ აგრეა ეს?!

მარინამ დასტურის ნიშნად თვალებში შეხედა და ორივე ხელი ღიმილით გაუწოდა.

ლეომ დახედა მის ფერმკრთალ თითებს, მაგრამ ტუჩებთან არ მიიტანა ისინი.

ამით ვაჟმა ქალს აგრძნობინა, რომ უყურებდა მას, როგორც ამხანაგსა და თანატოლს, და რომ არ უნდოდა დაემცირებინა ის გაცვეთილი ჩვეულებით.

* * *

— დევიძე ჯერ კიდევ არ მოსულა?! — ჰკითხა მეორე დღეს მარინამ ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომელს, რომელიც თავდახრილი იჯდა და სქელტანიან რვეულში რაღაცას იწერდა.

— იყო, მაგრამ საქმეზე გავიდა, ახლავე დაბრუნდება. დაბრძანდით და დაუცადეთ, — უპასუხა მან და სკამი მიაწოდა. მარინამ

ვერც კი მოასწრო მადლობის გადახდა, რომ კაბინეტში პროფესორი მაღალაძე შემოვიდა.

უცნაურია ეს კაცი, ცივი, უხეში, მიუკარებელი, როცა ბრაზობს, მამალი ინდაურივით იქოჩრება და დააქვს მუდამ გაბორტებული სახე და უკმაყოფილო თვალები. არის მაღალი, სრული, ასე ორმოცდაათი წლის, ჭროღა, მოუსვენარი თვალები ღრმად აქვს შეჭრილი ჩარჩოში და მთვარესავით გადაშლილ სახეს საკმაოდ ნოზრდილი ცხვირი მორგვივით დაჰკერებია. უფერულ მოკლე ტუჩებს სარკასტული ნაოჭები უვლის და მისი ლიბრედი კბილები ლაპარაკის დროს ღრძილებიანად მოჩანს. მთელ მის არსებას ისე აზის ბიუროკრატიზმის დაღი, როგორც რომელიმე დაწესებულების საქმიან ქაღალდებს საკანცელარიო ბეჭედი.

— თავს იქცევთ ლამაზ ბანოვანთან? მუშაობის დროს ასეთები არ იყოს, — წარმოთქვა მან ვითომც ხუმრობით, მაგრამ ამ ხუმრობაში პილპილივით ჩააწყო ირონია. თანამშრომელი ბავშვივით გაწითლდა და საპასუხო ვერაფერი სთქვა.

მარინა აენთო.

— მე სრულიად არ ვიცნობ ამ თქვენ თანამშრომელს და არც თავის შესაქცევად შემოვსულვარ აქ, უფალო პროფესორო. მე ვუცდი ამხანაგ დევიძეს.

— ეს „უფალო“ რას ნიშნავს?! ღმერთი და უფალი სახრჩობელახე ჰკიდია და თქვენ აქ შემოგყავთ ისინი?!

— „ამხანაგს“ თქვენ ვერ იტანთ და ისევ ეს სიტყვა მოგინახეთ. — არანაკლები ირონიით უპასუხა მარინამ და ამაყად ოთახის მეორე კუთხეში დადგა.

პროფესორმა იგრძნო, რომ შეურაცხყო ქალი, მაგრამ ბოდიშის მოხდა საჭიროდ არ დაინახა და ისევ იმ თანამშრომელს მიუბრუნდა.

— თქვენ იყავით გუშინ მაღაზიაში?

— ვიყავი, მაგრამ ის შალი, თქვენ რომ დამავალეთ, იქ არ აღმოჩნდა, მითხრეს ამ დღეებში მივიღებთო; ფეხსაცმელები კი ვიყიდე და დღესვე გაახლებთ სახლში, — მორჩილად მიუგო მან და ისევ წერას შეუდგა. მარინა შემობრუნდა და ის იყო გასვლას აპირებდა, რომ კარებში ლეო დევიძე შეეფეთა.

— დიდხანს ხომ არ გაცდევინეთ, მარინა?! ვითომ ძალიან ავჩქარდი, მაგრამ მაინც დავიგვიანე.

პროფესორმა ის თავისთან მიიხმო, რაღაცა სია გადასცა და ასე უთხრა:

— ლეო, თქვენ ახლავე უნდა წახვიდეთ და როგორმე ეს წიგნები მიშოვოთ. ძალიან საჭიროა. — ლეომ სიას დახედა და წარბები უკმაყოფილოდ შეიკრა.

— უკაცრავად, მაგრამ... მე თქვენი ასისტენტი ვარ და არა მოჯამაგირე. თითქმის ორი წელია თქვენთან ვმუშაობ და ამ ხნის განმავლობაში ათასი შეუფერებელი საქმე გამაკეთებინეთ. მე შემიძლია პირადად თქვენთვის რაიმე გავაკეთო, თუ ეს აუცილებელია და საჭირო, მაგრამ ასეთი დასაქმება პირდაპირ სისტემატურ ხასიათს ღებულობს. ამ სიაში სკოლის სახელმძღვანელო წიგნებია აღნიშნული. ალბათ ისინი თქვენ ბავშვებს სჭირდებათ, მაგრამ... მე რა შუაში ვარ?! თქვენ შეგიძლიათ დარაჯს ან სხვა ვინმეს დააკისროთ ამ საქმის გაკეთება. — ამ სიტყვებით ქაღალდი იქვე მაგიდაზე დასდო და გაოცებულ პროფესორსა და მის მორჩილ თანამშრომელს უბოდიშოდ ზურგი შეაქცია.

— ყოჩაღ, ლეო. — უთხრა მარინამ ღიმილით და კარები გაიხურეს.

* * *

რენო და ექსპედიციის წევრები ისეთი ენერგიით დატრიალდნენ სამხრეთ-ოსეთის სოფლებში, რომ მთელი წლის საქმე ორ თვეში გააკეთეს.

ამ მხრივ, პროფესორს მარინასადმი ლმობიერება არ გამოუჩენია და ისე დატვირთა ისიც საქმეებით, როგორც ექსპედიციის სხვა წევრები.

მარინა ხშირად დადიოდა ერთი სოფლიდან მეორეში, აგროვებდა ცნობებს და მის მიერ წარდგენილი მასალები ყოველთვის განირჩეოდა თავისი სიმრავლითა და შინაარსით. თავისუფალ დროს ოსის ქალებთან საუბრობდა და მათ გარუჯულ ბავშვებთან ერთად ხშირად მიდიოდა მთებში იშვიათი მცენარეებისა და ველური ყვავილების საძებნელად. ის ისე კარგად გაეცნო ოსი დედაკაცის ყოფა-ცხოვრებას, აღზრდა-განვითარებას, რომ ამის შესახებ რამდენიმე მეცნიერული წერილიც კი მოათავსა ჟურნალ „მეცნიერებაში“. ისინი იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ გაზეთმაც გადაბეჭდა და მარინას ამ შემთხვევამ სახელიც მოუხვეჭა. ის და

რენთ მუდამ ავადმყოფებით არიან გარშემორტყმული და მათ შორის გრძნობებზე და მომავალ ურთიერთობაზე არაფერი თქმულა. ქალს თავი დინჯად უჭირავს და არავითარ პრივილეგიებზე პრეტენზიებს არ აცხადებს. აქ ის მხოლოდ მომუშავე ადამიანია და არა სხვა... მიუხედავად ამისა, რაც უფრო უკვირდება რენოს, იმდენად მეტად იმსჭვალება მისდამი პატივისცემითა და სიყვარულით და რამდენად წმინდა და მაღალია ეს სიყვარული. რა იქნება ისეთი, რომ მარინამ არ გასწიროს მისთვის? საკუთარ სიცოცხლესაც კი სასწორზე დასდებს, მაგრამ ამისდა მიუხედავად, რომ უთხრას რენომ: „მაკოცე", ის ალბათ, ვერ იზამს ამას. ვერ იზამს არა იმიტომ, რომ არ სურს და არ არის გრძნობა სიყვარულისა, არამედ იმიტომ, რომ დიდია ეს გრძნობა, ძალიან დიდი და ასეთი გრძნობის გამოსახატავად ცხოვრების სხვა პირობებია საჭირო, თვით უმაღლესი და უმშვენიერესი გრძნობაც კი კარიკატურის სახეს მიიღებს, თუ ამ გრძნობის გამომჟღავნება შესაფერ პირობებში არ მოხდა და...

ინტიმური ურთიერთობა, ეს იგივე შემოქმედებაა და რამდენად მაღლა დგას ადამიანი და რამდენად დიდბუნებოვანია ადამიანი, იმდენად მრავალფეროვანია და იმდენად შინაარსიანია ეს ურთიერთობა. ამისათვის საჭიროა უდიდესი თავისუფლება, უდიდესი მყუდროება, უდიდესი დამშვიდებული მდგომარეობა, თუ ამის შესაძლებლობა არ არის, მოსალოდნელია განცდა გაშაბლოწდეს და დამოკიდებულების ჰარმონიაც დაირღვეს.

ზოგიერთს ყალბი წარმოდგენა აქვს ამ ურთიერთობის შესახებ და ჰგონია, რომ ფიზიკური სიახლოვე ყველაფერია. ეს არის სულ?!

ასეთ კავშირს მარინა ვერ მიიღებს და არც რენო შეურაცხყოფს მას ასეთი მოთხოვნილებით.

— მე შემიძლია ვიამაყო თქვენისთანა მოწაფით. თქვენ დაამტკიცეთ, რომ შრომა შეგიძლიათ და ბევრი ამხანაგი მამაკაცი მოიტოვეთ უკან. ბეჯითი, ჭკვიანი და დაუზარებელი იყავით ამა თუ იმ საქმის შესრულების დროს, მაგრამ მაინც არ შემიძლია არ გისაყვედუროთ ერთი რამ. თქვენ მუდამ შორს გეჭირათ თავი ჩემგან და ერიდებოდით გამოგემჟღავნებინათ თქვენი ქალობა, — უთხრა მას რენომ, როცა ისევ თბილისში დაბრუნდნენ და როდესაც ერთ დღეს ესტუმრა ქალს მის ოთახში.

— გრძნობის გამომჟღავნების საშუალება არ ყოფილა იქ. საე-

რთო საცხოვრებელი ბინა, მუდმივი საქმიანობა და ათასი ეჭვიანი თვალი. ჩვენ ორივენი შებოჭილ მდგომარეობაში ვიყავით და გრძნობებს თავისუფალი გასაქანი არ ჰქონია.

— მაგრამ... მაინც შესაძლებელი იყო, რომ მეგრძნო თქვენში მოსიყვარულე ადამიანი, რას მივაწერო ეს, გულგრილობას თუ...

— არა, მოკრძალებას და გრძნობას თაყვანისცემისას. მე იქ ისე გიცქერდით თქვენ, როგორც უცქერდენ წინათ მოგვებსა და პატრიარქებს.

— ჩემო ძვირფასო მარინა, მე ხუცესი არა ვარ და ასეთ ნიშანს თაყვანისცემისას ვერ მივიღებ. შეყვარებულ ქალს ასეთი ველური სურვილი არ აღეძვრება და თუ თქვენში არაფერს გრძნობთ, გარდა მშრალი პატივისცემისა, მაშინ... უმჯობესია სულ არაფერი ითქვას ამის შესახებ.

მარინა გაჩუმდა.

მის სულსა და გრძნობებს მუდამჟამს გზნების კორიანტელი ეუფლება, მაგრამ ყინულის ჯებირით აქვს ის გარშემორტყმული, რათა ყოველივე გამვლელისათვის არ ცხადჰყოს მისი ფრსებობა. საჭიროა მახვილი მხედველობის ადამიანი, რათა მისი არსების წიაღებში აღმოაჩინოს სუნთქვა ამ მფეთქავი ვულკანებისა და სწორედ ასეთი მხედველობა აკლია რენოს, თორემ მას ამ მრჩვენებით და გარეგნულ გულგრილობას არ უსაყვედურებდა.

— ასეთი დუმილის შემდეგ შეგიძლიათ აიღოთ ხელი და მომცეთ ის გულწრფელად?! ნუ დაატანთ თავს ძალას მარინა, მე ეს არ მინდა, — თქვა რენომ და გამომცდელი მზერით თვალებში ჩახედა, მაგრამ ქალი თითქოს უეცრად შეიცვალა, გულგრილობის ნიღაბი სახიდან ერთბაშად დაუვარდა და გულწრფელი გრძნობით რენოს ორივე ხელი გაუწოდა.

რენომ მოიტაცა ეს ხელები და ისე დაეწაფა მათ, როგორც მოწყურებული ადამიანი დაეწაფება ხოლმე ლუდს ან ღვინოს, მარინა აილეწა, მერე სწრაფად წაართვა ხელები, თითქოს თითები გახურებულ ქურაზე დაეწვა.

— მარინა!! — შეემუდარა რენო და მის სახეს მღელვარების მუქი ტალღები მოედო.

მარინამ უკან დაიხია და მის გამოწვდილ ხელებს თავი მოარიდა.

— მომეცით ხელი, მარინა, მე მინდა მეჭიროს ის. — მაგრამ

როდესაც შეამჩნია, რომ ქალი იდგა და ჯიუტობდა, სახის გამომეტყველება შეეცვალა, დადინჯდა და ქუდს ხელი წაავლო.

მარინამ იგრძნო, რომ აწყენინა მეგობარს, მიირბინა მასთან და ბავშვური სინაზით მის გულს თავი დაადო.

— შენ არ უნდა გეშინოდეს ჩემი, მარინა, მე ცუდად არ მოგექცევი, — უთხრა რენომ და მის თავს ალერსით ხელი დაადო.

— ოო, მე ვიცი ეს და მე გენდობი შენ ყოველთვის და ყველგან.

— ჩემი ძვირფასი მეგობარი, — ჩაილაპარაკა რენომ გრძნობით და ქალის მთრთოლვარე სხეულს მთლიანად მოეხვია, მაგრამ ჩქარა ისევ დაუშვა მკლავები, ფანჯარასთან მივიდა და ზურგშექცევით დადგა.

მარინამ იგრძნო, რომ ახლა თვით რენოს შეეშინდა და სავარძელში მოწყვეტით ჩაეშვა.

— შენ მართალი ხარ, მარინა, მე მამაკაცი ვარ და შესაძლოა, გრძნობა მომერიოს. ნახვამდის, ჩემო კარგო, მე დავუცდი იმ დღეს, როდესაც შენ ისევ დაბრუნდები სოფლიდან. ნუ დაიგვიანებ და გახსოვდეს, რომ აქ, თბილისში, ზის შენი რენო და ფიქრობს შენზე. — ამ სიტყვებით დაემშვიდობა მას და ოთახიდან გავიდა.

მარინა ისევ მარტოდ დარჩა.

გულგრილობა დასწამეს, ნამდვილად კი...

გაეღიმა.

უეცრად ფანჯარასთან მიირბინა, ქუჩაში მიმავალ რენოს ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა და შემდეგ თავის თავს ასე უთხრა:

— აბა, მოემზადე მარინა, ჩაალაგე ეს ნივთები და გაფრინდი სოფლად. გაახარე შენი მოხუცი მშობლები და შენი საყვარელი ძმა დათო, რომელსაც უკვე შეუსრულდა თექვსმეტი წელი, მაგრამ შენ მაინც პატარას ეძახი.

სოფლისაკენ... სოფლისაკენ...

მარინას დღიურები

15 სექტემბერი.

გურია.

დილაა, შევყურებ მთებს, ნისლის მსუბუქი მანდილი ზღვასავით შეტორტმანდა და მოეხვია ბახმაროს მწვერვალს.

უეცრად აღმოსავლეთის პარები გაიხსნა, ბრწყინვალე სამოსელში გახვეული მზე გამოიჭრა და მთებს, ნისლის გამჭვირვალე თავსაბურავი ჩამოახია.

ირგვლივ ყველაფერმა გაიცინა, ნაკადული სიმღერით დაეშვა ხევში. სადღაც ურემმა დაიჭრიალა, კოფოზე ჩამომჯდარ მეურმეს ურმული აღმოხდა, ურმული ახალ ყაიდაზე გამოჭრილი, ახალი სიტყვით შეფერადებული.

ურემს გოგონა მიუძღვის
უხდება ჭრელი კაბაო,
ტრაქტორი ჯიბრში ჩაგვიდგა
ჩემო ირმავ და ლაბაო.
პატარა გოგო იზრდება,
ლამაზი, შავთვალ-წარბაო,
დაგეჩაგრა რკინის ხარებმა
ჩემო ირმავ და ლაბაო.

მიჭრიალებს ურემი, მიდის მეურმე და მასთან ერთად მიდის ეს სიმღერა წინ, მინდვრებისაკენ. იქ, სადაც სიმინდის შეყვითლებული ფოთლები შრიალებს, იქ, სადაც ახალგაზრდა გოგო-ბიჭებთან ერთად ხანდაზმული გლეხებიც მუშაობენ, ისინი შრომის სადარაჯოზე გოლიათებივით ამართულან და კოლექტიურ მუშაობაში ჩაბმულან.

16 სექტემბერი.

მახლობელ სოფლიდან ეტლით მოვდივარ და მხვდება გზადაგზა,

ახალი ხიდი,

ახალი ჯებირი,

ახალი მაღაზია,

სასწავლებელი და სამკითხველო,

მოძრავი კინო და სახალხო თეატრი,

დავუახლოვდით ახალშენს.

აქ მხოლოდ და მხოლოდ ათიოდე მოსახლე ცხოვრობს და ამ სოფლის მარცხენა მხარე აყვავებულ მამულს უჭირავს მთლიანად. ჯაგნარი მოუცელავთ და მის ადგილას ჩაის ბუჩქები აქოჩრილან.

18 სექტემბერი.

დღეს ჩემი მეზობელი მოხუცი ბესო მესაუბრა.

— დიდი ხნის სიცოცხლე არ მინდა, მაგრამ იმას კი მინდა მოვესწრო, როცა ჩვენი ნამუშევარი ნაყოფს გამოიღებს, გახედეთ ამ მინდვრებს? 500 ჰექტარი მიწა ჩაის ბუჩქებით არის დაფარული. 400 მანდარინს უჭირავს და კიდევ 400 ახლა ივსება.

ამ მოხუცს ხუთი შვილი ჰყავს და ხუთივე კომუნისტია. მათი ოჯახი მუდამ ფარული კრებებისა და აკრძალული ბროშურების ბუდე იყო და ეს დათოვლილი, თეთრწვერა მოხუცი, ამ სოფლის გლეხი, ისე თამამად ლაპარაკობს მარქსსა და ენგელსზე, როგორც წინათ მისი ხნის ხალხი არსენას შაირებს ამბობდა. ისე კარგად ერკვევა პოლიტიკურ საკითხებში და ისე დიპლომატურად ხსნის მსოფლიო მოვლენებს, რომ ჩემ გაკვირვებას საზღვარი არა აქვს.

21 სექტემბერი.

საუცხოო დილაა. ამხანაგი ქალები საბანაოდ მიხმობენ, მეც სიამოვნებით ავედევნე მათ და ბახმაროს მთებიდან ანცი რხევით დაშვებულ ნაკადულებს პეშვი შევუშვირე. ლაღად დავარტყი მკლავები ტალღებს და ვიგრძენი ენით გამოუთქმელი სიამოვნება, ადამიანს რომ დაეუფლება ბუნების წიაღში.

შიშველი ფეხებით დავდივარ ამ აგორებულ პიტალო ქვებზე და ღიმილით ვუგდებ ყურს ჩემს დობილებს, სიცილ-ხარხარით რომ დარბიან, ერთმანეთს სახეს უსველებენ.

ასე მგონია, რომ მე ისეთივე გიჟმაჟი გოგონა ვარ. სრულიად მავიწყდება ის სქელტანიანი წიგნები, რომლებიც ელიან ჩემ დაბრუნებას.

აჰ, აქ მე არ მინდა ვიფიქრო მათზე, სხეული შავდება მზეზე; თვალები დარბიან ფერად ყვავილებში და ჯიუტობს თავი, როდესაც მინდა დავაძალო მას სერიოზული საქმეები, სერიოზულ მოსაზრებებთან დაკავშირებული.

22 სექტემბერი.

გამექცა თვალები და დამფრთხალ ჩიტივით მიაწყდა უსაზღვრო სივრცის შორეულ ნაპირებს.

მაბრუებს ბალახთა სურნელება და სასიამოვნო მუსიკად მესმის მწიფე ღომისა და სიმინდის შრიალი.

23 ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი.

ჩემი დობილები მეძახიან, ტყის ბილიკებს ავედევნე და ველური გვირილებისაგან ლამაზი თაიგულები შევკარი.

ძვირფასო ჩემო მეგობარო!!

როგორ მწყინს, რომ არ შემიძლია მოგიძღვნა ისინი.

როდესაც ბუნების თვალწარმტაც სურათს შევყურებ და მოჯადოებული გრძნობით ვდგევარ რომელიმე მთის ქიმზე — მომენატრება, მინდა იყო აქ, ჩემს ახლოს და ჩემთან ერთად გაიხარო ამ სანახაობით.

24 ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი.

გალაღდა გული ამ მსუყე შემოდგომით. ზარმაცობს სხეული უსაქმურობის რბილ სარეცელზე მოკალათებული.

25 ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი.

აღმოსავლეთის მიმართულებით მიჰქრის ნიავი, ნარცისების თეთრი ფურცლები ავუშვი ჰაერში და დავაბარე: გაფრინდით მასთან და მიუტანეთ მას ჩემი სალამი.

26 ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი.

ჩემმა ძველმა მეგობარმა, დიტო კეთილაძემ ცოლი შეირთო. ეს მოხდა ამ სამი წლის წინათ. იმ დროს, როდესაც ასე მიმწერე: „შესაფერი საცოლე მონახე და კერა გააჩაღე, მე უკან არ დავბრუნდები. მაპატიე ასეთი ღალატი“.

გუშინ ვიყავი გავლით მათ ოჯახში.

ორივეს ძალიან გაეხარდა. მშვენიერი სახის ახალგაზრდა ქალია და ეტყობა, ქმარს ძლიერ ანებივრებს.

ბაღში ორი წლის ხუჭუჭა გოგონა თამაშობს და დიტომაც ასე გამაცნო ის: „იცნობდე პატარა მარინას, ის მეტად გონიერი გოგოა.“

ბავშვმა ტიკინები დააგდო და შავი ჭკვიანი თვალებით დაბლიდან მაღლა ამომხედა. განუსაზღვრელი მადლობით შევხედე ცოლქმარს და ამ მშვენიერ ბავშვს რამდენჯერმე ვაკოცე ვარდისფერ ლოყებზე.

27 ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი.

დედაჩემი მეუბნება, რომ მე დარჩენილი ქალის ხვედრი არ ამცდება და ძალიან სწყინს, რომ გერგაძეს დავშორდი. რენოს შესა-

ხებ მასთან არაფერი მითქვამს, რატომღაც ამაზე ლაპარაკს ვერიდები.

28 სექტემბერი.

ჩემ დათოს ძლიერ უყვარს სპორტი. დღეს მთელი ეზო ამხანაგებით აივსო და მხიარული ფეხბურთი გააჩაღა.

გოგონებიც ისე მაგრად ურტყამენ ბურთს ფეხს, როგორც მათი ამხანაგი ვაჟები.

შეყურებ და გარჩევა გიჭირს.

შეკრეჭილი თმები,

გრძელი შარვლები,

გარუჯული სახე და მაგარი კუნთები,

მაგონდება ძველი სასწავლებელი და ჩვენი უფერული სახეები, სასწავლებლის მკაცრი დისციპლინით გამოლენჩებული.

კოჭამდე დაშვებული კაბა,

ყურამდე მაღალი საყელო,

გაწურული წელი და შეკრული მკერდი,

ცოცხალი მანეკენებივით დავდიოდით ქუჩებში და საათობით ვიდექით რომელიმე ტაძარში წირვის მოსასმენად.

დავყურებ ჩემ მკლავებს, არც ერთი კუნთი არა ჩანს მასზე და მებრალება ჩემი სხეული, ასეთი აღზრდით განაზებული.

29 სექტემბერი.

— არ დაიღალე, გიჟო?! — ვეუბნები დათოს და სიამაყით ვათვალიერებ ქანდაკებასავით ჩამოსხმულ მის ელასტიურ სხეულს.

მაღალი, სრული ბიჭია, კეთილშობილი სახე აქვს და ღია ყავისფერი თვალები, რომელშიაც ახალგაზრდობის გიჟური ცეცხლი უელვარებს.

— არა, მარინა, დაღამებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, რა დამღლის?! აბა, შემომხედე!! — ამ სიტყვებით ისე დაჭიმა მკლავები, რომ მასზე ბურთებივით დაჯდა კუნთები.

— შენ ახალი ადამიანი ხარ, დათო, ახალი ქვეყნის შვილი, შენ უსათუოდ გაიმარჯვებ, — ვეუბნები მას და აწეწილ თმებს ვუსწორებ. უეცრად ყელზე მომეხვია ისე, როგორც პატარაობისას იცოდა და ყურში შემდეგი სიტყვები ჩამჩურჩულა:

— მე შენ ხომ ძალიან გიყვარვარ, ჩემო ძვირფასო დაიკო, მარინა?!..

— ძალიან, ჩემო საყვარელო ძამიკო დათო.

— აბა, ერთი თხოვნა უნდა შემისრულო.

— მითხარი რა გინდა?

— ერთი კვირა კიდევ დარჩი ჩვენთან, მე ვერ გაგიშვებ ასე მალე.

— აჰ, რა პატარა საქმე ყოფილა, მე კი დიდი რაღაც მეგონა.

— ეს ჩემთვის პატარა არ არის. ხომ იცი, რომ მე შენ უსაზღვროდ მიყვარხარ, — წარმოთქვა მან ბავშვური გატაცებით, ერთხელ კიდევ მხურვალედ მომეხვია და ისევ თავის მეგობრებს დაუბრუნდა.

30 ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი.

დღეს წერილი მივიღე. რენოს ხელი ვიცანი და უეცარმა სიხარულმა ამიღო. საჩქაროდ დაწერილს გავს და ეტყობა რაღაც აწუხებს:

„დაუყოვნებლივ დაბრუნდი თბილისში, ერთი რომ საქმეები დაგროვდა, და მეორე კიდევ, შენი აქ ყოფნა პირადად ჩემთვის არის საჭირო.

იფიქრე ჩემზე.

მორწმუნე რომ ვიყო ვიტყოდი: „ილოცე ჩემთვის“.

ბედნიერი იყო მამაჩემი, მას სწამდა რომ მისგან ანთებულ ორკაპიკიან სანთელს ხედავდა ღმერთი.

იჩქარე... იჩქარე... რენო“.

ამ სტრიქონებმა წინათ განცდილი სიხარული გაანიავა და წინათგრძნობამ იშვის გესლით აავსო გული;

1 ო ქ ტ ო მ ბ ე რ ი.

დღეს უკანასკნელად მოვინახულე ჩემი სოფლის ულამაზესი ადგილები. განსაკუთრებით დიდხანს ვიხეტიალე ტყეში ამ ასწლოვან ჩრდილქვეშ, ვის არ გაუვლია, რამდენ თაობას, აქ ისტორიული ადგილია. წინათ აქ გურიელებს სასახლე ჰქონია და აქა-იქ ჩამონგრეული კედლები, სიძველის ხავსით არის დაფარული. ჭა ფოთლებით ამოვსებულა და ერთადერთ უზარმაზარ ნაძვის ხეს, სურო და ფოთოლი მოსდებია. სამხრეთის მხრით ამ ტყეს უზარმაზარი ღრმა თხრილი უვლის.

ამბობენ, რომ წინათ გურიელები მტრის თავდასხმას აქ იგერიებდენ და მთელი სასახლე სანგრებით ჰქონდათ შემოფარგლულიო.

დაბლა თვალუწვდენელი იალაღი იშლება, რომელსაც ჭრის მდინარე სუფსა — სუფსის სანაპირო, რომელიც საუკეთესო საყანე ადგილი იყო და გურიელების უფლებებში იმყოფებოდა.

დღეს კი აქ კოლექტიური მუშაობაა გაჩაღებული.

ნახვამდის ჩემო გურიავ!

ჩემო ყვავილოვანო და ლამაზო ქვეყანავ.

მე ისევ დაგიბრუნდები შენ.

* * *

სოფელში აღძრული წინათგრძნობა თბილისში უფრო გაიზარდა და, როდესაც რენოს სახლს დაუახლოვდა, გულმა უჩვეულო სევდით ჩამოჰკრა.

— პროფესორი ჩქარა დაბრუნდება, გთხოვთ, დაუცადოთ, — უთხრა მას რენოს დამ და მარინაც შევიდა მისაღებ ოთახში, მაგრამ ჩქარა პერის ტირილი შემოესმა და ბავშვის ოთახის კარები შეაღო. ის ხშირად ხვდებოდა ბავშვს და ბავშვიც დიდი ნდობითა და სიყვარულით უყურებდა მას.

— რად სტირი პერი? არ გრცხვენია? შენ ხომ უკვე დიდი ბიჭი ხარ!! — უთხრა მარინამ და აჭირვეულებულ ბავშვს მოფერება დაუწყო.

— მე ჩემი დედა მინდა, გესმის მარინა? ჩემ დედასთან მინდა მე.

— რას ამბობ პერი, შვილო, როგორ შეგიძლია წახვიდე მასთან, ის ხომ შორს არის შენგან?!

— არა, არა, ის აქ არის, დაბრუნდა ჩემთან და მე არ მაძლევენ იმის ნებას, რომ საღამოობით მაინც მივიდე მასთან.

შეხედე, მარინა, ხომ ლამაზია ჩემი დედა?!

ამ სიტყვებით მარინას სურათი გადასცა და ცრემლები ღვარად დაუგორდა პატარა სახეზე.

მარინა გაშრა, ერთი რომ გული დასწვა ბავშვის მწუხარებამ და მეორე, ამ მოულოდნელმა ამბავმა შეაკრთო.

— კარგი პერი, დაჩუმდი, პირობას გაძლევ, რომ ხვალ შენ დედას მოგიყვან და ახლა კი მომისმინე ახალი ზღაპარი. გინდა?

— მართლა მომიყვან დედას, მარინა? — შეეკითხა ბავშვი იჭვით და ცრემლიანი თვალებით შეხედა მას.

— მართლა. ხომ იცი, რომ მე მუდამ სიმართლეს ვამბობ.

— ოო, მარინა, დედიკოს შემდეგ შენ ყველა ქალზე კარგი ხარ. და შენც ისეთი რბილი და პატარა ხელები გაქვს, როგორც ჩემ დედას, — წარმოთქვა იმედმოცემულმა პერიმ და მორჩილებით იქვე ჩამოჯდა. ბავშვის ქათინაურზე მარინამ ოდნავ გაიღიმა და სახელდახელოდ შეთხზა ზღაპარი, მაგრამ ბავშვს მალე ჩაეძინა და ისიც ფეხაკრეფით გავიდა მეორე ოთახში. იქ რენოს და დაუხვდა.

— ვხედავდი როგორ ამშვიდებდი პერის და ხელი აღარ შეგიშალეთ. მეტისმეტად ჭირვეულობს მას შემდეგ, რაც დედა ნახა,— უთხრა მარინას და თავაზიანად სკამი მიაწოდა.

— თქვენ ღვიძლი და ხართ რენოსი, არც მე ვარ მისთვის უცხო და საჭიროა ვიცოდე სიმართლე, ვინ არის ამ ორ ადამიანში დამნაშავე?! მიუდგომლად მიპასუხეთ. ძალიან გთხოვთ. — ქალმა ჯერ მიკიბ-მოკიბა, არ უნდოდა ძმა დამნაშავედ ეცნოთ, მაგრამ ბოლოს სიტყვა მაინც ასე დაამთავრა:

— მერი ჩვენი დედის შორეული ნათესავი ქალია. ჩვენთან ხშირად მოდიოდა და რენოც ყოველთვის დიდი სიხარულით ხვდებოდა მას. როდესაც ის ცხრამეტი წლის შეიქნა, ჩემმა ძმამაც უეცრად გამოამჟღავნა, რომ უყვარს ის და მასზე დაჩქარებით ჯვარიც დაიწერა. იმ ხანებში ის ერთ-ერთ თავის მეცნიერულ წიგნზე მუშაობდა და ისე გაივლიდა მთელი დღე, რომ ერთხელაც ვერ დაელაპარაკებოდა ახალგაზრდა ცოლს. მერიმ ეს სხვაგვარად გაიგო, მუშაობით გატაცებულ ქმარს გულგრილობა შესწამა და ამ გაუგებრობის ნიადაგზე ერთმანეთს დაშორდნენ. — ამ სიტყვებით ის წამოდგა, ბოდიში მოიხადა რომ მარტოდ სტოვებდა სტუმარს და საჩქაროდ ოთახიდან გავიდა.

მარინას ყურადღება იქვე, მაგიდაზე დაგდებულმა წერილმა მიიპყრო. აიღო, გადააბრუნა და როდესაც „მერი“-ს ხელმოწერა დაინახა, უყოყმანოდ ჩაიკითხა ის.

„რენო! მე დავაშავე, შენც დააშავე, ჩვენ ორივემ დავაშავეთ, მაგრამ ამ შეცდომის სიმძიმე მარტო მე დამაწვა მხრებზე. უცხოეთი სამარედ მომეჩვენა და იმ კაცს, რომელიც მეგონა მიყვარდა, დაეკარგა ჩემ თვალში ყოველგვარი მიმზიდველობა. მე მოვთხოვე მას საქართველოში დაბრუნება, მან ეს არ ისურვა და მე მოვედი მარტოდ. მე აღარ შემეძლო არ მენახა ჩემი ქვეყანა და ჩემი პერი. ჩემი ძვირფასი ბიჭი, რომლის თვალებს უცხოეთში ამაოდ დავეძებდი. ერთხელ, ხუთი წლის ქერა ბავშვი შემომხვდა, რომელიც

პერის ცოტათი ჩამოგავდა. გადავეხვიე მას და ქუჩაში ისტერიულად ავქვითინდი.

რენო! მე ისევ მოვედი და მე ისევ შენი ვარ. გაძლევ სიტყვას და ვფიცავ ჩემი პერის სიცოცხლეს, რომ კვლავ ისეთი რამ არ განმეორდეს. სამი წლის განმავლობაში მე ვნახე მრავალი ქალაქი და მრავალი გასართობი ადგილი. მე ჩავიხედე ღრმად იმ ცხოვრებაში, რამაც მე არაფერი მომცა ისეთი, რომ ამომეგდო გულიდან ჩემი შვილი და ჩემი მშვიდი, კეთილშობილი რენო. ნუ გამაგდებ ჩემი ქვეყნიდან ძვირფასო ჩემო და ნუ მაიძულებ, რომ ისევ დავბრუნდე უცხოეთში. მე იქ ვეღარ ვიცოცხლებ. მერი".

წერილი ისევ თავის ადგილზე დასდო, ფანჯარასთან მივიდა და ნაღვლიანი თვალებით ქუჩას გახედა.

სექტემბრის უკანასკნელი რიცხვები იყო და ბაღში ყვითელი ფოთლები ცვიოდა. ზეცა დაღვრემილი დაჰყურებდა გარემოს და ღრუბლები ძაძებივით ეხვია გოლიათ მთებს.

უეცრად წვიმა წამოვიდა და ქუჩის ფილაქანი დაასველა. მარინამ მხიარულ წყვილს თვალი გააყოლა, მის სულში კი საშემოდგომო სევდა ჩამოწვა.

ილუზიები დაიშალა. მოვიდა ქალი, რომელსაც მეტი უფლება ჰქონდა იმ კაცზე, ვისაც დღეს მარინამ ცოლ-ქმრობაზე თანხმობა მოუტანა.

მან ისევ უკან უნდა წაიღოს ეს თანხმობა.

მწარედ გაეცინა.

— როგორც იქნება მე მოვერევი ამ სევდას, მაგრამ საინტერესოა, რას ფიქრობს თვითონ პროფესორი?

როიალს მიუახლოვდა და მასზე დადგმული მერის სურათი ხელში აიღო.

ოცდაშვიდი, ოცდარვა წლის შავგვრემანი ქალია და შავი თმები შუაზე აქვს გაყოფილი, წარბების სასტიკი მოხაზულობა დისონანსივით სჭრის მის სახეს და მისი დახვეწილი, ქართული პროფილი, პირქუში განწყობილების ნისლით დაბურულა. მთელ მის გარეგნობას ვაჟური ნებისყოფის ბეჭედი აზის და ეს ბეჭედი ოდნავ ანიავებს მის ქალურ სინაზეს.

მოსაღამურდა. სიჩუმე გაიზარდა და მარინამ თავისა და შუბლის არეში შემაწუხებელი ტკივილი იგრძნო. ოთახში რენო შემოვიდა.

— მარინა, — წამოიძახა მან და მის სახეზე შეკრთომა უფრო მეტად გამოიხატა, ვიდრე სიხარული. მარინამ სურათი დასდო, მაგიდასთან მიკიდა და რაღაც წიგნი ხელში აიღო.

რენო სკამზე ჩამოჯდა და უსიტყვოდ შეხედა ჯერ კიდევ ფეხზე მდგომ ქალს. ისევ დაბლა დაიხედა და უეცრად თითქოს ჰაერი აღარ ეყო, ხალათის საყელო ჩამოიხსნა, ფეხზე წამოიჭრა და ოთახში ნერვიულად დაიწყო წინ და უკან სიარული.

მარინამ ალმაცერად შეავლო თვალი მის სახეს და ის, რაც წაიკითხა იქ, მის სულში ქვასავით დაეშვა.

გუმანით ჩასწვდა ამ ადამიანის არსების სიღრმეს და იგრძნო, რომ მისი არჩევანი მერისკენ იხრება, მაგრამ ეტყობა, რომ ჯერ კიდევ ყოყმანობს და რომ ჯერ კიდევ ირყევა. მან გადაწყვიტა დაეხმაროს საყვარელ ადამიანს და გაუადვილოს იმ ნაბიჯის გადადგმა, რომელიც მისთვის სავალდებულოდ მიაჩნია.

დიახ! დაეხმარება, თუგინდ ეს მას სიცოცხლის ფასად დაუჯდეს და თუგინდ ამით დაეწუროს საკუთარი გული სისხლის წვეთებად.

უეცრად რენო შედგა და სახის გულწრფელი გამომეტყველებით, მარინას ორივე ხელი გაუწოდა.

არჩევანი დამთავრდა, მისი გული ისევ მარინას დაუბრუნდა, მაგრამ ქალმა უკან დაიხია და მის ხელს ხელი არ მიაგება.

— მარინა, როგორ უნდა გავიგო ეს?!

— დღეს ამაზე ლაპარაკი არ შეიძლება, ვილაპარაკოთ პირადად თქვენზე.

— ჩემზე?! არ მესმის...

— პერი ტიროდა თავისი დედის სურათზე; — წარმოთქვა მარინამ, წიგნი ისევ მაგიდაზე მიაგდო და სერიოზული მზერით პროფესორს თვალებში ჩახედა.

რენო გაფითრდა.

— თქვენი ცოლი დაბრუნდა, დაბრუნდა სინანულით და თქვენ არ გინდათ მიიღოთ ის, საგანი თქვენი ხანგრძლივი სიყვარულისა და დედა თქვენი საყვარელი ბავშვისა.

მე არ ვიცოდი, თუ თქვენ ასეთი სასტიკი იყავით.

რენომ თავი დახარა და რაღაც უსიცოცხლოდ წარმოთქვა:

— არც მე ვიცოდი მარინა, თუ თქვენ მაინც ამას მეტყოდით.

— ეს რომ არა ვთქვა, უპატიოსნო ადამიანი ვიქნები.

— ეს ქალი გაიქცა ჩემგან, გესმით?! გაიქცა და საზოგადოების თვალში...

— საზოგადოება ამ ქალს უჭერს მხარს, ამბობენ, რომ თქვენ არ გინდოდათ დრო გეშოვათ მისთვის, რომ თქვენ მიატოვეთ თავის ანაბარად ახალგაზრდა ქალი და სხვა...

— მაშ, რა უნდა მექნა? დამეტოვებინა მუშაობა, ჩემი სტუდენტები და დავმჯდარიყავი მერის ფეხებთან?!

— არა, ამას ალბათ არც მერი მოგთხოვდათ, მაგრამ თქვენ ვერ გამოგიჩენიათ ამ შემთხვევაში საჭირო ზომიერება. თქვენ დააშავეთ, თქვენვე უნდა გამოასწოროთ ეს დანაშაული. ამას გარდა არ შეიძლება, რომ ეს ქალი თქვენ გძულდეთ.

— არა, მე ის არა მძულს, მე ის მებრალება. ის თითქმის ჩვენს ოჯახში აღიზარდა და ბავშვობიდანვე მიყვარდა, მაგრამ შემდეგ...

— მოხდა გაუგებრობა და თქვენც უნდა დაივიწყოთ ეს.

— სხვა დროს მე ამაზე არ ვიფიქრებდი, მაგრამ დღეს, მე ისე შეგეჩვეიეთ თქვენ, მარინა, თქვენთან მუშაობა ჩემთვის დასვენებაა და თქვენთან უბრალო საუბარიც კი ჩემთვის უდიდეს სიამოვნებას წარმოადგენს. მე არ შემიძლია, არ შემიძლია დაგკარგოთ თქვენ და ამავე დროს...

მარინას გაეცინა.

— ძვირფასო რენო! საქართველოში ჯერ კიდევ არ შემოუღიათ ორცოლიანობის კანონი და მგონია, რომ ასეთ პირობებში ვერც თქვენ იგრძნობდით თავს კარგად.

— ნუ დამცინით, მარინა, თქვენ არც კი გრძნობთ თუ როგორ ვიტანჯები.

— რაც შეეხება ჩემთან თქვენს შეჩვევას (აქ ხმას ოდნავ დაუწია და მის სიტყვებში ირონია მოისმა), მე ისევ თქვენს ასისტენტად ვრჩები და კიდევ დიდხანს ვიმუშავებთ ერთად. აქ არ შეიძლება ფიქრი არჩევანზე, ეს ქალი იღუპება, თუ თქვენთან არ დაბრუნდა, მე კი ვეცდები... არ დავიღუპო.

რენო ხანგრძლივად დაფიქრდა... მახლობელ ოთახში მეზობელმა ქალმა პიანინოზე დაუკრა და ვერდის აკორდები დარბაზში რბილი აბრეშუმივით გაიშალა. მარინა გაირინდა, ამომშრალი თვალებით ჩახედა თავის გულს და იქ დაგრეგვილ ცრემლის ტბას კიდევ რამდენიმე წვეთი მიუმატა.

— მერის საყვარელი მუსიკა და თითქოს... განზრახ, — დაილაპარაკა რენომ და სევდიანი თვალებით მარინას შეხედა.

— ნახვამდის ძვირფასო პროფესორო, ხვალ ისევ შემოვალ თქვენთან და გავიცნობ თქვენს ცოლს. მე თქვენ არ დაგივიწყებთ.

— კარგი, ჩვენ შევრიგდებით, მაგრამ თქვენ უგულითადესი მეგობარი უნდა დარჩეთ ჩემი და ზოგიერთ შემთხვევაში მეგობარი უფრო ძვირფასია, ვიდრე ცოლი. თქვენ არ უნდა შემიძულოთ მე, მარინა. — ამ სიტყვებით ორივე მისი ხელი ხელში აიღო და ისეთი ვნებით და ისეთი გრძნობით შეეხო ამ ხელებს, რომ მარინა შეკრთა და ხელები საჩქაროდ გაინთავისუფლა.

— ამიერიდან ჩვენ შორის მხოლოდ და მხოლოდ წმინდა მეგობრობაა შესაძლებელი და ასეთ დროს სრულიად უადგილოა ასეთი მოფერება. მე განვიცადე ერთხელ თქვენი ტუჩების ამბორი, ეს მეორეა და გთხოვთ, რომ ეს უკანასკნელიც იყოს. მე შემიძლია ყველაფერი გადავიტანო, ყველაფერს შევურიგდე, მაგრამ იმის ნებას კი არავის მივცემ, რომ ჩემს გრძნობებს ეთამაშონ. მე ბავშვი არა ვარ.

რენო ერთბაშად ჩაქრა და იატაკს დახედა. მოისმა ხანგრძლივი ზარის რეკვა და ქალის ხმამ რენო იკითხა.

მარინა საჩქაროდ მოერია თავის გულსა და თავის აღშფოთებას, რამდენიმე ნაბიჯი წარსდგა მისკენ და მტკიცედ წარმოთქვა:

— იფიქრეთ პერის ცრემლებზე და დაუბრუნეთ ბავშვს დედა.

როდესაც დერეფანში გავიდა, წინ აქეთ მომავალი ქალი შეხვდა და მან მასში მერი იცნო.

კიბის საფეხურები სწრაფად ჩაირბინა და ისეთი სიჩქარით გასწია წინ, როგორი სიჩქარითაც გარბის ადამიანი, როდესაც მას რაიმე ხიფათი ფეხდაფეხ მისდევს.

* * *

ყველაფერი გათავდა.

ამიერიდან აღარ უნდა იფიქროს იმ კაცზე, რომელსაც ასე გაუხსნა გული და რომელსაც ისეთი თავდავიწყებით შეეჩვია. როდესაც მასთან იდგა, მან მოუხმო მთელ თავის სულიერ ძალებს, რათა გმირულად ჩაეტარებინა ეს სცენა, მაგრამ ახლა, როდესაც გარეშე თვალი ჩამოშორდა მის სახეს, ნიღაბი დაუვარდა, ბოღმა ყელში მოაწვა და თვალებშიაც სინესტე იგრძნო.

უსათუოდ კარგად მოიქცა მარინა, ისე გულწრფელად რომ გამოესარჩლა მისთვის სრულიად უცნობ ქალს, ის ვალდებული იყო ასე მოქცეულიყო, მაგრამ ვინ იცის, რას იტყოდა მარინა, რენო რომ მაგრად დამდგარიყო და მამაკაცური სიმტკიცით ეთქვა:

„ამაზე ლაპარაკი არ იყოს, მე მინდა შენთან და მე დღეს შენ მიყვარხარ“.

მან ეს ვერ თქვა, ის დადგა ორ ქალს შორის და დაიწყო ყოყმანი.

„საით წავიდე, აქეთ თუ იქით?!

ხან იქით მიდგა, ხან აქეთ, ხან მერი არჩია, ხან მარინა და ასე სულ. რად უნდა მარინას ისეთი მეგობარი, რომელიც სულ მუდამ ირყევა და რომელიც სულ მუდამ ქანაობს... ქარის წისქვილივით...

სჩანს, რომ მარინა საჭირო ყოფილა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მერი არ იქნებოდა მის გვერდით. მოვიდა ის და მეგობრის გული დაიკარგა მისთვის. მომავალი, რომელზედაც ამდენ იმედებს ამყარებდა, წყვდიადმა შთანთქა და შრომისა და სიცოცხლის სურვილი ერთბაშად განიავდა.

ახ, როგორ ძალიან უნდა მარინას დახუჭოს თვალები და აღარასოდეს გააღოს ის.

დააწვეს მიწას მკერდით, გაარღვიოს ეს მიწა და საკუთარი ხელებით დაიყაროს თავზე ღორღი და ქვიშა.

ახალგაზრდობა, სახელი, მომავალი.

სიამოვნებით აჩუქებდა ყველაფერ ამას რომელიმე მათხოვარს, ქუჩებში რომ დახეტიალობს გაწვდილი ხელებით და ჭუჭყიანი ფარატინებით იფარავს ჭუჭყიან სხეულს.

რად უნდა მას ამქვეყნიური დიდება, თუ მარტოობა აუცილებელი ხვედრია მისი?!

თუ მეგობარი არასოდეს არ ეღირსება მას და თუ ვერასოდეს ვერ იგრძნობს საკუთარი ბავშვის ტუჩების სურნელებას. ეძებდა მამაკაცს — ადამიანს, იპოვნა ასეთი ადამიანი და ისევ ყველაფერი გაჰქრა.

ვინ არის აქ დამნაშავე?!

ბედი, შემთხვევა, თუ...

რენო?!

არა, ის უსათუოდ აგრე უნდა მოქცეულიყო. მარინა ვერასოდეს ვერ გაუწევდა მის შვილს დედობას, როგორ ძლიერადაც არ უნდა ჰყვარებოდა ის და იმ აზრსაც ვერ აიტანდა, რომ მისი მიზე-

ზით დაღუპულიყო ადამიანი, რომელსაც მისთვის არაფერი დაუშავებია.

ვის შეუძლია უთხრას სასიკვდილოდ დაჭრილ ადამიანს: რად კვნესი?!

კვნესის იმიტომ, რომ სტკივა იარები. მარინაც ეხება დღეს თავისი გულის ყველა იარას და უნებლიეთ ეძახის სიკვდილს. ის დაიღალა და მას აღარ უნდა, რომ ისევ ადგეს ხვალ დილით, აღარ უნდა, რომ ისევ დარჩეს საჭირო ჩაცვას, სჭამოს, სვას, ილაპარაკოს კეთილშობილ გრძნობებზე, შეხვდეს ადამიანებს, გაიზიაროს რენოსა და მერის სიხარული. მოუთხროს ზღაპრები პერის და ასე ამგვარად იცხოვროს, ითაღლითოს, იცბიეროს და ატყუოს როგორც საკუთარი თავი ისე ის ადამიანები, რომლებიც გარშემო ახვევია და მერე რა?

ადვილია ყველაფერი ეს?!

აიღე ხელი, გამოაღე უჯრა და...

მშვიდობით.

ხელები სახეზე აიფარა, რათა არსაიდან არ შეჭრილიყო მასში სინათლე და გრძნობა ტკივილებისა, ყინულივით რომ დაიმსხვრა მისი სხეულის ყოველ უჯრედში.

თავი აიღო და მის ხელში პატარა სადაფისტარიანი რევოლვერი აელვარდა. იამანის თვალივით უფრთხილდება ამ ნივთს მარინა, ეს აჩუქა მას ოდესღაც ომში მიმავალმა ძმამ, ის დაიღუპა ბრძოლის ველზე და ეს ნივთი სახსოვრად დაუტოვა.

ჩახმახი ჩამოსწია.

ცარიელია, მაგრამ აი, აქ, პატარა უჯრაში აწყვია ტყვიები, წუთიც და...

ყველაფერი შეწყდება.

ხვალ, ალბათ, რომელიმე ქრონიკაში გულგრილად აღნიშნავს გაზეთი:

— „ამა და ამ ქალმა, რევოლვერით თავი მოიკლა“!

დაფიქრდა...

ირონიული ღიმილი ტუჩებზე ამოძრავდა.

თვითმკვლელობა და ისიც რომანტიკულ ნიადაგზე?!

არასოდეს...

სამარეშიც კი შერცხვება, ასეთი სამარცხვინო საქმე რომ ჩაიდინოს.

იარაღი ისევ უჯრაში შეინახა, ადგა და მაგიდასთან მივიდა. გრძნობს რომ ავად არის და ცდილობს მოუნახოს წამალი ამ ავადმყოფობას. თავი უხურს, საფეთქლებზე თითქოს ჩაქუჩს უბრახუნებენ.

საჭიროა დამშვიდდეს.

საჭიროა, მაგრამ,

რით, როგორ?!

შუშა აიღო და მთელი ბოთლი ოდეკოლონი თავზე და სახეზე გადაისხა, შხეფი თვალებში მოხვდა და ტკივილების გრძნობამ შეაწუხა.

უეცრად თითქოს აიწყვიტა და ოთახის ერთი კუთხიდან მეორე კუთხეს მიაწყდა, მეორედან მესამეს, მესამედან მეოთხეს. აქა-იქ დალაგებულ საყვარელ ნივთებს ხელი შეახო, მაგრამ მაინც ყველაფერი ეუცხოვა და საკუთარ სახლში თავისი თავი უცნობ და შორეულ ადამიანად მოეჩვენა.

უნებურად ერთ-ერთ მაგიდასთან შედგა და სურათების ჩარჩოებიდან ნაცნობმა სახეებმა შემოსცინეს. აქ არის ყველა, ვინც უყვარს და ვისაც აფასებს, ნათესავები, მეგობრები, მოხუცი დედამამა და საყვარელი ძმა დათო. ამ უკანასკნელმა მისი თვალები მთლიანად დაიპყრო და ისიც თავისი ნორჩი სხეულით, ქართველური იერით და ბავშვური ღიმილით ისე მოეფერა მის სახეს, რომ მარინამ წამწამებზე ცრემლები იგრძნო. „ხომ იცი, რომ მე შენ უსაზღვროდ მიყვარხარ, დაიკო მარინა“. — მოაგონდა უეცრად მისი სიტყვები.

— ჰო, მე ვიცი ეს, მჯერა ეს და ეს რწმენა სიცოცხლეს შემაძლებინებს.

მე მოვესწრები შენს დავაჟკაცებას და მე ვიმუშავებ იმისათვის, რომ მომავალი შენი იყოს ნათელი თვალსაჩინო და რომ სახე შენი არ დაიკარგოს მრავალთაშორის. — რამდენადმე დაწყნარდა და დამშვიდებული თვალებით გახედა ოცნების წალკოტებს, იავარქმნილსა და განიავებულს.

ნებისყოფას, ჩიტივით რომ კინაღამ გაუფრინდა, ისევ მოუხმო, საკუთარი ხელით ჩამოხსნა ის შავბნელი ფარდები, რამდენიმე წუთის წინათ რომ დაეფარა მის სულს და თავის თავს ასე უსაყვედურა:

რად მიეცა იმგვარად გრძნობას, რომ აღიძრა მასში სურვილი თვითგანადგურებისა.

მოაგონდა თავისი სოფელი.

თავისი საყვარელი ადგილები, მშობლები, დათო, დობილების მთელი ლაშქარი, ერიამულით რომ მოაცილეს სადგურამდე და თაიგულების ფერადი კონებით აუვსეს ვაგონი.

აღშფოთებული გრძნობა სასოწარკვეთილებისა, ქარივით ჩადგა, აფორიაქებული ფიქრები დალაგდნენ, აივანზე გავიდა და ბუნებას გადახედა.

მთვარეს ყვითელი ფარჩეული მოეხვია და მოვარაყებულ ღრუბლებში დაცურავდა, მთაწმინდას ვერცხლისფერი სხივები ესროლა და მგოსანთა სავანე შარავანდედით შემოსა.

— მარინა, მარინა, უსათუოდ კეთილშობილი ქალი ხარ შენ და შეგიძლია პატივისცემით უცქირო შენ თავს, ის ვინც სხვის ბედნიერებას სჭედავს, თითონაც ბედნიერებას იპოვის, შეხედე ქვეყანას, ის დღესაც ისეთივე ლამაზია, როგორიც იყო გუშინ, გუშინწინ და ყოველთვის.

ასე უთხრა მან თავის თავს და სააბაზანოში გაიქცა, ონკანი მოუშვა და სიცოცხლე იგრძნო, როცა ცივი წყლის წვეთები მის ტიტველ მხრებზე დაგორდა.

სულიერი სიმშვიდე ისევ დაიბრუნა, მაგრამ... დიდი ხნით?!

* * *

მეორე დღეს დილაადრიან წამოდგა და ვაკის შორეულ მიდამოებში გაიჭრა სასეირნოდ.

ერთ-ერთ გორაკზე ავიდა და ქალაქს მაღლიდან დახედა. აღმოსავლეთის ალისფერ კარებს მზის წითელი ნაპერწკლები აყრია.

ყოველთვის, როდესაც მას ღალატობს ბედი, ადამიანები თუ მეგობარი, ის მიდის ბუნებასთან, როგორც ატირებული ბალღი საყვარელ დედასთან და ეუბნება მას ასე: „მიმიღე მე შენს წიაღში, რათა შენს ყვავილოვან კალთებზე დავადო თავი და დავივიწყო უსასტიკესი წუთები ჩემი მოუსვენარი ცხოვრებისა“, — ასეთი სიტყვებით მიმართა მას დღესაც და დამშვიდებული გულით დაბლობში დაეშვა.

წყნეთიდან მომავალ ქალებს მეგობრულად გამოელაპარაკა,

სოფლის ამბები გამოჰკითხა და ერთ-ერთ დიდ, დაუმთავრებელ შენობის წინ შედგა.

თბილისი იზრდება.

თბილისის საზღვრები ფართოვდება.

აქ სტუდენტთა ქალაქია.

იქ მუშათა ახალი საცხოვრებელი ბინა და კიდევ იქით...

მაგრამ ვინ დათვლის რაც აშენდა და რაც კიდევ შენდება განახლებულ საქართველოს არემარეში.

მშრომელი ხალხი ფხიზლობს, მშრომელი ხალხი საქმიანობს და მისგან დარგული ნერგები ღრმად იჭრება ქართული მიწის წიაღში.

ახ, რა კარგი იქნება მივიდეს მარინა ამ მუშებთან, გაიზიაროს მათი საქმე, დაკარწახებული მკლავებით დააწყოს აგურს აგურები, რათა მიიღოს მონაწილეობა იმ დიად საკაცობრიო საქმეში, რომელსაც აღმშენებლობას ეძახიან. მას ეს არ შეუძლია, მაგრამ სამაგიეროდ შეუძლია ასწიოს მეორე აგური, აგური მეცნიერული მუშაობისა და ესეც ხომ... საკაცობრიო საქმეა?!

აგონდება გუშინდელი სასოწარკვეთილება და სირცხვილის გრძნობას ვერ აღწევს თავს.

რა მოხდა?!

შეხვდა ადამიანს, რომელიც მოეწონა და რომელიც სხვას ეკუთვნის.

მერე?!

ამისათვის ირტყას შუბლში ტყვია ან ჩაიცვას სამონაზნო ძაძა და დაანებოს თავი ცხოვრებას ამქვეყნიურს?!

რათა, რისთვის?!

ამას გარდა, ის ხომ მაინც ახლოა მასთან და ის ხომ მაინც მეგობარია მისი?!

სუფთა, უმწიკვლო მეგობრობა უფრო მეტ სიხარულს იძლევა. ვიდრე ვნებები, გაიცნობს მერის და ის უფრო კარგი მეგობარი გახდება მისი, ვიდრე რენოა.

სრულიად დამშვიდდა და საღამოს პროფესორთან წავიდა. მსახურმა უხმაუროდ გაუღო კარები და მარინაც მოულოდნელად თავს დაადგა ცოლ-ქმარს.

რენო სარკესთან იდგა და მერი პერანგზე აბრეშუმის საბლს უმარყუჟებდა.

მარინა რომ დაინახა, რენო ოდნავ წამოწითლდა და რამდენიმე ნაბიჯით მოშორდა ცოლს.

— აი, ეს არის მერი, მარინა, შენ უნდა შეიყვარო ის.

— რენო ამბობს, რომ თქვენ მისი საუკეთესო მეგობარი ხართ. ძალიან სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, — წარმოთქვა მან დინჯად და ქალს საკმაოდ ცივად ხელი გაუწოდა.

მარინამ იგრძნო მიზეზი ქალის ასეთი განწყობილებისა, გადაწყვიტა გაეფანტა მისი ეჭვი და დაეპყრო მისი გული და თანაგრძნობა.

— მე თქვენი მეგობარიც მინდა ვიყო, ხომ შესაძლებელია ეს... მერი?! — ეს სიტყვები ისეთი გრძნობით ითქვა და მისი თვალებიც ისეთი ნათელი და გულწრფელი გამომეტყველებით მიაჩერდენ მას, რომ მერი შეირხა და მისი სულიერი განწყობილება შეიცვალა.

ჩქარა ოთახში პერიც შემოიჭრა, მარინას ბავშვური სიხარულით მოეხვია და შემდეგ დედის მუხლებზე მოიკალათა. მთელი საათი მეგობრულად საუბრობდნენ, მაგრამ როდესაც რენომ ექსპედიციის მუშაობაზე ჩამოაგდო ლაპარაკი და მარინა ქებით მოიხსენია, მერი ისევ მოიღრუბლა და ნაძალადევი ღიმილით მოისმინა ქმრის მიერ წარმოთქმული ქათინაურები.

მარინა წამოდგა.

პერიმ რამდენჯერმე აკოცა მას და სთხოვა, რომ მეორე დღეს ისევ მოსულიყო მათთან და წინადღით შეწყვეტილი ზღაპარი დაემთავრებინა.

ცოლ-ქმარიც გულთბილად გამოეთხოვა ქალს, მაგრამ მარინამ მერის უკანასკნელ გამოხედვაში, მაინც სიცივე იგრძნო.

აქ მეგობრობაზე ლაპარაკი არ შეიძლება. გაიფიქრა მარინამ, როცა ქუჩაში გამოვიდა.

სადაც სიყვარულია, იქ ეჭვიანობაც არის.

ო-ო!! ეჭვი?!

ეჭვიანობის გრძნობაა ვნებას რომ ამძაფრებს და სიყვარულს აორკეცებს.

ამ მხრით, ალბათ, დიდი სამსახური გავუწიე ჩემს პროფესორს, — ირონიულად გაიფიქრა მარინამ და დამძიმებული თავით თავის ოთახს დაუბრუნდა.

* * *

— კიდევ რამდენიმე წელიწადი — და თქვენ დადგებით სამედიცინო კათედრაზე ისეთივე ღირსებით, როგორც დგას დღეს თქვენი მასწავლებელი. — ასე უთხრა ამას წინათ მარინას რენომ. წარბები შეიკრა. ამ კაცის მოგონება მის გულში უჩვეულო ტკივილებს იწვევს, ასე ჰგონია დარღვეული სახსრებით ეშვება პირღია უფსკრულში.

ვის ემდურის?!

ხომ თითონ გამოესარჩლა იმ ქალს და ხომ თვითონ შეარიგა დაშორებული ცოლ-ქმარი.

საკუთარი თავი დაივიწყა და ლმობიერება გამოიჩინა სხვისადმი. ეს იმას ჰგავს, საფრთხემ რომ ხახა დააღოს და სხვის მაგივრად შენ ჩაუვარდე პირში ამ საფრთხეს.

ვინ აფასებს დღეს ასეთ თავგანწირვას და არის კი საჭირო გრძნობა კაცთმოყვარეობისა?!

თუ თავი დახარე, თუ ცხოვრების გზაზე წაიბორძიკე, ის ბევრს არ იფიქრებს, დაუზოგავად გადაგალაჯებს და არხეინად განაგრძობს წინსვლას.

არა, არამც თუ თავდახრა, საჭიროა ოჩოფეხები ჩაიცვა, რათა გულქვა ადამიანებს თავს წამოადგე, რათა მათ გესლიან იარაღს საკუთარი იარაღი დაუპირდაპირო.

მარინა ასე არ მოიქცა.

თავისი სიყვარულის უსათუთესი ყვავილები მერის გადასცა, გადასცა ისე, რომ არც ერთი არ დაიტოვა თავისთვის და სამაგიეროდ, უბრალო მეგობრობაც ვერ მიიღო.

ამაზეც კი უარით უპასუხეს.

ამ სამი დღის წინათ რენომ დაურეკა, რომ სამუშაო მაქვს და თუ დრო გაქვთ დამეხმარეთო.

მარინა წავიდა.

როცა ორი საათის შემდეგ კაბინეტიდან მისაღებ ოთახში გავიდნენ, იქ მერი არ დახვდათ.

— მერის თავი ასტკენია და თავის ოთახში გასულა დასასვენებლად. — უთხრა მარინას მერის მოსანახავად გასულმა რენომ და მის სახეზე ერთგვარი დაბნეულობა, თუ ერთგვარი შეწუხება გამოიხატა.

— აქ სხვა ამბავია და არა თავის ტკივილი, მაგრამ რა ვუყო, მე

არ შემიძლია დავანებო თავი ჩემ პროფესორთან მუშაობას მხოლოდ იმისათვის, რომ პროფესორის მეუღლეს ეჭვიანობა დასჩემდა. ასეთ პირობებში ჩემი აქ მოსვლა უხერხულია და გთხოვთ, როცა საჭირო იყოს, საათები უნივერსიტეტში დამინიშნოთ.

ამ სიტყვებით ამაყად კარი გაიხურა, მაგრამ ქუჩაში ის დატოვა მისმა ჩვეულმა თუ ქებულმა სიდინჯემ და აღშფოთებული გრძნობით შემდეგი წარმოთქვა:

— ახია ჩემზე... მე ეს დავიმსახურე.

* * *

მეორე დღეს საბოდიშო ბარათი მიიღო მერისაგან, არწმუნებდა, რომ მას არ უფიქრია ეჭვიანობა და ეხვეწებოდა მისულიყო მათთან საღამოს ჩაიზე. მუდამ საპატიებლად განწყობილი მარინა ამ წერილმა დაამშვიდა და საღამოს 8 საათზე მათ სახლს მიუახლოვდა. ბინა დაბლა სართულში ჰქონდათ და გამჭვირვალე ფარდებიან ელექტროშუქზე ყველაფერი ნათლად ჩანდა.

მერი როიალთან იჯდა და გრიგის პრელუდიებს უკრავდა.

მუსიკის ხმა წკრიალით წყდებოდა კლავიშებს, თრთოდა, იფანტებოდა, იშლებოდა და ეს ტალღასავით შრიალა და საამური ხმები, აწვებოდა გარემოს, იშლებოდა და ყველაფერი ეს ძვირფას ფარჩეულივით იკეცებოდა ახალგაზრდა ქალის ფეხებთან.

რენო ფანჯარასთან იჯდა და პერი მუხლებზე ესვა.

ნახევრად მოხუჭული თვალებით, თითქმის მთვლემარე მდგომარეობაში მყოფი, ყურს უგდებდა ამ ხმებს, ეტყობოდა, რომ განუსაზღვრელ სიამოვნებას განიცდიდა და მისი სული ჰარმონიულად ეთანხმებოდა მუსიკის მელოდიურ ბგერებს.

უეცრად მუსიკა შეწყდა.

მერიმ მასთან მიირბინა და საკოცნელად შუბლი მიუშვირა. შემდეგ ორივემ დაძინებულ პერის დახედეს და მათ სახეზე განუსაზღვრელი სიმშვიდე აღიბეჭდა.

მარინა ფანჯარას მოშორდა. არ უნდოდა თავისი მისვლით დისონანსი შეეტანა მათ სულიერ განწყობილებაში და თავის თავს პირობა მისცა, რომ არც არასოდეს არ მისულიყო მათ ოჯახში.

ორივეს გამოეცვალა ხასიათი, რენო დიდი სიყვარულით ეკცევა დღეს ცოლს და მერიც ხშირად ღამის პირველ საათამდე ზის მის

კაბინეტში და ათეთრებს მის ხელნაწერებს. მე ისე მახარებს მათი სიხარული. — ასე უთხრა ერთ დღეს პროფესორის დამ მარინას. რენომ განიცადა სიმწვავე სულიერი და ფიზიკური მარტოობისა, მერიმ შეიგრძნო არარაობა მხიარული, ფუქსავატი ცხოვრებისა და დღეს ორივე აფასებს ბედისაგან ნაბოძებ წყალობას. უსათუოდ მართალია მერი რომ ეჭვიანობს და ჯინ იცის, იქნებ მარინაც ამგვარად მოქცეულიყო მერის ადგილას რომ ყოფილიყო.

ჰო, კარგია, ყველაფერი რომ ასე კარგად მოეწყო, მაგრამ ის ხომ მაინც მარტო დარჩა და მას მაინც ხომ არ ათბობს მათი ბედნიერება?!

„ცხოვრების მიზნად მამაკაცის სიყვარულს არა ვთვლი“ — მოაგონდა ოდესღაც მის მიერ წარმოთქმული სიტყვები.

ეს მართლაც რომ აგრეა, მაგრამ... რა უყოს ამ ენერგიას, ამგვარად რომ ამძიმებს და გამოსავალს თხოულობს. ამ ქალურ სინაზეს, ზღვასავით რომ ბობოქრობს მის სულში, მარტოობის შემაწუხებელ გრძნობას, არასოდეს რომ არ ტოვებს მას და თუგინდ... ამ ვნებებს, ცეცხლივით რომ დადის მის ძარღვებში და ამძაფრებს სურვილს ალერსისას?!

ჩანს, რომ არ სწყალობს ბედი და საჭიროა ყველაფერს ამას ზურგი აქციოს, რათა მომავალი არ გაუცუდდეს და თავისი ცხოვრების შუა გზაზე არ წაიქცეს ღონედალეული.

არიან ადამიანები, რომლებიც ლამობენ კედელი თავით გაიტანონ. თავი დაზიანდა და კედელი არ დაირღვა.

მარინა აგრე ვერ მოიქცევა.

მას ჯერ კიდევ ბევრი საქმე აქვს გასაკეთებელი და დაზიანებული თავით სერიოზულ საქმეებს ვერ მოერევა.

რომელიღაც ქუჩას აჰყვა და უნებურად ერთი ამბავი მოაგონდა, ამ რამდენიმე დღის წინათ რენომ შური გამოამჟღავნა იმის გამო, რომ მარინა მარტოკა არის და არავინ ხელს არ უშლის მეცადინეობაში.

ამაზე მარინამ ღიმილით უპასუხა:

— ეს იმას ჰგავს, კაცი რომ ჩრდილოვან ხეებთან იჯდეს და გახურებულ ქუჩაში მიმავალ ადამიანს ეუბნებოდეს: „შენ რა გიჭირს, მე უნდა ვიკითხო“. მშვენიერი ოჯახი, ცოლ-შვილის სიყვარული და მუსიკის სასიამოვნო ხმები, ეს ყველაფერი თქვენ ხელთ არის და

თქვენ... თქვენ კიდევ უნდა გშურდეთ ეს უფერული ცხოვრება მარტოობაში გადაჩეხილი ქალისა?!

* * *

მარინამ თავი დაანება პროფესორის ოჯახში სიარულს, მაგრამ მერი მაინც ვერ მოერია თავის გულს და როცა იშვიათად ქუჩაში ხვდება, იქაც კი მისი სახის გამომეტყველება უნებურად ამქლავნებს მის უკმაყოფილებას.

— რად აღარ დადიხარ ჩვენთან, მარინა?! — უსაყვედურა ერთ დღეს რენომ, როცა ოთახში მარტონი დარჩენ.

— არ მინდა ხასიათი წაგიხდინოთ, ან ხასიათი წავიხდინო, მე და მერი ერთმანეთს ვერ გავუგებთ. ჩვენი მეგობრობის ყლორტებს ეჭვიანობის მღილი ძირშივე ხრავს და ბოლოს და ბოლოს მაინც ცივი თვალებით შევხედავთ ერთმანეთს, უკეთესია შორიდან დაგიდგეთ და არავინ შევაწუხო ჩემი სიახლოვით.

— მე რომ მოწყენილი ვარ უთქვენოდ, მარინა?! — თქვა მან და ქალის ხელებმა ერთხელ კიდევ განიცადა მისი ტუჩების მხურვალე ამბორი.

— თქვენ რომ თქვენი ცოლი არ გიყვარდეთ, თავს ძალას არ დაატანდით და ვერც მე გეტყოდით: „გინდათ თუ არა, იცხოვრეთ ამ ქალთან“, თქვენ ის გიყვართ, მას თქვენ უყვარხართ და მე არ ვიცი რას მოითხოვთ კიდევ ამაზე მეტს.

— მე მინდა მეტი სიახლოვე თქვენთან, მეტი თანაგრძნობა და მეტი ყურადღება. თქვენ ისე მიცქერით დღეს, როგორც უცხოსა და შორეულს, მე არ შემიძლია არ მწყინდეს ეს.

— ნუთუ თქვენ გინდათ დააქუცმაცოთ თქვენი მამაკაცური გრძნობები და თქვენი სიყვარულის ყვავილები აბნიოთ აქეთ და იქით?! პირადად მე, მამაკაცს მთლიანად მოვითხოვ და ასეთი შეუფერებელი საჩუქრები ვერ დამაკმაყოფილებს. დღეს მე შემიძლია ისე მიყვარდეთ, როგორც უსათუოესს დას ეყვარება ძალიან საყვარელი ძმა. — რენო მოიღრუბლა და ეს „ძმა“ მის სმენას ნემსივით დაესო.

— მე არ ვიცოდი, — განაგრძო ისევ მარინამ, რომ თქვენც ასე შემხედავდით, როგორც ყოველი გამვლელი მამაკაცი, მდაბალი ვნებებით აღტყინებული.

— უცნაურია, თქვენს თავს ახალ ქალს ეძახით და ვნებებს „მდაბალის“ სახელწოდებით ნათლავთ.

— ის ვნება მდაბალია, რომელსაც არ შეუძლია გაუწითლებლად საამკარაოზე გამოვიდეს, ჭეშმარიტ სიყვარულს მზის სინათლისა არ ეშინია. ბნელი ღამე და ჩამქრალი სანთლები მხოლოდ და მხოლოდ ქურდებს და მრუში გულისთქმით შეპყრობილ ადამიანებს მოსწონთ. იქნება არც მაპატიოთ ასეთი გულახდილობა, მაგრამ მე მაინც არ შემიძლია შევჩერდე. მაგალითად გუშინ, მე თქვენ ინტიმურად გამომელაპარაკეთ და ამავე დროს გარშემო მიმოიხედეთ, რათა არავის მოესმინა ის, რაზედაც ლაპარაკობდით. დღეს ხელზე მაკოცეთ და თვალები კარებისკენ გაგექცათ, ეს რომ ვინმეს დაენახა, უსათუოდ იტყოდა: პროფესორი რენო თავის ასისტენტ ქალს, სამუშაო კაბინეტში ხელებს უკოცნიდაო. იქნებოდა ლამაზი ასეთი ამბავი? მაგრამ საინტერესოა, რისი ან ვისი გეშინიათ თქვენ, თუ ასეთი რამ სირცხვილი არ არის?! არა ვნებას მოვითხოვ მე თქვენგან დღეს, არამედ მეგობრობას, არა მამაკაცობას, არამედ ადამიანობას, ნუთუ აქამდე ვერ გაიგეთ ეს?!..

— თქვენი აზრით ადამიანს არა აქვს უფლება ილაპარაკოს თავის გრძნობებზე, თუ ამ გრძნობის დაკანონება არ ხერხდება.

— გააჩნია თუ ვისთან გაქვთ საქმე. არიან ქალები, რომლებსაც ოჯახი აშინებთ და რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ თავისუფალ სიყვარულს სცნობენ. მე კი დღეს ისევე ვვოცნებობ საკუთარ ბავშვზე, როგორც ოდესღაც ვვოცნებობდი უნივერსიტეტზე. ქმარზე უფრო შვილი მენატრება და მარტო სქესისათვის მამაკაცთან ცხოვრებას არ დავიწყებ. ვთქვათ, რომ მე ავყევი ჩემს გრძნობებს, გავქურდე მერი და შვილიც გავიჩინე თქვენგან, დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი ცხოვრება ბედნიერებას ვერ მომანიჭებს, უსიყვარულოდ და უკანონოდ გაჩენილი ბავშვი უბედურებაა. და მე ვერასოდეს ვერ ვიკისრებ უმამოდ ბავშვის გაჩენას. ჩემს უმაღლეს გრძნობებს არშიყობაზე ვერ გადავახურდავებ და შეუფერებელ პირობებში ვნებებზე ვნებებით ვერ გიპასუხებთ.

— ასე და ამგვარად თქვენ გინდათ დაუსვათ წერტილი ჩვენი მეგობრობის მოკლე ისტორიას?!

— მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ უვნებლად არ ძალგიძთ ქალს უმეგობროთ.

— ვნება მეგობრობას არ უშლის, პირიქით...

— აშკარაა რა გინდათ, ამხანაგო რენო. ოჯახში ცოლი, ოჯახს გარეთ მხევალი, მაგრამ რა ვქნა, როდესაც ასეთი როლი ჩემთვის შეუფერებლად მიმაჩნია. მამაკაცთა უმეტეს ნაწილს ახასიათებს პოლიგამიური მიდრეკილობანი, მაგრამ თვითეული ინდიკიდი ვალდებულია ებრძოლოს თავის ბუნების ისეთ ყალბ მხარეებს. პატიოსან ადამიანს, მხოლოდ ერთი გული აქვს, ამხანაგო რენო და როდესაც ამ ერთ გულს ერთ ადამიანს გადასცემს, მეორისათვის აღარაფერი რჩება. თქვენ უღალატეთ მარინას და არჩიეთ მერი, ახლა ღალატობთ მერის და მოდიხართ მარინასთან, ვთქვათ რომ თქვენ გიყვართ ორივე. იქ გიზიდავთ მხიარული მუსიკა და მხიარული მოძრავი ბუნება. აქ კიდევ სულის ისეთი თვისებები, რომელიც ახლოა თქვენ მოწოდებასთან, მაგრამ ნუთუ შეგიძლიათ თქვენ დაჯდეთ ორ ქალს შორის და ატყუოთ ერთიც და მეორეც. მე არ ვიცოდი, რომ ყოველი მამაკაცი ერთი საზომით უახლოვდება ქალს. დღეს ეს მე ვიცი. სამწუხაროა.

ამ საუბრის შემდეგ რენო საგრძნობლად შეიცვალა და „გულითადი მეგობრობის" რკალიც თანდათან დავიწროვდა. ისინი ხვდებიან ერთმანეთს მხოლოდ და მხოლოდ უნივერსიტეტში, საჯარო სხდომებზე, მეცადინეობის დროს. არის შემთხვევა, როდესაც მერიც თან ახლავს რენოს და ასეთ დროს ის არც კი მოხედავს მარინას, ისე ჩაუვლის, როგორც სრულიად უცნობ ადამიანს. ეტყობა აშინებს ცოლის ნერვები და აგრეთვე ცდილობს, რომ თავისი დინჯი, ოფიციალური დამოკიდებულებით გაჰფანტოს საზოგადოებაში ის მითქმა-მოთქმა, ამ უკანასკნელ თვეებში რომ შეიქმნა მათ გარშემო.

საუბრის დროსაც თავი უცხოდ უჭირავს და მის სიტყვებში ცივი ხმა მოისმის.

— ახალი მეცნიერები იზრდებიან და ისინი ალბათ უფრო კარგათ იტყვიან, ვიდრე ვამბობდით ჩვენ, — თქვა ერთხელ რენომ.

— თქვენ ჯერ კიდევ არა ხართ მოხუცი და ნუთუ თქვენი სახელით გინდათ „ძველების" სია შეავსოთ? — შეეკითხა მარინა.

— თუ ეს ჩემზე იქნა დამოკიდებული, მე ამას არ ვიზამ.

— ჩემის აზრით ძველმა ახალსაც უნდა მოუსმინოს და ახალმა კიდევ ძველების ნაფიქრალი გამოიყენოს და შეითვისოს.

— მართალია, მაგრამ ხან ახლებიც აშავებთ.

— მაგალითად?

— მე მინდა თქვენზე ვილაპარაკო.

— ჩემზე? მე ხომ ჯერ პროფესორი არა ვარ, — გაიცინა მარინამ.

— არა ხარ, მაგრამ, შესაძლოა გახდეთ და ამიტომ მინდა გაგაფრთხილოთ. თქვენ მეცნიერულ წერილებში, გაზეთებმაც რომ გადაბეჭდეს, პოლიტიკური ყვავილები უფრო მეტია, ვიდრე მეცნიერული მასალები.

— მე არ შემიძლია არ მივაქციო ყურადღება პოლიტიკურ საკითხებს და მეტადრე ისეთ საკითხებს, რომელიც ქალის მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ არის მიმართული. ჩვენ წერილებში, მე ვარკვევდი ოსის ქალთა შინაური და პოლიტიკური ცხოვრების პირობებს და ვლაპარაკობდი იმ მავნე ადათებზე, რომლებსაც ვხვდებოდი ზოგიერთ მიყრუებულ სოფელში. ამ წერილებს უსათუოდ პოლიტიკური სარჩული უდევს, მაგრამ ამ სარჩულის ზედაპირი მეცნიერულ სურათებით არის მოჩითული. არა ვარ იმდენად თავხედი და არც იმდენად უვიცი, რომ მოვკიდო ხელი შეუფერებელ თემებს, ისეთ თემებს, რომლებსაც ვერ მოვერევი, მაგრამ მეცნიერების ანა-ბანა შესწავლილი მაქვს და ჩემ თავს ნებას ვაძლევ ცოტა რაიმე მეცა ვთქვა ამის შესახებ.

— ამ წერილებს მეცნიერებასთან არავითარი კავშირი არა აქვს.

— თქვენ წაიკითხეთ ეს წერილები დაბეჭდვამდე და თქვენის რჩევით გავუგზავნე მე ისინი რედაქციას. მაშინ თქვენ უკეთესი აზრის იყავით ამაზე, — შენიშნა მარინამ.

— მე წავიკითხე ისინი მეორედ და დავრწმუნდი, რომ ავტორი თაღლითობს, ის ცდილობს თანამედროვე მკითხველს თავი მოაწონოს და ამ მიზნით სიტყვებს შეუფერებლად ათამაშებს და სტრიქონებს შეუფერებლად აფერადებს. — ეს სიტყვები ცივად დაამთავრა და სამუშაო ქაღალდებს გულდინჯად ჩხრეკა დაუწყო.

— როდის აქეთ შეადგინეთ თქვენ ეს აზრი ჩემს შესახებ, ამხანაგო რენო და საზოგადოდ, როდის აქეთ დაიწყეთ ჩემთან ლაპარაკი ასეთი ტონით?! — შეეკითხა მას მარინა და შემდეგ ამ სიტყვებს თვალებით ესეც დაუმატა: „მას შემდეგ, რაც თქვენ ულამაზო წინადადებებს უარით უპასუხეს, უნდა გრცხვენოდეთ ამისათვის“.

რენო უეცრად გაწითლდა და კაბინეტში შემოსულ პროფესორ მაღალაძესთან საქმიანი საუბარი გაბა.

მარინა ხედავს, რომ ეს კაცი მიდის მისი ცხოვრებიდან და მიდის ისეთი სახით, თითქოს ქალს რაიმე დიდი დანაშაული ჩაედინოს,

ან რაღაც დიდი მკვლელობა მოეხდინოს მისი სულისა თუ გრძნობების სფეროში.

მას აწუხებს, სწყინს ეს და ცდილობს აღარ იფიქროს იმ ადამიანზე, რომელმაც სრულიად ვერ გაიგო, ვერ დააფასა და მის გულწრფელ მეგობრულ გრძნობებს, ასეთი არაგულწრფელი და არამეგობრული დამოკიდებულებით უპასუხა.

* * *

„მეგობარი" — ამ სიტყვის შინაარსი ამ სიტყვას არა შორდება. ასე ესმის ეს ბევრს. გეტყვის მეგობარი და ამით ყველაფერი ითქვა, საჭირო რომ დარჩეს, ჩხირსაც არ გადააბრუნებს შენთვის. წაქცეული რომ გნახოს, არ შეჩერდება, რათა ხელი მოგცეს და ფეხზე დაგაყენოს. ყოველ წამს ხმარობენ ამ სიტყვას და ეკარგება მას თავისი შინაარსი.

უცნაურია მაინც.

საქართველოში „ვეფხისტყაოსანს" ვკითხულობთ და მეგობრობა უცხო ხილია, მეგობრობის მნიშვნელობა რიგიანად მაინც ვერავინ შეიგნო. „მეგობარი", — ეს სიტყვა ისე ჩანს დანარჩენ სიტყვათა შორის, როგორც ყალბი ქვა, მარგალიტებში, როგორც პატიოსან მანდილოსნებში მეძავი ქალი.

ნამდვილი მეგობარი, დამოკიდებულების პროცესში ამართლებს ამ სიტყვის მნიშვნელობას, ის ცეცხლში ჩავარდება შენთვის, ზღვას გასცურავს და ხმელეთს ფეხით მოივლის. ამას ამტკიცებენ შოთა და მისი პოემის უკვდავი გმირებიც.

აქ კი...

მეგობარმა მეგობრის ვერ გაიგო.

მეგობარი მეგობარს არ უფრთხილდება.

და რატომ მერე?!

იმიტომ, რომ სიყვარულის ყალბ თამასუქებს ხელი ვერ მოაწერეს და კიდევ იმიტომ, რომ შესაძლოა ქალთან მეგობრული ურთიერთობა სხვაგვარად იქნეს გაგებული და შეფასებული.

ცუდია, როდესაც საზოგადოება გამოდის როგორც არამკითხე მოამბე და ორი ადამიანის სრულიად უზადო და უმწიკვლო ურთიერთობას შეუფერებელ სახელს მიაკერებს, მაგრამ უფრო ცუდია, როდესაც ადამიანი ყურადღებას აქცევს ასეთ უმნიშვნელო მითქმა-

მოთქმას და საუკეთესო მეგობარს განწირულების ბაწარზე ჩამოჰ-კიდებს.

ასე ფიქრობს ამის შესახებ მარინა და ამას წინათ რენოს ასეც კი უთხრა.

— თქვენ ვალდებული იყავით დაგებრუნებინათ მერისთვის ოჯახი და ქმარ-შვილის სიყვარული, მაგრამ ამის ვალდებული კი არ იყავით თქვენ, უარი გეთქვათ თქვენს ნაცნობ-მეგობრებზე და ამგვარად შეგეზღუდათ თქვენი თავისუფლება. ამ რამდენიმე დღის წინათ, პროფესორ ჰანრის მოხსენებაზე თქვენ ისიც კი ვერ გაბედეთ, ქუდი მაინც მოგეხადათ ჩემთვის. ცოტა კიდევ და თქვენ მერისაგან უნდა აიღოთ ნებართვა, მისცეთ თუ არა სალამი მარინას. თქვენ უწევთ ანგარიშს თქვენი ცოლის ჭირვეულობას, თქვენი ამხანაგების აზრს, საზოგადოების შეხედულებას, დარაჯსა და დამლაგებელს, მაგრამ თქვენ არავითარი ანგარიში არ გაუწიეთ იმ ქალს, რომელსაც „გულითადი მეგობრობა“ აღუთქვით და ერთხელაც არ იფიქრეთ იმაზე, თუ რა განიცადა მან ამ უკანასკნელ დღეებში და ან როგორ გადაიტანა მარტოხელა ქალმა ის სულიერი კატასტროფა, რომელიც თქვენი წინდაუხედაობით მას მოუმზადეთ. მე აღარ ვფიქრობდი თქვენზე, როგორც მამაკაცზე, მაგრამ როგორც ადამიანი, მეგობარი, საჭირო იყავით ჩემთვის და როდესაც მართლა გამიჭირდა, ეს საჭირო ადამიანი ვერ ვიხილე ჩემ ახლოს. ითქვა მეგობრობა, მაგრამ ითქვა ისე, სხვათაშორის, და გაფრინდა ეს სიტყვა ჰაერში... საპნის ბუშტივით. თქვენ გამძიმებთ ეს აღთქმა და გინდათ წახვიდეთ? წაბრძანდით, მე თქვენ არ მოგდევთ და არც არასოდეს მოგძებნით კვალად. მე არ მჭირდება ისეთი მეგობარი, რომელიც ამდენად არის სხვისგან დამოკიდებული.

* * *

ამ თქმამ მარინა რამდენადმე დაამშვიდა, თითქოს ამ სიტყვებს თან ამოაყოლა მთელი ის ბოღმა, ამ უკანასკნელად რომ ჰქონდა გულში დაგროვილი. მაგრამ ამავე დროს დარწმუნდა იმაშიც, რომ ის რენოსთან მუშაობას ვეღარ განაგრძობდა.

პროფესორს აბრაზებდა ქალის ასეთი გაბედულება და ყოველდღიურად ცდილობდა მის დამცირებას.

ერთხელ, სრულიად უსაფუძვლოდ, რამდენიმე შენიშვნა სა-

ჯაროდ მისცა. მეორედ რაღაც ნამუშევარი ტყუილ-უბრალოდ დაუწუნა და მესამედ თავისი ცივი, უკმეხი მიმართვით ისე აღაშფოთა ის, რომ მარინა განრისხებული სახით სკამიდან წამოიჭრა და გაცეცხლებული თვალებით შემდეგი სიტყვები ისე გადაუგდო, როგორც გადააგდებს ხოლმე მეომარი სასიკვდილო ლახვარს, მტრის მიმართულებით:

— ამხანაგო რენო, თქვენ ხომ არაფერი გაქვთ იმის საწინააღმდეგო, რომ მე პროფესორ ჰანრისთან დავიწყო მუშაობა?!

რენო უეცრად შეირხა, სახეზე ერთგვარი შეწუხება გამოეხატა და კიდევ რაღაც, რაც ძალიან ჰგავდა სირცხვილის გრძნობას.

მარინამ კილო შეარბილა, მაგრამ მაინც საკმაოდ ცივად დაუმატა:

— მე არაფერი მაქვს თქვენი საწინააღმდეგო, მაგრამ ჩვენთვის, ორივესთვის ასე აჯობებს, თუ ერთმანეთს დავშორდებით.

— როგორც გინდათ, მარინა, ეს თქვენს პირად სურვილზეა დამოკიდებული, — წარმოთქვა მან ბოლოს ყრუდ და თვალები დაბლა დახარა.

რამდენიმე წუთში მარინა ჰანრის კაბინეტში შევიდა და მოხუც პროფესორს ბავშვივით შეეხვეწა:

— ძვირფასო პროფესორო! თქვენს მოწაფეს თქვენთან მუშაობა სწყურია, ნუ იტყვით ამაზე უარს და ისიც დაგიმტკიცებთ თქვენ, რომ მას მეცნიერული მუშაობა შეუძლია.

— რენო? ხომ შეიძლება მან მისაყვედუროს?

— არა, მე მას მოველაპარაკე და ის თანახმაა.

— მაშ, მეც თანახმა ვარ. ვიმუშავოთ ერთად ჩემო ახალგაზრდა მოწაფევ და დავანახოთ სხვებს, რომ ძველსა და ახალ თაობას მეცნიერული მუშაობის დროს სადავო და გასაყოფი არაფერი აქვს.

ასე და ამგვარად მარინამ თავისი მუშაობის გეზი შეაბრუნა. წამალიც მოუძებნა თავის წყლულს და ეს წამალი არის შრომა. ისიც მუშაობს, ფიქრობს, წერს და არკვევს ამა თუ იმ მტკივნეულ საკითხებს.

მეგობრის გული დაიკეტა მისთვის, მაგრამ ღია აქვს კარები მეცნიერებისა, ხელოვნებისა და მარინაც ხან ერთს კართან დგას, ხან მეორესთან. ხან ერთ კარს შეაღებს, ხან მეორეს და ამ დაუსრულებელ მუშაობის პროცესში ავიწყდება, როგორც სა-

კუთარი თავი, ისე ის სევდა, რომელიც ოდესღაც დაუძლეველი ეგონა.

მიზეზი მისი კმაყოფილებისა არის... მეცნიერება.

მიზეზი მისი თავდავიწყებისა კი... ხელოვნება.

ხელოვნება.

ეს არის, ის უხილავი და კეთილი ფერია, ნათელი ღიმილით რომ შემოაღებს გულის დახურულ კარებს და ნელთბილი სუნთქვით გვკარნახობს, გაიშალო ფეხქვეშ სურნელოვანი ხალიჩები.

ეს არის ის თეთრი ანგელოსი, თეთრი ფრთებით რომ მოფრინდება ყოველ დაძახილზე და აბრეშუმის ტუჩებით გაკოცებს ნაღვლიან თვალებში.

ეს არის ის მშვენიერი და ხუჭუჭა ბავშვი, ყვავილებისაგან რომ გვირგვინებს დაგიწნავს და პოეზიის ჯადოსნური ბგერებით ანიავებს ადამიანთა შემაწუხებელ დარდებს.

ეს არის ის უბიწო და უმწიკვლო ქალწული, სიწმინდის ემბლემად რომ აღმართულია ცხოვრების გზაჯვარედინზე და იმის სუფთა, ჰაეროვან სამოსელს არასოდეს არ მოეცხება ამქვეყნიური ცხოვრების ლაქები.

ეს იცის მარინამ, ამას გრძნობს მარინა და პოეზიის უმაღლეს მწვერვალზე ისვენებს დაქანცული სულით. ორი კვირის განმავლობაში მან ორჯერ გადაიკითხა შელი და შექსპირი, დანტე და გოეთე. ქართველი კლასიკოსებიც გადმოიღო და საყვარელ წიგნების ფურცლებზე დაივიწყა და დააცხრო საკუთარი გულის ტკივილები.

ასეთი იყო მისი სულიერი განწყობილება, როცა ერთ დღეს მოულოდნელად ესტუმრა მას დიტო კეთილაძე.

— დიტო, ჩემო ძვირფასო, რა კარგია რომ მნახე, — წამოიძახა მან აღტაცებით და სიხარულისაგან ანთებული თვალებით წინ მიეგება.

— მარინა, შენ ისე ბრწყინავ ეხლა, როგორც 'იმ დღეს, თბილისიდან რომ წერილი მიიღე.

— აჰ, ნეტავი არასოდეს არ მიმეღო ის და არც ჩვენი სოფელი დამეტოვებინა.

— რატომ... მარინა? — შეეკითხა დიტო ფრთხილად და დათალხული თვალებით შეხედა მის სახეს.

— თვითეული ადამიანის სული სავსე ყოფილა აშმორებული

ჭაობით და საჭიროა დიდი სიფრთხილე, რათა ამ ჭაობში არ ჩაიჩეხო.

საშინელებაა ასეთი ამბავი.

ეძებდე მეგობარს და ვერ იპოვო ის.

ეძებდე სულიერად მაღალ ადამიანს და ვერ იხილო ასეთი ვინმე.

გინდოდეს თანაგრძნობა, სინაზე, სიყვარული და ნაცვლად ამისა ჭუჭყიანი წინადადება, მდაბალი ვნება, ბოროტი განზრახვები. აჰ, რომ იცოდეთ როგორ დავიღალე, — წარმოთქვა მარინამ და შეეცადა შეეკავებინა ხელებით ის ცრემლები, რომლებიც უნებურად მის თვალებს მოაწვა.

— მარინა, შენ ასეთი ენერგიული, ასეთი ჭკვიანი და ასეთი... უიმედობა?! დამშვიდდი, ჩემო კარგო. — ამ სიტყვებით ის მიუახლოვდა მას და მის თმებს ბავშვივით მოეფერა. აქ არ ყოფილა ალერსი მამაკაცისა, აქ იყო ალერსი მამის, ძმის, მეგობრის. მარინას ცრემლი შეაშრა, ხელები ძირს ჩამოიღო და მადლობით სავსე თვალები მიაპყრო მას.

— ამას წინათ, — დაიწყო ლაპარაკი დიტომ, — ჩემი პატარა მარინა ბაღში ყვავილებს კრეფდა. უეცრად თითი ეკალმა გაუკაწრა და „მამილო, სისი"-ს ძახილით ჩემთან მოიჭრა, მის სხეულზე პირველად დავინახე ჭრილობა და ჩემში მთელი ჩემი მშობლიური გრძნობა აბობოქრდა. შენ თვალებშიც პირველად დავინახე ცრემლები, და მეც ისეთივე ტკივილებს განვიცდი, როგორ ტკივილებსაც ვგრძნობდი იმ წუთს, როდესაც ჩემ საყვარელ ბავშვს ჭრილობას ვუხვევდი.

— რა კარგი ხარ, დიტო, რა მშვენიერი ადამიანი ხარ შენ. და მე მხოლოდ ეხლა შევიგრძენი, თუ რატომ არ გავხდი შენი.

— აბა, მითხარი რატომ?

— იმიტომ, რომ მეტად დიდი, მეტად კარგი სიყვარულით მიყვარდი და ასეთი გრძნობა არ მინდოდა ფიზიკური ურთიერთობით შემებღალა. მე უარი ვთქვი შენზე, როგორც მამაკაცზე, მაგრამ შენი გული და თანაგრძნობა რომ დავკარგო, ძალიან უბედურად ჩავთვლიდი თავს.

— ხომ გახსოვს, რა გითხარი უკანასკნელად სოფლიდან რომ მოდიოდი?!

— მახსოვს: ჩვენ დავრჩებით ბოლომდე მეგობრებიო.

— მას შემდეგ ჩემი გრძნობები არ შეცვლილა.

— ეს აზრი ჩემ სევდას ამსუბუქებს, მაგრამ ხომ შეიძლება შენმა ცოლმა...

— ეჭვიანობა დაიწყოს?! არა, მარინა, ის არა ჰგავს სხვებს და ამაში შენ მალე დარწმუნდები.

— საზოგადოება? ის ხომ ყოველთვის ზურგში უდგას ადამიანს და ითვლის მის ნაბიჯებს, ზომავს მის განცდებს, თითხნის ფორს და აჭუჭყიანებს ყოველგვარ გრძნობებს.

— მე ძაქვს ჩემი სული და ჩემი სინდისი და ამ ორ რამეს საზოგადოების აზრს არ დავუმორჩილებ. მე ვალდებული ვარ ვიმუშაო ხალხის კეთილდღეობისათვის, ვალდებული ვარ ვემსახურო ჩემ ქვეყანას, მაგრამ იმის ვალდებული არა ვარ მე, რომ ბორიანი ადამიანების ერთ ჯგუფს ანგარიში გავუწიო და ჩემი პირადი ცხოვრება მათი გემოვნების თანახმად მოვაწყო.

„რამდენი განსხვავებაა რენოსა და დიტოს შორის და რამდენად მაღლა დგას მასზე ეს უბრალო კაცი, ეს პროვინციელი მასწავლებელი“, გაიფიქრა მარინამ და დიტოს მისი ცოლ-შვილის ამბავი გამოჰკითხა.

— ჰო, მართლა, მე დამავიწყდა მეთქვა უმთავრესი მიზეზი ჩემი თბილისში ჩამოსვლისა. ამ უკანასკნელად გულის ავადმყოფობა მაწუხებს და მეც ავიღე ერთი თვის შვებულება, რათა აქაურ პროფესორს ვეჩვენო და ამჟამად ჩემი ცოლ-შვილი აქ იმყოფება.

— ვისთან ხართ აქ?! — შეეკითხა მარინა.

— ერთმა ნათესავმა დროებით ოთახი დამითმო. წავიდეთ ჩემთან, მარინა, იქ უკვე დიდიხანია გველიან.

— ნათელა, გამოდი აქ, მე მოვიყვანე ძვირფასი სტუმარი, რომლის ნახვა შენც უსათუოდ გაგიხარდება. — გასძახა დიტომ მეორე ოთახში მოფუსფუსე ცოლს.

კარები გაიღო და ახალგაზრდა, მკვირცხლთვალებიანი ქერა ქალი მარინეს მოეხვია.

— ჩემო კარგო, მარინა! იცი როგორ ძალიან მიყვარხარ? მინდა შენობით გელაპარაკო, ხომ შეიძლება ეს?

— შენ ამით ძალიან გამახარე. მაგრამ ეს კი არ მესმის, თუ რატომ გიყვარვარ, ხომ ოდესღაც შენი ქმრის...

— დანიშნული იყავი და რომ არ გეთქვა უარი მასზე, მე დღეს აღარ მეყოლებოდა ასეთი კარგი და იშვიათი ქმარი... — უპასუხა მან ცელქი ღიმილით და დიტოს ეშმაკურად თვალი ჩაუკრა.

— ჩვენ ძალიან გვიყვარს ერთმანეთი, ვაფასებთ ერთმანეთს და მარინას აშინებს ის აზრი, რომ შენ ეჭვიანობას დაიწყებ. — უთხრა მას დიტომ და სერიოზული მზერით შეხედა აცელქებულ ცოლს.

— არა, ჩემო მეგობარო. მე ისეთი დიდი სიყვარულით მიყვარხართ თქვენ, რომ მას ეჭვიანობის მდაბალი გრძნობა ვერ შეარყევს. არ ვიცი დამიჯერებთ თუ არა ამას, მაგრამ ოდესმე რომ მითხრათ: „მოგვშორდი, ჩვენ გვინდა ვიცხოვროთ ერთად", მე წავალ და მე გამიხარდება, რომ თქვენი სურვილი შევასრულე.

ეს სიტყვები ისეთი სახით, ისეთი თვალებით და ისეთი ტონით ითქვა, რომ მარინა სკამიდან წამოიჭრა და აღტაცებით მოეხვია ახალგაზრდა ქალს.

— ძვირფასო ნათელა, ასეთ სისულელეს არასოდეს არ გეტყვიან შენ დიტო და მარინა, მაგრამ მე მაინც მინდა გკითხო: ვინა ხარ შენ?!

— ნათელა ნიკოლოზის ასული კეთილაძისა, — მიუგო მან სიცილით და მის წინ რამდენიმე რევერანსი ზედიზედ გააკეთა.

— მე გეკითხები, ადამიანი ხარ შენ თუ?...

— ანგელოსი ვარ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ფრთები არა მაქვს და მაშასადამე, არც საშუალება, ვინავარდო ცის სფეროებში.

— არ ვიცი ხასიათის რა თვისებიდან უნდა იყო აშენებული. მაგრამ ის კი ვიცი, რომ შენ მართლა „ნათელა" ხარ და ამ პატარა სხეულით მზეს დაატარებ.

— შენ კიდევ ოქროს გული გაქვს, მარინა, და ამ გულში პირველი ადგილი მე უნდა მეჭიროს.

— ხომ ხედავ, ჩემი ცოლი პირველობას მოითხოვს და მგონია გადაგიბირა კიდეც.

— ოო, დიტო, შენი ნათელა არაჩვეულებრივი ქალი ყოფილა. მე უკვე დაპყრობილი ვარ.

— მე გიცნობდით თქვენ ორივეს და ვიცოდი ეს ასე მოხდებოდა, მაგრამ რატომ შენს პატარა სეხნიას არ კითხულობ?!

— წამოდი და ვნახოთ ჩემი გიჟი გოგონა, მას სძინავს ახლა. . მაგრამ ის ძილშიაც მშვენიერია.

ქალებმა სიყვარულით დახედეს მძინარე ბავშვს, რომელსაც პაწია წითელი ტუჩები გახსნოდა და ორი მწკრივი თეთრი კბილებისა თეთრი სადაფივით ელვარებდა.

ბალიშზე დადებული მისი ხუჭუჭა თავი რაფაელის ნახატს წააგავდა და მისი ნორჩი სხეული, მისი მშვიდი ფშვინვა ყვავილების საამურ სურნელებას აფრქვევდა გარშემო.

როდესაც ისევ დიტოს მიუბრუნდნენ, დაინახეს, რომ ის ფანჯარასთან იდგა და ცაზე გაკრულ ყომრალ ღრუბელს თვალს არ აშორებდა.

უეცრად ეს პატარა ბუნჩულა-ქულა ბურთივით ჩამოწყდა ცის ტატნობს, დაბლობში გაშლილ ვარდისფერ ლაქვარდებს შეეტმასნა და რამდენიმე წუთის შემდეგ უკვალოდ გაჰქრა. ამ ღრუბელმა თითქოს თან წარიტაცა მარინას სევდა და ისიც ნათელასთან ერთად მხიარულად დატრიალდა და დიასახლისს ჩაის მომზადებაში დაეხმარა.

— ხომ კმაყოფილი ხარ შენი ახალი ამხანაგით, მარინა? კიდევ იტყვი, რომ „თითოეული ადამიანის სული სავსეა ჭაობით“? — შეეკითხა მას წასვლისას დიტო.

— არა, მე ახლა ამას ვერ ვიტყვი და მე მხოლოდ დღეს ჩავწვდი ადამიანობისა და მეგობრობის გრძნობებს. გმადლობთ, ძვირფასო ადამიანებო, რომ ასეთი დიდი სიხარული განმაცდევინეთ. მარინა არასოდეს არ დაივიწყებს ამას, — ამ სიტყვებით მხურვალედ ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი და მათ თვალებში სამუდამო ერთგულების აღთქმა დაიდო.

* * *

ერთ საღამოს მარინას თავის ოთახის კარებში გაჩხირული ბარათი დაუხვდა. საჩქაროდ გახსნა ის და შემდეგი ამოიკითხა: „მარინა! თქვენი წერილები, სამხრეთ ოსეთში დაწერილი, ფშავ-ხევსურეთის მთებში წავიკითხე. არ ვიცოდი, თუ ასე გიჭრიდათ კალამი. ჩვენს წრეში ამის შესახებ უკვე ლაპარაკობენ და თქვენი გაცნობა ღირსებად ითვლება. დღეს, რატომღაც, გულმა თქვენსკენ გამოიწია, მაგრამ კარები დაკეტილი დამიხვდა, მინდოდა მუშტე-

ბით დამემტვრია ის, არ გაიცინოთ და ასეთი სურვილი მართლა აღმეძრა:

თქვენი მეგობარი ლეო დეკიძე.

P. S.

თბილისში გუშინ დავბრუნდი, ხვალ უნივერსიტეტში მოხსენებას ვაკეთებ. თემა: „არქეოლოგიური სიძველენი ფშავ-ხევსურეთში". არ გინდათ მოუსმინოთ მეგობარს?!

ლ. დ.

ეს წერილი რამდენჯერმე გადაიკითხა და ისეთი გრძნობა აღეძრა, როგორც ადამიანს, რომელიც დიდხანს წყვდიადში იჯდა და შემდეგ უეცრად სინათლეზე გამოვიდა. მას წარმოუდგა იგი მთელი მისი ადამიანური ღირსებებით და მხიარული ფიქრები ცელქი ბავშვებივით შეიჭრა მის გულში.

ლეო, ეს ისეთი ადამიანია, რომელსაც ვერ აშინებს ისეთი მეტოქეც კი, როგორც რენოა.

დიახ, ამ კაცს თამამად შეუძლია დაუდგეს მას წინ და უთხრას ასე: მე დაგეწევი შენ".

არსებობს ჯანსაღი მამაკაცი, ჯანსაღი გულითა და კეთილშობილური მისწრაფებებით და მოდის ეს მამაკაცი ისე, როგორც გაზაფხული. მარინას დანამდვილებით შეუძლია იმის თქმა, რომ თუ მოისურვებს ეს კაცი გახდება მისი. ქალი ასეთ შემთხვევაში ვულთმისანია და წინდაწინვე იგრძნობს, შეიყვარებენ თუ არა მას. რენო მოაგონდა, წარბები ასწია და თავის გასამართლებლად ისე გაიფიქრა: სულ ხომ ვერ იფიქრებს იმ კაცზე, რომელიც უკვე მოკვდა მისთვის და სულ ხომ ვერ უყურებს ფანჯრიდან სხვების ბედნიერებას?!

ყოველი გამვლელი მამაკაცი შეაძლევს მას ისეთ სიყვარულს, რენომ რომ შესთავაზა.

ქურდული ალერსი და არავითარი მსხვერპლი.

ვინ იჩაგრება ასეთ შემთხვევაში?

რასაკვირველია ქალი.

მუდმივი მალვა, მუდმივი ნერვიული მდგომარეობა.

ქალი უნდა გაუფრთხილდეს თავის სხეულს, თავის გულს, თავის ნერვებს. თუ ეს ასე არ მოხდა და საერთო სარეცელზე დასდო თავის სხეული, ის ჩქარა დაიშრიტება, მისი ტემპერამენტი

დაილევა და დარჩება უენერგიო ლეში, რომელიც ვერც თავისთავს და ვერც სხვას ვერ გამოადგება.

შეჩერდა და თავის გულში ღრმად ჩაიხედა. იქ რენოს სახე სრულად არ არის ამოშლილი და მოუშუშებელი ტკივილები ჯერ კიდევ არ ცხრებიან. შეუძლია მობრუნდეს გულწრფელად მეორე მამაკაცისაკენ და როგორი იქნება ასეთ შემთხვევაში მისი განცდანი, განწყობილებანი?!

ამის შესახებ მომავალი იტყვის თავის სიტყვას და მარინაც დაუცდის მას.

ერთი და იგივე აზრი შესაძლებელია განმეორდეს სხვადასხვაგვარად.

ასეა აქაც.

ჭრელია სახე სიყვარულისა და პიროვნებისა, თუ მდგომარეობის მიხედვით ყალიბდება ის სხვადასხვა ფორმებში.

* * *

უნივერსიტეტის ვესტიბიულში გაკრულ განცხადებას ერთხელ კიდევ შეავლო თვალი, დარბაზში შევიდა და ერთ-ერთი თავისუფალი სკამი დაიჭირა.

მომხსენებელი ჯერ კიდევ არ ჩანდა, და აქა-იქ შეჯგუფული სტუდენტები ხმამაღლა კამათობდნენ.

— ლეოს უკანასკნელი წიგნი სახელგამის მარკით გამოდის და ზოგიერთ ჩვენ პროფესორს ჯერ კიდევ სძინავს, — ამბობს ერთი.

— რას იზამ, ალბათ ჰგონიათ, რომ პროფესორის თანამდებობასთან მეცნიერული მუშაობა არ არის დაკავშირებული, — დაუმატა მეორემ.

— რად შეიწუხონ თავი, როდესაც ეს სავალდებულოდ არ ითვლება, კათედრა ჩაიბარეს, ჯამაგირს ღებულობენ და სახელმძღვანელოების კრიზისი მათ თითქოს არც ეხებათ. კარგია აგრე,— ირონიულად შენიშნა მესამემ.

— კაცო, მელიქიშვილის სახელმ. მთელი საზღვარგარეთი მოიარა და ზოგიერთ ჩვენ პროფესორს საქართველოშიაც არ იცნობენ.

— ეჰე, წამოკრა ხელი მელიქიშვილს, ეს იმას ჰგავს, სკვინჩა რომ არწივს შევადაროთ.

— ყველას ხომ მელიქიშვილის თავი არ ექნება, მაგრამ თუ თვითონ ვერაფერი მოიფიქრეს, სხვისი ნაფიქრალი მაინც გადმოთარგმნონ, გადმოაქართულონ.

— ბედი ჩვენს წინააღმდეგ მუშაობს, ამხანაგებო, არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე უნივერსიტეტს ასე ცოტა ხნის განმავლობაში, ამდენი თვალსაჩინო მეცნიერი დაეკარგოს.

— ჩვენ, სტუდენტობის მოწინავე ნაწილი, ჯერ კიდევ მივსტირით ძვირფას მასწავლებლებს, რომელთა სიცოცხლე ჩვენთვის საჭირო და აუცილებელი იყო, მაგრამ ნიჭიერი კაცი ისე არ მოკვდება, რომ ერთი რიგიანი წიგნი მაინც არ დაუტოვოს შთამომავლობას. ისინი დაიხოცნენ, მაგრამ მათი წიგნები ჯერ კიდევ არსებობენ და ეს წიგნები, რამდენადმე მაინც გაგვიწევენ მათ მაგივრობას.

— იცით, რა მინდა გითხრათ? ნიჭიერ კაცს ჭკუა ყოველთვის აკლია, ისინი დაუზოგავად სწვავენ თავიანთ სიცოცხლეს და იმას კი არ გრძნობენ, ამით აყენებენ ზიანს, როგორც საკუთარ თავს, ისე იმ საქმეს, რომელსაც ემსახურებიან. ავიღოთ თუგინდ პროფესორი №, ეს კაცი ისეთ მუშაობას აწარმოებდა, რომელსაც ადამიანის სუსტი ორგანიზმი ვერ აიტანს. ის მუშაობდა უნივერსიტეტში, მუზეუმში, მუშაობდა გამომცემლობაში, წერდა მეცნიერულ წიგნებს, ისტორიულ ნარკვევებს, კრიტიკას, ის სულ მუდამ არქივის ნესტიან მტვერს ისუნთქავდა, ის სულ მუდამ ბიბლიოთეკაში აღამებდა, ის სულ მუდამ დახშულ ოთახში იჯდა და წაიქცა კიდეც თავის საწერ მაგიდას წინ და იმავე მაგიდის წინ მარტოდმარტოს ამოსძვრა სული. მეორე პროფესორი №-ი კი სრულიად განსხვავებული იყო პირველისაგან, ნიჭიერი კაცი, მრავალი წიგნის ავტორი, შეყვარებული ბახუსზე, მთელ თავისუფალ დროს ალკოჰოლში კლავდა, რამდენჯერ მინახავს რუსთაველის გამზირზე ბარბაცით მიმავალი პროფესორი, განა არა სჯობდა დაეზოგათ თავისი ენერგია, დაეზოგათ თავისი სიცოცხლე, გაფრთხილებოდენ თავიანთ გულს?! აგრე რომ მოქცეულიყვნენ, კიდევ რამდენიმე წელს იცხოვრებდნენ და რამდენიმე ნაშრომს კიდევ დაუტოვებდნენ თავიანთ ქვეყანას. ადამიანმა უნდა იცოდეს საზომი როგორც შრომაში, ისე ღვინის სმაში, თუ უნდა, რომ სახელიც მოიხვეჭოს და დიდხანს იცოცხ-

ლოს. მე ეს ორი პროფესორი ძლიერ მიყვარდა, როგორც ადამიანები, როგორც მეგობრები, მასწავლებლები.

— ჩემის აზრით, დიდ ადამიანებსაც ისევე სჭირდება მზრუნველი, როგორც მცირეწლოვან ბავშვებს, — ამბობს ერთი სტუდენტი ქალი.

— თქვა რუქამ არაკი, — შენიშნა ირონიულად მეორე ამხანაგმა და ქალიშვილებმაც სიცილი დაიწყეს.

— რა გაცინებთ? გარწმუნებთ, რომ ჩემს სიტყვებში სიბრძნე უფრო მეტია, ვიდრე სისულელე.

— აბა, გახსენი ყუთი ამ შენი სიბრძნისა და გაგვაგებინე, რად უნიშნავ მზრუნველს დიდ ადამიანებს?

— იმიტომ ვუნიშნავ, რომ ისინი თავიანთი დიდი ინტენსიური მუშაობის დროს, ვერ ამჩნევენ ყოველდღიურ ცხოვრების წვრილმანს და არის შემთხვევა, როდესაც სრულიად უმნიშვნელო წვრილმანი მათი სიკვდილის მიზეზი ხდება...

— ახსნა-განმარტება ფრიად ჭკვიანურია და ფრიად დამაკმაყოფილებელიც, — თქვა მარინამ და განიზრახა მასაც მიეღო მონაწილეობა საუბარში, მაგრამ ამ დროს დარბაზში ლეო შემოვიდა და განსაკუთრებული იერით აღიმართა სტუდენტთა შორის.

იშვიათად გამოსცრის ღიმილი კბილებიდან და ეს ღიმილი ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, როგორც ჯანღდაკრულ მთებში უეცარი შუქის აელვარება. უხდება შავგვრემან ვაჟკაცს მზემოკიდებული სახე და ღვედივით დაწნული კუნთები.

დინჯად გადახედა ხალხს და მისი თვალები მარინაზე ხანგრძლივად შეჩერდა. შუბლი ერთბაშად გაეხსნა და თვალებშიც სინათლე ჩაუდგა.

მარინამ ისე მიიღო ეს მზერა, როგორც სიხარული და მთელი მისი ქალური სინაზე მის სახეზე ვარდივით გაიშალა.

მოხსენება დაიწყო.

აქ არ ჰქონია ადგილი მშრალ მსჯელობას. უმთავრესად ის ლაპარაკობდა ფაქტებით. მაგრამ მიუხედავად ამისა, აუდიტორიის წინაშე გადაიშალა მთელი პოეტური სამყარო, მეცნიერულ საფუძველზე ადმოცენებული.

— კარგია, ჩინებულია, ყოჩაღ, — ამბობს მოხუცი არქეოლოგი პროფესორი და სათვალეების ზემოდან შეჰყურებს მას.

იქვე გაკრულ ტილოს პროექტორის სინათლე დაეცა და

აუდიტორიის წინაშე ფშავ-ხევსურეთის მთები აღიმართა. ამ მთების მწვერვალებს გვირგვინებივით ადგია თავს ციხეთა ნანგრევები, რომელთა კედლები არა ერთხელ შეღებილა ქართველთა სისხლით.

სანახაობა იცვლება.

პორტრეტები, ფოტოპირები, გრავიურები, ნახაზები, ძველი ძეგლების წარწერები და შემდეგ დარბაზის ჩაქუფრულ ფონზე გარდაცვლილ ადამიანთა სილუეტები ამოძრავდნენ: მეფე ერეკლე, გორგასალი, გიორგი სააკაძე, დიდებულნი და ქვეშევრდომნი.

— ეს ლაშქარი ძველი ტაძრების კედლებიდან და ციხეთა ნანგრევებიდან მოდის და თვითეულ სურათს, ნახაზს, თუ წარწერას წინ უძღვის ვრცელი ისტორია. არსებობდნენ ადამიანები, ცოცხლობდნენ, იბრძოდნენ, უმკლავდებოდნენ მრავალრიცხოვან მტრებს, პატარძლები სწირავდნენ სატრფო მამაკაცებს, დედები შვილებს, ცოლები ქმრებს და საკუთარი სისხლით იცავდნენ სამშობლო ქვეყანას. რა დარჩა მათგან? მხოლოდ და მხოლოდ მტვერი, ეს ძეგლები და ეს ნანგრევები, სახელი კი შთამომავლობას გადაეცა საუკუნიდან საუკუნემდე, — და პროექტორის სინათლეც ერთბაშად ქრება.

— დავუბრუნდეთ ახლა ახალ საქართველოს, — განაგრძობს მომხსენებელი. ახალ საქართველოს ძველიდან ვერ გამოვყოფთ. პატივისცემა, შესწავლა და გამორკვევა ძველს, შრომა, ენერგია და თავდადება ახალს, ასეთია ჩემი აზრი და, ალბათ, ამ აზრს ჩემი ამხანაგებიც იზიარებენ.

მოხსენება დამთავრდა.

კმაყოფილი საზოგადოება სკამებიდან წამოიშალა.

მარინა კარებისაკენ გაემართა.

— თქვენ ახლაც გინდათ რომ გაიქცეთ, ქალბატონო?! — ჩაილაპარაკა ლეომ და ხალხში ვიწროდ გაჩხირულ ქალს ხელი წაავლო.

— ოჰ, ლეო, გამარჯობათ, მეგობარო! თქვენ დღეს შეუდარებელი იყავით და მოგეცით მეც ასეთი სახელწოდება: პოეტი — მეცნიერი.

— პოეტური სახეები ხომ არ მოერია მეცნიერულ თემებს, მარინა?

— არა, აქ ჰარმონიულად იყო ყველაფერი შეზავებული და

კიდეც ამიტომ მოახდინეთ ასეთი დიდი შთაბეჭდილება, მაგრამ თქვენ რომელ გაქცევაზე ლაპარაკობთ?!

— არ გახსოვთ ზაფხული?! ისე გაჰქრი თბილისიდან, რომ ვერც კი მოვასწარი მეთქვა თქვენთვის უკანასკნელი — ნახვამდის.

— ვერც მე გითხარით ეს, ისე მოულოდნელად აგვიკრა ბარგი ჩვენმა პროფესორმა.

— რენოს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ როცა ეს ამბავი გაზეთებში წავიკითხე, მისდამი პატივისცემა კინაღამ გამიქრა. — მარინას გაეცინა. თვალებით პროფესორზე ანიშნა და სთხოვა დაწეული ხმით ელაპარაკა.

რენოს პროფესორი მაღალაძე რაღაცაზე გაცხარებით ესაუბრებოდა, მაგრამ ეტყობოდა მისი გულისყური სულ სხვა მხრისკენ იყო მიმართული და სრულიად არ აინტერესებდა ის, რაზედაც მას ელაპარაკებოდნენ.

— თქვენი პროფესორი დღეს ხასიათზე არ არის, რამ გაუფუჭა, ნეტავი, განწყობილება?! არაფერი იცით ამის შესახებ, მარინა?

— ვიცი.

— არ გამიზიარებთ არაფერს მაგ თქვენი „ვიციდან"?

— არაფერს, ეს მხოლოდ მე მეკუთვნის. — მიუგო ქალმა ოღნავი ღიმილით.

რენო ნერვიული მოძრაობით მოშორდა აბეზარ მოსაუბრეს, ახალგაზრდებს გვერდით ჩაუარა და უსიტყვოდ ქუდი მოიხადა. მარინამ შეამჩნია, თუ როგორ მოხედა მას რენომ ნაღვლიანი თვალებით და ტკივილებისაგან შერყეული სახით გზა განაგრძო. ქალს უეცრად დაავიწყდა ის შეწუხება, რაც ამ კაცმა მიაყენა მას და საშინლად მოუნდა ეთქვა მისთვის: „საყვარელო და კარგო ადამიანო, ნუ მიაქცევ ყურადღებას ჩემს სიტყვებს და მაპატიე თუ რამე გაწყენინე. მე ვეცდები დავივიწყო შენი ნაკლი და მახსოვს შენი ღირსებები".

— ამბობენ, რომ რენოსთან მუშაობას თავი დაანებეთ, მართალია ეს? — იკითხა ლეომ.

— მართალია, მე პატივს ვცემ მას, როგორც პროფესორსა და მასწავლებელს, მაგრამ ამას წინათ თავისი უტაქტო მოქმედებით საშინლად გამაბრაზა. გურული ქალი ვარ და ფიცხი ტემპერამენტი მახასიათებს. აღშფოთების დროს თავდავიწყებამდე მივდივარ და

ადამიანთა თავხედობას დაუზოგავად ვამათრახებ. არიან ადამიანები, რომლებიც მზად არიან თავიანთ უფროსებს მოჯამაგირედ დაუდგნენ. მე ამას ვერ ვიზამ და არც იგი შემიძლია, რომ ვიჩმეს ბრმად დავემორჩილო.

— აი, ეს მომწონს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ვკითხულობ: რა იყო მიზეზი თქვენი ასეთი აღშფოთებისა? თქვენ ისე კარგად იყავით განწყობილი და რენოც ისეთ დიდ ყურადღებას გაქცევდათ, რომ ზოგიერთი ამბობდა კიდეც: ამ ორ ადამიანს სერიოზული გრძნობები აკავშირებს ერთმანეთთანო. მეც ვეჭვობდი.

— სრულიად უსაფუძვლოდ, ჩემო მეგობარო, თქვენ ალბათ, ისიც არ იცით, რომ მერი დაბრუნდა და ისინი შერიგდნენ.

— რას ამბობთ, როდის? — გაიკვირვა ლეომ და ჯანღდაკრული სახე უეცრად გაუბრწყინდა.

— მას შემდეგ თვეზე მეტია და დღეს ყველა ამაზე ლაპარაკობს. სად ხართ, ყმაწვილო, თქვენ?

— იცით, მარინა, როდესაც აქედან წავედი მთებში სამოგზაუროდ, თან გამყვა ფიქრი, ფიქრი ბუნდოვანი და შემაწუხებელი. რამდენად უფრო კარგად ვიგრძნობდი თავს, რომ ჩემში ეს გრძნობა არ ყოფილიყო.

— არა, ამით თქვენ მოიგეთ. თქვენი მეცნიერული გამოკვლევანი, პოეტური სახეებით აფერადდა. თუ არაფერი გაწუხებს, ვერც ვერაფერს შექმნი. ყოველ საქმეს სჭირდება იმპულსი და ამას ქმნის სულიერი განწყობილება, თუმცა არ ვიცი, რა დარდი უნდა გქონდეთ თქვენ. ლეო, იქ, ალბათ, ყოველდღიურად გიცინოდით ფშაველი გოგონა, ეს მთის ველური „ედელვეისი". ახლა კი ნახვამდის, ჩემო მეგობარო!

— ასე მალე?! — იკითხა ლეომ და სახეზე წყენა დაეტყო.

— მალე?! შეხედეთ საათს, პირველის ნახევარია.

— ალბათ თქვენი საათი ტყუის!

მარინას გაეცინა და უნივერსიტეტის საათზე მიუთითა.

— წყეული საათები, რა აჩქარებთ?! მე კიდევ მინდოდა საუბარი.

— კარგი და თქვენ რაღა გაჩქარებთ, ვილაპარაკოთ ხვალ, ზეგ, მაზეგ და სულ.

— როდის მოვიდე თქვენთან? — იკითხა ლეომ, როდესაც ქუჩაში გავიდნენ და ერთად წავიდნენ.

— როდესაც გნებავთ, — მიუგო ცელქური ტონით ქალმა და მის თვალებს ისეთი ცეცხლი შეუკიდა, რომ ლეომ რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია.

— თქვენ ხომ არ გეშინიათ?! — შეეკითხა მარინა სიცილით.

პალტოს საყელოზე მიბნეულ მიმოზას ერთი ყვავილი ჩამოსწყვიტა და ლეოს გულის ჯიბესთან მიამაგრა.

— ჩემს მოძრაობას ამგვარად ნუ ახსნით, მე მხდალი არა ვარ, მაგრამ მიუხედავად ამისა, უნებურად დამწია რაღაცამ უკან და ეს რაღაცა... ნებას მომცემთ დავამთავრო? არ გეჩქარებათ?

— ამის შესახებ სხვა დროს ვილაპარაკოთ.

— კარგი, მაშ მოვდივარ თქვენთან, ოღონდ ფრთხილად. მარინა, თუ კარები კიდევ დაკეტილი დამიხვდა...

— არ გაბედოთ მუშტების დარტყმა, ამის ნებას არ გაძლევთ, — უპასუხა მარინამ ღიმილით და თავის ბინას მიუახლოვდა. იმ ღამეს, ოთახში რომ შევიდა, თავისი დღიურის უკანასკნელ გვერდზე ასე დააწერა: „მშვიდობით რენო. მე დავიკარგე შენთვის და ამ დანაკარგს ვერ აგინაზღაურებს შენ...

— მილიონი ცოლიც რომ გყავდეს.

თუ როდესმე აგტკივდეს გული და დაგჭირდეს თანაგრძნობა მეგობრის, დამიძახე და მე ისევ მოვალ შენთან.

მოვალ, როგორც მოსიყვარულე და.

მოვალ, როგორც თავდადებული დედა.

მშვიდობით მეგობარო“!

* *

ღამის 11 საათია. მარინა ლექციების შემდეგ სახლში ბრუნდება. უეცრად მოპირდაპირე ქუჩაზე თვალი მოჰკრა უცნობ კაცს, რომელიც აედევნა მას ქუჩაში და, რომელიც ზვერავს მის ნაბიჯებს. შეკრთა, მაგრამ ასე გაიფიქრა: „ვერ გაბედავს მომიახლოვდეს“. მაგრამ უცნობი მეორე მხარეს გადმოვიდა და მარინას ზურგში მოექცა. მარინამ ფეხის ნაბიჯს მოუჩქარა, მაგრამ უკან კი არ მოიხედა, რათა არ ეგრძნობინებინა ის შიში, რომელმაც მთლიანად შეიპყრო და, რომელმაც გულის ნორმალური მუშაობა

შეუფერხა. შიში და ეს კაცი ფეხდაფეხ მისდევს მას და ეს გრძნობა სწვავს მის ზურგს, ანერვიულებს თვითეულ მის მოძრაობას. ფეხის ნაბიჯი ახლოვდება და ისიც, თითქოს გრძნობს ამ კაცის სიახლოვეს, ესმის მისი სუნთქვა, სუნთქვა ღრმა, აჩქარებული, ვნებიანი. ქალი კი ისევ ჯიუტობს, არ უნდა დანებდეს ამ შიშს და აჩქარებით მიდის და მიდის. მთავარი ქუჩა დაილია, იწყება ვიწრო შესახვევი და ამ შესახვევს უნდა აჰყვეს ის. ფეხის ნაბიჯს უკლოყოყმანობს და გონების თვალით უკან იხედება, თუ ისევ აქ არის? თუ ისევ მისდევს? მაშინ, როგორ უნდა მოიქცეს?

— ნება მომეცით გაგაცილოთ, — წარმოთქვა უცნობმა და ქალს გვერდით ამოუდგა.

— მე თქვენ არ გიცნობთ, გთხოვთ, თავი დამანებოთ. — ეუბნება ქალი და რამდენიმე ნაბიჯით უკან იხევს.

— მე კი დიდიხანია გიცნობთ, მაგრამ თქვენი სახელი არ ვიცი. მომეცით ნება გაგაცილოთ, —დაჟინებით მოითხოვს ის, და ცდილობს მიუახლოვდეს.

— თქვენ გინდათ დავიყვირო? — შეეკითხა მარინა და ის იყო დააპირა ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ ამ დროს უცნობმა მას მარცხენა მკლავზე ხელი წაავლო და განძრევის საშუალება მოუსპო.

— გამიშვებთ თუ არა ხელს? — შეეკითხა კვლავ თავხედ ახალგაზრდას და მრისხანედ თვალებში ჩახედა. შიში და შეკრთომა უეცრად სადღაც გაჰქრა და თავდაცვის გრძნობამ მისი ენერგია გააორკეცა.

— არა, მე თქვენ ასე ადვილად ვერ დაგთმობთ, ლამაზო ქალო.

მარინამ მარჯვენა ხელი აიღო და ისეთი სილა გააწნა, რომ უცნობს ლოყა აუწითლა.

— ყოჩაღ, მარინა, თუმცა აფსუსია მისთვის თქვენი ხელი. ეს სალახანა უარესის ღირსი იყო, — ჩაილაპარაკა თითქოს მიწიდან ამომძვრალმა ლეომ და ქალმაც შვებით ამოისუნთქა.

ხელმეორედ დაიხსნა მეგობარმა და ამ გრძნობამ მისი პატივისცემა ლეოსადმი გაორკეცა და მისი აღშფოთება შეამსუბუქა.

— აბა მოქალაქევ, ბედი გქონია, რომ ასე ადვილად გადარჩი. ახლა კი შებრუნდი და გაჰქრი აქედან, — თქვა ლეომ და შეშფოთებული ახალგაზრდა დაცინვით შეათვალიერა.

— რა უფლება გაქვთ, რომ ამგვარად ლაპარაკობთ? ალბათ ეს ქალი თქვენი საყვარ...

სიტყვა პირში გაუწყდა და ლეოს მაგარმა მუშტმა ქვაფენილზე დააგორა.

— რომელმა თქვენგანმა ატეხა პირველად ჩხუბი? — იკითხა ხმაურზე მოსულმა მილიციელმა.

— მე არა ვარ დამნაშავე, ეს კაცი თავს დამესხა, უწყინარ მოქალაქეს, ეს კაცი გთხოვთ დააპატიმროთ, — ბორძიკობს უცნობი და მტვერში ამოგანგლულ ქუდს ხელში ატრიალებს. მისი კოხტა ტანსაცმელი შელანძღულად გამოიყურება და სოსანისფერი საბლი გვერდზე აქვს მოქცეული.

მარინას გაცინების სურვილი ახრჩობს, მაგრამ თავს იმაგრებს და ერთგვარ კმაყოფილებას გრძნობს ლეოს მიმართ.

— წაიყვანეთ ეს კაცი მილიციის სამმართველოში და მეც იქ მოვდივარ. რაც შეგეხებათ თქვენ, მარინა, თქვენი იქ წამოსვლა არ არის საჭირო, აგერ ნაცნობი სტუდენტი მოდის და ის მიგაცილებთ სახლამდე. ხვალ ყველაფერს გიამბობთ. ნახვამდის, — ამ სიტყვებით ქუდი ოდნავ შეარხია და მილიციელს გაჰყვა.

ნაცნობ სტუდენტს მარინამ სალამი მისცა და უსიტყვოდ წინ გაუშვა, უნდოდა მარტოდ დარჩენილიყო საკუთარ თავთან, საკუთარ ფიქრებთან და ერთხელ კიდევ გახედა მიმავალ ლეოს, რომელსაც თავისი დიდი ტანი ისე მსუბუქად მიჰქონდა და ისეთი იერით მიაბიჯებდა, რომ ადამიანი იფიქრებდა: ალბათ წვეულებაში მიდისო. მარინამ გულში დიდი სიხარული იგრძნო და ეს განცდა მზესავით მოეხვია.

სახლში რომ მივიდა, სარკის წინ შედგა. სარკის სიღრმიდან მას უცნობმა ქალმა შემოხედა. იმ ცეცხლმა, რომელიც ჩაეშვა მის სულში, გააშუქა და შეალამაზა თითოეული ნაკვთი მისი სხეულისა. რამდენიმე წუთის წინათ, ჩვეულებრივი გარეგნობის ქალი, ანტიურ ქალ-ღმერთს დაამსგავსა.

რა არის სხეული?!

ის არის სადგური სხვადასხვა განცდათა და, როდესაც ამ სხეულის ღია სარკმლიდან იჭრება ადამიანში ტალღა სიხარულისა, ტალღა სიყვარულისა და აღტაცებისა, ადამიანის სულში ინთება ჩამქრალი სანთლები და ეს სანთლები პროჟექტორის შუქივით ანათებს სხეულის ყოველ კუნჭულს, ასეთ წუთებში ადამიანი არა გრძნობს საკუთარ ტანს და სიხარულის ოქროს ძაფზე დაკიდებული ქანაობს ცისა და დედამიწის შუა.

მარინამ ერთხელ კიდევ შეავლო თვალი სარკეს და იქვე საკარძელში ჩაეშვა. არასოდეს არ ჰქონია მას ასეთი განცდა. მას ახსოვს შეხვედრა გერმასთან, ახსოვს გატაცება რენოთი, მაგრამ გუშინდელი მისი განცდა არ იყო სრული, მას აკლდა რაღაც, აკლდა რწმენა უაღრესი ნდობისა და აკლდა კიდევ სიხარული, სიყვარულის გრძნობისა, ის შეაცქერდა მათ და მათი არსების მიღმა კი, ეძებდა სხვას, ეძებდა იმ იდეალს, რომელზედაც ის ბავშვობიდანვე ოცნებობდა.

დაფიქრდა.

არის კი ლეო ისეთი ვინმე, რომელიც მთლიანად აკმაყოფილებს მარინას?! დგას კი ლეო იმ სიმაღლეზე, რა სიმაღლეზეც დგას მარინას იდეალი?

ჯერ კიდევ აღრეა ამაზე ფიქრი, მაგრამ მასში არის საწყისი ადამიანურ გრძნობათა, არის საწყისი მაღალ მისწრაფებათა, არის სურვილი წინსვლის, არის იმედი, შესაძლებლობა და მარინასაც სჯერა, რომ ის წავა წინ, ავა მაღლა, სულ მაღლა. იქ, სადაც მისი ბავშვობის ოცნება სადგურობს და რომლის სახელი არის — ახალი ადამიანი, ახალი მამაკაცი.

ვინა ვარ მე? — ეკითხება ის თავის თავს, — ვგევარ კი იმ იდეალურ ახალ ქალს, რომელიც უნდა დადგეს ახალი მამაკაცის გვერდით?!

მე ვდგავარ ამ გზაზე, ვშრომობ, ვიბრძვი, მივდივარ წინ და მჯერა, მივაღწევ აღნიშნულ ადგილს. მე ეს მინდა და მე ამას მოვახერხებ დიახ, მოვახერხებ. — წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა.

ჩვენ ორნი, თანაბარი ენერგიის პატრონნი, ჩვენ ორნი, ერთგვარი მისწრაფების მატარებელნი ერთად ვიმუშავებთ, ერთად ვიბრძოლებთ და ერთად გადავლახავთ დაბრკოლებათა ზღუდეებს, რათა სრულყოფილი ადამიანების სახით წარვსდგეთ შთამომავლობის წინაშე. ფანჯარასთან მივიდა, ფარდა გადასწია. ქალაქის საათმა ხუთჯერ დაჰკრა და თბილისის მიყუჩებულ ქუჩებს დილის მოახლოება აუწყა.

მარინას არ ეძინა, ის გრძნობს რომ ვერ დაიძინებს დღეს და ისეა აღვსილი ფიქრით, რომ ოთახშიც ვერ ეტევა. ჯარი გამოაღო და მეოთხე სართულის ღია აივანზე გავიდა. ფუნიკულორის მაშხალები დაჰყურებს თბილისს და მთაწმინდას ასე ეუბნება:

შენ ხარ მოწამე მრავალთა დღეთა, შენ ხარ მოწამე მრავალთა ბრძოლათა. შენ ხარ მოწამე ქართველთა დამარცხებისა, გამარჯვებისა, დაცემისა და ამაღლებისა. შენ ხარ მოწამე ძველთა და ახალთა დღეთა. საუკუნეები ფრინველებივით გადაფრინდნენ შენს თავზე, მაგრამ მათი ფრთათა შეხება არ უგრძვნია შენს კედლებს, ქართველ მოღვაწეთა დაღლილ ძვლებს, მარადიულ დარაჯად უდგას ჭაღარა მამადავითი. იძინეთ, ვალმოხდილნო მგოსანნო, იძინეთ ვალმოხდილნო წინაპარნო და თქვენ კი ჰეი. ახალო თაობავ! ახალი საქმით რომ ამეტყველებთ ახალ საუკუნეს, ისმინეთ!!!

თქვენ აანთეთ განახლების ცეცხლი თბილისის თავზე. თქვენ გაავსეთ თბილისი ფაბრიკა-ქარხნებით. თქვენ აშენებთ და აშენებთ გიგანტურ შენობებს, რომელთა ჩრდილქვეშ ჩიავდება მტკვრის ბებერი ტანი. ამ საუკუნემ გააცნო მსოფლიოს დიდი ადამიანის სახელი ლენინი!

და ეს სახელი გავარდა უფრო ძლიერად, ვიდრე ზარბაზნის ტყვია, ამ სახელმა გამოაფხიზლა დაძინებული კაცობრიობა. ამ სახელმა შემოიკრიბა თავის გარშემო მშრომელთა ლეგიონები. ამ სახელს მისდევს ფეხდაფეხ მუშათა კლასი და შორს არ არის ის დღე, როდესაც ეს კლასი შეაღებს კომუნიზმის კარებს. მუხლმაგარი ხალხი ძირმაგარ ზღუდეებს დაეყრდნობა და კაცობრიობის არსებობის ისტორიას ახალ ფურცელს მიაკერებს.

მარინა შეჰყურებს გაჩირაღდნებულ ფუნიკულორს, შეჰყურებს დეკორატიულ სიმწვანეში ჩაფლულ მთაწმინდას და აღარ იცის, რომელი უფრო უყვარს. ფუნიკულორი მას იზიდავს ისე, როგორც ახალ ადამიანს ახალი ბაღები, ახალი გასართობი. მთაწმინდა კი მას უყვარს ისე, როგორც უყვარდა ოდესღაც მოხუცი პაპა, რომელსაც თოლივით თეთრი წვერები ჰქონდა და პატარა გონიერ ბავშვს გარდასულ დღეთა ამბებს მოუთხრობდა. პაპას დაეუფლა სიკვდილის სუნთქვა, მაგრამ ასეთი სუნთქვა ვერ მოერევა მამადავითს. მარინაც ხშირად, ძალიან ხშირად მიდის მასთან, ჩამოჯდება იქვე ქვაზე და ფიქრობს ასე: „პაპა დავითო! წარსულ საუკუნეთა გრძელ მანძილზე არა ერთი და ორი ტურფა ასული მოსულა შენთან, რათა მუხლებზე დაჩოქილთ ლოცვა-ვედრებით გამოეთხოვათ შენთვის სიხარული და სიყვარული. ვარაყიანი სანთლები საიდუმლო ციმციმით იღვენთებოდა ვერცხლის

მოოქრულ შანდლებში, ვარაყიანი სანთლები საიდუმლო ციმციმით აკსებდა ტაძარს და ქალწულთა სათნო სახე წმინდა ნინოს თვალებით შესცქეროდა საკურთხეველს, სადაც რომელიმე მიხრწნილი პებერი დაღლილი მოძრაობით. მონოტონურად არხევდა საცეცხლურს და საკმევლის სუნს აფრქვევდა გარშემო.

მეც მოვდივარ შენთან, მაგრამ ჩემი მოსვლა არა ჰგავს მათ მოსვლას. მე არ ვიყრი მუხლს შენს კარიბჭესთან და არ გამოველი შენგან ბედნიერებათა საგანძურებს. მე ვარ არა მეთხუთმეტე საუკუნეში მეფის კარზე აღზრდილი მორწმუნე სეფე ქალი, არამედ ბოლოცე საუკუნის გულიდან ამოსული ადამიანი, ახალი ლოზუნგებისა და ახალი იდეების მატარებელი, მაგრამ მიუხედავად ამისა. მე მაინც მიყვარს შენი თეთრი წვერი, შენი ჭაღარა თავი და ხავსით შემოსილი კედლები. ნახვამდის, პაპა დავითო, ნახვამდის!

ზევით აიხედა.

მაღლა, სულ მაღლა, ფუნიკულორის მწვერვალზე უამრავი ჭაღია ანთებული და ეს სინათლე მოპირდაპირე მთებს იდუმალების ბურუსში ახვევს. ბუნება დუმს, მაგრამ ეს დუმილი არ არის უტყვი, თვითეული მთა, ხე, თუ მცენარე თავისებური სიცოცხლით ანთება, თავისებური ენით ლაპარაკობს. არსებობს კედელი, რომელიც ამართულია ადამიანსა და ბუნების შორის და ეს კედელი ირღვევა მაშინ, როდესაც სიკვდილი მოდის. მხოლოდ სიკვდილის საშუალებით შეიძლება გადააბიჯოს ადამიანმა ამ კედელს, და მხოლოდ სიკვდილის საშუალებით შეუძლია ამოხსნას ის, რასაც მას სიცოცხლე არ ეუბნება.

უეცრად შუქი ჩაქრა და ცაში მიმობნეული ვარსკვლავებიც გაუჩინარდნენ.

ალიონი იშმუშნება; მხოლოდ ცისკრის ვარსკვლავები კაშკაშებს, მაგრამ გარშემო ჯერ კიდევ ბნელა.

მარინა ისევ ისე დგას და მის სულში ანთებული სინათლე კიდევ უფრო იზრდება, კიდევ უფრო ძლიერდება.

ჩაქრება ის ოდესმე?!

ვინ იცის, ბედი ავია და დაუნდობელი.

* * *

— როგორც ხედავთ, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა და თქვენი მეგობარი ისევ თავისუფლად დასეირნობს. — ამ სიტ-

ყვებით შეაღო მეორე დღეს ლეომ მარინას ოთახის კარები, და უბოდიშოდ იქვე დივანზე მოიკალათა.

მარინამ საავარძელი მასთან ახლოს მისწია და ისე დაჯდა, რომ ხმაც არ ამოუღია.

— რატომ არაფერს მეუბნებით, მარინა? თუმცა... თუმცა... თქვენს ნაცვლად თქვენი თვალები მეტყველებენ. აბ, ეს თვალები!! — ამბობს ლეო და მოჯადოებული ადამიანივით შეჰყურებს მას.

და მართლაც, მარინა ამ წუთს შეუდარებელია. იგი შესაქერის ვაეს დინჯი, სერიოზული, უმოძრაო თვალებით და ამ თვალებიდან ისე მკაფიოდ მოსჩანს ყველაფერი, რაც არის ამ ქალში კარგი, ლამაზი. მაღალი და ამაღელვებელი.

— მე არ ვიცი რა ჰქვია ამ გრძნობას, რომელიც ამ წუთს თქვენი თვალებიდან შემომყურებს, სიყვარული, კნება, ნებისყოფა, უბრალო ქალური ჟინიანობა, თუ... ოთხივე ერთად?! მე მხოლოდ ის ვიცი, რომ არასოდეს არ მინახიხართ ასეთი სახით და ვერც ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ თქვენ ასეთი იყავით. რა გინდათ? გინდათ შეეიძლო შეუძლებელი? გინდათ შეეჯიბრო ათას ადამიანს? შეეჯიბრები. გინდათ დაეწიო იმ იდეალს, ამას წინათ რომ წარმომიდგინეთ თქვენ? მე გავუსწრებ მას და განა მარტო მე? თქვენ შეგიძლიათ ასეთი სახით გაიტაცოთ თან მილიონ-ადამიანი და ეს მილიონი ადამიანი უყოყმანოდ გაჰყვება იმ ვზას, რომელ გზისკენაც მიუთითებთ თქვენ. აბ, მარინა, მარინა, დაბუჭეთ თვალები, მე მეტი აღარ შემიძლია. — წარმოთქვა ლეომ და ისე აწრიალდა, როგორც ადამიანი, რომელსაც უეცრად ცეცხლი წაუკიდეს.

მარინა წამოდგა. შუბლზე ჩამოყრილი თმები ხელებით უკან გადაიყარა და რამდენიმე წუთში ისევ ლეოს წინ შეჩერდა.

— ჩვეულებრივი ქალი, ჩვეულებრივი თვალებით. უცნაურია ასე სწრაფად როგორ მოახერხეთ ასეთი ფერისცვალება?! რამდენიმე წუთის წინათ თქვენგან ვულკანები გადმოდიოდა, ახლა კი სიცივეს ვგრძნობ. რატომ? მიწყრებით რამეს?!

— არა, მე თვითონ ვუწყრები ჩემ თავს.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მოგეცით ხელში ჩემი გული და გაგაგებინეთ

რა ხდება იქ, მაგრამ ლეო, გახსოვდეთ, რომ ასეთი გრძნობით მე შემიძლია შევხედო მხოლოდ ისეთ მამაკაცს, რომელიც ძალიან მომწონს, მაღელვებს, მიტაცებს და ვერასოდეს ვერ მიხილავს მე ასეთი სახით ისეთი ვინმე, რომელიც ჩემთვის მხოლოდ და მხოლოდ უბრალო ნაცნობი, ან ჩვეულებრივი ადამიანია. ახლა კი, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ და რამდენიმე დღით ეს ამბავი დავივიწყოთ.

— რამდენიმე დღით? რატომ მარინა?

— თქვენ გერჩიათ რამდენიმე თვით მეთქვა?!

— აჰ, არა, რამდენიმე თვეს ისევ რამდენიმე დღე სჯობია.

— რატომ არ მითხარით, რა მოხდა მილიციაში?! ის კაცი თქვენგან სამუდამოდ დაისაჯა და კვლავ ისეთ ოინბაზობას ვეღარ გაბედავს, მე არ ვისურვებდი მის დაპატიმრებას.

— არაფერიც არ მოხდა, ოქმი დაწერეს და ორივენი გაგვანთავისუფლეს.

— ნამდვილად? მე ეს რატომღაც არ მჯერა.

— ისეთი ჩვენება მივეცი, რომ დაუსჯელად გადარჩა და როდესაც ქუჩაში გამოვიდა ასე მითხრა: „დიდი მადლობელი ვარ თქვენი და მომხადეთ ბოდიში იმ ახალგაზრდა ქალთანო“.

მარინას გაეცინა.

— რა გაცინებთ?

— მე მისი მადლობა მაცინებს, ისე მალე დაივიწყა მუშტები?!

— მუშტზე არაფერი თქმულა, ჩვენ ორივენი ვერიდებოდით ამაზე ლაპარაკს. — უპასუხა ლეომ ღიმილითვე.

— თქვენ არ მეტყვით ამ კაცის გვარს? ვინ არის ის?

— არც ისე უმნიშვნელო ვინმეა ჩვენ რომ გვეგონა. ერთ-ერთი დაწესებულების თანამშრომელია, თუმცა მისი გარეგნული იერი და მოქმედება არ შეჰფერის მისი თანამდებობის ადამიანს. მთხოვა არავისთვის მეთქვა და მეც ვალდებული ვარ სიტყვა შევინახო. ახლა კი ამაზე ვილაპარაკოთ. ხედავთ ამ ქაღალდებს?!—ამ სიტყვებით ტყავის ჩანთიდან შეხვეული ქაღალდები ამოალაგა და იქვე მაგიდაზე დაყარა.

— რა არის ეს?!

— კორექტურაა ჩემი წიგნისა. ხვალ დილაადრიან სტამბაში უნდა მივიტანო. ნებას მომცემთ აქ ვიმუშაო? არ გამიჯავრდებით ამისთვის?

— გაგიჯავრდებით კი არა, მე თქვენ ამით ძალიან გამახარეთ, ძვირფასო მეგობარო.

— რა სთქვით, მარინა?

— ძვირფასო მეგობარო-მეთქი.

— მე ვეცდები ამ ძვირფასი სიტყვების ღირსი გავხდე. — ქაღალდები გაშალა და ფანქარი მოიმარჯვა.

— მომეცით მეც კორექტურა, დაგეხმარებით. დღეს თავისუფალი ვარ და მინდა ეს საქმე გავიზიარო.

ლეომ უსიტყვოდ ქაღალდები გადასცა.

— მაშ, ვმუშაობთ, მაგრამ ერთ პირობას გიდებთ. არ გამცეთ ხმა მანამ, სანამ თვითონ არ დაგელაპარაკებით.

ლეო დათანხმდა.

გადის ნახევარი საათი, ერთი, ორი საათი.

ლეომ ფანქარი დადო.

— მარინა!

— პირობა არ გახსოვთ!?

— ჯანდაბას პირობაც და კორექტურაც. მე დავამთავრებ მას ხახლში, დაანებეთ თავი მუშაობას.

— მე ასე ადვილად არ დავანებებ თავს, იმ საქმეს, რომელსაც ხელს ვკიდებ. განაგრძეთ მუშაობა.

— და თუ მე არ მინდა ვიმუშაო?!

— მე მინდა ეს საქმე სახლში გაკეთებული წაიღოთ, გესმით?— ლეომ ფანქარი ისევ აიღო.

გავიდა დრო და ორივემ ქაღალდები შეკეცა.

ლეო წამოდგა.

— თქვენ უკვე მიდიხართ?

— თუ მეტყვით რომ დავრჩე, დავრჩები.

— არა, მე ახლა ამას არ გეტყვით, ოქტომბრის დღესასწაული მოდის და დავალებული მაქვს საავადმყოფოში მოხსენება გავაკეთო. მინდა დღეს ვიფიქრო ამის შესახებ.

— მაშ რატომ გაცდით, მაშ რად არ მითხარით?

— ამ მუშაობას მე გაცდენათ არ ვთვლი. მე მხოლოდ ისეთი კაცი შემიძლია მომწონდეს, რომელიც მოვა ჩემთან არა მარტო საცუღლუტო და უშინაარსო სიტყვების სალაპარაკოდ, თუ ის მართლა ჩემი მეგობარია, უნდა მოვიდეს და მოიტანოს სამუშაოც, წიგნიც, შინაარსიანი საუბარიც. მას უნდა ჰქონდეს უფლება მე შემა-

წუხოს, მაგრამ სამაგიეროდ მანაც უნდა შეიწუხოს ჩემთვის თავი, თუ ეს ჩემთვის საჭირო იქნება. მე უნდა გავცდე მისთვის, მაგრამ სამაგიეროდ მასაც არ უნდა დაეზაროს დაკარგოს ჩემთვის რამდენიმე წუთი.

— ეს არის ჩვენი მეგობრობის მოკლე „პროგრამა“?! — იკითხა ლეომ ხუმრობით.

— უფრო ვრცელი შემდეგ შევადგინოთ, — უპასუხა მარინამ ღიმილით და მის ხელს ხელი შეაგება.

— მე ვიცი, რომ ამ პატარა ხელებს გარტყმაც შეუძლია და, ჭეშმარიტად, მაგრამ საინტერესოა, ეხერხება თუ არა ამ უსუსურ თათებს მოფერება?

— ოო, და მერე როგორი?!

— აბა ვსინჯოთ, — ამბობს ლეო და თავის ხუჭუჭა თავს ოდნავი აიცელქით დაბლა ხრის.

მარინა ყოყმანობს.

—ეე მინდა უბრალო მეგობრული მოფერება, მე ეს დავიმსახურე და თქვენ... — რატომ გაშინებთ ეს ამბავი?!

მარინამ ხელი მის თავს დაადო და შავი გრუზა თმები თითებით დაულაგა. ლეო შეიცვალა, უეცრად მოვარდნილმა ვნებამ მთელი მისი მამაკაცური ბუნება ააფორიაქა.

მარინამ უკან დაიხია.

— რად გარბიხართ?! — შეეკითხა ლეო და შეეცადა რომ ეს მღელვარება როგორმე დაეფარა.

— ჯერჯერობით ესეც კმარა. ნახვამდის ძვირფასო მეგობარო.

— კარგი, მე წავალ და სახსოვრად თქვენი უკანასკნელი სიტყვები წამყვება. ნახვამდის ძვირფასო მარინა — ამ სიტყვებით ის გავიდა და გულით დიდი სიხარული წაიღო.

ასეთივე დიდი სიხარული დატოვა მარინასთან.

*

გამარჯობა მარინა! ეს მე ვარ, აბა, შემომხედე, — მის წინ პოლინა იდგა, პოლინა, რომელიც რამდენიმე კვირის წინათ აჭარაში წავიდა სამუშაოდ.

— გამარჯობა მეგობარო, მაგრამ შენ ისე გამოიყურები, როგორც ადამიანი, რომელმაც მეტად სახიფათო წუთები განიცადა.

გამხდარხარ. — ამ სიტყვებით რამდენჯერმე აკოცა ცხა და მი-
შეფერთხილ შავგვრემან სახეს საალერსოდ თითები შეახო.

— იცი, მარინა! არც ისე ადვილი ყოფილა ტრადიციული თან-
მების დაგლეჯა, მე დავიღალე, მაგრამ ჩემი საქმე პირნათლად შე-
ვასრულე. გავაკეთე ის, რის გაკეთებაც აუცილებელი იყო.

— მიამბე დაწვრილებით ყველაფერი, ეს ალბათ საინტერე-
სოა. — ამ სიტყვებით მეგობარს ჩაი დაუდგა. პოლინამ კოვზ-
აიღო.

— ჰო, — განაგრძო პოლინამ საუბარი, — შენ გინდა გელაპა-
რაკო აჭარაზე, მაგრამ ამაზე შემდეგ. პირველ ყოვლისა შენ შესა-
ხებ მიამბე რამე. შენი წერილების ბურუსიანი კილო მე სერიო-
ზულად მაფიქრებდა და ჩემ დეპეშას შენ ასე უპასუხე: „გრიგა-
ლები ჩადგნენ და მე ისევ კარგად ვარ". — არ მეტყვი, რა მოხდა?

მარინა მის პირდაპირ ჩამოჯდა, თვალებში შეხედა, ცოტა ხნით
დაფიქრდა და ისევ თავი მალე ზევით აიღო, ხელი ჩაიქნია და დაუ-
ფარავად გადასცა ყველაფერი.

— მე მაოცებს შენი მაგარი ნებისყოფა, ლამის ამურები გაი-
შიკრიკო და ეროსს ყურები აუწიო. ყოჩაღ მარინა, შეგიძლია მოგ-
წონდეს შენი თავი.

— ჩემ შესახებ ცუდი აზრის არა ვარ, მაგრამ ვისურვებდი
უკეთესი ვყოფილიყავი. მე კიდევ ბევრს ვიმუშავებ ჩემ თავზე,
თუმცა არ ვიცი, მივაღწევ, თუ არა სრულყოფის მწვერვალს, ნე-
ტავ თუ არსებობს ისეთი ვინმე, რომელსაც შეუძლია თქვას:

„მოდით და შემხედეთ",

„მოდით და გამიგეთ",

„მოდით და ისწავლეთ".

— რას იღიმები? შეუძლებელ რამეზე ვფიქრობ?

— პირიქით, ბრმა ყოფილხარ, თუ სახელი ასეთი ადამიანისა
დაგავიწყდა. განა არ ხედავ იმ ბუმბერაზ ბელადს, რომელმაც მო-
ნარქიულ რუსეთს ძირი გამოუთხარა?!

— არა, მე ერთეულებს კი არ ვგულისხმობ, არამედ ხალხის
მასიურ ამაღლებას.

— და მაინც შენ კიდევ არ იცნობ ცხოვრებას ისე, როგორც მე.
დღეს ჩვენი ქვეყანა ისეა ჩაბმული სალიტერატურო მუშაობაში და
დღითი დღე იზრდება, რომ ათასი თვალია საჭირო, ეს რომ დაი-
ნახო.

საქართველო აივსო ახალი ადამიანებით, რომლებსაც შრომის გმირებს ეძახიან და არსებული ხელისუფლება აჯილდოვებს მათ ღირსეულ ჯილდოებით, ლენინის ორდენებით.

რაც შეეხება ზეკაცს, ეს ნიცშეს მოგონილი ზღაპარია, თუმცა, ვინ იცის, თუ როგორ ამღერდებოდა ის ლენინის ბრძოლებს რომ მოსწრებოდა. თანამედროვე ადამიანს ნიცშეანობა არ ეპატიება.

— არასოდეს ნიცშეანელი არ ვყოფილვარ და არც შეუძლებელი რამ დამისახავს მიზნად, მე ვამბობ, რომ ყველას შეუძლია, თუ მოინდომებს, გავლენა მოახდინოს თავის საკუთარ თავზე და თავისი ხასიათის ცუდი მხარეები გამოასწოროს, მე ხომ დიდ ადამიანებს არ ვგულისხმობ.

— ამგვარი მეტამორფოზა ერთგვარ გმირობად ითვლება და ყველა ვერ იზამს ამას. შენ გაიმარჯვე შენს თავზე და ეს უსათუოდ საქებია, მაგრამ ახლა ერთი რამ ძალიან მაინტერესებს და შენც უნდა მიპასუხო ამაზე. იქნები გულწრფელი, მარინა?!

— უსათუოდ, მით უმეტს, რომ შენთან დასამალი არაფერი მაქვს.

— როგორ მოხდა, რომ ხუთი წლის განმავლობაში შენ სამი მამაკაცით დაინტერესდი. მე მხოლოდ ერთხელ მიყვარდა და გრძნობათა ასეთი ცვალებადობა მაკვირვებს.

— ვეცდები გასაგები ენით ავხსნა ეს, ავიღოთ მაგალითად გერგაძე. ეს კაცი, მეგონა, მიყვარდა და ვუყურებდი მას ისე, როგორც დაუმუშავებელ მასალას, ვცდილობდი ამ მასალიდან ერთი მთლიანი და ჯანსაღი სახე გამომეკვეთა, მაგრამ ეს ადვილი არ დარჩა, მასალა უვარგისი აღმოჩნდა და მე დავმარცხდი.

— მეორე?

— ეს მეორე მინდოდა მყვარებოდა და მე მისი ბუნების კარგმა მხარეებმა გამიტაცა, მაგრამ როდესაც ახლოს შევხედე, გამოირკვა, რომ მის სულშიც არსებობს ერთგვარი ქაოსი, რომელსაც ის არც გრძნობს. ამას გარდა ჩვენ ორივენი ვცდებოდით. ის ეძებდა ჩემში დაკარგული მერის მეორე სახეს, მე კი მასში ინტელექტუალურად ძლიერ ადამიანს და კიდევ ისეთ ვინმეს, რომელიც ჩემს ქალურ განცდებს შესაფერისი გზით წარმართავდა. ორივენი მალე გამოვფხიზლდით, ის მთლიანად მიბრუნდა მერისკენ და მეც დღითი დღე ვრწმუნდებოდი რომ არა მამაკაცი მიყვარდა მასში, არამედ მასწავლებელი და მეგობარი.

— მესამე?!

— ეს მესამე ნამდვილად მიყვარს, თუმცა სიყვარულიც ისე არ მესმის, როგორც საზოგადოდ ესმის ეს სხვებს. ერთ კაცს რომ მილიონ ადამიანში ამოარჩევ და ამ ერთ კაცთან დააპირებ ცხოვრებას, რა ქვია ამას?! სიყვარული. თუ არჩევანის ერთ ადამიანზე მიგდება? რად გინდა ის? იმიტომ რომ სხვებზე უკეთესია, თუ იმიტომ რომ ის შენ გიზიდავს და უნაკლო ადამიანად გეჩვენება? მოგვეწონება და გაგვიტაცებს ჩვენ ისეთი ვინმე, რომელიც აოცებს ადამიანს თავისი სულიერი, თუ ფიზიკური სიმახინჯით?! ისეთი ვინმე, რომელიც ღალატობს საკუთარ ძმას და გაჰყიდის ადამიანს?! ცხადია, არა. ჩანს, რომ ჩვენს მიერ არჩეული და დაჩემებული პიროვნება კარგია, ან არა და ის ჩვენ კარგათ გვეჩვენება. ჩემს მიერ არჩეულ მესამეს არ ახასიათებს არც უკუღმა პირი, არც „იმიტაციური“ გარეგნობა, აქ ყველაფერი ნათელია და მისი თვალებიდან ისე იხედები მის სულში, როგორც ვიხედებით ჩვენ აი, ამ ბროლის ჭიქაში. ის ლაპარაკობს და შენ გჯერა, რომ სიმართლეს ლაპარაკობს, ის აზროვნებს, დადის, მუშაობს, უცქერი და ხედავ, რომ აქ არ არის სიყალბე და რომ აქ ყველაფერი ისე ხდება, როგორც საჭიროა.

თვალები გატაცებული ადამიანისა გამდიდრებელ შუშას წარმოადგენს და მისი მხედველობა ვერ თავსდება ნორმალურ ჩარჩოში, შენ აჭარბებ ალბათ, მაგრამ მე მაინც ვერ გავიგე, რა გიყვარს შენ, ადამიანი თუ მისი სულიერი სამყარო, არიან ქალები, რომლებიც ამბობენ: „ჩვენ გვიყვარს თანაბრად საყვარელი მამაკაცის, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები“. შენ ამას ვერ იტყვი და ჯერ კიდევ უთუოდ, არავინ გყვარებია, თორემ საყვარელ ადამიანს პატარა ნაკლს უეჭველად აპატიებდი, ვინ არის ამქვეყნად უნაკლო?!

— გერგაძის ნაკლი პატარა არ ყოფილა, ის დიდი იყო, იმდენად დიდი, რომ არ შემეძლო არ დამენახა ის, არ შემეძლო მეპატიებია ის. რაც შეეხება რენოს ნაკლს, არ ვიცი შეიძლება თუ არა დაერქვას მას დიდი ნაკლი. ყოველი მამაკაცი წაავლებს ხელს ახალგაზრდა ქალს, თუ ეს ქალი არ იტყვის უარს ამაზე, მაგრამ გამოერევა ისეთი ვინმეც, რომელიც ამას არ იკადრებს, ისეთი ვინმე, რომელიც არ აიღებს, თუ სამაგიეროს გაღება არ შეუძლია. ქალისათვის ეს ყველაფერია, მამაკაცისათვის არაფერი. აქ მსხვერპლის გაღებაა

საჭირო, ე. ი. მე მან გამიმეტა საამისოდ, მაგრამ მე თვითონ არ გავიმეტე ჩემი თავი, რად მოხდა აგრე?! არ მიყვარდა? რა ვიცი, იქნება ეს ასეც იყო. შემეშინდა? ესეც შესაძლებელია. ცუდია ეს? ყოველ შემთხვევაში ჩემთვის არ არის ცუდი.

— ვისაც უყვარს, ის მსხვერპლზე არ ფიქრობს, ვისაც უყვარს, ის გასცემს ყველაფერს და სამაგიეროდ არაფერს მოითხოვს.

— მე არა მწამს ასეთი თავგანწირვა და მით უმეტეს არა მწამს ის იქ, სადაც სამაგიერო თავგანწირვას არ ვხედავ. მე მინდოდა გერმა და დავშორდი მას, მინდოდა რენო და აღარ მინდა ის დღეს. მომწონს და მიზიდავს ლეო, მაგრამ თუ აქაც მოვტყუვდი, მე დავტოვებ მასაც. ეს გრძნობა მოდის, მაგრამ ის არ უშლის ხელს არც ჩემ საზოგადოებრივ საქმიანობას, არც ჩემ მეცნიერულ მუშაობას... მე არ ვისურვებდი სხვაგვარი ვყოფილიყავ. მე ვცხოვრობ და მე ვქმნი ამ ცხოვრებას, მე ვარსებობ და არა ვარ სხვაზე დამოკიდებული, მე მაქვს ენერგია და მჯერა გავიმარჯვებ, ამიტომ მე არ მრცხვენია ამის.

— ბედნიერი ქალი ხარ შენ, მარინა, ყველას არ შეუძლია ამის თქმა.

— არ ვიცი—რა ვარ მე, ყოველ შემთხვევაში, ჯერ კიდევ ბედნიერი არ ვყოფილვარ. ახლა ზურაბზე ვილაპარაკოთ, როდის მოდის ის საქართველოში და რა არის მიზეზი მისი დაგვიანებისა?

— ის გაგზავნეს აქედან განსაკუთრებული დავალებით და ის ვერ დაბრუნდება მანამდე, სანამ ეს საქმეები არ მოგვარდება. თვითეული მისი წერილი მთელი ეპისტოლეა, მატყობინებს მოსკოვის ამბებს და პოლიტიკური საქმიანობის შედეგებს. ერთ-ერთ წერილს ფანქრით ასეთი მინაწერი აქვს: „ყოველდღიურად მახვევია ქერა ქალწულების მთელი ლაშქარი, მაგრამ მე ჩემი შავი გოგო მაინც არ მავიწყდება“.

— და შენ არ გაშინებენ ეს ქერა ქალიშვილები?!

—არა, მარინა, თუ რომელიმე მათგანი გაართობს ჩემ ზურაბს თავისუფალ წუთებში, ის ჩემგან ამისათვის მადლობასაც კი მიიღებს. — წარმოთქვა მან და მის სიტყვებში მშობლიური სინაზე უფრო მეტი მოისმა, ვიდრე ქალური ეჭვიანობა.

— აი, სად მეღავნდება ქალისა და მამაკაცის ბუნების სხვაობა არასოდეს და არავითარ შემთხვევაში არც ერთი ქმარი არ უსურ-

ვებს ასეთ რამეს თავის ცოლს და მას ამისათვის ვერც გავამტყუნებთ.

— მართალია, მაგრამ ქალს ეყოფა ბუნების მიერ დადებული ტვირთიც და ამ ტვირთს ვერ მოვუმატებთ კიდევ იმ უღელს, რომელიც ჩვენთვის ოდესღაც მამაკაცებს გაუჭედიათ. ავიღოთ, მაგალითად, აჭარა. რამდენიმე კვირა დავყავი იქ და მეგონა რომ მე აღარ ვცხოვრობდი თავისუფალ ქვეყანაში.

მშვენიერია იქაური ბუნება. ამაყად აზიდულ გურია-აჭარის მთებს ხმალივით სქრის ჭოროხის გიჟმაჟი ტალღები. უფრო ზევით, წყალვარდნილები ღრიალით ეხეთქებიან ნაპრალებს და კიდევ ზევით, ქოთანივით გაბზარულ კლდიდან, გაგიჟებული სიჩქარით მიჰქრის ქაფმოდებული ჩანჩქერი და ყვავილებით აფერადებულ ტყის ნაპირებს, ცელქი ბავშვივით ატეხს ცხვირ-პირს. ლამაზად არის შექმნილი ეს მხარე, მაგრამ ადამიანთა მიერ გამოგონილი კანონები ჩრდილავს ამ სილამაზეს. მე მოვიარე ფეხით, მთელი აჭარა დავათვალიერე და შევისწავლე თვითეული დაბა, სოფელი, მწყემსების საცხოვრებელი ბინა და დავრწმუნდი იმაში, რომ ქალთა მდგომარეობა მძიმეა. შენ უნდა წარმოიდგინო მდგომარეობა იმ ქალებისა, რომლებსაც უყვართ თავიანთი ქმრები და იძულებულნი კი არიან ესმოდეთ, თუ როგორ ეალერსება მათი საყვარელი ქმარი მეორე ოთახში, მეორე ცოლს.

წარმოიდგინო მდგომარეობა იმ ახალგაზრდა ქალიშვილების, რომლებმაც შეიგრძნეს სიცოცხლის მშვენიერება, შეიგრძნეს სიყვარულის ბედნიერება, მაგრამ ადათებზე დაყრდნობილი ზოგიერთი მშობლები ერთის ხელის მოსმით სწვავენ და სპობენ მათ გულში ყვავილებს პირველი გატაცებისას და ჰქონდა ადგილი ასევე ძალადობას, როდესაც თექვსმეტი წლის გოგონა მიათხოვეს ორმოცდაათი წლის ხოჯას და ამ გოგონას ყმაწვილი სატრფო სამუდამოდ დაიკარგა სამშობლოდან. მე თვითონ ვცხოვრობდი ერთ-ერთ შეძლებულ, მაგრამ მოხუც და ავყია აჭარლის სახლში. სამოცდაორი წლის კაცი დაქვრივებულა და ცოლად თვრამეტი წლის ქალიშვილი შეურთავს, მეორე ოთახიდან გამუდმებით მესმოდა მისი ბრძანება:

— სურია, წყალი მოიტანე.

— სურია, ბავშვები დააძინე.

— სურია, სადილი მოამზადე.

— სურია საქონელი მორეკე,

— სურია, ყანა გამოთოხნე.

ისიც უსიტყვოდ და უპროტესტოდ ასრულებდა მის თვითეულ ბრძანებას და, როდესაც საღამოს, დაქანცული შემოაღებდა ოთახის კარებს, ქმარი-ბატონი უხეშად ფეხებს მიუშვერდა და ეტყოდა:

— გამხადე ჩექმები.

— დამბანე ფეხი,

— გამიშალე ლოგინი.

საუცხოო თვალები აქვს ამ უბედურ ქალს, შავი, დიდრონი, სევდიანი და, როდესაც შევცქეროდი მას, უნებურად წარმომიდგებოდა დიუშენის „თამილა“, „კაბილოს მთების პატარა ასული“, რომელიც დაიღუპა მუსულმანთა უვარგისი ადათების გამო და რომლის მოგონება მე უცრემლოდ არ ძალმიძს.

ხშირად, როდესაც მიდიოდა ის უზარმაზარი კოკით მხარზე რომელიმე წყაროს მიმართულებით და მოჩანდა მისი მოხრილი სილუეტი, საშინელი სურვილი მიპყრობდა მივვარდნოდი მას, დამემტვრია კოკა და მეთქვა მისთვის: „შეხედე შენ თავს და შეიგრძენ ყოფა ახალი, რომ შენ ადამიანი ხარ და არა პირუტყვი, რომ შენ ცოლი ხარ და არა მონა“, — მის მხრებზე კოკა ვერ დავამტვრიე, მაგრამ მისი ბებერი ქმარი კი მოვდრიკე და დღეს ეს ახალგაზრდა ქალი ჩვენს წრეში მუშაობს. შენ უნდა დაგენახა, როგორ უბრწყინავდა მას თვალები სხდომების დროს, როდესაც მე ქალთა უფლებებზე დავიწყებდი ლაპარაკს. ერთხელ ისეთი ექსტაზით აინთო, რომ წრე გარღვია, მომვარდა და ქვითინით ჩემს მუხლებს მოეხვია. მაგარი ქალი ვარ, მაგრამ ამ სანახაობამ მაინც შემარხია. ერთ დღეს მისმა ქმარმა ასეთი სიტყვებით მომმართა:

— თქვენ ახელებთ ჩემ ცოლს და რყვნით ჩვენ ქალებს, გთხოვთ, დატოვოთ ჩემი ოჯახი და ეს მხარეც, წინააღმდეგ შემთხვევაში...

გაწყვეტილი სიტყვა თვალების მკაცრი ბრიალით დაამთავრა და წინადადება მომცა, რაც შეიძლება ჩქარა გამეწმინდა მათი მხარე ჩემი მავნე იდეებით, არ შემეშფოთებინა ადგილობრივი მცხოვრებნი.

— თქვენი ბრძანებით არ მოვსულვარ აქ და არც თქვენი ბრძანებით წავალ, — ვუპასუხე მე და იმავე დღეს გადავედი ერთ-ერთ პარტიულ ამხანაგის ბინაზე. იყო შემთხვევა, როცა გამხეცებულმა ქმარმა დანით გამოჭრა ყელი ცოლს, ჩადრის მოხსნის გამო.

— და შენ ცხოვრობდი ასეთ სახლში და არ გაშინებდა მათი შურისძიება?

— შენი თავი არ უნდა გიყვარდეს იმ საქმეზე მეტად, რომელსაც აკეთებ და რომელიც სასიცოცხლო მიზნად დაგისახავს, რას მიქვია შიში, როდესაც საკაცობრიო იდეალებს ემსახურები და გესმის მოწოდება: „მიშველე"! შენ აღარ გაქვს იმ წუთს იმის დრო, რომ მოიხედო უკან, რომ შეხედო შენ თავს, იფიქრო საკუთარ საშიშროებაზე. შენ უნდა წახვიდე წინ, სულ წინ და უშველო თუგინდ ეს შველა სიცოცხლედ დაგიჯდეს.

— და შენც იბრძოდი, ალბათ, როგორც ლომი და კბილებით ამტვრევდი აჭარელთა მიერ გაჭედილ ბორკილებს.

— არა, მე უფრო ველურ კატას წავაგავდი და გაალმასებულ კლანჭებს ხან მარცხნით, ხან მარჯვნით გამოვკრავდი. იყვნენ ადამიანები, რომლებიც ცდილობდენ მოეკვეთათ ჩემთვის ეს კლანჭები, მაგრამ, როგორც ხედავთ, ვერ მოახერხეს და მე ისევ თბილისში ვარ.

— ჩემო კარგო, პოლინა, მე ვამაყობ, რომ შენისთანა მეგობარი მყავს.

— შენ დამიწყებ ახლა ქათინაურებს. უკეთესია წამოხვიდე და ნახო. მე წამოვიყვანე თან რამდენიმე დელეგატი ქალი. რომლებმაც მონაწილეობა უნდა მიიღონ ოქტომბრის დღესასწაულში. ისინი მიცდიან რედაქციაში, წავიდეთ მათთან.

* * *

აჭარიდან მოფრენილ მერცხლებს აქაური ქალები გულთბილად დაუხვდნენ და ისინიც დიდის ყურადღებით უგდებდნენ ყურს ყველაფერს, რაზედაც მათ ელაპარაკებოდნენ.

ზოგიერთი მათგანი ჯერ კიდევ მორცხვობს და, როდესაც დარბაზში მამაკაცი შემოდის, უნებურად ხელებით ისეთ მოძრაობას აკეთებს, როგორც ჩადრიანან ქალს სჩვევია. მათ შორის არიან სულ ახალგაზრდა, შეგნებული ქალიშვილებიც, რომლებსაც ჩადრი არასოდეს უტარებიათ, თავი თამამად უჭირავთ და ერთგვარი დამშვიდებით საუბრობენ როგორც ქალებთან, ისე მამაკაცებთან.

უეცრად რედაქციის კარები მძაფრი ხმაურით გაიღო და ოთახ-

ში ახალგაზრდა აჭარელი შემოიჭრა. თვალებში რისხვა ჩასჯდომია და ათრთოლებული ხელი რევოლვერის ტარზე აქვს დაბჯენილი.

— ხასან. — წამოიძახა ერთ-ერთმა ქალმა და უმალვე ხმა სიცოცხლით გაუწყდა.

ვაჟმა ორი მრისხანე ნაკვერცხალი თავისი ბრდღვიალა თვალებისა მისკენ მუქარით მიატრიალა და ჯიქური მოძრაობით პოლინას საშუშაო მაგიდის წინ შიშველი ხმალივით დაერეკა.

— თქვენ არ იცმარეთ ის, რომ ჩვენ ქალებს ჩადრები მოხსენით და ახლა კიდევ გინდათ წითელი თავსაფრებით ჩამოატაროთ ისინი ქალაქის ქუჩებში? მე გეკითხებით თქვენ — ვითვლები თუ არა ჩემი ცოლის ქმრად?

— ამის უფლებას არავინ გართმევთ, — უპასუხა პოლინამ სერიოზული სახით.

— მე წამართვეს უკვე ეს უფლება, მე არ მცნეს ადამიანად და მე დავეძებ დამნაშავეს, რომელიც აგებს პასუხს ჩემს წინაშე.

— დამშვიდდით, ამხანაგო, ნუ ცხარობთ და გამაგებინეთ რა გინდათ ჩემგან?!

— მე მინდა წავიყვანო ჩემი ცოლი, მგონია ეს ქალი მეკუთვნის მე და არა თქვენ.

— ფერიდე, გამოდი აქეთ და დაარწმუნე შენი ქმარი, რომ ეს შეუძლებელია. შენ აგირჩია დელეგატად აჭარის ქალთა ყრილობამ და შენ ვერ წახვალ აქედან მანამდე, სანამ არ შეასრულებ დაკისრებულ მოვალეობას.

ჯგუფს ახალგაზრდა ქალი გამოეყო, რკალივით მოხრილი წარბები ერთმანეთს გადაბმია. შავი ჭკვიანი თვალები ისეთი გამომეტყველებით შეანათა თავის ქმარს, რომ მან ვერ აიტანა ეს მზერა და ოდნავ შემკრთალმა თავი დახარა.

— ხასან. შენ ალბათ დაგავიწყდა, თუ რა პირობით გამოგყევი ცოლად, მე არ უნდა ვყოფილიყავ შენ მიერ შებოჭილი და მე უნდა მქონოდა მოქმედების თავისუფლება, რასა გავს ეს?!

— შენ მუშაობდი იქ ჩვენთან და ამის საწინააღმდეგო არაფერი მქონდა, მაგრამ მარტო ამით არ დაკმაყოფილდი და ჩემი სახლში არყოფნის დროს აქეთ გამოემგზავრე.

— და შენც იმის ნაცვლად, რომ შეგეხედა ამ ამბისათვის შეგნებული კაცის თვალებით, შურისძიების ცეცხლით აენთე და

გამოედევნე უკან შენ ცოლს, რომელსაც ისევ ისე უყვარხარ და რომელიც დაბრუნდებოდა შენთან სამი დღის შემდეგ.

შენ არ უნდა მომექცე მე სასტიკად ფერიდე და არ უნდა მომთხოვო ისეთი რამ, რის ატანაც არ შეგიძლია.

— მე ერთგული ცოლი ვარ შენი და არც არასოდეს შენს სახელს არ შევარცხვენ, მაგრამ შენ პირველ ყოვლისა ახალგაზრდა კაცი ხარ. მეორედ, არა ხარ უვიცი და მესამედ, რაც უმთავრესია, ქმარი ხარ ჩემი. მე მეგონა, რომ შენც ჩემსავით გებრალებოდა საუკუნოებით დაჩაგრული აჭარელი ქალი და ჩემთან ერთად იბრძოლებდი იმათ გასანთავისუფლებლად. შენ არა ხარ ბოროტი, ხასან, შენ კეთილი გული გაქვს და ამას წინათ შენ მოუქნიე სახრე ერთ გაბოროტებულ აჭარელს, რომელიც ცოლს დაუზოგავად სცემდა. ჩვენ არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი იმ უსამართლობის შესახებ, რომელსაც აქვს ადგილი აჭარაში და არა ერთხელ გიამაყნია იმით, რომ შენი ცოლი ასეთ მდგომარეობაში არ არის და რომ შენ არასოდეს არ გაგზავნი მას ყანაში სამუშაოდ. ხომ გახსოვს რა ვიპასუხე ამაზე?

— მახსოვს, შენ მითხარი „თუ საჭირო დარჩა მე თითონ ამოგიდგები გვერდში მეგობრულად და შენთან ერთად გავმარგლავ ყანას. მე ჯანსაღი ქალი ვარ და მინდვრად მუშაობა მიყვარს, მე ახალი ქალი ვარ და მამაკაცურ საქმესაც არ ვითაკილებ, მაგრამ ეს არ უნდა ითვლებოდეს ჩემთვის სავალდებულოდ და ქმარმაც არ უნდა იფიქროს, რომ ის ბატონია და მე მისი ყმა, რომ მე უნდა გავაკეთო ყველაფერი და მან არაფერი. ქალს ჯერ კიდევ აწევს ტვირთად ოჯახი და ქმარშვილის სამსახური და თუ ის ამის გარდა კიდევ იშოვის დროს და ველ-მინდვრად გასულ ქმარს დაეხმარება მის მამაკაცურ მუშაობაში, ეს უნდა ითვლებოდეს გმირობად და არა სავალდებულოდ“.

— ჰო, დაახლოებით ასეთი იყო ჩემი პასუხი და მეც მახსოვს, თუ როგორი სიხარული გამოიწვია შენში ამ პასუხმა. რა გაგეხარდა შენ მაშინ ხასან და ან რა დაინახე იმ წუთს ჩემში?

— მე დამარწმუნა ამ პასუხმა, რომ შენ არა მარტო ცოლი ხარ ჩემი, არამედ ამხანაგი, მეუღლე, თანატოლი. აი. რა გამეხარდა მე მაშინ, ფერიდე.

— მეც მინდა რითიმე გამახარო და მეც მოვითხოვ შენგან ჩემი სიტყვების საპასუხოდ, სამაგიერო გრძნობებს, არ მინდა გისაყვე-

დურო. მე ისე ერთბაშად დაგაყარე მთელი საკითხები, რომ შენ ეს ასე სწრაფად ვერ მოინელე. ამას გარდა შენ აღზრდილი ხარ ისეთ ოჯახში, სადაც აჭარელთა ადათებს მტკიცედ იცავენ და არ არის გასაკვირი, რომ შენში ჯერ კიდევ მაგრად ზის მამა-პაპათა ნაქადაგარი. მიუხედავათ ამისა, მე იმედი მაქვს, რომ თანდათანობით შეეჩვევი საზოგადო საქმიანობას და ერთი წლის შემდეგ ერთ-ერთი მებრძოლი, აჭარელ მამაკაცთა შორის, ქალთა განთავისუფლების საკითხში შენც იჭნები. ხომ ასე იქნება ხასან? — შეეკითხა ფერიდე და მის მხარს ალერსით ხელი დაადო.

— კარგი, ფერიდე, შენ მართლა შემარცხვინე და მე მხოლოდ ახლა ვგრძნობ, რომ ცუდად მოვიქეცი. მე ვბრუნდები დღესვე სახლში და შენ დაბრუნებამდე მოვუვლი ჩვენ შვილს, მე ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ვისწავლო თქვენგან და გაძლევ პატიოსან სიტყვას, რომ კვლავ არასოდეს შეგარცხვენს შენი ქმარი.

— ჩემო ხასან! მე მჯერა შენი და ახლა ბოდიში უნდა მოუხადო ჩვენ ხელმძღვანელ ქალს, რომელთანაც ასე დაუკითხავად შემოიჭერ და რომელიც ასე დაუმსახურებლად შეურაცხყვე.

— მე უსათუოდ დავაშავე და ჩემი ბოდიშით ვერ გავიმართლებ ჩემს თავს თქვენს წინაშე,— დაილაპარაკა მან და დარცხვენილი თვალებით პოლინას შეხედა.

— ბოდიშები არ არის საჭირო, ამხანაგო ხასან. შეცდომებს დანაშაულად არ ჩაგითვლით და გაუგებრობას შეურაცხყოფად არ მივიღებთ. მე კიდევ ვესტუმრები აჭარას და ჩვენ კიდევ ვიმუშავებთ ერთად. ნახვამდის, ჩემო კარგო. — ამ სიტყვებით მეგობრულად გაუწოდა მას ხელი. ახალგაზრდა აჭარელის სახეზე მისდამი ნდობისა და პატივისცემის გრძნობა აღიბეჭდა.

ოქტომბრის დღესასწაული უჩვეულო ზეიმით ტარდება.

ქუჩები ცოცხალი ყვავილებით აივსო. ბელადების სურათები ელნათურებით შემოიფარგლა, გაისმის მუსიკის გუგუნი, ქალაქი, ჩვენი ძველი ქალაქი, დროშათა ტყით შემოფარგლულა და ეს ტყე შრიალებს ყოველი სახლის აივანზე.

ტორტმანებს ზღვა ხალხი თბილისის ქუჩებში, მოძრაობს ეს ზღვა, მოდის, მოღელავს და თამაშობს ზვირთები ზღვისა. მოდის ხალხი ამაყი, მხიარული, თავისუფალი.

მღერიან, მღერიან, თავისუფლების სიმღერებს ყველგან, წინ, უკან, შორს, კიდევ იქით.

აქ ტრიბუნა აზიდულა და ორატორები მჭევრმეტყველებენ, ლაპარაკობს რადიო, გაისმის სიტყვები, ლექსები, სიმღერები და იმსხვრევა ეს ხმები და აცვივა ეს ხმები მოძრავ დემონსტრანტებს. „გაუმარჯოს ოქტომბერს“, „ვაშა!“ — ისმის ტრიბუნიდან, ხალხი იტაცებს ამ უკანასკნელ სიტყვას და საპასუხო „ვაშა“ გადადის ერთი ჯგუფიდან მეორე ჯგუფში, ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში.

ლოზუნგებით, მწყობრი ნაბიჯებით მოდიან ადამიანები, წითელ არმიელებს სცვლიან მოსამსახურეები, მოსამსახურეებს — მუშები, მუშებს — მოზარდი ახალგაზრდობა და სტუდენტობა. ეს უკანასკნელი ზღვასავით გადაშლილ ფონზე განსაკუთრებული სიმძაფრით ამჟღავნებს უჩვეულო მიღწევებს, ფიზკულტურისა და სპორტის თვალსაჩინო შედეგებს. მზედაკრულნი მოდიან ისინი წინ, მწყობრი ნაბიჯებით და ჰარმონიული მოძრაობა ჰქმნის ერთგვარ ილუზიას ტალღებსა და მუსიკას შორის.

უეცრად ტაშმა იგრიალა და ამ ტაშმა აირბინა ქუჩის მარცხენა მხარე, გადმოვიდა მარჯვენა მხარეს, აფრინდა ბანებზე, აივნებზე, გადმოვიდა მარჯვენა მხრით, შეიჭრა ყოველი შენობის ღია ფანჯრებში და გაიმართა დაუსრულებელი ოვაცია, უჩვეულო ოვაცია, რა მოხდა?!

დემონსტრაციას ჭრის სამი უზარმაზარი მანქანა, წინა რიგში მოდის მძიმე არტილერია და ზარბაზნებს ისე დაუღია ხახა, ლამის შთანთქას საბჭოთა ქვეყნის მტრები.

უკანა მანქანა ავსებულია წითელი დროშებით და ტარები ამ დროშებისა წვეტიანი თავებით მზეზე ლაპლაპებენ.

მესამე მანქანა მოძრავი ტრიბუნაა და ამ ტრიბუნაზე მთელი თავისი სიმაღლით და სიდიადით დგას ლენინი.

ისევ ტაში, ისევ აღტაცება, ისევ სიმღერა.

თბილისის თავზე გამუდმებით ბრუნავს თვითმფრინავი, ავიატორი კი, დაკვირვებული თვალით ზვერავს თავისი ქვეყნის ყოველ მნიშვნელოვან კუთხეს, ყოველ მნიშვნელოვან საზღვარს და გრძელდება ასე ოქტომბრის ზეიმი.

■ ■ ■

მარინა ნელი ნაბიჯით მისდევს სადღესასწაულო დემონსტრაციას და თანდათანობით უახლოვდება საზეიმოდ მორთულ ტრიბუნას. ტრიბუნიდან პოლინა ლაპარაკობს, მაგრამ მარინა ჯერ კიდევ

შორს არის მისგან და მისი სიტყვების ნაწყვეტები ძლივს აღწევს მის ყურამდე.

ის ისევ მიდის წინ, მიდის სულ ახლოს და აი, პოლინას სახემ იერი იცვალა და მისმა ხმამაც ზარივით დარეკა. ის ლაპარაკობს, თუ როგორი იყო მისი მდგომარეობა წინათ, როგორია ის დღევანდელ პირობებში და როგორი უნდა იყოს ომმავალში. სიტყვა ასე დაამთავრა: ჩვენ, ქალებს, მუდამ უნდა გვახსოვდეს დიდი ლენინის სიტყვები: ყოველმა მზარეულმა დედაკაცმა უნდა შეისწავლოს სახელმწიფოს მართვა-გამგეობა.

ხალხი ბობოქრობს,

ტაში ჰქუხს.

აბრეშუმის დროშები შრიალებენ და მის მიერ ჩადრმოხსნილი ალმაცერელი ლამაზი ასულები ღიმილით უგდებენ ყურს თავიანთ ხელმძღვანელ ქალს, რომელმაც რკინის დარაზულ გალიას კარები გაუღო და დატყვევებულ ფრინველებს ქვეყანა და ადამიანები დაანახვა.

მარინამ ესროლა მას ის ერთადერთი ყვავილი, მკერდზე რომ ჰქონდა მიბნეული და პოლინამაც ღიმილით დახედა მეგობრის მიერ ნაჩუქარ ძღვენს, რომელიც იქვე ტრიბუნაზე დაეცა და ყვითელი თვალები მორცხვად დახუჭა.

პოლინა მეორე ორატორმა შეცვალა და მარინაც მოზღვავებულმა ხალხის ტალღამ ბუმბულივით გაიტაცა. მოწმენდილ ცაზე თვითმფრინავების ლაშქარმა გრიალით გადაიქროლა და ფერადი საზეიმო ფურცლები დემონსტრანტებს გადმოაყარა.

მარინა ჩამოშორდა ამხანაგების ჯგუფს, ოპერის თეატრის წინ შედგა, ქუჩაში მიმავალ დემონსტრანტებს დაუწყო ცქერა.

მოდიან პიონერები დოლებითა და საყვირებით.

მოდიან სტუდენტები და მათი ზომიერი, დათვლილი ნაბიჯები ერთფეროვანი ბგერით ხმაურობს ქუჩის ქვაფენილზე.

— ასეთი შავგვრემანი და ჯანსაღი ვაჟები უნდა აღზარდოთ თქვენც, მარინა, როდესაც მათ შევცქერი, უნებურად ძველ სპარტას ვიგონებ, — წარმოთქვა ლეომ და მოულოდნელად ქალს გვერდით ამოუდგა.

— შენ? — იკითხა ქალმა და მისი თვალებიდან კმაყოფილების შუქი გამოკრთა.

— „შენ“?!

— რა, არ შეიძლება შენობით მოგმართო? მე ასე მინდა, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ.

— გმადლობთ, მარინა, ეს ალბათ საჩუქარია ჩემთვის ოქტომბრის დღესასწაულზე.

— როგორც გინდა ისე მიიღე, მაგრამ შენ არ მიპასუხე შეკითხვაზე, მე მავალებ აღვზარდო ჯანსაღი შვილები, შენ?!

— ოო, მე მთიელი ვაჟკაცი ვარ და ჩემი ბავშვები არ შეარცხვენენ მამას.

— ხელს არ შეუშლიან ისინი შენს მუშაობას?! შენ ხომ მუდამ წიგნებზე ფიქრობ?!

— მე ბავშვები წიგნებზე ნაკლებ არ მიყვარს.

— ასეთი მსოფლმხედველობით აქამდე უნდა მოგვნახა საცოლე.

— ვუცდიდი შესაფერ ადამიანს.

— რომ ვერ იპოვო?!

— ვიპოვნი, ან, უკეთ რომ ვთქვა, ვიპოვნე.

— ეს ძალიან კარგია, მაგრამ როგორ ფიქრობ, ვერ დავაღწევთ თავს ამ ხალხს?! — იკითხა მარინამ და სცადა რკალის გარღვევა.

— დაიცა, წინ მე გამიშვი, — უთხრა ლეომ და ისეთი ენერგიით წავიდა, რომ მარინას წინ გზა გაიხსნა.

— ჰო, შენ ძლიერი ხარ და ბედი ავიც რომ იყოს ბევრს ვერაფერს დაგაკლებს.

— ჩემი დედა ფშაველი ქალია, ვაჟას ნათესავი, მე თვითონ თუში ვარ, ჩემს ძარღვებში ორი მაგარი მოდგმის სისხლი ტრიალებს და მე ადვილად არ წავიქცევი, მაგრამ ახლა ერთი რამ ძალიან მაწუხებს:

— რამ შეაწუხა ნეტავ ჩემი გოლიათი?!

— ჩემი გოლიათი!! — ესეც მეორე საჩუქარი ლეოს, მარინასაგან ძვირფასი საჩუქარი, შენ გოლიათს ამ წუთს აწუხებს შიმშილი.

— აი, ნიმუში უხეშობისა, ახალგაზრდა ქალს ელაპარაკება და მშიაო, დამიხედეთ მთიელს?

— შიმშილი ხომ სირცხვილი არ არის. მთელი დღე ფეხზე ვდგევართ და მე დარწმუნებული ვარ, რომ მაძღარი არც შენ იქნები. აგერ „ორიანტიც“, შევიდეთ.

მარინა დაეთანხმა და ერთერთ კუთხეში თავისუფალი მაგიდაც დაიჭირეს. ის იყო ამთავრებდნენ სადილს, რომ უეცრად მამაკაცის

ბოხ სიცილს ქალის კისკისიც დაემატა და ეს „ორიანტის“ ფართო დარბაზში მკაფიოდ გაისმა.

მარინამ მარჯვნივ მიიხედა და პალმების ჩრდილში გერმა და მატატა დაინახა. ისინი რაღაცაზე მხიარულად ლაპარაკობდნენ და წითელი ღვინით აფერადებულ ბროლის ჭიქებს სცლიდნენ.

— რას იღიმები, მარინა, იმ ხალხის მხიარულება ხომ არ გადმოგედო?

— ლეო, დაუკვირდი იმ კაცს და მითხარი შენი აზრი იმის შესახებ.

— მე არ ვიცნობ მას.

— შენ არ იცნობ მას პირადად, მაგრამ ხედავ მის გარეგნობას, აამუშავე თავი, გონება, ინტუიცია და ამოიცანი ის.

— ვცადოთ, იქნება არც ისე საძნელო დარჩეს ეს ჩემთვის. — ამ სიტყვებით ლიმონათის უკანასკნელი ჭიქა დალია და დაფიქრებული სახით სკამის ზურგს მიეყრდნო.

პაუზა.

— ლამაზი ვაჟკაცია ის, მაგრამ ამ სილამაზეს აკლია რაღაც ისეთი, რაც უკარგავს მას შნოსა და მიმზიდველობას.

— სად, ან რაში ვეძიოთ ეს „რაღაც“?

— მის სულში, მის მოქმედებაში, მისი ხასიათის თვისებებში და მე დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ამ კაცს არ ახასიათებს კეთილშობილური გაქანება, ფაქიზი გულისთქმა, სწრაფვა მაღალი იდეალებისადმი, დანამდვილებით შემიძლია გითხრა, რომ ის მხოლოდ სხეულით ცხოვრობს, ქალის სხეულით.

— ყოჩაღ, ლეო! შენ ფსიქოლოგიაში თვალსაჩინო მიღწევებს ამჟღავნებ. მეც რომ შენი თვალებით დროზე დამენახა მასში ყველაფერი ის, რაც შენ ახლა თქვი, მე ბედნიერი ქალი ვიქნებოდი.

— რა არის ეს კაცი შენი? ვინ არის, საიდან იცნობ მას? — შეეკითხა ზედიზედ ლეო და ცნობისმოყვარეობით თვალებში ჩახედა.

— ჩვენ ამის შესახებ კიდევ ვილაპარაკებთ.

— მან მხოლოდ ახლა დაგინახა შენ, სახეზე შეიცვალა და ხელში დანა-ჩანგალი გაუჩერდა... მე იმ მსახიობ ქალსაც ვიცნობ, მასთან რომ ზის და მასში ერთი რამ არ მომწონს.

— სახელდობრ?

— ძალიან ღრმად უჭრის კაბებს გულს. ერთი სიტყვით, შესაფერი წყვილია.

— ამაზე კი ვერ დაგეთანხმები, ეს ქალი ნიჭიერი მომღერალია და სიამოვნებით ვუსმენ მის ხმას, როდესაც ის მღერის.

— მის ნიჭს არც მე უარვყოფ, მაგრამ მისი გემოვნება არ მომწონს.

— წავიდეთ, ლეო, თორემ ექიმ გერგაძეს შესაძლოა მადაც გაუფუჭდეს. — ამ სიტყვებით მარინა წამოდგა და დარბაზიდან ისე გავიდნენ, რომ არც კი შეუმჩნევიათ გერგაძის ხანგრძლივი ეჭვიანი მზერა, რომლითაც მან ისინი გააცილა.

ცოტა ხნის შემდეგ ფუნიკულიორის ძირას პატარა ბაღში ისხდნენ და მეგობრულად საუბრობდნენ.

— როდესაც ქალი თხოვდება, რას უნდა მიაქციოს მან უმთავრესი ყურადღება?! თავის საკუთარ გრძნობებს თუ იმ ბავშვებს, რომლებიც, შესაძლებელია, წარმოიშვას ამ კავშირისაგან?

— ორივეს თანაბრად. პირველად, რასაკვირველია, ცხოვრების თანამგზავრად მან უნდა აირჩიოს ჯანსაღი ადამიანი და მას დაუკავშიროს თავისი გრძნობები და აქედან, რასაკვირველია, ჯანსაღი იქნება ის მომავალი, რომელიც ამ კავშირით წარმოიშობა. ხომ გახსოვს რას ურჩევს ახალგაზრდებს ერთი ჩემი თანამემამულე პოეტი ქალი?!

— მახსოვს, და ამ ლექსის ორ ტაეპს ეხლავე გეტყვი.

— აბა, დაიწყე, შენი ხმა მომწონს, მე შენ სიამოვნებით მოგისმენ:

ვაჟებო, გასწით თუშეთის მთებში,
სცადეთ მთის ქალის გულის გაღება,
ნუ გინდათ ქვაბი, ნუ გინდათ თეფში,
ნუ გინდათ მზითვი წამოსაღებად.
ქალებო! წადით, მთა დაიპყარით,
ცრუ ადათების ნუ არის შიში,
თუგინდ მწყემსებში ეძიეთ ქმარი,
ოღონდ კვლავ აღდგეს ძლიერი ჯიში.

— ვაშა, ლეო, ვაშა! ტყუილად კი არ გეძახი მე შენ პოეტს, მეცნიერს? შენ თურმე დეკლამაციაც ჩინებულად გეხერხება. მაგრამ ლექსზე რას იტყვი, ეთანხმები ავტორს?

— მთლიანად, — რომ წარმოიშვას ჩემისთანა ვაჟკაცები.

— ოჰო, ჰო!! ხედავთ როგორ ამაყობს თურმე თავისი გოლიათური აღნაგობით?!

— და მე, როგორც წარმომადგენელი ქალთა სქესისა, გეკითხები შენ, ფილოსოფოსო, როგორ უნდა წარმოვშვათ მუხლმაგარი თაობა.

— ამისთვის საჭიროა გაცვლა-გამოცვლა, ბარელი მთიელს, მთიელი ბარელს, აი, როგორც შენი თანამემამულე პოეტი ქალი ამბობს ისე.

— მთიელები რომ მთებში იმალებიან?

— საჭიროა მონახვა, პოვნა. აი, მაგალითად, მე ხომ აქა ვარ?— და მან ორაზროვნად გაიღიმა.

— შენ ხომ მთიელი გოგონები მოგწონს?!

— მომწონს, მაგრამ ახლა ჩემი გრძნობები სულ სხვა მიმართულებით წარიმართა.

— შეგიყვარდა ბარელი ქალი?

— იცი, მარინა, სხვა ცნებათა შორის სიყვარული ყველაზე შერყეული ცნებაა.

— რატომ? არსებობენ ფაქტები ძლიერი და ურყევი სიყვარულისა.

ეს ფაქტები ისეთ სუსტ ძაფებზე ჰკიდია, რომ ჩიტის ნისკარტიც კი გაიტანს მას. ყური დამიგდე და ერთ ამბავს გიამბობ. „ერთმა კაცმა ამ ორი წლის წინათ მიატოვა ცოლი და სამი შვილი, ის გადასახლდა მეორე ქალთან და გააჩინა კიდეც ბავშვი. მიტოვებულ ცოლ-შვილს ხუთიოდე თუმანს აძლევდა ყოველთვიურად, მაგრამ ამ ფულმა მისი ბავშვები ვერ გამოკვება. უბედურმა დედამ უყურა მშიერ-მწყურვალ, ტიტველ ბავშვებს, იმუშავა, არავითარ საქმეს არ მოერიდა, მაგრამ მაინც ვერ მოერია, მაინც ვერ ასწია მარტოხელა ქალმა ეს ტვირთი და ერთ დღეს მისი დამხრჩვალი გვამი მეთევზეებმა მტკვრის ტალღებიდან გამოათრიეს.

სასტიკად ისჯებიან ქურდბაცაცები და ყაჩაღები, მაგრამ ის კაცი, რომელმაც ბედის ანაბარად დატოვა, ყაჩაღურად დატოვა ცოლ-შვილი და თვითმკვლელობამდე მიიყვანა ქალი, დედა, დაუსჯელად სეირნობს თბილისის ქუჩებში. ასეთი ავაზაკი შირმად სიყვარულს იფარებს და ხალხსაც თითქოს სჯერა ეს. არ არსებობს გრძნობა, რომლის დაძლევა არ შეიძლებოდეს, საჭიროა მხოლოდ ნებისყოფა, ცოტა გარჯა და ცოტა კიდევ თავის შეწუხება. სინდისგარეცხილი უნდა იყოს კაცი, რომ ასეთი ბოროტება ჩაიდინოს და მიზეზად სიყვარული დაასახელოს.

— ვთქვათ, რომ ცოლ-ქმარს შორის ერთ-ერთი ყოვლად აუტანელი ხასიათის ადამიანია და მასთან ცხოვრება ჯოჯოხეთს წარმოადგენს, შენ დააბამ ერთად ამ ორ ადამიანს მხოლოდ იმისათვის, რომ ისინი ცოლ-ქმარია?!

— არა, ასეთ შემთხვევაში აუცილებელია განშორება, მაგრამ ის უსათუოდ უნდა დაეხმაროს მიტოვებულ ბავშვებს და ცოლს. ავიღოთ ახლა ისეთი ტიპის მამაკაცი, რომელმაც ორი წელიწადი იცხოვრა ცოლთან და, როდესაც ის გამოხუნდა, ახალი ქალი მონახა, მან არ უნდა მოიგონოს მისი ცოლის ახალგაზრდობა, რომელიც თვით შესვა და ამოსწურა? მისი სილამაზე და მიმზიდველობა, რომელიც მისი შვილების აღზრდას შეალია, მისი ძალა და ენერგია, რომელიც ოჯახში და ქმარ-შვილის სამსახურში დაიხარჯა!?

— თუ გული ცოლთან არ უდგება, უკეთესია წავიდეს, რად უნდა ქალს ძალად დაბმული ქმარი, ისეთი ქმარი, რომელსაც არ უყვარს და რომელსაც არ ახსოვს წარსული ცხოვრების სიხარული. ნამდვილ ქმარს და ნამდვილ მეგობარს თავისი ხანში შესული ცოლიც ისეთივე გატაცებით უყვარს, როგორც უყვარდა ის ახალგაზრდობის პირველ დღეებში.

ერთ-ერთი მოხუცებული ელინი, ერთ-ერთი მოხუცი ფილოსოფოსი, ასე ამბობდა თავის საყვარელ ცოლზე: „თქვენ უნდა გენახათ ის ახალგაზრდობაში, მაგრამ დღესაც კი მისი სახის თვითეულ ნაოჭში ამურები თამაშობენო“.

— კარგია ასეთი სიყვარული და ასეთ ადამიანებს ახალგაზრდობის ცეცხლი ღრმა მოხუცებულობამდე მიჰყვება.

— თუმცა ეს ინდივიდზეც არის დამოკიდებული, ზოგიერთ ქალს სამოც წლამდე მიჰყვება სიცოცხლის ხალისი, ზოგიერთი კი, ორმოცი წლის შემდეგ დაკმუჭნული ჩვარია, რომელსაც მათხოვარიც კი არ აიღებს და, როდესაც ეს ჩვარი ორმოცი წლის ჯანსაღ მამაკაცს ყელზე ჩამოეკიდება, რა გასაკვირია, რომ მან ჩამოიშოროს ეს ჩვარი?

ჭკვიანი ქალი იმას ჰქვია, რომელიც დინჯად შეხვდება თავისი ცხოვრების კატასტროფას, არ დაიწყებს ჩივილს კანონიერების სახელით და დატოვებს ქმარს იმავე დღეს, რა დღესაც იგრძნობს, რომ დაშორდა მას, როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად.

— შენ, მარინა, არც მწვადსა წვავ და არც შამფურს, ისეც ამბობ და ასეც.

— მე ვამბობ იმას, რაცა მწამს. ჯერ ერთი, ვეცდები არ გავიცვითო როგორც გარეგნულად, ისე სულიერად და თუ ეს არ მოხდა, არასოდეს არ დავრჩები ადამიანთან თუ ვიგრძენი, რომ ჩემი არსებობით მას ვავიწროებ, მოვალეობის გრძნობით ამ კანონით დაბმული ადამიანი არ მინდა. სიყვარული ხუნდებს ვერ ეგუება.

— გააჩნია, თუ ვინ გადებს ამ უღელს. საყვარელი ადამიანის შიერ გაჭედილ ხუნდებს სიამოვნებით დავიკრავ ფეხებზე.

— მაშინ ხომ ეს ხუნდი არ იქნება, მაგრამ შენ რომ არა გწამს სიყვარული ლეო?!

— მე მწამს ეს გრძნობა, როგორც ავადმყოფობა, მოვა, დაგეცემა, დაგიპყრობს და იწყება შემდეგ სიცხე და თამაშობს ტემპერატურა. არიან უდღეური ადამიანები, რომლებსაც სურდო და ციებაც კი მოკლავს, მაგრამ მაგარი ნებისყოფის ადამიანს ეს სენი ვერ მოერევა.

— შენის აზრით, სანამდე შეიძლება გაგრძელდეს ეს ავადმყოფობა?

— ეს პიროვნებაზეა დამოკიდებული, მაგრამ როდესაც იქნება, ტემპერატურა დაიწევს თერმომეტრის ნორმალურ ხაზამდე, თუ ურთიერთობა გრძნობებზეა დამყარებული, აქ ყველაფერი ქრება. მაგრამ თუ ორ ადამიანს შორის არსებობს მეგობრობა და სულიერი გაგება, გრძნობები მძაფრდება და აჩქარებს ეს გრძნობები შეერთებისა თუ გათქვეფის პროცესს, ორნი, ერთ სახედ ქმნილნი, მეტის ენერგიით გასწევენ წინ და ასეთი წყვილი, თუ მათი მისწრაფებაც ერთი გზით მიდის, თამამად მოივლის ცხოვრებია ყველა მწვერვალებს და არც არასოდეს მოსწყინდებათ ერთმანეთი.

— განგიცდია ასეთი რამ, ლეო?!

— მე მინდა განვიცადო ის და მე უნდა ვაღიარო, რომ ამჟამად ვეცა ვარ შეპყრობილი სიყვარულის სენით. მე მიყვარს ის და მე მინდა ის, მაგრამ მან რომ უარი თქვას, მე წავალ და მე ამ ავადმყოფობას მოვერევი.

— უცნაურია, მეც მიყვარს ერთი კაცი და მეც შემიძლია გავიმეორო შენი სიტყვები. ვუყვარვარ? ბედნიერი ვიქნები, არა?!. ამასაც გადავიტან.

— ვინ არის ის?!.. ერთი კაცი? — იკითხა ლეომ და უეცრად მისი თვალებიდან ისეთი ნაპერწკლები დაიფრქვა, რომ მარინამ გვერდზე გაიხედა და მის თვალებს თვალი მოარიდა.

— გინდა დავასახელო ის? არ გეწყინება?!

— არა, კი... თუ... ერთი სიტყვით სთქვი, — უპასუხა მან და მის ხმაში ერთგვარი დაეჭვება, თუ ერთგვარი შიში მოისმა. ბაღში უკანასკნელად შემოიხედა მზემ და ცეცხლის ყვითელი ბორბალი მთას იქით გადაგორდა. მარინამ ლეოს შეხედა.

— მე შენ არაფერს მეუბნები, წავიდე?! — სთქვა მან შერხეული ხმით და ასადგომად აიწია.

— აჰ, არა, რატომ?! — შეეკითხა ქალი და უნებურად მის პალტოს მოეჭიდა.

— მე არ მინდა, რომ შენს გვერდით სხვისი ადგილი დავიჭირო.

— ჩემო ჭკვიანო ლეო, ნუთუ მართლა ვერ მიმხვდარხარ, ვინ არის ეს კაცი?! — და მცირე ყოყმანის შემდეგ გაბრწყინებული თვალებით მან წარმოთქვა სახელი:

— ლეო!

— შენ არ მეხუმრები? არა? შენ, მართლაც ერთადერთი ხარ ქალთა შორის, რომელიც ღირსია სიყვარულისა. — ამ სიტყვებით მის ხელებს დაწვდა და შმაგად დაუწყო კოცნა.

— ფრთხილად, მთიელო! ეს ასე არ შეიძლება, — და ხელების სახსრებს სწორება დაუწყო.

— გულს გრძნობა ერევა და ეს თვალებიც იწვის შენი თვალების შუქზე. იქით მიდექი, იქით, შორს, — იხუმრა ლეომ, მაგრამ ნამდვილად სულ ახლოს მივიდა მასთან და განუსაზღვრელი სინაზით აკოცა მის თმებსა და თვალებს.

— შენ რომ სიყვარული არა გწამს, ლეო? — იკითხა ხელმეორედ მარინამ და ოდნავი წყენით მის მკერდს თავი დაადო.

— მე არ ვამბობ, რომ შენ ულამაზესი ქალი ხარ, რომ შენ მშვენიერი ცხვირი და ტუჩები გაქვს და არც არასოდეს მითქვამს შენთვის ქათინაური, მიუხედავად ამისა, გულმა შენ აგირჩია, უარი რომ გეთქვა, მე არ დავიჩოქებდი შენს წინაშე, წავიდოდა და ისევ განვაგრძობდი ცხოვრებას, წერას, მეცადინეობას, მაგრამ გრძნობა მარტოობისა, ალბათ, დიდხანს, ძალიან დიდხანს არ დამტოვებდა.

მარინა დაფიქრდა, მის სახეს ბურუსიანი ჩრდილი დააწვა და თვალებიც მოულოდნელი ნაღველით აევსო.

— შენ არ იცი, ჩემი წარსული ცხოვრების ისტორია, ის არც ისე ნათელია.

— ძვირფასო მარინა, ყველაფერი ეს შენთვის შეინახე. მეცა მაქვს წარსული, მაგრამ სრულიად არ ვაპირებ ანგარიში წარმოვადგინო.

— მე მინდა ყველაფერი გიამბო, მომისმინე, ლეო, უამისოდ მე შენი ცოლი ვერ გავხდები, — თქვა ქალმა მტკიცედ და ლეოც მისდაუნებურად დაემორჩილა.

საღამოს, თბილისში მოისმის ხალხის შორეული გუგუნი და მუსიკის ხმები თანდათანობით ილევა ჰაერში.

საუბარი გრძელდება.

— დაჩუმდი, მარინა, მე არ მინდა შენი გულის მტკივნეულ ადგილებს შევახო ხელი. როგორიც არ უნდა იყო შენ, მე მაინც შენი ვარ, — უთხრა ლეომ და მის ხმაში ნაღველი მოისმა.

— და შენ არასოდეს არ მისაყვედურებ მე იმას, რაც მოხდა წარსულში?! — შეეკითხა მარინა და მისი შავი დიდრონი თვალები ცრემლით აივსო.

— არასოდეს, გაძლევ სიტყვას, არ გჯერა?! ვფიცავ ჩემ მარინას და იმ ცრემლებს, იმის თვალებიდან რომ იღვრება ამ წუთს. არა იმან დამაღონა მე, რომ შენ ვითომ რაღაც წარსული გქონია, არამედ იმან, რომ ამდენი განცდებით ასე დატანჯულხარ და შეწუხებულხარ. აი, ჩემი ხელი, მარინა, დაეყრდნე მას და გწამდეს, რომ ის არასოდეს არ გიღალატებს. — ამ სიტყვებით მას ორივე ხელი გაუწოდა და მარინაც მიეცა მის მკლავებს.

— ჩემო ძვირფასო ლეო, ჩემო კეთილშობილო მეგობარო, მე არ მოვითხოვ შენგან ასეთ აღთქმას, შეიძლება მოვიდეს ისეთი ვინმე...

— რომელიც მომერევა და რომელიც დამიპყრობს?! ან რომელიც მოგერევა და, რომელიც დაგიპყრობს?! ადამიანს ცხოვრებაში ხშირად ემართება ასეთი მარცხი და ასეთ შემთხვევაში არც ერთი ჩვენგანი მეორეს არ დაიჭერს, მაგრამ მე ვამბობ და შენ დაიხსომე, რომ ეს აქ არ მოხდება და არ მოხდება იმიტომ, რომ ერთი მეორედ ღირს. ჩვენ ორივენი ჩვენი შინაგანი ღირსებებით სასწორზე რომ დავდგეთ, ეს სასწორი უსათუოდ თანაბრად აგვწევს, ჩვენ ერთმანეთს გავუძლებთ და ჩვენ ერთმანეთს მივყვებით ბო-

ლომდე. ჩვენ უნდა შეექმნათ ახალი ოჯახი და ამ ოჯახში აღვზარ-დოთ ჯანსაღი შვილები.

— მე მჯერა შენი და ვინდა გჯეროდეს ჩემიც, რომ მე სულ მუდამ მეყვარება ჩემი ლეო, მთიელი ვაჟკაცი, ამაყი და ჭკვი-ანი. — ამ სიტყვებით აიღო მან თავისი პატარა ხელი და ქალური სინაზით შეახო მის გრუზა თმებს, წამწამებს და ხელი ტუჩებთან მიუტანა. ლეოც დაეწაფა ამ პატარა ხელების შარბათს. აქ არ იყო ძალადობა, არც მამაკაცური აღგზნება, აქ იყო ნამდვილი გრძნობა ახალი და მაღალი სიყვარულისა.

უეცრად გრგვინვა გაისმა და მწვერვალიდან ამოჭრილი მაშხა-ლები ფერადი ციცინათელებივით დაიფანტნენ ქალაქის თავზე. ლეომ ბავშვივით აიტაცა მარინა, ბაღის ერთ-ერთ მაღალ კონცხზე დააყენა და თვითონაც გვერდით ამოუდგა.

ილუმინაციებით განათებულ ქალაქს ოქრონარევი ნისლი ადგა. მთებზე ისევ ამოვარდნენ მაშხალები და ცეცხლის ნიაღვარი კორი-ანტელივით დაბრუნდა ჰაერში.

ნანა

ვუძღვნი ეკ. გაბაშვილს,
ან. წერეთელს, კ. მესხს.

I

იმათი თვალები შეხვდენ ერთმანეთს და... ისე შეაკრთო ნანა ამ ცქერამ, მახვილივით ალესილმა და ელვარე ცქერამ, ვით ლაღად მონავარდე ჯეირანს შეაკრთობს ხოლმე უეცრად გასროლილი ტყვიების ხმაური. შეშფოთებული მიეკრა სკამის ზურგს და ყური მიუგდო მის ხმას, ხმას ძლიერს, მაგრამ ამავე დროს ხმას ნაზსა და მუსიკალურს.

ვინ იყო ის კაცი, რომელიც ისეთი სიამაყით იდგა საგანგებოდ აზიდულ ტრიბუნაზე. ხელის მოხდენილი გაქანებით სტეხდა თავის სიტყვებს ფოლადის ნამსხვრევებად და ეს ნამსხვრევები, ბრილიანტის ფერფლით აფერადებული, დამაბრმავებელი სიელვარით სწყდებოდა მის ტუჩებს! ის იყო სახელგანთქმული სარდალი ბეგლარი, ცნობილი როგორც შეუდარებელი მებრძოლი და უნიჭიერესი ორატორი. მხურვალე ტაშმა და აღფრთოვანებულმა ვაშამ დაჰფარა მისი უკანასკნელი სიტყვები.

სახეანთებულმა ნანამ საჩქაროდ ჩამოიგლიჯა მკერდიდან ოთარის მიერ მიბნეული ერთადერთი ვარდი და ის იყო აიღო ხელი ყვავილის გასაქნევად, რომ ამ დროს კვლავ დაინახა ბეგლარის თვალები უცნაური გამომეტყველებით მისკენ მიპყრობილი. ხელი უღონოდ დაუვარდა და ჯერ არ განცდილ გრძნობით ათრთოლებულმა, თავი დახარა.

— ვინ არის ის პატარა ქალი? — შეეკითხა ბეგლარი მის გვერდით მდგომ ოთარს, ახალგაზრდა ოფიცერს და მის კარგ მეგობარს.

— ნანა.

— შენ იცნობ მას?

— ის ჩემი შორეული ნათესავი, ობოლი ქალია. ჩვენს ოჯახში აღიზარდა და მეც ძალიან მიყვარს ეს ბავშვი.

— ბავშვი? შენ ცდები, ჩემო მეგობარო, მე ერთის მეტად არც მიმიხედნია მისკენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მთელი დღე ვგრძნობდი მის თვალებს და... დაიჯერებ? მე მაღელვებდა ეს.

— მე ბევრი რამ ვუამბე მას შენ შესახებ და ისიც მოუთმენლად ელოდა შენს ნახვას, როგორც ეტყობა მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინე. უნდა გამოვტყდე და ვთქვა, რომ მე ეს... მწყინს.—წარმოთქვა ოთარმა და დათალხული თვალებით გადახედა ნანას, რომელიც ჯერ კიდევ თავდახრილი იჯდა და ვერ ბედავდა შეეხედნა მისთვის. — გწყინს? რატომ? — შეეკითხა სწრაფად ბეგლარი, მაგრამ ვერც კი მოასწრო პასუხის მიღება, რომ ამ დროს მას მიუახლოვდა მისი ცოლი, ახალგაზრდა, მაღალი ქალი, ლურჯი თვალებით, რომელიც ოთარს ოდნავი თავის დახრით მიესალმა და ბეგლარს მკლავში ხელი გაუყარა. — „ბედნიერი ქალი“ — გაიფიქრა ნანამ და მისი ტუჩები, პაწია, თხელი და გაცრეცილი ტუჩები ოცნებით შეაჩო ბეგლარის თითქმის ბრინჯაოსაგან ათლილ ფართე შუბლს, შუბლს ჭკვიანი ნაოჭებით დაღარულს. — „ღალატი, ღალატი“ — წამოიწივლა ვიღაცამ მის სულში და ისიც გაფართოებული თვალებით და გადაფითრებული სახით თავს წაადგა იმ უფსკრულს, რომელიც ასე მოულოდნელად მის წინ გაითხარა.

II

მარმარილოს ბუხარში ანთებული ცეცხლი ოდნავ ანათებს მდიდრულად მორთულ ოთახს და ევროპულ კომფორტს, აზიურ მომხიბლაობას აძლევს. ბუხრის წინ, იატაკზე დაფენილ ირანულ ხალიჩაზე პირჩაღმა დაგდებულა ნანა და მის თვალთაგან გადმოღვრილი ცრემლები ქარგავს ხალიჩის ფერადბუსუსიან ზედაპირს. რაზედ სტირის ის? რას განიცდის? მწუხარებას? პირიქით, ის გრძნობს სიხარულს, ჯერ არ განცდილ, უჩვეულო სიხარულს და ატირებს მას ეს სიხარულის ცრემლები. „ბეგლარ“... მეათასედ იმეორებს ის ამ სახელს, ამ სახელს ჩურჩულებდნენ მინდვრის

ყვავილები, ამ სახელს დააქროლებდა ნიავი ერთი კუთხიდან მეორე კუთხემდე, ამ სახელს აბურთავებდა ზღვის ზედაპირზე მონავარდე გრიგალი და მისთვისაც ხომ ეს სახელი შეიქნა საგანი ლოცვისა, საგანი სიყვარულისა და მშვენიერების. ხმა? რომელი მუსიკა შეედრება მის ხმას, არასოდეს არ მოისურვებდა მოესმინა ბეთჰოვენი, ვაგნერი, ვერდი, თუ საშუალება ექნებოდა ყოველდღიურად ყური დაეგდო მისი ხმისათვის. სახე? ვერც ერთი მხატვარი ვერ გადაიღებს მისი სახის ვაკკაცურ იერს, მისი სახის ამაყურ გამომეტყველებას. თვალები? ოო, მის თვალთაგან დაყრილმა ნაპერწკლებმა დასწვეს ნანა და რაც თავი ახსოვს, მას დაეძებს და დღეს იპოვნა იგი. ყველა სიზმრებში მხოლოდ მისი სახე ელანდებოდა და დღეს, მხოლოდ დღეს ნახა განსახიერება ბუნდოვან სიზმრისა.

„მას განუსაზღვრელად უყვარს თავისი ცოლი" — მოაგონდა უეცრად ოთარის სიტყვები. დაე უყვარდეს, ნანა არასოდეს არ მოთხოვს მას სიყვარულს მამაკაცურს, ვნებას მამაკაცურს, მას უნდა მხოლოდ რომ უყვარდეს ის და ვის შეუძლია დაუშალოს ეს, ვის შეუძლია აუკრძალოს რომ არ იფიქროს მასზე, ოთარ? ჰო, მას აქვს უფლება მოითხოვოს ეს, მაგრამ მაშინ... მაშინ ის უარს იტყვის ოთარზე, უარს ოთარზე? ის ხომ მისი ძვირფასი და ერთგული მეგობარია, მისთვის თავდადებული, მასზე მზრუნველი და ნანასაც ხომ უყვარს მისი რაინდული კეთილშობილი სული. მისი შეურყვნელი წმინდა ბუნება. არა, ის ვერ იტყვის უარს ოთარზე, მაგრამ, სამწუხაროდ, მან უნდა გაუგოს ეს განცდა, აპატიოს ეს გრძნობა. აპატიებს კი?

III

— შენს თვალებს ახალი გამომეტყველება მიუღია, შენ სახეს ახალი იერი, მე ვეღარ გცნობ შენ ნანა! რა მოხდა? — შეეკითხა მას ოთახში შემოსული ოთარი.

— ოო, ბევრი რამ მოხდა ოთარ, ბევრი რამ, ჩემ სულში ახლა მთელი ქარიშხალია, ქარიშხალი დღეანდელი შთაბეჭდილებით გამოწვეული. გინახავს შენ რომელიმე დასაკრავი ინსტრუმენტი მძაფრად დაჭიმული სიმებით? ჰოდა, მეც დღეს ჩემ თავს ერთ დიდ

ინსტრუმენტად ვგრძნობდი, ჩემს ნერვებს დაჭიმულ სიმებად და მე მეშინოდა, რომ ძლიერ სულიერ ღელვას არ დაეწყვიტა ისინი. გული? მე ვერ გავიგე თუ რა მოუვიდა დღეს ჩემ გულს, ის გაიზარდა, იმოდენად გაიზარდა, რომ მკერდმა ვეღარ დაიტია ის და ეს გაზრდილი გული მიშლიდა სუნთქვას, მიშლიდა განძრევას.

— შენ ასე მოგეწონა ის?

— მე შემიყვარდა ის.

— და შენ არ ხედავ საჭიროდ, რომ დამიმალო მე ეს?

— არა, იმიტომ, რომ ჩემში არ არის აღტკინება დედაკაცური, მე მიყვარს ის როგორც საუკეთესო ქართველი, როგორც უნიჭიერესი ორატორი, როგორც შეუდარებელი მებრძოლი და შენ... შენ მაპატიებ მე ამ სიყვარულს.

— ძვირფასო, ასე ჩვენ ყველას გვიყვარს ის, მაგრამ შენ არა ხარ ჩემთან გულწრფელი. რასაკვირველია, შენ გხიბლავს ზემოთ ჩამოთვლილი თვისებანიც, მაგრამ ამავე დროს გიტაცებს მისი სახე, თვალები, თავისებური მანერა ლაპარაკისა და შენში თუ დღეს არ აღძრულა სურვილი მისი მოხვევისა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხვალ არ მოისურვებ მსგავს რასმეს.

— არა, ოთარ, ჩემი სიყვარული მისდამი უაღრესად წმინდაა და საქართველოში რომ მის სახელზე ტაძარი არსებობდეს, იმ ტაძარში ვესტალის როლს მე ვიკისრებდი.

— და ამრიგად სამუდამოდ დაიკარგებოდი ჩემთვის და შენ გააკეთებდი ამას, ნანა?

— ჰო, მე გავაკეთებდი ამას, ოთარ.

— და შენ მეუბნები მე ამას, შენ, რომელზედაც მე ვლოცულობდი და ვოცნებობდი ამდენი წლების განმავლობაში?

— ეს ჩემდა უნებურად მოხდა, მაგრამ გაძლევ პატიოსან სიტყვას, რომ მე არა მსურს ვხედავდე მასში მამაკაცს, ეს შეურაცხყოფდა ჩემს გრძნობებს.

— აქაც ანგარიშია. შენ იცი რომ მისი გული სხვას ეკუთვნის და ქალური თავმოყვარეობა ნებას არ გაძლევს მიუახლოვდე მას.

— ხშირად მოხდება ხოლმე, რომ დაჭერილ გულებს ხელახლად იპყრობენ და ბეგლარი თავისი დიდი ტემპერამენტით დიდხანს ვერ შერჩება თავის ცოლს. მაგრამ, მე არ მინდა ვიყო მისგან დაპყრობილი, როგორც ქალი, დავიწყებული და გადაგდებული როგორც ქალი, ჩემი ამქვეყნიური სიყვარული, სიყვარული ქალური,

იქნება შენი, ოთარ, მაგრამ ჩემი იდეალური სიყვარული, ჩემი აღტაცება და თაყვანისცემა მუდამ ბეგლარისაკენ იქნება მიმართული.

— ე. ი. შენ გინდა გიყვარდეს ორი... მე არ ვიცოდი თუ შენი ბუნება ამდენად გარყ...

— დაჩუმდი ოთარ, მე არ გაძლევ შენ იმის ნებას, რომ შეურაცხმყო მე.

— მაპატიე, მაგრამ არც შენ გაქვს იმის უფლება, რომ დასცინო ჩემ გრძნობას, სიყვარულში მე მოვითხოვ ან ყველაფერს ან არაფერს და როცა ეხედავ, რომ ყველაფრის ნაცვლად გრძნობის საბრალო ნაგლეჯებს მთავაზობ, მე უკანვე გიბრუნებ შენ ამ ნაგლეჯებს და... მივდივარ... მშვიდობით...

IV

ქარი გათამამებული ქურდივით დაძრწის ქალაქის ქუჩებში. თავის კაბინეტში, საწერ მაგიდასთან მუშაობს ბეგლარ და ისე გართულია ფიქრში, რომ ვერც კი ამჩნევს თუ როგორ იღება კარი და აჩრდილივით სდგება მის წინ... ვალიდა.

— ვალლი, შენ? — წარმოთქვა ბეგლარმა და გაკვირვებით დაუწყო ცქერა მის წინ მდგომ ქალს. ქალმა აიხადა შავი პირბადე და გამოჩნდა ლამაზი, სიმპათიური, მაგრამ სიკვდილივით გადაფითრებული სახე, დიდრონი შავი თვალებით გაშუქებული. მის მაგრად მოკუმულ ტუჩებს მწარე ღიმილი დაკვდომოდა და მთელ მის არსებას ამაყური არისტოკრატული იერი დაჰკრავდა.

— მე არ ვიცოდი თუ სად იყო შენი ბინა! უკანასკნელ წერილში შენ არაფერს მწერდი ამის შესახებ და მეც არ მქონდა საშუალება ბოდიში მაინც მომეხადა შენთან. მე ხომ დაგტანჯე შენ, — წარმოთქვა ბეგლარმა რბილი კილოთი და ქალს მზრუნველობით საავარძელი მიუდგა.

— რა არის ეს? სიბრალული? უნდა იცოდეთ ბატონო ბეგლარ, რომ მე არ მჭირდება ეს და არც ამისათვის მოვსულვარ თქვენთან. — წარმოთქვა ქალმა ამაყად, ტყავის ხელთათმანები მაგიდაზე დაყარა და მოწყვეტით საავარძელში ჩაეშვა.

— ჰო, მე ვიცი, რომ შენ არასოდეს არ გტოვებს შენი სიამაყე, მაგრამ მეც არ ვთვლი ჩემს თავს სრულ დამნაშავედ, შენ ხომ შენი სურვილით დამტოვე მე.

— მაშ რა უნდა მექნა? მეცხოვრა შენ ოჯახში იმ დროს, როდესაც შენი სიყვარული მე აღარ მეკუთვნოდა? მე მახსოვს როგორ მიხდებოდა მთელი კვირაობით მარტოდ ყოფნა და როცა სახლში შემოდიოდი, მაშინაც კი არ მაღირსებდი სიტყვას.

— შენ შეცდი ვალლი...

— რომ ჯვარი არ დავიწერე შენზე და შვილები არ გავაჩინე? მე არ მინდოდა შემებოჭე შენ. შვილი ეს მაგარი ჯაჭვია, რომელიც აბამს ერთად ორ ადამიანს და იმას კი არ კითხულობს, უნდათ მათ ერთმანეთი თუ არა. მე აგაშორე შენ ეს ხვედრი და... ბედნიერი ხარ ეხლა?

— შენ იცი, რომ ქალის სიყვარული ჩემთვის მეორეხარისხოვანი საკითხი იყო, ბედნიერებას მე მასში არ ვხედავდი და არც ვხედავ.

— ჰო, მე ვიცი, რომ შენ ბედნიერი ხარ მაშინ, როცა ბრწყინვალედ იმარჯვებ ბრძოლის ველზე, ბედნიერი ხარ, როცა აღფრთოვანებული ხალხი ტაშს გიკრავს, ანდა შენი ცხენი დოღში შეჯიბრებისას ჯილდოს ღებულობს, ქალთან შენ მიდიხარ მოწყენილობის დროს, გაეთამაშები მას, ჟინს დაიცხრობ და შემდეგ ივიწყებ როგორც უსარგებლო და დაძველებულ ნივთს. საინტერესოა, როგორ ურიგდება ამას შენი ცოლი. მე თვალი მოვკარ მას ერთხელ და დავრწმუნდი იმაში, რომ ეს ქალი ადვილად თავს არ დაიჩაგრავს, უღალატებ შენ და ღალატითვე გადაგიხდის ისიც.

— სიტყვა „ღალატი" სიყვარულში არ უნდა არსებობდეს, გიზიდავს ადამიანი და შენც ეკუთვნი მას მთელის შენის არსებით, ჰქრება მიმზიდველობა და შენც მიდიხარ მისგან. ცუდია ეს? ჰკითხე ბუნებას, თუ რად შექმნა ადამიანი ისე უხეიროდ, რომ მას ვერ დაუმორჩილებია თავისი საკუთარი გრძნობებიც კი. სიყვარული დაუკითხავად მოდის ჩვენთან და დაუკითხავად გვტოვებს ჩვენ.

— დიდი, ჭეშმარიტი, ნათელი სიყვარული არასოდეს არ სტოვებს ადამიანს, მაგრამ შენთან ჯერ არ მოსულა ის.

— მე მიყვარდი შენ ვალლი.

— არ შეიძლება სიყვარული დაერქვას ისეთ გრძნობას, რომელიც უეცარი სისწრაფით აფეთქდა და ასეთივე სისწრაფით ქრება. მაგრამ მე იმისათვის არ მოვსულვარ აქ, გამოვარკვიო, გიყ-

ვარდი მე შენ ოდესღაც თუ არა. მე მოვედი ერთი დიდი თხოვნით შენთან და შენც უნდა ამისრულო ის.

— რა არის ისეთი?

— მისწერე შტაბის უფროსს, რომ მიმიღონ მოწყალების დათ. მე უარი მითხრეს იქ, მიზეზად დაასახელეს ჩემი ფიზიკური სისუსტე და მოუმზადებლობა. მე შემიძლია რამდენიმე დღეში შევისწავლო ეს საქმე, ოღონდ დამეხმარე, მე შენ ძალიან გთხოვ ამას.

— როგორ? დაგეხმარო და გზა გაგიკაფო სიკვდილისაკენ? შენ შენი გაცრეცილი სახით და გატეხილი ჯანმრთელობით გგონია, რომ გადაიტან ომის მთელ საშინელებას?

— ეს სულერთია. სიცოცხლემ ჩემს თვალში დაჰკარგა ყოველივე ფასი და იქ, იმ სიკვდილის სამეფოში, შესაძლოა, რომ მე დავისწავლო სიცოცხლის სიყვარული.

— ვალლი, მე ვიცი, რომ შენ ოდესღაც გიყვარდი მე და ამ სიყვარულისათვის მომისმინე. გწამდეს, რომ შენ გელაპარაკება მეგობარი, მეგობარი რომელსაც შენთვის კარგი სურს.

— რა გინდა მითხრა? — გულგრილად შეეკითხა ვალლი და დაღლილი თვალებით ბეგლარს ცქერა დაუწყო.

— თავი დაანებე შენს განზრახვას და წადი სამოგზაუროდ.

— რა მიზანი ექნება ჩემს მოგზაურობას?

— ჯანმრთელობის აღდგენა და სწავლის გაგრძელება. მე ისე ეგოისტურად მოგექეცი შენ და უნებურად მოგგლიჯე კურსებს, რომ შენ დღემდის არ გიპატიებია ეს ჩემთვის, თუმცა საყვედურიც არ გითქვამს არასოდეს.

— სასაყვედურო და საპატიებელი არაფერია. ალბათ მეც ასე მინდოდა, თორემ მარტო შენ ვერაფერს გახდებოდი. კიდევ რას იტყვი?

— კიდევ გთხოვ, მიიღო ჩემგან ეს ფული. ნუ მისცემ ნებას შენს სიამაყეს, რომ უარი გათქმევინოს ამაზე. ამით მე შენ ძალიან მაწყენინებ, — ამ სიტყვებით მან მაგიდიდან ამოიღო სქელი პაკეტი და ვალლის წინ დასდო.

— შეიძლება ერთი შეკითხვა?

— მე გისმენ შენ.

— მიმიღებენ მე მოწყალე დათ თუ არა?

— მაგის ნებას მე არავის მივცემ.

— კარგი, — ნერვიულად წამოიძახა ქალმა, ზეზე წამოდგა და ხელთათმანებს ხელი დააკლო.

— რას აპირებ შენ?

— არაფერს...

— არაფერს? თითქოს მე არ ვიცოდე სიჯიუტე შენი ხასიათისა. შენ რაღას ფიქრობ?

— არაფერსაც არ ვფიქრობ მე, მაგრამ ეს ფული ამიერიდან ხომ ჩემია? — იკითხა მან და პაკეტი აიტაცა.

— რასაკვირველია, შენია ვალლი.

— აი, რა ღირებულება აქვს ჩემთვის შენგან ნაბოძებ წყალობას. — ამ სიტყვებით მან ფული ნაკუწ-ნაკუწად აქცია, ერთბაშად შებრუნდა და ოთახიდან გავიდა. არ გასულა რამდენიმე წამი, რომ ოთახში გრიგალივით შეიჭრა ბეგლარის ცოლი.

— ვანდა, არ შეიძლება დამტოვო ცოტა ხნით? მე არ მცალია ეხლა.

— ვიცი, მაგრამ მე მინდა გავიგო აქ იყო ეხლა ის ქალი? კარებში შემეფეთა, ჩემს დანახვაზე ცოტა ხანს შესდგა და ისე დამიწყო ცქერა, მაგრამ მის თვალებში მე ვერ წავიკითხე ვერც აღშფოთება და ვერც შურისძიების სურვილი. იქიდან მე მხოლოდ სევდა მიცქერდა. ნაზი, ლამაზი, დამაღონებელი სევდა. აა, დახეული ფულები... ეს უთუოდ ვალლი იქნებოდა არა, ბეგლარ? ვაშა ვალლი, ვაშა, — წამოიძახა მან და აღტაცებით ტაში შემოჰკრა.

— აღტაცება აქ სრულიად უადგილოა. მას შეეძლო ამ ფულით რამდენიმე წელიწადს უზრუნველად ეცხოვრა, მაგრამ მისი გადაჭარბებული სიამაყე სწორედ იქ წამოიჭრება, სადაც ეს საჭირო არ არის და ეს სიამაყე მოკლავს კიდეც მას.

— რა ვუყოთ მერე? იცხოვრებს ამაყად, მოკვდება ამაყად, ნეტავი ვიცოდე მისი მისამართი რომ მივიდე მასთან, მოვეხვიო მას და ვთხოვო პატიება. ალბათ მე ვიყავი მიზეზი მისი უბედურების.

— არა, ეს შენზე წინ დაიწყო.

— რა მოხდა თქვენს შორის?

— მოულოდნელად გავცივდი, მან იგრძნო ეს და თვით წავიდა ჩემგან.

— კარგად მოქცეულა.

— ოდესმე რომ გულგრილობა შემწამო, შენც ასე მოიქცევი?

— რასაკვირველია, მაგრამ ახლა მეც მინდა ვიკითხო. ვთქვათ, რომ პირველმა მე მოვისურვე შენგან წასვლა. რას იტყვი შენ ამაზე?

— თავს დაგიკრავ და მეგობრულად გამოგემშვიდობები.

— აი ეს მომწონს, მაგრამ ის კი არ არის მოსაწონი, რომ სულ შენ საქმეში ხარ გართული და მე ნაკლებ ყურადღებას მაქცევ.

— ვანდა, ნუთუ შენ არ შეგიძლია შეიყვარო ჩემი საქმე?

— შენი საქმე? ხომ იცი რომ, მე სასტიკი მოწინააღმდეგე ვარ მილიტარიზმის. ერთი ერის ბრძოლა მეორე ერთან, გადაჭარბებული პატრიოტიზმი, მე არ მომწონს.

— არც მე მომწონს ის, ჩემო მეგობარო, მაგრამ შენ ვერა ხარ გარკვეული ამ საკითხში და ალბათ იმით აიხსნება ის გულგრილობა, რომლითაც შენ ხვდები თვითეულ ჩემს გამოსვლას. მაგალითად, ამას წინათ ჩემი სიტყვა ხალხში აღფრთოვანებას იწვევდა და შენ კი ამ დროს რაღაცა ჟურნალს ფურცლავდი.

— ნუთუ შენთვის არ იყო საკმარისი აღტაცება ახალგაზრდა ასულების? მეტადრე ერთის, რომელიც წინა რიგში იდგა და ანთებულ თვალებს არ გაშორებდა. შენ იმ დღეს სერიოზულად ვაიტაცე ეს ბავშვი.

— იმ ბავშვს უყვარს თავისი სამშობლო და ამ სიყვარულს ის თავდავიწყებამდე მიჰყავს. მე მომეწონა ის.

— რას ნიშნავს ეს? მე მეშინოდეს იმ ახალგაზრდა ასულის?— შეეკითხა ვანდა ღიმილით.

— მე არ მითქვამს ეს. — ღიმილითვე უპასუხა ბეგლარმა.

— და შენ გიყვარს შენი ვანდა, გიყვარს, მიუხედავად მისი „სლავიანური სისხლისა“? — წარმოთქვა ქალმა ალერსით და თავისი ჩამოქნილი გრძელი თითები მის სახეს ნაზად შეახო.

— ჰო, მაინც მიყვარს,— მიუგო ბეგლარმა და იმის თვალებში უეცარი ცეცხლი აინთო.

— ეხლა კი ნახვამდის ბეგლარ. ნახვამდის, ერთი საათის შემდეგ მე ისევ გავჩნდები შენთან. — ამ სიტყვებით ის დაიხარა, მხურვალე კოცნით ასწვა ბეგლარის სახე და ოთახიდან საჩქაროდ გაირბინა.

ერთი წელია, რაც ბეგლარი ცხოვრობს მასთან, მაგრამ ვნება მისდამი ჯერ კიდევ არ დამცხრალა მასში. ეს ქალი მუდამ აღიზიანებს მის ნერვებს, მაგრამ იმ დიდ და ნათელ სიყვარულს, რო-

მელზედაც წეღან ელაპარაკებოდა მას ვალლი, ის მაინც არ განიცდის. მას სწყუროდა ცოლში მეგობარიც ეპოვნა და საშინლად სწყინს, რომ ვანდას სრულიად არ აინტერესებს მისი საქმე.

აგონდება ნანა, ნანა, რომელიც ისეთი აღფრთოვანებით იჭერდა მის სიტყვებს და ის გრძნობს უცნაურ, უჩვეულო სინაზეს ამ ქალისადმი და ამ განცდაში არის რაღაც მშობლიური. დღეს პირველად 37 წლის კაცის გულში აღიძრა სინანული იმის გამო, რომ მის სახლში არასოდეს არ დაიწყებენ სირბილს ქოჩორა ბავშვები.

ვალლიმ უარყო დედობა იმის შიშით, რომ ბეგლარს შებოჭავდა ის, და ვანდა... ვანდას ისე მოსწონს მისი სხეულის ლამაზი ნაკვთები, რომ... „არასოდეს არ დაიმახინჯებს თავს მშობიარობით". ეს მისი სიტყვებია და ასეთი დედა ვერც აღზრდის შვილს. მხოლოდ ისეთ ქალს შეეძლო ეჩუქებინა მისთვის ღირსეული მემკვიდრე, რომელი ქალიც გაიგებდა მის სულს. შეისწავლიდა, შეიყვარებდა მას, მაგრამ ასეთი ქალი არ შეხვედრია ჯერ თუ... იქნება ვერ იცნო ის? და მისი ფიქრი ისევ უბრუნდება ნანას. ოცნებით ეხება მის ოქროსფერ ხუჭუჭა თმებს და ტუჩებით გრძნობს იმ პაწია შავ ხალს, რომელიც ისეთი ეშხით ელვარებდა აღტაცებისაგან აწითლებულ მარჯვენა ლოყაზე. „ავოცნებდი პატარა გიმნაზიელივით", უკმაყოფილოდ ფიქრობს ის.

ისევ უჯდება მაგიდას, იღებს საქართველოს რუქას და მთელი საათი დაჟინებით დაჰყურებს მოხაზულ ფურცელს. უეცრად მისი სახე შუქდება და ისიც გამარჯვებულ ადამიანივით იჭრება ზეზე. მან იპოვა ადგილი, საიდანაც მოხერხებულად მიუდგება მტერს. და ახლა ის წინდაწინვე დარწმუნებულია, რომ ამ ბრძოლიდანაც გამარჯვებული გამოვა. მისი, თითქოს ფოლადისაგან ჩამოსხმული მკერდი ძლიერად ღელავს და ამ წუთში ის ახდენს შთაბეჭდილებას რკინის კაცისას, რომელის დაძლევას ვერ შეიძლებს ვერავინ, ვერავინ. დიახ, ის გრძნობს ამას.

V

განაზებული მზე გვიან შემოდგომის სხივთა კონებით ქარგავს ფერადი დროშების აბრეშუმის კალთებს. ჯარისკაცთა ჩამწკრივებული რაზმი ფარავს ქალაქის უმთავრეს ქუჩებს და ჯარის გამო-

სათხოვრად გამოსული ხალხი ლოცვა-ვედრებით აცილებს მათ. არაბულ ცხენზე მჯდომი ბეგლარი მხიარული ღიმილით ესალმება აღფრთოვანებულ ჯარს. მის თვალთაგან ნატყორცნი შუქი ცეცხლის ნაპერწკლებად იმსხვრევა და მის ბაგეთაგან დაფრქვეული ღიმილი ელვარებს ვით მაისის მზე იალბუზის მწვერვალზე ანთებული.

ბრბოში დაბნეული ბავშვივით დგას ნანა და აღტაცებით ადევნებს თვალს ბეგლარის თითოეულ მოძრაობას. რას არ შეასწირავს, რომ საშუალება მისცა მივიდეს მასთან და ფერმკრთალი თითებით ოდნავ შეეხოს მის ხელს. ის ისეთი სასოებით აკოცებდა მის ფოლადის ფარს, ვით წარსული საუკუნის მორწმუნე ადამიანები ჰკოცნიდნენ ხოლმე უწმინდეს საეკლესიო ნივთს.

ის ისეთი ნაზი სიფრთხილით შეახებდა ტუჩებს მის სახეს, ვით პეპელას სათუთი ფრთები ეხება ხოლმე ყვავილების შრიალა ფურცლებს. მოდის. უახლოვდება... დაკვირვებით ათვალიერებს ბრბოს და... მისმა თვალებმა ანთებულ მაშხალებივით დაანათეს ნანას სახეს. ის მოსძებნა მან ბრბოში, იპოვნა ბრბოში და მისი ტუჩები კმაყოფილების ღიმილით გაბლეჩილნი, ლალის ნაჭრებად აციალდნენ ბრინჯაოსაგან გამოკვეთილ ფონზე. გაფითრდა ნანა, ბაღის მოაჯირს ზურგით მიეყრდნო და თავი წყვდიადში იგრძნო. როცა გამოერკვა ბეგლარი უკვე შორს იყო.

ნანას აღარ უნდა კვლავ განიცადოს მსგავსი რამ, აღარ უნდა კვლავ იხილოს ეს ჯადო ადამიანი. საჩქაროდ სწყდება თავის ადგილს და ჩქარი ნაბიჯით გარბის სახლისაკენ. მაგრამ, ის ხედავს ოთარს, შავ ცხენზე მჯდომს, შავ პლედში გახვეულს, დაღვრემილი სახით მოდის ის და მის თვალებში ისე მძიმედ ჩაწოლილა ნაღველი, ვით მთის კალთებში წვება ხოლმე ჯანღი, ავდრის წინ ქარიშხალისაგან მორეკილი. მზისაგან გადამწვარ შავგვრემან სახეს და მოგრძო ახუჭუჭებულ თმებს ნიავი უალერსებს და მრავალი ქალწული ჩუმი ოხრით შეჰყურებს მას. მაგრამ ოთარი არავის ხედავს, არავის ამჩნევს. თავდახრილს, დინჯი ნაბიჯით მოჰყავს ცხენი და მის შუბლზე აკეცილი ნაოჭები მოწმობენ მის მუდმივ ფიქრიანობას. ნანამ იცის მიზეზი მისი სევდის, გრძნობს სირცხვილის სიწითლეს და დამნაშავე ბავშვივით უდგება წინ.

— ნანა, შენ? — ამბობს ოთარი და მისი სახე ერთბაშად ნათდება, — როგორ მინდოდა, რომ წასვლამდე უკანასკნელად მენახე.

— რად არ მოხველ ჩემთან?

— შენ წამართვი შენთან შემოსვლის უფლება და მეც პირველად განვიცადე სიმძიმე უძილოდ გატარებული ღამეების, მაგრამ შენ... რადა ხარ ასეთი გაცრეცილი, ასეთი ფერმკრთალი? ავადა ხარ?

— არ ვიცი, ეს რამდენიმე დღეა, რაც მე ვგრძნობ, რომ ფილტვები მაქვს... წინათ მე ამას ვერ ვამჩნევდი. დედაჩემი სწრაფმავალი ჭლექით მოკვდა და მეც ალბათ უკეთესი ხვედრი არ მომელის.

— ნანა, ძვირფასო პატარა ნანა. ოღონდ იცოცხლე, ოღონდ ნუ მოკვდები და პირველი მე დავლოცავ შენს სიყვარულს. შენს ღალატს მე შევურიგდები, მაგრამ შენს სიკვდილს კი ვერასოდეს.

— აი, როგორი ხარ შენ ოთარ და მეც იმიტომ მიყვარ... აა, ის, — წამოიძახა მან უეცრად და შემკრთალი სახით ოთარის ცხენს ამოეფარა.

— რა მოხდა? ოჰ, შენ დაინახე ბეგლარი. ის მოდის აქეთ, ის გიცქერის შენ. დაიცადე, უნდა გაგაცნო. ამოუცნობი ამოცანა და გაუცნობელი ადამიანი ერთიდაიგივეა, ორთავე იწვევს ინტერესს, გამოცნობის შემდეგ ეს ინტერესი ჰქრება. დაიცადე. — ბრძანების კილოთი წარმოსთქვა მან და მისი სუსტი თითები ძლიერად გასწურა.

— გამიშვი, გენაცვალე ოთარ, გამიშვი, თუ არ გინდა რო... დაველაც აქ. მე ვერ ავიტან მის სიახლოვეს. მე... მეშინია მისი. ნახვამდის ძვირფასო, კარგო, ყეთილო მეგობარო, — ამბობს ნანა, ხელს ინთავისუფლებს და საჩქაროდ იმალება ბრბოში.

ის ხედავს, როგორ მიუახლოვდა ბეგლარი ოთარს, რაღაცა შეეკითხა და როგორ მიბრუნდა ორთავე მისკენ. ჯარის წასვლის შემდეგ ნანა დაჩოქილი იდგა თავის ოთახში და თავისებურად ლოცულობდა. ვინ უფრო ძლიერად უყვარდა მას? ბეგლარ? ოთარ? თუ... ორთავე ერთად?!!

VI

აპრილია... უზარმაზარ ლურჯ ატლასად გაშლილი ზღვა ნიავის შებერვისაგან ღელავს და ტორტმანობს. ცისფერი ტალღები, აბრე-

შუმის ტალღები ისეთი ლივლივით ირხევიან, ვით უმწიკვლო ქალწულის სული პირველი სიყვარულით შეშფოთებული.

ლამაზობს პალმები ზღვის პირად დარგულნი და ნიავისაგან აქოჩრილნი.

— ლამაზობა ღრუბლები, ცის ტატნობზე ნაგლეჯებად გაბნეული.

— ლამაზობს ყვავილები. გაზაფხულის ეშხით აკოკრებულ-აფერადებული. ლამაზობს ბუნება და ნანა ჭოგრიტით ხელში მხიარულად გაჰყურებს ზღვის შორეულ სივრცეს.

— გამარჯობა შენი, პატარა ქალო! — გამოეხმაურა ნანას მისი მეგობარი მოხუცი მენავე, რომელსაც ღლიავამდე დაეკარწახებინა და ძარღვიანი მკლავებით ჯაჭვს რიყეზე აბამდა.

— გაგიმარჯოს, ჩემო კეთილო ეფრემ. მავრამ... რად აბამ ნავს? ჩვენ უნდა წავიდეთ სასეირნოდ, ახლავ, ამ წამში.

— რად ჩქარობ ეგრე ქალიშვილო?

— ხედავ იმ პაწია შავ წერტილებს? იმ ხომალდებით გვიბრუნდებიან ჩვენი გამარჯვებული საამაყო რაინდები; შევეგებოთ იმათ სალამით, შევეგებოთ აპლოდისმენტებით, ვარდ-ყვავილებით. ჩქარა, ჩქარა, ეფრემ! — წამოიძახა მხიარულად ნანამ და მოხუცი ბავშვივით აცელქებულმა შეანძრია.

— დამაცა ბავშვო, ეს ჯაჭვი ავხსნა და... კარგია, რომ მოიკეთე. პირველ დღეებში ისეთი სუსტი და ფერმკრთალი ჩანდი, რომ აქაური ხალხი პატარა ჭლექიან ქალს გეძახდა. — თქვა ეფრემმა, როცა ნავში ჩასხდნენ და ნაპირს კარგა მანძილით დაშორდნენ.

— ჰო, მაშინ მე ავად ვიყავი. ტკივილით თითქოს არაფერი მტკიოდა, მაგრამ, მე ვგრძნობდი, რომ ვიღაც იჯდა ჩემს ფილტვებში და პაწია ხერხით ღრღნიდა მას.

— ახლა?

— ახლა ჩემში ეს აუტანელი პროცესი მისწყდა და მეც ჩემს თავს სრულიად ჯანსაღად ვგრძნობ. მახსოვს, როგორ მაშინებდა წინათ რაღაცა აჩრდილები. ამ უკანასკნელად კი მე აღარ ვხედავ მათ. ალბათ იგრძნეს, რომ პირი სიცოცხლისაკენ ვიბრუნე და... თავი დამანებეს.

— ჩვენ ზღვას ბევრი სასწაული მოუხდენია და მეც მიხარია, რომ ცუდი სიზმრები კვლავ აღარ აწუხებენ შენს ნათელ სულს, შენს წმიდა სულს.

— წინა რიგში მდგომი ხომალდი თანდათან გვიახლოვდება. ნუ აჩქარებ ნავს, ეფრემ, — თქვა ნანამ და ჯოგრიტი კვლავ თვალებთან მიიტანა.

„ის არის, ის, ფიქრობს ნანა, გემის ბაქანიდან ნაპირისაკენ იცქირება და... მგონია მიცნო კიდეც. როგორ მხიბლავს ეს კაცი, როგორ საშინლად მხიბლავს, მაგრამ რა ვუყო ამ შიშს, რომელიც მიპყრობს მის დანახვაზე. არ შემიძლია, მე ვგრძნობ, რომ თვითეული მისი შეხედრა ავად მხდის, ვგრძნობ, რომ ეს გრძნობა... მომკლავს“. ნანამ ხელები უღონოდ დაუშვა და მენავეს სთხოვა ნავი მოებრუნებინა.

— აკი შენ მათი შეხვედრა გინდოდა? — გაიკვირვა მენავემ.

— მინდოდა, მაგრამ ახლა აღარ მინდა. სამაგიეროდ მე ამ ნარცისებით მოვფენ წყლის ზედაპირს. დაე, ჩემს მაგივრად ესენი მიესალმონ მათ. — ამ სიტყვებით ნანამ დაშალა ნარცისების დიდი თაიგული და თეთრი ყვავილები საოცნებოდ ამოიქარგა ზღვის ჩაქუფრულ ფონზე. მზისაგან აელვარებული ტალღებში მსუბუქად მისრიალებდა პატარა ნავი და წყლის შხეფები ბრილიანტის ცვრებივით ეფრქვეოდა მის ჩამოშლილ თმებს.

— ჭირვეულო ბავშვო, არ შეიძლება ვიკითხო თუ რად გავრბივართ ასე ჩქარა? თითქოს ჩვენი მხედრები მეკობრეები იყვნენ და ჩვენ კიდევ შეშინებული მეზღვაურები. რად მაწყენინე მოხუცს, მე მინდოდა შემეხედნა მათთვის.

— ჩემო კეთილო მეგობარო, შენ ამას ნაპირზეც მოახერხებ და ჩემი ახირებული დაჟინება შენებური სულგრძელობით მაპატიე. ახლა მე ერთი სათხოვარი მაქვს და შენც უნდა ამისრულო ის. ამისრულებ, მოხუცო?

— თუ შესაძლებელი იქნება! ხომ იცი, რომ შვილივით მიყვარხარ.

— მაშ აღმითქვი, თუ აქ მოვკვდი, შენ ჩემს კუბოს ჩაუშვებ აი, ამ ადგილს. — ამ სიტყვებით ის დაიხარა და პაწია თითით მოხაზა ზღვის ზედაპირი.

— ნუ მიფუჭებ გუნებას პატარა ქალო. მორჩი და რაღა დროს სიკვდილზე ფიქრია.

— მეც არ ვაპირებ სიკვდილს, მაგრამ შენ მაინც უნდა შემ-

პირდე. აბა პასუხი, ეფრემ, პასუხი, ძე ვუცდი მას. — წამოიძახა ნანამ ნერვიულად და მის ღრმა, სევდიან თვალებს გამოუთქმელი ვედრებით ჩახედა.

— კარგი, — ძლივს წამოილუღლუღა ეფრემმა და ორი დიდი ცრემლი მის თვალთაგან მოწყვეტილი მძიმე კენჭებივით ჩაცვივდა ზღვაში.

— ოო, შენ სტირი კიდეც. მე ხომ ჯერ არ მოვმკვდარვარ. დღეს ისეთი ლამაზია ეს ზღვა, ეს ყვავილები, ეს აწყვეტილი ნავი, აქა-იქ გაბნეული ხომალდები, რომ მე სურვილი მებადება აღარასოდეს აღარ მოვშორდე ზღვას, ვიცოცხლო ზღვაში, ვიძინო ზღვაში და მეც ხმამაღლა გამოვთქვი ის, რაზედაც ავვოცნებედი ამ წამს, მე არ მეგონა, რომ ეს ასე ძლიერად იმოქმედებდა შენზე და მეც მინდა, ისევ გაგამხიარულო შენ, შენ, ჩემო კეთილო, ჩემო შეუდარებელო! აბა, გავიცინოთ, ეფრემ, გავიცინოთ, — წარმოთქვა ნანამ და მოხუცის თეთრ წვერებს ბავშვივით ალერსი დაუწყო. ეფრემმა სცადა გაღიმება, სცადა გამხიარულება, მაგრამ... ვერ შესძლო ეს და ნაპირზე ისე გადმოვიდა, რომ ხმა არ ამოუღია. ნანაც მიჩუმდა და ვიდრე მენავე ნავს მიამაგრებდა, კენჭებში თეთრ ხვითოებს დაუწყო კრეფა.

— ეფრემ.

— რა იყო, პატარა ქალო?

— მე მინდა დღევანდელი დღის სახსოვრად გაჩუქო ეს ბრილიანტით მოჭედილი სამაჯური. ის ძვირფასია როგორც ნივთი და შენც შეგიძლია უმზითვო იგი შენს უმცროს ქალს, რომელიც ამას წინათ ზღვის კაპიტანზე დაინიშნა... მშვიდობით, ჩემო ძვირფასო მოხუცო. ნანა არ დაივიწყებს შენს ცრემლებს. — ამ სიტყვებით ხელში ჩაუდო სამაჯური და ისე სწრაფად დაშორდა, რომ ეფრემმა ვერც კი მოასწრო, უარი ეთქვა ამ საჩუქარზე. თვალცრემლიანი დიდხანს გაჰყურებდა მიმავალ ქალს და საშინლად უნდოდა, რომ ერთხელ კიდევ მობრუნებულიყო ჩისკენ, ერთხელ კიდევ დალაპარაკებოდა მას. მაგრამ ნანა არ მობრუნდა და ისიც დამძიმებული გულით, ნაღვლიანად გაუდგა გზას. ასე ეგონა, რომ ის კარგავდა ვიღაც, მეტად ძვირფას, მეტად ახლობელ ადამიანს და ვერ მიმხვდარიყო, თუ რად აღეძრა მას ასეთი უცნაური წინათგრძნობა.

VII

ნაპირზე გადმოსული ჯარი სამხიარულო მუსიკით მოედო ქუჩებს და საზეიმოდ მორთული, რტოებითა და ყვავილებით შეფოთლილი სახლები გულღიად უღებდნენ კარებს საყვარელ სტუმრებს. ზღვის პირად, თეთრ მაღალ სახლში, თავის ოთახში, გაღებულ ფანჯარასთან დგას ნანა, მაღლიდან დაჰყურებს ჯარს და თვალებით გიღაცას დაეძებს. მყუდროებას არღვევს ზარის ხმა... გარბის ოთახის კუთხეში და იღებს ელსმენს.

— გისმენთ? ახ, ოთარ შენ? რატომ არ მოდიხარ ჩემთან?... რა ამბავია? დაგვრეს? როდის? სად? არა, გიჭირს-რა?.. თვითონ მიდიხარ საავადმყოფოში? მაშ, მსუბუქად!... როგორ თქვი? დღეს მოხვალ, მნახავ... მიცანი? მე არ ვყოფილვარ, ის მენავის მოხუცი ცოლი იყო. რად იფიქრე, რომ მე უნდა ვყოფილიყავი? ხა!.. ხა!.. ხა!.. ტყუილად კოცნი იმ ნარცისებს, ტყუილად... მაშ კარგი... საღამოს რვა საათზე იქნები ჩემთან... გელი... ნახვამდის... ძვირფასო.

ნანას გამოუთქმელად ახარებს ოთარის დაბრუნება, განუსაზღვრელად უყვარს ის, მაგრამ... რად დაეძებს მაინც ბეგლარს? აგერ ისიც, ეტლში ზის და მხიარული სახით ესალმება ხალხს. ნანა საჩქაროდ აწერს ქაღალდის ლენტს რამდენიმე სიტყვას, ახვევს მას დილით მისგანვე დაკრეფილ ტყის ყვავილებს და საჩქაროდ გადაისვრის მისკენ. ბეგლარი იჭერს თაიგულს და თავისი უცნაური თვალებით რაღაცას ეუბნება ნანას.

ათასი ხანჯალი ვერ დასჭრიდა ისე მის გულს, როგორც სჭრის ეს ცქერა. როგორც გაღვივებული ცეცხლი ადნობს ხოლმე ძვირფას ილეკროს, ისე ბეგლარის თვალებიდან გადმოსული სხივები ეხვევა მას, სწვავს, ადნობს, ასუსტებს. როგორ მოიქცეს? როგორ დაემალოს ამ გრძნობას და ან რა უთხრას ოთარს?

ოთარს უყვარს ნანა დიდი სიყვარულით, უყვარს ნამდვილი სიყვარულით, ნანასაც უყვარს ოთარი, მაგრამ რა ქნას, რომ ბეგლარის თვალები შლის მის სულში ძველ განცდას და ოთარის ნაცვლად მის გულის ფიცარზე თავის სახეს აქანდაკებს.

ბეგლარს არ უყვარს ნანა, ის ვერ შეიყვარებს მას. მას უყვარს სილამაზე, მაგრამ არა სწამს სიყვარული, ის სცდის თავის ძალას ნანაზე, ზომავს თავის ძალას, ეთამაშება მის გრძნობას, მაგრამ ნანა მაინც თავშეუკავებლად მიილტვის მისკენ.

ნანა მბრძანებელია ოთარის, ბეგლარს კი შეუძლიან გახდეს მბრძანებელი ნანასი. არა, ეს არ მოხდება, ეს არ შეიძლება რომ მოხდეს! დღეს მოხუცი მენავე ლაპარაკობდა მის წმიდა სულზე, მის ნათელ სულზე და ის კი ვერ ერევა მის გრძნობას, ვერ ერევა მასში ასე უეცრად, ასე სტიქიურად აღძრულ ვნებას. ის გრძნობს გულში ტკივილს, ყრუ ტკივილს და ხელს უნებლიეთ მკერდზე იდებს. ის ხედავს იქ მიბნეულ დამწვარ ყვავილს. მისი მხურვალე მკერდისაგან დამწვარ ყვავილს. ნანა გრძნობს, რომ მასაც ისე დასწვავს ეს გრძნობა, როგორც მისმა მკერდმა დასწვა სათუთი ყვავილი.

VIII

N-ის საუკეთესო სასტუმროში ზის ბეგლარ. ის დაქანცა ომმა, დაქანცა მგზავრობამ, დაქანცა დღევანდელმა შთაბეჭდილებამ. ძლივს დარჩა მარტო, უნდა დაიძინოს, დაისვენოს, მაგრამ ის გრძნობს, რომ ვერ დაიძინებს დღეს. დგება, შლის გაზეთს, სადაც, ხოტბას ასხამენ მას. კითხულობს გულგრილად, გადასდებს გულგრილად. ის იგონებს გამოვლილ ბრძოლას და ეს დიდი ქებაც კი პატარად ეჩვენება. არეულ ფიქრთა ქაოსში ელვასავით იჭრება ერთი მოგონება და ამ მოგონებით შერყეული გადაფითრებული ქვავდება ერთ ადგილას. იზრდება ფონი და მასზე ეკრანივით იშლება ერთი სურათი. ის ხედავს ახალგაზრდა ჯარისკაცის სამოსელში ტყვიით განგმირულ ვალლის, რომელმაც მისი ხმის გაგონებაზე თვალები გააღო, მისი სახელი წარმოსთქვა, გაიღიმა და... მოკვდა. მან იძია შური, იძია უხმაუროდ, იძია ლამაზად და ბეგლარიც ვერასოდეს ვერ დაივიწყებს მას.

შემოსული მსახური დეპეშებს აწვდის. უგზავნიან ამხანაგები, მეგობრები. ორიც მისი ცოლისაგან არის. სწერს, რომ ის მოუთმენლად მოელის მის ნახვას. ამდენი თვის განმავლობაში დღეს პირველად იგონებს ვანდას. იგონებს მის მდიდარ, ლამაზ სხეულს და სიამოვნებით ფიქრობს, რომ რამდენიმე დღის შემდეგ გაიხარებს მისი სიახლოვით: დაფიქრებული უნებურად შლის მაგიდაზე დალაგებულ თაიგულებს და მის ყურადღებას იპყრობს ტყის ყვავილები.

რა აწერია ქაღალდს? აქამდე მას არ წაუკითხავს ის: „საამაყო ქართველ ადამიანს, ჩემი აღტაცება, მხურვალე აპლოდისმენტი და... ეს ყვავილები, ყვავილები მიუვალ მთის კალთებში აღზრდილნი და მისთვის დაკრეფილნი. უცნობი ქალი“.

კითხულობს, იღიმება, ფიქრობს. ეს ყვავილები დღეს ესროლა მას ნანამ. ნუთუ მართლა ჰგონია ამ პატარა ქალს, რომ არ იცნობს მას? რამდენი წლის იქნება ის? თვრამეტის, ცხრამეტის? ყოველ შემთხვევაში მეტის არა. ის ახალგაზრდაა, სულ ახალგაზრდა, მაგრამ მისი თვალები, ეს ანთებული ვნების ჩირაღდნებია და... საკვირველია, რომ ეს ბავშვი მოქმედობს მასზე. რა კარგი იყო დღეს თმაგაშლილი, თეთრი კაბით, ნარცისებს რომ აბნევდა ზღვაში, მაგრამ ჩვენს მიახლოვებაზე ნადირივით დაფრთხა. ნავი შეაბრუნა და გაიქცა. როგორ გაფითრდა, თაიგული რომ დავიჭირე, თვალები გააღო ფართეთ, ფართეთ და ისე დაიწყო ცქერა. ასეთი ცქერა მხოლოდ სიყვარულს შეუძლია, მაგრამ, მაშინ რად გარბის ჩისგან, რად ემალება მას? ოთარი ისე ხშირად იგონებდა ნანას, ისე ხშირად სწერდა. რატომ? ნუთუ ის შეყვარებულია? მაგრამ ნანას... ნანას უყვარს კი ის?

„ბეგლარ რად გწყინს შენ ეს?“ ეკითხება ის თავის თავს და ცდილობს გააქროს მის გულში აღძრული უსიამოვნების გრძნობა. რა მოხდა?

ბეგლარს ისევ ისე უყვარს ვანდა, მაგრამ ის მაინც მიილტვის ნანასაკენ. რა იზიდავს მას მისკენ? სულიერი ნათესაობა თუ... ახალი განცდა, ახალი სურვილები? ის არ ხედავს საჭიროდ წინ აღუდგეს ამ სურვილებს, თუ მათი განხორციელება შესაძლებელია. ყოველი ადამიანი უნდა ცდილობდეს შეალამაზოს თავისი ხანმოკლე სიცოცხლე ლამაზი შემთხვევებით და სისულელე არ იქნება, რომ სიხარულს, შენსკენ ოქროს ფრთებით წამოსულს ზურგი უჩვენო? ოთარი? სიყვარულის განცდა უფრო ძვირფასია, ვიდრე ვინმეს მეგობრული განწყობილება. არა, ის ვერ გაუშვებს ამ შემთხვევას და თუ ეს შემთხვევა. მას უმანკო ვერძს მიართმევს, ის ვერ იტყვის უარს საჩუქარზე. ის ღირსია ამ ჯილდოსი და ვის შეუძლია ამისათვის გაიცხოს ის? თავის თავში ის გრძნობს ღმერთს და ღმერთები ხომ სიკვდილით ჰქმნიან სიცოცხლეს. იხურავს პლედს, მსახურს ოთახის მილაგებას ავალებს და თითონ კი ნელი ნაბიჯით მიდის ბაღისაკენ.

IX

— 5 საათია, ოთარმა კი რვაზე მოსვლა აღუთქვა და ნანაც გრძნობს მოუსვენრობას. კოშმარივით აწვება ოთახის კედლები, წიგნები, სურათები და ისიც გარბის ზღვისაკენ, რომ გულში აღძრული ტკივილები, სულიერი ღელვით გამოწვეული, როგორმე დაიცხროს, მაგრამ ინსტინქტი მას ეწევა მეორე მხრით და ისიც მისდევს მას.

შეჩერდა,

დაიხარა.

აიღო.

ეს ხომ თაიგულია, მისგან ბეგლარისადმი მიძღვნილი თაიგული.

ქუჩაში დაგდებული.

მტვერში ამოსვრილი.

გათელილი.

შეურაცხყვეს,

დასცინეს,

უარყვეს... და მას მოსწყურდა სიცილი, სიცილი ისტერიული, სიცილი გიჟური, მაგრამ ხალხი? რას იტყვის ქუჩაში მოსიარულე ხალხი?

უნდა ატირდეს, ატირდეს დამწველი ცრემლებით, მაგრამ სიამაყე, მისი სულის წიაღიდან ამოჭრილი გაკაპასებული სიამაყე აქვავებს ამ ცრემლებს და ისიც გამშრალი თვალებით ასამარებს რწმენას, ასამარებს სიცოცხლეს და ახალგაზრდობას, მაგრამ გული, სუსტი პატარა გული ვერ იტევს ტვირთს, ვერ უძლებს სიმძიმეს და იმსხვრევა აღდგენილი ჯანმრთელობა, იხსნება მოშუშებული წყლული. ნანა გრძნობს პირში უჩვეულო სითხეს და ტუჩებთან მიტანილი თეთრი მანდილი იქარგება წითელი ყვავილებით.

სისხლი, პირველი სისხლი, ფიქრობს ის და არცკი გრძნობს სინანულს. პირიქით, უხარია კიდეც, რომ უნდა მოკვდეს. მოკვდება ნანა და მასთან ერთად დასამარდება ეს აუტანელი ნაღველი, შელახული თავმოყვარეობა, სიამაყე, ყველაფერი ის, რაც მას აწუხებს და რასაც ის ვერ ერევა. სიკვდილი მოერევა მათ, სიკვდილი ლამაზი, სიკვდილი საალერსოდ მოსული და ეჩვენება ის მოხდენილი ვაჟკაცის სახით, რომელსაც ექნება განიერი მკერდი, ძლიერი მკლავები, ხუჭუჭა თმა და შემოსილი იქნება ძველი რომა-

ული სამოსელით. ის გახვევს ნანას ამ სამოსელში, ჩაიკრავს გულში და ღონიერი ფრთებით აიტაცებს ზევით, სულ ზევით.

ნანა სტოვებს ქუჩას, ხალხს, ბაღს და მიდის მის აჩემებულ ადგილისაკენ. მოწყვეტილად ეშვება თეთრ კენჭებზე და ზურგით ეყრდნობა გაბზარულ ხომალდს, უცნობი მეზღვაურისაგან ნაპირზე გადმოტანილს. დაიმსხვრა ხომალდი გრიგალისაგან გაგიჟებულ ბობოქარ ზვირთებში, ტალღათა შეჯახებაში, და დაიმსხვრა სიცოცხლე ცხოვრების ქარცეცხლში, ცხოვრების ქარიშხალში... იხრება მზე... ტოკავს. ქანაობს, იწვის და შუქთა წითელ შადრევნებს ლალის ნამსხვრევებად აყრის საღამოს ბინდისაგან განაზებულ ზღვის ტალღებს...

მარტოა ნანა, მარტო. მას უნდა ეს სიმარტოვე, მაგრამ ვინ არის, რომ თანდათან უახლოვდება მას? და ხედავს ის ახოვან სასურველ ვაჟკაცს განიერ სამოსელში გამოხვეულს და კალთები ამ სამოსელის ირხევა შავ იალქნებად, იშლება შავ იალქნებად. სიკვდილი... სიკვდილი, მაგრამ... ბეგლარის სახით?! ფიქრობს ნანა და მისი თვალები ნელ-ნელა იხურება.

ბეგლარი ხედავს გულშემოყრილ ქალს, სისხლში დასველებულ ტუჩებს და... ყვავილებს, მისგან მის ოთახში დატოვებულ ყვავილებს. საიდან გაჩნდენ ისინი კვლავ ნანას ხელში და ან რას ნიშნავს ყველაფერი ეს? ასხურებს სახეზე ზღვის მარილიან წყალს და ეძახის, ეველდრება, რომ გონზე მოვიდეს.

შეინძრა, უხალისოდ გააღო შეკრული წამწამები და საყვედურით სავსე თვალებით მიაჩერდა მისკენ მზრუნველობით დახრილ ბეგლარს.

— თქვენ? თქვენ? ოო, როგორი სასოებით ვკრეფდი ამ ყვავილებს, თქვენ კი გადააგდეთ ის ქუჩაში, მტვერში და ბედს უნდოდა, რომ მე ჩემის თვალით მენახა ეს. რა დაგიშავეთ? ნუთუ ის, რომ მიყვარდით. ეს გრძნობა ჩემს უნებურად მოვიდა ჩემთან. მაგრამ ის არაფერს არ გავალებდათ თქვენ, არაფერს არ გთხოვდათ. მე მხოლოდ მხურვალე ლოცვებით და შორეული თაყვანისცემით მინდოდა გამომეხატა ჩემი თქვენდამი სიყვარული, მაგრამ თქვენ არ ინდომეთ ის, არ... ინდომეთ...

— ათას ძვირფას თაიგულში ყველაზე უძვირფასესი ჩემთვის ეს უბრალო ყვავილები იყო, მაგრამ სასტუმროს ბრიყვ მსახურს ვერ უცვნია ის, გადაუგდია, როგორც უვარგისი რამ და... ნანა, შენ

უნდა დამიჯერო მე ეს, უნდა დამიჯერო.—ამბობს ბეგლარი და ცხურვალე ტუჩებით უკოცნის გაყინულ თითებს. ის ახვევს თავის პლედში მისუსტებულ ქალს, იყრდნობს მკერდზე და ცდილობს, რომ უხეში მოძრაობით არა ავნოს რა. მან არ იცოდა თუ რა იყო სინაზე ქალთან დამოკიდებულების დროს და უკვირს, საიდან გაჩნდა მასში ამდენი სიფრთხილე, ამდენი სიბრალული.

— ეხლა ხომ უკეთ არის პატარა ნანა? — ეკითხება მას და უალერსებს, როგორც ავადმყოფ ბავშვს.

ოო, როგორ დამატკბობელ მუსიკად ესმის ნანას მისი სახელი, ბეგლარისაგან წარმოთქმული, მას უნდა, რომ ის ლაპარაკობდეს დაუსრულებლად და თვით კი უსმენდეს დაუსრულებლად.

— მიამბეთ რამე... პატარა ზღაპარი. მე თვალებს დავხუჭავ და ყურს დავუგდებ თქვენს ხმას, ხმას, რომლისთვისაც მე მუდამ ვსევდიანობდი. — ამბობს ნანა და დაღლილი თავით ეყრდნობა მის მკერდს. ბეგლარი მზრუნველობით აწყობს ქალის აწეწილ გრძელ ოქროსფერ თმებს და ლაპარაკობს, ლაპარაკობს დინჯად, მწყობრად. ლამაზად. „მრავალ წლებისაგან სახედაღარულ ბებერსა ჰგავდა ის ქედმაღალი, ამაყი კლდე, რომლის თავზეც აღიზარდა ობოლი გვირილა. უმანკო ბავშვივით გააღო ლამაზი თვალები და სიცოცხლის ჟინით ათრთოლებული, ბედნიერი ღიმილით მიაჩერდა მზეს. ის იწვოდა მისგან დაყრილ სხივთა კონებში, იწვოდა მისგან დანთებულ ელვარე ტალღებში, მაგრამ ის ამ წვაში გრძნობდა სიცოცხლეს და მწუხრზე თვალდახუჭულს, განთიადამდე ესიზმრებოდა ის. მაგრამ, ერთ სევდიან სექტემბრის დღეს, მზე დიდი ხნით მიიმალა ღრუბლებში და უეცრად აწყვეტილმა გამძაფრებულმა გრიგალმა მოსწყვიტა გვირილა მშობლის მკერდს. ქარიშხლის ფრთებმა მოიტაცეს ის, რომ ზღვის ლურჯი ტალღებისათვის გადაეცათ ძვირფასი ძღვენი."

— და გვირილა იგი იყო ნანა და ნანა იყო გვირილა. აი, ასე დაამთავრეთ თქვენი ზღაპარი, თუ ოდესმე კიდეე სთქვათ ის.

— შენ ბოდავ, ნანა?

— არა, მოსძებნეთ მოხუცი მენავე. ის შეასრულებს ჩემს სურვილს. სამაგიეროდ, მიეცით მას დედაჩემისაგან ნაანდერძევი ძვირფასი ნივთები. ამიერიდან ისინი აღარ დამჭირდება. რაც შეეხება ოთარს, გადაეცით მას, რომ სიკვდილით გამოვისყიდე ჩემი ღალატი. მას უყვარდა ნანა და... არ დასწყევლის მას.

— ნუ მაშინებ, ბავშვო, შენ უნდა მორჩე.—წარმოთქვა ბეგლარმა ბრძანების კილოთი და ქალის ძისუსტებული სხეული მკერდში მხურვალედ ჩაიკრა. მაგრამ ამ შეხებამ ისე შეაშფოთა საბრალო ქალი, რომ ფილტვებიდან შადრევანივით ამოსკდა სისხლის ნაკადული.

— ვიოლეტა, ვიოლეტა, მე აღარ მშურს ეხლა შენი ბედი. მე ვწევარ ძვირფას მკლავებზე, ვიძინებ ძვირფას მკლავებზე. ნარცისები... რა ლამაზები იყვნენ ნარცისები ზღვაში და... საბრალოა გვირილა, პაწია გვი-რი-ლა, — ჩურჩულით ამბობს ის უკანასკნელ სიტყვებს და გრძნობს უცნაურ სიცივეს, რომელიც გველივით შემოეხვია მის ფეხებს, თანდათანობით აცურდა ზევით, ზევით და... გაფითრდა ნანა, გაფითრდა ვით მოყინული ყვავილი, იანვრის სიცივეში გარეთ დაგდებული. გამოუთქმელი მწუხარებით დაჰყურებს მას ბეგლარი. ის ვერ იტყვის, რომ უყვარს ნანა, მაგრამ ამ წამში მისი მწუხარება გულწრფელია. რა უფრო აწუხებს მას? ის, რომ ასე უდროოდ ჩაჰქრა სიცოცხლის ვარსკვლავი ახალგაზრდა ქალისა, — თუ ის, რომ დასჭკნა ძვირფასი ყვავილი ისე, რომ მან ვერც კი მოასწრო დაეყნოსა ის?

X

საგანგებოდ გაკეთებული თეთრი კიდობანი ავსილი იყო თეთრი ვარდებით და თეთრად მორთული ნანა ჰგავდა თეთრ ფერიას ლამაზ ყვავილებში ღიმილით ჩაძინებულს. მზე შუქთა შადრევნებით ავსებდა მის კუბოს, ნიავი ნაზი ალერსით ეხვეოდა მას და გაზაფხულის ჭრელი პეპლები ისეთი ელვარებით დაჰქროდნენ მის ირგვლივ, როგორც ოქროს ფირფიტები იაგუნდითა და ზურმუხტით მოჭედილი. მოხუცმა მენავემ ცრემლებით გამოსთხოვა ოთარს ნებართვა და ისე აუსრულა წადილი თავის პატარა მეგობარს. გვირილებით მოფენილი ტალღები ერთბაშად გაარღვია მძიმე კიდობანმა და, დაღუპული ხომალდივით, ნელი-ცურვით წავიდა ქვევით, სულ ქვევით.

ვინ შერჩა ნანას?

მზე, რომელიც ყოველ დილით სხივთა ისრებით სეტყვავდა მის კუბოს.

მთვარე და ვარსკვლავები, საიდუმლო ციალით რომ დასცქეროდნენ ზევიდან.

შრიალა ტალღები, პაწია ბავშვივით რომ არწევდნენ მას ზღვის შუაგულში, და... მოხუცი მენავე ოავისი შვილებით. ეფრემის უმცროსმა სიძემ, კაპიტანმა N-მა, უცხოეთიდან ჩამოიტანა ძვირფასი მონუმენტი, რომლის თავზე გამოკვეთილია ნანას სახე გაშლილი თმითა და დაღლილი თვალებით. ის დგას იმ ადგილას, სადაც გარდაიცვალა ნანა.

— გამარჯობა შენი, პატარა ქალო,—ეუბნება მას ყოველ დილით მოხუცი მენავე და ცოცხალი ყვავილებით აწყობს მარმარილოს გაყინულ ნაკვთებს. ზღვა კი უზარმაზარი, ლურჯი თვალებით გამუდმებით შეჰყურებს უცნაურ თეთრ ქალს, რომელსაც ზამთარი მზრუნველობით ფუთნავს თეთრ თოვლის მოსასხამში და გაზაფხული კი — ფერადი ყვავილებით მოსავს. ხშირად, რომელიმე ანცი ტალღა მოსწყდება ხოლმე ზღვას, საჩქაროდ მიიჭრება ქალის ფეხებთან, ირგვლივ შემოეხვევა, კალთებს დაუკოცნის და უკუქცეული, ფირუზის ნამსხვრევებით ეღვრება მოქანავე თეთრ კიდობანს.

ახალი გზის

ეეძღვნა ახალგაზრდა ლიტერატორ-
ქალს — ქეთევან ირემაძეს

I

ახალგაზრდა მასწავლებელი ქალი, ბაბო, განათლების მუშაკთა კავშირის ერთ-ერთი თვალსაჩინო და აქტიური წევრია.

ყველასაგან პატივცემულს, ყველასაგან მიღებულს, ყველასაგან საყვარელ ბაბოს უყვარს ყველა და ყველაფერი. ხიბლავს და იტაცებს ყოველივე სუფთა და მშვენიერი.

მოწაფეებთან ბეჯითი, ამხანაგებთან გულწრფელი, უფროსებთან თავაზიანი, ყოველთვის კი დინჯი, ჭკვიანი და აუჩქარებელი.

— ბაბო, არავინ გიყვარს? — ეკითხებიან ამხანაგი ქალები.

— მე ყველა მიყვარს, — მიუგებს ის და ბაბო არ სტყუის, მას უყვარს ყველა, უყვარს როგორც ამხანაგი. როგორც ძმა, როგორც თანატოლი.

ოჯახი და სკოლა. სკოლა და ოჯახი. აი, სად მიდის მისი სიცოცხლის დღეები.

დრო კი მიჰქრის, მიჰქრის. ის უკვე ოცდახუთი წლისაა და აი, უეცრად შეირხა მისი ქალური ბუნება. ბაბომ იგრძნო რაღაც ახალი, რაღაც ამაღელვებელი. ახლად დანიშნული მასწავლებელი შევარდენივით გამოერია მის ამხანაგებს და ერთი შეხედვით შეანგრია ის ყინულეთი, რომელშიაც გახვეულიყო ქალის მთვლემარე ბუნება.

ბაბოს აწუხებს ეს განცდა, ცდილობს თავი დააღწიოს მას, მაგრამ იმდენად წარმტაცია ეს გრძნობა, რომ უნებურად იმორჩილებს მის მგრძნობიერ ბუნებას.

— დაიცადეთ ბაბო, მეც იქით მაქვს გზა. — ამბობს პოლიო და გაქნილ მონადირესავით ფრთხილი ნაბიჯით უახლოვდება მას.

ბაბო ღელავს, უხერხულობას გრძნობს, წითლდება.

— თქვენ ისე უბრალოდ და ამხანაგურად ეექცევით სხვებს. მე კი გამირბიხართ. რატომ? გეჯავრებით?

— არა, არ მეჯავრებით, მაგრამ...

— თქვენ კიცხავთ ჩემს გადაჭარბებულ სითამამეს?

— მე არ მომწონს ის.

— ახალგაზრდა ქალს არ მოსწონს ახალგაზრდა კაცის ყურადღება! ეს გაუგებარია, მე მაინც არ შემიძლია არ გიცქიროთ და თქვენ თავს დააბრალეთ. რადა ხართ ასეთი კარგი?! — შემპარავი ალერსით წარმოთქვა უკანასკნელი სიტყვები და ანთებული თვალები აღტაცებით მიაპყრო ბაბოს მორცხვობისაგან ატკეცილ ლოყებს.

— თქვენ გრძნობთ ძალას თქვენი თვალებისას და ბოროტად იყენებთ მას.

— მე მიყვარხართ თქვენ, ბაბო.

— თქვენს სიყვარულს აკლია გულწრფელობა.

— საიდან გამოიტანეთ ასეთი დასკვნა? გყვარებიათ ჯერ ვინმე?

— არავინ, მაგრამ ინტუიციით ვგრძნობ, რომ ნამდვილი სიყვარული სხვა ენით ლაპარაკობს.

— მჭერმეტყველობს?!

— პირიქით, ის მორცხვია და უენო.

— რომანტიულმა ხანამ განვლო. არიან ადამიანები, რომლებიც აფასებენ საგანს იმდენად, რამდენადაც ის სასარგებლო, ლამაზი და ხელშესახებია.

— და თქვენც ასეთი ანგარიშით მოდიხართ ჩემთან?!

— აქ, რასაკვირველია არ შეიძლება ასეთი შედარება, მაგრამ... დაიცათ, სად გარბიხართ?!

— აგერ ჩემი სახლიც. მშვიდობით ბრძანდებოდეთ ამხანაგო პოლიო.

წავიდა.

— შენ ჩემი იქნები, — ჩაილაპარაკა მარტოდ დარჩენილმა პოლიომ და ირონიულად გადახედა ჩქარი ნაბიჯით მიმავალ ქალს.

კოხტა და ლამაზია აგარაკი გორიანი. ფიქვნარის ტყით შემორტყმული, მხიარულად უხვდება ქალაქიდან მოსულ სტუმრებს და უცხო ყვავილებითა და სურნელოვანი ძირითით ახალისებს მათ.

როგორც ყოველთვის, აგარაკი სავსეა ხალხით. ერთ-ერთ აზიდულ გორაკზე, რომელზედაც მოფანტულია თითქოს საგანგებოდ ათლილი, გრძელი და ფართო ქვები, გაგებულია პაწია ხალიჩა და მასზე წამოწოლილი ბაბო, დაფიქრებული გაპყურებს თოვლის ნაფლეთებით მიმოფრქვეულ მთებს, წყალვარდნილი შავად ანაოჭებულ ნაპრალებს ეხეთქება და გაგიჟებული სიჩქარით მიქრის ვიწროსა და კლდოვან ხვეულებში. ბაბო ნაზი სიფრთხილით უალერსებს მთის თეორყურა გვირილას, ყნოსავს ველური ყვავილების ფერადოვან ფურცლებს და ცღილობს, აქ, ამ ბუნების წიაღში მაინც დაივიწყოს ის ადამიანი, რომელიც ერთი წუთითაც არ ასვენებს და მუდამ თან დაჰყვება, მუდამ.

ორი კვირაა აქ იმყოფება ბაბო და ამ ხნის განმავლობაში არც ერთი დღე არ გაუშვია პოლიოს, რომ არ აეთრთოლებია ის თავისი სიახლოვით, ხელის ოდნავი შეხებით, თვალებით.

ტყის საცალფეხო ბილიკს დიდი მანძილით ჩამოშორდა, რათა გზა აებნია მისთვის. ის თითქოს ყნოსვით პოულობს მას თვით მიუვალ ადგილებშიც კი და თავისი დამაჯერებელი ნაზი ვედრებით აწამებს ისედაც გაწამებულ ქალს, ასუსტებს მის ნებისყოფას.

შეშფოთდა.

მას ესმის ფეხის ხმა, ნაძვის ტოტების ლაწუნი და...

მის წინ დგას პოლიო.

ისევ პოლიო.

— სალამი ბაბო.

სიჩუმე.

— არ გესმის? შენ გელაპარაკები.

— შეგიძლიათ უსალმოდაც დაჯდეთ.

— ოო, როგორ ცივად. არ შეიძლება შესცვალო კილო?

— მე მარტოობა მინდა. თქვენ მოსაბეზრებელი ხართ.

— მარტობის დროს შენ ფიქრობ ჩემზე.

— სცდებით..

— არ ვცდები, ბაბო, მე, ამ შემთხვევაში გულთმისანი ვარ.

— შემოინახეთ თქვენი გულთმისნობა, სხვა რამისთვის გამოგადგებათ.

— რად მიწყრები?

— რად არ მასვენებთ?

— მიყვარხარ, მომწონხარ, მინდა ჩემი იყო.

— რამდენ ქალს ეუბნებით დღეში ამ სიტყვებს?

— ამ უკანასკნელად მარტო შენ. მე მაგიჟებს შენი სიახლოვე.

ამ სიტყვებით მან ფრთხილად აიღო ქალის ხელი, და ისე მხურვალედ დაეწაფა, რომ ბაბო უცნაურმა თრთოლვამ აიტაცა.

— მომშორდით, გევედრებით, მომშორდით,—დაიჩურჩულა შეშინებულმა ქალმა და სცადა ამდგარიყო, მაგრამ პოლიომ ისე მაგრად ჩასჭიდა ხელი, ისე მწვავედ მოხვია მკლავები, რომ ბაბომ წინააღმდეგობის გაწევა ვეღარ შესძლო და თვალებდახუჭული ჩაიჩეხა იმ უფსკრულში, რომელსაც ის ისეთი სიფრთხილით გაურბოდა.

III

ისევ ქალაქი.

ისევ სკოლა.

ისევ მეცადინეობა.

ნოემბრის უკანასკნელი რიცხვებია.

წვიმს.

სიცივე მთელი სიმძაფრით უვლის ბაბოს სხეულს, მაგრამ რა შეედრება იმ სიცივეს, რომელიც იძვრის მის სულში. აგერ მეხუთე თვეა, რაც მან დაჰკარგა სიხალისე და ჩიხში გამომწყვდეული. ამაოდ ეძიებს გამოსავალს.

რა ქნას, ვის უთხრას თავისი მწუხარება, როდესაც არ უნდა მისი გაგება იმ კაცსაც კი, რომელიც არის მიზეზი მისი უბედურებისა.

ბაბო იშვიათად ხედავს პოლიოს.

მას არ სცალია.

სად არის ის?

თეატრებში, კლუბებში, სასტუმროებში.

ბაბოს ენატრება იმედიანი სიტყვა.

სჭირდება გამხნევება, ალერსი, მაგრამ ვის მოსთხოვოს ის?!

პოლიოს?

ის არ არის მეგობარი.

არ არის ამხანაგი.

არის მამაკაცი.

მხოლოდ მამაკაცი.

ახ, როგორ დაიქანცა ბაბო, როგორ საშინლად დაიქანცა. ის მზად არის დახუჭოს თვალები და მიეცეს რიონის ტალღებს. აბრეშუმივით რბილი, შრიალა ტალღები სიყვარულით ჩაიკრავს მას გულში და მისცემს დიდი ხნის სანატრელ მოსვენებას, მაგრამ... მას არა აქვს უფლება მოისპოს სიცოცხლე, ახალი ადამიანი იზრდება მასში, ის წამდაუწუმ ფეთქავს მის მკერდთან. ტოკავს, ინძრევა, ტკივილებს აღძრავს და ისიც იძულებულია ათრიოს ეს ტვირთი, ტვირთი უნებური და ძალად აკიდებული.

მასწავლებელთა სხდომიდან დაბრუნებული ბაბო, უხმაუროდ აღებს ოთახის კარებს, რათა არ გააღვიძოს მოხუცი მშობლები. მათ ჯერ არაფერი იციან. რად შეუშფოთოს მოსვენება? დაე იძინონ და ეგონოთ, რომ მათი ბაბო ბედნიერია.

საჩქაროდ იხდის სველ პალტოს და ნერვიული სიჩქარით ყრის ბუხარში იქვე მიწყობილ ხმელ შეშას. წუთიც და ცეცხლის საამური გუგუნი ახალისებს ოთახს. როგორ უყვარდა ბაბოს ეს ხმაური, ეს სითბო. დაჯდებოდა მარტოკა ბუხრის წინ, მხიარულად ადევნებდა თვალს ალისფერ ნაკვერჩხლებს და ოცნებობდა, ოცნებობდა დაუსრულებლად. ის ფიქრობდა შორეულ, ჯერ არნახულ ჭაბუკზე, რომელიც მოეელინებოდა მას და ეტყოდა: „წამოდი ჩემთან, მე ძლიერი ვარ, დაეყრდნე ჩემს მკლავს და მე წაგიყვან შენ წინ, ახალი ცხოვრებისაკენ“.

ბაბოც მიენდობოდა მას, გაჰყვებოდა და მასთან ერთად ივლიდა, ივლიდა სულ წინ და წინ.

რაზე ფიქრობს ახლა?

სადაც არის მოვა პოლიო.. მოვა და... გამოელაპარაკება უკანასკნელად. ისიც არ იგვიანებს. ფრთხილი ნაბიჯით შედის ოთახში და გასაქცევ ადამიანივით აწურული, მოშორებით ჯდება მისგან.

ბაბო ილიმება.

ილიმება დამცინავი ღიმილით.

ის სკვრეტს მთელ მის არსებას და იმდენად მდაბალ ადამიანად ეჩვენება ეს კაცი, რომ ეზიზღება კიდეც.

უხერხული სიჩუმე.

— შენ დამიძახე მე. რაშია საქმე?—იკითხა ბოლოს პოლიომ და თამბაქოს ბოლს ზანტად თვალი გააყოლა.

— ხომ იცი მისი შინაარსი, განმეორება რა საჭიროა?!

— შენ გინდა დავიკანონოთ ჩვენი დამოკიდებულება, რათა სახელი მივცეთ ბავშვს. მე ეს არ შემიძლია.

— რა მოსაზრებით ამბობ უარს ამაზე?

— იმ მოსაზრებით, რომ წინააღმდეგი ვარ ყოველგვარი ფორმალობის.

— თქვენ უნდა იკისროთ ეს ფორმალობა იმ ბავშვის გულისათვის, რომელიც გააჩინეთ და რომელსაც ეს თქვენთვის არ უთხოვია. რაც შემეხება მე, მე არასოდეს არ მომწონდით თქვენ და ამ უკანასკნელად იმდენად დაეცით ჩემს თვალში, რომ არამც თუ ცხოვრება, თქვენთან რამდენიმე წუთის ლაპარაკიც კი მეძნელება. გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ მე გაგეყრებით თქვენ იმავე დღეს, რა დღესაც ბავშვი კანონიერად იქნება ცნობილი.

— რა საჭიროა ყველაფერი ეს და ან რად ავამხედრო ჩემს წინააღმდეგ საზოგადოება?!

— რომელი საზოგადოება? შენი საყვარლები?

— დაცინვა ნუ იქნება, თორემ ახლავე გავალ აქედან. მე მიგითითე შენ საშუალებაზე, რომლითაც შეიძლებოდა თავიდან აგეშორებინა ეს უბედურება. დღესაც არ არის გვიან, თუ მიმართავ მას. მე მეტს ვერაფერს გეტყვი.

— თქვენ მირჩევთ მოვკლა უკვე სულიერი არსება, მოვუსპო სიცოცხლე ბავშვს, შვილს. თქვენ გესმით რას ლაპარაკობთ და როგორი ბოროტებაა ეს?

— ასეთი რამ ხშირად ხდება ჩვენს ქვეყანაში და ჩემის აზრით არაფერი საჭიროა ხალხის მომრავლება. ის ისედაც ბევრია.

— ეს არის თქვენი უკანასკნელი სიტყვა?

— დიახ,—მიუგო პოლიომ ცივად და გაზეთი, რომელიც აქამდე ხელში ეჭირა, ჯიბეში ჩაიდო.

ბაბო წამოდგა, მის გულში ჩაქრა ყოველივე რწმენა, ჩაქრა ყოველივე იმედი, მაგრამ სიამაყე მართალი ადამიანისა მაინც შერჩა მას და უსიტყვოდ კარებზე მიუთითა.

პოლიომ უხმოდ აიღო ქუდი, უხმოდ შებრუნდა და უხმოდ გაიხურა კარები.

გამშრალი თვალები მოავლო ბაბომ ოთახს და თვითეული ნივთი ეუცხოვა. მას წარმოუდგა მთელი თავისი მომავალი ცხოვრება, როგორც დიდი, ვრცელი უდაბნო და გულისტკივილით იგრძნო, რომ არ შეეძლო ყვარებოდა ბავშვი, შვილი იმ ბოროტი ადამიანისა, რომელიც მისდა უნებურად შეიჭრა მის ცხოვრებაში და შემდეგ შეუბრალებლად დასტოვა ის.

IV

აგერ მეორე დღეა, რაც სამშობიარო სახლში წევს ბაბო, მაგრამ მის წამებას ბოლო არ ეღება. ასე ჰგონია ალესილი მახვილით უღადრავს ვიღაც მუცელს, მთელ არსებას. კბილებით იკვნეტს ტუჩებს, იმტვრევს თითებს და აუტანელი ტკივილებისაგან ფართხალებს საოპერაციო მაგიდაზე.

არავინ კითხულობს მის ამბავს. არავინ იცის, ჰყავს თუ არა მას დედა, მამა, ქმარი.

აქ, ამ ქალაქში, ის უცხოა ყველასათვის და ყველა — უცხოა მისთვის.

— მშობიარეს რთული ორგანიზმი აქვს, საჭიროა სასწრაფო ოპერაცია, — ამბობს მთავარი ექიმი და იღებს მოხრილსა და წვეტიან ინსტრუმენტს.

— მიშველეთ, ექიმო, მე... მოვკვდები ასე. — ამბობს ავადმყოფი და უმწეოდ აწყვეტებს მკლავებს.

— ნუ გეშინიათ, კიდევ რამდენიმე წამი და თავისუფალი იქნებით. — ეუბნება ის პასუხად და მუშაობს, მუშაობს, როგორც ხელით, ისე მახვილით.

სჭრის, სწმენდს, ისევ სჭრის.

მომაკვდავი ადამიანის ტორტმანი.

საშინელებით ავსილი თვალები.

რამდენიმე მძაფრი შეკივლება და...

ჰაერს აპობს ტირილი.

ტირილი ბავშვის.

ექიმი რამდენიმე წამს კიდევ ფუსფუსებს ავადმყოფთან, ირიგებს ფერშალ ქალს და მიდის პირსაბანთან.

ახლადმორჩენილი, გადაფითრებული და თვალებდახუჭული, ისვენებს. ის არ უცქერის ბავშვს, არ ესმის არაფერი. მას უხარია, რომ განთავისუფლდა ტკივილებისაგან.

— აი, შენი ვაჟი, — ეუბნება მას ფერშალი ქალი და სუფთად გახვეულ ბავშვს უგორებს მკლავზე. ბურანში გახვეული ბაბო ერკვევა და გაოცებული დაჰყურებს ბავშვს.

მისი თვალები,

მისი წარბები,

თმა,

ხალი წარბებს ქვემოდან.

„ეს მე ვარ, მე, განმეორებული ბავშვში, როგორ შემიძლია მოვიძულო ის, როგორ შემიძლია არ მიყვარდეს. ბავშვი ინსტინქტიურად იწევს მისკენ, ეძებს მის მკერდს.

„ჩემი ბიჭი, ჩემი შვილი". ფიქრობს ის, ერთბაშად აფეთქებული დედობრივი გრძნობა სინაზით ავსებს მის გულს და ცრემლების ნაკადულები ღვარად გადმოსდის. განწირული თვალებით დაჰყურებს ბავშვს, უალერსებს, ჰკოცნის და, უძილო ღამეებით გაწამებული, აჩრდილივით თხელი და გამსჭვირვალე ხდება მისი სახე, მისი სხეული.

ფერშალი ქალი ლმობიერი სახით და კეთილი თვალებით უახლოვდება მას.

— თქვენს მდგომარეობაში ასეთი სულიერი ღელვა მავნებელია. რა გაქვთ სამწუხარო. მშვენიერი ბავშვი გყავთ, დედა ხართ.

— დედა, რომელსაც კიცხავენ, რომელსაც ამცირებენ. დედა, რომელიც ვერ ბედავს ატაროს ეს სახელი. შვილი, რომელზედაც უარს ამბობს მამა.

— დედ-მამა არა გყავთ?

— კარი მომიხურეს.

— მეგობრები?

— ზურგი შემაქციეს, დამცინეს, სიცოცხლე მომიწამლეს. არა, მე ვერ დავბრუნდები კვლავ იმ ქალაქში, უკეთესია თავი მოვიკლა, წყალში გადავვარდე,

— აქ არავის იცნობთ, რომ გააგებინოთ თქვენი მდგომარეობა?

— ვიცნობ, მაგრამ... არ ვიცი ვახსოვარ თუ არა. ოდესღაც ერთ სასწავლებელში ვსწავლობდით და კარგი მეგობრებიც ვიყავით. დღეს ეს ქალი, პოლიტიკური მოღვაწე და ნიჭიერი პუბლიცისტი,

რედაქტორობს ერთ-ერთ პოლიტიკურ ჟურნალს და ექნება იმდენი დრო, რომ მეც მომაქციოს ყურადღება?

— ვინ არის ის?

— მარიანა.

— აჰ, ეს ქალი, რომელიც ისეთი თავგამოდებით იცავს ქალთა სწორუფლებიანობის პრინციპს. ქალი, რომელმაც ცოცხალი საქმით დაუმტკიცა საზოგადოებას, რომ ისიც ისეთივე ძლიერი ინტელექტის მქონე ადამიანია როგორც მამაკაცი. მომეცით წერილი. მე გადავცემ მას და დარწმუნებული ვარ, რომ უყურადღებოთ არ დაგტოვებთ.

ჩქარა, ჩქარა, აკანკალებული ხელით აწერს ქაღალდს რამდენიმე სიტყვას და ფერშალი ქალიც იმედიანი სიტყვებით სტოვებს მას.

V

ერთ-ერთ სარედაქციო ოთახში ზის მარიანა. უბრალოდ ავარცხნილი თმა და თალხი კაბა, სადა იერს აძლევს მის ლამაზ გარეგნობას. ის შეჰყურებს მის წინ მჯდომ ყმაწვილს და მისი თვალებიდან თითქოს ირონია გამოსჭვივის.

— ჩემის აზრით თქვენგან შეიძლება კარგი ჟურნალისტი გამოვიდეს. რაც შეეხება რომანს, თავი დაანებეთ ამ ამბავს. მხატვრული სახეებით აზროვნება თქვენ არ გეხერხებათ. სცადეთ პუბლიცისტური წერილების წერა. მოგვიტანეთ, ვნახავთ, შევაფასებთ, — ამ სიტყვებით ის უბრუნებს მას საკმაოდ დიდტანიან რვეულს.

— შეიძლება? — კითხულობს მდივანი და ოდნავ აღებს კაბინეტის კარს.

— რაშია საქმე?

— ერთმა ქალმა წერილი მოიტანა და მთხოვა, რაც შეიძლება საჩქაროდ გადმომეცა თქვენთვის.

— დადეგით მაგიდაზე, შემდეგ წავიკითხავ. ნახვამდის ყმაწვილო, — ეუბნება ის ახალგაზრდა კაცს და ოთახში მარტოდ დარჩენილი ხურავს კარებს.

„თანამედროვე ქალი და მისი როლი ოჯახსა და სახელმწიფოში“. ასეთ სათაურს აწერს წერილს. რამდენიმე წამს ის ზის თვალებდახუჭული. ითვალისწინებს თემას, შლის, კუმშავს, ისევ შლის. უეც-

რად ის ახელს თვალებს და... ნერვიული სიჩქარით იწყებს წერას. გადის წუთები, გადის საათი, ერთი, ორი და მთავრდება წერილიც. იღებს თავს და ხედავს მაგიდაზე დატოვებულ კონვერტს.

„ნაცნობი ხელია, ვინ უნდა იყოს?" ფიქრობს ის, კონვერტს თავს უხევს და პატარა ქაღალდის ნაფლეთზე კითხულობს შემდეგს:

„ვწევარ N-ის საავადმყოფოში. ვწევარ ფიზიკურად და სულიერად განადგურებული. დედა ვარ, მარიანა, დედა და... ვერ გამიმხელია ეს. სიკვდილი ჩემს სასთუმალთან დგას და ვგრძნობ, რომ სიგიჟე მიახლოვდება. თუ შეგიძლია ჩემი ხსნა, მიშველე. ოდესღაც შენი მეგობარი ბაბო"..

საათი სამს რეკს.

სამეცადინო დღე დასრულდა.

მარიანა იღებს ტყავის ჩანთას და საჩქაროდ გადის ქუჩაში.

— საით? — ეკითხება მეეტლე.

— N-ის საავადმყოფოში. — ესმის პასუხად და ისიც მორჩილად აბრუნებს ცხენებს.

„საბრალო ჩემი ბაბო", ფიქრობს ეტლის სიღრმეში მიყუჟული მარიანა და ასეთი საბრალო, უმწეო ქალები ბევრი იხატება მის თვალწინ.

რამდენიმე წამის შემდეგ ის უკვე დგას ბაბოს ლოგინთან.

— სოციალიზმს ვამყარებთ, ფეოდალურ ოჯახებს ვანგრევთ, ქალთა სწორუფლებიანობისათვის ვიბრძვით და შენ რაღაც კანონიერებაზე ლაპარაკობ. ინტელიგენტი ქალი და ასეთი შეხედულება?! სირცხვილია ეს. — ამბობს ის აღშფოთებით და სიბრალულით შეჰყურებს მის გაყვითლებულ სახეს.

— ნუ გამკიცხავ მარიანა, მე ასე არ დავეცემოდი, რომ ერთი მეგობარი მაინც შემრჩენოდა.

დედ-მამამ მომიძულა, ადამიანმა, რომელსაც ვენდე, მიღალატა და გაიქცა, ამხანაგებმა ალმაცერად დამიწყეს ცქერა. არა, მე ვერ დავუბრუნდები კვლავ იმ სასწავლებელს და ვერ ავიტან ყოველდღიურ ცქერას იმ კაცისას, რომელიც შძაგს, რომელიც მეზიზღება.

— ვინ გაძალებს შენ ამას? მორჩი, დაიბრუნე დაკარგული ენერგია და როცა აქედან გამოხვალ, მე მექნება შენთვის ადგილი. წინათ შენ გაურბოდი ყოველგვარ საზოგადოებრივ საქმიანობას, მაგრამ დღეს მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს შემთხვევა შეაბრუნებს მთელს შენს მსოფლმხედველობას და ახლა მაინც დარწმუნ-

დები იმაში, რომ მცდარი თვალსაზრისით ცხოვრებაში გამოსვლა სახიფათოა.

— გმადლობ, მარიანა. შენ არც კი გრძნობ, რას მაძლევ მაგ სიტყვებით და მეც არასოდეს არ დავივიწყებ ამას, არასოდეს.

— მარტო მადლობას ვერ დაგჯერდები, შენ საქმე უნდა გამიკეთო მე, საქმე.

— თუკი ჩემი შერყეული ჯანმრთელობა და ჩემი პატარა შვილ ნებას მომცემს, მე თავს არ დავზოგავ. რაც შეგეხება შენ, მე აღტაცებული ვარ შენი პოლიტიკური ნიჭით და შრომის უნარით. შენ, შენი დაუცხრომელი ენერგიით გვერდით ამოუდექი მამაკაცს და გახდი ის, რაც ხარ დღეს. შენ შეგიძლია იამაყო.

— რომ იცოდე, ბაბო, როგორ მძიმეა ხანდახან ჩემი მოვალეობა.

— არა უშავს. შენ შეგიძლია ზიდო ის.

— ჰო, მე ვცდილობ არ დავცე ძირს თქვენი პრესტიჟი. მადლობა შაინც მითხარით ქალებმა ამისათვის. — იხუმრა მან და ზეზე წამოდგა.

— შენ მიდიხარ კიდეც?!

— მე ისევ შემოვივლი შენთან. ყოჩაღად იყავ და ნურაფერზე დარდობ. ყველაფერი მოეწყობა.

ამ სიტყვებით ის დაიხარა. ტუჩებით ოდნავ შეეხო მის შუბლს და დარბაზიდან გავიდა.

— ჩემო ბიჭიკო, შენი დედა იცოცხლებს და ჩვენც ბედნიერები ვიქნებით. — ჩაუჩურჩულა მძინარე ბავშვს ბაბომ, გულში სიყვარულით ჩაიკრა და ამ ორი კვირის განმავლობაში დღეს პირველად დაიძინა ნორმალური, მოსვენებული ძილით.

VI

შემოდგომის თბილი და მზიანი დღე იყო. ბაბომ თავისი ორი წლის ბავშვი გაიყვანა სასეირნოდ და ქალაქის ბაღის ერთ-ერთ კუთხეში ჩამოჯდა. გაცრეცილი და გაყვითლებული ხის ფოთლები ჰფარავდა მიხვეულ-მოხვეულ ბილიკებს და პაწია ფარიკოც მხიარული ტიტინით კრეფდა მათ. საშემოდგომო სევდა ფრთხილი ნაბიჯით ეპარებოდა მთის დანაოჭებულ კალთებს და მის აწეულ-დაწეულ უგანო სივრცეში მარხავდა ქარიშხლისაგან დამჭკნარ ველურ ყვა-

ვილებს. უკან ჩამორჩენილი ფრინველების გუნდი, უკანასკნელად უვლიდა კამარას.

გროვდებოდა.

იფანტებოდა.

ისევ გროვდებოდა და ჩქარი ფრენით მიილტვოდა წინ, თბილი ქვეყნებისაკენ.

„ზამთარი მოდის“, გაიფიქრა ბაბომ წყენით და თვალი მოავლო იალბუზის დათოვლილ მწვერვალს. უეცრად გაშეშდა.

ბაღში ჩქარი ნაბიჯით შემოვიდა პოლიო. გვერდით გაუარა და შედგა.

— ბაბო, — წამოიძახა მან და სახეზე სიფითრემ გადაჰკრა.

— მე თქვენ არ გიცნობთ, რა გნებავთ? — გამოეპასუხა ბაბო ცივად და ამაყად შეათვალიერა პოლიო.

— ბაბო, — გაიმეორა ისევ მან და მის ხმაში თითქოს სინაზე მოისმა.

— გთხოვთ, თავი დამანებოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მე დავუძახებ დარაჯს.

— მე მინდოდა შემეხედნა ჩვენი შვილისათვის. — ამ სიტყვებით წაიწია ბავშვისაკენ, მაგრამ პატარა ფარიკო შეაკრთო მისმა მოახლოვებამ. მან საჩქაროდ მიირბინა დედასთან, შავი, ჭკვიანი თვალებით დაბლიდან მაღლა ახედა და თითქოს ასე შეეკითხა მას: „რამდენად სანდოა ეს უცნობი ძია და შეიძლება თუ არა მასთან მისვლაო?“ მაგრამ როცა დაინახა ბაბოს წარბები მრისხანედ შეკრული, შეშინდა და მის კალთაში თავი ჩამალა.

— არ ახლოთ ხელი ბავშვს, თქვენ მას წაბილწავთ...

— მეტად სასტიკი ხარ, ბაბო, — უპასუხა პოლიომ გაფითრებული ტუჩებით და ისე შეტორტმანდა, თითქოს მისთვის სილა გაეწნათ.

— მაშ რა გნებავთ? ლმობიერება?

— მე მგონია, რომ ეს ბავშვი ჩემი შვილიც არის.

— თქვენ გინდოდათ ის ჩანგალზე აგეცვათ. თქვენ შვილი არა გყავთ.

— მე დავაშავე წარსულში, მაგრამ ნუთუ შეუძლებელია ამ დანაშაულის გამოსწორება? ნუთუ შეუძლებელია ჩვენი შერიგება, მეგობრობა?!

— მეგობრობა? ვისთან? თქვენთან?! მე მეტად მაღლა ვდგე-

ვარ თქვენზე, რომ თქვენი მეგობრობა ვიკადრო. დაწვრილებით გადმომცეს, რაც მოხდა N-ის სასწავლებელში და ყველაფერ ამის შემდეგ, როგორ ბედავთ მომიახლოვდეთ და შერიგებაზე მელაპარაკართ?! მე არ ვიცი რა სახელი გიწოდოთ თქვენ, თქვენ, რომელიც მოწაფეებსაც კი არ ინდობთ.

საზიზღარი ხართ, იმდენად საზიზღარი, რომ თქვენთან ლაპარაკიც კი სამარცხვინოა. მომშორდით, — წარმოთქვა ბაბომ აღშფოთებით და ამაყად ზურგი შეაქცია.

პოლიომ იგრძნო, რომ აქ ზედმეტი იყო ლაპარაკი შერიგებაზე და სიბრაზისაგან მოღრეცილი ტუჩებით ბაღიდან გავიდა.

რად ეძებდა პოლიო შერიგებას?!

ნუთუ მართლა ბავშვი იზიდავდა? არა, აქაც ანგარიში იყო. მდაბალი ანგარიში. ამ ექვსი თვის წინათ დაითხოვეს სამსახურიდან, ვინაიდან ბრალდებოდა მოწაფის ოთახში შეტყუება, ძალდატანების განზრახვით. უადგილოდ მოყიალე პოლიოს მოაგონდა ბაბო, გაიგო მისი ჯამაგირის რაოდენობა და გადაწყვიტა; როგორმე ისევ დაახლოვებოდა მას, მაგრამ მისი განზრახვა გაწბილდა. თავჩაქინდრული დაუყვა ის ვერის დაღმართს და მელანქოლიურად დაუწყო ცქერა თავის შეცვეთილ ფეხსაცმელებს.

VII

რამდენიმე წამის შემდეგ ბაბო ნელის ნაბიჯით მიდიოდა ქალაქის მთავარ ქუჩაზე. იმის სახეს ჯერ კიდევ არ გადაჰყროდა ის ჯანღი, რომელიც მობერა პოლიოს ნახვამ და მასთან ლაპარაკმა.

— რაზე დაფიქრებულხარ, ქალო?! — გამოეხმაურა მას მარიანა და მის წინ ღიმილით შეჩერდა.

— აჰ, შენ, — წამოიძახა ბაბომ და თვალები ერთბაშად გაუნათლდა.

— ამხანაგს ველაპარაკებოდი და შორიდან გზვერავდი: შენ დღეს არაჩვეულებრივი ხარ.

— ბავშვი გავიყვანე ჰაერზე და შევხვდი იმ კაცს.

— როგორ ამოცანებით ლაპარაკობ. აბა, საიდან მეცოდინება მე ვინ არის „ის კაცი“? — გაიღიმა მარიანამ.

— მე ისე მეჯავრება ეს ადამიანი, რომ მისი სახელის წარმოთქმაც კი არ შემიძლია. მეტადრე იმ სამარცხვინო ინციდენტის შემდეგ, რომელიც...

— რომელიც იყო მიზეზი მისი სამსახურიდან დათხოვისა. სკოლის კარები სამუდამოდ დაკეტილია მისთვის და პედაგოგიურ მოღვაწეობაზე ფიქრსაც კი თავი უნდა დაანებოს. შენ არ გებრალება ის?

— არა, საზოგადოების კეთილდღეობისათვის საჭიროა, რომ ჩქარა გადაშენდეს ასეთი ტიპები და ეს ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, მე გავსწმენდდი ჩვენს ქვეყანას ამგვარი ადამიანებისაგან.

— ვერ გენდობოდით, ბაბო, ამ შემთხვევაში შენ ვერ გამოიჩენდი საჭირო ლმობიერებას და შენი „წმენდის“ შემდეგ საქართველოში ბევრი მამაკაცი აღარ დარჩებოდა.

— დაგვრჩებოდა უმეტესი ნაწილი. შენ განა ეჭვი გეპარება ამაში?!

— მინდოდა გამეგო შენი აზრი. მე თვითონ დარწმუნებული ვარ, რომ მამაკაცთა უმრავლესობა უყურებს ქალს ამხანაგურად და შეგნებულად, მაგრამ ჯერ კიდევ საჭიროა ბრძოლა. ჩვენ უნდა-დაუმტკიცოთ მათ, რომ ქალი მარტო დედა და ცოლი კი არ არის, არამედ სრულუფლებიანი წევრია სახელმწიფოსი. მისი ამხანაგი და თანატოლი.

— მაგალითი აგერ შენა ხარ და მრავალი სხვაც. ჩემის აზრით, ეს სრულიად საკმარისია.

— არ არის საკმარისი, საჭიროა უფრო მეტი მოქმედება, მეტი ენერგია, მეტი აქტივობა, საუკუნეობით განაზებული ქალის ბუნებას ადვილად არ ეხერხება მამაკაცური მუშაობა.

— სწავლობენ, ეჩვევიან.

— ჰო, არის საიმედო ძალებიც. მე გაჩვენებ დღეს სოფლიდან ამოსულ ქალებს, ისინი აოცებენ ადამიანს თავიანთი საღი მსჯელობით. ხომ მოხვალ საღამოს ჩვენს სხდომაზე?!

— უეჭველად, განა დავკლებივარ ოდესმე?!

— ჰო, შენ მეტათ ბეჯითი ხარ ამ შემთხვევაში და მეც კმაყოფილი ვარ შენი მუშაობით.

— ნახვამდის, ბაბო, დღეს ისევ შევხვდებით ერთმანეთს.

„საკაცობრიო იდეალების სამსახურს ქალმაც შეალია თავისი ძალ-ღონე, მეცნიერულ შრომას ბევრი შეეწირა, ხელოვნებას ბევრმა ანაცვალა ახალგაზრდობაც და ბედნიერებაც. დიახ, თანამედროვე ქართველი ქალი აღსდგა, აღსდგა უკეთესი ცხოვრებისათვის“, ფიქრობდა ბაბო და იმედიანად გაჰყურებდა მაღალსა და მოხდენილ

მარიანას, რომელიც მტკიცე, ზომიერი ნაბიჯით მიდიოდა ქუჩის ქვაფენილზე და სრულის ღირსებით მიუძღოდა იმ ჯგუფს, რომელმა ჯგუფმაც მას ხელმძღვანელობა დააკისრა.

— დედა, სულათები, უუ, ლამდენი სულათები... წამოიტიტინა ფარიკომ, დედის კაბის კალთას ხელი ჩაავლო და „მინიონის“ წინ შეაჩერა.

„გზაჯვარედინზე“ ამოიკითხა ბაბომ გაკრულ განცხადებაზე და გულგრილად გადახედა გამოფენილ სურათებს.

გზაჯვარედინი უკვე განვლო მან და კვლავ აღარ აშინებს ის.

მან იპოვა გზა, გზა სწორი და უტყუარი და ისიც მიჰყვება მას.

გზა, რომელსაც უნდა დაადგეს თვითეული შეგნებული ქალი, ქალი — ადამიანი.

ელიკო

I

ცოცხალი, ცქრიალა, კარგი თვალტანადი და თან გამრჯე ქალი იყო ელიკო. მას მხოლოდ სოფლის ორი კლასი ჰქონდა გათავებული, მაგრამ წიგნების კითხვას ის იმდენად განევითარებინა, რომ კარგად განსწავლულ ადამიანივით მსჯელობდა. ის ხშირად დადიოდა ფარულ კრებებზე, ღებულობდა მონაწილეობას კამათში, არიგებდა პროკლამაციებს და სხვებთან ერთად ისიც ოცნებობდა იმ ბედნიერ დღეზე, როდესაც დაინგრეოდა ძველი სახელმწიფოებრივი მმართველობა და რევოლუციის ქარცეცხლში გაიჭედებოდა ის გიგანტური ფუძე, რომელზედაც უნდა აშენებულიყო ახალი ქვეყანა, ქვეყანა თავისუფალი და ბედნიერი ადამიანებით დასახლებული. ელიკო ობოლი იყო და ცხოვრობდა თავის უფროს გათხოვილ დასთან, ნინოსთან, რომელსაც შველოდა ბავშვების აღზრდაში და ოჯახის შოვლაში. დას ძალიან უყვარდა მხიარული და მოსაქმე ელიკო, მაგრამ მიუხედავად ამისა ხშირად ეტყოდა მას:

— ოცდასამი წლის ქალი ხარ. დროა იფიქრო გათხოვებაზე და საკუთარი კერის შექმნაზე, შენ დაკარგე რამდენიმე კარგი და რიგიანი საქმრო და მეც არ ვიცი რა არის ამის მიზეზი. იქნება შეგიყვარდა ვინმე?!

ელიკო დის ასეთ შეკითხვას მუდამ მდუმარებით ხვდებოდა და ხუმრობით ცდილობდა გაექარწყლებინა დის გულში აღძრული ეჭვი. ნინო არ ცდებოდა, ელიკოს უყვარდა, უყვარდა ახალგაზრდა დავითი, ცოლშვილიანი კაცი, ხუთი წლის განმავლობაში იგი თავის გრძნობას ისე მალავდა და ინახავდა, რომ დათას ერთხელაც არ

აუღია ეჭვი, ერთხელაც არ უგრძვნია ეს. ელიკოს ამგვარი სიყვარული უზნეობად მიაჩნდა და აკი თვითონაც არ ფიქრობდა ბედნიერებაზე, მაგრამ ამ ორი წლის წინათ, დავითის ცოლი მშობიარობას გადაჰყვა და ამგვარად მდგომარეობა შეიცვალა. ქალს მაინც შორს ეჭირა თავი, ვინაიდან გრძნობდა, რომ ის ვერ გამოდგებოდა მისი ცხოვრების ამხანაგად და მეორედ, არც იცოდა, იზიარებდა თუ არა ვაჟი მის გრძნობას.

დათა შვილი იყო იმ სოფლის აზნაურის, ელიზბარისა. მოხუცი ელიზბარი, ბატონყაცურ ცხოვრებას დაჩვეული, ვერ ურიგდებოდა თავის სიღარიბეს და ხშირად წყევლა-კრულვით იხსენებდა იმ დროს, რომელმა დრომაც აიძულა ის ხელში თოხი აეღო და გვერდში ამოსდგომოდა იმ გლეხკაცებს, რომლებსაც წინათ მაღლიდან მედიდურად დაჰყურებდა და „შავსისხლიან“ ხალხს ეძახდა. გიმნაზიის მე-7 კლასიდან გამოსული დავითი არ იზიარებდა მამის აღშფოთებას. მას წაკითხული ჰქონდა რამდენიმე პოლიტიკური შინაარსის წიგნი. იცნობდა ძველსა და ახალ ისტორიას და სრული დარწმუნებული იყო იმაში, რომ ადრე თუ გვიან რევოლუციის გრიგალი საქართველოს ტერიტორიასაც მოედებოდა და რომ ცხოვრების ნიაღვარი არ დაინდობდა იმ ადამიანებს, რომლებიც აწმყოზე ზურგშექცეულნი ცრემლიანი თვალებით გაჰყურებდნენ წარსულს. დავითი თავდახრილი იდგა ახალი ცხოვრების წინაშე და ცდილობდა როგორმე შეგუებოდა მას, მაგრამ რა ექნა, როდესაც უსაქმობისაგან იმდენად იყო განაზებული ფიზიკურად, რომ სოფლის მძიმე საქმის გაკეთება საშინლად უჭირდა და ხშირად ისეთ უმწეობას განიცდიდა, როგორ უმწეობასაც განიცდის ბავშვი, მკაცრი და ულმობელი მასწავლებლის წინაშე.

ელიკო კარგად იცნობდა დათას და სიყვარულს იმდენად დაბრმავებული არ ჰყავდა, რომ ეს ნაკლი მასში არ აღენიშნა.

„როგორ ეკადრება ვაჟკაცს ასეთი მოდუნება, ასეთი უსაქმობა, ძეტადრე იმ დროს, როდესაც ცხოვრების ქარიშხალი თვითეულ ადამიანს შიგ სახეში სცემს და მოქმედებისა და შებრძოლების სურვილს იწვევსო“. ასე ფიქრობდა ელიკო და ეს იყო იმის მიზეზი, რომ ის არაფერს ამბობდა თავის გრძნობის შესახებ და ყოველივე ღონეს ხმარობდა არ აჰყოლოდა მას.

II

მზემ სხივთა ისრებით უკანასკნელად დასეტყვა ნიავისაგან შეშფოთებული ლურჯი ზღვის ზედაპირი და საოცნებო რხევით გადაეშვა წითლად აზვირთებულ ღრუბელთა ტალღებში.

ასაღამურდა და ელიკო ეხლა მიუახლოვდა სოფელს. მახლობელ მაზრაში იყო ფარულ კრებაზე მიწვეული და იქიდან სოფელში დასარიგებლად მიჰქონდა რამდენიმე ცალი პროკლამაცია და მდაბიო ხალხისათვის ადვილად გასაგები ბროშურები. გზის შესამოკლებლად სახელმწიფო შარაგზას გვერდი აუხვია და ტყის საცალფეხო ბილიკს დაადგა. არ გაუვლია სულ ათიოდე ნაბიჯი, რომ მისკენ მომავალი დავითი დაინახა. მხარზე თოფი აეკიდა და რაღაცაზე დაფიქრებული, თავდახრილი მოსდევდა ბილიკს. შეჩერდა, გაიღიმა, ქუდი მოიხადა.

— ნადირობთ?! — შეეკითხა მოკლედ ელიკო.

— სახლიდან ამ აზრით გამოვედი. აქ კი მიმატოვა ამ განზრახვამ და იმის ნაცვლად რომ ტყის სიღრმეში შევსულიყავ, აქ დავიწყე უაზროდ ყიალი. ალბათ წინათგრძნობა მეუბნებოდა, რომ აქ თქვენ შეგხვდებოდით.

— ისე ლაპარაკობთ ამ შეხვედრაზე, თითქოს მას რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს.

— თქვენ იშვიათი ქალი ხართ, ელიკო. მუდამ ცოცხალი, მუდამ მოძრავი, მუდამ მხიარული. მე მშურს თქვენი ენერგია.

— და თქვენ ვაჟკაცს არ გრცხვენიათ ამისათვის?

— არა, იმიტომ, რომ მე ჩემს თავს დამნაშავედ არა ვთვლი. შეხედეთ, აი იმ ცაცხვს, როგორ მოუხრია იმ ასწლოვან მუხას, რომელსაც თავისი შტოები ფართოდ გაუშლია და ამრიგად გზა შეუკრავს მისთვის. ის ვერასოდეს ვერ აიმართება ისე სწორად და ამაყად, როგორც მისი ტოლი ხეები, რომლებსაც, არაფერი არ უშლის ხელს აღიზარდოს ლაღად და თავისუფლად. ბავშვს შრომა შემაძულეს, ჭაბუკი სასწავლებლიდან გამომიყვანეს, ქალაქს მომგლიჯეს, სოფლისათვის უცხო გამხადეს და ამგვარად დაამახინჯეს ჩემი ბუნება.

— თქვენში არის მისწრაფება უკეთესი მერმისისადმი, არის სურვილი შრომის, მოქმედების, თქვენ უნდა აღსდგეთ.

— ამისათვის სასწაულია საჭირო.

— ხასიათის სიმტკიცე და ძლიერი ნებისყოფა სასწაულებს ახდენს. თქვენ უნდა მოუხმოთ მას მთელი თქვენი ვაჟკაცური ენერგიით.

— ვცადე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. როდესაც გადავსწყვეტ რაიმე საქმის გაკეთებას და უკვე შევუდგები მას, ამ დროს ისეთ მოდუნებას ვგრძნობ, ისეთ სულიერ უმწეობას განვიცდი, რომ ხელები უღონოდ ეშვებიან ძირს და მეც გამოვრბივარ აქეთ, რათა ყური დავუგდო ტყის საიდუმლო შრიალს, ტყის სევდიან შფოთვას. თქვენ არასოდეს არ გიგრძვნიათ ეს სევდა?!

— არა, დღეს იმდენი საქმეა გასაკეთებელი, იმდენი საჭირბოროტო საკითხებია გადასაწყვეტი, რომ სევდისათვის მხოლოდ უსაქმო ადამიანი თუ მოიცლის.

— თქვენ მიერ გადმოსროლილი ისარი ჩემი გულის მგრძნობიერ ნაწილს მოხვდა. გმადლობთ.—თქვა მან და მის სახეს მელანქოლიური გამომეტყველება მიეცა.

— აზრადაც არ მქონია თქვენი შეურაცხყოფა, მაგრამ მე საშინლად დამაღონებს, თუ ვეღარ მოერიეთ თქვენს თავს, ვერ დასძლიეთ თქვენს უილაჯობას. მე მწამს, რომ ერთ დღეს თქვენში გაიღვიძებს მთელი თქვენი მამაკაცური სიამაყე და აღსდგებით, აღსდგებით უკეთესი ცხოვრებისათვის.

— არ ვიცი... არ ვიცი...

— მიიღეთ ჩემი სიტყვები, როგორც წინასწარმეტყველება, დავით.—თქვა ელიკომ და ელვარე თვალებით დაბლიდან მაღლა ახედა.

დავითი შეკრთა. ელიკოს თვალები მას რაღაცას ელაპარაკებოდენ. რაღაცას ჰპირდებოდენ. ნუთუ?

ელიკო უნებურად აწითლდა და ერთბაშად შებრუნდა.

დავითის თვალებიდან დაყრილმა ნაპერწკლებმა მისი სახე ასწვა.

— დავიგვიანე, ნახვამდის, დავით, — ამ სიტყვებით ელიკო მას გამოემშვიდობა და ბედნიერი გრძნობით აღტაცებული ვაჟკაცი საჩქაროდ მიატოვა.

— აქ იყო ახლა ის ქალიშვილი? — შეეკითხა ფიქრებში წასულ დავითს, იმ სოფელში კარგად ცნობილი, ახმახი და უშნო იპოლიტე, რომელსაც ხალხი ჯაშუშობას სწამებდა. ჩიტი მახეში ებმება, აბა, რა ქალის საქმეა პოლიტიკა? მისი პოლიტიკა კრუხი და წიწილებია. — ამ სიტყვებით მან ხმამაღლა გადაიხარხარა და მხარზე უშნოდ ხელი დაჰკრა.

დავითს ებილწა მისი ხელის შეხება. მიუხვდა რაზედაც ლაპარაკობდა ის და საშინელი სურვილი აღეძრა, ერთი მაგრად მიეტყეპა ეს ურცხვი ადამიანი, რომელიც მოხერხებულად უგებდა მახეს, ვისზედაც კი ცოტათი მაინც ეჭვს მიიტანდა და ეს ადამიანი დღემდის, რაღაცა მანქანებით, უვნებლად დადიოდა და მუდამ სცილდებოდა ის ტყვიები, რომლებიც არა ერთხელ გასროლილა მისი მიმართულებით. დავითი შეეცადა, რათა იპოლიტეს არ ამოეცნო მისი სულიერი განწყობილება, თავი შეიკავა და ღიმილით შეეკითხა თუ რომელ „ჩიტზე" ლაპარაკობდა ის.

— იმ ჩიტზე, რომელსაც სპარსული შალი მოუხვევია და მისი კალთების ქვეშ აკრძალულ ბროშურებს მალავს. — ამ სიტყვებზე ერთი კიდევ ხმამაღლა გადიხარხარა და ხელების უშნო ქნევით, ჩქარი ნაბიჯით გაჰყვა იმ მხარეს, საითკენაც მიიმალა ელიკო.

„უნდა ვაცნობო, უნდა ავაცდინო ეს საფრთხე," გაიფიქრა დათამ. თოფი ხელში დაიჭირა და მეორე გზით წავიდა ელიკოს სახლისაკენ.

III

ის იყო ასანთი აანთეს, რომ უკანა კარებიდან ფრთხილი ნაბიჯით ოთახში გრიშა შევიდა, ახალგაზრდა პროპაგანდისტი და ელიკოს კარგი მეგობარი.

— ეს ღამე თქვენთან უნდა გავათიო. წუხელ წინ ღამით გაჩხრიკეს ის ბინა, სადაც მე ხშირად დავდიოდი და ამიერიდან იქ მისვლა შეუძლებელია.

— აქ არავითარი საფრთხე არ მოგელის. დარჩი ჩვენთან. მაზრიდან ბევრი წიგნები გამომატანეს და ერთ მათგანს, ჩვენ ამაღამ ერთად წავიკითხავთ. ბევრი რამ არ მესმის, ბევრ რამეში ვერა ვარ გარკვეული და უნდა დამეხმარო.—ვერც კი მოასწრო წიგნების მაგიდაზე დაწყობა, რომ ამ დროს ოთახის კარები დაუკითხავად დავითმა შეაღო. ელიკო შეკრთა და წიგნებს ინსტინქტურად გაზეთი გადააფარა.

— ნუთუ იმდენად დაცემულ ადამიანად მთვლით, რომ გეშინიათ კიდეც ჩემი?!

— ოჰ, არა, მე თქვენ სხვა ვინმე მეგონეთ, დავით!

— და ეს „სხვა ვინმე“ საცა არის გაჩნდება აქ, თუ ეხლავ არ უშველეთ თავს.

— ვინ გითხრათ; საიდან გაიგეთ ეს? — წამოიძახეს ერთხმად გრიშამ და ელიკომ.

— ამაზე ჩვენ შემდეგ ვილაპარაკოთ და ეხლა კი გრიშა წამოვა ჩემთან და ამ ქალალდებსაც წამოიღებს თან. ერთი სიტყვით, რაც კი გაქვთ სახლში აკრძალული, მოიტანეთ აქ. — ელიკო საჩქაროდ გავიდა და შემოიტანა ერთი საკმაოდ მოზრდილი ყუთი, რომელშიაც ეწყო რამდენიმე ცალი მაუზერი.

— თქვენ, ელიკო, დარჩებით აქ? რომ შეშინდეთ? წამოდით თქვენც ჩვენთან. ან ისევ მე თვითონ მოვბრუნდები თქვენთან, როდესაც გრიშას დავაბინავებ.

— არც ერთი ივარგებს და არც მეორე. მე რომ წამოვიდე, იფიქრებენ, დავემალეთ მათ. თქვენ რომ ჩემთან გნახონ, იქნება რაიმე ეჭვი აიღონ. სახლში ვერაფერს იპოვნიან და მაშასადამე, შესაშინებელი არაფერი მექნება.

— ელიკო მართალია, ის აქ უნდა დარჩეს, მაგრამ შენ სად მიგყევარ მე? მამიშენის სადარბაზო ოთახში? მართალია ის ჯაშუში არ არის, მაგრამ არც თუ დიდი მეგობარია ჩემისთანა კაცების.

— პირადად არ გიცნობს და ვეტყვი, რომ შენ ჩემი სკოლის ამხანაგი ხარ. აბა ვიჩქაროთ. ყანები უნდა გადავჭრათ, თორემ ამ ნივთებით შარაგზაზე გასვლა სახიფათოა. — ამ სიტყვებით ის გამოემშვიდობა ელიკოს და რამდენიმე წუთის შემდეგ ორივე მამაკაცი სიბნელემ შთანთქა.

— ამაღამ იქნება სახლი გაგვიჩხრიკონ და არ შეშინდე, — გაეფრთხილა ელიკომ თავისი და, რომელიც ის-ის იყო სამზარეულოდან ამოვიდა და დაძინებული ბავშვი ლოგინში ჩააწვინა. ვახშმის შემდეგ ელიკომ ყაზბეგი გადაშალა და „ელგუჯას“ დაუწყო კითხვა, თუმცა რამდენიმეჯერ ჰქონდა ის წაკითხული. ნინო კი ბუხრის წინ დაბალ სკამზე ჩამოჯდა და საქსოვი ჩულქები ხელში აიღო. კარგა ხანი გავიდა და ისინი უკვე დაწოლაზე ფიქრობდნენ, რომ ამ ღროს აივანზე ჩუმი ხმაური მოისმა.

— კანონის ძალით კარები გააღეთ! — მოისმა ხმა და იარაღის ჩხარუნი.

ელიკომ საჩქაროდ გადააბრუნა კლიტე-

— ძობრძანდით, — შეეგება ის მათ დამშვიდებული სახით და ირონიულად ბოქაულს გადახედა.

— ცნობა გვაქვს, რომ თქვენ აკრძალულ ნივთებს ინახავთ, ნება მოგვეცით სახლი გაგიჩხრიკოთ.

— ბ. ბოქაულო! თქვენ რომ საამისოდ მასპინძლის ნებართვას კითხულობდეთ, მაშინ აქ არც მობრძანდებოდით.

— ჩვენ აქ იმიტომ არ მოვსულვართ, რომ თქვენ მიერ ასე ოსტატურად გადმოსროლილი შენიშვნები მოვისმინოთ.

— მაშინ ნებართვის აღებაც არ იყო საჭირო, კარები ღიაა, შეგიძლიათ იმოქმედოთ.—წარმოთქვა მან ცივად და ამაყად კუთხეში მიდგა. ნინო ჯერ თითქოს შეკრთა, მაგრამ, რიდესაც დაინახა-დამშვიდებულად მოლაპარაკე ელიკო. თვითონაც დაწყნარდა და გულგრილად დაუწყო ცქერა მათ მოძრაობას.

— გაჩხრიკეთ მაგიდისა და კარადის უჯრები, ლოგინები, კალათები, — გასცა ბრძანება ბოქაულმა და სტრაჟნიკებმაც დაიწყეს ფაცური. სულ ააქოთეს იქაურობა. სათითაოდ გადააწყ-გადმოაწყვეს თვითეული ნივთი, ავიდნენ სახლის ჭერზე, დაათვალიერეს საშზარეულო, ნალია, საქათმეშიც კი შეიჭვრიტეს, მაგრამ საკბილო მაინც ვერა იპოვეს რა.

-- გეტყობათ, ძალიან დახელოვნებულხართ ნივთების გადამალვაში. — თქვა ბრაზით ბოქაულმა, როცა დარწმუნდა, ვერაფერს იპოვიდა.

— თქვენგან გასულ წელს კარგი გაკვეთილი მივიღე და ეს დავიხსომე ის. ვინ არ იცის, რომ დღეს პროკლამაციები იბეჭდება, ვინ არ იცის. რომ მას ხალხი კითხულობს. წავიკითხავ მეც, თუ რაიმე შემთხვევით ხელში ჩამივარდება. სწორედ ასეთი შემთხვევითი დაგდებული პროკლამაცია, ისიც ერთი ცალი მიპოვეთ სახლში და ამისათვის ორი თვე ციხეში გამომამწყვდიეთ. რა გასაკვირია, რომ ამის შემდეგ მე უფრო ფრთხილად მოვიქცე, ჩემი სოფლის გაშლილი მინდვრები მირჩევნია თქვენი სამაზრო ციხის დახშულ ატმოსფეროს.

— თქვენ მაინც არ აგცდებათ ის, თუ არ გაფრთხილდით. ჩვენ ვიცით, რომ თქვენ ჩვენი მთავრობის ერთ-ერთი სასტიკი მოწინააღმდეგე ხართ და აგრეთვე პარტიული მომუშავეც, რად სჩადიხართ ამას, ქალიშვილო?! ციმბირის სასტიკი ჰავა ბევრ ყვავილებს აჭკ-

ნობს და ის არ დაგინდობთ თქვენც, თუ ოდესმე მის კალთებში მოსიარულე დაგინახათ.

— ჩემი სიცოცხლე მე მეკუთვნის და ისე მოვიხმარ მას, როგორც მინდა. ასეთი ნოტაციები თქვენს ქალებს წაუკითხეთ. მე არ მჭირდება ის.

— ოო, რა თქმა უნდა, სოციალისტკა ბრძანდებით და ბოქაულის რჩევა-დარიგებას ვერ მიიღებთ, მაგრამ ვინ იცის! იქნებ, ოდესმე თქვენ ინანოთ ეს, — ამ სიტყვებით ქუდი ოდნავ შეანძრია და თავის მხლებლებთან ერთად ოთახიდან გავიდა.

— თქვენ ალბათ ამაღამ სხვებსაც ესტუმრებით. გისურვებთ, რომ თქვენი მეორე მგზავრობა ასეთი მარცხით არ დამთავრებულიყოს. — მიახალა დაცინვით მიმავალ ბოქაულს ელიკომ და კარები მაგრად მოიხურა. ნინოს სიცილი აუვარდა და ელიკოც მხიარულად აჰყვა მას.

ის კმაყოფილი იყო თავისი თავის და აგრეთვე მადლობელი დავითისა, რომელმაც ააშორა მას დამცირება, დაპატიმრება, ციხე და... იქნება ციმბირიც კი.

IV

მარტის მოწყენილი დღეა. ელიკო სამზარეულოში ფუსფუსებს და პაწია დისშვილებს რძის ფაფას უმზადებს.

— გამარჯობა ელიკო! — მოესმა ამ დროს ხმა და ვერც კი მოასწრო პასუხის გაცემა, რომ მასთან შეიჭრა სახეანთებული და აღელვებული გრიშა.

— ჩემი ახალი ამბავი ისეთი დიდი და არაჩვეულებრივია, რომლის მსგავსი ჯერ არც გაუგონია შენს ყურებს. ბაგენი ჩემი მდუმარებენ, მაგრამ ნუთუ ჩემი სახე არაფერს არ ამბობს იმ განცდის შესახებ, რომელმაც ყელამდე ამავსო და რომელიც... მახრჩობს მე. ასე მგონია, რომ ჩემი გული ვერ დაიტევს ამ სიხარულს და ისიც აფეთქდება ყუმბარის მსგავსად.

— ფრთხილად, მეგობარო, და თუ მაინცადამაინც აფეთქება გინდა, ეს სადმე გარეთ მოხდეს, რომ ჩემს პატარებს არაფერი ევნოს. — ხუმრობს ელიკო.

— ნუ მასხრობ და მომისმინე. რუსეთში რევოლუციის ცეცხლმა იფეთქა, ნიკოლოზი ტახტიდან გადადგა და სახელმწიფოს ხალხისაგან არჩეული მთავრობა უდგას სათავეში.

— ჯერ ამაზე საიდუმლოდ ლაპარაკობენ. მაგრამ ხვალ ჩვენ და ნამდვილებით გავიგებთ ყველაფერს და წითელი დროშებითა და მარსელიოზის სიმღერით ვეწვევით მაზრას, გაუმარჯოს დიდ საერთაშორისო რევოლუციას! — სიხარულით წამოიძახა მან, კარში საჩქაროდ გავარდა, დაწნულ შქერის ღობეზე მარდად გადაეშვა და თვალიდან მიეფარა. ელიკო კი დარჩა იქვე, ამ მოულოდნელი ამბით გაბრუებული და ვერ მიმხვდარიყო, თუ რად ეხუმრა ეს კაცი ასე უცნაურად. მაგრამ, როცა სხვებმაც გაიმეორეს ეს, ისიც დარწმუნდა და ამ შემთხვევამ იმგვარად შეარხია მისი ნერვები, რომ სიხარულის ტკბილი ცრემლები დააყრევინა მას.

V

გათენდა საზეიმო დღე. ცხოველმყოფელი, თავისუფლების მზე, ბრწყინვალე მზე, ისე უეცრად ამოიჭრა ჩაპირქუშებულ ცის კაბადონზე, ისე ერთბაშად გაარღვია შემაწუხებელი ბნელეთის წყვდიადი და ისე უხვად დაჰყარა თავისი მაცოცხლებელი, დამწველი სხივები, რომ ადამიანები, სიხარულის ცრემლმორეულნი, აღფრთოვანებულნი, მარსელიოზის სიმღერით გატაცებით გარბოდნენ ქუჩაში და თვალებანთებულნი, ერთმანეთს ულოცავდნენ სანეტარო თავისუფლებას. ხალხი თანდათან გროვდებოდა, ბუზივით ირეოდა. ღელავდა, ყაყანებდა და ახალი, საკვირველი ამბების გაგებას ლამობდა. ორატორები ორატორებს სცვლიდნენ, მჭევრმეტყველება უმაღლეს წერტილამდე ადიოდა, ტაში ჰქუხდა და მთელ მიდამოს სადღესასწაულო ელფერს აძლევდა. დროშები, წითელი, საოცნებო დროშები ჰაერში მედიდურად ირხეოდნენ. ლამაზი წარწერები, მზის სხივებში ოქროსფრად დაფენილნი ციალებდნენ და წითელი აბრეშუმის ლენტით გულმკერდდამშვენებული ქალ-ვაჟნი ერთმანეთს ბედნიერი ღიმილით შესცქეროდნენ. ადამიანები ისე ხმამაღლა გაიძახოდნენ დამაყრუებელ „ვაშას“, რომ ეს ხმა გუგუნით მოჰქონდა ნიავს და შორს, ამაყად აზიდულ გურია-აჭარის მთებში ჰკარგავდა. ითვრებოდა ელიკოც. ითვრებოდა წითელი ფერებით, თავისუფლების გრძნობით, მშვენიერის სიტყვებით და სიხარულის ძლიერი ტალღა სხვებთან ერთად ნაფოტივით აქანავებდა მასაც.

მზე ჩავიდა და ხალხი ჯერ კიდევ არ ფიქრობდა დაშლაზე. ელი-

კოს მოაგონდა, რომ ოთხი ვერსი გზა ჰქონდა გასავლელი და ერთბაშად შებრუნდა.

უეცრად თვალი მოჰკრა განმარტოებით მდგარ დავითს.

ასწლოვან ცაცხვს ზურგით მიყრდნობოდა და მის სახეზე რაღაცა განცდა თითქოს შეყინულიყო. ის თავის თავს გარიყულ ადამიანად გრძნობდა და ამ საერთო ზეიმში თითქოს უხერხულობას განიცდიდა.

ელიკოს გული დასწვა საყვარელი კაცის სევდიანმა სახემ, შეებრალა ის და გადასწყვიტა, გამოლაპარაკებოდა მას.

— ამხანაგო დავით, სახლში ვაპირებ და გთხოვთ, გამაცილოთ.

— დიდი სიამოვნებით, — მიუგო დავითმა და სახეზე ოდნავ წაწოწითლდა.

— თქვენ დღეს მოწყენილი სჩანხართ.

— მართალია, მაგრამ საშინლად მეწყინება, რომ სხვაგვარად გაიგოთ ეს.

— არ შეიძლება გავიგო მიზეზი თქვენი დაღვრემილობისა?!

— მე მგონია, უფლება არ მქონდა, მონაწილეობა მიმეღო ამ ზეიმში და გამეზიარებინა თქვენი მხიარულება.

— რატომ გგონიათ ეს? მე ვიცი, თქვენი თანაგრძნობა მუდამ ჩვენსკენ იხრებოდა და ისიც ვიცი, რომ არა ერთხელ შეგიფარებიათ მთავრობის მიერ დევნილი ადამიანი.

— მართალია, მაგრამ მე აქტიური მონაწილეობა არ მიმიღია იმ ბრძოლაში, რომელსაც სხვები აწარმოებდნენ.

— რა ვუყოთ მერე? განა ყველა ადამიანი მებრძოლად იბადება? თქვენ იყავით ერთი გულწრფელი თანამგრძნობელთაგანი და ეს საკმარისია იმისათვის, რომ თქვენ ჩვენ ამხანაგად გიგულოთ.

— გმადლობთ, ელიკო, არც კი იცით, თუ რამდენ რამეს მაძლევთ მაგ სიტყვებით. მამაჩემი ერთი გაბოროტებული მოხუცია, რომელიც მუდამ წარსულს მისტირის. ჩემი ცოლი კეთილი და პატიოსანი ქალი იყო, მაგრამ მისთვის უცნობი იყო ჩემი შინაგანი განცდის მსოფლიო.

— და თქვენც, სულიერად მუდამ მარტო იყავით, მუდამ მარტოდ. საბრალო მეგობარო!

— ელიკო, მაშ მე თქვენ გებრალებით? მართლაც რომ ღირსი ვარ სიბრალულის. მე მიყვარდა და მიყვარს ისეთი ქალი, რომლის

დასაკუთრების უფლება არცა მქონია და არცა მაქვს. მე უბედური ვარ.

— ნუ მიფუჭებთ დღევანდელ დღეს, დავით. მას ასეთი მელანქოლიური ტონი არ შეშვენის.

— რა ვქნა, გულს ეტირება და ხომ არ ვეტყვი მას „იმხიარულე"-მეთქი?

— თქვენ არ მეტყვით სახელს იმ ქალისას, რომელიც გიყვართ?

— ელიკო.

ქალი შეკრთა. ამ ერთ სიტყვაში იმდენი სინაზე. სითბო და ვედრება იყო ჩაქსოვილი, რომ მის გულში სიყვარულისა და სიბრალულის გრძნობამ ერთბაშად იფეთქა და მხურვალედ დარხეულმა ტალღებმა სული შეუხუთა.

— შენ არაფერს ამბობ. ეს კი იმას ნიშნავს რომ... მიწყრები. მაპატიე, ძვირფასო და ნუ წამართმევ შენს თანაგრძნობას. მე ისე მჭირდება ის.

— არა, დავით. არ გიწყრები. მეც მიყვარხარ და დღემდის ვებრძოლი ამ გრძნობას, მაგრამ ეხლა ვგრძნობ, რომ დავმარცხდი. მე არ შემიძლია მიყვარდეს სხვა.

— ელიკო, ნუთუ ეს მართალია? ნუთუ შენ იქნები... ჩემი?

— შენს გარდა ჩემი ქმარი არავინ იქნება, მაგრამ, სამაგიეროდ ერთ პირობას გიდებ: ჯვრისწერის კომედიები არა მწამს.

— შენი თავი რომ ეინმემ დამიჩაგროს?!

— შენს ელიკოს ადვილად ვერავინ დაჩაგრავს. ახალი ცხოვრება მოდის და ჩვენც შევეგებოთ მას ახალი სიყვარულით.

— შენ არ იცნობ ჩემი ხასიათის ცუდ მხარეებს, აზნაურული სენი ხშირად მეწვევა და...

— ამ დროს შენს გვერდით უნდა იდგეს მეგობარი, რომელიც შეგიძახებს, აგამოქმედებს, ჩვენ ორივე შევებრძოლებით ამ სენს და დავიხსნით ჩვენ მომავალს.

— ჩემი ელიკო, — თქვა გრძნობით დავითმა და მისი ხელები მხურვალედ გულში ჩაიკრა. მათ ირგვლივ ხალხი ირეოდა, მღეროდა, ფუსფუსებდა, მაგრამ ისინი ვერაფერს ვერ გრძნობდნენ, გარდა იმისა, რომ ერთმანეთი უყვარდათ და რომ ამ სიყვარულით ბედნიერი იყვნენ.

VI

ელიზბარი და მისი ცოლი ამრეზით შეხვდნენ მათ ოჯახში ჯვარდაუწერლად შემოსულ რძალს. ელიკომ, თითქოს არც კი შეიმჩნია ეს, მხიარულად მიესალმა მათ და დავითის პატარა ქალი, სამი წლის თინა კალთაში ჩაისვა.

— თინიკო შენ გახსოვს დედა? — შეეკითხა ბავშვს და მისი პაწია სხეული სიყვარულით გულში ჩაიკრა.

— კი, მახსოვს, ჩემი დედა შოლე წავიდა. — მიუგო ბავშვმა დაფიქრებული სახით და ჭკვიანი თვალებით ელიკოს ცქერა დაუწყო.

— ის ისევ დაბრუნდა შენთან თინიკო. აბა, კარგად შემომხედე, მე ხომ შენი დედა ვარ!

ბავშვი ცოტახანს კიდევ ყოყმანობდა, მაგრამ როცა დაინახა ელიკოს თვალები, სიყვარულით აღვსილი, იგრძნო მისი მხურვალე მკერდი და დედობრივი, ნაზი ალერსი, ყელზე ორივე ხელი შემოხვია და აღტაცებით „დედაო“, დაიძახა. დიდხანს ითამაშა მის კალთაში და როცა დაიქანცა, იქვე ჩაეძინა. ელიკომ ფრთხილად გახადა მას, დააწვინა და შემდეგ, დავითთან ერთად აივანზე გავიდა.

— როგორც ხედავ, მე შენ აოხრებული ოჯახი დაგახვედრე. მე მრცხვენია ამის. — ამ სიტყვებით დავითმა თვალი მოავლო სანახევროდ დანგრეულ სახლს, გარღვეულ ეზოს და თითქოს წასაქცევად წაფერდებულ ნალიას.

— არა უშავს, ჩვენ ისევ აღვადგენთ მას.—მტკიცედ და იმედიანად მიუგო ელიკომ და შეასრულა კიდეც თავისი სიტყვა. ერთი წლის დაუღალავი შრომის შემდეგ, მათი შეფუშული სახლი შეკეთდა და წითელი, გურული ქერაბინით დაიხურა. ნალიას ბარჯგები გამოეცვალა, ეზო შეიღობა და ყვავილების ლამაზმა ბაღჩამ იქაურობა ფერადად ამოქარგა. წინათ გაზანტებულ დავითს ეხლა ვეღარავინ ცნობდა. ის სისხამ დილაზე, ახალგაზრდა ცოლთან ერთად გამოდიოდა სახლიდან და ეხლა, ყოველგვარ სამუშაოს ადვილად ასრულებდა.

— როცა შენ ჩემთან ხარ, დაღლილობას არა ვგრძნობ. ასე მგონია, რომ ნაწილი შენი ენერგიისა გადმოდის ჩემში. — ეტყოდა ხშირად დავითი ელიკოს და სიყვარულით თვალებში ჩახედავდა.

— ასეა, ჩემო კარგო, როცა გვერდით მეგობარი გიდგას, მაშინ შრომაც გეადვილება. ოდესღაც შენ ისე გაშინებდა ის.

— მუშაობას არ ვთაკილობდი. მე მხოლოდ არ ვიცოდი, თუ რო-

გორ მივდგომოდი საქმეს. ყველაფერი ეს ელიკომ მასწავლა და შენც ხომ კმაყოფილი ხარ შენი მოწაფის?!

— მოწაფემ გაუსწრო მასწავლებელს და მეც დავრწმუნდი იმაში, რომ პატიოსანი შრომა აკეთილშობილებს ადამიანს, როგორც სულიერად, ისე გარეგნულად. შენმა სახემ დაკარგა ის ციკი, უკმაყოფილო გამომეტყველება და შენც დღეს ისეთი ხარ, როგორიც მინდოდი ყოფილიყავ. — წარმოთქვა ელიკომ და დავითის მკერდს ვრძნობით მიეკრა. დავითმა ტუჩები შეახო ქალის შუბლს და მისი შავი და გრძელი ნაწნავები ყელზე დაიხვია.

ბავშვებივით აცელქებულნი, ჯერ კიდევ ერთმანეთს სიყვარულს უხსნიდნენ და ვერ ამჩნევდნენ იმ შავ აჩრდილს, რომელიც თანდათან უახლოვდებოდა მათ.

VII

ცხოვრებას უყვარს სიურპრიზების გადმოსროლა და ეს ხშირად ისე სწრაფად ხდება, რომ ადამიანი ვერც ასწრებს გამორკვევას, მეტადრე, თუ ეს სიურპრიზი ცუდი სახით არის მოვლინებული.

სოფელში გაჩენილი სახადი დავითის ოჯახსაც ეწვია და მოხუცი დედა მოუკლა.

დავითმა ვერც კი მოასწრო მისი დაკრძალვა, რომ ლოგინში თვითონაც ჩაწვა. სენი ისე ძნელად მოეჭიდა მას, რომ ვერაფერი გააწყვეს, ვერც გამრცდილმა ექიმებმა, ვერც წამლების სიმრავლემ და ვერც ელიკოს თავდადებულმა მოვლამ. დღეს ექიმებმა გამოუცხადეს მას, რომ ავადმყოფის დახსნა შეუძლებელია. სასოწარკვეთილი და უძილობისაგან დაქანცული ელიკო, განწირული თვალებით დაჰყურებდა საყვარელი ადამიანის გაცრეცილ სახეს და ტუჩებმოკუმული ცდილობდა არ აქვითინებულიყო და ამით არ ეგრძნობინებინა მისთვის მისი უნუგეშო მდგომარეობა.

ავადმყოფი შეინძრა. თვალები გააღო და ელიკოს ხელი გახურებულ სახეზე მიიდო.

— ჩემო საბრალო ელიკო, მაპატიე, რომ გტოვებ. ეს რომ ჩემზე იყოს დამოკიდებული, მე არ ვიზამდი ამას. ოთხი წლის შენთან ცხოვრება, ჩემთვის დღესასწაული იყო, სიყვარულის დღესასწაული. გმადლობ იმ ბედნიერ წუთებისათვის. ნუ სტირი, ჩემი სიყვარული პატარა თინაზე გადაიტანე. მას შენს მეტი არავინ რჩება. მშვიდობით, ძვირფასო, მშვიდობით ჩემო... ჩემო...

.მას კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ სიკვდილმა მდუმარეების თასებით შეჰკრა მისი ბაგე.

ის გაცივდა.

VIII

ყვავილების ბაღჩაში, იასამნის ბუჩქთან გათხარა ელიკომ მისი საბარე. ტებითა და ვარდებით მორთო ის და ყოველდღე მდუღარებას აცხრქვევდა მას. ის სიხარულით გაჰყვებოდა თან საყვარელ მეგობარს, მაგრამ ებრალებოდა თინა, რომელიც დავითმა მას ჩააბარა. შავგვრემანი ბავშვი, სევდიანი თვალებით, ძალიან ჰგავდა თავის მამას და ელიკოსაც გაორკეცებული სიყვარულით უყვარდა ის. ეს იყო მიზეზი, რომ ოჯახს ძველებურად უვლიდა და ქალისა და კაცის საქმეს თვითონვე ასრულებდა. ელიზბარს მოსწყინდა „ვაი-უის“ ძახილი და ერთი წლის შემდეგ, სამოცდაათი წლის მოხუცს ახალი ქალის შერთვის საღერღელი აეშალა.

— ოჯახი დამექცა. მომვლელი აღარავინ მყავს და მომეცით თქვენი ქალიო. — უთხრა თავის ღარიბ მეზობელს, პეტრეს. პეტრემაც, იმ მოსაზრებით რომ მოხუცი ჩქარა მოკვდებოდა და მისი ქონება მის შვილს დარჩებოდა, უარი აღარ სთქვა და ელიზბარმაც ოჯახში შემოიყვანა ოცი წლის ქალი. პატარძალმა ოჯახის უფროსობა მოიწადინა, მაგრამ როცა დაინახა, რომ ელიკო მას არ უთმობდა დიასახლისის ადგილს, საშინლად გაბრაზდა.

— ქმარი მოგიკვდა, შვილი არ გყავს და რად არ მიდიხარ; რად არ გვანებებ თავსო, — უთხრა თან ელიკოს.

— ჩემი შვილის უკანონო ცოლი იყავი, შენ აქედან არავითარი წილი არ გერგება და გთხოვთ, წაბრძანდეთ, — დაუმატა ბღვერით ელიზბარმაც.

როგორ? ელიკოს აგდებენ. აგდებენ მისგანვე აშენებულ ოჯახიდან და ნუთუ ის მოისმენდა ამას?!

„შენი თავი რომ ვინმემ დამიჩაგროს?“ — მოაგონდა დავითის სიტყვები. წელში ამაყად გასწორდა, თვალებიდან მრისხანების ნაპერწკლები დაჰყარა და მბრძანებლობით უთხრა მათ:

— ძველი ბიუროკრატული მთავრობა არ გეგონოთ. არ გაბედოთ ჩემი შეწუხება, თორემ, მივმართავ მშრომელთა ხელისუფლებას და თუ ამ სახლიდან წავა ვინმე, იცოდეთ, რომ ის ელიკო არ იქნება.

ამ სიტყვებით შეშინებული ცოლ-ქმარი ცოტა ხანს მიჩუმდა. მაგრამ შემდეგ ისევ დაუწყეს მას ჩუმ-ჩუმად ლანძღვა და შეწუხება.

ერთ დღეს, როცა ელიკო სამზარეულოში მოკლეტარიან წალდით შეშას სჭრიდა, რაღაცაზე გაბრაზებულმა ელიზბარმა მის სახეში ანთებული მუგუზალი ესროლა. ქალმა ცალი ხელი ინსტინქტურად სახეზე აიფარა და მეორე ანგარიშმიუცემლად ზევით აიღო. მაგრამ ჩქარა ისევ დაუშვა, წალდი ხელიდან დააგდო და უსიტყვოდ გავიდა გარეთ.

კმარა, მოთმინების ფიალა აივსო, მეტი ცდა აღარ შეიძლებოდა. საჩქაროდ ჩაიცვა, ატირებული ბავშვი თან წაიყვანა და იმ სოფლის მასწავლებელ ქალთან წავიდა, რომელიც თავმჯდომარეობდა იქაურ ქალთა წრეს, რომლის წევრად ელიკო ითვლებოდა.

— ამხანაგო ქეთევან! გამასამართლეთ და დამიფარეთ. — უთხრა ელიკომ მას და დაწვრილებით მოუყვა ყველაფერი.

— ჩემო მეგობარო, შენ დაგიშავებია, რომ დღემდის არაფერი გითქვამს ჩემთვის. ნუ გეშინია, წადი დღეს შენს დასთან და ხვალ ეს საქმე შენდა სასარგებლოდ გადაწყდება.

IX

მეორე დღეს საგანგებოდ არჩეული კომისია, სოფლის მილიციონერის თანხლებით, ესტუმრა ელიზბარს. როდესაც წაუკითხეს გადაწყვეტილება და როცა გაიგო, რომ მისი ოჯახის მთელი ნახევარი მის რძალს მიაკუთვნეს, სიბრაზისაგან გონება ისე აერია, რომ მუშტებითა და უშვერი სიტყვებით მივარდა თავმჯდომარეს.

— მოქალაქე ელიზბარ, ნუ გავიწყდებათ, რომ თქვენს წინაშე დგას მშრომელთა ხელისუფლების წარმომადგენელი და თუ ერთხელ კიდევ უმართებულო სიტყვით მოგიმართავთ, მე იძულებული ვიქნები სხვაგვარად მოგექცეთ.

— თქვენ იფარავთ უნამუსო გოგოს, რომელმაც შემაწუხა, რომელმაც ოჯახი ამიფორიაქა. თქვენ ბედავთ, მუქარით შემაშინოთ მე, მე, ძველი მეომარი ნიკოლოზ მეფის... აი, თქვენ ავაზაკებო, მძარცველებო, თქვენ... თქვენ... მაგრამ აქ მას ყელში თითქოს რაღაცა გაეჩხირა და მოწყვეტით იატაკზე გაიშხლართა.

მოწვეულმა ექიმმა შეამოწმა, რომ ის გულის დამბლისაგან გარდაიცვალა.

ელიკო ძალიან შეწუხდა, რომ ამ შემთხვევამ ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. პატივით დაასამარა ის და მისი ქვრივიც ხელცარიელი არ გაუშვა. კომისიამ გადაწყვიტა, რომ არაფერი არ მიეცათ მისთვის, ვინაიდან მათ საქმე ჰქონდათ მდაბალ ანგარიშთან, რაც მათი შეხედულებით გასაკიცხი იყო, მაგრამ ელიკომ არ ისურვა ეს. მისი სახლის ფართო დარბაზში ხშირად იკრიბებიან იმ სოფლის მოწინავე ქალები და ქეთევანის ხელმძღვანელობით აკეთებენ მოხსენებებს, სწავლობენ, მსჯელობენ.

ერთ საღამოს, როცა ჩვეულებრივად თავმოყრილი ქალები კითხულობდნენ როზა ლიუქსემბურგის ბიოგრაფიას, პატარა თინამ ჰკითხა ელიკოს.

— ვინ არის როზა და რად აქებთ მას ასე ძლიერ?!

— როზა თავისუფლებისათვის მებრძოლი ქალია, თავისუფლებისათვის წამებული ქალი, შენ უნდა ეცადო დაემსგავსო მებრძოლსა და ნიჭიერ ქალებს და ამით ზევით ასწიო შენი მამის სახელი.— მამის მოგონებაზე ბავშვს ცრემლები მოადგა და გულუბრყვილოდ შეეკითხა მას.

— რა უნდა გავაკეთო, რომ ჩემზეც ამგვარად ილაპარაკონ.

— ძვირფასო ბავშვო, როცა გაიზრდები, ცხოვრება თვითონვე დაგანახვებს, რაც იქნება გასაკეთებელი.—სიყვარულით უთხრა მას ელიკომ და მის შაუ თმებს ალერსი დაუწყო. ოჰ, ასეთი თმები ჰქონდა დავითსაც. მაგრამ მათ ახლა ელიკოს თითების ნაცვლად სამარის ჭიები ეხვევიან. სახეზე მწუხარედ იფარებს ორივე ხელს, რათა აღარ დაინახოს უიმედობის პირღია უფსკრული, მაგრამ ამ დროს ის გონზე მოჰყავს ამხანაგი ქალების მხიარულ ხმაურს.

ელიკო კმაყოფილია, რომ რევოლუცია იმარჯვებს. კმაყოფილია, რომ ქალის პიროვნებას ადვილად ვერავინ დაჩაგრავს, მაგრამ ის გრძნობს, რომ ჯერ კიდევ საჭიროა ბრძოლა, საჭიროა მოქმედება.

ბედმა საყვარელი ადამიანი მოაცილა, მაგრამ აქტივობის სურვილი ამით ოდნავადაც კი არ შესუსტებულა მასში.

რევოლუციის ქარიშხლიან გზებში გაჰფანტავს სევდიან ფიქრებს და თავის სიცოცხლეს დაუნანებლად შესწირავს, როგორც საკაცობრიო იდეალების სამსახურს, ისე ქალთა სწორუფლებიანობის განმტკიცებას.

• საფო მგელაძე

ქართული ლიტერატურის ისტორიის, საერთოდ ქართველი ხალხის კიდევ ერთი კარგი თვისება ის არის, რომ არასოდეს არ დაივიწყებს ხოლმე არავის, ვისაც კი ხალხის სულიერ ცხოვრებაში ერთგვარი როლი შეუსრულებია, თავისი ძალ-ღონე არ დაუზოგავს და ქართული კულტურის დიდებული შენობის აგებისას თავისი აგური მიუტანია. ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა მწერალი ქალი საფო მგელაძე. მას საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრება ჰქონდა და საინტერესო წიგნებიც დაუტოვა მომდევნო თაობას; ის იყო მეტად რომანტიკულად განწყობილი ადამიანი და, ბუნებრივია, მის ნაწარმოებებშიც მუდამ იგრძნობოდა ეს რომანტიკული მღელვარება. „მე ჩემს თავს მუდამ ქარიშხლიან ზღვაში ვგრძნობ, მუდამ ტალღის ბობოქარ ქეჩოზე ვარ მოქცეული“, ეს თვით მწერლის სიტყვებია და აქ ჩანს მისი სული. ქვეყანაზე მგრძნობიარე და ყველაზე სათუთი მკითხველი მწერლის წიგნისა — ეს ახალგაზრდობაა; და ახლა თამამად შეიძლება ითქვას, რომ საფო მგელაძეს დაპყრობილი ჰქონდა გული იმდროინდელი ახალგაზრდობისა; მე აქ მარტო ერთ მაგალითს დავასახელებ — გავიხსენებ ლადო ასათიანის წერილებს საფო მგელაძისადმი. ლადო მაშინ არ იყო ცნობილი პოეტი, სულ პატარა ბიჭი იყო, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი, საფო მგელაძეს ჯერ პირადად არ შეხვედროდა, მაგრამ, ნახეთ რა წერილებს სწერს მწერალ ქალს, რა ლექსს უძღვნის, როგორი აღტაცებულია მისი „ლიანა ლორდიათი“ და თავის მეგობარ გოგონებში, თავის თანაკლასელებში ეძებს ადამიანებს, რომ მწერლის პერსონაჟებს შეუდაროს. „თქვენს წიგნებს სიხარულით ვკითხულობთ, — სწერს ლადო, — მიუხედავად მათი ცალკეული ნაკლოვანებებისა, თქვენს ლიანას აღმერთებენ ჩვენი სასწავლებლის გოგონები და ვაჟები. ჩემი ამხანაგი ნელი დუმბაძე, რომელმაც წერილი მოგწერათ თქვენ, უდაოდ ლიანას გრძნობების მქონე ადამიანია, იგი ლიანას განსახიერებაა — აი აქ გაიმარჯვეთ თქვენ, ძვირფასო მწერალო! თქვენი წერილები წაიკითხეთ მეგობრულ წრეში და უფრო გაგვიასკეცდა სიყვარული და პატივისცემა თქვენდამი“.

„სიყვარულის წიგნის საყვარელ ოსტატს“ უწოდებს ლადო ასათიანი საფო მგელაძეს და იქვე დაასკვნის: „ეს ქათინაური არ გეგონოთ, აქ ნამდვილი გრძნობები ლაპარაკობენ, სიშაბუკის ხანაში დაჭარმაგებული“. ძნელია არ დაეთანხმოთ ამ შეფასებას — საფო მგელაძის წიგნებში ყოველთვის ჩანდა რაღაც საოცრად სპეტაკი და კდემამოსილი გრძნობა სიყვარულისა და სწორედ ეს ხიბ-

ლაგდა ახალგაზრდა მკითხველს. თქვენი „ლიანა“ უბით დამაქვსო, სწერდა ლადო და ვინ მოსთვლის რამდენ მაშინდელ ახალგაზრდა მკითხველს შეეძლო გაემეორებინა ეს სიტყვები.

მე უკვე ვიქვი, რომ საფო მგელაძის ნაწარმოებებში მუდამ იგრძნობოდ. რომანტიკული სწრაფვა წინ, ძიება უფრო ლამაზისა, კეთილისა... ეს ჩანს მის ბიოგრაფიაშიც. ამასთან ერთად, რაღაც სულიერი ტრაგიზმის ხაზიც გასდევს მთელ მის ცხოვრებას ბავშვობიდან უკანასკნელ დღეებამდე. „თქვენ ალბათ გაინტერესებთ როგორ და რა პირობებში აღვიზარდე, — წერდა საფო, — მამაჩემი სოფლის მასწავლებელი იყო. ამას გარდა, იყო უზომოდ სტუმართმოყვარე და მოლხენის მოყვარული. დედაჩემი იყო იმერელი ხუცესის ქალიშვილი. ის კარგად იცნობდა ქართულ მწერლობას და ხუთი წლის ბავშვს „ვეფხისტყაოსანს“ მიკითხავდა. ხან გადაკარბებული ალერსი იცოდა, ხანაც გადაკარბებული ტუქსვა. ჩემს მშობლებს ჩემებული ჰქონდათ: ერთი შვილი გვყავს და ამას ვერ მოვიშორებთო, და მართლაც, სოფლის ორი კლასი რომ დავამთავრე, ფორმეტი წლის ბავშვი დამსვეს სახლში, ჩამაცვეს კუდიანი კაბა და გარეთ აღარ გამახვდეს. გაიარა სამმა თუ ოთხმა წელმა და დაიწყეს ჩვენს სახლში სიარული სოფლის მაკანკლებმა, რომლებიც ჭირიყით მეჯავრებოდა. ერთ წელიწადს ვითმინე ყველაფერი ეს, მერე ავიღე იოდით სავსე შუშა ხელში და დედას ტირილით ვუთხარი:

— თუ ქუთაისში არ წამიყვანთ და არ მასწავლით, თავს მოვიკლავ-მეთქი.

მუქარამ გასჭრა. რამდენიმე დღის შემდეგ მე და დედაჩემი ქუთაისისაკენ გავეშგზავრეთ. ჩვიდმეტი წლისა ვიყავი, როცა ისევ სოფელს დავუბრუნდი, მიზეზი დედის მძიმე ავადმყოფობა იყო, მაგრამ აქ, სოფელში, ახალი უსიამოვნება დამატყდა თავს: ვღებულობდი სამიჯნურო ბარათებს სოფლის ბიჭებიდან და და ერთი მათგანი იმუქრებოდა კიდეც, რომ მომიტაცებდა (ეს ეპიზოდი მე შევიტანე „ლიანა ლორდიაში“, მაგრამ ამით იმის თქმა არ მინდოდა, რომ მე და ლიანა ერთი და იგივე ადამიანი ვართ. თითქოს ბევრი მსგავსებაა ჩვენს შორის, მაგრამ წიგნში მოხაზული პორტრეტი მაინც სულ სხვაა, ვიდრე ცოცხალი ადამიანი — საფო მგელაძე). ყოველივე ამის გამო წავედი ოზურგეთში და იქ გავეცანი ჩემი მომავალი ქმრის ოჯახს“.

საფო მგელაძის ამ ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებს რომ ვკითხულობდი, უნებურად იხსენის ნორა გამახსენდა, ვიგრძენი საოცარი თრთოლვა ქალის გულისა, რომელიც ვერ ეტევა ვიწრო ფარგლებში და ფართო, საზოგადო ასპარეზზე ეაჭრა სწყურია. საფო სულ ისწრაფვის თბილისისაკენ, საქართველოს დედაქალაქისაკენ, ენატრება ხილვა უკვე სახელგანთქმული მწერლებისა, თვითონაც უკვე წერს და გრძნობს, რომ მის სიტყვასაც ფასს დასდებს მკითხველი და ამიტომ ეძებს გზას იმ მკითხველთან მისასვლელად.

საფო მართლაც სულ მალე ჩამოდის თბილისში და აქტიურ ლიტერატურულ ცხოვრებაში ებმება.

* * *

მე აქ არ შეუეგდები საფო მგელაძის ნაწარმოებების ვრცელ დახასიათებას. ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ ჩანაწერებში ჩანს დიდი გულწრფელობა და უშუალობა, ჩანს სულიერი სიწმინდე და შინაგანი სიმართლე. ეს ნაწარმოებები — პიმნია

თავისუფალი ქალისადმი, რომელსაც საბჭოთა ეპოქამ გაუხსნა ფართო გზა ნათელი მომავლისაკენ, მაღალი ადამიანური ცხოვრებისაკენ.

საფო მგელაძეს ყველაზე მეტი სახელი გაუთქვა მისმა „ლიანა ლორდიამ"; მწერალმა აქ, ახალგაზრდა მხატვარი ქალის სულიერი სამყაროს გადმოცემა სცადა, გვიჩვენა შემოქმედების სიხარული თუ ნაღველი და ის ლტოლვა სილამაზისადმი, რომელიც ხელოვანის სიცოცხლის შინაარსს შეადგენს. გაცილებით უფრო ფართო სოციალური ეღერა აქვს საფო მგელაძის მეორე პროზაულ ნაწარმოებს — „ქარიშხლის ფრთებზე". აქ მწერალი გვიხატავს ქართველი ხალხის სახელოვან შვილებს, რომლებიც თავდადებით იბრძვიან თვითმპყრობელური რეჟიმის დასამხობად; ამ ბრძოლაში ქალები მამაცურად ღგანან მამაკაცების გვერდით და მათთან ერთად ჰკაფავენ ნათელი მომავლის გზას. მოთხრობაში ნაჩვენები არიან ბნელი რეაქციული რეჟიმის მოციქულებიც, რომლებიც ყველგან სისაძაგლეს სჩადიან, რათა გზა აღუკეეთონ თავისუფლებისათვის მებრძოლებს. მოთხრობაში განსაკუთრებით მძაფრად არის გადმოცემული ახალგაზრდა მაგდას საშინელი ტრაგედია; ესაა ულამაზესი და უმანკო ქალიშვილი, რომელიც მხეცურად აწამეს თვითმპყრობელობის მოხელეებმა. მოთხრობის ბოლო ეპიზოდებში ავტორი გვიხატავს იმ საყოველთაო-სახალხო სიხარულს, რომელიც მოჰყვა ბერეუაზიულ-მემამულური წყობილების დამხობას და რევოლუციის გამარჯვებას.

ოცდაათიანი წლების დასაწყისში საფო მგელაძე უკვე საკმაოდ ცნობილი მწერალი იყო. იმ ხანებში მე და დიმიტრი ბენაშვილი თბილისში სულ რაღაც ორი-სამი წლის ჩამოსულები ვიყავით, თუმცა უკვე არა ერთი წერილი გვქონდა გამოქვეყნებული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. და აი, ერთ დღეს მე და დიმიტრიმ მივიღეთ საფოს წერილი:

„ამხანაგებო! თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს: „ფედერაციაში" (ასე ერქვა წინათ გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებას" — გ. ნ.) შევიტანე განცხადება ჩემი მოთხრობების გამოცემის თაობაზე. იქ მთხოვეს წაიკითხოს ვინმემო და მე დაგასახელეთ თქვენ, ორივენი. ორი მოთხრობა დაბეჭდილია, ორიც დაუბეჭდავი. წაიკითხეთ, თუ ჩემი მეგობრები ხართ, ძმა-მეგობრები და მიუკერძოებლად თქვით თქვენი აზრი.

დღეს 21 ივნისია. 23 ივნისს მიდით ხელოვნების სასახლეში, დილის ათ საათზე, ნუ დაიგვიანებთ. მე თქვენ ძალიან გთხოვთ ამას, დაგეკარგებათ სამი ან ოთხი საათი. ჩემს ნაწერებს მე თვითონ გადმოგცემდით, მაგრამ დღეს თბილისიდან მივდივარ და მეჩქარება, იმედი მაქვს. მიხვალთ უეჭველად... ნახვამდის, კახელებო, პატივისცემით და მეგობრული სალამით — საფო მგელაძე".

ჩვენ მართლაც მეორე დღეს მივედით ხელოვნების სასახლეში, როგორც მაშინ ეძახდნენ მწერალთა კავშირის სახლს, მოვედით ნინო კლდიაშვილთან, ვისთანაც საფოს წიგნები დაეტოვებინა. ნინო ხომ ჩვენი მწერალთა კავშირის ცოცხალი მატიანე იყო, ყველა თაობის მწერლის ძიძა და ყველასათვის გულშემატკივარი და მზრუნველი... გადმოგვცა ნინო კლდიაშვილმა მაშინ საფოს წიგნი და ჩვენც მართლაც მიუკერძოებელი რეცენზია წარვუდგინეთ გამომცემლობას. მოთხრობების ეს წიგნი მალე გამოიცა კიდეც.

და აი, ახლა, თითქმის ოთხი ათეული წლის შემდეგ, ჩემს თვალწინ თითქოს გაცოცხლდა ეს შესანიშნავი მწერალი და ადამიანი, მუდამ აღტაცებული, მუდამ აღგზნებული საფო. შეიძლება მის ნაწარმოებებში ახლანდელ მკითხველს ზოგი რამ გულუბრყვილოდ მოეჩვენოს, მაგრამ ვერავინ ვერ დაეჭვდება ამ მწერლის ტალანტში, იმაში, რომ მას ჰქონდა ნათელი შეგრძნება ცხოვრების სიმართლისა, უყვარდა ჭეშმარიტება, უყვარდა ყველაფერი, რაც ლამაზი და სათნოა ამ ქვეყანაზე. ამ გრძნობას იგი თავის წიგნებში მარჯვედ და კარგად გამოხატავდა. სწორედ ამის გამო მას უფლება აქვს კვლავ წარსდგეს ქართველი საბჭოთა მკითხველის წინაშე.

გიორგი ნატროშვილი

ს ა რ ჩ ე ვ ი

რომანები

ლიანა ლორდია 5
ქარიშხლის ფრთებზე 70
გზადაგზა 145

მოთხრობები

ნანა 349
ახალი გზით 372
ელიკო 387
ს ა ფ ო მ გ ე ლ ა ძ ე — გ. ნატროშვილის ბიოლოგიტყვაობა 402

Сафо Иосифовна Миеладзе

Избранное

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5.
1968

რედაქტორი ლ. ნანიტაშვილი
მხატვარი ლ. ქუთათელაძე
მხატვრული რედაქტორი გ. ქუთათელაძე
ტექნიკურ-რედაქტორი ჯ. რთველიაშვილი
კორექტორი თ. მაჩაბელი

გადაეცა წარმოებას 9/III-66 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/II-68 წ.
ქაღალდის ზომა 60×84 1/16.
ნაბეჭდი თაბახი 25,5
სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 20,42
უე 01625 ტირაჟი 20 000 შეკვ. № 181
ფასი 1 მან. 27 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის, 5.

ტამბა № 1, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.
Типография № 1, Тбилиси, ул. Орджоникидзе, № 50.